

მიტროპლიტი ანათეა ჯაფარიძე

ქართველთა დეაცეორნალიზაცია

XVII-XX საუკუნეებში

საინიციატივო
აფხაზეთი
ქართლ-კახეთი
მცხეთი
თრიალეთი
შიდა ქართლი

მსტრიული გეღი საქართველოს ეკლესიისაგან
განვითარებული ქართველებისა

ერი ცოცხალი თრგანიზმია.

საკუთარ სახელმწიფოში ყოველი ერი მთლიანდება და ნაციად ყალიბდება, მაგრამ უსახელმწიფობრიობის დროს პირიქით – იშლება და ნაწილურდება. მთე უმეტეს, თუ ძველანა საუკუნეთა მანძილზეა მტრისაგან დაპყრობილი. ასეთივე ბუნებისაა, ცხადია ქართველობაც.

ჩვენი ხალხის ისტორიული მესხისუნებიდან ერთგარად ამოგარდნილია XV-XVIII სს და ისტორიის ჟუმეცნება ხდება ისე, თითქოს და აუგვისტული პერიოდიდან (დავით აღმაშენებლიდან და თამარიდან) – ჩვენ უცებ აღმოგნით XIX ს-ში, მაგრამ კვლევა ასვენებს, რომ XVII-XVIII სს-ში განვითარებულმა პროცესებმა შეა ჩვენი დღეგანდებული პრინციპები. XV ს-ის შემდეგ, საქართველო დაიშალა, შემდეგ მისი ყოველი ნაწილი მტრიმა დაიპყრო, დაიწყო დენაციონალიზაცია ქართველი ხალხისა. ეს პროცესი საქმაოდ დრომა იყო. ეროვნული თვითშემცნება მხოლოდ იმ ქართველობა მართლმადიდებლებმა შეინარჩუნეს, რომელნიც საქართველოს ეკლესიის წევრები იქცნენ...

XX ს-ის 80-იანი წლების ხანმოკლე ერთგულ კონსოლიდაციას, თან მოჰყვა ხანგრძლივი ორწლეულები ეროვნული დეზინტეგრაციისა, კუთხერობის აღორძინებისა... იმ ადამიანებს, რომელთაც იქმდე თავიანთი თავი ქართველებად პქონდათ იდენტიფიცირებულები გაუსხენეს წინაპართა ოდინდელი „უცხო წარმომავლობა“. განსაკუთრებით კი მათ უცხოელობას, თხობას თუ სომხების ისხეულებრივ მათი მეზობლები, მხედრიონელთა რაზმები, მომენტით მოსარგებლები ყაბდები, რომელთაც დიდი ასპარეზი გადაეშალათ XX ს-ის მიწურულს. ასეთ დროს, ამ ადამიანთა დაცვა და შესხენება მათი მეზობლებისათვის, რომ ისინი ქართველები არიან, მოწმე ვართ იმისა რომ დადებით შეღებებს იძლეოდა.

ვფიქრობ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოს მოხასელეობის ინტეგრაცია-კონსოლიდაცია-გამოთლიანების საჭეს. ჩვენმა ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი ზოგიერთი თანაკლასელი თუ თანაჯგუფელი, რომელთაც თსს, ან სომქეს უწოდებენ სინამდვილეში არიან იმ ქართველთა შოამისგვდები, რომელიც XVII-XIX სს-ში დენაციონალიზაციის პროცესის მსხვერპლი იყნენ. ეს ცოდნა მათ აღბათ მეტ ტოლერანტობას შესძენს.

ნაშრომი დაბტებდილი იყო სხვადასხვა წლებში, ამჟამად ერთწიგნად შეგრებილს, უცვლელი სახით ვაწილდებოთ მკითხველს.

რედაქტორი: თამარ რევაზიშვილი

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2010

მიტორპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სერია: ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან
განშორებული ქართველებისა

საიცხილო

ქართველთა გალუპება

- I. საინგილოს ისტორიული გეოგრაფია და მოსახლეობა
- II. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიული ბედი
- III. ინგილო, ანუ კახელი გლეხი
- IV. გალეკებულთა გვარები

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია
1997

წმიდა ილია მართლის თქმით, „აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, მერმისის გამორკვევა სიბნელისაგან“. ჩვენი ხალხის ისტორიული მეხსიერების აღდგენას ისახავს მიზნად მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მონოგრაფიების სერია – „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მათში გადმოცემულია მტერთა მიერ დაპყრობილ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მცხოვრებ იმ ქართველთა ბედი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო დატოვეს ეროვნული ეკლესია, სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილი ეთნიკურად გადაგვარდა.

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) მოსახლეობის ბედი. გამაპმადიანების შედეგად მათი ძირითადი ნაწილი შეერწყა საინგილოში ჩამოსახლებულ სხვადასხვა ხალხს, მათ შორის ლეკებსაც. ნაშრომში უხვ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, გადმოცემულია საინგილოს ისტორიული გეოგრაფია, ეთნიკური სახე, ისტორიული ბედი, სოციალური ყოფა, გადაგვარებულთა გვარები და სხვა.

წიგნი განკუთვნილია ეკლესიის და ერის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ქართველების გაღმაპება

ნუთუ ქართველები ლეკლებოდნენ? იქნებ ერთი-ორი კაცი, ან ოჯახი გაღმაპება და არა რაიმე მნიშვნელოვანი რაოდენობა?

სამწუხაროდ, ქართველები ლეკლებოდნენ და გაღმაპება არა უმნიშვნელო რაოდენობა ქართველებისა, არამედ საკმაო ნაწილი აღმოსავლეთ კახეთისა (მას ამჟამად „საინგილო“ ეწოდება).

საინგილოს მსტორიული გეოგრაფია და მოსახლეობა

არაგვისა და მტკვრის აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს კუთხებს ისტორიულად ერქვათ: კახეთი, კუხეთი და ჰერეთი. კახეთი ერქვა მხარის ჩრდილო ნაწილს, კუხეთი – დასავლეთს, ხოლო ჰერეთი – აღმოსავლეთს. დროდადრო ეს სახელები ერთმანეთს ფარავდნენ, ზოგჯერ სინონიმებადაც იქცეოდნენ ხოლმე. საბოლოოდ, ამ კუთხეთა მომცველ მთლიან ქვეყანას კახეთი ეწოდა. ვახუშტი ფიქრობს, რომ სახელწოდება „კუხეთი“ მოისპოვ VIII-IX საუკუნეებში. „განდგა გრიგოლ მთავარი, ამან მოსპოვ სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად, ანუ „ქორიკოზად“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 524). მაშასადამე, კუხეთი კახეთის ნაწილად იქცა და კახეთად იწოდა. ასეთივე ბედი ეწია სახელწოდება „ჰერეთისაც“. ოღონდ ცოტა მოგვიანებით, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ XV საუკუნეში. „ხოლო შემდგომად განდგომილებისა, ქორონიკონსა 1466, ქართულ 154, მოისპოვ სახელი ჰერეთისაცა და იწოდნენ საკუთრად კახთა მეფედ“ (იქვე, გვ. 524).

აღმოსავლეთ კახეთის ჰერეთი აღარ ეწოდებოდა XV საუკუნიდან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კახეთი ამ ქვეყანას უნდა წოდებოდა ადრიდანვე. ამას მიუთითებს ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში დაცული ცნობა, რომ თვით ახლანდელ ქალაქ შექის სანახებში მცხოვრებ მოსახლეობას („ნუხპატელთ“) – „კახეთის მთიულები“ ეწოდება. ქალაქი შექი მდებარეობს ქ. ზაქათალის აღმოსავლეთით 64 კილომეტრის მანძილზე.

ვახტანგის ძე „მეფემან დაჩი დაპატიჟა მთეულთა კახეთისათა რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს და განდგეს ყოველნი ნოპატელნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 205).

მაშასადამე, ნოპატელნი, ანუ რაც იგივეა – ნუხპატელნი (იხ. იქვე, ლექსიკონი, გვ. 415) კახეთის მთიულები არიან, ანუ მათი ქვეყანა კახეთში შედიოდა V-VI საუკუნეებში. ნუხპატელთა, ანუ კახეთის „მთეულთა“ გაქრისტიანება VIII საუკუნეში არჩილ მეფემ ინება.

„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად ... და დაჯდა წუქეთსა და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებობა ვახტანგ მეფესა წუქეთი და მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნძთა ზედა და ყოველთა წარმართოა მის მთისათა, სახელით აბუხოსრო, და არ ინება მისგან წალებად წუქეთი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლა არჩილ იგინი“ (იქვე, გვ. 243-244).

მაშასადამე, არჩილი კახეთის მეფეა. რეზიდენცია, საჯდომი წუქეთში აქვს. აქედან ის „კახეთის მთეულებს“ – ნუხპატელებს ნათლავს.

ამით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ კახეთი ძველთაგანვე არა მხოლოდ საქართველოს ერთ კუთხეს ეწოდებოდა (არაგვის

აღმოსავლეთით მდებარეს), არამედ მთლიან მხარეს, რომელშიც კუნეთიც, პერეთიც და დაღესტნის მთანეთის ერთი ნაწილიც შედიოდა.

კახეთი რამდენიმე პროვინციისაგან შედგებოდა „გაღმა მხარი, ელისენი, შიგნით-კახეთი, ქიზიყი და გარე კახეთი“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 524).

საერთოდ, ქრისტიანობის მიღება საქართველოს მთანეთის წარმართების ერთ ნაწილს გაუჭირდა. ამიტომაც, ისინი ცდილან საცხოვრისის შეცვლით თავიდან აეცილებინათ ეს პროცესი. კერძოდ, მცხეთასთან ახლოს მდებარე მთის ხევებიდან საცხოვრებლად აღმოსავლეთ კახეთში გადასულან. მაგალითად, წმიდა ნინოს დროს „ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 126), ხოლო „ყვარელნი“, რომელიც თურმე მცხეთის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, აღმოსავლეთ კახეთში გადასულან საცხოვრებლად.

მაშასადამე, პერეთს უკვე XV საუკუნიდან, თანახმად ვახუშტისა, კახეთი ეწოდებოდა, კერძოდ კი – „გაღმა მხარე“ და „ენისელი“.

აღმოსავლეთ კახეთის გამაჰმადიანება (და გალეკება) დაიწყო შაჰ-აბასის შემდგომ, მაშასადმე, XVII საუკუნიდან. ახლად გამაჰმადიანებულ ქართველებს (აქ კახელებს) „ინგილოებს“ უწოდებდნენ. აქედანაა აღმოსავლეთ კახეთის ახალი სახელწოდება – საინგილო.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა იმისათვის გვესაჭიროება, რათა დავამტკიცოთ უმართებულობა აზრისა, რომლის თანახმადაც ინგილოები პერები არიან. ინგილოები ეთნიკურად კახელები არიან და არა პერები, ასე მოიხსენიებს მათ არა მარტო ძველქართული წყაროები, არამედ XIX ს-ის რუსული ადმინისტრაციაც (ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ).

მართლაც, კახელების ინგილოებად გადაქცევის პროცესი დაიწყო XVII საუკუნიდან. ინგილოდ, ანუ „აზლადმოქცეულ“ მაჲ მადიანად აღმოსავლეთ კახეთში ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა იქცა, რომელთაც ამ დროს ჰერებს კი არ უწოდებდნენ, არამედ კახელებს. ასეა ეს წყაროთა თანახმადაც. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ V-VI საუკუნეებში ნოხატოს (თანამედროვე აზერბაიჯანის ქ. შექის) სანახების მკვიდრ მოსახლეობას „კახეთის მთეულნი“, ანუ კახელები ეწოდებოდათ. აქვე, კახეთში, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, არჩილ მეფე აშენებს ციხე-ქალაქ ნუხპატს, აქრისტიანებს აქაურ მოსახლეობას (ამას ადასტურებს ის, რომ ლაგოდეხ-კახ-ზაქათ-ალა-ბალექან-შაქის ოლქში მრავლად არსებობს VIII საუკუნის ეკლესიები – ყუმის ღვთისმშობლის ტაძარი, კასრის სამების ეკლესია, ქვემო ლექართის ტაძრები VIII-IX სს-სა, ბოეთნი VIII-IX საუკუნეებისა. ამავე დროიდან ამ მხარეს მართავდნენ ქართველ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლები. ამ კუთხეში ხდებოდა ქართული ეთნოჯუფების ურთიერთშერევაც, რადგან თვით „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, თუშეთში ფხოველები ესახლებიან, ხოლო აღნიშნულ რაიონში ქართლიდან გადმოსახლებული „ყვარელნი“ – ქართლელ მთიელთა ტომი. ამ ქვეყნის ეთნარქი, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, იწოდებოდა „კახოსად“ ანუ „კახ“-ად. კახისაგან არის ნაწარმოები ქვეყნის სახელი კახეთი, კახეთის ყველა მკვიდრს კახელი ეწოდა. კახოსი, ამავე წყაროს თანახმად, ქართლოსის ძეა, ისევე, როგორც კუხოსი და მისი ძმები.

ქართლოსის, ანუ ქართველთა მთავარეთნარქის შვილების შესახებ ნათქვამია: „ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა

გაჩიოს; ესე ხუთნივე იყვნეს გმირნი, არამედ მცხეთოს უგმირე იყო სხვათა მათ. მოკვდა ქართლოს... ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე, მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 8).

აქედან ჩანს, რომ ძველი ქართველი ისტორიკოსები, რომელებიც საუკუნეთა მანძილზე აკვირდებოდნენ საქართველოსა და კავკასიის ეთნიკურ სურათს, მიიჩნევენ, რომ კახელები, ანუ კახოსის („კახ“-ის) შთამომავლები არიან ძირეული ქართველები, ქართლოსის ერთ-ერთი მემკვიდრენი (ასეთი, თითქოსდა ბანალური ჭეშმარიტების შესახებ საუბარი საჭიროა, რადგანაც აზერბაიჯანელი მეცნიერების ერთი ნაწილი საინგილოზე თავიანთი მფლობელობის დაცვის მიზნით აყენებენ ახალ „აზრებს“, რომელთა თანახმად, ინგილოები „პერულ-ალბანურ-თურქული მოდგმის - გახების (კახების)“ შთამომავლებად მიიჩნევიან. უფრო მეტიც, მთელი კახეთი ალბანეთის მიწა-წყლადაა მიჩნეული. ალბანებს კი, რატომდაც აზერბაიჯანელთა წინაპრებად თვლიან (იხ. ა. ომარაშვილი, გ. მარჯანიშვილი, „ტოპონიმ კახის კვალდაკვალ“, ლიტ. საქ., 4 XII, 1987 წ. და სხვა ავტორები).

როგორც ჩანს, არასწორია თვით ზოგიერთი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი, რომელიც თბილისის არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ სამხრეთ მხარეებსაც ისტორიულ ჰერეთად, ალბანეთად მიიჩნევს. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ძველ ფუძემდებლურ აზრებს ეთნიკური სურათის გადმოცემისას, კერძოდ, რუსთავი ჰერეთში არ მდებარეობს, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს, მას ქართლოსის ცოლი აშენებს (იხ. ზემოთ „ქართლის ცხოვრება“). გარდაბანი (ასე ეწოდებოდა ძალზე ვრცელ მხარეს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით) ჰერეთში არ მდებარეობს, რადგანაც „გარდაბოსი“ - გარდაბნელთა ეთნარქი ქართლოსის ძეა (თანამედროვე ისტორიოგრაფია გარდაბანს ჰერეთის ნაწილ-

ად მიიჩნევს). ასევე ვრცელი მხარე გაჩიანი ჰერეთში არ შედის. „გაჩიოს“ ქართლოსის ძეა, ასევე კუნეთიც არ მდებარეობს ჰერეთში, იმავე მიზეზის გამო და კახეთიც, ცხადია, არ არის ჰერეთის ნაწილი, რადგანაც „კახოსი“, მსგავსად „მცხეთოსისა“, ქართლოსის ძეა. მაშასადამე, ზემოთ ჩამოთვლილ მხარეთა მკვიდრნი, ანუ კახელები, კუნელები, გარდაბნელები, გაჩიანელები არიან არა ჰერები, არამედ ისეთივე ქართველები, როგორც მცხეთელები, რამეთუ მცხეთელების ეთნარქი „მცხეთოსი“ მათ მსგავსად ქართლოსის ძეა. უფრო მეტიც, მცხეთელების ირგვლივ ერთიანდებიან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მხარეების მცხოვრებნი (იგულისხმება ეპოქა ფარნავაზამდე, ანუ დაახლოებით 2500 წლის წინ), რადგანაც „მცხეთოს უგმირე იყო სხვათა მათ“ (იქვე). ეს იმას ნიშნავს, რომ ერთიან ქართულ ფარნავაზიანთა სახელმწიფოს წარმოქმნამდე ზემოთ ჩამოთვლილ მხარეთა მცხოვრებნი პოლიტიკურად თუ კულტურულად მცხეთელების გავლენის ორბიტაში არიან მოქცეულნი. უნდა ითქვას ჰერების შესახებაც: ისინიც, ეთნიკური თვალსაზრისით, ძლიერ ენათესავებოდნენ მცხეთელებს, რადგანაც ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, ჰერელთა ეთნარქი ჰეროსი მკვიდრი ძმა იყო ქართლოსისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰერები ერთიანი ზოგადქართული ოჯახის წევრების სისხლით მონათესავენი იყვნენ და არა ალბანელები. უნდა ითქვას, რომ ჰერები ალბანეთის დასავლეთით, ანუ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მკვიდრობდნენ. რა ენაზე მეტყველებდნენ ჰერები? ალბანეთში ერთი საერთო ენა არ არსებობდა, იქ სულ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომები მკვიდრობდნენ. ალბანეთი ფაქტიურად სხვადასხვაენოვანი ტომების გაერთიანებას წარმოადგენდა. სტრაბონის თანახმად (ე.ი. I ს-სათვის), ალბანელებს „აქვთ ოცდაექვსი (26) ენა, იმიტომ რომ ერთმანეთს არ ერევიან“. ამჟამად ცნობილია, რომ ამ მრავალრიცხოვან ენათა შორის ზოგიერთი

იყო იბერიულ-კავკასიური, ზოგი თურქული, სპარსული და სომხური. თუ ეს ასეა, რატომ არ უნდა ვამტკიცოთ, რომ ამ ენათა შორის ერთ-ერთი, ან რამდენიმე იყო ქართული, ან ქართველური ენა? ჰერების ენა, ჩანს, ქართული უნდა ყოფილიყო. ალბანეთში მცხოვრები ტომები ერთმანეთს არ ერეოდნენ, თანახმად სტრაბონისა, მაგრამ სწორედ ჰერეთში გადასახლდნენ მცხეთის მახლობელი მთიანეთიდან „ყვარელნი“, ხოლო თუშეთში – ფხოველნი. ჩანს, სწორედ იმიტომ, რომ აქ სისხლით მონათესავე თანატომელნი ეგულებოდათ. თუშეთთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ალვანი, ანუ ალონი ალბანეთში კი არ მდებარეობდა, როგორც ამჟამინდელი ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, არამედ კახეთში. თანახმად ვახუშტისა „ამათ-შორისი ქვეყნა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოველნი) თიანეთს, ერწოს, ირტოს-ხევს, პანკისის ხეობას, საყდრიონს და ალონს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 523).

აქ ვახუშტი გულისხმობს ისტორიულ კახეთს, ანუ კახოსის წილი ქვეყნის საზღვრებს, შემდგომ, როგორც ვიცით, დიდად გაიზარდა საზღვრები კახეთისა. აქ ქართველი ტომების გადაადგილება და ურთიერთშერწყმაც მოხდა, რის გამოც არაგვის აღმოსავლეთით მცხოვრებ ქართველი ხალხის ეთნოჯგუფს „კახელებს“ უწოდებდნენ, ქვეყნას კი – კახეთს. კახეთის ერთიანი ქვეყნის ჩამოყალიბება მოხდა ასწლეულებისა და თითქმის ათასწლეულის მანძილზე. ყოფილი კუხელებისა და ჰერების ურთიერთშერწყმის შედეგად კახეთის ქვეყნაში მცხოვრებ ქართველ ხალხს კახელები ეწოდათ (ეს აისახა წყაროში. როგორც ითქვა, უკვე V-VI საუკუნიდან ნუხბატელები კახეთის მთიულები არიან). მართალია, გეოგრაფიული სახელი ჰერეთი თითქმის XV ს-მდე იხმარებოდა, თანახმად ვახუშტისა, მაგრამ მას (ჰერეთს) ეთნიკური შინაარსი გამოცლილი ჰქონდა. ჰერეთში ამ დროისათ-

ვის უკვე ჰერები კი არ მკვიდრობენ, არამედ კახელები. ეს შეუმჩნევიათ თვით აზერბაიჯანელ მეცნიერებსაც. ისინი ფიქრობენ, რომ ოინიკომი – კახი „უნდა მომდინარეობდეს ძველი ალბანეთის ხანაში მდ. ალაზნის აღმოსავლეთით მცხოვრები ტომის – გაგის (გახის) სახელიდან“ (იხ. ა. ომარაშვილი, დასახ. ნაშრ.). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ძველი ალბანეთის ხანაში მდინარე ალაზნის აღმოსავლეთით ცხოვრობდა „კახ“-ების ტომი, ანუ ძველქართულით კახოსის შთამომავალნი, კახელები, ისე, როგორც ამ მდინარის მარცხნივაც. ნუხპატოელნი სწორედ მდინარის მარჯვნივ ცხოვრობდნენ. მათ კი „კახეთის მთიულნი“ ერქვათ ქართული წყაროს თანახმად. ჰერების, კუხების და კახების ურთიერთშერწყმას ერთიანი ეთნოსახელით ათასწლოვანი ტრადიცია ჰქონია.

მაშასადამე, სახელწოდება ჰერეთი ჯერ კარგავს ეთნიკურ შინაარსს, ხოლო შემდეგ გეოგრაფიულსაც. ის XV საუკუნიდან აღარ იხმარება. ჰერეთი კახეთად იქცა, ხოლო აქ მცხოვრები ხალხი კახელები არიან უძველესი დროიდან, თვით ძველი ალბანეთის ხანიდან (ალაზნის აღმოსავლეთით „კახების“ ტომის ცხოვრება ამას მიუთითებს).

XVII-XVIII საუკუნეებში სპარსეთ-თურქეთის პოლიტიკის წყალობით, ალაზნის გაღმა მდებარე კახეთის მიწა-წყალს იპყრობენ დაღესტნური ტომები. იწყება აქაური კახელების გალეკება, გამაპმადიანება და ინგილოებად გადაქცევა.

ყოველივე ზემოთ მოყვანილით ჩვენ გვსურდა მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ არასწორი არიან ჩვენი უურნალისტები და მასიური ინფორმაციის საშუალებები, როცა ინგილოებს ჰერებს უწოდებენ, საინგილოს კი ჰერეთს. აქვე უნდა ითქვას, რომ საინგილოს ისტორიის მკგლევარი მეცნიერები ინგილოებს კახელებს, ხოლო საინგილოს აღმოსავლეთ კახეთს უწოდებენ.

საინგილო კახეთის პროვინციის ის ნაწილია, რომელსაც ისტორიულად ჭარ-ბელაქანი და ელისენი ეწოდებოდა.

„ჭარ-ბელაქანი, მეორე პოლიტიკურ ერთეულ – ელისეს სასულთნოსთან ერთად შეადგენდა კახეთის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს“ (თ. პაპუაშვილი, „ჭარ-ბელაქანი“, 1972, გვ. 3).

თ. პაპუაშვილი წერს, რომ ლეკებმა აღმოსავლეთ კახეთის – „....ადგილობრივი კახელი გლეხები თავიანთ ყმებად გაიხადეს. ყოველივე ამის შედეგად ეს კუთხე (კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილი) სრულებით მოწყდა კახეთის სამეფოს“ (იქვე, გვ. 4). მეცნიერი არკვევს, თუ „.... როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ „ლეკთა“ მიერ დამორჩილებული მკვიდრი კახელი გლეხები (ინგილოები)“ (იქვე, გვ. 4). მაშასადამე, ინგილო სხვა არავინაა, თუ არა კახელი გლეხი, კახელი კაცი. ჰერეთი აქ არაფერ შუაშია. საინგილო კახეთის ნაწილია.

არსებობს მეორე გაუგებობაც – ამჟამად, საქართველოში ინგილოს უწოდებენ საინგილოს მკვიდრ ქრისტიან ქართველს, მაშინ, როცა ინგილო ეწოდებოდა ძირითადად სწორედ საინგილოს მკვიდრ მაჰმადიანს (ცხადია, ქართველს). აღმოსავლეთ კახეთში, ანუ საინგილოში, ისტორიულად ასეთი ეთნოგრაფიული სურათი ჩამოყალიბდა: აქ XVI საუკუნის ბოლოს სახლდებიან დაღესტნელები (ლეკები), რომლებიც XVII საუკუნიდან ბატონდებიან ადგილობრივ ქართველებზე. ამავე ეპოქაში აქ ჩამოასახლეს მუსულმანური ტომი – მუდალები. ასეთ მუსულმანურ გარემოში მოხვედრილი კახელების დიდი ნაწილი ნებით თუ უნებლივედ გამაჰმადიანდა. ამ ახლად გამაჰმადიანებულთ ეწოდათ სწორედ „ინგილოები“, ანუ ახალი მუსულმანები, „ახლად მოქცეულები“, რადგანაც მათთან შედარებით ლეკებიდა მუდალები „ძველი მუსულმანები“ იყვნენ. მართლაც, როცა მულალები აღმოსავლეთ კახეთში დასახლდნენ, ისინი უკვე იყვნენ

მაპმადიანები, ასევე ლეკებიც მაპმადიანები იყვნენ ჭარ-ბელაქ-ანში, ანუ აღმოსავლეთ კახეთში დასახლებამდე. ამ „ძველ მაპ-მადიანებთან“ შედარებით ახლად გამაპმადიანებული კახელები, მართლაც, „ინგილოები“, ანუ „ახლადმოქცეულები“ იყვნენ (ინგილო ახალგამაპმადიანებულს ეწოდება მათ ენაზე).

მაშასადამე, ინგილო გამაპმადიანებულ კახელ გლეხს ეწოდებოდა და არა ქრისტიანს, მაგრამ იქაური (ე.ი. საინგილოს) ძველი მუსულმანებისათვის ცნობილი იყო, რომ „ახლადგამაპ-მადიანებული“ და ქრისტიანი ადგილობრივი მოსახლეობა (კახელები) ერთი ტომის, ერთი ეროვნების ხალხი იყო. ამიტომაც, დროთა ვითარებაში ქრისტიან კახელსაც ინგილო ეწოდა.

კუთხე, რომელსაც ამჟამად ჩვენ საინგილოს ვუწოდებთ, კახეთის სამეფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი იყო.

კახეთის ყველაზე ნაყოფიერი და მოსავლიანი მიწების სწორედ აქ (კახეთის აღმოსავლეთით) მდებარეობდა. ეს იყო ალაზნის გაღმა მდებარე ვრცლად გადაჭიმული ტერიტორიები, რომლებიც მოიცავდა დღევანდელი კახის, ზაქათალის, ბელაქნისა და მიმდებარე რაიონების მიწა-წყალს, აქ მიწა იყო უხვი და ნაყოფიერი, ზომიერი და თბილი კლიმატის გამო ქვეყანა დაფარული იყო ჭალა-ტყეებით, ვენახებით, ხეხილის, კაკლისა და თუთის პლანტაციებით. მრავლად იყო ქალაქები და სოფლები, ქვეყნის მთისწინეთის, თუ ბარის ყოველ დასახლებულ პუნქტში მოქმედებდა ქართული ეკლესია... „ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნაღირითა, ფრინველითა და თევზითა, არამედ უფროს ჰერეთი... ხოლო კაცნი და ქალნი შვენიერნი, პაეროვანნი და მზგავსნი ყოვლითაგე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით... მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა და სამწესონი ქართლის კათალიკოზისანი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 526). აქ, დღევანდელ საინგილოში,

მდებარეობდა კახეთის დედაქალაქები: ძეგამი, ზაგემი და ბაზარ-ქალაქი. აქედან იმართებოდა მთელი კახეთი. ბელაქნის წყალთან „არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატო. აქ აღაშენა 44-ე მეფემან არჩილ ციხე და ეკლესია შვენიერი“ (იქვე, გვ. 540). აქვე მიწის წყალთან „მთასა შინა თოლა-სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენვარე ზაფხულს“ (იქვე, გვ. 543). კახეთის ძირითადი ნაწილი გეოგრაფიულად სამაღიუმოვნებლივი იყო (გარე კახეთი, შიგნით კახეთი და გაღმა მხარი). გაღმა მხარი ალაზნის გაღმა მდებარე კახეთს ერქვა. შემდგომ გაღმა მხარი კუთხეებად დაიყო (თვით გაღმა მხარი, კაკი და ელისენი). კაკსა და ელისენში, თანახმად ვახუშტისა, მდებარეობდა შემდეგი დასახლებული პუნქტები და მდინარენი – ხორანთა, გიშის-წყალი, გიში, სადაც ეპისკოპოსი იჯდა. „ეკლესია დიდი გუმბათიანი და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკისისა“ (იქვე, გვ. 539), ქურმუხისწყალი, ქურმუხი, ფიფინეთი – ჭარი, „ჭარს ზეით არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილნაშენი“ (გვ. 540), მოსაბრუნი „აქ ჭარის პირისპირ და ყარაღაჯის ბოლოს აღაშენეს ხანთა სასახლენი დიდშენი, არამედ აწ არს ოხერ“ (გვ. 540), ბოეთანი, ბელაქნის წყალი, ამ წყალსა და გიშის წყალს შორის ალაზნამდე და კავკასამდე არს ელისენი“ (გვ. 540).

ხოლო გაღმა მხარს ეკუთვნოდა სხვათა გარდა ასევე – მაწის წყალი, თოლა-მაჭი, ციხე ტრაწაყალისა, ციხე ლაკუეთისა – ლაგოეთი (გვ. 543).

„ქართლ-კახეთის აღწერის“ მიხედვით, ელისენს მიეწერებოდა შემდეგი სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლები: ბელაქანი, მაკაბელი, კატეხი, ბოთანი, ლანუხი, მაწეხი, ვარდიანი, ფიფინეთი, ანუ ჭარი, ზაქათალა, პატარა ჭარი, წინუბანი, თალა, ჩარდახი, მუხახი, კოსორი, ჯინიხი, ბაზარი, მოსაბრუნი, ფადარი (ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, 1986 წ., გვ. 72).

როგორც აღინიშნა, ისტორიულად აღმოსავლეთ კახეთში, ანუ დღევანდელ საინგილოში XVII საუკუნეში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ (კახელები), XVI ს-ის ბოლოს აქ მცირე რაოდენობით ლეკები ჩამოსახლდნენ, მაგრამ შემდეგ ეს პროცესი ინტენსიური გახდა, ჩამოსახლეს მუდალებიც. საბოლოოდ XX ს-ის დასაწყისისათვის ასეთი ეთნიკური სურათი იყო: „ზაქათალის ოლქში ... მოსახლეობს ოთხი ხალხი: ჭარელები (ლეკის ცალკე ტომია, ენით შორეული ნათესაობა აქვთ ავარელებთან) – 29 785 სული – 42,6%; წახურელები (ესენიც ლეკის ტომია, ცალკე ენა აქვთ) – 11 485 სული (16,5%), მუდალები (ტომით მონგოლები არიან, ლაპარაკობენ თურქულს) – 11 121 სული (15,9%) და ქართველები – 17 434 სული (25%), მათ შორის ქრისტიანი ქართველი 4263 სული, მუსულმანი ქართველი – 13 171 სული). როგორც ქრისტიან, ისე მუსულმან ქართველებს წმინდად შეუნახავთ ქართული დედა ენა (პ.ი. „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“, კონსტანტინოპოლი, 1918, გვ. 7).

„ქრისტიანი ქართველების სოფლებია: კაკი, მეშაბაში, დიდი ალათემური, პატარა ალათემური, ბაზარ-თალა, ბაზთალა, საკანი, ყარამეშა, ქეშ-გუთანი, ხარაბ-თალა, ალი-ბეგლო, ქოთოქლო და ყორაღანი; მუსულმანი ქართველების სოფლებია: ალიაბათი (ანუ ელისენი), სოსკანი, მარსანი, ლალაფაშა, ჩუდულო, ძაგამი, თასმალო, შოთავარი, ბაბალო, ვერხიანი, ენგიანი, მოსული, ფადარი, ყანდახი, ყაფანახჩი, ითი-თალა“ (იქვე, გვ. 7, შენიშვნა).

დღევანდელ საინგილოში მცხოვრებ, დაღესტნურად მიჩნეულ ტომებში ჭარელებისა თუ წახურელების გენეზისში გალეკებულ ქართველებსაც აქვთ შეტანილი თავიანთი წილი. ამჟამად ისინი პასპორტის მიზედვით აზერბაიჯანელებად იწერებიან. თვით აზერბაიჯანელი მეცნიერები კი, მათ „კახ“-ების შთამომავლებად მიიჩნევენ, მსგავსად ძველქართველი ისტორიკოსებისა,

რომლებიც კახელების გალეკებაზე წერდნენ: „დღევანდელი რაიონული ცენტრ კახისა და მთლიანად თანამედროვე საინგილოს მოსახლეობის უმეტესობას (როგორც აზერბაიჯანელებს, ისე ქართველ ინგილოებს) ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გარა აპ მელოვი „კახ“-ების შთამომავლებად მიიჩნევს და მათ თანამედროვე ადათ-წესებსა და ყოფით ჩვევებში ძველალბანური ტრადიციების ნაკვალევსაც ხედავს“ (ა. ომარაშვილი, დასახ. ნაშრ. ზემოთ აღნიშნული იყო, თუ ამ „კახ“-ებს როგორი წარმოშობისად თვლიდნენ).

აღსანიშნავია, რომ თანახმად ვახუშტისა, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ჭარელთა ტომი თითქმის გაწყვეტილი ყოფილა – კაქსა და ელისებშით, წერს ის, – „აწინდელთა უამთა დაეშენენ ჭარელნი, გარნა მოსრნა იგინიცა შპნალირ და აწ ოხერ არს“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 541). მაგრამ მაღლე ჭარელები ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობად ქცეულან, აქედან ჩანს, რომ ადგილობრივი ქართველების გალეკებითაც მათი რიცხვი გაზრდილა.

აღმოსავლეთ კახეთის საინგილოს) მსტორიული ბეჭი

აღმოსავლეთ კახეთის ბეჭი შეიცვალა 1604 წლიდან, შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ. კახეთის მეზობლად მცხოვრებმა დაღესტნურმა ტომებმა ისარგებლეს ხელსაყრელი სიტუაციით და აღმოსავლეთ კახეთში დასახლება დაიწყეს, მაგრამ ქართველი მეფეები და კახეთის სამეფო ახერხებდა მათ კონტროლს, მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა 1677 წლიდან, კახეთში ყიზილბაში ზანების დამკვიდრების შემდეგ. ამ ყიზილბაშ მფლობელებს ლეკები თავი-ანთ დასაყრდენად მიაჩნდათ. ფაქტიურად, სწორედ მათ

გააბატონეს ლეკები აღმოსავლეთ კახეთში. მთიდან ჩამოსახლება ლეკებისა გრძელდებოდა. ლეკებმა ქართველი გლეხები დაიყმევეს. ამ დროს კახეთში იწყება ქართველი მოსახლეობის დენაციონალიზაციის პროცესი. კერძოდ, ქართველი გლეხები და თავადებიც გადადიან ლეკების მხარეზე. იწყება მათი გალეკება, ეს პროცესი საკმაოდ მასიური იყო (იხ. ქვემოთ). ეს (ქართველების დენაციონალიზაცია) არ იყო მხოლოდ კახეთისათვის დამახასიათებელი, არამედ წარმოადგენდა ერთიანი ქართველი ერის დენაციონალიზაციის ერთ-ერთ კუთხურ გამოხატულებას, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცებას და ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობას, ცხადია, ასეთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა - ერის დენაციონალიზაცია. ასე ხდებოდა სხვაგანაც.

სახელმწიფოს დაშლას ერის დაშლა მოსდევდა თან. სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, მესხეთში მიმდინარეობდა ქართველების გათურქება-გათათრება, გასომხება და გაკათოლიკება, ქართლში - ქართველების გაოსება და გასომხება (გათათრებაც), დასავლეთ საქართველოში - ქართველების გაჩერქეზება (მათ აფხაზები ეწოდათ), ხოლო ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილ ქართულ მიწებზე - არზრუმისა და გიუმიშხანეს სანახებსა თუ ლაზეთში - მიმდინარეობდა გაბერძნება. ამიტომაც, კახეთში ქართველების გალეკება არ წარმოადგენდა გამონაკლისს და ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლისა და მისი ეროვნული მმართველობის მოშლის შემდეგ XVII-XVIII საუკუნეებში, ქართველთა დენაციონალიზაციის ჩარჩოში თავსდება.

XVIII საუკუნის I ნახევარში ლეკებმა მთელი კახეთი დაიჭირეს. ამის გამო „მთელი კახეთი“ გალეკების საფრთხის წინაშე დადგა. შეშფოთებული დავით მეფე ვახტანგს ატყობინებდა,

რომ გავაზელებმა და გაღმა მხარის სოფლებმა „პირი მისცეს ლეკებს“ და მათ მხარეზე გადასვლა დაიწყეს“ (თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, გვ. 36).

1723 წლისათვის კახეთი აუჯანყდა ლეპ დამპყრობლებს და სასტიკად დაამარცხა, მაგრამ აღმოსავლეთი კახეთი ლეკთა მფლობელობის ქვეშ დარჩა. აქ, აღმოსავლეთ კახეთში, ქართველები მასიურად გალეკდნენ. შეიქმნა ახალი ლეკური ტომები, მათ შორის მთავარი იყო ჭარელები. აი, რას წერენ ჭარელთა შესახებ რუსეთის საიმპერატორო კარზე მყოფი ქართველი ელჩები 1801 წელს: „ჭარელნი ... შთამომავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი და ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს, აწცა კახეთისაა, გარნა მათ შეურაცხევეს ჰ სჯული ქრისტიანობისა და ემორჩილებიან მახმადის ჸსჯულსა და საშვალ მათსა არს დასახლებულნი ლეკნიცა“. ელჩები აღნიშნავდნენ, რომ ჭარელნი სრულიადაც არ არიან ისეთნი, რომ ისინი საშიშნი იყვნენ საქართველოსთვის, რიცხვით ისინი სამ-ოთხ ათასსაც არ აღემატებიან“ (თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 92).

ამ ელჩების აზრით, სხვა ეთნოჯგუფია „ჭარელნი“ და სხვაა ლეკნი. ჭარელნი – ძველი ქრისტიანები, წარმოშობით მკვიდრნი „კახეთისაგანნი“ არიან.

1803 წელს რუსეთის ჯარმა ჭარი დაიმორჩილა. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის იმპერატორი თავის „უმაღლეს რესკრიპტში გამოთქვამს დიდ კმაყოფილებას საქართველოს სამეფოსათვის მისი კუთხნილი მიწა-წყლის, ჭარ-ბელაქნის, დაბრუნების გამო რუსეთის იარაღის შემწეობით“ (იქვე, გვ. 107).

მთავარმართებელი ციციანოვი თავის მოხსენებაში „იმპერატორს ულოცავს ჭარის პროვინციის შეერთებას საქართველოს სამეფოსთან, რომელიც მას წარსულ საუკუნეში მოსწყდა“ (იქვე, გვ. 106).

ამის მიუხედავად, მალე რუსულმა ბიუროკრატიამ ზელიც კი შეუწყო ლეკების ბატონობას ადგილობრივ, ჯერ კიდევ ქართველობაშენარჩუნებულ ქრისტიან თუ მაჰმადიან მოსახლეობაზე, რითაც საინგილოში ქართველთა დენაციონალიზაციის პროცესი კვლავინდებურად გაგრძელდა.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენები. ერთიანი საქართველოს არსებობისას დაღესტანი საერთოდ და განსაკუთრებით კი მისი დასავლეთი ნაწილი არა მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში შედიოდა, არამედ მასზე დამოკიდებული ქვეყანა იყო. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგაც კი, „პირაქეთა დაღესტანი“ ფაქტიურად კახეთის სამეფოში შედიოდა. „დაღესტანთან დამოკიდებულება განსაკუთრებით მყაფიოდ იჩენს თავს მე-16 საუკუნიდან. შამხალი კახეთის მეფე ლევანს (1520-1574 წწ.) „პირაქეთა დაღესტანს ეცილებოდა. კახეთს ამისი დათმობა ადვილად არ შეეძლო: საკუთარი საზაფხულო საძოვრები აღარ ექნებოდა და თვითონ ქვეყანაც კადელმორლევული რჩებოდა. მთის დაკარგვის შემდეგ მთელი კახეთი, განსაკუთრებით კი მისი უმდიდრესი აღმოსავლეთი ნაწილი, კავკასიის მთიელთა და გადამთიელთა მუდმივი თავდასხმების მსხვერპლი გახდებოდა“ (ნ. ბერძენიშვილი, კახეთი XVI საუკუნეში, იხ. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, ს. ჯანაშიას რედ., 1946, გვ. 309). „...ლევანი ახერხებს დაღესტნელების ალაგმვას და პირაქეთა დაღესტანზეც გვიან ხანამდე ხელს არ იღებს“ (იქვე, გვ. 8). მალე კახეთის სამეფო არა თუ „პირაქეთა“, ანუ დასავლეთ დაღესტანს კარგავს, არამედ თავისი სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილსაც. ეს ხდება რელიგიურ ნიადაგზე ოსმალეთისა და საშამხლოს დაახლოების შედეგად. XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა შესძლო დაღესტანში ისლამის გავრცელება. მანამდე აქ გავრცელებული იყო საქართველოდან

შეტანილი ქრისტიანობა. XIV საუკუნეშივე თვით შუა დაღესტანში, ხუნზახში, იჯდა „ღუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“ (ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 244). მე-15 საუკუნისათვის კავკასიის მთიანეთში, კასპიის ზღვის პირას, ყალიბდება მცირე სამთავრო – საშამხლო. ამ სამთავრომ შესძლო დაღესტნური ტომების გაერთიანება. დაუპირისპირდა კახეთს. კახეთს ამ დროს თავისად მიაჩნდა პირაქეთა დაღესტანი, გავლენას ავრცელებდა შუა დაღესტანზე, ხოლო მთელ დაღესტანს თავისი გავლენის სფეროდ თვლიდა. საშამხლო და კახეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ დაღესტნისათვის. მალე ოსმალეთი საშამხლოს მფარველად მოევლინა. მათ აერთიანებდა ერთიანი რელიგია, სუნიტური სექტა მაჰმადიანობისა.

ლევან კახთა მეფის დროსვე კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში – ფიფინეთში, ანუ ჭარში დაღესტნელი ლეკები ესახლებიან. ისინი თავისი ნებით მოდიოდნენ კახეთში და რომელიმე ქართველი თავადის ყმებად სხდებოდნენ. „აღმოსავლეთ კახეთში მყოფი ეს აგარელი და წახურელი მოახალშენენი კახთა მეფის მორჩილებაში იმყოფებოდნენ და მათ ხელისუფლებას ცნობდნენ. კახთა მეფეს ემორჩილებოდა და მის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა, აგრეთვე, დაღესტნის სამხრეთ ნაწილში მოსახლე ზოგიერთი თემი. ასეთი იყო, მაგალითად, წახურის (ყყყყყყყყ) მთავრის მიწა-წყალი.

«ყყყყყყყყყყ ყყყყყ ყყყყყ ყყყყ...» (ყყყყყყყყყ). «ყყყყყყყყ ყყყყყ ყ ყყყყყყყყ», ყყ. I, ფ. 293, ყყყყყ ფ. 10).

„1604 წელს შაპ-აბასმა „შემდგომად აღებისა ერევნისა მიუღო ალექსანდრეს კაკი“, შაპმა იგი უწყალობა ერთ-ერთ გამაპ მადიანებულ ქართველ თავადს ვახვახიშვილს და სულთნის პატივშიც აიყვანა. ასე ჩაეყარა საფუძველი ელისუს სასულთნოს“.

1612 წელს მეფე თეიმურაზმა მოაწყო ლაშქრობა დაღესტანში. მას წინ ვერავინ აღუდგა, მაგრამ „1616 წელს შაპ-აბასი ირანის ძლიერი არმიით მეორედ შემოესია კახეთს და განსაკუთრებით დააზარალა მისი აღმოსავლეთი ნაწილი – საინგილო... შაპ-აბასი ამით არ დაკმაყოფილებულა. მან აჰყარა კაპელისენიდან 100 000 ქართველი და წარიყვანა აყრილი ირანს და დაასახლა მაზანდარანს, გილანს, ხვარასანს და ფერეიდანს, – გვაუწყებს „ქართლის ცხოვრება“ (ვ. ტარტარაშვილი, „საინგილოში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენის ისტორიიდან“, „ცისკარი“, 1973, №5, გვ. 139).

შაპმა აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) თურქმანული ტომები ჩამოასახლა. ლეკებმაც აშკარად დაიწყეს კახეთში ჩამოსვლა და ნაოხარ კახურ სოფლებში დასახლება (თ. პაპუაშვილი, გვ. 12), მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართველი მეფეები ახერხებდნენ თავიანთი გავლენისა და კონტროლის ქვეშ მოექციათ ჩამოსახლებული ტომები. თეიმურაზმა, კახეთში მეფობისას და არჩილმა (1664-1675) თავიანთი პოლიტიკური გავლენის ქვეშ შეინარჩუნეს ჭარელი ლეკები. მეფეებს სამხედრო ძალით მორჩილებაში მოჰყავდათ ისინი (იხ. იქვე, გვ. 13). „მკვეთრად იცვლება ვითარება მას შემდეგ, რაც კახეთში (1677 წლიდან) მმართველად ყიზილბაში ხანები სხდებიან. ყარაღაჯში მსხდომი ეს ხანები, რომელთა მმართველობამაც მე-17 საუკუნის დასასრულამდის გასტანა, „მტრულად უცქეროდნენ კახეთში ქართველთა კვლავ მომრავლებას. ... შაპის ეს მოხელეები ლეკებში თავის მოკავშირეებს ხედავდნენ. ისინი აშკარად უწყობდნენ ხელს ლეკთა მოსახლეობის გაძლიერებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში – ჭარში (ნ. ბერძენიშვილი, „კახეთი მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში“. იხ. საქართველოს ისტორია, 1, 1946, გვ. 369, იქვე, გვ. 14).

ვახუშტი წერს, რომ კახეთის ყიზილბაშმა ბეჟან ხანმა „მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა არათუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობით“, კახეთის ეს ხანები მზაკვრული ხერხებით აქეზებდნენ ლეკებს, მაგალითად, თუკი კახელი მოკლავდა ლეკს, ან თათარს, მას ხანი შერისხავდა, მოკლავდა ან გადაახდევინებდა, ხოლო თუ კი ლეკი ან თათარი კახელს მოკლავდა, მას არავითარ პასუხს არ აგებინებდნენ. მოტივი ასეთი ჰქონდათ: „არა ჯერ არს გიაურისაგან მუსლიმანის სიკვდილი“, ხოლო მუსულმანს ქრისტიანის მოკვლის არა თუ უფლება, არამედ ვალდებულებაც ჰქონდა. „ესრეთ ჯერ არს“ და იყო ამით ჭირი დიდი“ (იქვე, გვ. 14).

კახეთის სპარსელი ხანების აქტიური მხარდაჭერით დაღესტნელი ლეკები მრავლად ჩამოსახლდნენ კაკ-ენისელში და კახელებს აღარ ემორჩილებოდნენ. მალე ვითარება სრულიად შეიცვალა. აქამდე თუკი კახელებს ლეკები ემორჩილებოდნენ, ამის შემდეგ ლეკებმა შეძლეს კახელების დამორჩილება და უფრო მეტიც, ლეკებმა კახელები ყმებად გაიხადეს: „სპარსელი ხანების ასეთი პოლიტიკის წყალობით, კაკ-ენისელის მთის ძირებში ჩამოსახლებული ავარელი და წახურელი ლეკები უფრო განმტკიცდნენ და გაძლიერდნენ. მალე აღაზნისპირა დაბლობებში მდებარე სოფლებიც დაიპყრეს. აქაური მკვიდრი ქართული მოსახლეობა ყმებად გაიხადეს. მე-18 საუკუნის I მეოთხედში აღმოსავლეთ კახეთში საბოლოოდ ყალიბდება ავარელ და წახურელ ლეკთა „უბატონო თემები“, რომელთაც კახეთის სამეფოს საქმაოდ დიდი ნაწილი თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს და დაიმორჩილეს“ (იქვე, გვ. 15).

XVIII საუკუნეში ჭარ-ბელაქანი ელისუს სასულთნოსთან ერთად ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. ირანი და ოსმალეთი მათთან კავშირში იყვნენ. 1727 წელს „თურქეთის

მთავრობა ჭარელებს მათ მიერ კახეთის სამეფოსაგან მიტაცებული მიწების კანონიერ მფლობელად აღიარებდა“ (იქვე, გვ. 40). მალე ოსმალთა მიერ გაძლიერებული ჭარი სპარსეთი-სათვის მიუღებელი გახდა. „1734 წლიდან ამიერკავკასიაში გაბატონებული ირანი ყოველნაირად ცდილობდა ჭარელების დამორჩილებას, 1735-1738 წლებში სპარსელთა და ჭარელთა ურთიერთშებრძოლები ფაქტიურად ჭარელების დაუმარცხებლობით დამთავრდა. „XVIII საუკუნის II ნახევარში ჭარ-ბელაქანი, მის მოკავშირე სხვა თავისუფალ თემებთან ერთ-ად, წარმოადგენდა ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ წარმონაქმნის მთელს ამიერკავკასიაში“ (იქვე, გვ. 44).

ერეკლე II და მისი მამა თეიმურაზ II თუმცა მრავალ გეგმას სახავდნენ ჭარ-ბელაქნელთა დამორჩილების მიზნით, მაგრამ ვერ-აფერს მიაღწიეს. მათთვის „ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტის მზოლოდ ერთი გამოსავალი არსებოდა: მისი დაპყრობა, ქართველობის აღდგენა და მისი კვლავ შემოერთება“ (გვ. 44).

აქედან ჩანს, რომ თვით რუსი ისტორიკოსებისთვის და პოლიტიკოსებისთვისაც ცნობილი იყო, რომ ალაზნის გაღმა მდებარე ჭარ-ბელაქნის სახელით ცნობილი მიწები ისტორიული კახეთის მიწა-წყალი იყო და კახეთის სამეფოს კუთვნილებას

შეადგენდა. მას ქართველი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები „კახეთის მამულებს“ უწოდებდნენ (ე.ი. ჭარ-ბელაქანს). თუკი რუსები ინებებდნენ, რომ „კახეთის მამულები“ მკვიდრ მფლობელს დაბრუნებოდა, გარკვეულ საზღაურსაც მიიღებდნენ, „თუ კახეთის მამულები, რომელიც წართმეული აქვს“... (გვ. 51).

სამწუხაროდ, „კახეთის მამულები“ გვლავ ახალჩამოსახლებულ ლეგებს დარჩათ. რუსეთის ხელისუფლებამ არ ინება, თუ ვერ შესძლო ახლად გამაჰმადიანებული ქართველების მასიურად გაქრისტიანებაც კი, ხოლო უკვე ეროვნებადაკარგული, ანუ „გალეკებული“ ქართველების შესახებ საკითხიც კი არ დასმულა. თუმცა, ხელისუფლება აღიარებდა იმას, რომ რომ ჭარ-ბელაქნის „...მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ფარულად ქრისტიანულ სარწმუნოებას მისდევს და ყოველთვის იჩენდა რუსეთისადმი მიდრეკილებას“ (იქვე, გვ. 138).

06გილო. ანუ კახელი გლობი

წინა თავებში აღწერილი იყო, თუ აღმოსავლეთ კახეთის, ანუ ალაზანსგაღმა მდებარე ქართული მიწების დიდ ნაწილს როგორ „აძლევდნენ“ სპარსეთისა და ოსმალეთის ხელისუფლები ლეკურ (დაღესტნურ) ტომებს. აღსანიშნავია, რომ ლეკთა აზრით, სპარსი შაპები თუ ოსმალო ხონთქრები ქმნიდნენ შესაბამის სახელმწიფოებრივ დოკუმენტებს, რომელთა ძალითაც ლეკურ ხელისუფლებს აღმოსავლეთ კახეთის მიწები გადაეცემოდა. ამიტომაც, ლეკებს „სამართლებრივი“ უფლება მიეცათ, რათა ისინი დაპატრონებოდნენ ქართულ მიწა-წყალს. ეს საბუთები მათ კარგად გამოიყენეს. კერძოდ, ამ საბუთების ძალით აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ კახეთში მოსახლე ქართველი თავადები თუ

გლეხების სხვის მიწა-წყალზე იმყოფებოდნენ. ამიტომაც, თუ მათ იქ ცხოვრება უნდოდათ, შესაბამისი ურთიერთობა უნდა დაემყარებინათ ლეკურ თემებთან, ანუ მიწათმფლობელებთან. თ. პაპუაშვილი წერს, რომ ჭარ-ბელაქანში „...იურიდიულად მთელი მიწების მესაკუთრედ ითვლებოდა ავარელ ლეკთა თავისუფალი თემი“ („ჭარ-ბელაქანი“, 1972, გვ. 64). ელისუს სასულთნოშიც ასევე მიწა-წყალი სულთანს ან ბეგებს (ლეკებს) ეკუთვნოდათ (იქვე, გვ. 73). შემდგომში ამ მიწის მფლობელებს, ანუ „აღალარებს“ რუსული ხელისუფლება „პომეშჩიკებად“ თვლიდა (გვ. 79). აღმოსავლეთ კახეთში ლეკთა მფლობელობის დამყარების დროს არა ინდივიდუები ფლობდნენ მიწა-წყალს, არამედ ლეკთა ჯგუფები, ე.წ. „თავისუფალი თემები“.

„ჭარ-ბელაქანის ლეკთა ე.წ. მფლობელი თემები დამორჩილებული და დაპყრობილი კახელი გლეხის, ინგილოს მიმართ თავდაპირველად „ჯგუფური, ანუ კოლექტიური სენიორის“ როლს ასრულებდნენ.

კახელი ფეოდალების ადგილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეკთა ჯამაათებმა დაიჭირეს. „...ისინი აშკარა ფეოდალური უფლებებით სარგებლობდნენ ინგილოების მიმართ“ (იქვე, გვ. 57).

აღმოჩნდა, რომ თითქმის XVII საუკუნის დასაწყისიდან ქართველებმა, ანუ კახელმა თავად-აზნაურებმა ყოველგვარი უფლება დაკარგეს თავიანთ მამულებზე, ანუ თავიანთ უძრავ ქონებაზე. ამ ქონების მეპატრონე ახლა ლეკური თემი იყო. ამიტომაც, თუკი კახელ თავადს თავის ქონებაზე უფლების დაპარნება სურდა, ის ლეკურ თემში უნდა შესულიყო, ანუ გალეკებულიყო. ეს გარკვეულწილად, მართლაც, ასე მოხდა. მრავალი ქართველი გალეკდა. გალეკება გლეხისათვისაც სასარგებლო იყო – ის ამით მიწის მფლობელი ხდებოდა. მაგრამ, ჩანს, გარკვეული შეზღუდვებიც არსებობდა. თუმცა უნდა ვითი-

ქროთ, რომ გლეხების ძირითად მასას არ სურდა თავისი სარწმუნოების – ქრისტიანობის დათმობა. ლეკებმა ისინი დატოვეს თავიანთ მიწა-წყალზე. ლეკური თემი მიწას დასამუშავებლად აძლევდა ქართველ გლეხს, სამაგიეროდ გლეხს მისთვის გადასახადი უნდა ეხადა. შემდგომ თანდათან ამ გლეხების დიდმა ნაწილმა მაპმადიანობა მიიღო. ამ ახლად გამაპმადიანებულებს ინგილოები („ხლადმოქცეულები“) უწოდეს, მაგრამ გამაპმადიანება არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ლეკურ თემებში მიეღოთ. ინგილოებსა და ლეკებს შორის კვლავ ძველებური ურთიერთობა გაგრძელდა. ერთი მიწათმფლობელი იყო, მეორე – მიწის დამმუშავებელი. ინგილო ვალდებული იყო, ლეკისათვის გადასახადი ეძლია მიწის დამუშავების საფასურად. როგორც აღინიშნა, გამაპმადიანებულ კახელ გლეხს ინგილო ეწოდა. მათ გვერდით არსებობდნენ კვლავ ქრისტიანი კახელი გლეხებიც, შემდგომ მათაც ინგილო უწოდეს იმისათვის, რათა ეს ერთი ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობა სხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხისაგან, მუღალებისაგან, განესხვავებინათ.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ კახეთში მაღალი ფენის (თავადაზნაურობის) გარდა (რომელთა ერთი ნაწილი გაწყდა, ან სხვაგან გადასახლდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი გალეკდა), არსებობდა საშუალო ფენაც – ვაჭარ-ხელოსნები. სწორედ ამ დროს, XVII-XVIII საუკუნეებში, მთელ საქართველოში ამ საშუალო ფენამ მიიღო ძირითადად გრიგორიანული სარწმუნოება, ანუ „გასომხდა“. ამ მხრივ, არც საინგილო იყო გამონაკლისი. ხოლო ქრისტიანულ სამღვდელოებას ნება არ ჰქონდა მაპმადიანურ საინგილოში ყოფნისა, თუმცა ისინი უთუოდ ფარულად არსებობდნენ და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. როგორც ითქვა, დაბალი ფენის ძირითადმა ნაწილმა მაპმადიანური სარწმუნოება მიიღო და ინგილოდ იწოდა. მათ დიდ ნაწილს

ამჟამად პასპორტში ეროვნებად „აზერბაიჯანელი“ უწერია. სპ-არს-ოსმალთა და სხვა ძალთა ნებით აღმოსავლეთ კახეთში ქართველები იქცნენ ლეკებად, სომხებად და აზერბაიჯანელებად (ქართველ თავად-აზნაურთა გალეკების შესახებ იხ. იქვე, გვ. 59-63. ჭარ-ბელაქანში «**თავადთავად თავადთავად თავადთავად თავადთავად თავადთავად**» (ვ. ივანენკო, გვ. 59). „ირკვევა, რომ ლეკი აღალარის როლში ხშირად ქართველი თავადი გამოდის“ (გვ. 60).

„...ლეკებმა დაიპყრეს რა აღმოსავლეთი კახეთი და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა – ინგილოები დახარკეს, მათ ინგილოების მიერ დაკავებულ მიწებს საქეშქელო მიწები, ხოლო ხარჯს, რომელსაც ინგილოები ლეკების სასარგებლოდ იხდიდნენ, ასევე საქეშქელო გადასახადი უწოდეს“ (იქვე, გვ. 63).

აღსანიშნავია, რომ ინგილო სოციალური თვალსაზრისით, გაცილებით უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე საქართველოს ქრისტიანულ ნაწილში მცხოვრები ყმა-გლეხი. „ზაქათალის კომისიის“ დასკვნით, ლეკების უფლება ინგილოებით დასახლებულ საქეშქელო მიწებზე იმაში მდგომარეობდა, რომ ამ მიწებიდან მხოლოდ გადასახადები აეღოთ. საქეშქელო მიწა ინგილო გლეხის სრულ განკარგულებაში იყო. ლეკი აღალარები ინგილო გლეხის შინაურ ცხოვრებაში არ ერეოდნენ, ისინი მისგან მხოლოდ საქეშქელო გადასახადებს და ვალდებულების შესრულებას მოითხოვდნენ“ (იქვე, გვ. 65).

„თავდაპირველად, ამ სოფლებში მფლობელობის დამყარებისას, პირველ ხანებში, საქეშქელო გადასახადები არ იყო დიდი“ (გვ. 75). ინგილოებს ლეკებისაგან მიწის შესყიდვაც შეეძლოთ, რის შემდეგაც გადასახადებს აღარ იხდიდნენ, ასე მოქცეულან სოფელ სუსკენტის ინგილოები (გვ. 83). ამიტომაც, ძველ ისტორიკოსთა ერთ ნაწილს „...ისინი წარმოდგენილი ჰყავდათ,

როგორც პირადად თავისუფალნი“ (გვ. 90). სინამდვილეში კი, თურმე „ისინი აღალარების უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ“ (გვ. 90). მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ინგილოები ქრისტიანულ საქართველოში მცხოვრებ გლეხებზე უფრო თავისუფალნი იყვნენ. ჩანს, ეს იყო კიდეც სტიმული იმისა, რომ აღაზანს გაღმა – ჭარ-ბელაქანში შეინიშნებოდა ლტოლვა ქართველთა ერთი ნაწილისა ჭარისაკენ. ლტოლვილებს „ორგული ქართველობა“ შეარქვეს. „ჭარი საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა, აგრეთვე, „ორგულთა ქართველთათვის“. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები პეტერბურგს ატყობინებდნენ, რომ ჭარი „...შემწყნარებლობს ორგულთა ქართველთა, სამართლით სასიკვდილოდ დასასჯელად და სხვათაცა“ (იქვე, გვ. 93). ამ „სხვათა“ რიცხვი დიდი რომ არ ყოფილიყო, ამას არც აღნიშნავდნენ.

როგორც აღინიშნა, როგორც „ლეკთა“ დიდი ნაწილი, ისე გლეხთა ერთი ნაწილი ქართული იყო, ყოფილი კახეთის სამეფოს მოქალაქენი, ოდესაც ათასწლოვანი ქართული კულტურის მემკვიდრენი. ამიტომაც, ქართული ფეოდალური ურთიერთობის მრავალი ფორმა იყო შემორჩენილი აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში), როგორც ეს თ. პაპუაშვილმა გამოარკვია (იხ. გვ. 67 და სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ კახელი გლეხები (ინგილო) სოციალური თვალსაზრისით თითქოსდა შედარებით თავისუფლები იყვნენ, მაინც ლეკების მიერ ისინი გაცილებით უფრო იჩაგრებოდნენ, ვიდრე მათ გვერდით მცხოვრები მუღალები. „შემჩნეულია, რომ ინგილო გლეხების განკარგულებაში მყოფი საქეშქელო მიწის ნაკვეთის საშუალო სიდიდე საგრძნობლად ნაკლები იყო მუღალის ქეშქელზე“ (გვ. 68).

„აღსანიშნავია, რომ ინგილოების საქეშქელო გადასახადი 3-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე სოფელ კახში მცხოვრებ მუღალებისა“ (გვ. 81).

როთ უნდა ყოფილიყო გამოწვეული მუღალებისათვის მეტი უპირატესობის მინიჭება? ცხადია, იმით, რომ ინგილო თავის მიწა-წყალზე იჯდა და ლეკებს მისი ეშინოდათ. გარდა ამისა, მუღალები ჩამოსახლებისთანავე უკვე ძველი მაჰმადიანები იყვნენ, ხოლო ლეკთა მფლობელობის დაარსებისას ყველა ინგილო, ანუ კახელი გლეხი ქრისტიანი იყო. ქრისტიანები დაჩაგრეს, ხოლო მუღალებს პრივილეგია მისცეს.

ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ქრისტიანები, ანუ ზოგადად ინგილოები, ცხოვრობდნენ შემდეგ სოფლებში:

ალიაბადში – ქართველი მაჰმადიანები (იხ. იქვე, გვ. 74),

თასმალოში – ქართველი მაჰმადიანები,

ზაგამში – ქართველი მაჰმადიანები,

ჰენგიანში – ქართველი მაჰმადიანებიდა არა „თათრები“ (იხ. გვ. 74),

ვერხიანში – ქართველი მაჰმადიანები,

მოსულში – ქართველი მაჰმადიანები,

ყანდახში – ქართველი მაჰმადიანები (იქვე, გვ. 78),

ყაპანახში – ქართველი მაჰმადიანები,

მარსანში – ქართველი მაჰმადიანები (იქვე, გვ. 80),

ლალაფაშაში – ქართველი მაჰმადიანები,

კახში – ქართველი ქრისტიანები (იქვე, გვ. 81),

ალიბეგლოში – ქართველი ქრისტიანები,

მეშაბაშში – ქართველი ქრისტიანები,

სუსკუნტში – ქართველი მაჰმადიანები,

ყორადანში – ქართველი ქრისტიანები და ქართველი მაჰმადიანები,

ბეუქ-ქეთუქლოში – ქართველი ქრისტიანები (იქვე, გვ. 81).

აქ აკლია ზოგიერთი სოფელი, მაგალითად, ქეთექლო, ითი-თალა, შოთავარი და სხვ.

მართალია, აღმოსავლეთ კახეთში მრავლად ცხოვრობდა ქა-რთველი მაპმადიანი, მაგრამ XIX საუკუნის I ნახევრისათვის ისინი „ფარული ქრისტიანები“ ყოფილან. რუსეთის ხელისუფლება ძლიერ იყო დაინტერესებული ამ პროვინციით. ისწრაფობდა მისი დაპყრობისათვის, ამიტომაც საგანგებოდ სწავლობდა მას თავისი საუკეთესო მოხელეების საშუალებით. პოლკოვნიკი კოცუბუ წერს – „სოფელნი, რომელნიც ხარჯს უხდიან ჭარელებს, მდებარეობენ ალაზნის დაბლობში. მათი დაპყრობა ყოველთვის ადვილად შეიძლება, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ფარულად ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს და ყოველთვის იჩენდა რუსებისადმი მიდრეკილებას“ (იქვე, გვ. 138).

ქართველ მაპმადიანთა სიჭარბე იმანაც გამოიწვია, რომ თვით რუსთა მიერ საინგილოს დაკავების შემდეგაც ქართველთა იძულებითი გამაპმადიანება კვლავ გრძელდებოდა – „მუსულმანური გარემოცვის წყალობით მაშინდელს პირობებში ინგილოები სისტემატურ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ, ფანატიკური მუსულმანური მოსახლეობისაგან და კვლავ გრძელდებოდა მათი გამაპმადიანების პროცესი“ (იქვე, გვ. 151).

რუსთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საინგილო კვლავ მოწყვეტილი აღმოჩნდა საქართველოსაგან, ამიტომაც ფანატიკოსი მუსულმანების შიშით ქართველები ოფიციალურად კვლავ ვერ ბედავდნენ ქრისტიანობის აღიარებას (გვ. 159).

გარკვეული ძვრები 1850 წლიდან დაიწყო. ამ წელს საინგილოდან (კახიდან) თბილისში 8 ინგილო ჩავიდა და მონათვლა მოითხოვა. ისინი სიონში მონათლეს. „ამის შემდეგ ქრისტიანობის გავრცელებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში – ყოფილი ელისუს სასულთნოში“ (გვ. 160).

მაგრამ არც მუსულმანებს ეძინათ. პირიქით, 1863 წელს ზაქ-ათალა აჯანყდა: „ამ აჯანყების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ზაქათალის ოლქში მცხოვრები მუსულმანური მოსახლეობის პროტესტი ინგილოთა შორის ქრისტიანობის გავრცელების წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 163). ამ აჯანყების შემდეგ, „1863 წელს ადგილი ჰქონდა ქრისტიანი ინგილოების იმულებით ისევ მაკმადიანურ სარწმუნოებაში დაბრუნებას“ (გვ. 163).

სწორედ ამ დფომარეობის გამო დღეისათვის ქართველი მაჲ მადიანების რიცხვი სჭარბობს ქრისტიანებისას.

რუსმა ხელისუფლებამ უკან დაიხია და არ დაეხმარა ქართველებს, აღედგინათ ქრისტიანობა. მოერიდნენ მაჲ მადიანების აჯანყებას. უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის I ნახევარში ყველა ქართველი მაკმადიანი ფარული ქრისტიანი იყო. ამიტომ რუსეთის ხელისუფლებას ადვილად შეეძლო ყველას გაქრისტიანება შესაბამისი ხერხებით, მაგრამ იგი პომპეზურბიუროკრატიულად მიუდგა ამ საკითხს. ზემოაღნიშნული 8 ინგილო თვით მთავარმართებელმა და უმაღლესმა არისტოკრატიამ მონათლა. ინგილოთა მონათვლას ბიუროკრატებმა მისცეს რაღაც უზარმაზარი ზარ-ზეიმის ხასიათი. მოჩვენებითი ყურადღებით ფაქტიურად ჩაშალეს ინგილოთა გაქრისტიანების საქმე, რადგანაც ამან მიიპყრო მაკმადიანების ყურადღება და დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველთა შორის ქრისტიანობის აღდგენას. მართალია, ჩინოვნიკებმა იმპერატორისაგან მიიღეს ჩინ-მედლები და საჩუქრები, მაგრამ ფაქტიურად საინგილოში ქრისტიანობა არ აღსდგა, თუმცა კი, იმ დროისათვის ყველა ინგილო მოწადინებული იყო, თავისი ფარული სარწმუნოება აღედგინა.

აღსანიშნავია, რომ საინგილოში მოლებს დიდი სოციალური შეღავათები ჰქონდათ. ისინი გადასახადებს არ იხდიდნენ.

რუსმა ხელისუფლებმა კარგად იცოდნენ, რომ საინგილო ქართულ მიწა-წყალს წარმოადგენდა, დაპყრობილს ლეკთა მიერ. მოსალოდნელი იყო, რომ ეს ხელისუფლება აღადგენდა ისტორიულ სამართლიანობას და ლეკ მიწათმფლობელებს უკანონოდ წარომეულ მიწებს ჩამოართმევდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჯერ კიდევ 1803 წელს „მთავარმართებელი ჭარ-ბელაქნელ ლეკებს პირდებოდა, რომ იგი ალიაბადის ქართულ სოფლებს, რომელიც გარკვეული დროიდან ლეკთა მფლობელობაში იყო, ხელშეუხებლად დატოვებდა“ (იქვე, გვ. 108). ეს, მართლაც, ასე მოხდა არა მარტო ალიაბადის მიმართ, არამედ სხვა სოფლების მიმართაც.

„....ცარიზმი სრულიად ხელშეუხებლად და უცვლელად ტოვებს ჭარ-ბელაქანში მანამდე არსებულ ინგილო გლეხების საქეშქელო გალდებულებას ჭარელი აღალარების მიმართ“ (იქვე, გვ. 154).

„....რუსეთის ცარიზმმა (გამოდიოდა რა რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან) ოფიციალურად ცნო ჭარ-ბელაქნელი ლეკი აღალარების მემამულეობა და ისინი მათ მიერ უსამართლოდ მიტაცებული კახეთის სამეფოს ყოფილი მიწა-წყლისა და ამ მიწა-წყალზე მცხოვრები მკვიდრი ქართველ-ინგილო გლეხების კანონიერ მფლობელად აღიარა“ (იქვე, გვ. 167).

თვით კახელები (ინგილოები) კი სხვას ითხოვდნენ ხელისუფლებისაგან. ისინი ითხოვდნენ ქართული მიწა-წყლის ლეკთაგან განთავისუფლებას. ამიტომაც რუს ხელისუფლებს წერდნენ: „ლეკებმა ჩვენი მიწა-წყალი და ჩვენი წინაპრები მხოლოდ იარაღის ძალით დაიმორჩილეს. მათ თავიანთი უფლებების დასამტკიცებლად არავითარი ფაქტიური საბუთი არ მოეპოვებათ. ამის გამო ლეკებს არავითარი უფლება არა აქვთ,

მუდმივად ფლობდნენ ჩვენს მიწებს და გვაიძულებდნენ მათ სასარგებლოდ ვიხადოთ გადასახადები“ (იქვე, გვ. 165).

ქართველებს არა თუ მიწა-წყალი დაუბრუნეს, არამედ ქრისტიანობაც კი ვერ აღუდგინეს. თუმცა კი, კარგად უწყოდნენ საქმის ნამდვილი ვითარება. მაგალითად, 1806 წელს მთავარმართებელს წერენ: „ამ სოფლებში მცხოვრები გლეხები, რომლებიც ჭარელ ლეკებს ძალმომრეობით მიუთვისებიათ, არიან ამ მხარეში, ლეკთა მფლობელობის დამყარებისას თავიანთ მამაკაპეულ მიწა-წყალზე დარჩენილი ქართველები...“ (გვ. 119). 1830 წელს იმპერატორი ნიკოლოზ I ამტკიცებს წესებს, რომლებშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ჭარის პროვინცია დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით განიყოფა ორ კლასად: გაბატონებულ მფლობელებად, რომელიც უმთავრესად ლეკებისაგან შედგებიან, და მათ მიერ დამორჩილებულ ქართველებად, რომელთათვისაც ლეკებს იძულებით მაპმადიანური სარწმუნოება მიუღებინებიათ“ (იქვე, გვ. 153).

მართალია, 1840 წელს „ჭარ-ბელაქნის ოლქი, ბელაქნის მაზრის სახელწოდებით, საქართველო-იმერეთის გუბერნიას მიეკუთვნა“ (გვ. 147), რომელიც ბელაქნის, ელისენისა და ელისუს უბნებად იყოფოდა, მაგრამ 1842 წელს ის ამ გუბერნიისაგან გამოყვეს – უწოდეს ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი. ფაქტიურად, აღმოსავლელი კახელი გლეხების (ინგილოების) მდგომარეობა უცვლელი დარჩა. მათი დენაციონალიზაცია XIX საუკუნეშიც გაგრძელდა, თუმცა ერთმა ნაწილმა გმირული თავდადებით ეროვნება შეინარჩუნა.

ქართველთა გალეკების სახე.

გალეკებულსა გვარები

„საქართველო – უმწეო მსხვერპლი
თავისი მძვინვარე მტრებისა“
ს. ბრონევსკი

საქართველოს მტრებმა (ლეკებმა) შესძლეს აღმოსავლეთ კახეთის დაპყრობა. ზოგჯერ ისინი მთლიან კახეთსაც კი იპყრობდნენ, ანდა თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ ამყოფებდნენ, მაგრამ ლეკებმა საფუძვლიანად მხოლოდ აღმოსავლეთ კახეთის დაპყრობა შესძლეს.

ისმის კითხვა, რა ბედი ეწია აღმოსავლეთ კახეთის ქართველობას, ანუ კახელების იმ ნაწილს, რომელიც ლეკოა მორჩილების ქვეშ აღმოჩნდა? ამ კითხვის პასუხს სხვადასხვა მიზეზების გამო იძიებდა რუსული აღმინისტრაცია XIX საუკუნეშივე და ამიტომ ამ საკითხით დაინტერესებულ რუსულ ისტორიოგრაფიას თავისი პასუხი გააჩნდა. აი, რას წერს ვ. ივანენკო: « მამამამამამა მამამამა დ მამამა მამამა მამამამამამა მამამა მამა მამამამამამა დ მამამა მამამა მამამამამამა » (დ. მამამამა, « მამამამამა მამამა მამამამა მამამამა » და. მამამამამა მამამამა მამამამამა და მამამა, მამამა მამამამა მამამამა დ მამა მამამა მამამამამამამა » (დ. XII, მამამა, 1907, ფფ. 273-274. წიგნიდან თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, გვ. 18-19).

ე.ი. რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური დოკუმენტის აზრით, ლეკოაგან დამორჩილებული ქართველები (კახელები) თითქმის მთლიანად გალეკდნენ. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არა მთლიანად დამორჩილებული მოსახლეობა გალეკდა,

არამედ „თითქმის მთლიანად გალეკდა“, ეს იმას ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ კახეთში არსებობდა ქართველი მოსახლეობის „გაულეკებელი“ ნაწილი. ჩანს, ქართველთა „გაულეკებელ“ ნაწილში რუსეთის ხელისუფლება გულისხმობდა ინგილოებს. მაშასადამე, აღმოსავლეთ კახეთის, ანუ ჭარ-ბელაქნის ქართული წარმოშობის მოსახლეობა იყოფოდა ორ მთავარ ნაწილად: ესენი იყვნენ ლეკები, ანუ უფრო სწორად, „გალეკებული ქართველები“ და ინგილოები (ცხადია, „გალეკებულთა“ გვერდით არსებობდნენ ეთნიკური წარმოშობით, „ნაძღვილი ლეკები“).

აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა შესძლო ქართველობის შენარჩუნება. მათ ინგილოებს უწოდებდნენ. ინგილოები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ერთნი იყვნენ ახლადგამაჲ მადიანებული ქართველები (ძირითადად XVII ს-ში გამაჲმადი-ანდნენ), მეორენი იყვნენ ქრისტიანი ქართველები. ქრისტიანი ქართველების რიცხვი გაცილებით მცირე იყო მაპმადიან ქართველებთან (ინგილოებთან) შედარებით, მაგრამ კიდევ უფრო მცირე იყო გალეკებულებთან (ყოფილ ქართველებთან) შედარებით. ლეკებიც, თავის მხრივ, ეთნოჯგუფებად იყოფოდნენ. გალეკებული ქართველები შეერწყნენ როგორც ჭარელებს (უმე-ტესი ნაწილი), ისე წახურელებს. ქართველების გალეკების სანდო წყაროების გარდა (რომელთაც ქვემოთ ვაჩვენებთ), არსებობს გალეკების პროცესისადმი ხალხური დაკვირვება. ხალხი წლების თუ გარკვეული ისტორიული ეპოქის მანძილზე აკვირდებოდა და იმახსოვრებდა ქართველთა გალეკების პროცესს. მაგალითად, 1872 წლის 4 ივლისს ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიას (ეს კომისია შექმნილი იყო რუსული ადმინისტრაციის მიერ და ძალზე სერიოზულად უდგებოდა დაკისრებულ მოვალეობას) ჩაუწერია ზეპირი გადმოცემა: „უძველეს დროში, დღევანდელი ელისეს სასულთნოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი ძლიერი სოფელი – წახური და კახი, რომელიც დასახლებული

იყო ქართველებით. ეს უკანასკნელები მაშინ ქრისტიანები იყვნენ...“ (თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22).

აქედან ჩანს, რომ სოფელი წახური ერთ დროს ქართველი ქრისტიანებით იყო დასახლებული, შემდეგ ისინი გამაპმადიან-დნენ და გალეკდნენ. წახურელები, როგორც ზემოთ ითქვა, ლეკური მოსახლეობის ერთ-ერთი ეთნოჯგუფია, საკმაოდ მნიშვნელოვანი და გავლენიანი ჭარბელაქანში.

მეცნიერი წერს - „ლეკთა მხარეზე გლეხები მთელი სოფლებით გადადიოდნენ. ასე მაგალითად, ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მიერ შეკრებილი ცნობებით ირკვევა, რომ სოფელი ბაიდარლო ნებაყოფლობით გადასულა წახურელი ლეკების მხარეზე. სოფელ ჩომანქოლის მცხოვრებნიც თავისი ნებით შევიდნენ ლეკების მფარველობის ქვეშ“ (იქვე, გვ. 16). ამ სოფლების გლეხები ქართველები იყვნენ, რომლებიც შემდეგ გალეკებულან.

რატომ გადადიოდნენ გლეხები ლეკების მხარეს? (ცხადია, ეს საკითხი სიმწვავეს დაპკარგავდა, ლეკების მხარეს გადასულ ქართველებს ეროვნებაც რომ არ დაეკარგათ და არ გალეკებულიყვნენ. მათ გალეკებას აჩქარებდა გამაპმადიანება). პასუხი ასეთია: გარდა პოლიტიკურისა, არსებობდა ქართველთა გალეკების სოციალური მიზეზები:

„...რაც შეეხება გლეხობას, ისინი ლეკებში თავიანთ კლასობრივ მოძმეს ხდავდნენ. ლეკების მხარეზე გადასვლით მათ იმედი ეძლეოდათ, რომ ბატონებმობის მძიმე უღელს თავს დააღწევდნენ და მდგომარეობას გაიუმჯობესებდნენ“ (იქვე, გვ. 16). მაშასადამე, ქართველი თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იძულებული იყო ქართველობაზე უარი ეთქვა და სხვა ერში ასიმილირებულიყო. კახელი გლეხებისათვის (გლეხობა კი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იყო) გალეკება უბედურება და საშინელება კი არ ყოფილა, არამედ მისაღები და

სასურველიც კი (ცხადია, იგულისხმება გარკვეული ისტორიული ეპოქა, განსაკუთრებით, XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნის პირველი ნახევარი. „კახელი გლეხები „ლეკობაში“ უბატონობას ხედავდნენ (ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, 1944, გვ. 188) და „ლეკებიც“ თავის მხრივ, „ხერხიანად სარგებლობდნენ ბატონიშვილი ძარცვის ნიადაგზე გამწვავებული კლასობრივი ურთიერთობით. „ემოციქულებოდნენ გლეხებს, კავშირსა და მშვიდობას აღუთქვამდნენ მათ და თავადების წინააღმდეგ მოუწოდებდნენ“ (ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 188). პირველ ხანებში, მართლაც, ლეკთა მიერ დაპყრობილი კახელი გლეხების ვალდებულებანი და გადასახადები არ იყო მძიმე. ლეკთა მხარეზე გლეხები მთელი სოფლებით გადადიოდნენ... XVIII საუკუნის დასაწყისში, მართალია, უკვე სავსებით ნათლად იყო გამომჟღავნებული, რომ ლეკთა „უბატონო თემებს“ კახელი გლეხებისათვის უბატონობა აღარ მოჰქონდა, მაგრამ XVIII საუკუნის I მეოთხედის დასასრულამდის, დავით იმამ ყული-ხანისა (1703-1722 წწ.) და კონსტანტინე მამად ყული ხანის (1722-1733 წწ.) დროს, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი კახელი გლეხის ლეკისადმი წინანდელი დამოკიდებულების ზოგიერთი ნიშანი. ასე მაგალითად, ხშირად ჰქონდა ისეთ შემთხვევებს ადგილი, როდესაც საკუთარი მებატონეების უსაზღვრო ექსპლუატაციით წელში გაწყვეტილი კახელი გლეხები იძულებული გამხდარან, ლეკებთან მისულიყვნენ და მათი დახმარებით თავიანთი მებატონის მამული აეწიოკებინათ. ვახუშტი მოგვითხრობს, რომ „ამ უამთა (დავით იმამყული-ხანის დროს, თ.პ.) იწყეს გლეხთა მძლავრებისათვის ლეკთა ლტოლვად და მისვლად ლეკთა-თანა, რამეთუ იკლიან რაიმე მებატონეთა თვისთა-გან და მუნ მისრულნი ეტიკობდნენ და დაესხმიან დაბნებთა, არვე-მროწლეთა, კაცნი მოსრიან, ტყვენი

თ. პაპუაშვილი არ ეთანხმება დ. ბაქრაძეს ქართველთა გალეკების მიზეზების გადმოცემისას. თ. პაპუაშვილის აზრით, ქართველთა გალეკებას მიზეზად ედო შექმნილი სოციალური მდგომარეობა. ბაქრაძის აზრით, ქართველთა გალეკების მიზე-ზია სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის დაკარგვა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა თვით ფაქტი - ქართველები გალეკლნენ, ხოლო რა ედო მიზეზად ამ ფაქტს, ეს სხვა საქმეა.

ჩვენი აზრით, არც ერთი ახსნა ქართველთა გალეკებისა დამაჯერებელი არაა. მიზეზი იყო საქართველოს სახელმწიფოს დაშლის გამო გამოწვეული ქართველი ხალხის დენაციონალიზაცია. სხვა ხალხებსაც ძირითადად ასევე დაემართათ ეროვნული სახელმწიფოს დაშლის ან გაუქმების შედეგად. ხშირად ეროვნული სახელმწიფოს გაუქმებას ერის დენაციონალიზაცია, სხვა ხალხებში გათქვევა მოსდევს. არ შეიძლება ქართველი ხალხი გამონაკლისი ყოფილიყო (თუმცა უნდა ითქვას, რომ

ეროვნული თვითშეგნებისა და თვითშემეცნების არსებობისას ზოგიერთი ერი ახერხებდა, სხვა ერებში არ გათქვეფილიყო, ძირითადად ქართველმა ერმაც შესძლო თავისი ეროვნების დაცვა, მაგრამ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაგვარდა XVII-XVIII სს-ში საქართველოს ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიათა შორის განაწილების დროს. დიახ, ქართველთა ეროვნული თვითშემეცნება ძლიერ შემცირდა ქართველი სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგ. შევადაროთ ერთმანეთს XI საუკუნისა და XVI საუკუნის ეროვნული თვითშეგნება. VIII-XI სს-ში ქართველთა კონსოლიდაცია და ეროვნული მეობის აღზევება აშკარაა, ასევე აშკარაა ეროვნული თვითშემეცნების მკვერო დაცემა XVI საუკუნის შემდეგ. ესაა მიზეზი კახეთში ქართველთა გალეკებისა, ქართლში – გაოსებისა, აფხაზეთში – გააფსუებისა, მთელ საქართველოში – გასომხებისა, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში – გამაჰმადიანებისა („გათურქებისა“ სხვადასხვა ფორმით), საქართველოს ფარგლებს გარეთ (თურქეთში) ქართველთა გაბერმნებისა.

„ლეკთა მიერ კახეთის სამეფოსაგან მოწყვეტილ ჭერიტორიაზე ორი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა: ჭარ-ბელაქნის, ლეკთა „უბატონო თემების“ სამფლობელო და ელისუს სასულთნო. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ასწლოვანი სასტიკი და თავგამოღებული ბრძოლის შემდეგ, საქართველო იძულებული შეიქმნა, თავისი მიწა-წყლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ლეკებისათვის დაეთმო. ეს იყო ფეოდალური საქართველოს მარცხი. მას მოსწყდა უაღრესად დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მხარე“.

„1719-1722 წლებში ჭარელი ლეკების თარეშმა კახეთში სრული არაჩვეულებრივი გაქანება მიიღო. ჩვენამდე მოღწეულია კახეთის მეფის, დავით იმამ-ყული-ზანის მიერ პუსეინ-ყული-ზანისადმი (ვახტანგ VI-სადმი) მიწერილი წერილები, რომლებიც

ნათლად გვისურათებენ ამ დროს კახეთში შექმნილ მდგომარეობას. ამ წერილებიდან ირკვევა, რომ ლეკთა თარეშს მეტად საშიში ხასიათი მიუღია. მთელი კახეთი „გალეკების“ საფრთხის წინაშე დადგა... შეშფოთებული დავით მეფე ვაზტანგს ატყობინებდა, რომ გავაზულებმა და გაღმა მხარის სოფლებმა „პირი მისცეს ლეკებს“ და მათ მხარეზე გადასვლა დაიწყეს... ნაწყვეტი თვით წერილიდან: „... ლეკთ ლაპარაკი დაუწყეს ... ზოგი გლეხი კაცის უჭირუობით ... იმ სოფლებმა პირი მისცეს, მათ ლაშქარში ერეკებიან ... ამდენი ომი და ხმლის ქვეშ ყოფნა, თქვენც მოგეხსენებათ, კაცისაგან არ გაიძლება ... „გლეხ კაცს ამას ემოციქულებიან: ჩვენი პირობა დაიჭირეთ და თქვენც აღარას შეგცოდებოთ. და ამ მოხდომაში ამავ სიტყვით ბევრი ელაპარაკნათ, თქვენც მოგეხსენებათ გლეხს კაცს მოკლე ჭკუა აქვს, რაც თვალით არ ნახავს, მის მეტი არა იციან რა და მერმე მეშველი ჯარი ვერსად ნახეს, მუდმივ ბრძოლისაგან შეწუხებულნი დიალ უიმედოდ გახდნენ და ეჭვის იქით ვარ, რომ რაც გლეხი კაცი დარჩომილა, ესენიც პირს მისცემენ და რახან გლეხი კაცი იმათს პირობას დაიჭერს, ზოგი თავადიც არს, რომ ისინიც მოჰყვებიან და ამაში საქმე უფრო გაძნელდება“ (დ. მეგრელიძე, მასალები XVIII ს-ის ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის. იხ. მასალებისაქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1960, გვ. 164-165. იქვე, გვ. 37).

„მთელი კახეთის „გალეკების“ შიშით შეპყრობილი დავითი ვაზტანგს წერდა, რომ თუ კახეთს ამ ზაფხულს „მაშველი არ მოუვიდა“, მაშინ „ვინც დარჩომილან და ვინც გახიზნულან, ეს-ენიც ლექს პირს მისცემენ და ლეკნი და კახნი ერთ პირს დაიჭერენ...“ (იქვე, გვ. 38). დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ კახეთის ტახტზე მჯდომი კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანის (1722-1733) დროს „ჭარელი ლეკების თარეშმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ჭარელებმა მათ მიერ დაპყობილი კახეთის ტერიტორიის კიდევ

საბედნიეროდ, კახეთი აჯანყდა და ლეკები შიგნით კახეთიდან გააძვევეს, მაგრამ მტერს აღმოსავლეთ კახეთი დარჩა. გამაჲ მადიანებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გალეკება და გამაჲმადიანება ერთმანეთის შემადგენელი კომპონენტები იყო ქართველთა გადაგვარების დროს. „ლეკმა დამპყრობლებმა ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის იძულებით გამაჲ მადიანება დაიწყეს. ეს პროცესი დაიწყო XVII-ის მიწურულში და მთელი XVIII-ის განმავლობაში გრძელდებოდა“ (იქნე; გვ. 18).

კახეთში ერეკლეს გამეფების დროისათვის ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებამ და, რაც მთავარია, ქართული სახელმწიფოს ეროვნულობის აღორძინებამ (იგულისხმება ის, რომ სამეფო ტახტის დასაჭრად სავალდებულო აღარ იყო მეფის მაპმადიანობა, როგორც მანამდე იყო, ქართულ, ეროვნულ-ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის აღდგენა) შესაძლებელი გახადა ლეკიანობის წინააღმდეგ შედარებით წარმატებული ბრძოლა. უფრო მეტიც, ერეკლემ მიზნად დაისახა, ლეკითაგან გაეთავისუფლებინა აღმოსავლეთ კახეთის ჭარ-ბელაქნის მხარე. ბუტკოვის თანახმად, რუსეთს ერეკლე სთხოვდა სამხედრო დახმარებას, რათა მას „წაერთმია ალაზანსგაღმელი

ლეკებისათვის კახეთის ადგილები, რომლებიც მათ აქვთ დაჭერილი“ (იქვე, გვ. 50). ის რუსეთის ხელმწიფეს პირდებოლა, რომ მიართმევდა ყოველწლიურად ფულსა და აბრეშუმს ლეკთაგან განთავისუფლებული „კახეთის მამულებიდან“ (გვ. 51), ე.ი. ჭარბელაქნიდან. ეს ადგილები „... ძველადვე სამეფოისა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილა“ (გვ. 51).

„თეიმურაზისა და ერეკლესათვის ჭარბელაქნის საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდა – მისი დაპყრობა, ქართველობის აღდგენა და მისი კვლავ კახეთისათვის შემოერთება“ (გვ. 44).

როგორც აღინიშნა, ქართველ დიპლომატებს, ანუ ქართულ სამეფო კარსა და სახელმწიფოს ჭარელები ეროვნული წარმოშობით მიაჩნდათ ქართველებად, ოღონდ ეროვნებადაკარგულებად და სარწმუნოება (იგულისხმება ქრისტიანობა) შეცვლილად.

„ჭარელნი ... შთამომავლობით თვისით არიან ძველნი კახეთისაგანნი და ადგილი იგი, რომელთაცა ზედა დაშენებულ არს, აწცა კახეთისაა, გარნა მათ შეურაცხყვეს სჯული ქრისტიანობისა და ემორჩილებიან მახმადის ჰსჯულსა, საშვალ მათსა არს დასახლებულნი ლეკნიცა“ შეკვეთი, შეკვეთი, შეკვეთი 1801 წ., შეკვეთი, შეკვეთი, შეკვეთი..., წ. II, შეკვ. I, შეკვ. 207, (იქვე, გვ. 92).

ქართველი დიპლომატების ნოტიდან ჩანს, რომსაქართველოს უმაღლესი წრეების თვალსაზრისით, სხვა ეთნიკური წარმოშობისანი იყვნენ ჭარელები და სხვა ხალხია ლეკნი. ჭარელები ყოფილი ქრისტიანები და ყოფილი ქართველები არიან, ხოლო ლეკები მათ შორის ცხოვრობდნენ. ჩვენ ვიცით, რომ ჭარელები შემდგომ ყველასათვის „ლეკებს“ წარმოადგენდნენ. ქართულ სახელმწიფოებრივ წრეებს „აუცილებლად მიაჩნდათ ჭარბელაქნის დაპყრობა, აქაური „მაჰმადის ჰსჯულისა შინა

შთაცვივნულ“ მოსახლეობის აყრა, მათი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადასახლება და მათ ნაცვლად ამ ადგილებში ქრისტიანების დასახლება (ე.ი. აქ ქართველობის აღდგენა)“ (იქვე, გვ. 93).

აქედანაც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ჭარელები სასტიკად აწიოკებდნენ კახეთს და მთელ საქართველოს, ქართულ წრეებს მათი ამოწყვეტა ან უცხოეთში მონებად გაყიდვა კი არა აქვთ გადაწყვეტილი (ასე ექცეოდნენ კიდეც ქრისტიანებს ჭარელები), არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასახლება, რათა მათ ქართულ გარემოში გაადვილებოდათ ქართველობის აღდგენა. ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ კახეთის („ინგილო“) მოსახლეობას, მათ ერეკლე არც კი მოიხსენიებს გეგმაში, რადგ-ანაც ინგილოებს ეროვნება, ანუ ქართველობა დაკარგული არ ჰქონდათ. ისინი თავიანთ სამკვიდრებელში უნდა დარჩენილიყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ჭარ-ბელაქანში მცხოვრებ მრავალ ლექს ახსოვდა თავისი წინაპრის ქართული გვარი თვით XIX საუკუნის ბოლოსაც კი, განსაკუთრებით თავალური წარმოშობის პირებს. მაგალითად, ლეკი გალაჯოვები ვაჩნაძეები ყოფილან წარმოშობით, რაჯაბოლლები - ზურაბიშვილები, საფაროლლები - თავადიშვილები, ძველი ქართული გვარები მრავალ პირს ჰქონია შემონახული. ისტორიიდან ისიცაა ცნობილი, რომ ელ-ისუს სულთნები ვახვახიშვილები იყვნენ. როგორც აღინიშნა, ლეკობა ჭარ-ბელაქანში სოციალურ კატეგორიად იქცა. „ლეკები“ ფაქტიურად ბატონები იყვნენ, რომელნიც ექსპლუატ-აციას უწევდნენ ინგილოებსა და მუღალებს, ბატონს იქ „აღალა-რი“ ეწოდებოდა. გალეკებას ის სოციალური უპირატესობა ჰქონდა, რომ არა თუ ქართველი თავადი, არამედ გლეხიც კი გალეკების შემდეგ „აღალარი“ ხდებოდა და ინგილოს და მუღალს გადასახადს ახდევინებდა.

„ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ლეკი აღალარების როლში ხშირად ყოფილი კანელი თავადი გამოდის. ჩვენ თავის ადგილას აღვნიშნეთ, რომ კაკ-ელისენის მთის ძირა სოფლების მკვიდრი ქართული მოსახლეობა ავარელი ლეკების აქ ჩამოსახლების შემდეგ ეთნიკურად გალეკდა, ეთნიკურად შეერწყა მათ. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ როდესაც „ზაქათალის კომისია“ ჭარ-ბელაქანში მუსულმანური მაღალი წოდების უფლებებს არ კვევდა, პრეტენდენტთა შორის მრავალნი აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც თავიანთ თავს კანელი თავადების ჩამომავლებად თვლიდნენ. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ ბელაქნის თემში მცხოვრები გალაჯოვები გამოგვადგებიან. „ზაქათალის კომისიის“ მიერ 1873 წლის 5 თებერვალს შედგენილ 58-ე უურნალში აღნიშნულია, რომ იმ პრეტენდენტთა შორის, რომლებიც იბრძვიან წოდებრივი და საადგილმამულო უფლებების დასამტკიცებლად, ერთ-ერთი პირველთაგანი არიან გალაჯოვების გვარის წარმომადგენლები. ამ გვარის ერთ-ერთი წევრი, ალექსანდრე გალაჯოვი, კომისიის წევრებს უცხადებდა, რომ მათი წინაპრები იყვნენ კანელი თავადები – ვაჩნაძეები. კერძოდ, იგი ეკუთვნის ქაიხოსრო ვაჩნაძის შვილის, ადამ ვაჩნაძის, ჩამომავლობას. ამის დასამტკიცებელი საბუთი მან წარუდგინა 1862 წელს ე.წ. „ბეგთა კომისიას“. ეს საბუთი წარმოადგენდა კანეთში მცხოვრები თავად ვაჩნაძეების მოწმობას იმის შესახებ, რომ ბელაქნელი გალაჯოვები ნამდვილად ვაჩნაძეების ჩამომავალნი არიან, რომ ალექსანდრე გალაჯოვი არის ადამ ვაჩნაძის ჩამომავლობის მე-5 თაობის წარმომადგენელი. ალექსანდრე გალაჯოვი, როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი ბელაქნის თემიდან, აცხადებდა, რომ სოფ. ბელაქანი არსებობს უხსოვარი დროიდან და წარმოადგენს მათი გვარის კუთვნილებას კანთა მეფის, ლევანის დროიდან, რომელმაც ბელაქანი მთელი თავისი

მიწებით ვაჩნაძეებს უწყალობა სამემკვიდრეოდ. ქრისტიანობამ ბელაქანში შესუსტება იწყო იმ განუწყვეტელი ბრძოლების გამო, რომელსაც საქართველო აწარმოებდა მუსულმანურ სახელმწიფოებთან. ხოლო შემდგომში, როდესაც ლეკებმა დაიპყრეს კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი, ბელაქანში მცხოვრებმა ქრისტიანებმა აქაურობა დატოვეს და გაიზიზნენ იმ ადგილებში, რომლებიც მუსულმანებს არ ჰქონდათ და კავკაზული. აქდარჩნენ მხოლოდ შეძლებულები, რომელთაც იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინათ თავიანთი ქონება, უღალატეს მამა-პაპურ სარწმუნოებას და მიიღეს მუსულმანობა. ასეთ რენეგატთა რიცხვში, აღნიშნავს ალექსანდრე გალაჯოვი, იყო ჩემი წინაპარი ადამ ვაჩნაძეც. იმის შემდეგ ვაჩნაძეები შევიდნენ ავარელი ლეკების ოხუმების შემადგენლობაში ... გალაჯოვები გამოირჩეოდნენ შესანიშნავი ჭკუითა და გონებით, რის გამოც მამასახლისად ხალხი ყოველთვის მათი გვარის წევრებს ირჩევდა. ბელაქნის თემში მცხოვრები ვაჩნაძე-გალაჯოვების გვარის ისტორიის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჭარ-ბელაქნელ აღალარებში, ავარელი ლეკების გვერდით ჩვენ გვხვდებიან, აგრეთვე, ყოფილი კახელი თავადები, რომელნიც ისეთივე ფეოდალური უფლებით სარგებლობდნენ ინგილობის მიმართ, როგორც თვით ლეკები ... ამის მსგავსი ფაქტი ჩვენ ბევრი შეგვიძლია მოვიყვანოთ. სოფელ მაწეხში მცხოვრები საფარ-შაბან-ოდლი, როგორც 1862 წლის კომისიის მასალებიდან ჩანს, წარმოშობით ქართველი თავადი იყო. მისი წინაპარი იყო „თავად-უშაბის“, ანუ როგორც მას კომისია განმარტავს, თავადიშვილების სახელწოდებით. ამავე სოფლის მცხოვრები ჰავი-ჰავიევ-რაჯაბ-ოდლის წინაპრები ქართველი ზურაბიშვილები იყვნენ. ზურაბიშვილები მაწეხში ცნობილნი იყვნენ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივსაცემი ხალხი (იქვე, გვ. 61-63).

ვახუშტი წერს, რომ ელისუს სულთნებიც გალეკებული ქართველები - ვახვახიშვილები იყვნენ.

„არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა და ეკლესია დიდი, გუმბათიანი და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკისისა, არამედ მიუხვნა შააბაზ კახეთს და ჰყო სასულტნოდ, ამას ეწოდა წუქეთი და აწ უწოდებენ ალის-სასულტანოდ ... ამ წყალზედ არს ქურმუხი, სიმაგრე დიდშენი და აწ სახლი აღსულტანისა. იტყვიან მივიდა ვახვახიშვილი წინაშე შააბაზისა ქრისტესა, ჩფზ, ქარ, სოე, გამაპ მადიანდა და მოსვლასა ერევანს მოუღო ალექსანდრეს და დასვა სულტანად იგივე აქა“, (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 539); ვახუშტის ამ ცნობას თ. პაპუაშვილი დოკუმენტურად ადასტურებს. ვახუშტი ვახვახიშვილებს „მთავართა შორის უწარჩინებულესად და შემძლებელად“ (იქვე, გვ. 35) თვლიდა.

„ზოგიერთი აქაური ლეკი დღესაც ატარებს გვარს – წეოთებს. ამბობენ, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ“ – წერეთლები (მ. კულოშვილი, სოფლის ცხოვრება, 1990 წ., 18.II).

თუ კახეთის „უწარჩინებულესი და შემძლებელი თავადები“ ლეკლებოდნენ, რას იზამდნენ გლეხები? გლეხებმა თავადებზე ადრე დაიწყეს ლეკების მხარეს გადასვლა და გალეკება, როგორც ამას დავით მეფე წერდა ვახტანგს. ვახუშტიც წერს – „ამ უამთა იწყეს გლეხთა მძლავრობისათვის ლეკთა ლტოლვილად და მისვლა ლეკთა თანა“ (იქვე, გვ. 613). ლეკების მხარეს გადასული და გალეკებული ყოფილი კახელი გლეხები თავს ანებებდნენ მიწის დამუშავებას, საკუთარი ოფლით პურის ჭამას და იწყებდნენ, მსგავსად ლეკებისა, ყაჩაღობით არსებობას – „დაესხმიან დაბნებთა, არვე-მროწლეთა, კაცნი მოსრიან, ტყვენი და საქონე-ლნი წარიყვანიან“ (გვ. 613). ამ ხერხებით გაძლიერდნენ ლეკები – „განძლიერდნენ ლეკნი ქურდობა-ავაზაკობითა და აწ უმეტეს იწყეს ლაშქრით სვლა თვით კახთაგანვე, ვითარცა ჰყო ქისიყის

მოურავმან რევაზ, რამეთუ დაასხა ელისენით მოურავს მერაბს სპანი ლეკთა ... არამედ მერაბმაცა უყო რევაზს ეგრევე. ამითი გაგულოვნდნენ ლეკნი და აოხრებდნენ ქვეყანათა ... ამით მოუძლურდნენ კახნი და განძლიერდნენ ლეკნი“ (გვ. 614).

ვახუშტი აღწერს, თუ როგორ გალეკდა ტურა რამაზიშვილი - „გავიდა ტურა ჭარსა შინა და იწყო მან თავადობა ლეკთა და კირთება ლაშქრობით კახეთს“ (იქვე, გვ. 614).

მიუხედავად ზემოაღწერილისა, არ შეიძლება თქმა იმისა, რომ მთელი აღმოსავლეთი კახეთის მოსახლეობა გალეკდა. ეს შეუძლებელი იყო და ამას არც კი დაუშვებდნენ თვით ლეკნი. საქმე ისაა, რომ ლეკობა იყო სოციალური კატეგორია. ლეკების თემი ქვეყნის მებატონე ხდებოდა. ისინი მიწას არ ამუშავებდნენ. მათ აუცილებლად ესაჭიროებოდათ მწარმოებელი – მიწის მუშა. ამიტომაც, აღმოსავლეთ კახეთში შეიქმნა საზოგადოება, რომლის დაბალ ფენას წარმოადგენდნენ მიწის მუშები (ინგილოები და მუღლალები) და მაღალი (გაბატონებული) ფენა – ლეკები. ინგილოები იყვნენ ის კახელი გლეხები, რომლებმაც შეინარჩუნეს ეროვნული ცნობიერება გვიანობამდე.

მიტროპოლიტი ანათოლი ჯაფარიძე

სერია: ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან
განშორებული ქართველებისა

აჭხაზეთი

ქართველთა გააფხაზება

- I. უძველესი აფხაზეთი ძველქართული წყაროების თანახმად
- II. ქართველი ისტორიკოსები აფხაზეთის ეთნიკური
შემადგენლობის შესახებ
- III. აფხაზეთის ტოპონიმები
- IV. ქვემო იბერიის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო
- V. მთიელი ტომების ჩამოსახლება აფხაზეთში
- VI. გააფხაზებულთა გვარები

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია
2007

XVI ს-დან ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, მის პერიფერიულ კუთხეებში, ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტის გამო, ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელები. ამ პროცესს ნ. ბერძენიშვილი „მთის ჩამოწოლას“ უწოდებს. ასე მოექცა აღმოსავლეთ კახეთი (ჭარბელაქანი) - ლეპური ტომების ხელში, შიდა ქართლის მთიანეთი - ოსების, ხოლო აფხაზეთი - ადილე-ჩერქეზული ტომის აბაზების, ანუ აფხაზების ხელში. XVI-XVIII სს-ში ჩერქეზი ხალხი ჩრდილო კავკასიაში ყველაზე მრავლრიცხოვანი იყო და შედგებოდა უამრავი მეომარი ტომისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი, როგორც აღინიშნა, აფხაზეთში ჩასახლდა და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაიპყრო ისტორიული ოდიში (თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები). მკვიდრი ქართული მოსახლეობა გადაიქცა საზოგადოების ყველაზე დაბალ, დამორჩილებულ ფენად, შეისწავლა მებატონეების ენა და ადათ-ჩვევები, მაღალმა ფენამ აფხაზეთისა - ძველმა ქართველმა თავად-აზნაურებმა, შეძლეს თავიანთი მაღალი მდგომარეობის შენარჩუნება ქვეყნის ახალი ეთნიკური სახის ჩამოყალიბების სანაცვლოდ. აფხაზეთში ჩამოსახლებულ აბაზა-აფხაზებს ქართველებმა ქვეყნის სახელის მიხედვით „აფხაზები“ უწოდეს, მოგვიანებით ეს სახელი გადაიღეს რუსებმა, თუმცა კი როგორც თურქი, ისე უცხოელი მოგზაურები მათ ჩერქეზებს (აბაზებს) უწოდებდნენ.

ნაშრომში უხვ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია აფხაზეთის ქართველთა ბედი XVI ს-დან XXI ს-მდე.

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2001, 2007

უძველესი აფხაზეთი მგელქართული ტყაროვების თანახმად

მიწა-წყალი, რომელსაც ამჟამად აფხაზეთი ეწოდება, ძველქართული წყაროების თანახმად, დასახლებული იყო ქართველი ხალხის მეგრელთა ეთნიური ჯგუფით. კერძოდ, თანახმად ქართლის ცხოვრებისა, უძველეს დროს ტერიტორია ლიხის მთიდან მდინარე ყუბანამდე მიეკუთვნა – ქართველი ხალხის ერთერთ ეთნარქს – ეგროსს, ესაა ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული ტერიტორია იმჟამისთვის მიიჩნეოდა ქართველი ხალხის იმ ტომებით დასახლებულად, რომელთა საერთო სახელი „ეგრები“ იყო, თანამედროვე ტერმინით კი, მათ „დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა“ ეწოდებათ. აღსანიშნავია, რომ აფშილებისა და აბაზების ტომებს, უცხოური წყაროები მხოლოდ I საუკუნის შემდეგ მოიხსენიებენ ამ მხარეებში. „ცხოვრება მეფეთა“, ანუ ქართლის ცხოვრების უძველესი ფენა, გადმოგვცემს: „ხოლო ეგროსსა მიეცა ქვეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი, დასავლით ზღვა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწევთების წვერი კავკასიისა, ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი, აწ მას ადგილსა ჰქვია ბედია“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 5).

მაშინდელი საზღვარი ეგრისისა იყო „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“, ეს გახლავთ მდინარე ყუბანი. ხოლო მაშინდელი ცენტრი ეგრისისა, რომელსაც შემდგომ ბედია ეწოდა, ამჟამად აფხაზეთში მდებარეობს. ამრიგად, საქართველოს უძველესი ისტორიის თანახმად, დასავლეთ საქართველოში ეთნიკური განსახლების საზღვარი გახლავთ: აღმოსავლეთით – ლიხის მთა, დასავლეთით – შავი ზღვა, ჩრდილოეთით – მდინარე ყუბანი. აღს-

ანიშნავია, რომ აღნიშნული წყარო (ე.ი. „ქართლის ცხოვრება“, ლეონტი მროველი) საერთოდ არ იცნობს ტერმინს „აფხაზეთი“, „აფხაზი“. შეუძლებელია XI ანდა VIII საუკუნის ავტორს აფხაზეთის ქვეყნის აღწერის დროს სიტყვა „აფხაზეთი“ ან სიტყვა „აფხაზი“ არ ეხმარა. ვახუშტის თანახმად, ტერმინი „აბასი“, „აფხაზი“ ჩნდება მოგვიანებით: „ხოლო ანაკოფიის დასავლეთით არს აფხაზეთი, ჰირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგროსისა არს ზღვამდე, მის გამო ეწოდა „ეგრი“-ვე, არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა – აფხაზეთი“ (ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 784).

მაშასადამე, ეგრისის ერთ ნაწილს აფხაზეთი ეწოდა „განდგომის შემდგომ“, რა იგულისხმება „განდგომის“ ქვეშ?

პასუხი ამ კთხვისა ცნობილია ძველქართული საისტორიო წყაროსათვის.

ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში პირველი ერთიანი ქართული სახალმწიფოს შექმნისას მასში შევიდა ქართველი ხალხის ყველა ეთნიკური ჯგუფი, მთელი ერი, მაგრამ „ბერძნების“ შიშით ამ სახელმწიფოში შესვლაზე უარი თქვეს მდინარე ეგრისწყლის იქით მაცხოვრებლებმა, ისინი ჩვენს მემატიანებს ქართველებად მიაჩნდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი უარი შესულიყვნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოში „განდგომად“ (ღალატად, განცალკევებად) არ ჩაითვლებოდა.

ფარნავაზ მეფეს ერთიანი სახელმწიფოს შენებაში დიდად ეწეოდა ეგრისის ერისთავი ქუჯი, მან ფარნავაზს მიმართა: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი“, ქუჯის საერისთავოს უდიდესი ნაწილი ერთიან სახელმწიფოში გაერთიანდა, „ხოლო ეგრისწყალს ქვემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ 24).

ერთიანი ქართული სახელმწიფოს მეთაურ ფარნავაზის ტიტული იყო „მეფე ქართველთა“, ამ მეფის სახელმწიფოს კი „ქართლის სამეფო“ ეწოდებოდა. ამ ქართლის სამეფოსა და „საბერძნეთს“ შორის ფარნავაზის დროს გავლებული იქნა სასაზღვრო ხაზი – მდინარე ეგრისწყალზე. საბერძნეთის სახელმწიფო ამ მდინარესთან იცავდა საზღვარს ქართლის ქვეყანასთან, კერძოდ, ბერძნული მხარე მიიჩნევდა, რომ ეგრისწყალზე საზღვარი იბერიასა და საბერძნეთს შორის დაიდო ალექსანდრე მაკედონელის დროს. ამიტომ, თანახმად „ქართლის ცხოვრებისა“, V საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორი აცხადებდა, რომ საზღვარი მისი იმპერიისა მდინარე ეგრისწყალია: „გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქვეყანა ზღვის პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: „ეგრის წყალითაგან ვიდრე მდინარე მცირისა ხაზარეთისა – ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითან“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 177).

ისმის კითხვა, სად გაედინებოდა მდინარე ეგრისწყალი და გადიოდა თუ არა მასზე საზღვარი საბერძნეთის იმპერიასა და ქართლის სამეფოს შორის. მდინარე ეგრისწყალს ამჟამად – ღალიძგა ეწოდება.

„ეგრისწყალი რომ საზღვარი იყო, ამას მოწმობს როგორც ქართული (ლეონტი, ჯუანშერი), ისე რომაულ-ბერძნული წყაროები (არიანე, V საუკუნის პერი პლუსი, პროკოპი...) (ნ. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 553).“

მაშასადამე, „განდგომის“ ქვეშ იგულისხმება ეგრისწყლის იქით მცხოვრებ ქართველთა უარი IV-III სს. ქრისტეშობამდე შესულიყვნენ ერთიან ქართულ სამეფოში ბერძნთა შიშის გამო.

აღსანიშნავია, რომ უძველესი ქართული წყაროც – „მოქცევაი ქართლისაიც“ ქართველთა სახელმწიფოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს მდინარე ეგრისწყალზე დებს.

V საუკუნეში აღნიშნული მიმართულებით მომხდარა სასაზღვრო ცვლილება ბიზანტიასა და საქართველოს შორის. გაზრდილა ფართობი საქართველოს სახელმწიფოსი, იმით, რომ მდინარე ეგრისწყალსა და მის დასავლეთით მდებარე მდ. კლისურას შორის მოქცეული ტერიტორია იმპერატორს გადაუცია ქართველთა მეფისათვის. კერძოდ, მეფე ვახტანგ გორგასალს შეურთავს კეისრის ქალი, რომლისათვისაც მზითვად იმპერატორს მიუცია ეგრისწყალსა და კლისურას შორის მოქცეული ტერიტორია - „დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურას შუა ქვეყანა მზითვად“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 177).

ამ დროისათვის მთელი ტერიტორია მდინარე ეგრისწყლიდან მდინარე ყუბანამდე ვახტანგ გორგასალმა ჩრდილო კავკასიაში ლაშერობის შემდეგ დაიჭირა და დაკავებული ჰქონდა თავისი ჯარებით, ეს მიწა-წყალი კი ბიზანტიას თავის სახელმწიფოში შემავალად მიაჩნდა, ამიტომაც მოლაპარაკების შემდგომ, იმის შემდეგ რაც ქართველთა მეფემ ოფიციალურად მიიღო ბიზანტიისაგან კლისურამდე მოქცეული ტერიტორია, მან ბიზანტიას დაუბრუნა ამ მდინარის იქით მდებარე მიწა. მას უკვე ამ დროისათვის აფხაზეთი ეწოდებოდა - „...და სხვა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“ (იქვე, გვ. 177).

როგორც ითქვა, ქართული წყაროების თანახმად, ვრცელი ტერიტორია დასავლეთ ამიერკავკასიისა, ვიდრე ყუბანამდე - ქართველი ხალხით იყო დასახლებული, მაგრამ პირველ ერთიან ქართულ სახელმწიფოში მდინარე ეგრისწყლიდან მდინარე ყუბანამდე მოქცეული ტერიტორია არ შევიდა, რადგანაც ბერძნულ სახელმწიფოში იყო მოქცეული. შემდგომ აქ მრავალი სხვადასხვა ტომი დასახლებულა, ხოლო ტერიტორიას ეგრისწყალსა და მცირე ხაზარეთის (ყუბანის) მდინარემდე მიუდია სახელწოდება - აფხაზეთი. მისი ერთი ნაწილი, როგორც ითქვა, V საუკუნეში შეუერთდა ქართულ სახელმწიფოს (მდ.

კლისურამდე), ხოლო დანარჩენი ნაწილი ქართულ სახელმწიფოს შეერთებია VIII საუკუნეში, იმ დროს, როცა „ბერძნები მოუძღვურებულან“ არაბთა გაძლიერების გამო (ნ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 553).

არაბთა შემოსევების შედეგად უკიდურესად დასუსტდა ქართული სახელმწიფოც, რომლის საზღვარი ბიზანტიასთან ამ დროისათვის კვლავ მდინარე კლისურაზე გადიოდა. არაბები ორივე ქრისტიანული ქვეყნის ბიზანტიისა და საქართველოს მტრები იყვნენ, ამიტომაც ამ დროისათვის ბიზანტიის იმპერიამ დაივიწყა თავისი იმპერიალისტურ-მტაცებლური ზრახვები ქართლის სამეფოს მიმართ. ეს გამოიხატა იმპერატორის მიერ გამოცემულ იმ ბრძანება-მითითებებშიც, რომელნიც მას გაუგზავნია ერისთავისათვის აფხაზეთში. როგორც ითქვა, იმ დროისათვის აფხაზეთი შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში და მას მართავდა ბიზანტიის სახელმწიფოს წარმომადგენელი „აფხაზთა ერისთავის“ ტიტულით. მურვან-ყრუს საშინელი შემოსევების შემდეგ იმპერატორს აფხაზეთის ერისთავ ლეონისათვის გაუგზავნია ბრძანება, რათა ის აღარ დასხმოდა თავს ქართლის სამეფოს, რომლის საზღვარი გადიოდა მდინარე კლისურაზე, „და მოუწერა ლეონს ესრე სახედ: „ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება... ამიერითგან ნუდარამცა ხელმწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 239-240).

მართალია, კლისურა იმ დროისათვის იყო გეოგრაფიული გამყოფი ეგრისსა და აფხაზეთს შორის, მაგრამ ის ამავე დროს იგი წარმოადგენდა პოლიტიკურ საზღვარს ქართველთა (ანუ ქართლის) სამეფოსა და საბერძნეთს შორის, იმპერატორი თავის წერილში როცა წერს ლეონს „ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება“, გულისხმობს სწორედ ბერძნთა და მათი პოლიტიკური წარმომადგენლების - აფხაზთა

ერისთავების თავდასხმებს აღნიშნულ საზღვარზე. ამიტომაც შემდგომ აკონკრეტებს ბრძანებას და წერს: „არამედ კეთილად პატივისცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა და ამიერითგან ნუღარამცა ხელგეწიფების ვნებათა მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“ (იქვე, გვ. 240). ე.ი. აფხაზეთში შემოხიზნულ, არაბთაგან დევნილ ქართლის მეფეებს მირსა და არჩილს პატივი ეცი და მათი ქვეყნის საზღვარს ევრისთან ნუღარ დაარღვევო.

ქართლის მეფე მირს ვაჟი არ ჰყავდა, ამიტომაც ის, არაბთა მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი, თავის სამეფოს უყოფს ქალიშვილებს (და მმა არჩილს), ოღონდ ერთი პირობით, სიძე უთუოდ უნდა ყოფილიყო არა უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, არამედ ქართლის სამეფოს წარჩინებული, მეფე თავის მმა არჩილს უტოვებს ასეთ ანდერძს: „ჩვენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო, აწ რადგან მოიყვანიან მამათა ჩვენთა ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩვენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქვეყანანი ქართლისანი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241).

მეფე მირს 7 ქალიშვილი ჰყავდა, მათგან 6 მისცა ქართლის ერისთავებს და მათვე მისცა სამეფოს შესაბამისი ქვეყნებიც, მეშვმდე ქალიშვილის შერთვა ინება აფხაზეთის ერისთავმა, მას ანდერძის თანახმად არ შეეძლო შერთვა მეფის ქალიშვილისა, რადგანაც ქართლის სამეფოს ერისთავი არ იყო, ამიტომაც ინება თავისი საერისთავო შეეერთებინა ქართლის სამეფოსათვის, ამით ის გადაიქცეოდა ქართლის ერისთავად და ამ გზით უფლება მიეცემოდა შეერთო მეფის ქალი. მაგრამ ის ხომ ბერძენთა ქვეყნის და არა დამოუკიდებელი ქვეყნის (აფხაზეთის) ერისთავი იყო? იქამდე, მცირე ხნით ადრე, მას მოუპოვებია თავისთავადობა ბერძენთაგან, ის ეუბნება ქართლის მეფეს: „ხოლო ლეონ რქუა: „მომცა მე კეისარმან ქვეყანა ესე მკვიდრობით კეთილად სიმხნითა თქვენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ

ჩემთა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწვდების წვერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელი - ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 242).

ე.ი. ლეონ ერისთავს იმპერატორისაგან „მამულობით სამკვიდრებელად“ მიუღია ტერიტორია მდინარე კლისურიდან ხაზარეთის მდინარემდე. გათავისუფლებისთანავე, აფხაზეთის ერისთავის სურვილია თავისი ქვეყანა დაუკავშიროს ქართველთა სამეფოს. ის ხდება ქართველთა მეფის „შვილი და ძმა“ – „მონა“ მსგავსად სხვა ქართველი სიძეებისა, და ამის მისაღწევად მეფეს უცხადებს: „არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს“. ე.ი. თავის მამულ-ქვეყანას, აფხაზეთს, აძლევს ქართველ მეფეს, სამაგიეროდ ხდება სიძე – ის ირთავს მეფის ქალიშვილს გურანდუხტს. თუკი სხვა სიძეებმა სამეფოს რაღაც ნაწილები მიიღეს, ლეონ ერისთავი ქართველთა მეფისაგან იღებს გვირგვინს – „და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტრობა შორის მათსა, არამედ ერჩოდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“ (იქვე, გვ. 243).

ქართლის სამეფო ტახტი გადაეცა მირ მეფის ძმას არჩილს, მასვე მიეცა – „საუხუცესო“ ტერიტორია – მთელი დასავლეთ საქართველო „გქონდეს საუხუცესოდ – უუბნება არჩილს მომაკგდავი მეფე მირი – ეგრისი, სვანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 241). არაბთაგან აღმოსავლეთ საქართველო ძლიერ „განრყვნილი“ – დაქცეული იყო, ამიტომაც მეფე არჩილი 12 წლის მანძილზე „დაემკვიდრა ეგრისს, ვიდრე შორაპნამდე და განაგნა ყოველნი ყოველნი ციხენი და ქალაქნი“ (იქვე, გვ. 243).

აღმოსავლეთ საქართველოს ოდნავი მოშენებისთანავე არჩილი გადავიდა იქ, შიდა ქართლში არაბებმა არ მისცეს დამკვიდრების

საშუალება. ის შემდეგ გადავიდა კახეთში, აქ დაემკვიდრა, დაოჯახდა, მაგრამ შემდეგ არაბებმა შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ისმის კითხვა, ვინ მართავდა დასავლეთ საქართველოს მეფე არჩილის კახეთში გადასვლისა და მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ? ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე სამეფო ტახტისა მთელ დასავლეთ საქართველოში იყო მირ მეფის ქალიშვილი გურანდუხტი, და ცხადია, მისი მეუღლე აფხაზთა ერისთავი ლეონი. ჩანს, ისინი მართავდნენ კიდეც დასავლეთ საქართველოს. მეფე არჩილის მცირეწლოვანი შვილები ჯუანშერი და იოვანე ამ დროს ჯერ კიდევ კახეთში იყვნენ, მართალია, შემდგომ იოვანე არჩილის ძე თავის დედასთან ერთად გადავიდა დასავლეთ საქართველოში, სადაც მას კანონიერი მეფური უფლებები გააჩნდა, მაგრამ, ჩანს, აქ მისი პოზიცია არც თუ ისე მტკიცე იყო, მისი სამეფო ოჯახის უკიდურესი დამცირებისა და არაბთაგან დევნის გამო.

ამასობაში საერთაშორისო ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, კერძოდ, ბიზანტიის გავლენა შემცირდა დასავლეთ ამიერკავკასიაში, გაძლიერდა ჩრდილოკავკასიური ხაზართა სახელმწიფო, რასაც თან ერთვოდა აღმოსავლეთ კავკასიაში არაბთა ბატონობა. ბიზანტიის დასუსტებამ გააძლიერა აფხაზეთის საერთავო, რომელსაც მხარს ხაზარეთიც უჭერდა. „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, მმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითს მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისა ჯუანშერიცა მიიცვალა“ (ქართლის ცხოვრება, I, 251).

დასავლეთ საქართველო ქართველ მეფეთა „საუზუცესო“ ტერიტორიად მიიჩნეოდა, ისევე, როგორც კახეთი. ე.ი. ისეთ ტერ-

იტორიად, რომელიც სამეფო ოჯახის საკუთრებად, პირად საუფლისწულო მამულად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ, მირ მეფებ თავის ქალიშვილებს არც კახეთსა და არც დასავლეთ საქ-ართველოში მამულები არ გადასცა, სიძეებს მამული-მზითევი მისცა შიდა ქართლში, და ერთადერთს – აფხაზეთში. მთელი დასავლეთ საქართველოს საუფლისწულო მამული მიეცა მეფე მირის ძმა არჩილს (ქართლის ცხოვრება, გვ. 241). მისი კახეთში გადასვლის შემდეგ არჩილ მეფებ დასავლეთ საქართველო სამართავად, ჩანს, გადასცა ქართველ მეფეთა გვირგვინის მქონე გურანდუხტსა და ლეონ I-ს აფხაზეთის ერისთავს. ხოლო იმის შემდეგ, რაც არაბებმა ფაქტიურად მოსპეს ქართული სამეფო ტახტი (ფარნავაზიან-გორგასლიანთა), ქართულმა სახელმწიფოებრიობამ არსებობა განაგრძო დასავლეთ საქართველოში, აქ არა თუ მოისპო ქართული სახელმწიფოებრიობა, არამედ არსებობის ახალ საფეხურზე ავიდა, მართალია, დინასტია შეიცვალა, მაგრამ ახალი დინასტია კანონიერი მემკვიდრე იყო ძველისა. კერძოდ, ლეონ II-ეს მთელ დასავლეთ საქართველოზე გააჩნდა უფლება ვითარცა ლეონ I-ის მემკვიდრეს. ახალმა დინასტიამ მიიღო ტიტული „აფხაზთა მეფეებისა“, მათ მთელი საქართველოს სამეფო ტახტზე გააჩნდათ კანონიერი უფლება იმის გამო, რომ გურანდუხტი „ქართველთა მეფის“ ასული და ტახტის მემკვიდრე იყო, ამიტომაც მისი ოჯახის წევრები მიისწარფოლნენ კიდეც თავიანთი სკიპტრის ქვეშ სრულიად საქართველოს გასაერთიანებლად. თუმცა, საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მირ მეფის ყველა სიძის ოჯახს მიაჩნდა თავისი თავი (მათ შორის იყვნენ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებიც).

მართალია, ახლად შექმნილმა „აფხაზეთის სამეფომ“ მოიცვა მთელი დასავლეთი საქართველო, მაგრამ გეოგრაფიული მნიშვნელობით „აფხაზეთი“ ეწოდებოდა ამ სამეფოს ერთ განაპ-

ირა კუთხეს, რომელმაც მალე ადმინისტრაციული მმართველობაც მიიღო.

კერძოდ, აფხაზეთის სამეფო ადმინისტრაციულად დაიყო რვა საერისთავოდ, ერთ-ერთს ეწოდა „აფხაზეთის საერისთავო“, აღს-ანიშნავია, რომ აფხაზეთის საერისთავოში ცხუმი (მომავალი სოხუმი) არ შედიოდა, მას თავის ერისთავი ჰყავდა, მასში არ შედიოდა ბედიაც (ქალაქი მდინარე ეგრისწყალთან).

მაშასადამე, თვით აფხაზეთის სამეფოშიც კი აფხაზეთი ეწოდებოდა ცხუმის გადაღმა, ჩრდილოეთისაკენ მდებარე ტერიტორიას. ხოლო ცხუშსა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა ეგრისი. ეს ჩანს აფხაზთა პირველი მეფის ლეონის მიერ ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფიდან: „ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი, არღარა ეწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთავოდ“:

1. დასვა აფხაზეთს და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი ვიდრე ზღვამდე და ხაზართა მდინარემდე.

2. დასვა ცხუშს და მისცა ეგრის-იქით ანაკოფია ალანითურთ.

3. დასვა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენისწყალამდე.

4. ვინაიდან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი ჭოროხის სამხრეთისნი და განუდგნენ ოძრახოს ერისთავს. უწოდა გურია და დასვა მუნ ერისთავი თვისი.

5. დასვა რაჭა-ლეჩხუმსა.

6. დასვა სვანეთსა.

7. შოროპანისავე... ლიხამდე სრულიად არგვეთისა.

8. დასვა ქუთათისს ვაკისა... რიონის დასავლით ცხენისწყალამდე.

მანვე აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ

ესე ქუთათისი. ამისგანვე საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა ნებითავე ბერძენთა“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 796).

ნ. ბერძენიშვილი წერს: „...ჰეროსის, ქართლოსის და ეგროსის ხვედრი ქვეყნები – მათ შორის სვანეთი, აფხაზეთი... ყველა ესენი „ქართველები“ იყვნენ და ეს არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით. ამ შეხედულებით, ამდენადვე, აქ არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე, საუბარი. როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი...“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 668).

ქართველი ისტორიკოსები აფხაზეთის მთიპური შემაღებელობის შესახებ

როგორც აღინიშნა, ძველქართული წყაროები ვრცელ ტერიტორიას კავკასიის ქედის სამხრეთ-დასავლეთით ქართველი ხალხით დასახლებულად მიიჩნევდა, მათ შორის ისტორიულ აფხაზეთსაც. ეს მიწა-წყალი თვით მდინარე ყუბანამდე ქართველი ხალხით, კერძოდ, კი მეგრელების ტომით დასახლებულად მიიჩნეოდა ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე, ამას მიუთითებს „ქართლის ცხოვრება“. შემდგომშიც, დიდი ხნის მანძილზე, ქართულ საზოგადოებაში დარჩენილი ყოფილა ლეგენდა-გადმოცემაც ძელი აფხაზეთის მეგრელთა ტომით დასახლებით შესახებ. მაგალითად, ანაკოფიის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას ოდიში ეწოდა სწორედ ქართველების ძველად აქ

ცხოვრების მოსაგონებლად. ვახუშტი წერს: „ხოლო ოდიში ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელი, რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი... ხოლო ოდიში – განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყვოდნენ: „ოდეში იყომე ქვეყანა იგი ჩვენი“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 776).

აქ იგულისხმებოდა შემდეგი მოვლენა: ფარნავაზის მიერ სახელმწიფოს შექმნის დროს, როგორც აღინიშნა, მის სამეფოში შევიდა ტერიტორია მდინარე ეგრისწყლამდე, ამ მდინარის იქით მცხოვრები ქართველობა მოექცა ბერძნული სახელმწიფოს ფარგლებში, ამიტომაც იყო, რომ ეგრისწყალს აქეთ მცხოვრები მოსახლეობა დანანებით ამბობდა ეგრისწყალს იქით მოქცეულ ქვეყანაზე – „ოდეში იყო ქვეყანა იგი ჩვენი“, ე.ი. ოდესადაც ის ქვეყანაც ჩვენი იყოო. ვახუშტის, ისე როგორც ძველ ქართველ ისტორიკოსებს, ეგრისწყლის იქით მოქცეული ეგრისელთა ტომით დასახლებულად მიაჩნდა. ვახუშტის სიტყვით, ანაკოფიას აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანას ოდიში ეწოდა და ის მეგრელებით იყო დასახლებული (ანაკოფია – ზღვისპირა მცირე ქალაქი იყო ბიჭვინთასა და სოხუმს შორის, ლიხნის აღმოსავლეთით – „ახალი ათონი“).

ქრისტეშობამდე პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში თანამედროვე აფხაზეთის და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ზღვისპირა ტერიტორიები დასახლებული ყოფილა ჰენიოზებით, აქაელებით და კერკეტებით, არცერთი აღნიშნული ტომი არ მიიჩნევა აღიღურ ტომად, ისინი უფრო ქართველურ სამყაროს უკავშირდებიან. მაგალითად, ჰენიოზები, რომლებსაც აღნიშნულ პერიოდში ეჭირათ კოდორის მიმდებარე მიწა-წყალი ბზიფის ხეობის ჩათვლით სოჭამდე, ასევე სამხრეთ საქართველოშიც, კერძოდ კი ჭოროხის ხეობაში ცხოვრობდნენ. აფხაზეთსა და ქართლში დასახლებული ჰენიოზები (გეოგრაფიულ პუნქტებს თან-

ამედროვე სახელებით ვიხსენიებთ), ჩანს, ერთი და იგივე ტომი იყო – მათი კავშირი ქართველურ სამყაროსთან უეჭველია, ისევე როგორც აფხაზეთში შემდგომ დამკვიდრებული სანიგებისა და ქართლში (ჭოროხის ხეობაში) მცხოვრები – ჭანებისა. ასევე, აფხაზეთში შემდგომ დამკვიდრებულ აბასხებსა და ქართლის მესხებს შორის, მათ პ. ინგოროვა თანამეტომებად მიიჩნევდა.

I და II საუკუნეებში აფხაზეთსა და, საერთოდ, კოლხეთში ხდებოდა ეთნიკური ცვლილებები, ტომთა გადაადგილებანი. ქართული წყაროს, კერძოდ, ვახტანგ გორგასალის „ცხოვრების“ თანახმად, აფხაზეთის ჩრდილოეთით ესახლებიან ჯიქები. მათი ძველი სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ სტეპებში მდებარეობდა, ალანების მეზობლად. ბერძნული წყაროების თანახმად, ჯიქები დამკვიდრებულან ზღვის პირას, იქ სადაც კერკეტების მიწა-წყალი მდებარეობდა – „კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში (დღევანდელი აფხაზეთის სანაპიროზე, მის ჩრდილოეთით), სანაპიროს გასწვრივ, ანტიკური წყაროები ერთმანეთისაგან მკვეთრად ანსხვავებენ სანაპირო ზოლის მშვიდობიან მოსახლეობას და მომიჯნავე მთიანეთში მცხოვრებ მეომარ ტომებს, პირველთ ანტიკური ტრადიცია აკუთვნებს კერკეტებს. ამ უკანასკნელთ, არტემიდორეს (ძვ. წ. II-I სს.) მიხედვით, ეკაგათსანაპირო ზოლი დაახლოებით დღევანდელი ნოვოროსიისკიდან ვიდრე ტუაფსემდე. იმავე ავტორის ცნობით, ტუაფსეს სამხრეთით, სოჭის რაიონამდე სანაპიროს გასწვრივ ცხოვრობდნენ აქალები, ხოლო აქედან სოხუმის მიდამოებამდე – ჰენიოხები. ძვ. წ. I ს. დასაწყისში უნდა მომზდარიყო ადილური ტომების – ჯიქების შემოსევა, რომელნიც ადრე კერკეტებით დასახლებულ ტერიტორიაზე დასახლდნენ“ (საქ. ისტ. ნარკვ. ტ.I, 1970, გვ. 478).

„ქართლის ცხოვრება“ ყველა ტომს, აფხაზეთში მცხოვრებს – ეგროსის შთამომავლად მიიჩნევდა, გარდა ჯიქებისა. ჰენიოხები,

სანიგები თუ კერკეტები ქართულ ტომებად მიიჩნეოდა. უფრო
მეტი, სტრაბონის ცნობითაც აფხაზეთის სანაპიროზე მცხოვრებ,
იმ დროისათვის უძლიერეს სვანების ტომს იბერიელებად მიიჩნე-
ვდნენ. ამ მხრივ, სტრაბონის ცნობას განსაკუთრებული ფასი უნდა
დაედოს. მის მიერ აღწერილი სვანები, რომლებსაც იბერიელებსაც
უწოდებდნენ, თანამედროვე სოხუმისა და მიმდებარე მიწა-
წყალზე მკვიდრობდნენ.

თ. მიჩქანი წერს: „დავიწყოთ შეოფლიოში ცნობილი ბერძენი გეოგრაფისით – სტრაბონით, რომელიც დაიბადა დაახლოებით ძვ. წ. 64 წელს და გარდაიცვალა ახ. წ. 24 წელს. აი, რა ცნობებს გვაწვდის იგი სკანთა განსახლების შესახებ:

მიუხედავად იმისა, რომ სტრაბონი თავის ნაშრომში ვრცლად მიმოიხილავს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ხალხებს სვანებს, კოლხებს, ფოიროფაგებს, სანებს და ა.შ., მასთან არც ერთხელ არ გვხვდება „აბაზას“ ან „აფშილების“ მოხსენება. ის ასეთ ხალხს საერთოდ არ იცნობს... ცხადია, რომ სტრაბონის დროს და უკროც ადრე სვანთა განსახლების არეალში

შედიოდა დღევანდელი აფხაზეთის ზღვისპირეთის გარკვეული ნაწილი მაინც. ამას ადასტურებს ანტიკური ხანის რომაელი ავტორი კლავდიოს პტოლემაიონიც (ახ. წ. I-II სს). მისი ცნობით, გაგრა-ბიჭვინთის სექტორში ცხოვრობდნენ „სუანოკოლხები“ (6. ლომოური, კლაუდიოს პტოლემაიონი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ ცნობებისაქართველოს შესახებ. იხ. მასალები „საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნარკვ. 32, 1955, გვ. 44). ვინ არიან „სუანო-კოლხები“, თუ არა სვანები და კოლხები (მეგრელ-ჭანები)? ...უფრო მეტიც, VII ს. „სომხურ გეოგრაფიაში“ დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ დღევანდელ ადლერსა და ბიჭვინთას შორის კვლავ მოიხსენიებიან სვანები...“ (თ. მიჩბუანი, „ვინ იყვნენ სუანო-კოლხები?“, გაზ. „სახ. განათ“, 6. XII, 1989 წ.).

აფხაზეთის სანაპირო ზოლში სანიგთა, აბაზებისა და აფშილების ტომები ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნისათვის გამოჩენილან (საქ. ისტ. ნარკვ., I, გვ. 539).

ისინი მიაჩნიათ მთიელთა ტომებად და მათი ჩამოსახლების ერთ-ერთ მიზეზად იბერიის სამეფოს დასუსტება მიიჩნევა (იქვე, გვ. 540).

„მაგრამ ცენტრალურ კოლხეთში მთიელთა ჩამოსახლება, როგორც ჩანს, ხდებოდა არა მარტო ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდანაც, სამხრეთ აღმოსავლეთში შავიზღვისპირეთ მთიანეთიდან... ესენი უმთავრესად დასავლურ ქართული (ჭანური) ტომები იყვნენ. მათ, ისევე როგორც ჩრდილო კოლხეთის მთიელებს ვერაფერს უხერხებდნენ განთქმული რომაელი მხედართმთავრები... ჭოროხისა და არხავე-სუს შესართავებს შორის ძიდრიტების ტომი მკვიდრდება, რომელიც ახ. წ. II ს. იბერიის მეფის მორჩილებაში იმყოფება, კიდევ უფრო ჩრდილოეთით კი, ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, აქტიური როლის შესრულებას იწყებენ ლაზები. ეს მეგრულ-ჭანუ-

რი ტომიც, შეიძლება სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთიდან ჩამოსახლდა... ჩამოსახლებული მთიელები ნაწილობრივ სდევნიან, მაგრამ ნაწილობრივ ერევიან ბარის ძველ ადგილობრივ, ენიოზოგვერ მათთან ახლოს მდგომ მოსახლეობას (ასეთი იყო ალბათ ვითარება, კერძოდ, ლაზების გავრცელების ტერიტორიაზე, სადაც უკვე დიდი ხნის მანძილზე აგრეთვე მეგრულ-ჭანური (ჭანური) კოლხური ტომები მოსახლეობები...“ (იქვე, გვ. 540).

რომის მოხელე არიანე იმპერატორ ადრიანეს წერდა კოლხეთის მოსახლეობის შესახებ: „მაკრონებისა და ჰენიონების მეზობლები ძიდრიტები არიან. ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან, ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან... ლაზების მეზობლები აფსილები არიან... აფსილების მეზობლები აბასკები არიან... აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი“. II ს-ის ბოლოსათვის ვითარება შეცვლილია – აბასკები უფრო ჩრდილოეთით მოიხსენებიან. „ეგების ადრე სამხრეთით წამოწეული აფშილები და აბასაგები ლაზებმა კოდორს გადაღმა უკუაგდეს, სადამდეც ადრე ბიზანტიური ხანის ცნობებით ეთნოგრაფიულად უკვე ლაზების ტერიტორია ვრცელდებოდა“ (იქვე, გვ. 545).

პავლე ინგოროვგას მოსაზრებით აბასკები, ანუ აბასხები არიან მესხები – ქართული ტომი. საერთოდ, ამ დროისათვისაც აფხაზეთში მცხოვრები ყველა ტომი, აფშილების და აბასკების ჩათვლით – ქართველურ ტომად ითვლება – ჯიქების გარდა, რომელიც აფხაზეთის „ბოლოს“, მის გარეთ ცხოვრობდნენ, ასევე ყოფილა VIII საუკუნემდე „აფხაზეთის სამეფოს“ წარმოქმნის დროს და მის შემდგომაც.

„წყაროების განხილვიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის მხარეთა ტერიტორია მთელი ამ პერიოდის მანძილზე, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, დასახლებული ყოფილა ქართველი ტომებით, სახელდობრ:

1. „შუასოფელში“, ე.ი. ტერიტორიაზე ეგრისწყლიდან ვიდრე კელასურამდე – მოსახლეობდნენ ეგრისელნი – მეგრელ-ლაზნი;

2. მთა აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) დასახლებული ყოფილა ტომით, რომლის ტომობრივი სახელწოდება ყოფილა „მოსხი“, იგივე მესხი. როგორც ირკვევა, აფხაზეთშიც ადგილი ჰქონია ისეთივე ტერიტორიულ თანამეზობლობას მეგრელ ლაზურ და მესხთა ტომებისა, როგორც ჩვენ გვაქვს სამხრეთ კოლხიდაში, სადაც სამეგრელოსა და ჭანეთის შუა ზოლთა შორის არის შეჭრილი მესხური ტომის შტო (გურულები და ქობულეთელი აჭარლები). რომელ დიალექტზე ლაპარაკობდა აფხაზეთის მესხთა ეს ტომი, საკუთრივ ქართულზე, თუ ადგილობრივ ეგრისულ დიალექტზე, გაურკვეველი რჩება. საფიქრებელია, რომ თავდაპარველი ენა ამ ტომებისა საკუთრივ ქართული იყო, რასაც გვაფიქრებინებს მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების საკუთრივ ქართული ხასიათი;

3. შიდა ჰენიოხეთი (სოჭის რაიონი), როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, დასახლებული იყო მეგრელ-ლაზთა ტომით;

4. ზღვისპირა აფხაზეთი (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი) ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ჰენიოხთა სატომო ტერიტორიას, ხოლო ანტიკური ხანის დასისრულიდან მოკიდებული ეს ზონა, როგორც აღნიშნული გვქონდა, მესხებით (აფხაზების) სატომო ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული;

5. აბსილეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კორახეთი) ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრელ-ლაზებისა და მესხებისა;

6. მისიმიანეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კოლაეთი) ასევე ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრელ-ლაზებისა და სვანებისა. ამ მხარეში მოსახლე ტომს მიემართებოდა სახელწოდება „სვან-კოლხები“ ანუ ეგერ-სვანები“ (ე.ი. მეგრელ-სვანები);

7. დასასრულ, ისტორიული აფხაზეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მხარე – აფხაზეთის ჯიქეთი, ანუ ძველი ჩრდილო ჰერიონი ჰერიონი (ტუაფსის რაიონი) – ანტიკურ ხანაში დასახლებული ყოფილა მეგრულ-ლაზთა ტომით ჰერიონებით, ხოლო ანტიკური ხანის ბოლო ჰერიოდსა და საშუალო საუკუნეებში ამ მხარეში შერეული მოსახლეობაა ჰერიონებისა (სანიგებისა) და ჯიქებისა“ (პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 129).

მ. ბერძნიშვილი თავის რეცენზიაში დადებითად აფასებდა პ.ინგოროვას კვლევას: „სწორი უნდა იყოს პ.ინგოროვა, როდესაც იგი სხვა ქართულ ტომთა შორის, რომელიც მოსახლეობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აფხაზეთის სამთავროს შექმნის დროს და მომდევნო ხანებში (შუა საუკუნეებში) მეგრულ-ლაზურ ტომებს ჰერიონ-სანი ხებსაც ასახელებს“ (ე.ხოშტარია – ბროსე, მეცნიერის არქივიდან, „მნათობი“, №5, გვ. 140).

ზოგიერთი მეცნიერი აფშილებსა და აბაზგებს არ მიიჩნევს ქართველ ტომად, მაგრამ არ უარყოფს აფხაზეთში მკვიდრი ქართული მოსახლეობის არსებობას.

„ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილებისა და აბაზგების გვერდით იმთავითვე სახლობდნენ ქართველური ტომებიც – როგორც მეგრულ-ჭანური, ისე სვანური. II ს-ის ბოლოსათვის აფსილებსა და აბაზგებს ვითარება შეცვლიათ, მათ ჩრდილოეთით გადაინაცვლეს და აფსილების განსახლების სამხრეთი საზღვარი გახდა უკვე მდინარე კოდორი (კისლინგი, გ. მელიქიშვილი, ზ. ანჩაბაძე). აფსილები და აბაზგები არასდროს თანამედროვე გალის რაიონის ტერიტორიაზე არ სახლობდნენ, ხოლო II ს-ის ბოლოდან ისინი კოდორის გადმოღმაც აღარ ვრცელდებოდნენ და ამდენად აღარც თანამედროვე ოჩამჩირეს რაიონის მიწა-წყალზე სახლობდნენ. IV ს-ში აფსალები, აბაზგები

და სანიგები დაიქვემდებარა ლაზიკის, ანუ ეგრისის სამეფომ, სუ-ანო-კოლხების წყაროებში წენება აღარ გვხვდება, სამაგიროდ, ბიზანტიელი აფსილების უშუალო მეზობლად ბიზანტიელი ისტორიკოსები აგათია სქოლასტიკოსი და მენანდრე პროტიქტორი ასახელებდნენ მისიმიანთა ტომს, მისიმიანები უდავოდ სვანური ტომია (ს. ყაუხჩიშვილი). ამრიგად, ამ დროსაც მდ. კოდორის გადაღმა მხარეში, აფსილ-აბაზების გვერდით, მკვიდრად სახლობდნენ მეგრულ-ჭანური და სვანური ტომები. IV ს-ის ბოლოს თუ VII ს-ის დასაწყისში ბიზანტიის ხელისუფლებამ კოდორის ჩრდილოეთით მდებარე შხარე ლაზიკისაგან გამოჰყო და უშუალოდ დაუქვემდებარა თავის ადმინისტრაციულ მმართველობას, ასე გაჩნდა აბაზეთა სამთავრო (ს. ჯანაშია, ზ. ანჩაბაძე, მ. გუნბა). თავისთავად ცხადია, რომ ამ სამთავროს შემადგენლობაში შევიდნენ აფსილთა და აბაზეთა ტომებთან ერთად ამ რეგიონის ქართველური მოსახლეობა“ (ნ. ლომოური, „როგორ უნდა გვესმოდეს ეთნომი „აფხაზი“, „ლიტ. საქ.“, 1989, 7. IV). ამიტომაც ეთნომ „აფხაზის“ ქვეშ იმთავითვე ქართველური მოსახლეობაც იგულისხმებოდა.

როგორც აღინიშნა, მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ აფსილები ქართველური ტომები იყვნენ. ამ შემთხვევაში ეთნონიმი „აფხაზი“ ჯერ კიდევ აფხაზთა საერისთავოში ქართულ-ქართველური მოსახლეობის გამოსახატავად გამოიყენებოდა, ხოლო იმის შემდეგ, რაც აფხაზთა სამეფო შეიქმნა, რომლის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენლნენ ეგრისელები და სვანები, ქართებთან ერთად ეთნონიმი „აფხაზი“ უკვე მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის გამოსახატავად გამოიყენება, „აფხაზი ნიშნავდა ამ დროს ამ რეგიონის მთელ მოსახლეობას“ (იქვე). მიუხედავად იმისა, ეთნიკურად თუ როგორი შემადგენლობისაა „აფხაზეთის სამეფო“, აფხაზი კონფესიური და კულტურული თვალსაზრისით ძველ საქართვე-

ლოში ქართველს წარმოადგენდა (ნ. ბერძენიშვილი). „...აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი: ... ამას ასე გრძნობდა იოანე მარუშის ძე ოთალო შარვაშის ძე და ცოტნელადიანი, კახაბერ გურიელი და ბექა ჯაყელი. ამას ასევე გრძნობდნენ კოხტას თავს შეთქმულნი და არავინ მათგანი სხვად არ გრძნობდა თავს თუ არა „საქართველოს შვილად“. სხვა ერთიანი ფეოდალურ-კულტურული ერთეული საქართველოში იმ დროს არ არსებობდა“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 608).

VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველო მოიცვა „აფხაზთა სამეფომ“, შეიქმნა ახალი სახელმწიფო, ისმის კითხვა: ჩამოყალიბდა თუ არა იქ ახალი ეთნიკური ერთობა – „აფხაზი ხალხი“. არა, არ ჩამოყალიბებულა, აფხაზთის სამეფო ქართველთა სახელმწიფო იყო, ხოლო აფხაზნი – ქართველები. ნ. ბერძენიშვილი ვრცელი მსჯელობის შემდეგ ასკვნის: „ამრიგად, არავითარი აფხაზი ფეოდალურ ეროვნების კონსოლიდაცია არ მომხდარა... არავითარი მეგრული ფეოდალური ეროვნება არ ჩამოყალიბებულა, არამედ თავისი ადგილი მან ფეოდალურ ქართულ ეროვნებაში იპოვა, იგივე ითქმის კიდევ უფრო მეტის საფუძველით, აფხაზეთზე: ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბებისათვის აფხაზეთს არც კოლონიური სახელმწიფოებრივი ტრადიცია გააჩნდა და არც რეალური სხვა საშუალებანი, სწორედ ამიტომ მოხდა „უცნაური“ ამბავი: აფხაზთა დინასტია სათავეში ჩაუდგა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შენებას, ქართული კულტურის სამსახურს“ (იქვე, გვ. 592).

მართალია, დასავლეთ საქართველო მოიცვა „აფხაზთა სამეფომ“, მაგრამ ის იყო არა აფხაზური სამეფო, არამედ ქართული. ამის მიზეზი ყოფილა ის, რომ ამ ქვეყანაში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, აფხაზ მეფეთა დინასტიამ შექმნა არა აფხაზური

სახელმწიფო, არამედ ქართული, ისინი აფხაზური სახელმწიფოს შემქმნელნი რომ ყოფილიყვნენ“... ბერძნულის ადგილას აფხაზური დამწერლობა უნდა გაეჩინათ, ე.ი. უნდა შეეძინათ ყველა ის ნიშანი, რომელიც ფეოდალურ ეროვნებას ფეოდალური სახელმწიფოთი ახასიათებს. აფხაზთა ისტორიული სამეფო ყოვლად უარყოფს აფხაზურ ფეოდალური ეროვნების კონსოლიდაციას“ (იქვე, გვ. 593). VIII-IX საუკუნეები ეს არის ეპოქა არა აფხაზი ეროვნების კონსოლიდირებისა ეგრისწყლის დასავლეთით, არამედ ეს იყო აფხაზეთის საბოლოოდ შედგომა ქართულ ფეოდალურ ეროვნებაში „საკონსოლიდაციოდ“ (იქვე, გვ. 591).

აფხაზეთის სამეფოში სახელმწიფო ენა, ოფიციალური, კულტურის თუ საეკლესიო ენა იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენა, დამწერლობაც ქართული, ამ სახელმწიფოში საერთოდ არავითარი კვალი არ არსებობს აფხაზური ენის რაიმე სფეროში გამოყენებისა, ისიც კი დაუდგენელია, საერთოდ არსებობდა თუ არა აფხაზური ენა ამ სახელმწიფოში, მის არსებობას არ ადასტურებს მატერიალური მასალები (ტოპონიმების შესახებ ქვემოთ ვწერთ).

აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ბირმველ ქართულ ქალაქში ქუთაისში იქნა გადატანილი. აქამდე დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში ფეხმოკიდებული ბერძნული ეკლესია აფხაზ მეფეთა დინასტიამ თაგის სახელმწიფოდან გააძევა და მის ნაცვლად იქ აღადგინა ქართული ეკლესიის ხველი იურისდიქცია. ბერძნული საეპისკოპოსოები ამავე დინასტიამ შეცვალა ქართულით, ხოლო ეკლესიებიდან გამევებული ბერძნული საეკლესიო ენის ნაცვლად აღდგენილ იქნა ქართულენოვანი ღვთისმსახურება.

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“... სომხურ წყაროებში ამ სახელმწიფოებრივ ერთეულს ეწოდება ეგრისის სამეფო, ხოლო

აფხაზთა მეფეებს ეწოდება „ეგრისელნი“, ანუ „მეგრელნი“, ტერმინი ეგრისელი აქ სინონიმია ტერმინის „აფხაზის“ (პ. ინგოროვა, დასახ. ნაშრ. გამ. 321).

სწორედ ამიტომ, აფხაზეთს ქართველები თავის სამშობლოდ, თავიანთ ქვეყანად მიიჩნევდნენ, გიორგი მთაწმინდელიც ამიტომ ამბობდა „ერთ წმინდათა თორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა ქვეყანასა ჩვენსა დამარტეულ არს – აფხაზეთს, რომელსა ნიკოფისი ეწოდების, ამათ წმინდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ“.

იყო თუ არა X-XI საუკუნეთა ქართველების თვალში აფხაზი სხვა ერის სხვა „ნათესავის“ ადამიანი՞? არა, არ ყოფილა. ქართველებისათვის აფხაზი „ნათესავით ქართველია“, მართალია, ერთ ქართულ თარგმანში გვხვდება ტერმინი „აფხაზი ნათესავით“, მაგრამ იყი ბერძნულ წყაროებში მოთხრობილ-გადმოცემული ამბის თარგმანია.

„...მეფემ იუსტიანემ მათთან ერთად სასახლის ევნუქთაგანი გააგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა და მისი საშუალებით აუკრძალა მათ, რომ ამიერითგან აღარავინ გაესაჭურისებინათ ამ ტომში“ წერს ევაგრე პროკოპის მიერ მოთხრობილს (გეორგიკა, 1936, ტ. III, გვ. 297). ქართველებს XI ს-ში ზემოთ მოყვანილი წინადადება ბერძენი ავტორისა ასე უთარგმნიათ - „...პალატას შინა იუსტინიანე მეფისასა იყო იყო ვინმე საჭურისი აფხაზი ნათესავით და ევფრატასახელის დებით, რომელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებად მათდა და აღთქმად ვითარებდ ამიერითგან არაცა ერთიცა ვინ ნათესავისა მათისგანი განხუებულ იქნეს მამაკაცობისაგან“ (იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 568).

ე.ი. ქართველებს VI ს-ის ავტორის „ტომით აბაზგი“ უთარგმნიათ როგორც „ნათესავი აფხაზი“, „ტომი“ – „ნათესავი“ სხვაგვარად თარგმნა შეუძლებელი იყო, ამიტომაც არასწორია

ნ.ბერძენიშვილის დასკვნა აღნიშნულ თარგმანზე: „აფხაზები XI საუკუნის ქართველის თვალში ცალკე ნათესავია, ნათესავის ნიშანი კი ენაა“ (იქვე, გვ. 568).

აფხაზები არც ქართველების და არც უცხოელების თვალში ქართველთაგან განსხვავებული არ ყოფილან.

მაგალითად, კოხტასთავის შეთქმულთაგან ერთ-ერთს – ცოტნე დადიანს ჩვენი მემატიანე აფხაზს უწოდებს, სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ დიდებულთა შეკრების შემდეგ – „უშორეს მყოფნი აფხაზნი – დადიანი ცოტნე და ბედიანი, ... და რაჭის ერისთავი ეს ყოველნი წარვიდეს კაზმად“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 215).

მემატიანესათვის დადიანი, ბედიანი და რაჭის ერისთავი აფხაზები არიან, თუმცა კი მათ ეთნიკურად მემატიანე იქვე ქართველებს უწოდებს, ისე როგორც იქ შეკრებილ საქართველოს ყოველი კუთხის წარჩინებულს – წარჩინებულს – „ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთაო“ – წერს ის. ასევე მონღოლებიც „ქართველებს“ უწოდებენ ანისში პატიმრად ჩაყვანილ აღნიშნულ წარჩინებულებს, ცოტნე დადიანთან ერთად. ანისში ჩასვლის შემდეგ მონღოლები ასე ბჭობენ: „ვინაიდან ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა სული თავისი მოყვასისათვის დადოსო“ (იქვე, გვ. 917). აქედან ჩანს, რომ მონღოლებისთვისაც კი ცნობილია, რომ აფხაზეთიდან მოსული კაცი ეროვნებით აფხაზი კი არაა, არამედ „ნათესავით ქართველია“ – ამიტომაც ის ტყუილს არ იტყყვისო.

მემატიანისათვის „აფხაზი“ – ეთნიკურად ქართველია, ეს ცნობილია არა მარტო ქართველი საზოგადოებისათვის, არამედ მონღოლთათვისაც.

აფხაზეთის ტოპონიმები

ქართულ ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებაში შემუშავებულია ჰიპოთეზა, რომლის თანახმად აფხაზურ-ადილურ-ჩერქეზულ ტომებს ერთ დროს ეკავათ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ტერიტორია, მათ საცხოვრისად ძირითადად იგარაუდება გურია-სამეგრელო. ვარაუდი დამყარებულია ონომასტიკის მონაცემებზე, კერძოდ, ტოპონიმიკურ, ე.ი. გეოგრაფიულ სახელწოდებათა მონაცემებზე, რომლებსაც აფხაზურადილურ-ჩერქეზული ენობრივი სამყაროს კუთვნილებად მიიჩნევენ. დაწყებული ნ. მარიდან ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ქ.ლომთათიძე და სხვები ფიქრობდნენ, რომ სახელწოდებანი, რომლებშიც გამოიყოფა -ფსა, -ყვა (-ხვა, -კვა, -ქვა) და -ფა ბოლოკიდური ელემენტებისწორები ზემოხსენებული ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა (ლ.სულამანიძე, ე.წ. აფხაზურადილურ-ჩერქეზულ ელემენტთა შესახებ ქართველურ საკუთარ სახელებში, ქ. „განთიადი“, გვ. 131).

პავლე ინგოროვაშ შეისწავლა აფხაზეთის გეოგრაფიული ძველი სახელები, რომლებიც მოხსენებულია საისტორიო წყაროებში ანტიკური ხანიდან და შუა საუკუნეებიდან და დაასკვნა: „ყველა ეს სახელწოდებანი, როგორც გაირკვა, ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის“ (პ.ინგოროვა, გიორგი მერჩულე, გვ. 146).

მიუხედავად იმისა, რომ პავლე ინგოროვაშ აფხაზეთის მხარეთა ტოპონიმების ქართულობა მეცნიერული კვლევა-ძიებით დაადასტურა, ჩვენ შეგვეძლო არ დავთანხმებოდით მას, მაგრამ პავლე ინგოროვას დაბადებამდე აფხაზეთის ტოპონიმების ქართულობას ადასტურებდნენ თვით აფხაზები, აფხაზეთის ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები, 1870 წელს შედგენილ ძალზე ოფიციალურ „მოხსენებით ბარათში“, რომელიც მათ წა-

რუდგინეს გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის. კერძოდ, ისინი წერდნენ: «**ყყყყყყყ ყყყყყ ყყყყყყყყყყყ ყყყყ**
ყყყყყყყყყყყ ყყყყყყყ ყყყყყყყყყყყ ყყყყ
ყყყყყყყყყყყ ყყყყყყყ ყყყყყყყყყყყ ყყყყ
ყყყყყყყყყყყ ყყყყყყყ ყყყყყყყყყყყ ყყყყ», («**ყყყყყყყყყყყ ყყყყყყყ ყყყყყყყყყყყ ყყყყ**
ყყყყყყყყყყყ ყყყყყყყ ყყყყყყყყყყყ ყყყყ
ყყყყყყყყყყყ ყყყყყყყ ყყყყყყყყყყყ ყყყყ
ყყყყყყყყყყყ ყყყყყყყ ყყყყყყყყყყყ ყყყყ», გაზ. „სახ. განათლება“, 23 ივნისი, 1990 წელი).

ცხადია, ისინი მხოლოდ აფხაზეთის ადგილთა გეოგრაფიული სახელების ქართველობის შესახებ წერენ, ამაში დარწმუნება შეუძლია აღნიშნული მოხსენების წამკითხველს. ამასთან ერთ-ად, დეპუტატებს შეეძლოთ საერთოდ არ ეხსენებინათ აღნიშნული ფაქტი, რადგანაც ამის გარეშეც ადვილად მიაღწივდნენ თავი-ანთი მისწრაფების განხორციელებას. ამ შემთხვევაში ისინი მოუსყიდველი მოწმეები არიან.

მაშასადამე, აფხაზეთის ტოპონიმების „დიდი ნაწილის“ ქართულობას პავლე ინგოროვამდეც მიაქციეს ყურადღება და მის შემდეგაც მრავალი მკვლევარი წერდა ამის შესახებ.

პავლე ინგოროვა წერს, რომ აფხაზეთის „ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერც ცერთ სახელწოდებას, რომელიც იხსნებოდეს ჩერქეზული ჯგუფის ენით. ამის მიხედვით სრულიად აშკარა ხდება უსაფუძვლობა იმ შეხედულებისა, რომელიც ამ მხარის ძირითად მოსახლეობას ჩერქეზულ შტოს მიაკუთვნებდა. ამრიგად, გეოგრაფიული სახელწოდებანი იძლევიან სრულიად გარკვეულ ჩვენებას იმის შესახებ, რომ თუ ვინ იყო ბინადარი მკვიდრი“ (იქვე, გვ. 146).

3. ინგოროვება აანალიზებს აფხაზეთის ყველა ტოპონიმს, რომელიც კი უძველესი დროიდან ანტიკურ თუ სხვა წყაროებშია ნახსენები, მათი ქართულობა თვალნათელია (იქვე, გვ. 146-188).

აფხაზეთის უძველესი მოსახლეობა ხეებს, მცენარეებს სცემდა თაყვანს – პროკოპი კესარიელი, VI საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი მწერალი, წერდა მათ შესახებ: „ეს ბარბაროსები ჩვენს დრომდესაც თაყვანს სცემენ ჭალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროზს რაღაც გულებრყვილობის გამო ლმერთებად წარმოუ-

დგენია“ (გეორგიკა, ტ. 2, 1965, გვ. 133). ძველი აფხაზების ამ წარმოდგენას ასახვა უპოვია ტოპონიმიკაშიც, სახელები ზოგიერთი ქალაქისა თუ დასახლებული პუნქტისა ხის სახელებთანაა დაკავშირებული და, როგორც წესი, ქართულ ენობრივ სამყაროს უკავშირდება. ასეთებია, მაგალითად, სოჭი, აჭანდარა, გაგრა (გაგრი), ბზიფი, წიბელა, ცხუმი, ბიჭვინთა. მც-ენარეულ სამყაროს უკავშირდება მერხეული, ტყუბუნი და სხვა.

„სახელწოდება ქალაქისა სოჭი დაკავშირებული ხის სახელთან – სოჭი“ (იქვე, გვ. 160).

აჭანდარა – „მცენარეულობის კულტის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად აფხაზეთში ითვლებოდა სწორედ ეს სოფელი ჭანდარი (აჭანდარა... სოფელს ჭანდარისაგან მიუღია სახელწოდება). აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ სიტყვა ჭანდარი უცნობია ჩერქეზული მტოს ენაში ... გარდა სოფელ ჭანდარისა, მცენარეთა თაყვანის ცემის წარმართული კულტის მეორე მთავარი ცენტრი ყოფილა ბზიბის ხეობისა და ბზის ნაკსადგურის მხარეში ... ხოლო ყველაზე უძველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი მცენარეთა თაყვანისცემის წარმართული კულტისა ისტორიულ წარსულში იყო ბიჭვინთა, სადაც არის განთქმული ფიჭვის ხე, რომელიც რელიგიურ სიწმინდედ ითვლებოდა და საიდანაც მიუღია სახელწოდება ამ პუნქტს – ბიჭვინთა“ (იქვე, გვ. 161).

„გაგრა – ცნობილი ზღვისპირა კურორტია, ღულიე (XVIII ს.) მას „გაკრა“-ს უწოდებს – ეს არის იგივე სვანური სიტყვა „გაკრა“, რაც ნიგვზნარს ნიშნავს, გაგრა – ბიჭვინთის ტერიტორიაზე დღესაც ერთ ადგილს „ორეხოვაია როშჩას“ ეძახიან“ (თ. მიჩბუანი, დასახ. ნაშრ.).

„ბზიფი – ბზიბი – „სახელწოდებანი ბზიფის (ბზების) ხეობისა და მდინარისა, ასევე სახელი სოფლისა ბზიბი (ბზები), ქართული წარმოშობისაა და დაკავშირებულია სახელთან ბზა (პ. ინგოროვა, გვ. 149).

წებელდა - ძველი სახელია წიბელი, წიბელთა „...დაკავშირებულია ხის სახელთან: წიბელი, იგივე წიფელი ... სიტყვა წიბელი (წიფელი) მეგრულ-ლაზურში გამოითქმის როგორც წიფური, ამ სახით არის წარმოდგენილი გეოგრაფიულ სახელებშიც“ (იქვე, გვ. 153).

ცხუმი - სოხუმის უძველესი სახელი: „მკვლევარები მას უკავშირებენ სვანურ სიტყვას – „ცხუმ“ – რცხილა“ (თ. მიჩუანი). რცხილას მეგრულად – ცხუმური ეწოდება.

რცხილას დასავლურ დიალექტში ცხმელა ჰქვია. ცხმელის ხე მართლაც საკულტო ხედ იყო ცნობილი დასავლურ ქართულ ტომებში. ერთ-ერთი დღესასწაულის დროს – „საგანგებოდ ამ დღისათვის იჭრებოდა ცხმელის შეშა“ (ლ. ჭანჭალეიშვილი, კალანდობა გურიაში“ – ეთნოგრაფიული ძიებანი, 1988, გვ. 77). იმის გამო, რომ ცხმელა – საკულტო ხე იყო, „გურიის სოფლებში მოსახლეობას თავის კარ-მიდამოში ჰქონდა ცხმელის ხეები, უმეტეს შემთხვევაში ეს ხეები წრიულად იყო განლაგებული, სადაც ჭურები იყო ჩაფლული, აქვე იყო მარანი“ (იქვე, გვ. 77, შენიშვნა 6). ცხმელას ძველი ფორმა შეიძლება იყო ცხომელა, აქედან ცხომი, ყოველ შემთხვევაში მისგან ნაწარმოებ ქართულ ტოპონიმს იცნობს VII საუკუნის სომხური გეოგრაფია შიდა ქართლში, კერძოდ, ამ გეოგრაფიის მიხედვით, თანამედროვე ცხინვალთან ყოფილა მხარე – ცხუმარეთი. „სახელწოდება ცხომი, ცხუმი, როგორც ჩანს, მისი გრამატიკული გაფორმებიდან ქართული წარმოშობისაა... შეადარეთ აგრეთვე გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: ცხუმარი, ანუ ცხმარი (სახელი თემისა სვანეთში), ცხმორი (რაჭაში), ცხმორისი (აჭარაში), ცხომარეთი (იმერეთში)... სახელწოდება მხარისა „ჩხუმი“ (პ.ინგოროვა, გვ. 147).

ბიჭვინთა – „სახელწოდება ამ პუნქტისა ფიჭვის სახელთან არის დაკავშირებული, როგორც ცნობილია, ბიჭვინთაში

მდებარეობს განთქმული ფიჭვის ტყე, რომელიც საღმრთო ტყედ ითვლებოდა. სახელწოდებაში – ბიჭვინთა ფუძე სიტყვა „ბიჭვი“ იგივეა, რაც ფიჭვი“, რაც შეეხება დაბოლოებას („ნთა“), ეს არის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჩვეულებრივი ქართული ფორმანტი“ (იქვე, გვ. 148).

მერხეული – სოფელი გულრიფშის რაიონში – „ტოპონიმი მომდინარეობს სვანური სიტყვიდან „მერხელ“ (ჭინჭარი). ჭინჭარი აქ დღესაც ფართოდ გავრცელებული მცენარეა“ (თ. მიჩბუანი).

უძველეს წყაროებში პ.ინგოროვას მიერ მოძიებულ ქართულ ენობრივი სამყაროსადმი მიკუთვნებულ 136 ტოპონიმიდან ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე მოვიყვანეთ თვალსაჩინოებისათვის, რომელიც ადასტურებენ, რომ უძველესი მოსახლეობა აფხაზეთისა იყო ქართულენოვანი, ასევე დარჩენილა ის დიდი ხნის მანძილზე, ჩრდილოკავკასიური ტომების ჩამოსახლებამდე – მაგალითად, თანამედროვე ჰიდრონიმები მდინარეებისა ენგურ-ლალიძეას შორის – საერთოდ მხოლოდ ქართველურია. ჰიდრონიმები ლალიძეა-კოდორს შორის – აბსოლუტურად ქართულია, ჰიდრონიმები კოდორ-გუმისთას შორის ძირითადად კვლავ ქართულია (განხილული 8 ჰიდრონიმიდან მხოლოდ ერთი ყოფილა აფხაზურ-ადიღეური ფუძით, შვიდი კი ქართველურით), ჰიდრონიმები გუმისთა-ბზიფსა და ბზიფ-ფსოუს შორის შერეულია. აქედან ჩანს, რომ ჩამოსახლებულების ძირითადი მასა სწორედ აღნიშნულ კუთხებში ცხოვრობდა და მთელი აფხაზეთიც კი არ მოუცავს (გიორგი ფიფია, „აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხის გამო, გაზ. სახ. განათლება, 5 ივლისი, 1990 წ.), თუმცა კი, პოლიტიკურად ენგურამდე ბატონობდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ტოპონიმიკა იძლევა საფუძველს უძველესი აფხაზეთის მოსახლეობა ქართველურენოვნად მივიჩნიოთ, დასავლეთ საქართველოში არსებული აფხაზურ-ჩერქეზულად მიჩნეული სულ რამდენიმე ტოპონიმზე დაყრდნობით არათუ

აფხაზეთის, მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ერთ დროს აფხაზურ-ადილური ტომების მიერ დაკავებულად გამოცხადდა - „ქართულ ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებაში ს. ჯანაშიასა და არნ. ჩიქობავას მიერ დამუშავდა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც აფხაზურ-ადილურ ტომებს ერთ დროს მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ეკავათ. „დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში – წერს არნ. ჩიქობავა – არ არის შემთხვევითი ისეთი ადილური ელემენტების არსებობა, როგორიცაა სუფსა, აჭყვა (მდრ. აჭის წყალი), მაღლაყვა, აკამფსისი (ჭოროხის ძველი სახელწოდება) და არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებენ აფხაზურ-ადილური ტომები“. ქ.ლომთათიძე ეხება რა ტოპონიმიკურ მასალას, წერს, რომ „ს. ჯანაშიამ დაადგინა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზულ ტომთა ოდინდელი არსებობის ფაქტები“. პ.ინგოროვას სრულებითაც არ მიაჩნდა ეს დადგენილად. „საერთოდ უნდა აღინიშნოს, – წერდა პ. ინგოროვა, რომ არ შეიძლება გამოტანა ასეთი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნებისა, რომლებიც ხალხის ისტორიის ძირითად საკვანძო საკითხს ეხება – ასეთის საბუთიანობით, სულ რამდენიმე სიტყვის (არსებითად სამი სიტყვის) საეჭვო ეტიმოლოგიზაციის საფუძველზე“. მთელი კატეგორიულობით უნდა ითქვას, რომ პ. ინგოროვა ამ შემთხვევაში მართალია. ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ აფხაზურ-ადილური ტომები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წინ უსწრებდნენ ქართველურ ტომებს, ემყარება სულ ოთხი სიტყვის (სხვები მათი ანალოგიურია) საეჭვო ეტიმოლოგიას. ესენია სუფსა, აჭყვა, მაღლაყვა, აკამფსისი“ (პროფ. გ. ნებიერიძე, იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზა... სახ. განათლება, 26.IV 1990 წ.). პროფესორის მტკიცებით, აკამფსისი არის არა ჩერქეზული, არამედ ბერძნული წარმოშობის სიტყვა

„...თავიდან ბოლომდე ბერძნულია და მასში ჩერქეზული „ფსა“ ელემენტის გამოყოფა აშკარა შეცდომაა, ბერძნულში კი „ფს“ კომპლექსი გავრცელებულია იმდენად, რომ მისთვის დამწერლობაში სპეციალური ასოც კი არსებობს... ჰიდრონიმი სუფსა როგორც ჩანს საერთოდ გვიანდელია, ფლავიუს არიანე (95-175) ამ მდინარეს „მიგროს“ უწოდებს“ (იქვე, გვ. 15).

პ. ინგოროვა სხვაგვარად განიხილავს ამ საკითხს, კერძოდ, მან გამოიკვლია, რომ ქართულ ენაში სიტყვა ფას-ი, ფს-ი (აქედან ფას-ისი, ფს-ის-ი) ძირძველია და აღნიშნავდა ცნებას „წყალი“. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ ფუძეს მრავალგვარი განშტოება მოეპოვება ქართულში – „ფშა“, რაც ნიშნავს წყალს, წყაროს, „ფშანი“ – დიდი ფშა „მრავალ ფშა“, წყარო მდინარე, „ფშა-ტალა“ – „წყალი თოვლნარევი“ „ფორი“, „ფოსვი“ წყლოვანი ღრუმელი, „ურინას“ სახელი ქართულად ფ(ა)სელი, საიდანაც უდავოდ დასტურდება, რომ ფუძე ფას//ფს აღნიშნავდა ცნებას წყალი, მეგრულ დიალექტზე ტერმინი „ფსია“, მიემართება ადიდებულ მდინარეს, სახელწოდებანი ზემოთ ჩამოთვლილი მდინარეებისა და კერძოდ, კოლხეთის მთავარი მდინარისა ფას-ი, ფას-ისი, არა უცხოური წარმოშობისაა, არამედ ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის (პ.ინგოროვა, დასახ. ნაშრ., გვ. 185).

ამის გამო, პ.ინგოროვა აღნიშნულ და სხვა მდინარეთა სახელებს, რომელთა ფუძეშიც „ფს“ გვხვდება, ქართული წარმოშობის ჰიდრონიმებად მიიჩნევს – ფსისი (რიონი), აკამფსისი – აკამ-ფასისი, ლაგუმფსა – ლაგუნ-ფშა და სხვა.

პ.ინგოროვას სისწორეს, რომ „ფს“ ფუძე ქართულში ძველ დროს მართლაც წყალს აღნიშნავდა, ადასტურებს სხვა მაგალითებიც. მაგალითად, გურულ დიალექტში „ფსორი“ ნიშნავს მოგროვილ წყალს, „ფსორი“ – გუბე (მიხ. ჩიქოვანი, „საიდუმლო ხალხური ენა“ – „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934, გვ. 64).

ასევე ითქმის ფუძე „ყვას“ შესახებ.

„ს.ჯანაშიას მტკიცებით, ყვა-ზე (მდ. აგილაყვა, მდ. აჭყვა, მდ. მალთაყვა, ბოყვა, აბჟაყვა, ბერეყვა და სხვა) და ფსა-ზე (სუფსა და სხვ.) დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები ჩერქეზული წარმოშობისა არიან“ (შ. მესხია, სიმონ ჯანაშია, 1950, გვ. 45).

ჩვენი აზრით, ყვა, ისევე როგორც ფსა- უძველეს ქართულში (ან ფუძე ქართულში) აღნიშნავდა წყალს, მდინარეს.

უფრო ზუსტად, „ყვა“ წარმოადგენს ნაშთს ერთი ფუძისას, რომლის განხილვამდეც უნდა ითქვას, რომ ქართველურ ენებში დამახსასიათებელია ხმოვან „ო“-ს გადასვლა ვა-ში ან უ-ში, ანდა პირიქით, ვა-ო-უ, მაგალითად, ქართული „ცხვარი“, ძველქართულად „ცხორი“, მეგრული „შხური“, ჯვარი – ჯუარი (ძვ. ქართ.). – ჯორი (მთის დიალექტი), მკვახე – მკუხე (დიალექტი); წვიმა – წუმა (ოქრ. დიალექტი), თვალი – თოლი (მთის დიალექტი), ყვავი – ყოვი, მეგრული დიალექტით, „წყუ“ – ნიშნავს წყალს, წყაროს, ჩხოროწყუ – ცხრაწყარო, წყურგილი – წყუ-რგილი – წყარო გრილი („რგილი“ – გრილი), წყუზამელა – მდინარის სახელია, „ფუძე სიტყვა – „წყუ“ ნიშნავს წყალს, წყაროს“, – წერს პ. ინგოროვა (იქვე, გვ. 179).

წყურ ძველქართულშიც წყალთან იყო დაკავშირებული, ეს ჩანს სიტყვა „რწყვა“-ში, „წყურვილი“, წყურ-წყარ-წყალ.

თუ გავიხსენებთ „უ“-ს გადასვლას „ვა“-ში, მაშინ იქნება „წყურ-წყვარ“ (აქედან უნდა იყოს „რწყვა“). „წყვარ“ – ჩანს მარტივდებოდა და რჩებოდა „ყვა“ წყლის აღსანიშნავად, ყოველ შემთხვევაში წყლის ცხოველ-ამფიბიას ძველქართულად მ-ყვარი (ბაყაყი) ეწოდებოდა, წყალი ჩაფლას – „ყვი-ნთვა“.

ჭყურ – ჩანს მარტივდებოდა და გვაძლევდა „ყურ“-საც. „ყურ“ – წყალს აღნიშნავდა, ამის მაგალითია ის, რომ არსებობს წყალთან დაკავშირებული ქართული გამონათქვამი, „ყურჭვა“, „ყურჭვა“, „ყურჭუმალი“, „ჩაყურყუმალდება“, „ჩაიყურყუმალა“ – ყველა

ამ სიტყვით გადმოიცემა წყალში თავის ჩაყოფის პროცესი, ყვინთვა წყლის სტიქით გადაფარვა ადამიანისა, ეს სიტყვა ძველ საბუთებშიც იხმარება, მაგალითად, ერთ XV საუკუნის საბუთში – „რამეთუ მაგან ოდენ იყურჭუმ ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისლებისა“, – ამბობენ ათაბაგ მზეჭაბუკზე (ქრონიკები, II, გვ. 317), იყურჭუმა – ე.ი. ნათლობის წყალში ჩაეფლო. არსებობს უზომოდ წყლის სმის აღსანიშნავად სიტყვა – „ჭყურტვა“.

„ჭყურტი“ ხალხური მეტყველებით წყლის ავადმყოფობას, წყალმანკს ეწოდება, ზოგჯერ ამ სიტყვით დიაბეტს – იმ ავადმყოფობას აღნიშნავდნენ, რომელიც წყალს ასმევს ადამიანს; „ყურ-ჭა“ – ბანაობისას წყლის ყლაპვა ბლომად.

საბას განმარტებით, „წყურტი სნეულება ... მრავალწყალსა ასმევს კაცსა“ . იგივეა – „ჭყურტი“, ჭყურტვა-დაწაფებით სმა (ი. მაისურაძე), ჭყუმპალაობა-ბანაობა, „წყუმპლი“ – წვეთია.

ზემოთ მოყვანილით იმის თქმა გვსურს, რომ ფუძე „ყურ“ (ზოგჯერ „წ“ თავსართით, ზოგჯერ კი უმისოდ, არსებითად და მთავარი. მაგ.: – „ყურჭუმი“ აღნიშნავს წყალს, წყალთან დაკავშირებულ ქმედებას. ზოგჯერ აღნიშნულ ფუძეს ბოლოსა-რთი „რ“-ც შორდება „ჩხოროწყუ“, მქსხეთში ბევრი ჰიდრონიმი და ტოპონიმი უკავშირდება ყურ, ყვარ, ფუძეს, მაგ. წყურთი, აწყური, წყორძა, აწყვიტა, ყვიბისი, ტაბაწყური და სხვა (ყველა სოფლის სახელებია), ამ ფუძეს „წ“ თავსართი ჩანს ზოგჯერ გადადიოდა „ს“-ში, ხოლო „ყ“ – „პ“-ში. აქედან სკურ-წყურ. საზოგადოდ სიტყვა სკური – საქართველოში წყალთან ყოფილა დაკავშირებული და მის მიხედვით შექმნილია ტოპონიმებიც – ყოფილან სოფლები სახელწოდებით „სკურია, სკური, სკურდიდი, სკურა, სკურდი – ხობის, წალენჯიხის, ბათუმის, ქობულეთის, ცხაკაის რაიონებში, მდინარე სკურჩა, ბათუმსა და აფხაზეთის მხარეებში, მდინარე წყუზამელას ასევე რქმევია – სკურჩაც და ასევე მარმარის წყალიც.

მდინარე „მტკვარი“-ს სახელი, ჩანს, უკავშირდება ამ ფუძეს - წყურ-სკურ-კურ-კვარ-მტკვარი.

მდინარე კორაქესის სახელი სკურ-კურ ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს.

„დიოსკურია... დიოსკურიის ყურესთან ახლოს ზღვაში ჩადის მდინარე კელასური. მისი სახელწოდება აგრეთვე წარმოდგება ზანური სიტყვებისაგან „კელე“ და „სკური“. პირველი სიტყვა ნიშნავს „მოკლეს“ და მეორესთან ერთად ქმნის ცნებას - „მოკლე მდინარეს“ (კელასური)... ტოპონიმები, ომლებიც შეიცავენ ელემენტებს „სკური“, გვხვდება ხშირად და მოიცავენ იმ ტერიტორიას, სადაც ძველად ცხოვრობდნენ ზანები და მათი ენა ვრცელდებოდა. აი, ზოგიერთი ამ პუნქტებიდან, ჩვენი ქვეყნის ფარგლებში მყოფი: 1. სკურჩა... 2. ქუსკური – ოჩამჩირის რაიონის სოფელ აქუასკეს ძველი სახელწოდება. სიტყვის მნიშვნელობაა ქვის წყარო, ქუა – ქართულად – ქვა; 3. სქური – განთქმული სამკურნალო წყალი, წალენჯიხის რაიონში, მდებარეობს მდინარე აშანოს ღელეს ხევში, მდინარე ჭანისწყლის მარცხენა შენაკადი; 4. სკურის ციხე – ჭანისწყლის ნაპირზე მდებარე შუა საუკუნეების ციხე; 5. სკურია – სოფელი სენაკის რაიონში, მდინარე ცივის ხევში; 6. სკურდი – სოფელი მარტვილის რაიონში, მდებარეობს მდინარე აბაშის ნაპირზე; 7. სკურდიდი – სოფელი აჭარის ხელვაჩაურის რაიონში, მდებარეობს ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე; 8. ყურდიდი – მდინარე აჭარაში, მდინარე მაჭახელას წყლის მარცხენა შენაკადი; 9. სკურა – სოფელი ქობულეთის რაიონში, მდებარეობს მდინარე ოჩხამურის ნაპირზე“ (გ. ფიფია, აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხებისათვის, გაზ. „სახალხო განათლება“, 8.III. 1990 წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ წყურ-წყარ-სკურ, ყურ სინონიმურ მნიშვნელობას იძენენ და წყალს აღნიშნავენ, ყურე – წყლის, გუბის აღსანიშნავად გამოიყენება, „ყუა, ანუ ყურე

- ნავმისადგომის, ნავმისაბმელის სინონიმია“ (გ. რუხაია, ორი ტოპონიმი, გაზ. სახ. გან., X.89 წ.).

ყურ-ყუა-სგანაა ნაწარმოები წყლის ცხოველის დასახელება მ-ყვა-რი, თუ წყალთან დაკავშირებული ტოპონიმები - აჭყვა თუ მალთაყვა, წყალთან დაკავშირებული ქმედება - ყვინთვა და სხვა მრავალი. ქალაქ ცხუმის ერთ-ერთ ციხეს და, ჩანს, მის უბანსაც ქართული სიტყვა - „აყუ“ რქმევია, ამის დასამტკიცებლად ჩვენ გვაქვს მე-18 საუკუნის რუკა სოხუმისა. მასზე ნაჩვენებია „ნავსაყუდელი“, ქალაქის ციხეები და სხვა შენობები, ამ ციხის გეგმაში მოთავსებულია განმარტებითი სახის წარწერა - „ცხუმის ციხე, ქართულად აყუ ქვიან, ორთულიანი ფაშა ზის 1723...“ (პ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII ს-ში, 1982, დართული რუკები). ე.ი. ქალაქ ცხუმის ერთ-ერთ ციხეს აქვს თავისი სახელი „აყუ“ (ისევე როგორც, ვთქვათ, თბილისის ერთ-ერთ ციხეს მეტეხი ჰქვია) და ეს სიტყვა „აყუ“ - ქართული წარმოშობისაა ამ რუქის შემდგენელ ქართველ გეოგრაფთა აზრით.

მაშასადამე:

წყურ-ყურ-ყუ

წყურ-წყუ-წყვა-ყვა

წყურ-სყურ-სკურ-კურ

აღნიშნული ფუძეებით ფუძე ქართული ენიდანაა ნაწარმოები - ტოპონიმები მალთაყვა, აჭყვა და სხვანი, ამიტომაც ს.ჯანაშიას და სხვათა თეორიები, რომ „ყვაზე“ დაბოლოებული ტოპონიმები ადიღურ-ჩერქეზულია, არასწორია. ეს დაბოლოებანი ქართულია. ასევე უნდა ითქვას, რომ თურქ მოგზაურ ე.ჩელების მიერ მოხსენებული მდინარე „ფაშ“, რომლის იქითაც ისმოდა არა მეგრული ენა, არამედ ადიღური (ჩერქეზულ-აბაზური), არის არა მდინარე ფასისი და მისი ქალაქი ფოთი, როგორც ფიქრობდა ცნობილი მეცნიერი ჰიუიტი და ასევე ქართველი მეცნიერები, არამედ არის სანავსადგურო ქალაქი „ფშადი“ კოდორის ხეობის

არეალში, რომლის ნაშთია დღესაც არსებული ტოპონიმი ფშავე - სწორედ მდინარე კოდორს უნდა გულისხმობდეს ჩელები და არა მდ. რიონს, რადგან არა ფოთი წარმოადგენდა მის დროს ნაგსადგურს (დაჭაობების გამო), არამედ კოდორის შესართავში არსებული ნაგსადგურები. ამ კოდორის (ფაშ-ის) იქით აღრა ისმოდა უკვე მეგრული ენა ჩერქეზ-აფხართა შემოსევების გამო და ეს მდინარე ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენდა სამეგრელოსთვის XVII ს-დან.

გვეთ იბერიის. ან აფხაზეთის საგათაღიძობოს

ქრისტიანობა სრულიად საქართველოს ყოველ კუთხეში, მათ შორის აფხაზეთში, იქადაგეს ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მოციქულებმა - მოწაფეებმა. კერძოდ, ქართული ოფიციალური ეკლესია საქართველოში ქრისტიანობის შემომტანად თვლიდა არა მარტო წმიდა ანდრია მოციქულსა და სიმონ კანანელს, არამედ ბართლომე და თადეოზ მოციქულებსაც. ყოველ შემთხვევაში, დიდი ჩამოლოცვის, „ლიტანიის ლოცვისას“ (პურის კურთხევა), სხვა დიდი ლოცვების დროს, როგორც წესი, მათ ასე იხსენიებდნენ მღვდელმთავრები: „...წმიდათა დიდებულთა და ყოვლად-ქებულთა მოციქულთა; წმიდათა მოციქულთა ანდრია პირველ-წოდებულისა, სიმონ კანანელისა, ბართლომე და თადეოზისა, და წმიდათა მოციქულთა-სწორისა ქართველთ განმანათლებელისა ქალწულისა ნინოისა...“ (სამღვდელმთავრო კონდაკი 1890 წ. გვ. 8). ამ დროს, როგორც წესი, იხსენიებოდა არა თორმეტივე მოციქული ჩვენი მაცხოვრისა, არამედ მხოლოდ

ისინი, რომელთაც ქართულ ეკლესიასთან პქონდათ კავშირი, ასეთებად კი თვლიდნენ მოციქულებს – ანდრიას, სიმონ კანანე-ლს, ბართლომესა და თადეოზს. ასეთი იყო ოფიციალური მიდგომა. მაგრამ არსებობენ ცნობები და წყაროები, რომელნიც მიუთითებენ, რომ მათ გარდა საქართველოში თომა და მატათა მოციქულებსაც უქადაგნიათ, ხოლო პონტოს, კაბადოკიასა და მცირე აზიაში მცხოვრებ ქართველთა შორის პეტრე და იოანე მოციქულებსაც კი უქადაგნიათ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობა ქართულ მიწა-წყალზე. ის აფხაზეთში ჩავიდა აღმოსავლეთ საქართველოს (მესხეთის, ქართლის) გავლის შემდეგ. მას წყაროები უწოდებენ კლარჯეთისა და მეგრელების მომაქცეველს ქრისტიანულ სჯულზე. „ტექსტებში, რომელნიც მიეწერება დოროთეოს ტვირელს (III ს-ის დასასრულის ავტორს) და ეპიფანე კვიპრელს (IV ს-ის II ნახევრის ავტორს), მოიპოვება შემდეგი ცნობა ანდრია მოციქულის მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ საქართველოში: „ანდრია ... მივიდა დიდ სებასტოპოლიში, სადაც არის აფხარის ციხე-სიმაგრე („პარამბოლე“ – ჯარის „ბანაკი-საყოფელი“)... და მდინარე ფასი-სი, სადაც ცხოვრობენ უშინაგანესი ეთიოპი (კოლხი)...“, ამ ცნობაში აღნიშნულია სამი პუნქტი, მოხსენებულია სამი კუთხე: ა) ჩრდილოეთ კოლხეთი, ანუ აფხაზეთი, რომლის მთავარი ცენტ-რი იყო „დიდი სებასტოპოლისი“ (ცხუმი); ბ) სამხრეთ კოლხეთი, ანუ ჭანეთი, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით სანეთი (სოსანეთი, სოსანიგეთი), რომლის მთავარი პუნქტი იყო ძველი ციხე-ქალაქი აფხარი (ჭოროხის სამხრეთით) და შიდა კოლხეთი (ცენტრალური კოლხეთი) – მდებარე მდინარე ფასისზე (რიონზე)... ანდრია პირველწოდებულის თანამოღვაწისა და თანამგზავრის მატათა მოციქულის შესახებ მეორე ტექსტში აღნიშნულია: „მატათამ ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში

(კოლხეთში), სადაც არის აფხარის ციხე სიმაგრე და პვისის ნავს-ადგური ... იქვე გარდაცვლილა და დამარხულა დღემდე“ (პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, გვ. 224).

ანდრია მოციქულის შესახებ თხზულება VIII საუკუნის ავტ-ორისა ეპიფანე კონსტანტინეპოლელისა შემდეგ გამოიყენა ექვთ-იმე მთაწმინდელმა, რომლის მიხედვითაც საქართველოში ანდრ-ია მოციქულმა რამდენჯერმე იქადაგა, კერძოდ, პირველი ქადაგების დროს ის მივიღა ქალაქ ტრაპიზონში, აქედან კი გადავ-იდა იბერიაში, მეორე მოგზაურობის დროს კვლავ ტრაპიზონი და სამხრეთ ქართული ქვეყნები მოიარა, მხოლოდ მესამე მოგზაურობისას გადასულა ის დასავლეთ საქართველოში, შე-სულა აფხაზეთში და იქიდან კი ჩრდილოეთის ქვეყნებში. „მესამე მოგზაურობის დროს – გადმოგვცემს გეოგრაფი, ანდრია და მი-სნი თანამოღვაწენი მატათა და სიმონ კანანელი მოწაფეებითურთ ჩავიდნენ იბერიაში და ფასისში“. ექვთიმე მთაწმინდელის ქარ-თული ვერსიით: „მოიწივნეს ქვეყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარემდე ჭოროხისასა აქედან მოციქულნი გადასულან მხარეში ... სოსანიგეთი“. ეს არის, როგორც გამორკვეული გვ-ქონდა, სანების, ანუ სანიგების მხარე... მატათა თავისი მოწაფეებით დარჩა ამ მხარეში, სოსანეთში (...სოფრონის ცნობით, მატათა, ამ მხარეში, მისიონერული მოღვაწეობის შემდეგ, აქვე გარდაიცვალა. მისი დასაფლავების ადგილად დასახელებულია აფხარი)“ (იქვე, გვ. 226).

სამხრეთ საქართველოდან, ეპიფანე კონსტანტინეპოლელის თანახმად, ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი და მათი მოწაფეები მისულან „ალანიაში და ქალაქ ფუსტაში“ (ფუსტა მდებარეობდა აფხაზეთის მთიანეთში – მხარეში, რომელსაც მი-სიმიანეთი ერქვა). „ალანია“ ერქვა თანამედროვე აფხაზეთში დალის ხეობის მომიჯნავედ მდებარე მთიან მხარეს. ფუსტადან, ჰაგიოგრაფიის ცნობით, მოციქულნი გადასულან საკუთრივ

აფხაზეთში (აბაზგიაში). ჰავიოგრაფი გადმოგვცემს: „დიდ სებასტოპოლისში (ცხუმში) რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა. ანდრიამ დასტოვა იქ სიმონი მოწაფეებითურთ და თვით წავიდა ჯიქეთში“. ჰავიოგრაფის ცნობის თანახმად, სიმონი ამ მხარეში მოღვაწეობის შემდეგ გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ ნიკოფისიაში, რომელიც აფხაზეთის ჯიქეთში მდებარეობდა. ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ბერძნულ ტექსტში ნათქვამია: „არს ჯიქეთს ნიკოფისიაში საფლავი, რომელსაც აქვს წარწერა სიმონ კანანელისა“ (იქვე, გვ. 226).

მოციქულთა გარდა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობას ავრცელებდნენ რომის იმპერიიდან ქრისტიანთა დევნის დროს ლტოლვილი ქრისტიანებიც I-III საუკუნეებში. რომის იმპერიაში ქრისტიანობა საკმაოდ გავრცელებული სარწმუნოება იყო I-III საუკუნეებში, მას მძლავრი გავლენა პქონდა საზოგადოების ყველა ფენაზე, თუმცა კი სახელმწიფოს მიერ დევნილი იყო. საქართველო უშუალო მეზობელი იყო იმპერიისა, უფრო მეტიც, საქართველოს ზოგიერთი ნაწილები (ლაზიკა და კლარჯეთი) ზოგჯერ იმპერიის საზღვრებს შიგნით ექცეოდა ხოლმე, ხოლო ეგრისწყლის იქით მდებარე ქვეყანა (აფხაზეთი) საერთოდ შედიოდა ამ იმპერიაში. ამიტომაც ის სარწმუნოებრივი პროცესები, რომლებსაც ადგილი პქონდა რომ-იონთა ანუ რომ-ბერძენთა ქვეყანაში, არც საქართველოსთვის ყოფილა უცხო ... დასავლეთ საქართველოში მძლავრი ქრისტიანული კერები შექმნილა, იმდენად მძლავრი, რომ IV საუკუნის დასაწყისში, 325 წელს, ორი ეპისკოპოსი ჩვენი ქვეყნისა – ბიჭვინთელი და ტრაპეზუნტელი მონაწილეობდა I მსოფლიო კრებაში, რომელიც ნიკეაში შეიკრიბა. იმ დროისათვის, ის-ის იყო ორგანიზებას იწყებდა ქართული ეკლესია, მართალია, ქრისტიანობა საქართველოში ასე თუ ისე ცნობილი და რამდენადმე გავრცელებული იყო, ქართ-

ლის მეფე რევ მართალს ქრისტიანულ მორალთან შესაბამისობაში მოუყვანია სახელმწიფოს კანონები. მიუხედავად ამისა, ჩვენში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა მხოლოდ წმიდა ნინოს ქადაგების შედეგად. წმიდა ნინოს არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს, – დასავლეთ საქართველოს განმანათლებლადაც მიიჩნევენ.

მე-5 საუკუნის ავტორს გელასი კვიშიკელს აღნიშნული აქვს, რომ მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში, რომის მპერატორის კონსტიტუციის I-ის (306-337) დროს, „ღმერთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“. ამ ავტორის უწყებით, როგორც იბერებში, ისე ლაზებში, ქრისტიანობის დამკვიდრება იყო შედეგი წმიდა ნინოს („ტყვე დედაკაცის“) მისიონერული მოღვაწეობისა. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კოლხეთში, ჭანეთ-ლაზეთში, თვით მე-17 საუკუნემდე (როდესაც ჭანეთ-ლაზეთი უკვე თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი), შერჩენილი ყოფილა გადმოცემა, რომ ქრისტიანობა ამ მხარეში ნინომ გაავრცელა“ (იქვე, გვ. 227).

ქართული წყაროებიც წერენ წმიდა ნინოსა და მოციქულთა სწორი მეფის მირიანის მიერ ყოველი ივერიის მოქცევის შესახებ. ჩვენი წყაროები „ყოველი ივერიის“ ქვეშ გულისხმობლნენ სრულიად საქართველოს, მის როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ნაწილს. დასავლეთ საქართველო, ქართული ისტორიოგრაფიის დაქინებული მოწმობით, ქართლის სამეფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის საზღვარი ჯერ მდინარე ეგრისწყალზე, შემდეგ კი კელასურზე გადიოდა, ამიტომაც წმიდა ნინოს მიერ ორგანიზებული ქართული ეკლესია მოიცავდა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ქართლის სამეფოს საზღვრებში, ამიტომაც გასაგებია მოწმობა წმიდა ნინოს თითქმის თანამედროვე ბერძენი ავტორებისა, რომელნიც „ტყვე ქალს“ წმიდა ნინოს ლაზების განმანათლებელსაც უწოდებენ.

ქართული ეკლესია IV-V საუკუნეებში, ქართული წყაროების თანახმად, უთუოდ მოიცავდა დასავლეთ საქართველოსაც. ცნობილია, რომ ქართლის სამეფოში როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო ენა იყო ქართული ენა. ქართული წირვა-ლოცვა, ღვთისმსახურება მთელ ქართლის სამეფოში იყო გავრცელებული.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში თვით IV-V საუკუნეებამდე გავრცელებული იყო ბერძნული საეკლესიო ენა, ამიტომაც უნდა დაისვას კითხვა: თუკი ქართლის სამეფო მოიცავდა დასავლეთ საქართველოს (წმიდა ნინოს შემდეგ და ვახტანგ გორგასლის დროს IV-V საუკუნეებში), ხომ არ იყო დასავლეთ საქართველოში ქართული საეკლესიო ენა. დ.მუსხელიშვილის თანახმად, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში V საუკუნეში საეკლესიო ენა ყოფილა ქართული ენა. უფრო მეტიც, ივანე ჯავახიშვილი იმოწმებდა ნ.მარს და წერდა: „აკად. ნ.მარსაც კარგად მოეხსენება და თვითონაც არაერთხელ დაუდასტურებია, მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც ქართული სალიტერატურო ენა, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, გვ. 154). ქართული ენა სამწერლო ენად იქცა სწორედ წმიდა ნინოს შემდეგ, რათა გამოყენებული ყოფილიყო ახალი და ძველი აღთქმის ლიტერატურულად სათარგმნელად, მდიდარი საეკლესიო ლიტერატურის შექმნისათვის, ამიტომაც თუკი ქართულ სამწერლო და კულტურის ენის შექმნა-შემუშავებაში მეგრელები და სვანები მონაწილეობას იღებდნენ (რაც ფაქტია), მაშინ მათ ასეთ დიდ საქმეში მონაწილეობა უნდა მიეღოთ IV-V საუკუნეებში, მაშინ, როცა მიმდინარეობდა საეკლესიო ქრისტიანული ლიტერატურის შექმნა. ეს რომ ასე იყო, შეიძლება იქიდანაც ჩანს, რომ პალესტინის

იმ მონასტერში, სადაც აღმოჩენილია პირველი ქართული წარწერები, პეტრე იბერთან ერთად იოანე ლაზიც მოღვაწეობდა.

არც თუ დიდი ხნის წინ მიჩნეული იყო, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდა VI საუკუნეში და მაშინვე ეს მხარე შევიდა ბერძნული ეკლესიის იურისდიქციაში, მაგრამ არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაადგინა, რომ ლაზიკაში ქრისტიანობა გავრცელდა წმიდა ნინოს ეპოქაში (IV საუკუნეში). V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ერთიანობა, გააძლიერა ეკლესია, ამიტომაც უკვე IV საუკუნიდანვე დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქართულ ეკლესიაში, საეკლესიო ენა უნდა იყოს ქართული ენა. საფიქრებელია, რომ ქართული ენა იმ დროისათვის (1600 წლის წინ) დასავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის საერთო სახალხო ლიტერატურულ ენას წარმოადგენდა, ამას ისიც ადასტურებს, რომ სამეგრელოსა და სვანეთში ქრისტიანობამდეც, წარმართობის დროს კულტმსახურების ენას წარმოადგენდა ქართული ენა. ეს დადასტურებულია ივანე ჯავახიშვილის შრომებში, ამიტომაც ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ქრისტიანული ღვთისმსახურების ენა კვლავ ქართული უნდა ყოფილიყო. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო აზონ-ფარნავაზის დროს მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს მდინარე ეგრისწყლამდე. ამ დროისათვის, ქრისტემდე IV-III საუკუნეებში ფუბე-ქართული ენიდან ახლად გამოყოფილი მეგრული ენა (ივარაუდება ქრისტემდე VIII-VI სს-ში) არ უნდა ყოფილიყო დიდად დაშორებული ქართული ენისაგან. უნდა ვიფიქროთ, პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისას ქრისტემდე IV-III საუკუნეებში მეგრული და ქართული ენები დიდად ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ. უთუოდ ამის გამო შესძლო მთელს სახელმწიფოში, მათ შორის ეგრისშიც,

მეფე ფარნავაზმა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება. ქართული სახელმწიფო ენა აქ მაშინვე უნდა ქცეულიყო კულტმსახურებისა და მაღალი ფენების ენად, უნდა ვიფიქროთ, რომ მეგრული დიალექტი მეგრულ ენად ჩამოყალიბდა მოგვიანებით, საერთო ქართული ლიტერატურის, დამწერლობისა და პირველი ქრისტიანული წიგნების შექმნის შემდეგ. კერძოდ, მეგრული დიალექტის მეგრულ ენად შექმნისათვის ხელი უნდა შეეწყო ქართული სამეფოს დაშლას (VI ს-ში). როგორც ჩანს, არსებობს ამ ვარაუდის დამამტკიცებელი ფაქტიც, კერძოდ, ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისთანავე დაისვა საკითხი ხანმეტ ძეგლებთან მათი მიმართების შესახებ. ივ.ჯავახიშვილმა, ხანმეტ ტექსტების აღმოჩენა წამოაყენა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც თავდაპირველად ქართულში მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირებს „ხ“ გამოხატავდა, რომელიც მერვე საუკუნეში „ჰ“-დ იქცა (ივ.ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტ. III, გვ. 361-367, წიგნიდან კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, აკაკი შანიძე, 1987, გვ. 225).

ე.ო., ივ.ჯავახიშვილის თეორიით, ხ→ჰ ფონეტიკური პროცესია, რა დასკვნის მიღება შეიძლება ამ თეორიის საფუძველზე დაყრდნობით? ესაა ძალზე დიდმნიშვნელოვანი საკითხი:

თუ დავეთან ხმებით ივ. ჯავახიშვილს, რომ ჯერ „ხანი“ იყო და შემდეგ მისგან „ჰაე“ განვითარდა, მაშინ იმ დასკვნას მივიღებთ, რომ ქართულისა და მეგრულ-ჭანურის გაყოფა და დაშორება მომხდარა ქართული ეკლესიის შექმნისა და, კერძოდ, ქართულ ენაზე ლიტერატურის გაჩენის შემდეგ. ასეთ დასკვნამდე მივიდა აკაკი შანიძე (იქვე, გვ. 225). თუმცა, ივ.ჯავახიშვილის კვლევის ასეთ შედეგს იგი არ ეთანხმებოდა.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც ყოველთვის, აღნიშნულ საკითხშიც მართალი უნდა იყოს. ახალი ენის შექმნისათვის 1600 წელი საკმაოდ დიდი დროა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფუძე ენისაგან, ვთქვათ, უკრაინული ენა სულ 300-400 წინ გამოიყო.

ქართული ეკლესიას დასავლეთ საქართველო თავისი იურისდიქციის ქვეშ რომ ჰყავდა მოქცეული, ეს ჩანს სომხური წყაროების ჩვენებითაც, ასევე არსებობს ვახუშტის ცნობაც, სხვა არაპირდაპირი ცნობებიც. სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებობს იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობა, რომლის თანახმადაც, ქართული ეკლესიის მეთაური კირიონ I იმავდროულად წარმოადგენდა ეგრისელთა მამამთავარსაც. „ამ ისტორიკოსის ცნობით, მცხეთის (ქართლის) ეკლესიის მეთაური იყო მამამთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა“ (პ. ინგოროვა, გ. მერჩულე, გვ. 243), სომხურ წყაროებში ისიცაა აღნიშნული, რომ ქართული ეკლესიის ეს მეთაური ეგრისის არქიეპისკოპოსი იყო „წინანდელ წესთა თანახმადო“, ე.ი. მიიჩნეოდა, რომ წინათაც, ე.ი. V საუკუნეში მაინც, ეგრისი ქართულ ეკლესიაში შედიოდა, უფრო მეტიც, თანახმად ვახუშტისა, ჯერ კიდევ კათალიკოსობის დაწყებამდე, მაშინ, როცა ქართულ ეკლესიას მთავარეპისკოპოსი მართავდა, დასავლეთ საქართველოში პროვინცია „ვაკე“ რიონსა და ცხენისწყალს შორის მცხეთელი, სამთავროს ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედიოდა. „არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, მშვენიერნაგები, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა, შედგომად განყოფისა დასვეს აქ ეპისკოპოსი“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 750).

კათალიკოსობის დაწყების შემდეგაც, როგორც ეს შეიძლება გავიგოთ პროკოფი კესარიელის VI ს-ის ცნობით, დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ. ცნობილია, რომ ამ დროისათვის კათალიკოსი მთელ საქართვე-

ლოში იჯდა მხოლოდ მცხეთაში, ამიტომაც სწორედ მას და არა სხვა რომელიმე კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ ეგრისის ქრისტიანები. დასავლეთ საქართველოს აღწერის დროს პროკოფი წერს: „ქრისტიანთა მღვდელმთავარსაც კათალიკოსს უწოდებენ ელინთა ენითა, რადგან ის ერთი განაგებს ყველა იქურ სოფლებს“ (გეორგიკა, 2, 1965, გვ. 88).

ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ქართული ქრისტიანობის „აფხაზეთში“ (ეგრისში) ადრე გავრცელებულობის მოწმობაა, რა თქმა უნდა, მცხეთის კათალიკოსის ეგრისის კათალიკოსად მოხსენიება VII საუკუნეში და სხვა... მაგრამ ეს საკითხი ცალკე შესასწავლი დიდი მნიშვნელობის საკითხია და მასზედ საუბარი იმედი გვაქვს იქ გვექნება...“ (ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 598).

დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესის გავლენას VII საუკუნეში მიუთითებს იქ ქართული საეკლესიო არქიტექტურის არსებობა, კერძოდ, ეგრისში საეკლესიო მშენებლობისას იყენებდნენ ჯვრის (მცხეთის ჯვრის) ტიპის არქიტექტურას VII ს-ის დასაწყისში. მაგრამ სწორედ VII საუკუნეში ხდება დიდი საეკლესიო ცვლილებები, რაც პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული.

VII საუკუნის 20-იან წლებში სპარსეთს იბერიის გავლით შეესია ბიზანტიის კეიისარი ჰერაკლე, დაამარცხა სპარსთა მეფე და შეუდგა დამორჩილებული ქვეყნების მოწყობის საქმეს. მან, თანახმად ქართლის ცხოვრებისა, დასავლეთ საქართველოს „ზღვის პირი“ ჩამოაშორა ქართულ სახელმწიფოს და უშუალოდ შეუერთა იმპერიას. „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა, სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირი“ (ქართლის ცხოვრება, V, გვ. 226). როგორც ჩანს, იმ დროისათვის ქართულ სამეფოს ჩამოსცილდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორია სკანდა-შორაპნის ხაზამდე. VI საუკუნეშიც სპარსეთ-ბიზ-

ანტიის ომის დროს ამ ხაზზე გადიოდა გავლენის სფეროს საზღვარი ამ სახელმწიფოებს შორის, ახლა სპარსეთის დამარცხების შემდეგ ბიზანტიამ გამოიჩინა მტაცებლური ბუნება და მოსტაცა ქართულ სახელმწიფოს აღნიშნული ტერიტორია ზღვიდან აღნიშნულ (სკანდა-შორაპნის) ხაზამდე. პოლიტიკურ ცვლილებას გამოუწვევია საეკლესიო იურისდიქციის ცვლილებაც. კერძოდ, აღნიშნულ ხაზამდე მოქცეული დასავლეთ საქართველოს ტერიტორია გადაეცა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს. ხოლო აღნიშნული ხაზის აღმოსავლეთით მოქცეული ტერიტორია კვლავ მცხოვრის (იბერიის) საკათალიკოსოს ეკუთვნოდა.

ერეკლეს ლაშქრობის „ზღვისპირეთის“ ჩამორთმევის შემდეგ იბერია-ბიზანტიის საზღვარი გაიდო სკანდა-შორაპნის ხაზზე. ამიტომაც, ამ ხაზის დასავლეთით ბერძნულმა ეკლესიამ დაამყარა იურისდიქცია. აქ შეიქმნა ბერძნული საეპისკოპოსოები ცენტრით ფოთში (ლაზიკის მიტროპოლია): 1. ფასისის, ანუ ფოთის; 2. როდოპოლისის (ანუ ვარციხისა); 3. პეტრასი (ბათუმთან, ციხისმირი); 4. ცაიშისა; 5. ძიღინების (გუდაყვის, ილორთან). როგორც ლაზიკის მიტროპოლიაში, ისე აბაზგის საეპისკოპოსოში საეკლესიო ენას ამ დროისათვის წარმოადგენდა ბერძნული ენა, ხოლო სკანდა-შორაპნის აღმოსავლეთით ვიდრე ლიხის მთამდე მოქცეული ეკლესიის საეკლესიო ენას ძველებურადვე ქართული წარმოადგენდა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის 100 წლის მანძილზე, ხოლო VIII საუკუნიდან თანდათან დაიწყო ცვლილებები, რომლებიც თითქმის 2 საუკუნე გაგრძელდა. საეკლესიო ცვლილებები კვლავ პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლით იყო გამოწვეული. VII საუკუნის შუა წლებში გამოჩნდა ახალი ძლიერი ძალა, ახალი რელიგია – მაკმადიანობა, დაიწყო არაბობა. გაუჭირდა თვით ბიზანტიის იმპერიას, ქართული სახელმწიფო არაბებმა კრიზისამდე მიიყვანეს. ბიზანტიის პოზიციების შესუსტების გამო, აქამდე ამ

იმპერიაში შემავალმა აფხაზეთმა მოიპოვა სამთავროდ მოწყობის უფლება, შემდეგ კი მიიღო დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხი. ორორც ითქვა, ამით ისარგებლა აფხაზეთის ერისთავისა და ლეონ I-მა და VIII საუკუნის 20-იან წლებში თავისი სამთავრო შეიყვანა ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ლეონ I-სა და მირ მეფეს შორის დადებული შეთანხმების თანახმად (იხ. ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II), ლეონ I იქცა ქართლის ერისთავად, მისი სამთავრო ნომინალურად შევიდა ქართლის სამეფოში, სამაგიეროდ მიიღო უფლება ქართლის მეფის ქალიშვილის გურანდუხტის შერთვისა, მიიღო სამეფო რეგალიაც – სამეფო გვირგვინი, რაც მას, აღბათ, გარკვეულ სამეფო უფლებებს ანიჭებდა. ამ დროს მირ მეფის ძმამ არჩილმა სამართავად მიიღო დასავლეთ საქართველოს ტერიტორია – ეგრისი, არგვეთი, თაკვერი, გურია და სვანეთი. მალე არჩილმა მიატოვა დასავლეთ საქართველო და გადავიდა კახეთში. დასავლეთ საქართველოს ამ დროს, ჩანს, მართავდა კანონიერი მეგვიდრე ქართლის სამეფო ტახტისა, აფხაზეთის ერისთავი ლეონ I. მას თავისი სახელმწიფოების გაერთიანების დროს, ჩანს, გაუერთიანებია დასავლეთ საქართველოს ეკლესიაც, კერძოდ, მას გაუერთიანებია აბაზიის საარქიეპისკოპოსო და ფასისის მიტროპოლია, ამ ორი ეპლესის გაერთიანებით შექმნილ ახალ ეკლესიას ეწოდა „ქვემო იბერიის“ ეკლესია. რატომ? მიზეზი ის იყო, რომ ეგრისა ფხაზეთის გაერთიანებული ეკლესია მოიცავდა შემდეგ მიწაწყალს: ეგრისს, არგვეთს, თაკვერს, გურიას, აფხაზეთს. ყველანი ისინი ეთნიკურად ქართულ ქვეყნებს წარმოადგენდნენ, ამიტომაც მათ ყველას ერთად (დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას) უცხოელები ქვემო ივერიელებს, ანდა უბრალოდ ივერიელებს უწოდებდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას კი ზემო

ივერიელებს. ეგრის-აფხაზეთის, ანუ ქვემო ივერიის ეკლესიის ჩამოყალიბებას უცხოელი და ჩვენი ისტორიკოსებიც ვარაუდობენ 720 წლებისათვის: იერუსალიმელი პატრიარქი დოსითეოსი წერს: „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთსა და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ეს ეპარქიები ექვემდებარებოდნენ კონსტანტინეპოლის კათედრას ფასიდის მიტროპოლიტის საშუალებით... ასე, რომ ჰერაკლეს შემდეგ -- ლევ ისავროსამდე ქვემო იბერია უკვე იყო ავტოკეფალური საარქიეპისკოპო, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რომელი იმპერატორის დროს და რომელ კრებაზე მიანიჭეს მას ავტოკეფალია... ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი... ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს 720 წელს კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი 5, გვ. 510, წიგნიდან სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმე, „ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია“, „თეოლოგია“, ათენი, 1966 წ. გვ. 47-48).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითით ჩანს და რომელიც სხვა მაგალითებითაც დასტურდება, უცხოელები იმ ეკლესიას, რომელსაც ქართველები საუკუნეთა მანძილზე უწოდებდით „აფხაზეთის საკათალიკოსოს“, უწოდებენ „ქვემო იბერიის“ ეკლესიას. მათი აზრით, ქვემო იბერიის ეკლესიამ მოიცვა ქვემო იბერიის გეოგრაფიული მხარეები და წერენ: „ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებენ“. ქვემო იბერიის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპარქიები ჰქონია იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ის ბერძნული ეკლესიის მიმართ ავტოკ-

ეფალური, ანუ დამოუკიდებელი ეკლესია-საარქიეპისკოპოსო ყოფილა და ავტოკეფალია მოუპოვებია დაახლოებით 720 წლისათვის იმპერატორ ჰერაკლე კეისარის შემდეგ იმპერატორ ლევ ისავროსამდე.

ზემოთ მოყვანილ იერუსალიმელი პატრიარქის ცნობას ადასტურებს მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი (ქრისანთო): „საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებდნენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა ეწოდა იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსს, ანუ მარტივად სრულიად იბერიის უნეტარეს კათოლიკოსს. რომელი იმპერატორის დროს ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე გოთეთის ეპისკოპოსი ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ (გულისხმობს არა მცხეთის, არამედ აფხაზეთის, ანუ „ქვემო იბერიის კათალიკოსს“ ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე), რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერები, ასე, რომ, როგორც ჩანს, ჰერაკლეს შემდეგ ისავროსამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა (იქვე, გვ. 48).

ამ წყაროების ჩვენებიდან შეიძლება დავისკვნათ, რომ დასავლეთისაქართველო უცხოელთათვის იბერიაა. ზოგჯერ მას „ქვემო იბერიაც“ ეწოდება. აქ უკვე VIII საუკუნიდან არსებობს ავტოკეფალური ეკლესია, რომლის მეთაურსაც ქართველები კათალიკოსს უწოდებენ – ესაა აფხაზეთის საკათალიკოსო. აფხაზეთის საკათალიკოსოს იმპერატორ ლევ ისავროსამდე მიუღია ავტოკეფალია. პატრიარქი ხრისანფი სწორედ უკავშირებს ხატმებრძოლური ერების წარმოქმნასა და ქვემო იბერიის ეკლ-

ესიის მიერ ავტოკეფალიის მიღებას ერთმანეთს. ავტოკეფალიის ქვეშ იგულის ხმება აფხაზეთის კათალიკოსის, ანუ გაერთიანებული ლაზიკის სამიტროპოლიტოსა და აბაზგიის საარქიეპისკოპოსოს მიერ დამოუკიდებლობის მიღება ბერძნული ეკლესიისაგან. აქამდე, როგორც აღნიშნული იყო, ლაზიკის სამიტროპოლიტო თავის საეპისკოპოსოებით, ასევე აბაზგიის ეკლესიაც შედიოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. სწორედ ამ დროისათვის, VIII საუკუნის დასაწყისში, აღორძინდა ხატმებრძოლთა მწვალებლობა. მართალია, იმპერატორ ლევ ისავროსამდეც იყო შცდელობა ხატების აკრძალვისა სახელმწიფოებრივი მასშტაბით, მაგრამ ხატმებრძოლობა დაიწყო ლევ ისავროსის (717-741) დროს, იმპერატორ ლევის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო მისი შვილი კონსტანტინე I (741-755), რომელმაც ხატმებრძოლობა დევნამდე მიიყვანა. 754 წელს ჩატარდა ხატმებრძოლთა კრება, ბიზანტიის თითქმის ყველა ეპისკოპოსი (338) ხატების წინააღმდეგ გამოვიდა, დაიწყო ეკლესიებიდან ხატების გამოტანა, ხატთაყვანისმცემელი ბერები მიღიოდნენ ემიგრაციაში, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ყირიმში, ხერსონესში, არაბთა მიერ დაპყრობილ ანტიოქიასა და ალექსანდრიის საპატრიარქოებში, სადაც არ იყო დევნა. ბერძონაზვნობა გამოცხადდა დანაშაულად, მათ სტანჯავლნენ და ხოცავდნენ. გარდა კონსტანტინეპოლისა, სხვა საპატრიარქოებში, რომელნიც იმ დროს იმპერიის გარეთ მდებარეობდნენ, სრულებით წყნარად უყურებდნენ ბიზანტიურ კამათს (ა. კარტაშევი, მსოფლიო კრებები, პარიზი, 1963). უცხოელი ავტორები სწორედ მიუთითებდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბერძნული ეკლესიისაგან გათავისუფლება უკავშირდება ლევ ისავროსის ეპოქას, ანუ ხატმებრძოლურ ერების ოფიციალურ დაწყებას ბიზანტიაში. ბიზანტიიდან დევნილი ხატთაყვანისმცემლები და ბერ-

მონაზვნები მოაწყდნენ შავი ზღვის პირს. სწორედ ამ დროისათვის უნდა ჩამოშორებულიყო გოთეთის ეკლესია კონსტანტინეპოლს – მწვალებელთა დედაქალაქს. ამ დროსვე უნდა ჩამოშორებულიყო ეგრისისა და აბაზგის ეკლესიები კონსტანტინეპოლს, სწორედ ამ დროს დასავლეთი საქართველოს ადმინისტრაციული გაერთიანებაც იწყება ლეონ I-ის დროს, მალე დასავლეთ საქართველოს გაერთიანებამ ოფიციალური – პოლიტიკური სახე მიიღო, ჩამოყალიბდა ეგრის-აფხაზეთის სამეფო ლეონ II-ის მეთაურობით. მართალია, ეგრის-აფხაზეთის ეკლესია სარწმუნოებრივი უთანხმოების გამო ჩამოსცილდა კონსტანტინეპოლს, მაგრამ საეკლესიო კანონების თანახმად, ასეთი ქმედება მიუღებელია, დედა ეკლესიისაგან შვილი ეკლესიის დაშორებას ყოველთვის უნდა მიეცეს კანონიკური ნებართვა. ჩვენსა და უცხოურ წყაროებში მართლაც არის დაცული ცნობები იმის შესახებ, რომ სწორედ აღნიშნულ ეპოქაში, VIII საუკუნის შუა წლებში ანტიოქიაში ჩასულა იბერიის ეკლესიის დელეგაცია, ანტიოქიის საპატრიარქოს უცვნია ქვემო იბერიის, ანუ მარტივად იბერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა. ეს ცნობა დაცული ყოფილა ანტიოქიურ „ქრონოგრაფში“. იქიდან კი უთარგმნია ცნობილ მოღვაწეს ეფრემ მცირეს (უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, 1959), აქედან კი გადასულა „ქართლის ცხოვრებაში“: „დღეთა კონსტანტინეს სკორისა (ესაა კონსტანტინე V, 741-775) მოსახლეობისათა, ანტიოქიას პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესა (774-751) მოვიდნენ ქართლით (ე.ი. იბერიიდან) მოციქულად მონაზონნი ორი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს... ხოლო მან ბჭობითა კრებისათა... მისცა ქართველთა პროტორეპტიკონი, რომელ არს განხსნითი, რაითა თვით მათსა საზღვარსა ეპისკოპოსთაგან ხელი დაესხმოდიან ჟამადებადსა კათალიკოსსა ქართლისასა...“ (ეფრემ მცირე, უწყება, გვ. 9); ეს ცნობა ეხება არა მცხეთის, არამედ „ქვემო იბერიის“ საკათალ-

იკოსოს (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოცი-ქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II).

ე.ი. დასავლეთ საქართველოს, ანუ ქვემო იბერიის აქამდე კონ-სტანტინეპოლზე დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს მიეცათ უფლება, თავად აერჩიათ თავისი კათალიკოსი, ანუ ეგრის-აფხაზეთის ანუ „იბერიის“ ეკლესიამ VIII ს-ში მიიღო ავტოკ-ეფალია ბერძნებისაგან. მაგრამ მისი ავტოკეფალია ამ დროს ჯერ კიდევ სრული არ ყოფილა იმ მხრივ, რომ მას მირონი უნდა მიეღო ანტიოქიისაგან, მირონის შესასყიდად დასავლელ ქართველებს, ანუ ქვემო იბერიის ეკლესიას ანტიოქიისათვის უნდა ეძლიათ 1000 კვამლის (კომლის) გადასახადი. მცირე ხნის შემდეგ ანტიოქიამ კვამლის გადასახადის ნაცვლად ითხოვა ათასი დრაპეკანი ყოვე-ლწლიურად. მალევე ანტიოქიამ ბერძენთა მეფის შუამავლობით ქვემო იბერთა 1000 დრაპეკანი გადასცა იერუსალიმის საპატრია-რქოს. ახლა უკვე მირონის შესასყიდი თანხა ქართველებს იერ-უსალიმისათვის უნდა ეძლიათ (ეფრემ მცირე, იქვე, გვ. 10). ეფრემს ბერძნულ წყაროებში ნახსენები „იბერია“ ყველგან „ქა-რთლად“ უთარგმნია.

მაშასადამე, ეგრის-აფხაზეთის ეკლესიამ, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსომ, რომელსაც უცხოელები ქვემო იბერიის, ანდა იბერიის ეკლესიას უწოდებდნენ, მართალია, VIII ს-ის დასაწყისში მიიღო ბერძნული ეკლესიისაგან ავტოკეფალია, მაგ-რამ მაინც ეს ეკლესია ვალდებული იყო, მირონი შეეძინა იერ-უსალიმის საპატრიარქოში.

ეს ის ეპოქაა, როცა აღმოსავლეთ საქართველო არაბთა შემოსევების გამო სასტიკადაა განადგურებული, მცხეთის საკა-თალიკოსო დამცირებული. მალე გრიგოლ ხანძთელისა და სხვა ღირსი მამების მოღვაწეობის შედეგად ეკლესია განმტკიცდა და გაძლიერდა, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთში. გრიგოლ ხანძთელი დიდ ყურადღებას აპყრობდა აფხაზეთის საკათალ-

იკოსოს, იმოგზაურა იქ. ქართველთა, ანუ ტაო-კლარჯეთის სახელმწიფომაც მიაპყრო ყურადღება აფხაზეთის, ანუ ქვემო იბერიის საკათალიკოსოს. 830 წელს იურიდიულად სცნო მისი არსებობა და ამ დროისათვის იურისდიქციაში გადასცა ტერიტორია სკანდა-შორაპნის ხაზიდან ლიხის მთამდე, ე.ი. აღმოსავლეთ არგვეთი, რომელიც აქამდე ეკლესიურად მცხეთის საკათალიკოსოს ეკუთვნოდა. გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ დიდმა ეფრემმა კი მოაგვარა აფხაზეთის საკათალიკოსოსა და იერუსალიმს შორის არსებული მირონის საკითხი. როგორც ითქვა, აქამდე აფხაზეთის, ანუ ქვემო იბერიის ეკლესიას მირონი იერუსალიმიდან მოჰკონდა, ახლა კი ოთვით იერუსალიმის საპატრიიარქოს თანხმობით ქვემო იბერიის (აფხაზეთის) საკათალიკოსოს მირონი მცხეთიდან უნდა მიეღო. თუ რა იყო ამის მიზეზი, ეს მოთხრობილი აქვს გიორგი მერჩულექს – „რამეთუ პირველად ა-სა კათალიკოსთა (ე.ი. აფხაზეთის კათალიკოსებს და არა აღმოსავლეთის კათალიკოსებს – ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე) მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერისა ბრძანებითა მიჰრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქის განწესებითა და წამებითა სიხარულითა, არამედ, ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა შამი შეიწირვის და ლოცვანი ყოველი აღესრულების“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგ. 1978 წ. გვ. 182).

IX საუკუნეში ეფრემ მაწყვერელის მეცადინეობით, იერუსალიმის საპატრიიარქოს მიუღია გადაწყვეტილება, რათა აფხაზეთის საკათალიკოსოს მირონი მიეღო არა იერუსალიმიდან, არამედ მცხეთიდან (ქართლის ცენტრიდან), იმიტომ რომ „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა შამი შეიწირვის და ლოცვანი ყოველი აღესრულების“. აფხაზეთ-ეგრისის ეკლესიაში კი, ამ დროისათვის უკვე დანერგილი იყო ქართულენოვანი საეკლესიო მსახურება,

ბერძნული ენის ნაცვლად. მაშასადამე, იმის გამო, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოში წირვა-ლოცვა ქართულია, იერუსალიში მიუჩნევია ის ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილად და გადაუწყვეტია, რომ აფხაზეთის (ქვემო ივერიის) ეკლესიას მცხეთიდან მიეღო მირონი. ამით ფაქტიურად აღსდგა პერაკლე კეისრის დროს დარღვეული საეკლესიო ერთობა და ქართული ეკლესია გაერთიანდა.

ამიერიდან ქართველ ერს გააჩნდა ორი ავტოკეფალური ეკლესია, რომელთა მეთაურთაგან ერთს „უხუცესი“ კათალიკოსი მართავდა (მცხეთის), მეორე კი „უმრწმეს“ კათალიკოსად (ბიჭვინთელი) მიიჩნეოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ იერუსალიმი სავსებით უანგაროდ არ დათმობდა აფხაზეთის საკათალიკოსოსათვის მირონის მიწოდების უფლებას. სავარაუდოა, რომ ამისათვის იზრუნეს უკვე ძლიერმა მეფეებმა, ძლიერი სახელმწიფოს მეთაურებმა – აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთის მეფეებმა, მოღწეული ცნობებით, ბაგრატ კურაპალატს – „ქართველთა მეფეს“ უღვაწია აფხაზეთის კათალიკოსის ოურიდიული ცნობისათვის. მატიანე წერს: „ხოლო მან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 255). ეს ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ ფაქტიურად 720-იანი წლებიდან არსებული ეგრის-აფხაზეთის ეკლესია ბაგრატ მეფის დროისათვის უკვე საკათალიკოსოდ იქცა, რაც ცნო ქართველმა მეფემ. შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობითაც „გააჩინა“ და „განაწესა“ მისი კათალიკოსი.

ხოლო მირონთან დაკავშირებით იერუსალიმის ეკლესიის მოქმედების სისწორეს ასაბუთებს ის, რომ IX საუკუნეშივე იერუსალიმის საპატრიარქოს ნებართვით იოანე გუთელი ეპისკოპოსი ქართლში აკურთხეს. მაშასადამე, ამ დროს ქართლისა და იერუსალიმის ეკლესიებს შორის კარგი ურთიერთობაა და კონსტანტ-

ინგოლში ხატმებრძოლური წვალების გამო კონსტანტინეპოლის სფეროში მყოფი ზოგიერთი ეკლესია ქართულ ეკლესიას გადაეცა. ამგვარ ფონზე გასაგებია, თუ რატომ დართო იერუსალიმმა ქართულენოვან აფხაზეთის საკათალიკოსოს ნება მირონის მცხეთიდან მიღებისა.

როგორც ითქვა, აფხაზეთის, ანუ ქვემო იბერიის საკათალიკოსოში შევიდა სამი საეკლესიო ოლქი, აქედან ორი – აბაზგისა და ლაზიკისა – ბერძნულენოვანი იყო საეკლესიო თვალსაზრისით, ხოლო ეგრის-არგვეთის ეკლესია, ანუ სკანდა-შორაპნის ხაზის აღმოსავლეთით მდებარე საეკლესიო ოლქი ყოველთვის ქართულენოვანი იყო და ასეთად დარჩა აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნამდე, რაც ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, მოხდა მე-8 საუკუნისათვის. მთელ ეკლესიაში, აფხაზეთის სამეფოს ყოველ კუთხეში აღსდგა და თანდათან ვრცელდებოდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა.

ბერძნული ენის ქართული ენით შეცვლას დასავლეთ საქართველოში თან სდევდა უსასტიკესი ომები ბიზანტიისა და აფხაზეთის სამეფოს შორის.

„ბიზანტიურ წყაროებში დაცულია ცნობა ბიზანტიელთა სამი სამხედრო ექსპედიციის შესახებ დასავლეთ საქართველოში ... მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში, რაც სამჯერვე ბიზანტიელთა სასტიკი დამარცხებით დამთავრებულა“ (პ. ინგოროვგა, გ. მერჩულე, გვ. 217).

830-იან წლებში თეოფილე კეისრის დროს აფხაზეთში გაგზავნილი ბიზანტიელთა მრავალრიცხოვანი ჯარი სასტიკად დამარცხდა, 840-იან წლებში ბიზანტიამ ორი დიდი ლაშქრობა განახორციელა დასავლეთ საქართველოში. „ჯარის ერთმანეთილმა ხომალდის დამსხვრევა განიცადა და სიცოცხლე შესწირა, სხვები კიდევ, თუმცა ხმელეთზე გადავიდნენ, მაგრამ

უბედურება გაიზიარეს. აი ასე დაიღუპა ეს ჯარი“, ამის შემდეგ მომდევნო ომში ბიზანტიელებს 40 000 კაცი დაუკარგავთ დასავლეთ საქართველოსთან ომში და სასტიკად დამარცხებულან (იქვე, გვ. 218).

ამის შემდეგ ბიზანტიას აღარ ულაშქრია დასავლეთ საქართველოში. ეს იმას ნიშნავს, რომ მან სცნო აფხაზეთის სამეფოსა და აგრეთვე აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობაც.

„ასე გამოიჭედა ამ ბრძოლაში ქართველი ხალხის თავისუფლება“ (იქვე, გვ. 218).

ამის შემდეგ ეკლესიებიდან ბერძნული ენის შეცვლას ქართული ენით ხელს ვეღარ შეუშლიდა იმპერია. „...ბერძნული ენა, ბიზანტიის ხანგრძლივი მდგომარეობის შედეგად გაბატონებული დასავლეთ საქართველოში, როგორც მთავარი სახელმწიფო და საეკლესიო ენა, განდევნილ იქმნა და ბერძნულის ადგილი მთლიანად ქართულმა დაიჭირა, ქართული ენა გამოცხადებულია ერთადერთ სახელმწიფო ენად, ქართული ენა გაბატონდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპარეზზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბერძნული ენა განდევნილ იქმნა თვით ეკლესიიდანაც, აქაც ბერძნული ქართულმა შესცვალა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, თუ რა მონობოლიური მდგომარეობა ეჭირა ეკლესის განათლების საქმეში საშუალო საუკუნეთა პირობებში, როდესაც განათლება და მწიგნობრობა უპირველესად ეკლესის ხელ ქვეშ ვთარდებოდა, განათლებისა და მწიგნობრობის მთავარ ცენტრებს უმთავრესად მონასტრები და ეკლესის გავლენის ქვეშ მყოფი სასწავლებლები და სკოლები შეადგენდნენ. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონია ბერძნული ენის ნაცვლად ქართულის შემოღებას ეკლესიაში. ეს უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა, შეცვლა ეკლესიაში ბერძნული ენისა ქართულით, შესაძლებელი გახდა ჩატარებულიყო იმის შემდ-

ეგ, რომ „აფხაზთა“ სამეფოს ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც იერარქიულად დაკავშირებული იყო ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან, კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, ჩამოაშორა კონსტანტინეპოლს და დაუკავშირა ქართლის (იბერიის) საკათალი კოსოს. ამრიგად, ხანა „აფხაზთა“ სამეფოსი – ეს არის ეპოქა ქართული საზოგადოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში“ (იქვე, გვ.220).

უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან ბერძნული ენის განდევნის შემდგომ იქ აყვავებას იწყებს ქართული კულტურა, ქართული ლიტერატურა, აფხაზეთის სამეფო ამ დროს გამხდარა ერთ-ერთი ცენტრი ქართული საეკლესიო მწერლობისა, აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლების საგანგებო მფარველობის ქვეშ“ (იქვე, გვ. 221). პ.ინგოროვა თავის შესანიშნავ თხზულებაში „გიორგი მერჩულე“ მსჯელობს დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ქართველი ლიტერატორების შესახებ (ქართულის გარდა იქ სხვაენოვანი არ იქმნებოდა).

„....ქართულ ენაზე იწერებოდა ამ ეპოქაში როგორც საეკლესიო მწერლობის ძეგლები, ისე საისტორიო მწერლობის ძეგლები“ (იგვე, გვ. 222).

აფხაზთა მეფეები თვითვე ყოფილან შემკვეთნი და მფარველი ქართველი კულტურის მოღვაწეებისა, მოყვარული ქართული პოეზისა და მწერლობისა (იქვე, გვ. 222).

ცხადია, ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ უცხოელთაგან გათავისუფლების შემდეგ აფხაზეთის სახელმწიფო, საეკლესიო, კულტურისა და ადმინისტრაციის ენად ქართული ენა გამოცხადდა, იყო ის, რომ აფხაზეთის სამეფოს მოსახლეობა იყო ქართული. აფხაზეთის სამეფო ქართველთა სამეფოს წარმოადგენდა, სწორედ ამიტომაც უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს უცხოელები „ქვემო იბერიას“. დასავლეთ საქართველოს საკათ-

ალიკოსოს ცენტრი მოთავსებულ იქნა ბიჭვინთაში. ამის შემდეგ ბიჭვინთაში თითქმის 800 წელი – XVI საუკუნემდე მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვანი წირვა-ლოცვა გაისმოდა და ქართული ენით ადიდებდნენ უფალ ღმერთს მღვდელმსახურნი. აფხაზეთის საკათალიკოსოს მთავარი რეზიდენცია ბიჭვინთაში იყო. ბიჭვინთა ადრე წარმოადგენდა ქრისტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტ-რს აფხაზეთში, IV საუკუნეში აქ ეპისკოპოსი იჯდა, იმ ღროი-სათვის ეს ქვეყანა – აბაზგია – ვიდრე მდინარე ეგრისწყლამდე იმპერიაში შედიოდა და, ცხადია, ბიჭვინთის ეკლესიაც ბერძნული იყო. ქრისტიანობა როგორც ეგრისში, ისე აბაზგიაში IV საუკუნ-იდანვე ფეხმოკიდებული იყო, ამიტომაც ცნობები, რომელიც VI საუკუნის ამბებს შეეხებიან ქრისტიანობასთან დაკავშირებით, არასწორად არის ახსნილი. VI საუკუნეში ლაზეთის ერთ მეფეს კონსტანტინეპოლში ქრისტიანობა მიუღია, ამიტომაც მიიჩნევ-დნენ, რომ ეგრისისა და აფხაზეთში VI საუკუნიდან გავრცელდა ქრისტიანობა. ეგრისის მიმართ ასეთი სიმცდარე არქეოლოგიამ დაადასტურა. აფხაზეთის ქართულენოვანი საკათალიკოსოს დაარსების შემდეგ ძველი ბერძნულენოვანი ცენტრი აბაზგიის საარქიეპისკოპოსო გაუუქმებიათ, ხოლო ახალი ქართულენოვ-ანი ცენტრი ბიჭვინთაში დაუარსებიათ (ასევე ნიკოფილიც გაუუქმებიათ ბერძნულენოვანი საეპისკოპოსო) და სწორედ ამ ღროისათვის (და არა VI საუკუნეში, იუსტინიანეს დროს), აუგიათ ბიჭვინთის საკათალიკოსო ტაძარი – „ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრების ძეგლი“.

ასევე ვარციხის, როდოპოლისის საეპისკოპოსო კათედრის ნაცვლად ქუთაისში ქართულენოვანი საეპისკოპოსო დაუარსებიათ.

„აფხაზეთის მეფე გიორგი II-ის დროს (922-957) გაუქმებულ იქნა ზღვის სანაპირო ფასისის კათედრა და იგი გადატანილ იქნა შიდა მხარეში – ახალ ცენტრში – ჭყონდიდში“ (იქვე, გვ. 249).

ბედიაში გადაუტანიათ ძილანების (გუდაყვის) კათედრა. აფხაზეთში იქმნებოდა მხოლოდ ზოგადქართული ხასიათის არქიტექტურული ძეგლები, საეკლესიო და სამონასტრო შენობები, ქართული სასულიერო არქიტექტურის სტილით აშენებული სამნავიანი ბაზილიკები, მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი სამეკლესიანი ბაზილიკები, ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ტაძრები იმ თავისებურებებით, რომელიც მხოლოდ ქართული ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი. აფხაზეთში (იგულისხმება საკუთრივ აფხაზეთი) არ ჩამოყალიბებულა არც ერთი თავისებური, მხოლოდ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ტიპი. მართალია, მათ გააჩნდათ რაღაც ლოკ-ალური თავისებურებები, მაგრამ არა ისეთი ხარისხისა, რითაც, ვთქვათ, კახეთის ძეგლები განსხვავდება ქართლის ძეგლებისაგან ან ტაო-კლარჯეთისა ეგრისის ძეგლებისაგან (გ. ჩუბინაშვილი).

ბერძნული ულლის გადაგდების შემდეგ საკუთრივ აფხაზეთის (ე.ი. მდინარე კოდორის იქით მცხოვრებ) მოსახლეობას არ შეუქმნია თავისი ანბანი, მათი ენა არ ყოფილა მიღებული სახელმწიფო და ადმინისტრაციული და არც საეკლესიო საჭიროებისათვის. ის გამოყენებული არ ყოფილა არც კულტურის, არც ადმინისტრაციულ სფეროში, მაშინ, როცა მთელ დასავლეთ საქართველოს სწორედ ამ კუთხიდან გამოსული დინასტია მართავდა და ამიტომაც მთელ ვრცელ ქვეყანას „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ აფხაზები „ქართული ეთნიკური ერთობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ ისევე, როგორც ეგრისელნი, სვანნი, კახნი ან მესხნი“ (ნ. ბერძენიშვილი). სწორედ ამიტომ იღვწოდნენ აფხაზთა მეფეები ქართული კულტურის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის აყვავებისათვის (მ. ლორთქიფანიძე).

აფხაზეთის სამეფოში „...შეიქმნა ქართული აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული თხზულებები, აიგო ქართული

ხუროთმოძღვრების ძეგლები, აფხაზთა მეფეების კარზე ქართულად დაიწერა აფხაზეთის მეფეთა ისტორია, აფხაზთა სამეფო აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ ეროვნულ ბრძოლაში, რომლის საბოლოო შედეგი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება იყო“.

აფხაზთა სახელმწიფო ქართული სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო, მისი დედაქალაქი იქნებოდა არა ქართული მოსახლეობის შუაგულში მყოფი, ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრი ქუთაისი, არამედ ანაკოფია (აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი), ეკლესია არ გამოეყოფოდა კონსტანტინეპოლის სამწყსოს, და თუ გამოეყოფოდა, ჩამოყალიბდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესიად, არ დაამკვიდრებდა წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე და არ შეუერთდებოდა მცხეთის საკათალიკოსოს. იმუამად IX-X საუკუნეების შემდეგ კი არ გადადის ხელისუფლება ქართველი მეფეების ხელში, არამედ ერთიანი ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ ბაგრატიონი აფხაზთა მეფეების კანონიერი მემკვიდრე იყო ჩამომავლობითაც (დედის ხაზით) და მათი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამგრძელებელიც.

X ს-ის 80-იანი წლებიდან ცნება „აფხაზეთის“ და „აფხაზის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოვდება. ერთიანი საქართველოს პირველი მეფეების ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა „მეფე აფხაზთა“, რადგან, როგორც ბაგრატიონთა სახლის „ქართველი მეფის“, ასევე დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის „აფხაზთა მეფის“ ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი ჯერ „აფხაზთა მეფედ“ (ე.ი. დასავლეთ საქართველოს მეფედ) აკურთხეს, ხოლო მისი წინაპარი „ქართველთა მეფის“ გარდაცვალების შემდეგ მიიღო მან „ქართველთა მეფის ტიტული. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ ჰერთა და კახთა მეფის ტიტულები და ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს

მეფეთა ტიტულატურა ამ ეტაპზე ასე გაიმართა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა.

ამის შემდეგ რიგ უცხოურ წყაროებში „აფხაზეთი“ ნიშნავს მთელ საქართველოს, „აფხაზი“, საერთოდ, ქართველის მნიშვნელობით იხმარებოდა. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს და დადასტურებულია, რომ რუსული წერილობითი წყაროების „აბასგი“, სომხურ-არაბულ-სპარსული წყაროების „აფხაზი“ და სხვა, ზოგადად, როგორც წესი, ქართველს ნიშნავს.

იმდროინდელ ქართულ წყაროებში „აფხაზი“ ნიშნავს ზოგ-ადად ქართველს, დასავლელ ქართველს, და საკუთრივ, აფხაზს.“ (მ. ლორთქ., „არა უწყიან თუ...“, გაზ. ლიტ. საქ., 16.11.90 წ.).

შეიძლება დაისვას კითხვა: საეკლესიო სამართლის მიხედვით, რამდენად შესაძლებელი იყო, ქართველ ხალხს ჰქონოდა ორი ავტოკეფალური ეკლესია, საკათალიკოსო, თავისი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში. პასუხის გაცემამდე უნდა ითქვას, რომ, მართალია, ბერძნულ და უცხოურ წყაროებში ქვემო ივერიის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო იხსენება ავტოკეფალურ ეკლესიად, მაგრამ ის ავტოკეფალური, ანუ დამოუკიდებელი იყო სწორედ უცხოური ეკლესიების მიმართ. ხოლო მცხოვრის, ანუ ზემო ივერიის საკათალიკოსოსთან მას გააჩნდა უფროს-უმცროსობითი დამოკიდებულება, სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო მირონის იღებდა მცხოვრის საკათალიკოსოდან. ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოჩნდა შემდგომ საუკუნეებში. რაც შეეხება აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების სამართლებრივ საფუძვლებს, საეკლესიო კანონების თანახმად, ყოველი სახელმწიფოს შიგნით შესაძლებელია დაარსებული იქნეს ეკლესია. საეკლესიო საზღვრები უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფო ადმინისტრაციულ საზღვრებს. ამ მიზეზთა გამო აფხაზეთის სამეფოს, როგორც

ქართული სუვერენული სახელმწიფოს წარმოქმნამ სამართლებრივი საფუძვლები შეუქმნა ამ სახელმწიფოს შიგნით დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობას.

ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდგომ XI ს. ეპოქაში შეიქმნა სამართლებრივი საფუძვლები საეკლესიო გაერთიანებისთვისაც. ერთიან სახელმწიფოში გაერთიანდნენ აფხაზეთისა და მცხეთის საკათალიკოსოები ერთ საპატრიარქოდ. დაარსებულ იქნა საქართველოს საპატრიარქო X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში. პირველი პატრიარქი იყო მელქისედეკი.

საპატრიარქოს მოწყობის სტრუქტურა ისეთი იყო, რომ მასში შედიოდა ორი საეკლესიო სამთავრო: მცხეთის (ანუ ქართლის) საკათალიკოსო, ბიჭვინთის (ანუ აფხაზეთის) საკათალიკოსო. აქედან ჩანს, რომ საპატრიარქოს შექმნის დროს აფხაზეთის საკათალიკოსო არ გაუქმდებულა როგორც ადმინისტრაციული ერთეული. მან შეინარჩუნა ძველი შინაგანი სტრუქტურები. საერთოდ, ქართულ საპატრიარქოში საკათალიკოსოები იმ ფორმით არსებობდნენ, როგორადაც ბერძნულ საპატრიარქოში სამიტროპოლიტოები. ბერძნულ სამიტროპოლიტოებში ერთ-ერთი რომელიმე დიდი ქალაქის ეპისკოპოსი წარმოადგენდა უფროსს, ანუ მთავარს და მას ექვემდებარებოდნენ მის ხელქვეით მყოფი საეპისკოპოსოების მეთაურები – ეპისკოპოსები. სამიტროპოლიტოებში ათეულობით საეპისკოპოსი არსებობდა, ხოლო მიტროპოლიტი, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა პატრიარქს. ასევე იყო მოწყობილი ქართული საკათალიკოსოებიც. აფხაზეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ დასავლეთ საქართველოს ათეულობით ეპისკოპოსები, ხოლო, თავის მხრივ, ის ექვემდებარებოდა საქართველოს პატრიარქს. საპატრიარქოსტრუქტურა ისეთი იყო, რომ საქართველოს პატრიარქი იმავდონულად წარმოადგენდა ქართლის კათალიკოსს. ესე იგი, მას

ორი ტახტი ეჭირა საქართველოს პატირარქისა და ქართლის კათალიკოსისა, ამიტომაც შემდგომ უწოდეს კიდეც კათალიკოს-პატრიარქი.

საქართველოს საპატრიარქოს მოწყობის ასეთი სტრუქტურა ეფუძნებოდა ქართული სახელმწიფოს ერთიანობას, ხოლო იმის შემდეგ, რაც XV საუკუნისათვის სახელმწიფოს ერთიანობას ბზარი შეეპარა, საეკლესიო ერთიანობაც მოიშალა, რამაც ასახვა ჰპოვა დოკუმენტში, რომელსაც „მცნებაი სასჯულო“ ეწოდა. XV საუკუნის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსომ მცხეთის მიმართ მოიპოვა გარკვეული ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა მირონის ადგილზე კურთხევის ჩათვლით. აღნიშნული დოკუმენტის განხილვამდე უნდა ითქვას, რომ როგორც VIII-X, ისე XI-XV საუკუნეებში, და, ასევე 1820 წლამდე, რუსეთის მიერ მის გაუქმებამდე, აფხაზეთის საკათალიკოსო საქსებით ქართულენოვან ეპლესიას წარმოადგენდა.

ამას ნათლად უჩვენებს მრავალი მაგალითი, რომელთაგან ზოგიერთი აშკარად ხელშესახებია. მაგალითად, ლიხნის ტაძრის ფრესკების ქართულენოვანი წარწერები. საკუთრივ აფხაზეთში არსებული მრავალი ქართულენოვანი საეპისკოპოსო (ცენტრები მწიგნობრობა-განათლებისა), რომელნიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფო რღვევა-დაუძლურების შემდეგ კავკასიის მთებიდან შემოჭრილი წარმართების (აღიღე-ჩერქეზ-აფხარების) მიერ იქნა უწყალოდ განადგურებული. ჩრდილოელი წარმართების თავდასხმების დროს მოქვის დიდებული ტაძრიდან საქართველოს ცენტრებში, კერძოდ, ჭყონდიდში გადმოუტანიათ ნივთები. „მარტვილის ტაძარში დაცულია შუატანის ტყავის სახარება, მრავლის სურათებით შემკული და უმაღლესის ხელოვნებით დახატული. დიდად ცნობილი არქეოლოგი კონდაკოვი გააცვიფრა ამ სურათების უმწვერვალესმან ხელოვნებამ, რომლის მსგავსი, მისსავე მოწმობით, სხვა არ იპოვება საქართველოში და იშვიათ-

ია მთელს დედამიწაზე. აღმატებულის ხელოვნებით არის გამოყვანილი აგრეთვე ასომთავრული ასოები ...ყველა წარწერა-თაგან სჩანს, რომ სახარება დაწერილი ყოფილა მოქვის ჭაძრისათვის და, როგორც სჩანს, აფხაზეთში ქრისტიანობის დამცირების შემდეგ (XVII-XVIII სს) ეს სახარება მარტვილში მიუტანიათ. მოქვის ხატები კი ასვენია ხოფს და ზუგდიდს“ (თ. უორდანია, ქრონიკები II, გვ. 172).

ქართული ენით ევედრებოდნენ ღმერთს აფხაზი ღვთისმსახურებიც საუკუნეთა მანძილზე. ეს ჩანს წარწერებიდან მოქვის სახარებისა – „მოქვის ღვთისა მშობელო შეიწყალე სული თქვენ წინა მდებისა მოქველ მთავარეპისკოპოზისა აბრაჟამისა“; „ყოვლად წმიდაო დედოფალო ღვთისმშობელო დაიცევ და შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შიგან მოქვისა მეტრაპეზე გი-ორგი დეკანოზი“; „დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილსასა, დაიწერა წმიდა ესე ოთხთავი დასაბამითვან წელთა 1300“; და ბოლოს „...ჩვენნი სახარებანი პირველითვან წმიდად თარგმნილია და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმინდურიცა...“ (იქვე, გვ. 173).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, მოქვის სახარების მეპატრონენი, მოქვის ღვთისმსახური „ჩვენ სახარებას“ უწოდებენ. ძველქართული ხანმეტი და საბაწმიდური რედაქციები ცნობილია VIII საუკუნის შემდეგ. მოქველი ღვთისმსახური თავიანთ თავს აკუთვნებდნენ ქართველ ხალხს და ამიტომაც წერდნენ: „ჩვენნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილია“, ე.ი. IV-VI საუკუნეებშიც ხანმეტობისას და შემდეგაც.

ამავე მოქვის სახარების წარწერებიდან ჩანს, რომ 1300 წლ-ამდე მოქველი მთავარეპისკოპოსი ყოფილა აბრაჟამი, მის შემდეგ მოქველი მთავარეპისკოპოსია დანიელი, შემდგომ ეპოქაში XVI საუკუნისათვის მოქველი მთავარეპისკოპოსია ფილიპე ჩხეტიძე (უფრო ადრე, 1438 წლისათვის მოქველი მთავარეპისკოპოსი

ყოფილა რომანოზი, XVI საუკუნეში მთავარეპისკოპოსი გრიგოლ მაგმნის ძე, ექვთიმე საყვარელიძე, რომელიც შემდეგ 1605 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსი გამხდარა, შემდეგ ანდრია საყვარელიძე, XVII ს-ში – იაკობი (იხ. იქვე, გვ. 174). აქედან ჩანს, რომ მოქვის ღვთისმსახურებს არავითარი კავშირი არა აქვთ აფხაზულ-ადილურ სამყაროსთან, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ეთნოსს განეკუთვნებიან.

აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის კათალიკოზი ექვთიმე საყვარელიძე ბიჭვინთის სახელოვან ტაძარს (1600 წლისათვის) სხვა წმიდა წიგნებთან ერთად სწირავს „ქართლის ცხოვრებას“. კერძოდ, მას ბიჭვინთისათვის შეუწირავს შემდეგი წიგნები: „ერთი ოქროს კონდაკი მელნით დახატული, ერთი სხვაი ეტრატისათ კონდაკი... ერთი ჟამნი, ერთი დავითნი, ერთი კურთხევაი... ერთი ქართლის ცხოვრებაი დახატული“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 387). „ქართლის ცხოვრება“ – წმიდა წიგნების გვერდით, წმიდა წიგნების რანგშია აყვანილი აფხაზთა კათალიკოსების მიერ. აფხაზეთის საკათალიკოსოს ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ჩვენთვის ცნობილი ყველა კათალიკოსი ქართველი იყო და არც შეიძლებოდა „ქვემო ივერიის“ ეკლესიის მეთაური ქართველი რომ არ ყოფილიყო. ამის ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლი – ეროვნებით, გვარიშვილობით წარმოადგენდნენ, და სწორედ ასე წერს ერთი აფხაზეთის კათალიკოსი თავის სამწყსოს შესახებ. კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე აფხაზეთის ეკლესიის სამწყსოს ქართველებს უწოდებს და წერს, რომ ქართველთა შემწე და მფარველმა ღვთისმშობელმა ქართველი მრევლისათვის გამოაგზავნა აფხაზეთში (ე.ი. ქვემო ივერიაში) ანდრია მოციქული (იხ. ქვემოთ).

აფხაზეთის ათეულობით კათალიკოზთაგან მოღწეულია ზოგიერთის გვარი: მალაქია აბაშიძე (1529-1632), ევდემოზ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე I საყვარელიძე (1578-1605), 1600 წლისათვის აფხაზეთის კათალიკოსია ევდემონ საყვარელიძე (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 386), XVII ს. 20-იან წლებში აფხაზეთის კათალიკოსია მალაქია გურიელი (1616-1639) (იქვე, გვ. 482); მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657); XVII ს. 50-იან წლებში აფხაზეთის კათალიკოსია ზაქარია ქვარიანი (1657-1660), სვიმონ ჩხეტიძე (1660-1666), ევდემოზ II საყვარელიძე (1666-1669), ექვთიმე II საყვარელიძე (1669-1673), დავით ნეშაძე (1673-1696), გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696-1742), გერმანე წულუკიძე – ბესარიონ ერისთავი (1755-1769) (რაჭის შტო ერისთავებისა) (იქვე, გვ. 880); 70-იან წლებში – აფხაზეთის კათალიკოსია იოსებ ბაგრატიონი (მეფის ძე) (იქვე, გვ. 885), მაქსიმე ათაბაგი (1776-1795).

იმის შემდეგ, რაც ქართლისა და კახეთის სამეფოები იქცა სპარსეთის ვასალურ ქვეყნებად XVII საუკუნეში, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულები (იმერეთის სამეფო სამთავროები) შედარებით თავისუფლებით სარგებლობდნენ, ამის გამო აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ქართლის შედარებით უფრო გაძლიერდა. აფხაზეთის საკათალიკოსომ თავის თავზე აიღო ქართველობის, ქართული ქრისტიანობის, ანუ მართლმადიდებლური სარწმუნოების ზრუნვის ტვირთი. ეს ის დროა, როცა სპარსელები და ოსმალები თბილისის სიონის მეჩეთად გადაკეთებას ცდილობდნენ, ხოლო ქართლის ერთ კათალიკოსს სტამბოლში აპატიმრებდნენ, ხოლო მეორეს სპარსელები თბილისის ციხეში ჰკლავდნენ.

იმ უდიდესი მისიის გამო, რომელიც თავის თავზე აიღო აფხაზეთის საკათალიკოსომ, XVII საუკუნის იერუსალიმელი

პატრიარქები დაუინებით ამტკიცებდნენ, რომ მათი დროისათვის აფხაზეთის, ანუ როგორც ისინი უწოდებდნენ, „ქვემო იბერიის“ კათალიკოსი უფროსია „ზემო ივერიის“ კათალიკოსთან შედარებით (იხ. ზემოთ). ცხადია, ასეთი მტკიცებანი იმ წუთიერი დაკვირვების შედეგი იყო და არა ობიექტური სურათი.

სწორედ ქართველი ერის უდიდესი კრიზისის დროს, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, იერუსალიმელ-ანტიოქიელმა პატრიარქებმა ისარგებლეს მომენტით და ქართული ეკლესის გაერთიანება-გაძლიერების მაგიერ ისურვეს მისი დაქუცმაცება-დანაწილება. XV საუკუნის 70-იან წლებში სახელმწიფოებრივი კრიზისის დროს დასავლეთ საქართველოში ჩასულა იერუსალიმელ-ანტიოქიელი პატრიარქი და მას დასავლეთ საქართველოს ეკლესისათვის „მიუნიჭებია“ ავტოკეფალია. უკურთხებია ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად (იქვე, გვ. 222). ცნობილია, რომ ამის შემდეგ საუკუნეთა მანძილზე აფხაზეთის კათალიკოსს იქვე, დასავლეთ საქართველოში ირჩევდნენ და საერთოდ არ ეკითხებოდნენ ნებართვას არც ერთ უცხოელ პატრიარქს, და არც ანტიოქიელ-იერუსალიმელს. XV საუკუნეში ჩამოსული უცხოელი პატრიარქი დასავლელ ქართველმა იერარქებმა გამოიყენეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისაგან უფრო მეტი დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით. აქამდე, როგორც ითქვა, აფხაზეთის საკათალიკოსო წარმოადგენდა ნაწილს საქართველოს საპატრიარქოსი, ამიტომაც აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევა შეიძლებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნებართვით, მის მიერ. ახლა, უკვე ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქის მიერ „იქმნა გამოძიება და მოკითხვა გუჯართა იადგართა და ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარქისაგან იკურთხეოდიან და ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგისაგან იყვნეს მრავ-

ალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით ვნახეთ ... ვაკურთხეთ კა-
თალიკოზი იოვაკიმ მარჯვენაი იერუსალიმისა აფხაზეთისა კათ-
ალიკოზი... დავაყენეთ და დავსვით აფხაზეთს, საყდარს მას ანდ-
რია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანთა ლიხთ-ამერსა, ოდ-
იშისა, გურიისა და აფხაზეთისა“ (იქვე, გვ. 222).

ამ დროს მოხდა არა აფხაზეთის ეკლესიის დამორჩილება
ანტიოქია-იერუსალიმზე, არამედ აფხაზეთის ეკლესია
უფლებრივად გაუტოლდა ქართლის საპატრიარქოს და
დამოუკიდებელი გახდა მისგან.

ამის შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო შეეცადა
გამხდარიყო ლიდერისაქართველოს ეკლესიისა, მისი მეთაურები
ზოგჯერ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის
სახელით გამოდიოდნენ. მაგალითად, მოღწეულია ერთი საბუთი,
რომელსაც ადასტურებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-
პატრიარქი გრიგოლი, რომელიც იყო არა მცხეთის, არმედ ბიჭვ-
ინთის მამამთავარი, „გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა
საქართველოისა კათალიკოზი“ (ქართ. სამართლის ძეგლები, III,
გვ. 675). ასე რომ, XV საუკუნის შემდეგ აფხაზეთის საკათალ-
იკოსო ქართლის ეკლესიას კი არ გამოეყო, პირიქით, თავისი თავი
ერთადერთ, „ქრისტეს მიერ“ დადგენილ „ყოვლისა საქართველოს“
მწყემსად გამოაცხადა.

როგორც ითქვა, აფხაზეთის საკათალიკოსო გარკვეული თვ-
ალსაზრისით გაძლიერდა კიდეც, მაგრამ მისი წარმატება შეაჩერა
მთიელი წარმართული ტომების შემოსევებმა. მთიელი წარმართი
ჩერქეზულ-აფხარული ტომები, უპირველეს ყოვლისა, უტევდნ-
ენ აფხაზეთში არსებულ ეკლესიებსა და მონასტრებს. ქართული
სულიერი კულტურის უძველეს კერებში, საეპისკოპოსო თუ
სამრევლო ტაძრებში დაგროვილი იყო აურაცხელი განძი, ჩერ-
ქეზ-აფხარები ანადგურებდნენ, იტაცებდნენ განძს, არ ინდობდნენ
ადამიანებსაც, ძირძველ ქართულ მოსახლეობას. ჩრდილო

კავკასიიდან ჩასახლებული მთიელები ქვეყნის სახელის მიზედვით იწოდნენ „აფხაზებად“ და დაუპირისპირდნენ ძველ კულტურას. „მცნებაი სასჯულოში“ აღნიშნავდნენ – „...აფხაზი ქრისტეანობისაგან სრულიად მიღრეკილ იყვნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყვნეს“ (იქვე, გვ. 222).

აფხაზეთის კათალიკოსებს ასეთ როტულ ვითარებაში მიზნად დაუსახავთ „აფხაზთაგან“ (ანუ უკვე ჩერქეზ-აფხარებისაგან) აყრილი ქართული მოსახლეობა დაესახლებინათ თავიანთ მამულში, ანდა საქართველოს მყუდრო კუთხეებში, 1712 წლის ერთ საბუთში აღინიშნა – „ნაჟანევს სოფელი აფხაზსა აეყარა“ (იქვე, გვ. 670), სხვა საბუთებშია: „კიდევ ბიბია ბოლქვაძე აფხაზს ცოლ-შვილიანად წაეყვანა“ (იქვე, გვ. 677). ამიტომაც წერდა წინა საუკუნეთა ერთი საბუთი: აფხაზებმა გარყვნეს სჯული და კათალიკოზობაო. აფხაზეთის კათალიკოსები იხსინიან და ასახლებენ დატყვევებულ მოსახლეობას, ამას მიუთითებს მრავალი საბუთი.

გლეხების ქონებაზე დახარბებული მთიელი წარმართებისათვის საეკლესიო ქონება ნამდვილი ზღაპრული განძი იყო. ქართველ სამღვდელოებას მრავალ ასეულ წლობით ნაგროვები განძი ჰქონდა დაცული აფხაზეთის ეკლესიებში. მხოლოდ ერთი-ორი საბუთიდანაც კი ჩანს, რა აურაცხელი განძი იყო ტაძრებში დაცული: აი, რა ქონება შესწირა ქართველმა მღვდელმთავარმა ბიჭვინთის ტაძარს დაახლოებით 1600 წელს: „ნებითა ღვთისათა არს ევდემონ კათალიკოზის შეწირული: ერთი ოქროს ხატი ... ერთი ოქროს ჯვარი მოთვალმარგალიტული, ერთი ბარძიმი ოქროისა მოთვალმარგალიტული, ერთი ოთხთავი ოქროთ მოჭედილი მოთვალმარგალიტული... (ექვთიმე კათალიკოზის შეწირულობა). ნებითა ღვთისათა შევსწირე მე, აფხაზეთის კათალიკოზმან ეფვთიმი საყვარელისძემან ბიჭვინთისა ღვთისმშობლისა გვირგვინი ოქროისა მოთვალმარგალ-

იტული, ომოფორი მძიმედ მოთვალმარგალიტული, ბისონი საჯვრისა ოქროს ღილებიანი... ქამარი ოქროსა, ენქერი სირმი-საი მძიმედ მოთვალმარგალიტული... ოქროს ხატი მძიმედ მოთვ-ალმარგალიტული... ერთი ფეშუმი ოქროსა, და ერთი ვერცხლისაი. ერთი ქანარტი ოქროსა მოთვალული... ოქროს კონდაკი... ოქროს დოსტაქანი...“ (იქვე, გვ. 386), ჩამონათვალი ძვირფასი შეწირულობებისა ძალზე დიდია. XVII ს-ის 20-იან წლებში მალაქია გურიელმა კათალიკოსმა შესწირა ბიჭვინთას – „ქ. შემიწირავს ჩვენ აფხაზეთის კათალიკოზსა გურიელის ძესა ბატონის მალაქიას ბიჭვინთისა ღვთისმშობლისათვის: ერთი მურ-ასა ყელსაკიდი ხატი... ერთი დიდი ნალბაქი ოქროსა ოთხასის ფლურისა... ერთი კარგი ვერცხლის ჯვარ-სანთელი, ერთი მომარგალიტებული მაზარა... ენქერი მძიმედ მოთვალმარგალ-იტული რვა ოქროს რგოლითა, შვიდის მომარგალიტულის რგოლითა... ბისონი მოთვალმარგალიტული... ერთი ოქროს ომ-ოფორი... მძიმედ მოთვალმარგალიტულისამი ოქროს ღილითა... ერთი ოქროს დიდის ღილითა, მურასათ ნაქნარი თხუთმეტი თხუთმეტი ოქროს ღილითა... მომარგალიტული ქამარი... ბისონი სტავრისა მომარგალიტული თვრამეტის ორქროს მუშაბახის ამბრიანის ღილებითა... ორმოცდაექვსი ყირმიზი იაგუნდი... სხვა მრავალი თვლითა და მარგალიტითა... ორი ოქროს ღილი მურასა მუშამბახისა...“ (იქვე, გვ. 498). ჩამოთვლაც კი ძნელია.

იმავე წლებში მალაქია გურიელი კათალიკოსი კვლავ სწირ-ავს ბიჭვინთას მდიდარ შესაწირავს, მამულებს, სოფლებს, ყმებს, უთვალავ ქონებას, რომელსაც თავად „მცირე შესწირავს“ უწოდებს: „...წმიდის ანდრია მოციქულის ხატი მომიჭედინებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვინთას დამისვენებია... ამას გარეთ ერთი მძიმედ მოთვალმარგალიტული ოქროს ომოფორი ათასის ფლურისა სრულიად პატიოსანის თვ-ალითა და მარგალიტითა შემკობილი და მისი ოქროს

ბუშტებითა... მძიმე ოქროს სირმის... ფირუზისა და ყირმიზის იაგუნდის მეტი არა ზის რა, ეს ღილები თვითო ას-ას მარჩილად ნასყიდი არის... სამკლავები ოქროსა ოთხასის ფლურისა მძიმედ მოთვალმარგალიტული... ოქროს მურასა ქამარი პატიოსნის ყირმიზის იაგუნდითა, ლალითა, ნიშაურის ფირუზითა და მარგალიტითა“ (გვ. 499). ერთი სიტყვით, ჩამოთვლა შეუძლებელია.

მთიელი წარმართებისათვის, რომელთაც მაჰმადიანები ჩერქეზებს, ხოლო ქართველები ჯერ აფსარებს, ხოლო აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ აფხაზებს უწოდებდნენ, ოქრომრავალი, მარგალიტებითა და ძვირფასი თვლებით ავსებული ბიჭვინთის ტაძარი, აფხაზეთის სხვა ქართული საეპისკოპოსო ტაძრები, რომელთაც ქართული სახელმწიფო ვედარ იცავდა, ნამდვილ უპატრონო საგანმურს წარმოადგენდა.

აღიღე-აფსარებმა საფუძვლიანად გაძარცვეს ჯერ ბიჭვინთის ტაძარი, მასში მხოლოდ მათთვის უსარგებლო ქართული წიგნები დატოვეს, შემდეგ კი აფხაზეთის სხვა ქართული საეპისკოპოსოები.

ბიჭვინთა ქართველმა სამღვდელოებამ მიატოვა, მათი დიდი ნაწილი, ისე როგორც ტაძრის ყმები და ტაძრის შვილები, ტყვეებად გაჰყიდეს. ბიჭვინთა რომ ჩერქეზ-აფსარების შემოსევების გამო მოუტოვებიათ, ეს ცნობილი იყო უცხოელი-ევროპელი მკვლევარებისთვისაც.

XIX ს-ის დასაწყისში ამ მხარეში მოგზაური ფრანსუა გამბა წერდა ბიჭვინთის ტაძრის შესახებ – „აქ დღემდე შემორჩენილია ნანგრევები, ან უფრო სწორედ თითქმის მთლიანი კედლები ძველი მონასტრისა, რომელიც დიდი ხნის წინათ ჩერქეზების შემოსევების მოუტოვებიათ“ (გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, 1987 წ., გვ. 79). ამ დროისათვის ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი თითქმის გააფსარებულ-

გააფხაზებული იყო, მათ კიდევ შემორჩენოდათ წსოვნის ნაშთი ბიჭვინთისადმი მოწიწებისა.

გამბა წერს: „ჩემს მიერ მოხსენებული მიტოვებული მონასტერი მაჰმადიანი აფხაზებისა და აქ დასახლებული სომხებისათვის შიშისა და თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენს. აფხაზები ცრუმორწმუნენი არიან, რის გამოც ამ მონასტერში შემორჩენილ ავეჯს, საეკლესიო მორთულობასა და წიგნებს დღესაც კი ეთაყვანებიან. ვერც ერთი აფხაზი, თურქი თუ სომეხი, რომელიც ბიჭვინთაში ჩამოდის, რათა მარილი ბზაში გაცვალოს, ვერ ბედავს ამ ნივთების მკრეხელური ხელი ახლოს. 1821 წელს აქ სავაჭროდ ჩამოსულმა ვიღაც სომეხმა ერთ-ერთი წიგნიდან ფურცელი მოიპარა, რომელიც მისთვის უცნობი ასოებით იყო დაწერილი“ (იქვე, გვ. 80).

რაღა იყო დარჩენილი ბიჭვინთის უბრწყინვალესი საკათალ-იკოსოდან? ურწმუნოთათვის გამოუსადეგარი ქართული წმიდა წიგნები, რომელთაც ფურცელ-ფურცელ ძარცვავდნენ.

იქამდე კი არცთუ დიდი ხნით ადრე ბიჭვინთისათვის სისხლის ცრემლ-დანთხეული ქართველი ძღვდელმთავრები თავს არ იზოგავდნენ ამ ეკლესისა და მათი მრევლისათვის. მხოლოდ შეწირულებათა სიის ჩამოწერას სჭირდება დიდი დრო და ენერგია, საგანგებო მონოგრაფია. ჩამოვთვლით მხოლოდ იმ სიგელების, შეწირულების წიგნების სათაურებს, რომელნიც ჩვენ სამღვდელოებას ბიჭვინთის საკათალიკოსოსათვის შეუწირავს. „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლის დავთარი“, 1621 წლისა. „შეწირულობის წიგნი მალაქია კათალიკოზისა ბიჭვინტისადმი“ ორჯერ სხვადასხვა წლებში, ერთ-ერთი 1712 წლის (იქვე, გვ. 668), ხოლო შემდგომი შეწირულობა მახლობელ წელს მომხდარა (იქვე, გვ. 675). 1731 წლისათვის არსებოს „შეწირულების წიგნი გაბრიელ წინამდღვრისა ბიჭვინტისადმი“ (იქვე, გვ. 714).

არსებობს 1732 წლის კიდევ ერთი „შეწირულობის წიგნი კა-თალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი“ (იქვე, გვ. 716). ხოლო 1733 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძე კვლავ მრავ-ალს სწირავს ბიჭვინტას“ (იქვე, გვ. 718). სწორედ ამ შეწირულობის სიგელში აღნიშნავს აფხაზეთის ხეტარი კათალ-იკოზი, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის, ანუ აფხაზეთის საკათ-ალიკოსოს სამწყსოს ქართველები შეადგენდნენ. კერძოდ, ის ამ სიგელში წერს: „...ვითარცა იგი პეტრე მოციქულსა მიეცა ჰურ-იათა მოქცევაი, ხოლო პავლეს წარმართოთა ზედა, აგრეთვე პი-რველ წოდებულსა ანდრეას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქ-ცევად ჩვენებითა წმიდისა ღვთისმშობლისათა, რამეთუ ჩვენ ქა-რთველნი მისნი წილხდომილნი ვართ... ამათ კათალიკოზთა და საჭედ მპყრობელთა ბიჭვინტისა ღვთისმშობლისათა მსახურება საყდრისა დიდად ეღვაწად“ (იქვე, გვ. 727). აქედან ჩანს, რომ წმინ-და ანდრიას მიერ მოქცეული დასავლეთ საქათველოს, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლს მხოლოდ და მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ. შემდგომ წლებშიც შესწირა ბიჭვინტ-ას გრიგოლ ლორთქიფანიძემ შესაწირავები (იქვე, გვ. 764, 765, 768). შესაწირავი კვლავ განმეორდა შემდგომ წლებშიც (იქვე, გვ. 772). არსებობს ბესარიონ კათალიკოსის (1742-1769) შეწირულობის წიგნი ბიჭვინტისადმი (იქვე, გვ. 880). არსებობს 1770 წლის 15 იანვრით დათარიღებული შეწირულობის წიგნი ბიჭვინტისადმი (იქვე, გვ. 883), იგივე კათალიკოზი 1774 წელსაც სწირავს შესაწირავს ბიჭვინტას (იქვე, გვ. 896) და ა.შ.

ბიჭვინთის დიდებულ ტაძარში თითქმის მთელი 800 წლის მანძილზე, თუ უფრო მეტი წნით არა, უფალ ღმერთს მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენით აღიდებდნენ.

თუ როგორ პატივს სცემდნენ ქართველი მღვდელმთავრები ბიჭვინტის ღვთისმშობელს, ეს მათი ზეაღტაცებული მიმართვ-იდანაც ჩანს: „ეპა ასულო მშვენიერო, იოვაკიმის ნაყოფო,

სიტკბოებით აღსავსეო, ანას მორჩო, რტო გადაფრენილო, სოლომონის ვენახო, რქა მეწამულო, დავითის ყვავილო, დაბადებულთა სულნელმყოფო, იესეს კვერთხო, დიდებით აღყვავებულო, იუდას შროშანო, დაბადებულთა სამკაულო, იაკობის კიბეო ზეცად მიმართ აღმართებაო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღყვავებულო, აბრამის კვირტო დიდებით აღმოფრჩვნილო, სემის დასაბამო, ნათესავთა მშვიდობაო, ნოეს სულისა სამოსელო, დაულპოლველო, ევას ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, ადამის დიდებაო, სამოთხეო პირმეტყველო ღმრთისა მამისა მხოლოსა წინათვე გამორჩეულო და ძისა მხოლოსა პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილსა დედად ქალწულებით უთესლოდ მშობელად განწესებულო და სულისა წმიდისა ტაძარო, რომელმან ერთი სამებისაგანი შეიწყნარე და უაღრეს ყოველთა ბუნებათა შევ ძე მხოლოდ შობილი“ (ქართ. სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 640), რაოდენ მტკივნეული უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის ბიჭვინთის ტაძრის მოქმედების გაუქმება.

ჩერქეზ-აფსართა თავდასხმის შედეგად ზედიზედ გაუქმდა მოქვის, დრანდის, ბედისსაეპისკოპოსოები და, ცხადია, ბიჭვინთის კათედრაც. უცხოელი მოგზაურები და დამკვირვებლები დაბეჯითებით წერდნენ, რომ აღნიშნულ საეპისკოპოსოთა მოსახლეობას წარმოადგენდნენ ქართველები.

ნ.ბერძენიშვილი წერს: „გრანუეს მოწმობა იმითაა საინტერესო, რომ ის მოქეს სამეგრელოში გულისხმობს, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა იმით, რომ აქ ის საჭიროდ სცნობს სამოღვაწეოდ შეისწავლოს მეგრული და ქართული, რომ მაშასადამე მოქვის რაიონი მეგრელებით დასახლებული ეგულება (ქართული სახელმწიფო და ქრისტიანობის ენაა), რაც მისიონერული მოღვაწეობისათვის აუცილებელია.

აქ რომ იმ დროს სხვა ენის ხალხს ეცხოვრა, გრანუიე (და მისიონერები) ამ ხალხის ენის შესწავლას ასევე, საფიქრებელია, საჭიროდ დაინახავდნენ... ასე, რომ მოქვის რაიონი (მოქვის საეპისკოპოსო) მე-17 საუკუნის დასაწყისს არა მარტო პოლიტიკურად სამეგრელოა, ის ეთნიკურადაც მეგრელებით არის დასახლებული“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 612).

ასევე აბსოლუტურად ქართული იყო დრანდისა და ბედის საეპისკოპოსოები: „ცხადია, რომ დრანდა, ისევე როგორც ბედია, სამეგრელოშია“ (იქვე, გვ. 618). ნ. ბერძენიშვილი ასეთ დასკვნის გაკეთების დროს ეყრდნობა პატრი იოანესა და სხვათა მოხსენებებს და წერს: „იგულისხმება, რომ დრანდის რაიონი, ისევე როგორც ბედისა, ქართველებითაა დასახლებული“ (იქვე, გვ. 618).

თვით ისეთი მკვლევარიც კი, როგორიცაა ი. ვორონოვი, რომელსაც აფხაზეთში ქართველობის დანახვა არ სურს, წერს, რომ დრანდის ბოლო ეპისკოპოსი განდევნილ იქნა თავისი კათედრიდან. აფხაზეთის სამთავროს გაფართოების შედეგად, ე.ი. იმის გამო, რომ დრანდის საეპისკოპოსო მოექცა აფხაზ მთიელთა ხელქვეშ და ამის გამო ეპისკოპოსის იქ აღარ ედგომებოდა. ვორონოვი ჩამოთვლის დრანდელი ეპისკოპოსების სახელებს, რომელნიც ცნობილი არიან წყაროებში, ბოლო ეპისკოპოსი გაბრიელი იძულებული გამხდარა XVII საუკუნეში მიეტოვებინა დრანდა, რის შედეგაც ის იერუსალიმში წასულა, ხოლო ვახუშტის დროს კათედრა უკვე გაუქმებულია. მთლიანი წინადაღება ასეთია: «**მამამამამა მამამა მამამამა მამამამამა მამამამამამა - მამამა, მამამამა ა მამამა მამამამამა მამამამამა მამამა** (მამა), **მამამამამამა ა მამამამა მამამამა მამამამა მამამა**, **მამამამამა ა მამამამა მამამამა მამამამა მამამა** XVI მამა მამამამამა მამამამა ა მამამამა,

თავისუფლად თუ თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად, თ თავისუფლად, თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თ თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად XVII თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად » (ა ასეთ თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად თავისუფლად, თავისუფლად, 1978 წ., გვ. 105).

ასეთივე ბედი ეწია, როგორც აღინიშნა, ბიჭვინთის კათედრასაც. ბიჭვინთა საკათალიკოსო ტაძარი იყო და „კათოლიკე პატ-რიარქთა“ საყდარი ბიჭვინთაში მდებარეობდა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებული ოვალსაზრისით, „საკათალიკოსო ტახტი ბიჭვინთიდან გელათში გადმოვიდა 1545-1569 წლებს შორის“ (ბ. ლომინაძე). მიზეზი ჩრდილოელი წარმართული ტომების შემოსევა ყოფილა „...ოსმალების თუ მათი გავლენის ქვეშ მყოფი ჩრდილო ტომების უშუალო შემოტევა აფხაზეთზე, მათმა მიახლოებამ ბიჭვინთისაკენ, უეჭველია, შეაფერხა ქრისტიანული მრევლისა და მასთან ერთად საკათალიკოსო საყმოს ნორმალური განვითარება აფხაზეთში. ომებმა შეაფერხეს კათალიკოსის უშიშარი მისვლა-მოსვლაც სამწყსო საეკლესიო საქმეებზე და საფრთხე შეუქმნეს კათალიკოსის ფიზიკურ არსებობას. ყველა ამ საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა სიტუაციამ XVI საუკუნეში იძულებული გახდადა ევდემონ ჩხეტიძე და ეტოვებინა ბიჭვინთა და გადმოენაცვლა გელათში, პოლიტიკურ ცენტრში“ (ბ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 49).

სავარაუდოა, რომ ბიჭვინთამ განაგრძო არსებობა როგორც ერთ-ერთმა რეზიდენციამ კათალიკოსისა, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ბიჭვინთა ითვლებოდა საკათალიკოსო სასულიერო ცენტრად XVIII საუკუნეშიც. ამ საკათალიკოსოს ერთ-ერთ საბუთში აღნიშნული იყო, რომ მისი იურისდიქციის უკიდურეს საზღვარს ჩრდილო-დასავლეთით წარმოადგენდა პუნქტი „კაფა“

- უცხოელები და კერძოდ იტალიელები, რომელთაც შავი ზღვის სანაპიროზე ამ დროისათვის ჰქონდათ თავიანთი ფაქტორიები, სავაჭრო ცენტრები, ყირიმის ნახევარ კუნძულს უწოდებდნენ კაფას კუნძულს, ზოგჯერ კი მის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც მდებარეობდა ქალაქი „კაფა“. კაფასთან საქართველოს შავი ზღვისპირეთს ჰქონდა მჭიდრო კავშირი და მართლაც ჩვენს ქვეყანასთან ვაჭრობას გენუის ხელისუფლება კაფას საშუალებით ახორციელებდა. საქართველოს სამეფო კარიც დაინტერესებული ყოფილა კაფასთან ვაჭრობით და მართლაც ამ პუნქტთან საქართველოს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა და ამის გამო ქალაქ კაფაში მრავლად ცხოვრობდნენ ქართველები (ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს შავი ზღვისპირეთის ისტორიიდან, გაზ. „სახალხო განათლება“, 18.X.89). კაფას შემდგომში ეწოდა ფეოდოსია და სწორედ კაფა ითვლებოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ერთ-ერთ სასაზღვრო პუნქტად. „კათალიკოზის საკურთხი არს სამწყსო ლიხისა და კაფას შუა, რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“ (ქართ. სამართ. ძეგ., II, გვ. 180).

„მცნებაი სასჯულოს“ დაწერის დროისათვის იურისდიქციის საზღვრები ასეა განსაზღვრული: „ლიხთა ამერისა, ჭოროხისა აქეთ, ოსეთსა აქეთ, ზღვაი პონტოსა აქათ სადა დიდისა ბიჭვინთის საზღვარი მიაწევს“ (ქართ. სამ. ძეგ., III, გვ. 223). საუკუნეთა შემდგომ საკათალიკოსოს საზღვარი ფაქტიურად უკვე რამდენადმე შემცირდა, მაგრამ, აფხაზეთის ახალი მოსახლეობაც, რომელშიც არსებობდნენ ძველი ქრისტიანული დაფენებანი, ასევე ახალი ნახევრად წარმართულიც, თავის თავს ქრისტიანულს უწოდებდა და ჩვენი ეკლესიის მრევლს წარმოადგენდა, მაგრამ ახალ მრევლსა და ძველ მრევლს შორის დიდი განსხვავება იყო და დიდი დრო ესაჭიროებოდა მას ძველი აფხაზეთის მრევლის სიმაღლემდე მისაღწევად.

აფხაზეთის საკათალიკოსომ დასავლეთ საქართველოს ყოველ

კუთხეში (სამეგრელოსა, გურიასა, იმერეთსა, რაჭა-ლეჩხუმსა თუ სვანეთში) შეინარჩუნა ძველი სიდიადე და ის ღირსეულად არსებობდა რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს ანექსიამდე. იმის შემდეგაც კი, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს მომცველი ზემო ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია რუსებმა უკანონოდ გააუქმეს 1811 წელს, ქვემო იბერიის საკათალიკოსო არსებობას განაგრძობდა 1820 წლამდე იმერეთის ცნობილ საეკლესიო აჯანყებამდე. მართალია, ამ დროისათვის აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი თავისუფალი იყო, მაგრამ მის მოსაყდრეს ფაქტიურად წარმოადგენდა დოსითეოს ქუთათელი მიტროპოლიტი. მის მიერ გაცემული ბოლო საეკლესიო საბუთები 1818 წლით თარიღდება, ეს მიტროპოლიტი რუსის ხელისუფლებმა დააპატიმრეს და ცემითა და სასტიკი ტანჯვით ამოხადეს სული. ამით ფაქტიურად დამთავრდა ქვემო ივერიის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს ათასწლოვანი ისტორია. როგორც ზემო ივერიის, ასევე ქვემო ივერიის ეკლესიები რუსეთის ეკლესიამ მიერთა, მაგრამ ამის შემდეგაც, საბედნიეროდ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიებში წირვა-ლოცვა ძველებურადვე ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და მიუხედავად დიდი სურვილისა, სლავურმა ენამ ოდნავადაც კი ვერ დაჩრდილა სრულიად საქართველოში ძველი ქართული საეკლესიო ენა და ყოველ კუთხეში ქართველ მრევლს კვლავ ქართველი სამღვდელოება ემსახურებოდა.

20 იანვარი, 1990 წ., ქ. ახალციხე.

მთიალი აღიღე-ჩერქეზული. ანუ ავსუათა ტომაბის ჩამოსახლება აჭაზეთში

XVII საუკუნეში ოდიშის, ანუ სამეგრელოს სამთავროს გამოეყო აფხაზეთი. საზღვარი ამ ორ სამთავროს შორის მდინარე კოდორზე გადიოდა, თუმცა არსებობს XVII ს-ის ოდიშის რუკა, სადაც საზღვარი უფრო დასავლეთით – მდინარე კელსურზე გადის. აფხაზეთის სამთავრო ამ დროს მცირე მხარე იყო, მისი საზღვარი ჩრდილოეთის მიმართულებით არ მოიცავდა ფაქტიურად თანამედროვე გაგრის რაიონის მნიშვნელოვან ნაწილსაც კი, რადგანაც ეს ტერიტორია ამ დროისათვის სამხრეთით წამოწეული ჯიქების ტომს ეჭირა. ხოლო რაც შეეხება სამეგრელოს სამთავროს, ის უკიდურესად იყო გაძლიერებული XVII საუკუნის I ნახევარში, იმდენად, რომ ლევან დადიანი იმერეთის მეფეს ტახტს ეცილებოდა, საზღვარი იმერეთსა და სამეგრელოს შორის ფაქტიურად ქუთაისის მახლობლად გადიოდა.

ეკონომიკურად, კულტურულად და საზოგადოებრივი ყოფით აფხაზეთის სამთავროს მცხოვრები, ჩრდილო კავკასიიდან ახალი ჩამოსახლებულნი, იმდროინდელი უცხოელი დამკვირვებლების აღწერით, უკიდურესად ჩამორჩენილი იყვნენ, მიწათმოქმედებას არ ეწეოდნენ, არ ჰქონდათ ქალაქები და, ჩანს, სოფლებიც კი (იხ. ქვემოთ). ამ პატარა ქვეყნის მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, ხოლო სამეგრელო განვითარებული მიწათმოქმედების, ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა აფხაზეთთან შედარებით. ოდიში კარგად დასახლებული, ყოველმხრივ განვითარებული, მათ შორის შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკითაც მოწინავე ქვეყანა იყო.

მიუხედავად ამისა, XVII საუკუნეში მოხდა გასაოცარი მოვლენა – აფხაზეთის პატარა სამთავრომ გაცილებით უფრო ძლიერი და დიდი ოდიშის სამთავრო რამდენჯერმე დაამარცხა, ჩამოაშორა

მნიშვნელოვანი მიწა-წყალი, ისე, რომ საზღვარი ზუგდიდს მიუახლოვდა და მდინარე ენგურზე იქნა გავლებული, სამეგრელოს მოსახლეობა დამარცხებებით დაშინდა ისე, რომ შიშით ხვდებოდა სიტყვა „აფხაზის“ ხსენებასაც კი. ისმის კითხვა, როგორ შეძლო პატარა, მცირერიცხოვნმა, სოფლის მეურნეობის არმქონე, განუვითარებელმა მხარემ ძლიერი სამეგრელოს სამთავროს დამარცხება და მისი მიწების დაუფლება? ამ ეპოქაში „აფხაზი“ უკვე ეწოდება იმ ჩრდილოკავკასიელ მთიელებსაც, რომელიც აფხაზეთის სამთავროში გაბატონდნენ.

თანახმად ვა ხუშტისა, ოდიშის ისტორიული საზღვარი იწყებოდა ანაკოფიასთან, ანუ თანამედროვე ახალ ათონთან. ქალაქი ანაკოფია ბაგრატიონ მეფეებს აუშენებიათ „აწ ოხერ არს და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა. ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე შეავლო ზღუდე ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის, გარნა აწ უქმად არს. ხოლო სიგრძე იდიშისა არს კავკასის თხემიდამ ზღვამდე და ცხენის წყლიდან ზღვადმდევე და მეორე – ეგრისის წყლიდამ ანაკოფიამდე, და განიმისი რიონის მდინარედამ ეგრისის მდინარემდე და მეორე ზღვიდამ კავკასიის თხემამდე“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 782).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ოდიში ვიწრო მნიშვნელობით ეწოდებოდა ქვეყანას ეგრისწყლიდან ანაკოფიამდე, ანუ ახალ ათონამდე, იგი მოიცავდა თანამედროვე გალის, ოჩამჩირისა, გულრიფშ-სოხუმისა და ნაწილობრივ გუდაუთის რაიონებს, ხოლო ფართო მნიშვნელობით ოდიში ვრცელი ქვეყანა იყო და მისი აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ცხენისწყალზე, სამხრეთი კი რიონზე გადიოდა. ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის მთები იყო. ანაკოფია (ახალი ათონი) ოდიშის დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა, მაშასადამე, ცხუმი, დრანდა, მოქვი, ილორი თუ ბედია ოდიშში შედიოდა. ლევან II დადიანის დროს უკვე იწყება ოდიშის საზღვრების ცვლილება, ჩრდილოელი მთ-

იელი ტომების შემოსევები იმდენად დიდი და ინტენსიური ყოფილა, რომ სამეგრელოს მთავარს „აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“ აუგია დღიდი 60-100 კმ. სიგრძის კედელი, რომელიც კელასურთან იწყებოდა.

როგორც ზემოთ აღნიშნა ი. ვორონოვმა, კელასურის კედელი წარმოადგენდა სამეცნიელოს სამთავროსათვის „ორგანიზებული თავდაცვის“ საფორტიფიკაციო ნაგებობას. ეს სიმაგრეთა მთელი სისტემა ოდიშხე აფხაზების შესაჩერებლად იყო განსაზღვრული, აგებულ იქნა XVII საუკუნის 40-50-იან წლებში და იცავდა თანა-ამედროვე გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის და ნაწილობრივ ზუგდიდის რაიონის ზღვისპირა, უხვმოსავლიან, სამიწათმოქმედო მხარეებს, ხოლო ამ მხარეთა მომცველი კავკასიონის მთიანეთი უკვე უჭირავთ მთიელ წარმართებს, სწორედ ამიტომ გრძელდება

ეს კედელი ზღვისპირეთის პარალელურად, თითქმის 100 კმ-ის სიგრძეზე. ამ დროისათვის, მართალია, მდინარე კოდორის ზღვი-სპირას მდებარე სანაპიროები კვლავ ქართული მოსახლეობითაა დასახლებული, მაგრამ მთისწინეთსა და მთებში მდებარე ამ მდინარის მარჯვენა სანაპირო უკვე აფხაზ-მთიელებით ყოფილა დაკავებული და საზღვარიც აქ გადიოდა ორ სამთავროს შორის.

დასმულ კითხვაზე, თუ როგორ შეძლო მცირე სამთავრომ ძლიერი სამეგრელოს სამთავროს შევიწროება და მის ხარჯზე თავისი ტერიტორიების გაზრდა, უნდა ვუპასუხოთ, რომ არა მხოლოდ აფხაზეთის სამთავროს მცირერიცხოვანი მოსახლეობა ებრძოდა ოდიშსა და დასავლურ-ქართულ სახელმწიფოებრიბისას, არამედ მთელ ჩრდილო-იმიერკავკასიაში მცხოვრები ჩერქეზულ-ადიღური ტომები, რომელთაც ბაზა აფხაზეთში გააჩნდათ.

ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი ტომების ბრძოლა საქართველოს კუთხეთა წინააღმდეგ ცნობილი ფაქტია. კახეთისა და ქართლის სამეფოებს ებრძოდა ჩრდილო-აღმოსავლეთი იმიერკავკასია, ანუ დაღესტანი, ლეკების საერთო სახელწოდებით. მათ ბაზა გაიჩინეს დაპყრობილ აღმოსავლეთ კახეთში, რომელსაც ჭარ-ბელაქანი ეწოდა. ასევე ებრძოდნენ იმ პერიოდისათვის ქართლის მთიანეთს ისები.

აფხაზეთში ადიღეური, ანუ ჩერქეზული ტომების მასიურ ჩამოსახლებას XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან გააჩნდა თავისი ისტორიული წანამძღვრები. ადიღების ტომებს (აბაზების, აფსუების და სხვა სახელებით) რამდენიმე წნით ადრეც შემოუღწევია აფხაზეთში, მაგრამ XVII ს-ში მთიელი მებრძოლები კვლავ მოუწვევია ლევან დადიანისაგან უკიდურესად შეურაცხყოფილ აფხაზეთის მთავარს.

ლევან დადიანს ცოლად ჰყავდა აფხაზეთის მთავრის სორეხ შერვაშიძის ქალი. მალე დალატის თუ ცილისწამების გამო ლევანმა ცოლი გააგდო, ცხვირი და ყურები დააჭრა მას და მამას

დაუბრუნა, ხოლო მასთან შეძენილი ორი ვაჟი მოწამვლით მოაკვლევინა, რამაც საშინლად აღაშფოთა აფხაზეთი. ეს მომხდარა 1623 წლისათვის.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, აფხაზები „დადიანისაგან თავს შეურაცხყოფილად სთვლიდნენ, რადგან მან გააგდო ცოლი, მათი მთავრის ქალი, ამის გამო აფხაზები ისე გაბრაზებული იყვნენ დადიანზე, რომ იმ დროს, როცა დადიანი გართული იყო ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრობის საქმეში, სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად მოაოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს“.

დადიანი თავიდან შეტევაზე გადასულა, აფხაზეთი რამდენჯერმე დაულაშქრავს და ხარკიც დაუდვია, 40-იანი წლებისათვის სურათი შეიცვალა, აფხაზები შეტევაზე გადასულან ისე, რომ ლევანს სამეგრელოს დასაცავად აღნიშნული კედლის აშენება დასჭირდა.

„განსაკუთრებით გაძლიერდა აფხაზ ფეოდალთა თავდასხმები ოდიშზე 40-იან წლებში, სწორედ იმ დროს, როცა ოდიშის მთავარი იმერეთთან ბრძოლით იყო დაკავებული. დადიანმა აფხაზი ფეოდალების შემოტევის შესაჩერებლად სიმაგრეთა მთელი სისტემა შექმნა აფხაზეთის საზღვარზე... ამ კედელს, რომელშიც შიგადაშიგ დატანებული იყო ხის კოშკები, მორიგეობით იცავდნენ ოდიშის თავადებისა და ეპისკოპოსების ჯარები... ამ დიდ ღონისძიებათა გატარების შემდეგ დადიანმა დროებით შეძლო აფხაზ ფეოდალთა შემოსევების შეჩერება“ (ნარკვ., IV, გვ. 340).

ოდიშის შეტევა 20-იოდე წელიწადში ღრმა თავდაცვით შეიცვალა. უნდა ვითქიქროთ, რომ დროის ამ მონაკვეთში XVII ს-ის 20-40-იან წლებში აფხაზმა თავადებმა საშველად იხმეს ჩრდილოკავკასიელი ტომები. მათი შეკავება ოდიშმა ვერ შეძლო და სულ 40-იოდე წელში საზღვარი მდინარე კოდორიდან მდინარე

ენგურამდე იქნა გადატანილი. აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიის ფართობი 2-ჯერ გაიზარდა ოდიშის ხარჯზე.

ჩრდილოკავკასიელები, კერძოდ, ჩერქეზულ-ადილური ტომი ჯიქები ადრე ოდიშის მთავრის მიერ გამოყენებოდა, ახლა კი ოდიშის წინააღმდეგ იქმნა გამოყენებული. ლევან დადიანი „ემეგობრებოდა აფხაზთა, ჯიქთა და სვანთა, რათა შემწე ეყონ... 1621 წლისათვის“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 826), მათ იყენებდა იმერეთის მეფესთან ომში – „მოვიდა ლევან დადიანი-ცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი“ (იქვე, გვ. 826).

აქედან ჩანს, რომ აფხაზ-ჯიქების სამხედრო ძალებს ადრეც იყენებდნენ შიდა ომებისას, ხოლო აფხაზეთის სამთავროსთან ურთიერთობის დაძაბვის შემდეგ ჯიქები და სხვა ჩრდილოკავკასიური ადილური ტომები თვით აფხაზებს გამოყენებიათ ოდიშის წინააღმდეგ. საერთოდ, უცხო სამხედრო ძალის გამოყენება იმ დროს ახასიათებდა საქართველოს საზოგადოებას. მაგალითად, 1666 წლისათვის იმერეთის მეფის წინააღმდეგ განწყობილმა სეხნია ჩეხიძემ „მოიყვანა სპანი ოსმალთა, მოიპარა ციხე ქუთაისისა და შეაყენნა ოსმალნი“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 838), მსგავსი მიზეზების გამო ოდიშის წინააღმდეგ მებრძოლ აფხაზებს ჯიქებისა თუ ჩერქეზ-აფხაზებისათვის, ანუ ჩრდილო კავკასიელი მებრძოლი ტომებისათვის კარები გაუხსნიათ და ისინი აფხაზეთში მიუწვევიათ. თურქებიც ოდიშართა წინააღმდეგ გადმოსულან, მიმხრობიან აფხაზებს. „1634 წლისათვის მაისში თურქები შეიჭრნენ სამეგრელოში, დაარბიეს ახლო-მახლო სოფლები და გაძარცვეს დრანდის მონასტერი“ (მ. რეზვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 95).

მართლაც, იმჟამინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო თურქები ოდიშის ყველა მტერს ემხრობოდნენ. ლევან დადიანმა ნათესაური კავშირი დაამყარა ქართლის მეფე როსტომ ხანთან,

სპარსეთის ვასალთან, რამაც თურქეთი ოდიშის წინააღმდეგ განაწყო და დაუკაბლოვა აფხაზებს.

აფხაზ-ჩერქეზთა შემოსევები გრიგალისებური იყო, ამიტომაც XVII საუკუნის 60-იანი წლებისათვის მათ უკვე დაუჭერიათ სამეგრელოს ტერიტორია კოდორიდან ეგრისწყალ-დალიძგამდე, ხოლო 80-იანი წლებისათვის მათ უკვე დალიძგა-ენგურის შუა მოქცეული ტერიტორია დაიჭირეს და ოდიშის შუა-გულს მიუახლოვდნენ.

„იყო ჭირი დიდი ოდიშისა, ვითარცა აღვწერეთ და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყვევდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე და დაეშენებოდენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქვს ეპისკოპოსონი,“ – წერს ვახუშტი (ქართ. ცხოვრება, IV, გვ. 845).

„გარნა იყო ოდიშს ჭირი... კვლითა და ყიდვითა ტყვისათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანათა ავაზაკობით და ცხადად“ (იქვე, გვ. 850).

იტალიელი მისიონერი წერდა: „სამეგრელოსამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების შიშია“... აღნიშნულმა ვითარებამ ძლიერ შეარყია ოდიშის თავდაცვითუნარიანობა. ამ გარემოებით ისარგებლეს აფხაზმა ფეოდალებმა და თანდათანობით დაიკავეს ტერიტორია მდ. კოდორიდან მდ. ენგურამდე. ამ ტერიტორიაზე გაბატონდა აფხაზეთის მთავრის სუსტარ შერვაშიძის ვაჟი სორეხ შერვაშიძე, რომელმაც თავი მთავრად გამოაცხადა. მოსახლეობის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ადგილობრივნი, ოდიშარნი იყვნენ, ფეოდალთა წრეში კი გაბატონებული მდგომარეობა თანდათან აფხაზმა ფეოდალებმა მოიპოვეს.

სორეს შერვაშიძემ და მისმა სახლიკაცებმა ყვაპუმ მათი მომხრე აფხაზი ფეოდალების დახმარებით რამდენჯერმე სცადეს ენგურის დასავლეთ სანაპიროზე გადასვლა, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროდ მტკიცედ დამკვიდრდნენ ოდიშის მთავარ ნაწილში ენგურის მარჯვენა მხარეს. ასე შეიქმნა XVII ს-ის ბოლოს მდ. ენგური აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროს საზღვრად (ნარკვ., IV, გვ. 354).

უცხოელი დამკვირვებლები, შემდეგ საუკუნეთა მოგზაურები, ქართველი ისტორიკოსები აღწერენ, თუ როგორი უკიდურესი სისასტიკით ეპყრობოდნენ აფხაზა დამპყრობები ოდიშის მკვიდრ ქართულ მოსახლეობას, ანუ დღევანდელი გუდაუთის, სოხუმ-გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. მათი თარეში შეეხო მთელ დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ზღვისპირეთს და ენგურის მარცხენა სანაპიროსაც. მთიელი ჩერქეზ-ჯიქ-აფხარები ატყვევებდნენ, ყიდდნენ, ხოცავდნენ მოსახლეობას, მეურნეობას კი უწყალოდ ანადგურებდნენ, ამის გამო კოდორისა და ენგურს შუა მოქცეული ერთ დროს აყვავებული მხარე უკაცრიელ გაუდაბურებულ კუთხედ იქცა, რომელსაც უკვე არა ოდიში, არამედ აფხაზეთი ეწოდებოდა. ის უკვე აფხაზეთის მთავრის მიერ იმართებოდა.

„ძალიან გაძნელდა ცხოვრება შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც ტყვის მსყიდველები თარე შობდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ გამაპმადიანებული აფხაზი ფეოდალები. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, აფხაზები „დაუხვდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-გურიასა“, აფხაზები დიდი ნავებით მოულოდნელად მიაღებოდნენ ნაპირს, ვისაც მოახლებდნენ, იტაცებდნენ და თურქებზე ყიდდნენ ან აფხაზებში ყმებად ასახლებდნენ, აფხაზ მეკობრეებს თურქებიც კი უფრთხოდნენ“ (ნარკვ., IV, გვ. 460).

ისეთ ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ კავკასიის მთიანეთში დამკვიდრებული ადილური ტომები, რომ მათი დამორჩილება ისე-ვე უჭირდა თურქეთს, როგორც ირანელებს უჭირდათ დაღესტნის დამორჩილება.

1730 წელს თურქებმა მოაწყვეს დიდი ლაშქრობა ჯიქებისა და მთიელების დასამორჩილებლად, მათ მხარს იმერეთის მეფეც უჭირდა. ეს ლაშქრობა ჩაიშალა, თურქები ჯიქეთში ვეღარ შევიდნენ. მდინარე ეგრისწყალსა (ღალიძგა) და ენგურს შორის მოქცეული ოდიშის ყოფილი ტერიტორიის შემომტკიცების მიზნით აფხაზეთის მთავრის ძემ ყვაპუ შერვაშიძემ, რომელსაც ეს ტერიტორია ერგო, ჩამოასახლა ბზიფის ხეობელი აფხაზები. ასე გაჩნდა პირველად დღევანდელი გალის რაიონში აფხაზუა მოსახლეობა. მათი ჩამოასახლება მოხდა XVIII ს-ის დასაწყისში. ოდიშის მეორე ნაწილი, უფრო ჩრდილოეთით მდებარე მდინარე კოდორსა და ღალიძგას შუა მოქცეული ტერიტორია, აფხაზეთის მთავრის მეორე ძეს ერგო. როგორც ითქვა, „ყვაპუ შერვაშიძემ თავის სამფლობელოში ბზიფის ხეობიდან გადმოყვანილი აფხაზები ჩამოასახლა“ (იქვე, გვ. 468).

ჯიქეშია შერვაშიძეს, რომელსაც მდ. კოდორისა და ღალიძგას შუა მოქცეული მიწა-წყალი ერგო, თავის სამფლობელოშიც, ჩანს, ჩამოუსახლებია აფხარ-აფხაზები, ამიტომაც ძველ მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად დღევანდელ ოჩამჩირის რაიონში აფხაზუებიც გაჩნდნენ.

XVIII ს-ის 30-იანი წლებისათვის აფხაზეთის მოსახლეობის ზედაფენას მაპმადიანობა მიაღებინეს. აქაური მოსახლეობა აქ-ამდე ორ სარწმუნოებრივ ჯგუფად იყო გაყოფილი, ძველი მკვიდრი მოსახლეობა, მათ შორის ზედაფენა, მკვიდრი თავად-აზნაურობა და ქვედაფენა ქრისტიანული იყო, ახლად ჩამოსახლებული მრავალრიცხოვანი ადილეველები (აფხაზები) წარმართებს წარმოადგენდნენ. ჩამოსახლების შემდეგ

აფხაზეთში ფაქტიურად გაიმარჯვა წარმართობამ და ქრისტიანობა შესუსტდა, მაგრამ მაინც ზედაფენა, შერვაშიძეთა სამთავრო სახლი, მკვიდრი თავადები ქრისტიანები იყვნენ და ამიტომაც თავიანთ თავს ქართული ეკლესიის ნაწილად და ქართული კულტურის მატარებლებად მიიჩნევდნენ.

მაღალ ფენაში მაპმადიანობის დანერგვამ ეს ძველქართული ზედაფენა უფრო დაუხლოვა უმრავლესობას – წარმართულ ფენებს, ახალ მოსახლეობისას – აფსუებს, მოსწყვიტა ქართულ ფესვებს. თუმცა მაპმადიანობა ღრმა არ ყოფილა და აფხაზი მთავრების და თავადების ოჯახებს ქართულ სამყაროსთან კავშირი მთლიანად არ დაუკარგავთ, აქ ძველებურადვე იცოდნენ თავიანთი ძველი დედა-ქართული ენა, დაბალ ფენებში ქართული ენის ცოდნა მაღლე გადაფარა აფსუათა ენამ. თუმცა, ნამდვილ ძირ-ძველ აფხაზებს XVIII საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული ქართული ენის ცოდნა, როგორც ამას უჩვენებს სულხან-საბა ორბელიანის მაგალითი, როცა მან შორეულ მაღაზიში ქართული ენის მცოდნე აფხაზი ტყვე იხილა. თურქთა განდევნის შემდეგ გამაპმადიანებული აფხაზების დიდი ნაწილი – ქრისტიანობას დაუბრუნდა. ამას ხელი არ შეუშლია მათვის ძარცვა-გლეჯაში. „აფხაზები ხშირად გადმოდიოდნენ შეტევაზე სამეგრელო-იმერეთის მიმართულებით. ასეთ შემოსევათა უმთავრესი მიზანი ბარის მდიდარი რაიონების ძარცვა-გლეჯა და ტყვეების შოგნა იყო“ (იქვე, გვ. 469).

საფიქრებელია, რომ ადიღეველები, ანუ ჩერქეზული ტომები აფხაზეთში ჩამოსახლდნენ ორი გზით. თავდაპირველად XVI საუკუნისათვის, ჩანს, ჯიქები ჩამოსახლებულან შავი ზღვის სანაპიროს გზით და ბიჭვინთამდე მიუღწევიათ, შემდგომ რაღაც მიზეზის გამო ჯიქთა ახალ ტალღას და აფხაზეთში იქამდე ჩამოსახლებულ უკვე „აფხაზებად“ სახელდებულ ძველ ჯიქთა შორის წინააღმდეგობა წარმოშობილა, ამიტომაც ლევან დად-

იანისა და სორეხ შერვაშიძის ომის დროს XVII ს-ის დასაწყისში ჩერქეზების უფრო ახალი ტალღა ჩრდილო კავკასიიდან ბზიფის ხეობაში კავკასიის უღელტეხილის გზით. მათ შესაკავებლად, როგორც აღინიშნა, ლევან დადიანს 100-კილომეტრიანი ციხე-სიმაგრე აუგია, მაგრამ უშედეგოდ. ძველ ქართულ პროვინცია აფხაზეთში დამკვიდრებულ აღიღე-ჩერქეზებს ქართველებმა „აფხაზები“ უწოდეს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის „აფხაზეთის“ სახელის მიხედვით, ისევე როგორც ეგვიპტეში დამკვიდრებულ არაბებს ამჟამად ეწოდებათ ეგვიპტელები, ხოლო სირიაში, ასირიელთა მიწა-წყალზე დამკვიდრებულ არაბებს – სირიელები. ქართველებიც მსგავსადვე იქცეოდნენ, ყველა დაღესტნურ ტომს ჩვენი წინაპრები „ლეკებს“ უწოდებდნენ „ლეზგების“, ჩვენთან მებრძოლი ერთ-ერთი დაღესტნური ტომის, სახელის მიხედვით, ასევე სხვადასხვა ჩერქეზ-აფსარულ ტომებს, აფხაზეთში დამკვიდრებულთ – აფხაზები ეწოდათ, თუმცა კი ძველ აფხაზებსა და ახალ „აფხაზებს“ შორის ეთნიკური სხვაობა იყო.

ჯიქები, ისევე როგორც ლეკები, უკვე XVI საუკუნიდანვე მოიწევდნენ საქართველოში დასასახლებლად, მათ თურქები უწყობდნენ ხელს.

„იმერეთის მეფე კარგად ხედავდა, რომ თურქები მის ქვეყანას სამი მხრიდან უტევდნენ: სამხრეთ-დასავლეთიდან ზღვისპირეთით – გონიოს გზით, ჩრდილო დასავლეთიდან ჯიქეთ-აფხაზეთის გზით და სამხრეთიდან – სამცხე-საათაბაგოს გზით. თუმცა, შემოსევისაგან რომ ქვეყანა ეხსნა, ამისათვის საჭირო იყო სამივე გზის ჩაკეტვა. ამის განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, ბაგრატ მეფემ ყურადღება მიაპყრო ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს. ჯიქი, რომელნიც ადრევე მოექცნენ თურქების გავლენაში, თავს ესხმოდნენ გურია-ოდიშ-აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლს და აოხრებდნენ. ბაგრატის თაოსნობით გადაწყდა

ლაშქრობა მათ დასასჯელად და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან გზის ჩასაკეტად. 1533 წლის იანვარში მამია გურიელი და მამია დადიანი გაემართნენ სალაშქროდ, პირველი ბრძოლა მოხდა გაგრასთან 30 იანვარს. ამ ბრძოლაში ჯიქები დამარცხდნენ, მაგრამ მეორე დღეს 31 იანვარს, ლალატის შედეგად დადიანისა და გურიელის ჯარი სასტიკად დამარცხდა. ოვით დადიანი ამ ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო გურიელი თავისი სამი ძმით, ეპისკოპოსით და ჯარით ტყვედ ჩავარდა“ (მ. რეხვიაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 33).

ეპისკოპოსის მონაწილეობა ამ ომში მოწმობს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა ეკლესია ქართული მიწა-წყლის დაცვას ამ მიმართულებით. მართლაც, ამ მარცხის შემდეგ ჩვენი უკიდურესი საეკლესიო ცენტრი ბიჭვინთა, სადაც ქართველი ერის მატერიალური განძი იყო დაგროვილი, დაუცველი დარჩა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბიჭვინთის სანახები უკვე წარმართ ჯიქ-აფსარებს ჰქონდათ დაჭერილი. საეპისკოპოსო ტახტი ბიჭვინთიდან გელათში იქნა გადატანილი. ასე მოსპეს ადიღეველებმა ქართული ქრისტიანობის საუკუნოვანი დედაქალაქი, მცხეთის ტოლი ბიჭვინთა, რომელიც მხოლოდ მღვდლის ანაბარად იქნა მიტოვებული. თუმცა, ადიღე-ჩერქეზების მეორე ტალღამ XVII ს-ში გაცილებით უფრო უმოწყალოდ მოსპო ქართულენოვანი საეპისკოპოსოები დრანდისა, მოქვისა, ბედისა, სხვა ეკლესია-მონასტრები, მათ სარწმუნოება სრულიად ვერ აღმოფხვრეს, მაგრამ უკიდურესად კი დასცეს.

არსებობდა მოსაზრება, რომ ძევლი და ახალი აფხაზები ერთი ეთნიკური წარმოშობის ხალხია და მათი კულტურის კერები იყვნენ ბიჭვინთის, ბედის, დრანდის თუ მოქვის საეპისკოპოსოები, თუ ასე იყო, მაშ, რატომდა გაანადგურეს ისინი XVI-XVII საუკუნეებში აფხაზებმა?

ნ. ბერძენიშვილი მიუდგომელია ამ საკითხში. ის წერს, რომ „ძველი აფხაზები სხვა ხალხი იყო, ხოლო ახალი აფხაზები სხვა

ეთნიკური კუთვნილების ხალხია. ძველი აფხაზები კულტურულ-კონფესიურად ქართველები იყვნენ, ამიტომ VIII-X საუკუნეებში მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ეწოდა აფხაზები“ (ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, 1990, გვ. 584). დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა განსახილველ დროს ქართველები იყვნენ, უფრო მეტიც, XI-XIII საუკუნეებში უცხოელების ერთი ნაწილი მთელი საქართველოს მოსახლეობას უწოდებდა აფხაზებს. ნ. ბერძენიშვილის აზრით, აფხაზეთში შუა საუკუნეებში მოხდა „მთის ჩამოწოლა“, ანუ ჩრდილოკავკასიელების ჩამოსახლება (იქვე, გვ. 593), რის შედეგადაც მოხდა აფხაზეთის მოსახლეობის გაუცხოება. აქამდე კი – „...ჰეროსის, ქართლოსის და ეგროსის ხვედრი ქვეყნები – მათ შორის სვანეთი, აფხაზეთი... ყველა ესენი ქართველები იყვნენ და ეს არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით. ამ შეხედულებით, ამდენადვე აქ არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე საუბარი, როგორც ფეოდალური ქვეყანა აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰეროთი და ჰერნი, როგორც ქართლი და ქართლელი“ (იქვე, გვ. 608). საქართველოს ჩრდილო მთიანეთში ხდება ლეკების თუ ოსების ჩამოსახლება. ასევე „მთიული აფხაზები ტომობრივ ჩამოვიდნენ, დამხვდლი აფხაზური მოსახლეობა ეძმო მოსულთ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე. მაშასადამე, აფხაზების ტომობრივი ჩამოსვლა და მათი ბრძოლა ქართული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ იყო ამავე დროს ბრძოლა „ქართულის“ წინააღმდეგ და აფხაზეთი „მოიქცა წარმართად“... აფხაზი თავად-აზნაურობა შეურიგდა შექმნილ მდგომარეობას... და იწყო „გააფხაზება“ არა მარტო მოძმე აფხაზებმა (ბარელებმა), არამედ ბარი-ზღვისპირეთის ყველა გლეხმა. შეიქმნა აფხაზობა. „ქართულ“

ბატონყმობაში სულამოხუთული გლეხობა არა მარტო ზღვისპირეთისა მიეტანა აფხაზობას, არამედ აფხაზეთი ყველა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხის თავშესაფარი გახდა და შეიქმნა ახალი აფხაზეთი” (იქვე, გვ. 610).

„ფეოდალურ ხანაში მთიელი აფხაზები რამდენიმე ნაკადად ჩამოდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე... XVII საუკუნისათვის მთიელ აფხაზთა ახალი ნაკადის ჩამოსვლაა სავარაუდებელი, რომელმაც უკვე გააძლიერა აფხაზეთის ახალი მოსახლეობა... ფეოდალური უღლის ქვეშ მყოფი ადვილად ურიგდებოდა მთიდან ჩამოსულთ, რომელთაც პრიმიტიულ ყოფასთან ერთად სოციალური თავისუფლებაც მოჰკონდათ. აფხაზეთში გაბატონებული ახალი ყოფა რომ სასურველი იყო ფეოდალურ უღლში ჩაბმულ საზოგადოებისათვის, კარგად ჩანს იქიდან, რომ XIX საუკუნეში სამეგრელოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გადადის აფხაზეთში და იქ „აფხაზდება“ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათ სოციალურ თავისუფლებას ანიჭებდა“ (იქვე, გვ. 616). მთიელი ტომების შემოსვლამდე კი მდინარე კოდორამდე მდებარე ქვეყანა იყო მეგრულენოვანი, ხ.ბერძენიშვილი იმოწმებს ა.ლამბერტის (იქვე, გვ. 594).

როგორც აღინიშნა, გრანულების ცნობით, მოქვის სანახებში სამოღვაწეოდ საჭიროა ქართულისა და მეგრულის ცოდნა, აქ აფხაზური ენის შესახებ არავითარი მითითება არაა (იქვე, გვ. 611). ლამბერტის დროს კოდორის დასავლეთით აფხაზეთია, აფხაზი მოსახლეობაა, აფხაზური ენა ბატონობს.

თუ როგორი ყოფით ცხოვრობდნენ ახალი აფხაზები და ვის
ემგვანებიან ისინი, წერს ლამბერტი: «თ შემთხვევაში თ შემთხვევაში
შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში, თ შემთხვევაში,
თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში (თ შემთხვევაში)
თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში» (იქვე, გვ. 613).

თუ როგორი ყოფით ცხოვრობდნენ ახალი აფხაზები და ვის
ემგვანებიან ისინი, წერს ლამბერტი: «თ შემთხვევაში თ შემთხვევაში
შემთხვევაში თ შემთხვევაში, თ შემთხვევაში (თ შემთხვევაში) თ შემთხვევაში
შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში, თ შემთხვევაში,
თ შემთხვევაში თ შემთხვევაში-თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში, თ შემთხვევაში
შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში,
თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში, თ შემთხვევაში
შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში თ შემთხვევაში»
სახლში არაფერი აქვთ მორთულობისა („უტვარ“). ერთიმეორეს
ჰყიდიან მონებად. შეიარაღებულო სძინავთ... ესაა აფხაზები.
მხოლოდ მთიელობით შეიძლება აიხსნას მათი მეურნეობა, ყოფა
და სხვა მთიელებთან მსგავსება. მთელს ისტორიას გამოდის ისე
გაუკლია, რომ აფხაზებს ამ კულტურულ მშენებლობაში
მონაწილეობა არ მიუღიათ.

„ზემოთ მოყვანილი დაჟინებული მოწმობანი იმის შესახებ,
რომ აფხაზები აგრე ჰერი კავკასიის მთიელ ხალხებს ყოფაში,
სარწმუნოებით, რომ ისინი ციხეებსა და ქალაქებში არ
ცხოვრობდნენ, რომ, როგორც ჩანს, მეხორბლეობა ან სულ არა
აქვთ, ან მეტად მცირე, რომ ისინი მეგრელებს არ ჰერი კავკასიის ყოფა-
ცხოვრებით. ყველაფერი ეს მოწმობაა, რომ XVIII საუკუნის
აფხაზები მართლაც კავკასიანებია, საკმაოდ გვიან ჩამოსული
ბარში, მათ ჯერ კიდევ ვერ აუთვისებიათ ბარი და მთიულურ
ცხოვრებას განაგრძობენ. რა თქმა უნდა, ისინი არ არიან
აბორიგენები, მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა, ისევე
როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა (ამ ყოვ-

ლად უხვსა და ნოყიერ ქვეყანაში), ისევე როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური სოციალური წყობა და გორაკებზე გვარებით (ერთი გვარის ხალხი) დასახლებულნი ცხოვრობენ... უმთავრესად მეჯოგეობას მისდევენ და არა მიწათმოქმედებას... ყველაფრიდან ჩანს, რომ აფხაზები XVII საუკუნეში თავისთავ-ადი ხალხია, კავკასიელთა მონათესავეა, პრიმიტიული ყოფით და წარმართული რელიგიით. მეორე მხრივ, როგორც აღნიშნული იყო, მომწიფებულ საშუალო საუკუნეებში (VII-X) აფხაზეთი არის განვითარებული ფეოდალური ქვეყანა, საიდანაც ქრისტიანობა მთაში ვრცელდებოდა... და უცბად ხდება ძირფესვი-ანი გარდატეხა. მე-15 საუკუნეში აფხაზეთი „წარმართობს“, აფხაზეთში უქმდება ზედიზედ საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა... რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?... მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა არაერთგან საქართვე-ლოს მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალუ-რი კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონდა ადგილი“ (იქვე, გვ. 614-615).

როგორც აღნიშნული იყო, სწორედ მთიელი წარმართების შესაკავებლად იქნა აგებული ოდიშში ე.წ. „აფხაზეთის დიდი კედელი“.

„როგორ შეიძლება აფხაზეთზე მეცნიერული საუბარი, ამ ქვეყნის ისტორიაზე მსჯელობა და კელასურის კედლების არ გათვალისწინება. ეს კედელი ხომ მთელი ეპოქის მაჩვენებელია... განა ეს კედელი ეთნიკური საკითხების ძიებისას მცირე დასაყრდენს მოგვცემდა? ...ეს კედელი დასავლეთ კავკასიისა და ყუბანის აუზის ტომთა მოძრაობის წინააღმდეგ, მათი მოწოლის

წინააღმდეგ აგებული ღონისძიება ჩანს და კავშირი აქვს დარუბანდ-დარიალ და თუ გნებავთ საინგილოში ასეთივე კედელთან“ (იქვე, გვ. 617).

სწორედ მთიელ უცხოელთა გაბატონებით აიხსნება „კოდორ-ენგურის შორისი სამეგრელოს ასეთი მტრული განაღგურება, ხალხის სულ ერთიანად აყრა-დაყიდვა (1672 წლიდან და შემდეგ)…“ (იქვე, გვ. 618).

ცხადია, ჩამოსულ ადიღე-აფსუებისათვის სრულიად უცხო იყო მკვიდრთა კულტურა, ტრადიციები, მათ ისტორია არ გააჩნდათ. ამიტომაა, რომ „საკუთარ ისტორიის გაურბიან... აქვთ თუ არა ისტორიული გადმოცემები? თუ ისინი იმ აფხაზების გენეტიკური მემკვიდრენი არიან მათ ფოლკლორში თამარი და სხვა ასეთები უნდა ჩანდეს... ნართების ეპოსი მათ მთიელობაზე მიუთითებს“ (იქვე, გვ. 618).

თამარ მეფესთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თამარის ვაჟს აფხარული სახელი – „ლაშა“ ერქვა. მემატიანის ცნობა იმის შესახებ, „ლაშა“ არის აფხარული და არა აფხაზური სიტყვა – ძალზე მნიშვნელოვანია და ყურადღესადები. ეს მიუთითებს იმის შესახებ, რომ XIII საუკუნისათვის აფხაზების ენა და აფხარების ენა სხვადასხვა იყო. ერთ დროს აფხარულად მიჩნეული სიტყვა „ლაშა“, ამჟამად აფხაზური ენის მიხედვით იხსენება, ესეც ერთი საბუთია იმისა, რომ დღეისათვის აფხაზებს ვუწოდებთ იმ ხალხს, რომელთაც ერთ დროს „აფხარები“ ერქვათ, დღევანდელი „აფხაზების“ თვით სახელწოდება ხომ მართლაც „აფსუაა“. აფსუასაგანაა ნაწარმოები „აფხარი“. აფსუა ხალხს ქართველები „აფხარებს“ უწოდებდნენ და ისინი ჩრდილო კავკასიაში ბინადრობდნენ. აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ მათ „აფხაზები“ ეწოდათ.

„ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: თამარ მეფის ვაჟის დაბადებისას ქართველმა მხედრიონმა ახალშობილს მიუძღვნა ერთ-ერთი ლაშქრობა „ბედისა და სვესა ზედა ლაშასა, რომელი

განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 58), მაშასადამე, ლაშა აფსარული სიტყვაა და ქართულად განმანათლებელს ნიშნავს... „ა-ლაშა-რა“ ჩირალდანს (განმანათლებელს) ჰქვია თანამედროვე აფხაზურად... ჩვენი ძველი მემატიანენი და მეისტორიენი კარგად იცნობდნენ აფხაზებსა და აფხაზეთს, „ლაშა“ მათ დროს აფხაზური სიტყვა რომ ყოფილიყო, აფსარულ სიტყვად არ მიიჩნევდნენ. საქმე ისაა, რომ ძველ დროს აფხაზებს უწოდებდნენ აფხაზეთის მკვიდრ ქართველურ ტომს, ხოლო აფსარებს მის მეზობლად კავკასიაში დამკვიდრებულ ჩერქეზ-ადილურ ენაზე მოლაპარაკე ტომს. ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილი დასახლებული იყო ჩერქეზული ტომებით. იმ დროს ჩერქეზთა საერთო რიცხოვნება საკმაოდ დიდი ყოფილა. ჩერქეზული იყო აფსართა, აბაზთა, ადილთა, ყაბარდოელთა, უბისთა (დასხვა) ტომები. ყველა ისინი ენათა ერთ ჯგუფს განეკუთვნებოდა და მათი საერთო სახელი იყო ჩერქეზები... თამარის დროს ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდნენ ოსების მეზობლად, ამიტომ როცა ოსთა მეფეს დავით სოსლანს ვაჟი გაუჩნდა – გიორგი თამარის ძე, სამეფო კარმა, ჩანს, გადასწყვიტა, ოსთა მეზობლად მცხოვრები ჩრდილო კავკასიის უდიდესი ხალხი დაემოყვრებინა და მეფის ძის მამამბუძე აფსარ წარჩინებულთა შორის გამოერჩიათ. ჩანს, მამამბუძე უწოდა კიდეც სახელი ლაშა თამარის ვაჟს“ (ეპ. ანანია ჯაფარიძე, თამარ დედოფლის ვაჟის სახელი, ჯვარი ვაზისა, 1989, გვ. 43, 50).

მ. ლორთქიფანიძე წერს აფხაზეთის შესახებ: XVI-XVII საუკუნეებიდან აქ რთული პროცესები მიმდინარეობს, დასტურდება ჩრდილოკავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლება... უცხოელი ავტორები, რომელნიც XV-XVI საუკუნეებდე საქართველოს საერთო ქართულ სოციალურ-კულტურულ სამყაროდ აღიქვამდნენ, განსაკუთრებით XVII საუკუნიდან მკვეთრად გამოყოფენ და განასხვავებენ ერთმანეთისაგან კოდ-

ორის სამხრეთით და მის ჩრდილოეთით მცხოვრებთა ყოფას. სწორედ XVII საუკუნიდან ჩნდება პირველი ცნობები კოდორის ჩრდილოეთით ქართულისაგან (მეგრულისაგან) განსხვავებული სალაპარაკო ენის შესახებ (აბულფიდა, პიეტრო გერალდი, ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, არქანჯელო ლამბერტი, ევლია ჩელები და სხვები) (მ. ლორთქიფანიძე, არა უწყიან თუ..., გაზ. ლიტ. საქ-ართველო, 16.II.90).

ე. მამისთვალაშვილი წერს უცხოელ ავტორთა ჩანაწერებზე დაყრდნობით: „ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ XIV-XV საუკუნეებში საქართველოს შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (დღევანდელი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე) ოდიშის სამთავროსაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული არ არსებობდა. იქ არსებულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და კულტურულ კერძებში, განსაკუთრებით ცხუმში, ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ... 1630 წ. გაზაფხულ-ზაფხულში აფხაზეთში იმოგზაურა იტალიელმა ჯოვანი ჯულიანო და ლუკამ, იგი წერს: „აფხაზები გაფანტულნი არიან ზღვის სანაპიროზე, მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების. არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან, რწმენით ისინი ქრისტიანები არიან, რამე ქრისტიანული წეს-ჩერქეზებების გარეშე... ტყეები მათ ემსახურებათ, როგორც მყუდრო ადგილი, როდესაც ისინი აირჩევენ ერთ აღგილს საცხოვრებლად, მერე მას არ ტოვებენ... რადგანაც მათ არ აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი, გარდა ტყისა, ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი... კმაყოფილდებიან თაფლისაგან გაკეთებული ღვინოთი, ნადირით და ტყეში გაზრდილი ნაყოფით, ხორბალი მათთან არ მოდის, მარილს არ ხმარობენ“ (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა..., III, გვ. 169-171) (ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს..., 18.X.90, გაზ. ს.გ.).

„XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთი საზღვარი მოიშალა და აფხაზებმა დაიპყრეს ტერიტორია მდინარე ენგურამდე. იერუსალიმელი პატრიარქის დოსითეონის ცნობით, აფხაზებმა მოაოხრეს ტერიტორია სოხუმიდან ცხენისწყლამდე. ცხადია, ისინი თავიანთ ტერიტორიას როდი აოხრებდნენ“ (ი. ანთელავა, აფხაზური პრობლემის..., გაზ. მამული, №6, 1989).

კავკასიის მთებიდან აფხაზეთში ჩამოსახლების შესახებ აფხაზური შორის დარჩენილა ეთნოგენეტიკური გადმოცემები. „ერთი ჯგუფი ლეგენდებისა მიუთითებს ნართების, ე.ი. მთის მითიური ტომების და მათი გმირების მოსვლას აფხაზეთის მიწაზე მანამდე მოსახლე კაციჭამია გოლიათების თუ ჯუჯა „აცანების“ მოსპობას და აქ დამკვიდრებას, ერთ-ერთი ლეგენდით აფხაზთა წინაპრები არაბეთიდან გადმოსულან, ბოლოს და ბოლოს მდ. ყუბანის (I) ველზე მოსულან, მაგრამ აქაურ ცივ ჰავას ვერ შეგუებიან და აქედან აფხაზეთის მიწაზე გადასახლებულან, თუმცა მათი ნაწილი იქვე დარჩენილა და ესენი არიან აბაზინელები (შინალიფა, აფხაზები, 1965, გვ. 103-105, 6. ლომოური, პასუხად, გაზ. „ლს“, 20.X.89).

„აცანების“ ქვეშ მოსული მთიელები ხომ არ გულისხმობდნენ „სანებს“ (ზანებს), რომელთაც ბერძნები, „სანიგებს“ უწოდებდნენ?

„თვითონ აფხაზებს შემორჩათ ბუნდოვანი წარმოდგენები მათი წინაპრების ამ მიწაზე საიდანლაც (ეტყობა დღეგანდელი ადიღედან) მოსვლის შესახებ... იმათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ვინც თავის თავს დღეს აფხაზს უწოდებს, უნდა მივიჩნიოთ ამ სულ ცოტა ხნის წინანდელი ჩრდილოელი დამპყრობლების შთამომავლებად“ (რ. ევდოკიმოვ-ვოგაკი, აფხაზეთის..., გაზ. სახ. განათლ., 29.X.89).

ნ. ფოფხაძის საინტერესო დაკვირვებით, უცხოური წყაროები მიუთითებენ, რომ ჩრდილო კავკასიაში, კასპიის ზღვის პირას

არსებულა ქვეყანა „აბსუა“, არსებულა „აბსუა“ ხალხიც. ამას მიუთითებს პლინიუსი. 6. ფოფხაძეს მოჰყავს პლინიუსის ტექსტის ლათინური დედანი და თარგმანი ინგლისურ ენაზე, ყველგან „აბსუა“ ხალხზეა საუბარი. სწორედ ამ „აბსუების“ შესახებ განუცხადებია XVII ს. დასაწყისში ერთ იტალიელ ბერს, ისინი ჩრდილო-კავკასიიდან ახლახან ჩავიდნენ კავკასიაშიო.

6. ფოფხაძე წერს: „პლინიუსმა კავკასიის აღსაწერად 20-ზე მეტი ავტორის ნაშრომი გამოიყენა... ავტორს სავსებით ცხადად აქვს გარკვეული, რომ პირველ საუკუნეში აბსუა ქვეყანა მდებარეობდა კავკასიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსთან. პლინიუსი აღნიშნავს აბსუა ხალხის ეთნიკურ კუთვნილებასაც. აბსუა ხალხი სკვითი ხალხი იყო. ისაუკუნეებში ის აღარ იყო მომთაბარე ხალხი... აბსუა ხალხი ცხოვრობდა კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე მომცრო ყურის ერთ ნაპირზე... პლინიუსის ამ ცნობის სანდოობა ეჭვს არ იწვევს. არავითარი კერძო ინტერესი აბსუა ქვეყნის მდებარეობის აღწერის დროს მას არ ექნებოდა. მან ობიექტურად მიუთითა ფაქტი – აბსუა ქვეყანა კასპიისპირეთის ჩრდილო ნაწილში მდებარეობდა... აბსუა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში უდელტებილით გადმოდიოდა და იქვე სამურზაყანოს ჩრდილოეთით იკავებდა მიწებს. უფრო ჩრდილოეთით ზღვის ნაპირზე ადიღე ხალხები ჩამოსახლდნენ. სახელწოდება „ჩარქასი“ თურქებმა უწოდეს ადიღე ხალხს და ნიშნავს შარაგზის ყაჩაღებს... ყველა ევროპელი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ადიღე ხალხები, აბსუა ხალხიც XIX საუკუნეშიც იმ დონეზე იდგა თავისი ყოფით, როგორც 2000 წლის წინ ახასიათებდა ვანდალებს, გუთებს, ალანებს. კოლხები 3000 წლის წინათაც მაღალი ცივილიზაციით გამოირჩეოდნენ“ (ნ. ფოფხაძე, შავ ზღვას კოლხეთის ზღვა ერქვა, გაზ. „ახ. ივერიელი“, 14.VI.90).

როგორც აღინიშნა, აფსუებს შემორჩენილი აქვთ ლეგენდები მათი უცხოეთიდან აფხაზეთში ჩამოსახლების შესახებ. ხშირად ამ უცხო ქვეყანას, თავდაპირველი სამშობლოს სახელს ისინი გამოხატავენ სიტყვით, რომელსაც ჩამწერნი წერენ, როგორც „აბისინია“. საფიქრებელია, რომ ლეგენდების მთქმელნი ამბობენ სახელს „აბსნი“, რომელიც შეგავსია პლინიუსის „აბსუასი“, ხოლო ჩამწერებს ესმით აბისინია. „ბატონ შ-ინალ-იფას მოჰყავს გადმოცემა იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზები აბისინიდან გადმოსახლდნენ მიუსერაში“ (თ. მიჩბუანი, ვინ იყვნენ..., გაზ. „სახ. გან.“, 6.XII.89).

ადიღეველ ტომთა აფხაზეთში ჩამოსახლების შესახებ
გადმოცემები დაცულია ჩრდილო კავკასიაშიც. შემონახულია
ადიღე ყაბარდოს სახალხო გმირის ინალის შესახებ
გადმოცემა, სადაც აღწერილია, თუ როგორ შემოიჭრა ის XVI
ს-ის დასაწყისში აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავალათასიანი
ლაშქრით, შემოიყვანა იქ მოსახლეობა - «თ თავისუფებულ
თავისუფებულ, თავ თავისუფებულ თავისუფებულ
თავისუფებულ თავ თავისუფებულ (თავისუფებულ) თავ თავისუფებულ თავ
თავისუფებულ თავისუფებულ თავ თავისუფებულ. თავისუფებულ
თავისუფებულ თავისუფებულ, თავ თ ა. თ თავისუფებულ
თავისუფებულ თავისუფებულ თავ (თ თავისუფებულ) თავ
თავისუფებულ თავისუფებულ, თავ თ თავისუფებულ თავისუფებულ თავ
თავ თავისუფებულ თავისუფებულ, თ.თ. «თავისუფებულ თავისუფებულ»
(თავისუფებულ თავისუფებულ-თავისუფებულ თავ თ. I, თ., 1967,
თ. 83; ლ. ტუხაშვილი, უძღები შვილი, გაზ. „ახ. ივერიელი“,
5.VIII.89).

ინალი თურმე ჩრდილოკავკასიელი „აბაზინების“ თავადებს აშეს და შაშეს აქცევდა ყურადღებას. ამ აბაზინებსა და აფხაზებს ერთი ენა ჰქონდათ, ჩანს, აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ დამხვედრ ქართველ გამოჩენილ სათავადო საგვარეულოებს

თავისებურად უწოდეს „აშე“ და „შაშე“. „აშე და შაშე გამოითქმის ხშირად, როგორც აჩე, აქედან აჩ-ბა და ჩაჩე – აქედან ჩაჩ-ბა“ (იქვე. შერვაშიძეებსა და ანჩაბაძეებს თავიანთებურად აჩბა და ჩაჩბა უწოდეს. ხოლო შემდეგ ქართველებისაგან სიტყვა „თავადიც“ შეითვისეს და გამოთქვამდნენ როგორც „ა-თაუად“.

აფხაზეთის შესახებ მოღწეულია თურქი ისტორიკოსის ევლია ჩელებისა და ქათიბ ჩელების ცნობები. XVII ს-ის 20-40-იან წლებისათვის ქათიბ ჩელების ცნობით, სოხუმი – აფხაზებს არ ეკუთვნით და აფხაზები მთებში ცხოვრობენ სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის მანძილზე. აფხაზთა მახლობლად ლაზების ტომი ბინადრობს. აფხაზების საზღვარი კოდორამდეა – ზემო წელი. აფხაზები იგივე ჩერქეზებია, რადგანაც ქათიბის ცნობით, ჩერქეზების საზღვარი სამეგრელოა, ჩერქეზებში სწორედ აფხაზებს გულისხმობს. უფრო მეტიც, ის პირდაპირ მიუთითებს, რომ ჩერქეზები და აფხაზები ერთი ხალხია. მისი აზრით, აბაზა არაა ქართველი, მეგრელი და დადიანი კი „ნამდვილი ქართველია“.

ქათიბ ჩელები ადასტურებს, რომ მასაც გაუცვნია გაღმოცემები აბაზების (ახალი აფხაზების) უცხო მხარიდან მოსვლის შესახებ. ცნობილია, რომ ხაზარები, მობინადრენი ჩრდილო კავკასიაში, VIII-X საუკუნეებში იუდაური სარწმუნოების აღმსარებელნი გახდნენ. ისინი შემდეგ განიბნენ უფრო მეტად დასავლეთის მიმართულებით, იუდაური სარწმუნოების გამო მათ ებრაულებსაც უწოდებენ. ქათიბ ჩელები წერს: „ამბობენ, რომ ეს-ენი ისრაილელებისაგან წარმოიშვნენ. თითქმის ამ მხარეში სამი ებრაული ტომი მოვიდა და დასახლდა. ჩერქეზები და აბაზები ამ სამი ტომისაგან გავრცელდნენ“ (ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1978, გვ. 132).

ხაზარები, მართლაც, კასპიისპირა იმ ადგილებში ცხოვრობდნენ, სადაც ადრე აბსუების ტომის საცხოვრისს

მიუთითებდა პლინიუსი. შესაძლებელია, ხაზარეთში იუდაიზმის გავრცელების შემდგომ IX-X საუკუნეებში ხაზარებმა გადანაცვლება დაიწყეს თავიანთი საცხოვრისიდან. საფიქრებელია, რომ დასავლეთ ჩრდილოკავკასიაში გამოჩენილ ჩერქეზებს რაიმე კავშირი ჰქონდათ მათთან, ყოველ შემთხვევაში, VIII-X საუკუნეებში ჩრდილოკავკასიის დასავლეთ ნაწილში არა ჩერქეზები, არამედ ოს-ალანები მკვიდრობდნენ. აფხაზეთის ერთ მთიან კუთხეს „ალანიაც“ კი ერქვა. შემდეგ, ჩანს, მოხდა ტომთა გადაადგილებანი, ყოველ შემთხვევაში, ქათიძ ჩელების ცნობა იმის შესახებ, რომ ჩერქეზები და აბაზები აფხაზეთში მოსული ტომები არიან, საყურადღებოა. აბაზა – ახალი აფხაზების სინონ-იმური სახელია. „აბხაზი – ძირითადად ტომის სახელია. ეს ტომი, რომელიც ჩვენს დროში ისლამის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ, ყარა აუდაპანის მაცხოვრებლებისაგან წარმოდგება. ქალაქი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, მთაზე, ზღვის ფურეში, აბხაზი – სოხუმიდან ერთი მილის მანძილზე, ჩრდილო აღმოსავლეთი-თაა. აბხაზთა მახლობლად ლაზების ტომი...“ (იქვე, გვ. 133). ქათიძი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მისი დროის აფხაზები არა მკვიდრი არიან აფხაზეთისა, არამედ „ყარა აუდაპანის მაცხოვრებლებისაგან“ წარმოდგებიან.

როგორც ითქვა, ჩერქეზები და აბხაზები (აფხაზები) თურქისტორიკოსს ერთი ხალხის ტომად მიაჩნია. „ტომები ერთმანეთს პარავენ ხალხს და ვაჭრებს მიჰყიდიან. დედა-მამა თუ გაყიდვის შემდეგ თავის ვაჟს ვაჭარს დაუნახავს, ვეღარ გამოისყიდიან. მათ შორის ასეთი ადათია... ერთმანეთს პარავენ და ბეგებს აძლევენ“ (იქვე, გვ. 132). აბაზას ხალხის „თავდაპირველი საზღვრები სოჭიდან კოდორს აღწევს“ (გვ. 132).

აბაზას ქვეყანა საქართველოს მოსაზღვრეა. საქართველოში კი მდებარეობს აბაზას მოსაზღვრე დადიანის ქვეყანა: „დადიანი შავი ზღვის სანაპიროსთან ახლოს, აბაზას მოსაზღვრე ქვეყანაა.

მისი გამგებელი ყოველთვის ებრძვის აბაზას. მისი ერთი მხარე ფოთს აღწევს“ (გვ. 136).

ქათიბი წერს: „საქართველო – ვილაიეთია ... შირვანის ზღვასა და შავ ზღვას შორის, მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით – დერბენიდი და შირვანი, სამხრეთით – ჩილდირის, ყარსის და არზრუმის ეილეთები, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კი აბაზასა და დაღუსტანის ვილაიეთებით არის შემოსაზღვრული. დამოუკიდებელი გამგებელი ჰყავს. მთელი მოსახლეობა ქრისტიანი ქართველები არიან... აჩიკ-ბაშს, დადიანს, მეგრელს და სხვებს ქართველებს უწოდებენ. ნამდვილ ქართველებად აჩიკ-ბაში და დადიანი ითვლებიან“ (იქვე, გვ. 136).

როგორც აღინიშნა, „აბაზები“ და „დადიანი“ მუდამ ებრძვიან ერთმანეთს, აბაზები – მისი აზრით, იგივე ჩერქეზები არიან, ხოლო „დადიანი“ ნამდვილი ქართველია, მაშასადამე, ქათიბის აზრით, ომი მიმდინარეობს ჩერქეზებსა და ქართველებს შორის, ანუ ჩრდილო კავკასიის უდიდეს ხალხსა და ჩვენს ხალხს შორის. მართლაც, ჩრდილო კავკასიელი მთიელების აფხაზეთში დამკვიდრებას წინ აღუდგა მთელი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები, მაგრამ უშედეგოდ. მათ ოურქეთიც უჭერდა მხარს.

ლევან II დადიანის დროს (1611-1657) საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მდ. კელასურთან იწყება (იქვე, გვ. 58).

მდინარე რიონს ქათიბი უწოდებს – „ფოთის მდინარეს“, ამიტომაც საფიქრებელია, რომ თურქი ისტორიკოსი XVII საუკუნისა ევლია ჩელები „ფაშ“ სახელს უწოდებდა არა მდინარე რიონს, არამედ იმ დროისათვის სახელგანთქმულ ნავსაღგურს, მდებარეს ფშადის ყურესთან, რომლის შესახებაც წერდნენ შემდგომი დროის მოგზაურებიც ჟ. გამბა და სპეციერი. აღნიშნული „ფშადის“ ყურეში ჩამავალ მდინარეს ერქვა „ფაშ“. ყოველ შემთხვევაში, რიონი არასოდეს ყოფილა გამყოფი აფხაზებსა და მეგრელებს

შორის, ევლია ჩელების თანახმად კი, მდინარე ფაშა, რომლის წყლებიც იკრიბება „...სოჭას მთების ხევის წყლებისაგან, შემდეგ პირდაპირ სამხრეთისაკენ მიედინება და სამეგრელოსა და აბაზას ქვეყანას შუა ზღვას ერთვის. აღმოსავლეთ სანაპიროზე მთლიანად ურჩი სამეგრელოს სოფლებია. დასავლეთის ნაპირი აბაზას ჩაჩების ტომის ქვეყანაა“ (ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, 1971, გვ. 96). არავითარ შემთხვევაში მდ. „ფაში“ რიონი არაა, ის ან მდინარე კოდორია, ანდა, როგორც აღინიშნა, ფშადის ყურის შენაკადია. აღსანიშნავია, რომ ნ. ბერძენიშვილი დაასკვნის: „ასე, რომ ევლიას ცნობა არც ისე ფუძემდებლური ჩანს“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 606). ამ დაასკვნით თითქოსდა ნ. ბერძენიშვილმა წინასწარ გასცა პასუხი ჯ. ჰიუიტს, რომელიც ევლია ჩელების აღნიშნული ცნობის არასწორი გაგების შედეგად ასკვნიდა, თითქოსდა აფხაზები მდინარე რიონთან ცხოვრობდნენ, რაც აბსურდია. ფოთი ამ დროისათვის არ ყოფილა ნაგსადგური, ერთადერთი ნაგსადგურია კოდორთან მდებარე – „ისაგური“ (ს. ჯანაშია, VI, 1988, გვ. 281).

ევლია ჩელები იძლევა გასაოცარ ცნობებს. მაგალითად, წერს – „მოსკოვი ქართველების ქალაქია“ (ე. ჩელები, დასახ. ნაშრ., გვ. 98), რომ თურმე ესპანელები, ფრანგები, ლათინები თათრული წარმოშობის ხალხია, ხოლო ინგლისელები – სპარსული (იქვე, გვ. 98) და ა.შ.

საერთოდ, აღნიშნული ისტორიკოსები ვერ შეედრებიან ჩვენს ვახუშტი ბატონიშვილს.

ევროპელი მოგზაურებიც ხშირად იმეორებდნენ ყურმოკრულ ამბებს, მაგრამ მათი ანალიზი (იგულისხმება უ. გამბა და სპენსერი) უფრო დამაჯერებელია. სპენსერი ახალ აფხაზებს პირდაპირ უწოდებს ჩერქეზებს, ჩერქეზეთი, მისი აზრით, იწყება ანაპაში და ბიჭვინთა მისი ნაწილია. გაგრაც ჩერქეზეთშია და ბიჭვინთის ტაძარიც, გამბორი – ლიხნი ჩერქეზეთის შუაგულია, შერვაშიძე

- ჩერქეზების ტომის მთავარია, საერთოდ. ის აფხაზებს უწოდებს არა აფხაზებს, არამედ ჩერქეზებს. „სამეგრელოს მესამე პროვინცია გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე და საზღვრად უდევს ამავე სახელწოდების მდინარე, ძველი ავტორების კორაქსი, აღმოსავლეთით კი წიბელი – საკმაოდ მაღალი მთები. ეს პროვინცია ატარებს აგრეთვე სამურზაყანოსა და აფხაზეთის სახელს. იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი არც ერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება. აქ იშვიათად თუ ვნახავთ დამუშავებულ მიწებს და სრულიად არ არის მოსახლეობა. ეს ადგილები ნამდვილი უდაბნოა, რომელიც თავდაცვის ადგილს წარმოადგენს და ბარიერად გამოიყენება აფხაზებსა და მეგრელებს შორის... ლეკებისა და აფხაზების სახელმწიფოთა საზღვრარზე უდაბნოებია გადაჭიმული. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ენგურსა და კოდორის კონცხს შორის ქვეყანა სრულიად დაუსახლებელი და ევროპისა თუ ტროპიკების ყოველგვარი მცენარეულობისათვის გამოსადეგი მისი მიწები გამოუყენებელია“ (ჟაკ გამბა, მოგზაურობა ამიერკვკასიაში, 1987, გვ. 112).

სამურზაყანო და, საერთოდ, ტერიტორია მდინარე კოდორ-ამდე ყოველთვის სამეგრელოდ ითვლებოდა, როგორც ევროპელი მოგზაურის აღწერიდანაც ჩანს, სწორედ ამიტომ გაანადგურეს იგი მომზდურმა მთიელმა ტომებმა. გამბას შეუმჩნევია ისიც, რომ აფხაზები გენეტიკურადაც კი შერეული სხვადასხვა ეთნიკური ხალხების ნარევს წარმოადგენდა, ის წერს: „აფხაზები, რომლებიც სოხუმ-კალეში საკმაოდ ბევრნი ვნახეთ, მეტწილად სუსტი აღნაგობისა და დაბალი ტანისანი იყვნენ, ფეხები და ბარბაყები წვრილი და მოხრილი ჰქონდათ... ბევრი დიდებული ვნახეთ სოხუმში და რუდეს კალეში ყოფნის დროს. ისინი საშუალოზე მაღალი ტანისანი, ღონიერები იყვნენ და კარგი გარეგნობა ჰქონდათ, გეგონებოდათ, სხვა წარმოშობისანი

არიანო, ვიდრე ის აფხაზები, რომელთა პორტრეტიც მე ეს-ეს არის აღვწერე“ (იქვე, გვ. 90).

საერთოდ, აფხაზეთთან მიმდებარე შავი ზღვისპირეთში ერთ-ერთი საუკეთესო ნავსაყუდელია ფშადის ყურე – „აფხაზეთის საზღვართან ტელენჯიკიდან დაახლოებით სამოც ვერსზე – ფშადის ყურეა... ფშადის ყურე უსაფრთხოა წელიწადის ცხრა თვის განმავლობაში მისი საერთო სიღრმე 7-9 საუკნია“ (იქვე, გვ. 76).

სპეცისერი წერს: „ჩერქეზეთის მრავალრიცხოვან ყურეთა და ნავსადგურთაგან ერთ-ერთს ფშადს მივაღწიეთ, ფშადი მნიშვნელოვანი ნავსადგურია“ (კ. კოხისა და ო. სპეცისერის ცნობები საქ-ართველოსა და კავკასიის შესახებ, 1981, გვ 115).

ეს ნავსადგური გაჭირვებით აუღიათ რუსებს და სიმაგრედ უქცევიათ 1840-41 წლებში (იქვე, გვ. 116, შენიშვნა).

ავტორი წერს: „ნავსადგურში შესვლა ძალიან ძნელი იყო, ჩერქეზი ლოცმანის გარეშე, გარდა ამისა, აქაური მრავალრიცხოვანი მცხოვრებლები კავკასიის ყველა ტოშს შორის ცნობილი იყვნენ, როგორც ყველაზე მეომარი ბუნებისა და რუსეთის დაუძინებელი მტრები, როცა ჩერქეზები თვალს მოჰკრავდნენ ნაპირისაკენ მოახლოებულ გემს საბრძოლველად აღჭურვილი ნავებით, თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის დაქნევაზე, ნავსადგურის მთელი შესასვლელი და ირგვლივ მდებარე გორაკები თვალისდახამებაში ივსებოდა შეიარაღებული ხალხით, ზოგი კი ნაპირისკენ გარბოდა... მათი კივილი ერთგვარად წააგავს ტურების ყმუილს. იგი იმდენად შემაზრზენი და არაადამიანურია, რომ თუ ის პირველად ქსმის ადამიანს, შეიძლება გონებაც კი დაკარგოს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი პანიკური შიში იპყრობს ჩერქეზების საბრძოლო ყიფინაზე, ცრუმორწმუნე და გაუნათლებელი გლეხებისაგან შემდგარ არ-მიას, განსაკუთრებით საზარელია გამძვინვარებულ მთიელთა ბრძოს ყიფინა...“ (იქვე, გვ. 116).

1980-იანი წლების ბოლოს ქართველთა წინააღმდეგ დამკვირვებლები გაოცებით აღწერდნენ, თუ როგორ სწრაფად, თითქოსდა უხილავი ხელის დაქნევით იკრიბებოდა ათასობით აფხაზი სხვადასხვა რაიონებიდან კონფლიქტის ადგილას. ურნალისტების აღწერები საოცრად ემსგავსება სპეცსერის ცნობას. ტომობრიობის შეგრძნება და მებრძოლი ბუნება დღესაც არ შეცვლილა.

ო. სპეცსერი წერს: „ღუზა ჩავუშვით ჩერქეზეთის პირველ ნავ-სადგურში – ანაპაში... არცერთი რუსული სადგომი ჩერქეზეთის სანაპიროზე არ ყოფილ ისეთი საშიში, რუსების ჯარისათვის როგორც გაგრა. ბიჭვინთიდან გამბორში გავემგზავრეთ... ჩვენ გადავწყვიტეთ ჩერქეზეთის შუაგულში გამგზავრება, ამისათვის მთავარმა თავადმა შერვაშიძემ უკვე დიდი ხანია მიიღო რუსეთის მთავრობის ქვეშემრდომობა... ჩვენ პატარა ქალაქ გამბორის, ანუ ლიხნის დათვალიერებას შეგუდექით... ამ ძლიერი ტომის თავადი აფხაზი მიხეილ შერვაშიძეა... ეს თავადი ერთადერთი მაგალითი არ არის ჩერქეზეთში სამშობლოსადმი ასეთი თავდადებული სიყვარულისა... სოხუმ-კალე ისტორიული თვალსაზრისით მომ-დევნო საინტერესო ადგილია ჩერქეზეთის სანაპიროზე... სოხუმ-კალეშიც, ისე, როგორც ჩერქეზეთის სანაპიროს სხვა სიმაგრეებსა და ბლოკპაუზებში...“ (იქვე, გვ. 106-130). აქედან ჩანს, რომ იმ ხალხს, რომელთაც ჩვენ აფხაზებს ვუწოდებთ, მოგზაურები ჩერქეზებს უწოდებენ, თუმცა იციან სიტყვა „აფხაზიც“. მაგალი-თად, აფხაზი თავადია ჩერქეზების მთავარი შერვაშიძე. ეს მა-რთლაც ასე იყო ისტორიულადაც. აქაური ძველი ქართველი თავადები, რომელნიც ტომობრივად ძველი აფხაზები, ანუ ქართველები იყვნენ, ჩერქეზთა შემოსევის შემდეგაც თავის სამთავრო-სათავადო ტახტზე დარჩნენ და აფხაზი (ქართველი) თავადი შერვაშიძე აქაური ჩერქეზების (ახალი აფხაზების) მთ-ავრად იქცა.

ასეთი იყო მდგომარეობა XIX საუკუნის I ნახევარში: „1866 წლის აჯანყების შემდეგ თურქეთსა და სირიაში გადასახლებული იქნა ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც ჩვენ ამჟამად ვუწოდებთ აფხაზებს. აღსანიშნავია, რომ ისინი და მათი შთამომავლები თავიანთ თავს უწოდებენ არა აფხაზებს, ანდა აფხარებს, არამედ ჩერქეზებს, ისინი არც არასოდეს მიიჩნევდნენ თავიანთ თავს აფხაზებად... თურქეთის ოფიციალური სტატისტიკით, ისინი აღირიცხნენ არა აფხაზებად, არამედ ჩერქეზებად. მოსკოვში დასტამბული ეთნოდემოგრაფიული ცნობარი „ნასელენია მირა“ საერთოდ არ ასახელებს თურქეთში ამჟამად მცხოვრებ აფხაზურ-ადიღურ ხალხთა შორის აფხაზებს, სამაგიეროდ ასახელებს ჩერქეზებსა და აბაზებს. თურქეთში ცხოვრობს 150 000 ჩერქეზი და 10 000 აბაზი („აბაზინი“) (ს. ბრუკ, ნასელენია მირა, 1981. გვ. 526). ისინი აფხაზეთიდან გადასახლებულთა შთამომავალნი არიან, მხოლოდ ქართველები უწოდებენ აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებულთ აფხაზებს. თურქეთში მცხოვრებ ამ აფხაზების რიცხვს ქართული ენციკლოპედია 100 000-ით საზღვრავს (ქსე ტ.ს სტატია „აფხაზები“). მაშინ, როცა მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის სტატისტიკით (მათ შორის მოსკოვში დაბეჭდილი „ნასელენია მირა“) აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლებული მოსახლეობა აფხაზებად არ აღირიცხება, ყველგან მათი ნამდვილი სატომო სახელი ჩერქეზები ეწოდებათ. მსგავსად თურქეთისა, სირიაში აფხაზეთიდან გადასახლებულ მოსახლეობას ჩერქეზები ეწოდებათ. იქ 35 000 ჩერქეზი ცხოვრობს. საერთოდ, მრავალი გაუგებრობისა და უხერხულობის წყაროა ის, რომ ქართველები აფხაზეთში დამკვიდრებულ მოსახლეობას თავიანთ ეთნოსახელს აფხუებს, აფხარებს ანდა ჩერქეზებს არ უწოდებენ. ამ საკითხს კი სიცხადით ასახავს აზი-ისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეთნოსტატისტიკა“ (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25).

კვლავ დავუბრუნდეთ სპენსერის ცნობებს ჩერქეზების შესახებ, რომელთაც ჩვენ „აფხაზებს“ ვუწოდებთ.

ჩერქეზეთის აღწერას ის ამთავრებს სოხუმთან, ხოლო სოხუმ-კალედან „მოყოლებული იწყება სამეგრელო“. ჩერქეზეთის „ლამაზი ბუნების შემდეგ, რომელმაც ასე გაგვაოცა, ჩვენს თვალწინ უეცრად შესანიშნავი სანახაობა გადაიშალა. ეს გახლავთ ღრუბლებამდე ატყორცილი კავკასიის ალპური ზოლი, როდესაც თვალს გადავლებ სამეგრელოს გაუვალ ტყეებს...“ (კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1981, გვ. 136).

დამკვირვებელი წერს, რომ მდინარე ენგურამდე ქვეყანა განადგურებულია ჩერქეზების მიერ, რასაც თავის ახსნას უძებნიან: „ჩერქეზების ჩვეულებაა გაანადგურონ ყველაფერი ის რისი წაღებაც არ შეიძლება მაღალმთიან რაიონში“ (იქვე, გვ. 134).

ბიჭვინთის, დრანდის, ბედიის, მოქვის საკათედრო ტაძრებში თუ სხვა ეკლესიებში დაუნჯებული საუკუნოვანი განძი და ქონება, ჩანს, ასე გაანადგურეს.

კელასური, კოდორი, ილორი, ანაკლია, მდებარეობს არა ჩერქეზეთში, არამედ სამეგრელოში. ის იქიდან ჩანს, რომ მათზე კ. კოხი მსჯელობს ქვეთავში „სამეგრელო და სვანეთი“ (იქვე, გვ. 136). ამ სანაპიროზე „არავითარი ნიშანწყალი არ არის იმისა, რომ ამ უდაბურ აღგილას ვინმე ცხოვრობდეს“ (იქვე, გვ. 138). ქვეყანა „აფხაზ“ - ჩერქეზთა მიერა გაანადგურებული.

სპენსერი, ისევე როგორც ყველა უცხოელი მოგზაური და მეცნიერი, დარწმუნებულია, რომ ეს ჩერქეზები არიან არა მკვიდრი მოსახლეობა, არამედ ჩამოსახლებული ჩრდილოეთიდან - ყუბანიდან.

„მოსახლეობა რუსეთის ყველაზე საშიში და შეურიგებელი მტერია, ისინი ნაწილობრივ ყირიმისა და ყუბანის ხანებისა და

სულთანების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში“ (იქვე, გვ. 135).

ყველა უცხოელი მეცნიერი, XVII-XIX საუკუნეების დამკაირვებლები, აღნიშნავენ, რომ ე.წ. ახალი „აფხაზები“, ანუ აფხაზეთში ბოლო ასწლეულებში გაბატონებული მოსახლეობა ჩამოსულია ტომობრივად ჩრდილოკავკასიიდან თუ ადიღედან.

გაავხაზებულთა გვარები

ქართველთა გააფხაზება (იგულისხმება გააფხუება) ისეთი აშკარა და თვალითხილული ფაქტია, რომ მას არ უარყოფენ, თუმცა კი ჩვენში არის მიღრეკილება, უარყონ, ანდა არ დაინახონ ქართველთა დენაციონალიზაციის სხვა ფაქტები, ვთქვათ, ქართველთა გასომხება, გაღეკება, გაოსება და ა.შ. როგორც ითქვა, ქართველთა გააფხაზება თვალნათელი ფაქტია, მისი დანახვა ყველას შეუძლია, ყველამ იცის, რომ ჩაკვეტაძე, ჭავჭანიძე თუ სხვა მრავალი, რომელნიც აფხაზებად აცხადებდნენ თავს, წარმოშობით ქართველები არიან. ამას თვითონაც ასეთი გვარების მატარებლებიც აღიარებენ. შეიძლება ქართველთა გააფხაზება პირობითად ეტაპებად ანდა პერიოდებად დავყოთ, რამეთუ სხვადასხვა ეტაპებზე გააფხაზების პროცესს სხვადასხვა სოციალურ-საზოგადოებრივი პირობები ედო საფუძვლად. მაგალითად, გააფხაზებას საბჭოთა პერიოდში, გააფხაზებას აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ XIV ს-ის 70-იანი წლებიდან 1921 წლამდე, გააფხაზებას უფრო ადრე აფხაზეთის სამთავროს პერიოდში, სამეგრელოს მიწების მიერთება-ანექსიის დროს.

1921 წლიდან ქართველთა გააფხაზების შესახებ წერს მრავალი მკვლევარი. ი.ანთელავა, კერძოდ, წერს – „საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთის ასსრ შემადგენლობაში მოაქცია ძირძველი ქართველი მიწები, რამაც შემდგომში საფუძველი დაუდო უმცირესობის დიქტატს. თანამდებობების განაწილების ნომენკლატურული სისტემის პირობებში აფხაზობა პრივილეგიად იქცა. ამ პრივილეგიის მისაღებად ბევრი თავან კარა ქართველი აფხაზად ჩაეწერა. ეროვნება პროფესიად გაიხადა. არამცირედია ასეთი აფხაზ ექსტრემისტთა ლიდერებს შორისაც“ (ი.ანთელავა, „აფხაზური პრობლემის..., „მამული“, №6, 1989).

რ. მიმინოშვილი და გ. ფანჯიკიძე წერენ: „...აფხაზმა ხალხმა ჩვენს დროში იმდენი უპირატესობა და პრივილეგია მიიღო, რომ ამ პრივილეგიების გულისათვის ბევრმა სულმოკლე ქართველმა იწყო გააფხაზება... აფხაზები არიან აფხაზეთში არა მხოლოდ ერი, არამედ პრივილეგირებული კლასი, რომლის რიგებიდანაც ყალიბდება ავტონომიური რესპუბლიკის მთელი ადმინისტრაცია საოლქო კომიტეტის პირველი მდივანიდან დაწყებული, დამთავრებული პატარ-პატარა საწარმოების დირექტორებით, მათი მოადგილეებით და დისპეჩერებითაც კი“ (სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, ლიტ. საქ., 1.XII.1989). 6. ლაკობას სიტყვით, 20-30-იან წლებში „მმართველობა აფხაზეთში იყო მხოლოდ აფხაზთა ხელში“ (იქვე).

ავტორები წერენ: „აფხაზობა სოციალური პრივილეგია გახდა, სხვათა შორის, ახლა კი არა, მეფის რუსეთის დროსაც, როცა აფხაზები ჯარში არ მიჰყავდათ, მაშინ დაიწყო ქართული მოსახლეობის მასობრივი გააფხაზება და ეს პროცესი შემდგომაც არ შეწყვეტილა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ აფხაზებს ბუნებრივი მატების ერთობ დაბალი პროცენტი აქვთ და, მიუხედავად ამისა, თუ 1939 წელს მათი რაოდენობა 56,2 ათასს უდრიდა დიდი სამამულო ომის შემდეგ, რომელსაც აფხაზთა შორ-

ისაც მოჰყვა შეხვერპლი და მომავალ თაობაში ამან პოპულაციაზეც იმოქმედა. 1970 წლის აღწერით, აფხაზთა რაოდენობამ 83 ათასს მიაღწია, ეს რომ ბუნებრივი მატების წარმოუდგენელი ბუმი არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ 1979 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზთა რაოდენობა იგივე დარჩა. რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ 30 წლის განმავლობაში 50 პროცენტით გაიზარდა, თუ არა ხელოვნური მატებით? მატება კი სწორედ ქართული მოსახლეობის ხარჯზე მოხდა იმის გამო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზობა სოციალური პრივილეგია გახდა... ზოგიერთი ქართველის გააფხაზება შეუმჩნეველი არ დარჩენია არც 6. ლაკობას. აი, რას წერს იგი 1927 წელს: „აფხაზები დიდი გაჭირვებით აღწევენ დაახლოებით 57-60 ათას სულამდე... რატომ დიდი გაჭირვებით? იმიტომ, რომ რამდენიმე ათასი კაცი თავის თავს აფხაზურ ეროვნებას მიაკუთვნებს, მაგრამ მათი ენა არის არა აფხაზური, არამედ მეგრული (იქვე).

გააფხაზებას 1921 წლამდე სხვა საფუძვლები ჰქონდა: 6. ბერძნიშვილის ღრმააზროვანი დაკვირვებით ქართველთა დენაციონალიზაციის (გალეკება და სხვა) მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მომხდური ტომის რიცხობრივ ანდა ტომობრივ უპირატესობაში, არამედ საზოგადოებრივ (სოციალურ და სხვა) მომენტებში, დაუუმატებთ, რომ სარწმუნოებრივ ცვლილებებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, აფხაზეთის გაწარმართება ჩვენს ძველ ისტორიოგრაფის შეუმჩნეველი არ დარჩენია, თავის მხრივ, აფხაზეთის გაწარმართებამ უთუოდ შეუწყო ხელი ქართველთა დენაციონალიზაციას, რამეთუ XVI-XVIII საუკუნეებში „ქართველს“ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრს, მართლმადიდებელ ქრისტიანს უწოდებენ, ამიტომაც იმ დროისათვის აფხაზურ წარმართობას ნაზიარები ქართველი უკვე აღარც განიხილებოდა ქართველად. აფხაზური სარწმუნოების, ანუ აფხაზური წარმართობის მატარებელი უკვე

აფხაზი იყო, თუმცა რუსეთის შემოსვლის შემდეგ წინ წამოიწია სოციალურმა მომენტმა. ამ დროის შემდეგ მრავალმა გააფხაზებულმა ქართველმა ქრისტიანობა შეინარჩუნა.

6. ბერძენიშვილის აზრით, როგორც ითქვა, ქართველების გალეკება, გაოსება და სხვა მსგავსი მოვლენები ქართველთა გადაგვარებისა, სოციალური მიზეზებით – „კლასთა ბრძოლით“ აიხსნება. ეს იმას ნიშნავს, რომ გალეკებით თუ გააფხაზებით ქართველი გლეხი იძენდა თავისუფლებას და ფაქტიურად თავისუფალი ხდებოდა. ბატონიშვილის მძიმე უღლისაგან თავდახსნა ჯილდოდ ელოდა გადაგვარებულ ქართველს. ამიტომაც ოსი, ლეკი თუ აფხაზი მთიელების შემოსვლის დროს მათ მხარეზე გადადიოდნენ, მათ ძალებს აძლიერებდნენ.

„განა ოსების ჩამოწოლა ქართლში XIV ს-ში უმაღვე კლასთა ბრძოლად არ იქცა? განა კახელების გალეკება (დავით იმამყულიხანის წერილები ვახტანგთან) კლასთა ბრძოლა არ იყო? და განა XVIII ს. ფაქტი, „საინგილოს გაჩენა“, იმავე კლასთა ბრძოლის ნიადაგზე არ აიხსნება? განა ლეკთა უპირატესობა ტომობრივი მომენტი იყო? განა ჩამოსულ ოსებს, როცა ისინი ტომებად რჩებიან და არ ქართველდებიან, როცა ისინი ქართულ ფეოდალურ ურთიერთობას გადაშენებით ემუქრებიან, ქართული ფეოდალური ხელისუფლება არ ინდობს „აღი ფხურის“ (გიორგი ბრწყინვალე). ხოლო იგივე ფეოდალური ხელისუფლება (მეფე, თავად-აზნაურები) ხიზნებად დაისვამს მათ და ბატონიშვილის სთავაზობს, როცა ისინი ტომობრივად კი არა, გლეხურად მოდიან? განა ასეთივე არაა სურათი ჰერეთში?...

და რატომ არ გვაქვს საბუთი ასეთივე სურათი აფხაზეთშიაც ვივარაუდოთ? მთიული აფხაზები ტომობრივ ჩამოვიდნენ. დამხვდური აფხაზური მოსახლეობა ეძმო მოსულთ კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე (გაქართველებულ აფხაზ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში). მაშასადამე, აფხაზების ტომობრივი

ჩამოსვლა და მათი ბრძოლა ქართული ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ იყო ამავე ბრძოლა „ქართულის“ წინააღმდეგ და აფხაზეთი „მიიქცა წარმართად“, აღდგა ადრეული ფეოდალიზმი, აფხაზური მიწისმფლობელობა (შერვაშიძე ისევ ჩაჩბა გახდა, ხოლო ანჩაბაძე – აჩბა).

აფხაზი თავად-აზნაურობა შეურიგდა შექმნილ ვითარებას და იწყეს „გააფხაზება“ არა მარტო მოძმე აფხაზებმა (ბარელებმა), არამედ ბარი-ზღვისპირეთის ყველა გლეხმა. შეიქმნა აფხაზობა (ადრეული ფეოდალიზმი). „ქართულ“ ბატონიშვილის სულამოხუთული გლეხობა არა მარტო ზღვისპირეთისა მიეტანა აფხაზობას, არამედ აფხაზეთი ყველა ბატონიშვილის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხის თავშესაფარი გახდა და შეიქმნა ახალი აფხაზეთი“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 609-710).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, აფხაზეთში მრავლად გადადიოდნენ ქართველი გლეხები და აფხაზებად ეწერებოდნენ. როგორც ცნობილია, აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიების გაფართოებასა და სამეგრელოს (ოდიშის) მიწების ანექსიის დროს აფხაზეთის მთავრის ხელქვეშ აღმოჩნდა ქართველებით დასახლებული ვრცელი მიწები, მათი სრულიად გააფხაზება ვერ მოასწრეს, მალე ეს ტერიტორიები რუსეთის ხელქვეშ შევიდა. რუსთა წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიიღეს სამურზაყანოელმა (ოდიშელმა) ქართველებმა და ისინი არ გაჰყვნენ თურქეთში გადასახლებულ მუჰაკირებს. „1877-1878 რუსეთ-თურქეთის ომის წლებში, სამშობლო არ დაუტოვებია სულ 19.273 აფხაზი ეროვნების ადამიანს. რაც შეეხება 24.461 სამუზაყანოელს, მათგან მამა-პაპური მიწა-წყალი არ მიუტოვებია არც ერთ ადამიანს, რაც ნათლად ადასტურებს მათ, როგორც ეროვნულ, ასევე სარწმუნოებრივ (ქართულ ქრისტიანულ) კუთვნილებას (ს. ლეკიშვილი, ქართველთა ბრძოლა? გაზ. „სახ. განათლ.“, 15.II.90).

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როცა აფხაზებმა ანტი-რუსული პოზიცია დაიჭირეს, რუსეთი აღარ ენდობოდა მათ და ამიტომაც ჯარში არ მიჰყავდა. ჯარში სამსახური კი საშინელი ბეგარა იყო საქართველოს (სამეგრელოს) მოსახლეობისათვის, აფხაზეთს თავს აფარებდნენ და აფხაზებად აცხადებდნენ თავს წვევამდელები: „ეთნიკური მეტამორფოზის გზით ბატონობის უღლის თავიდან აცილება, აგრეთვე ჯარში სამსახურიდან თავის არიდება, რადგან მეფის მთავრობას აფხაზები ჯარში არ მიჰყავდა და სხვ. – აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ნაწილი გააფხაზდა“ (ა. თოთაძე, სიკეთის საწყაული, 18.VII.1989).

ამით ყოფილა გამოწვეული ის, რომ 1926 წელს თითქმის ყოველი მეექვსე აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა (იქვე).

ჩვენი თანამედროვე დამკვირვებელი წერს: „თითქმის არ არსებობს ქართული გვარი, რომელიც აფხაზად არ იყოს ჩაწერილი“ (დ. ქებურია, მეტის მოთმენა შეუძლებელია, გაზ. „ახ. ივერიელი“, 4.XII.90 – I). ამასვე აღნიშნავენ სხვა დამკვირვებლებიც: გაზ. „სოფლ. ცხოვრება“, ვ. ხვისტანი და ჯ. გაბელია – (II), მ. ჩაჩუა, გაზ. „ლ. ს.“, 28.VI.89. – (III), ჯ. კვიშინია, გაზ. „ს.ც.“, 21.VI.89. – (IV), გ. ყორანაშვილი, გაზ. „თბილისი“, 7.VIII.89. – (V), ვ. ქირია და სხვები, ახ. კომ.“, 25.I.90. – (VI), ნ. ეთერია, „ლ.ს.“, 2.II.90. – (VII), გაზ. „ახ. კომ.“, 29.VII.89. – (VIII), გაზ. „ლ.ს.“, 1.XII.89. – (IX) და სხვანი.

გააფხაზებულან შემდეგი გვარების მატარებელნი:

1. აბაშიძე – (VIII, IX)
2. ახვლედიანი – (IX)
3. ბარათელია – (II)
4. ბოკუჩავა – (VI)
5. ბებია – (I, VI)
6. გულია – (IX)
7. გვარამია – (VII)

8. გოგუა – (IX, I, VII)
9. გურგულია – (III)
10. დარასელია – (VI)
11. თაყიაშვილი – (V)
12. კარანაძე – (III)
13. კუპატაძე – (IX)
14. კობახია – (VII)
15. ლორთქიფანიძე – (V)
16. ლომია – (III)
17. ლალიძე – (III)
18. მახარაძე – (V)
19. მარშანია – (III)
20. მელაძე – (I)
21. ნაჭყებია – (IV)
22. ნოლია – (IX)
23. ნოზაძე – (VII)
24. რეხვიაშვილი – (VI)
25. სიჭინავა – (VI)
26. ჩხაიძე – (VI)
27. ჭავჭავაძე – (VI)
28. ჭავჭანიძე – (VIII)
29. ჭანკვეტაძე – (VII)
30. ჭკალუა – (VII)
31. წერეთელი – (IX, III, I)
32. ძოწენიძე – (III)

და სხვანი.

გააფხაზების სურათს კარგად აღწერს ზოგიერთი ამონაწერი:
 მაგალითა, ვინმე ნაჭყებიები (აფხაზეთში მცხოვრებნი) აფხაზებად იმიტომ ითვლებიან, რომ ქართული არ იციან, თუმცა
 კი ქართული წარმოშობისანი არიან: „ესენი წარმოშობით

ქართველები არიან, მაგრამ ფაქტობრივად აფხაზები არიან, ქართული არ იციან“ (IV).

ბარათელიას გვარს გვარმაწარმოებელი ორმაგი ქართული სუფიქსი აქვს – „ელ“ და „ია“. გვარის წარმოშობა აშკარად ქართულია.

6. ბერძნიშვილიც წერს, რომ შერვაშიძეებს აფხაზები ქართველებს ეძახდნენ. „...დამახასიათებელია ამ მხრივ ის

გარემოება, რომ შერვაშიძეებს გვიან თვით აფხაზები ქართველებს ეძახდნენ, ჩანს, ამიტომ ესენი ძველ ქართულ ტრადიციებს მი-სდევდნენ, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ XVIII-XIX საუკუნეებშიც აფხაზთა გაბატონებული წრეების სამწერლობო ენა ქართული იყო.“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტ. საკითხები, გვ. 616).

ნ. ბერძენიშვილი სწერს: „...ეს ფაქტი იმის მოწმობაა, რომ ამ დროს აფხაზი ფეოდალის სახლი „ქართულია“ და ეს ასეა არა მარტო მხოლოდ ქრისტიანობის თვალსაზრისით, არამედ საერთო კულტურის თვალსაზრისით (აფხაზი ქალი აფხაზეთში გაზრდილი სახელგანთქმულია, თავი მოაქვს იმ „ზრდილობით“, რაც საქართველოსთვის დამახასიათებელია, თავი მოაქვს ვეფხისტყაოსნის კულტურის მატარებლობით. აფხაზეთის მთავრის სასახლე ვეფხისტყაოსნის კულტურის კერაა: ქართული ფეოდალური კლასიკური „ზრდილობა“ სუფეს აფხაზი მთავრის სასახლეში) და შუასაუკუნეების აფხაზეთში არ არსებობდა ფეოდალური კულტურა გარდა ქართულისა, გარდა ვეფხისტყაოსნის კულტურისა... (გაიხსენე ალექსანდრე

შერვაშიძის პროტესტი: უ ყაფ ყაყაყაყაყაყა უ ყაყაყაყაყაყ
ყაყაყ... ლამბერტიმ კარგად იცის აფხაზთა მასების
განსხვავებულობა მეგრული მასებისაგან, აფხაზების
პრიმიტულობა, ენის სხვაობა, ყოფა-ცხოვრების სხვაობა...
აფხაზთა მთიელების ჩამოწოლა, ე.ი. ადრეფეოდალური
ურთიერთობის აღდგენა“ (დასახ. ნაშრ. 611). როგორც აღინიშნა,
ჩამოწოლის შემდეგ აფხაზეთის აბორიგენული, ე.ი. ქართული
მოსახლეობა აფსუად იქცა ე.ი. თანამედროვე ტერმინოლოგიით
– გააფხაზდა, თუმცა კი ქართულ კულტურას მთლიანად ვერ
მოსწყდა. გააფხაზების სოციალურ მიზეზთა შესახებ ნ.
ბერძნიშვილი წერდა: „აფხაზეთში გაბატონებული ახალი ყოფა,
რომ სასურველი იყო ფეოდალურ უღელში ჩაბმული
საზოგადოებისათვის, კარგად ჩანს იქიდან, რომ XIX საუკუნეში
სამეგრელოს მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით გადად-
ის აფხაზეთში და იქ „აფხაზება“ „მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათ
სოციალურ თავისუფლებას ანიჭებდა“ (იქვე, გვ. 616). ცნობილია,
რომ აფხაზეთის სამთავროს წარმოქმნამდე (XVII ს.) ტერიტორ-
ია მთელი შავიზღვისპირეთისა ვიდრე ჯიქეთამდე შედიოდა სამ-
ეგრელოს სამთავროში, ჯიქ-აფხარ-ჩერქეზების შემოსევების
შემდეგ „დადიანები ჯერ იძულებული იყვნენ გადმოეწიათ თავ-
ისი საზღვარი (ჯიქეთიდან) ანაკოფიამდე ამ ორი საუკუნის წინათ,
ეხლა კი გადმოიტანეს ლალიძგაზე“, – წერდა დიუბუა თავის
მოგზაურობაში“ (ს. ჯანაშია, IV, 1988, გვ. 281).

მთიელი ტომის შემოსვლა, ჩანს, ხდებოდა აფხაზთა მთავრი-
სა და აფხაზეთის თავადაზნაურთა თანხმობითაც, რაღაცაც
აფხაზეთის სამთავროს თითქმის წარმოქმნისთანავე დაიწყო უსას-
ტიკესი და გაუთავებელი ომები სამეგრელოს სამთავროსთან,
რომლებშიც ყოველთვის იმარჯვებდა დადიანი. აფხაზეთის
მხარეს ესაჭიროებოდა ლაშქარი, მებრძოლები, ხოლო ჩერქეზები
სწორედ მებრძოლები იყვნენ, თანაც შესანიშნავი.

ჩერქეზთა ჩამოსახლებას არ შეეძლო მთლიანად შეეცვალა სახე აფხაზეთის ეთნოსისათვის, აյ მრავლად დარჩნენ ადგილობრივი ქართველები, თუმცა მრავალი ჩერქეზული ელ-ემენტი შეითვისეს. ქართული სახე შერჩა აფხაზეთის თავად-აზნაურთა ძირითად ნაწილს, პირველ რიგში, ეს იყო მათი ქრისტიანობა, ქართული გვარები, ქართული ენის ცოდნა და რაც მთავარია, თავიანთი თავის მიკუთვნება ქართული კულტურისა და ეთნოსისადმი. ამის დამამტკიცებელი მაგალითის მოტანამდე უნდა ითქვას, რომ, მართალია, ჩერქეზ-აფხარებს უჭირდათ თავიანთი თავადების გრძელი ქართული გვარების წარმოთქმა და თავიანთი ენის ბუნების შესაბამისად მათ ამოკლებდნენ, მაგრამ თავად-აზნაურებმა ბოლომდე შემოინახეს თავიანთი ქართული გვარები: შერვაშიძე (აფხაზურად შემოკლებული – ჩაჩბა), მარშანია, ანჩაბაძე (აჩბა), ემხუარი (ემხაა), ჩხოტუა, მარღანია და სხვა. თავადობის ინსტიტუტის ქართველობას აფხაზეთში ადასტურებს ისიც, რომ აფხაზურად (აფხარულად) თავადს – ათუად – ქართული სიტყვა ერქვა. არა მარტო თავად-აზნაურობას, არამედ აფხაზეთის წარჩინებულებსაც დიდხანს შეუნარჩუნებიათ ქართული ენის ცოდნა. ვახუშტი წერდა თავისი დროის აფხაზების შესახებ: „ენა საკუთარი თვისი აქვთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 786).

როგორც ჩანს, აფხაზეთის თავად-აზნაურობა სულ ბოლო დრომდე (ე.ი. რეგოლუციის მიერ მათ განადგურებამდე) თავიანთ თავს ქართველებად მიიჩნევდა. ასეთი იყო, მაგალითად, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძე – გიორგი შერვაშიძე. არ შეიძლება ის მივიჩნიოთ გამონაკლისად, რადგანაც იგი იყო მთავრის ძე და იცოდა, თუ რა საპასუხისმგებლო იყო მისი ყოველი გამოსვლა, სიტყვა თუ საქმე. ფაქტიურად ის გამოხატავდა თავის სამთავრო ოჯახში დაცულ საუკუნოვან ტრადიციებს და აგრეთვე აფხაზეთის წარჩინებულთა იდეებსაც. გიორგი შერვაშიძე საქ-

ართველოს „ჩვენს სამშობლოს“ უწოდებს (ს. ჯანაშია, VI, გვ. 18). ქართულ ენას უწოდებს „სამშობლო ენას“ (იქვე, გვ. 20), „ჩვენს ენას“ (გვ. 21), „ქართულ მუსიკალურ ენას“ (გვ. 19). ქართულ კულტურას უწოდებს „ჩვენს კულტურას“ (გვ. 19). ის ზრუნავს „ივერთა და კუწული ხალხის“ ერთობისათვის, „უკუღმართად დატრიალებული ერის არსება“ მისი ზრუნვის საგანია. „ეკამათება იმათ, ვინც ეწინააღმდეგება საქართველოს ავტონომის იდეას, „ბრწყინვალე მზეს ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლების“. ეს შეგნება არის გიორგის მოქალაქეობრივი პიროვნების საძირკველი“ (იქვე, გვ. 19).

შსგავსი იდეები გააჩნდათ აფხაზეთის წარჩინებულებსაც. სწორედ ამიტომ იცოდნენ მათ ქართული ენა, ჰქონდათ ქართული გვარები, უფრო მეტიც, მათ არა თუ იცოდნენ ქართული ენა, არ-ამედ სწორედ ქართული ენა იყო მათი მშობლიური ენა – დედა ენა. ისინი დედის ძუძუსთან ერთად ითვისებდნენ ქართულ ენას, თვით ჩვენს საუკუნეშიც კი აფხაზი თავადაზნაურობის ოჯახებში ბავშვი დედას ქართულად მიმართავდა – „დედა“., რუსი მკვლევ-არი სელეზნევი, რომელიც 1841 წ. იყო აფხაზეთში, წერს, რომ ამ წრის წარმომადგენელმა ბევრმა იცის ქართული და ოსმალუ-რი წერა-კითხვა“ (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, თამარ დედოფლის ვაჟის სახელი, ჯვარი ვაზისა, №4, 1989, გვ. 47).

აფხაზეთის სამთავროში მთიელების ჩამოსახლებისა და გამარჯვების შემდეგ, ისინი განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ქართულ მოსახლეობას, მრავალ ქართველს ატყვავავისცენა და

აფხაზეთში სულ გლეხთა ოთხი კატეგორია ყოფილა, მათ
შორის ახორიუ და ახაშვალა, – ქართული (მეგრელი, გურული)
დატყვევებული მასა, აქედანაც ჩანს, თუ რაოდენობის
ქართველობა აფხაზდებოდა. „ახორიუ. ტერმინი ახორიუ ნიშნავს
„საჭმლის მომზადებელს“ (მოსამსახურეს)... ახორიუს ზოგჯერ
უწოდებენ „აგირუას“ (მეგრელი) ან კიდევ „აგურს“ (გურული)...
ახაშვალა, ანუ ათვი მწარმოებელი კლასის ყველაზე დაბალი კატე-
გორია იყო“ (საქ. ისტ. ნარკვ., IV, გვ. 200).

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში XVI ს. შემდეგ სხვადასხვა ჩერქეზული წარმოშობის ე.ი. არაქართული ტომი ჩასახლდა, მათზე დამხვდური ქართული მოსახლეობის გავლენა ძალზე დიდი იყო. დროთა განმავლობაში ქართული სახელმწიფო შეძლებდა ამ ხალხის მოქცევას ქართველი ხალხის კულტურის წრეში, რომ არა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსია.

«**П**ричины, по которым я не могу вернуться в Россию, я не могу объяснить, но я не могу вернуться в Россию» (цит. по III, III, 12).

ქართველი და აფხაზი ხალხები მოძებნიდნენ ურთიერთსიყვარულისათვის საერთო ფესტებს, რომ არა უცხო ძალის მიერ შექმნილი დაბრკოლებები, როგორც შუა საუკუნეებში, ისე მის შემდგომ.

ეს წიგნი დაიწერა 1992 წლამდე. ამჟამად ჩვენი უბედურების გამო საქართველომ დაკარგა აფხაზეთი, იქ, აფხაზეთში ჩარჩა ათი ათასობით ქართველი, ქალი და ბავშვი, მოხუცი და ახალგაზრდა, მათოვის ერთადერთ გზას გადარჩენისა წარმოადგენს თავიანთი ქართველობის უარყოფა და აფხაზებად თავის გამოცხადება, ამიტომაც ქართველების გააფხაზების პროცესი დღესდღეობით კიდევ უფრო გამძაფრებულია და გაღრმავებული. სამწუხაროდ, ეს ფაქტია.



მიტროპოლიტი ანათოლი ჯაფარიძე

სერია: ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან
განშორებული ქართველებისა

ქართლ-კახეთი

ქართველთა გასომხება

- I. ქართველთა გასომხების პოლიტიკური მიზეზები
- II. თბილისი და ქვემო ქართლი მაჰმადიანთა ბატონობისას
- III. ქართველთა არმენიზაცია
- IV. გასომხებულთა გვარები

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია
1999

წმიდა ილია მართლის თქმით, „აღდგენა ისტორიისა, – ერის გამოცოცხლებაა, მერმისის გამორკვევა სიბნელისაგან“.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მონოგრაფიების სერიაში – „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“ გადმოცემულია XVII-XIX საუკუნეებში მცხოვრებ ქართველთა ბედი, რომელთაც დატოვეს ეროვნული ეკლესია და უცხო ეკლესიის მრევლად იქცნენ.

წინამდებარე ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ოსმალთა და ირანელთა მიერ დაპყრობილ ქართლ-კახეთსა და მესხეთში მცხოვრებ იმ ქართველ მართლმადიდებელთა ხედრი, რომელნიც თანდათანობით სომხური ეკლესიის მრევლად გადაიქცნენ დამპყრობელთა პოლიტიკური ნების შესაბამისად. გამონოფიზიტების შემდეგ სომხური ეკლესიის მრევლში გადასულ ქართველებს თანდათანობით შეეცვალათ ეთნოფსიქოლოგია, დაკარგეს ეროვნული ცნობიერება და დაადგნენ გასომხების გზას. ეს პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა თბილისსა და ქვემო ქართლში, აგრეთვე ქართლ-კახეთის ქალაქებსა და გზისპირა სოფლებში, სადაც მაჰმადიანების ბატონობა უფრო მტკიცე იყო.

წიგნი განკუთვნილია ეკლესიისა და ერის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 1999

ქართველთა გასომხების პოლიტიკური მიზანები

პ. გეგელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და მაშტოცის სახელობის ერევნის მატენადარანის ფონდებში დაცულია საეკლესიო-დოგმატური შინაარსის ქართული ანბანით დაწერილი სომხურენოვანი კრებულები და ქართული ტრანსკრიპციით დაწერილი სომხური საეკლესიო ლიტერატურა. ი. გრიშაშვილის აზრით, XVI-XVII საუკუნეებში საქართველოში მცხოვრები „სომხებისათვის“ ლოცვები ქართული ასოებით იწერებოდა. ზ. ჭიჭინაძეს ერთი ასეთი ქართული ასოებით დაწერილი სომხურენოვანი წიგნი „ნერსეს კათალიკოსის გალობა“ ხელთ ჰქონია (გ. მაისურაძე, ქართველი და სომები ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში“, 1982, გვ. 314-316).

მკვლევართა შორის სადავოა, თუ რისთვის იწერებოდა ქართული ტრანსკრიპციით სომხურენოვანი წიგნები. სომები მეცნიერთა აზრით, ისინი განკუთვნილი იყვნენ გაქართველებული სომხებისათვის, გ. მაისურაძისა და სხვათა აზრით კი – „სომხური სარწმუნოების მქონე ქართველებისათვის“ (იქვე, გვ. 315), ე.ი. ქართველი გრიგორიანების ანუ გასომხებული ქართველებისათვის.

ამ საკითხის კვლევისას საინტერესოა დიდი აკაკის დაკვირვება, რომელიც ერთ ისტორიულ მოთხოვნაშია გადმოცემული: XVIII ს-ის დასაწყისში იმერეთის მეფე ალექსანდრეს დროს „ციხე სიმაგრეები თურქებს ეჭირათ ხელში, ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული ყველგან და ქვეყნის ბედსა და უბედობას განაგებდნენ, მეფე მათი სურვილების აღმასრულებელი, ყურმოჭრილი ყმა იყო ფაშა იზმაილი, ქუთაისის ციხეში იჯდა და იქიდან განაგებდა. თურქები ყოველთვის იმას ცდილობდნენ, რომ

იმერლებისათვის რჯული და ეროვნული ელფერი ენასთან ერთ-ად დაეკარგვინებინათ და გაემაპმადიანებინათ“ (აკაკი, „ერთობა ჩვენთვის ტახტია“, 1991, გვ. 368).

თურქებს გადაუწყვეტიათ, ქართული ასოებით დაწერათ არაბულენოვანი ქრისტიანული საღმრთო წიგნები, რომ ქართველებს ყური შეეჩიათ არაბული ენისათვის და ამიტომ ქართველებს ეკლესიებში არაბულ ენაზე ასმენინებდნენ სახარებას, მაგრამ რადგანაც არაბული დამწერლობა ქართველმა წიგნის მკითხველებმა არ იცოდნენ, ქართული ტრანსკრიპციით გადმოუციათ იგი. ეს საქმე თავის მომხრე სამღვდელოებისათვის დაუვალებიათ, აკაკი წერს: „ჩხეიძე ქუთათელმა, სხვათა შორის, ქართული საღმრთო წერილი გადაათარგმნინა არაბულად სიტყვა-სიტყვით, და ისე აკითხებდა ეკლესიებში. მაშინდელი არაბულად ნათარგმნი სახარება, ქართული ასოებით დაწერილი, დღესაც მოიპოვება აქა-იქ იმერებში“ (იქვე, 371).

მაშასადამე, აკაკის დროსაც, XIX ს-ის მეორე ნახევარში, ჯერ კიდევ მოიპოვებოდა არაბულენოვანი საეკლესიო წიგნები, რომელიც ქართული ასოებით იყვნენ დაწერილნი, მსგავსადვე იმავე დროს განეკუთვნებოდა სომხურენოვანი საეკლესიო წიგნები, დაწერილნი ქართული ასოებით. ქართული ტრანსკრიპციით შესრულებული არაბულენოვანი წიგნები იწერებოდა არა „გაქართველებული არაბებისათვის“, არამედ, პირიქით, ქართველებისათვის, რომელთა ეროვნული გადაგვარებაც უნდოდათ, ასევე ქართული ტრანსკრიპციით შესრულებული სომხურენოვანი წიგნები იწერებოდა არა „გაქართველებული სომხებისათვის“ არამედ პირიქით, იმ ქართველებისათვის, რომელთა გასომხებაც სურდათ, რომელნიც ახლად იყვნენ შესულნი სომხური ეკლესიის მრევლში.

„სომხური ლიტერატურა ქართული ტრანსკრიპციით, ეჭვი არაა, სომხური სარწმუნოების ქართველებისათვის უნდა

შედგენილიყო, რომელთა დიდმა უმრავლესობამ, ბუნებრივია, სომხური წერა-კითხვა არ იცოდა. მოსახლეობის ამავე ნაწილის სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზოგი სომხური ლოცვა ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. ერთ-ერთი ასეთი ნათარგმნი კრებულის დანიშნულების თაობაზე გიორგი გორელი გვაუწყებს: „გადმოთარგმანებული სომხის ენიდგან ქართველთა ენაზე გორელი გევრგ უღირსი ვართაპეტისაგან სარგოთ ყრმათა სომხეთის ეკლესისათა, ვისაც სომხეთის ენა არ ესმის“. ამ ცნობაში ისაა საყურადღებო, რომ გიორგი გორელს ეს საეკლესიო დოგმატური კრებული სომეს „ყრმათა სარგოთ“ კი არ უთარგმნია, არამედ „ყრმათა სომხეთის ეკლესისათა“, ე.ი. იმათვების, ვინც სომხურ ეკლესიას ეკუთვნოდა და ამავე დროს სომხური არ იცოდა. ასეთები კი, გასაგებია, უმთავრესად სომხური სარწმუნოების ქართველები, ე.ი. ქართველი მონოფიზიტები იყვნენ“ (გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 315).

როგორც აკაკი წერს, საქართველოს კუთხეთა მპყრობელი მაჲ მადიანების სურვილი იყო, ქართველები განშორებოდნენ მშობლიურ ეკლესიასა და რჯულს, ე.ი. მართლმადიდებლობას.

ოსმალები და ყიზილბაშები (ირანელები) XVI-XVIII საუკუნეებში შექმნილი განსაკუთრებული საერთაშორისო პოლიტიკური მიზეზების გამო, მიზანმიმართულად ებრძოდნენ არა ყველა ქრისტიანულ სარწმუნოებრივ მიმართულებას, არამედ მხოლოდ ქართულ ეკლესიას. მათვების მოსათმენი და ზოგჯერ მისაღებიც კი იყო სომხურ-ქრისტიანული, კათოლიკური და ბერძნული ეკლესიები, მაგრამ მოუთმენელი იყო ქართველთა მართლმადიდებლური სარწმუნოება. ამასთან დაკავშირებით, შ. ლომსაძე წერს: „ამ დროს თურქებს ისევე, როგორც სპარსელებს, მოსვენებას უკარგავდა მართლმადიდებლური რუსეთის წარმატებანი, რომელიც სულ უფრო სამხრეთით მოიწევდა და კავკასიის უღელტეხილს ებჯინებოდა.

...მართლმადიდებლური რუსეთის წარმატებანი თურქეთს ყველაზე მეტად აფიქრებდა და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა, არ დაეშვა მართლმადიდებლურ ხალხთა ურთიერთკონტაქტი, და რაც მთავარია, მათი კავშირი ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსთან“ (შ. ლომსაძე, „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“, 1979, გვ. 75).

ამის გამო თურქთა და სპარსელთა მიერ დამორჩილებულ მესხეთში, ქართლ-კახეთსა და იმერეთში მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ანუ „ქართველობას“ შეურიგებელი ომი გამოეცხადა (იქვე, გვ. 35).

ბიზანტიის დაცყრობის შემდეგ ოსმალებმა შექმნეს უზარმაზარი იმპერია, რომლის შემადგენლობაში დუნაისპირეთთან ერთად შავიზღვისპირეთიც შედიოდა, ირანის იმპერია კი კავკასიიდან ინდოეთიდან იყო განვრცობილი, საქართველო მათ ერთანეთს შორის ჰქონდათ გაყოფილი. დასავლეთი საქართველო ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთი ირანს ეკუთვნოდა.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის მკვეთრად შეიცვალა საერთაშორისო ვითარება. საქართველოს ჩრდილოეთით წარმოქმნილი ახალი მართლმადიდებლური რუსეთის სახელმწიფო ძლიერდებოდა, სწრაფი გაფართოების გამო იერთებდა იქამდე ოსმალეთისა და ირანის გავლენის სფეროში მყოფ მიწა-წყალს. რუსეთმა ოსმალეთს წართვა ყირიმი, ჩრდილო შავი ზღვისპირეთი, ჩრდილოკავკასია, დუნაისპირეთი, გამოჩნდა კასპიის ზღვისპირეთში, რითაც შეაშფოთა ირანი და ოსმალეთი. XVIII საუკუნეში ევროპაში გავრცელებული აზრით, რუსეთი აპირებდა კონსტანტინეპოლის აღებას, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდებასა და ხმელთაშუა ზღვაში გასვლას, მაშასადამე, რუსეთის სურვილი იყო ოსმალეთის სახელმწიფოს დაშლა-დანაწევრება, რასაც მიზანმიმართულად ახორციელებდა კიდეც. ასევე ირანშიც ფიქრობდნენ, რომ რუსები აპირებდნენ

კასპიის ზღვისპირეთიდან ირანის გავლით ინდოეთში შესვლას. ირანი და ოსმალეთი რუსეთისგან სასიკვდილო საფრთხეს ელოდნენ, თავიანთი იმპერიების მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულს.

ამ დროს ოსმალთა და ირანელთა პოლიტიკური მიზანი იყო, როგორმე არ დაეკარგათ კავკასია (ამიერკავკასია), რადგანაც კავკასიის დაჭერის შემდეგ რუსებს გზა ეხსნებოდათ ოსმალეთისა და ირანის ცენტრებისაკენ, რაც მათი იმპერიების დაშლას მოასწავებდა.

ირანელებსა და ოსმალებს განსაკუთრებით აფრთხობდათ ქართველების მართლმადიდებლური სარწმუნოება, რადგანაც იცოდნენ, რომ ერთმორწმუნეობის გამო მართლმადიდებლურ რუსეთს კავკასიის დაუფლებაში ხელს შეუწყობდა თანამორწმუნე ქართველობა (რაც მართლაც ასე მოხდა შემდგომ).

კავკასიაში რუსეთის ერთადერთი ბუნებრივი პოლიტიკური მოკავშირე სარწმუნოებრივი ერთიანობის გამო იყო მართლმადიდებელი ქართველი ხალხი, რომლის მისწრაფება რუსეთისაკენ XVII-XVIII საუკუნეებში ცნობილი იყო. კავკასიის სხვა ყველა ხალხი და ქვეყანა იმ დროისათვის ან მუსულმანური იყო, ანდა პოლიტიკური თავისთავადობა ჰქონდა დაკარგული. ჩრდილოკავკასიელების გამუსულმანების პროცესი დამთავრებული იყო, სომხეთსა და აზერბაიჯანში კი მუსულმანური სახანოები არსებობდნენ. ამ დროს სომხების რიცხვი ამიერკავკასიაში პროცენტულად ძალზე მცირე იყო. ამასთანავე, მათი პოლიტიკურად ნეიტრალური (არამართლმადიდებლური) სარწმუნოებრივი მიმდინარეობა (მონოფიზიტობა) საფრთხეს არ წარმოადგენდა ირანისა და ოსმალეთისათვის, მხოლოდ ქართველთა სარწმუნოებას განიხილავდნენ პოლიტიკურად საშიშ ელემენტად, ამიტომაც ირანელებმა და ოსმალებმა დაიწყეს საუკუნოვანი დიდი რელიგიური ომი ქართველთა ეროვნული

სარწმუნოების, ანუ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა ქართველების გამაპ მადიანებას, სხვა სარწმუნოებრივ თემში გადასვლას (ქართველების გასომხებას, გაკათოლიკებას), საქართველოს და-ცლას ახალგაზრდა და ჯანსაღი მოსახლეობისაგან (ე.ი. ქართველების ტყვეებად გაყიდვას, ორან-ოსმალეთში გადასახლებას).

„სომეხი კათოლიკენი ისე, როგორც სომეხ-გრიგორიანნი, თურქებსა და ორანელებსაც XV-XVIII საუკუნეებში, „მიუმხრობელი“ და „უწყინარი“ რელიგიის წარმომადგენლებად მიაჩნდათ. ამიტომ თავიანთ ქვეყანაში მათ გარკვეულ პრივილეგიებსაც ანიჭებდნენ“ (შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეები, გვ. 41). რადგანაც სომხური სარწმუნეობა მაპ მაღალი მართლმადიდებლობა – საშიშად, ამიტომაც სხვადასხვა ხერხების გამოყენებით ცდილობდნენ, ის ქართველები, რომელთა გამაპმადიანებასაც ვერ ახერხებდნენ, სომხური ეკლესიის მრევ-ლად გადაექციათ.

„თურქეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე არნახულად გაიზარდა, როგორც სომეხ ვაჭარ-მრეწველთა, ისე სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ძლიერება და ავტორიტეტი. სომეხი ხალხი, თურქეთის სულთნებს თავიანთი პოლიტიკის დასაყრდენ იარაღად მიაჩნდათ“ (იქვე, გვ. 22).

სომხური ეკლესიისადმი კეთილგანწყობა იმდენად დიდი იყო, რომ კონსტანტინეპოლის აღებისთანავე სულთან მეჰმედ II-მ (1451-81) კონსტანტინეპოლში დააარსა ახალი ქრისტიანული ცენტრი – სომხურ-გრიგორიანული საპატრიარქო, რომელიც ბერძნება საპატრიარქოს თანასწორი უფლებებით აღიჭურვა. ორივე საპატრიარქო, ბერძნული და სომხური, ნომინალურად დაუმორჩილეს სულთანის კარს. სულთან მეჰმედ II-ს კონსტანტ-

ინეპოლელი სომხები მიაჩნდა თავისი ინტერესების ერთგულ დამცველებად. საერთოდ, ქრისტიანულ რელიგიურ მიმღინარეობებში, სომებთა თავისებური სექტა, რომელსაც მოგვიანებით (1836 წ.) გრიგორიანობა შეერქვა, სომხებს განსაკუთრებულ და შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა, როგორც თურქეთში, ისე ირანში“ (იქვე, გვ. 23). კონსტანტინეპოლის სომხურ საპატრიარქოს ჰქონდა 49 ეპარქია. მას ემორჩილებოდა ოსმალეთის იმპერიის მთელი მონოფიზიტური მოსახლეობა, არა მხოლოდ სასულიერო, არამედ სამოქალაქო და სასამართლო სფეროშიც (იქვე, გვ. 24).

ასევე დიდი პატივით ეპყრობოდა სომხურ ეკლესიას ირანის ხელისუფლება, სომხებს ნება დაერთოთ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თავისუფლებისა, „შაპი პირადად ეხმარებოდა სომხებს ეკლესიების მშენებლობაში (იქვე, გვ. 37). დადიოდა მათ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ესწრებოდა ქრისტიანულ ცერემონიალებს. მისი განსაკუთრებული ბრძანებით სჯიდნენ ყველა მას, ვინც სომებს ქრისტიანს შეურაცხყოფას მიაყენებდა (ა. ანინსკი, სომხური ეკლესიის ისტორია, კიშინიოვი, 1900, გვ. 264)... ერთი მხრივ, თურქეთისა და მეორე მხრივ, სპარსეთის მესვეურთა პოლიტიკის წყალობით XVII-XVIII საუკუნეებში სომხური სავაჭრო კაპიტალი საერთაშორისო არენაზე გავიდა. მათ ვხედავთ: შავი ზღვის, ეგეოსის ზღვის, ხმელთაშუა ზღვის, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეების აუზებში და სხვა“ (იქვე, გვ. 38).

განსაკუთრებით ტრაგიკული იყო მესხეთის ქართველთა ბედი. აქ ოსმალებმა მართლმადიდებლობა (ქართული ეკლესია) აკრძალეს. ქართველები, რომელთაც არ მიიღეს მაჰმადიანობა, სომხური ეკლესიის მრევლად აქციეს. მხოლოდ მცირე ნაწილი ქართველებისა გადაიქცა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მრევლად.

„1578 წ. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს. ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება გააუქმნა, მის ადგილზე შექმნეს ჩილდირის (ახალციხის) საფაშო. მესხეთში ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადა. მტრის დარტყმები პირველ რიგში ქართულ ეკლესიის ზურგს ხვდებოდა. ოსმალებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დათრგუნვის გარეშე მათ მიერ დაწყებული საქმე შეიძლებოდა წარმატებით ვერ დაგვირგვინებულიყო. ამ დროს თურქებს ისევე, როგორც სპარსელებს, მოსვენებას უკარგავდა მართლმადიდებლური რუსეთის წარმატებანი, რომელიც სულ უფრო სამხრეთისაკენ მოიწევდა“ (შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების... გვ. 35).

სამცხე-საათაბაგოს, ანუ მესხეთის ქართული ეკლესია თურქებმა სომხურ ეკლესიას დაუქვემდებარეს. ამის გამო ქართველი ქრისტიანები მესხეთში გასომხდნენ (იმათ გარდა, რომელნიც ბერძნულ საპატრიარქოს დაუქვემდებარეს). ამის შესახებ შ. ლომსაძე წერს: კონსტანტინეპოლის გრიგორიანულ საპატრიარქოს უფლებას XV ს. მეორე ნახევრიდან დაექვემდებარა სამცხე-საათაბაგოს ქართული ეკლესია. ქართველთა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მიქცევის ტენდენციები აშკარად იგრძნობა იმიერ ტაოსა და არზრუმის სასაზღვრო პროვინციების ქართულ მოსახლეობაში. როგორც საფიქრებელია, ყარსისა და არზრუმის მართლმადიდებლური სამწყსო XVII ს-ის ბოლოს გაუქმდა და მრევლი შეერწყა თურქულ-მუსულმანურ და სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებს. აქაურ მართლმადიდებელთა (ქართველთა) გაგრიგორიანების (გასომხების) ფაქტი დადასტურებული აქვს აგრეთვე მკვლევარ იგნატი ფაფაზიანს, თავის „ეკლესიის ცხოვრებაში“, ასეთივე ვითარება შეიქმნა XVI-XVIII საუკუნეებში არტაანის თემებში, ჩილდირის ტბის მიდამოებში (იქვე, გვ. 42). ასეთივე სურათს ქართველთა გასომხებისა ადგილი

ჰქონდა ირანელთა მიერ დაპყრობილ ქართლ-კახეთში XVII-XVIII საუკუნეებში, ამის შესახებ საჯაროდ სასამართლოზე განაცხადა ქართველთა ცნობილმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზ ჩოლოფაშვილმა (ნიკიფორე ირბახმა), რომელიც შემდგომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახდა. კერძოდ, 1634 წლის ამბებთან დაკავშირებით როსტომ მეფის კარზე ნიკიფორე ირბახმა განაცხადა: „ყოველდღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნობასაც ღებულობს“ (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 127). მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართველთა გასომხების ფაქტები XVII ს-ში ყოველდღიურად მიმდინარეობდა და ქართველების გასომხება ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. ქართველები უწყვეტად გადადიოდნენ სომხური ეკლესიის მრევლში. ამიტომაც ხედავდნენ ამას „ყოველდღე საკუთარი თვალით“. ამას აღწერდნენ აგრეთვე ევროპელი მისიონერებიც. თბილისის ცნობილი გუმბთიანი ეკლესია, მის მრევლის გაგრიგორიანების გამო აღმოჩნდა სომხების ხელში. ასეთივე ბედისა აღმოჩნდა ამავე ქალაქის კიდევ სამი გუმბათიანი ქართული ეკლესია, შემდგომში, აგრეთვე, სომხების ხელში გადასულა თბილისის ოთხი უგუმბათო ეკლესია „უგუმბათო ოთხი აწ უპყრავთ სომეხთა“ (ვახუშტი ბაგრატიონი, ქ.ც. IV, 1973, გვ. 226). ისანში, აღნიშნულთა გარდა, სომხების ხელში გადასულა ერთი ქართული უგუმბათო ეკლესია (იქვე, გვ. 337).

თბილისის ციხეში (ე.ი. გალავნით შემოზღუდულ ნაწილში) – სპარსელები ცხოვრობდნენ, „ხოლო ციხის გარეთ უფროს სომეხნი (და მცირედ ქართველნი), ქცევა-ზნითა ქართულითა“ (იქვე, გვ. 338). ვახუშტის აზრით, ქვემო ქართლში „ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთა აღშენებულნი ეკლესიანი გუმბათიანი“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 308), თავდაპირველ-

ად ქართველთა ხელში ყოფილა, „გარნა აწ სხედა სომეხნი“ – წერს ვახუშტი (ე.ი. XVIII ს-ში). ამათ გარდა იქვე, ქობერის და ძელი ჭეშმარიტის ცნობილი საეპისკოპოსო ეკლესია, რომელსაც აგრეთვე „აგარაკი“ ერქვა, ვახუშტის დროს ჯერ კიდევ ქართველთა ხელში იყო (ამ „აგარაკის“ გამო ეწოდა ერთ-ერთ ეპარქიას „აგარაკ-წალკის ეპარქია“).

მაჲმადიანთა მპყრობელობის გამო ქვემო ქართლის ქართველობა, რომელიც ლეკებსა და თაორებს გადაურჩა, იძულებული გახდა მიეღო სომხური სარწმუნოება, ანუ გრიგორიანობა. ამით ისინი გადაურჩნენ ფიზიკურად განადგურებას მაჲმადიანების მიერ. ვახუშტი მათ შესახებ წერს – „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი (და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა), არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“ (იქვე, გვ. 312).

ვახუშტის დროს, „სარწმუნოებით სომეხნი“ (მაგრამ ეთნიკურად ქართველები) ცხოვრობდნენ ტაშირსა და აბოცში (იქვე, გვ. 312-313), მაგრამ ქვემო ქართლში ჯერ კიდევ მრავლად იყო ქართული ეკლესია-მონასტრები, თუმცა „ხუცის სამარ“ დარჩენილი. მალე მრავალი მათგანი გადავიდა სომეხთა ხელში. ქს კატ-ასტროფა შემდგომაც გაგრძელდა.

ამიტომაც წერდა გაოცებით ერთი ევროპელი მკვლევარი (ფრედერიკ დიბუა) – „საოცარი ისაა, რომ მარტო ქართველებს სდევნიან ოსმალები და არა სომხებს, მათ სულთნისაგან ნაშოვნი ჰქონდათ სარწმუნოების თავისუფლება“ (ბ. არველაძე, „სომხური“ თუ ქართული ეკლესიებისაქართველოში? თბილისი, 1996, გვ. 97).

თბილისი და ქვემო ქართლი მაკმაღიანთა გატოვობისას

ლუარსაბ I-ის ძე დავით XI სპარსელებმა გაამაპმადიანეს და თბილის – ქვემო ქართლის მეფედ (ხანად) დანიშნეს. „ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით დაუთხანი 1562 წელს უკვე თბილისისა და ქვემო ქართლის მეფეა, რომელსაც მისი ძმა სიმონი ჭახტიდან გადასაყენებლად ებრძვის“ (გ. უორუოლიანი, საქართველო XVII საუკუნის... 1987, გვ. 20).

ქართლი ფაქტიურად ორ პოლიტიკურ ნაწილად იყო გაყოფილი – თბილისი და ქვემო ქართლი სპარსეთის უშუალო ქვეშემრდომობის ქვეშ მყოფ ტერიტორიას წარმოადგენდა (მაჲ მადიანი ბაგრატიონის მმართველობით), ხოლო ქართლის მეორე ნაწილი თბილისის ჩრდილოეთით ლიხის მთამდე ქრისტიანულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომაც, ქვემო ქართლსა და თბილისში უკვე XVI საუკუნიდანვე მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა ისეთი პროცესები ქართველთა დენაციონალიზაციისა, როგორც იმავე ბედის ქვეშ მყოფ მაჲმადიანთა მფლობელობის ქვეშ მოქცეულ მესხეთში – კერძოდ, ქართველთა გასომხება და გათათრება.

შაჲ-აბასმა, რომელიც სომხური ეკლესიის მიმართ განსაკუთრებული მოწყვალებით იყო განწყობილი, ქართლის მმართველად დანიშნა გამაპმადიანებული ბაგრატიონი ბაგრატი, რომელსაც წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველმა ქრისტიანებმა და არ მისცეს ნება, თბილისის ჩრდილოეთითა და დასავლეთით მდებარე ქართლის ტერიტორიები ემართა, სამაგიეროდ ის ირანის ხანის ტიტულით ბატონობდა თბილისსა და ქვემო ქართლზე, „ხოლო დაჯდა ქართლსა ბაგრატ, რომელი გარდაქცეული იყო სჯულსა მაჲმადისასა და არცა იყო ღირსი მეფობისა, და ზურგად

განჯის ხანი და მისნი მდგომნი ჰყვეს და მაშინ ამან ბაგრატ ვერ დაუჭირა თავი ქართველთა და ვერც ეუფლა ქალაქს ზეთი ზემო ქართლსა და არცა ჰყვარობდნენ ქართველნი და არცა-რად ახსენებდნენ თათრობისათვის და ეძახდნენ საბარათაშვილო ბატონსა და იყოფებოდა ეგრეთ“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 402).

აქედან ჩანს, რომ ბაგრატ-ხანი მსგავსად დაუთხანისა თბილისისა და ქვემო ქართლის სპარსი მმართველია (თუმცა ეთნიკურად ქართველი). მის შესახებ კარგად წერს ვახუშტი - „ხოლო ესე ბაგრატ იყო ფრიად მაჰმადიანი და არა რაი კეთილი იყო მის თანა. სძულობდნენ ქართველნი და იყო საბარათინოს და უხმობდნენ საბარათინოს ბატონსა აღცადა ოუ ეგენ ერჩდნენ და მორჩილებდნენ. შემდგომად ბოლნისს ყოფასა შინა მოკვდა ბაგრატ 1619. ხოლო ცოლი მისი ანნა ძით სვიმონით იყოფოდნენ თფილისს და სომხითს არცა მას მორჩილებდნენ ქართველნი იმდენად“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 428).

თბილისი, სადაც ყიზილბაშთა გარნიზონიც იდგა, ასეთ ვითარებაში (მაჰმადიანთა მმართველობის დროს) ქართველთა დენაციონალიზაციის მთავარ კერას წარმოადგენდა, რასაც ხელს უწყობდა აგრეთვე XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან თბილისის ეკონომიკური აღმავლობა, „ქართლის სატახტო ქალაქი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სატრანზიტო პუნქტს, რომლის მეშვეობით წარმოებდა გაცხოველებული ვაჭრობა როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, ისე თურქეთსა და ირანის ქალაქებს შორის“ (კ. კუცია, „თბილისისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის...“, „ძიებანი...“, 1976, გვ. 258). ხოლო სავაჭრო სფერო, როგორც ცნობილია, სომეხთა და სომხური ეკლესიის ხელში იმყოფებოდა აღნიშნულ დროს, რაც კარგად გამოიყენებოდა ქართველთა სომხურ სარწმუნოებაზე გადაყვანისათვის. ამ მიზეზის გამო, ქვემო ქართლსა და თბილისში ძლიერ გაიზარდა სომხური სარწმუნოების მქონეთა რაოდენობა, მოსახლეობის

ერთი ნაწილი თანდათან სომხური ეკლესიის მრევლად იქცა სპარსელთა ნებით. მოსახლეობის სამართავად მაპმადიანმა მმართველებმა შემოიღეს ახალი სახელო – „მელიქი“. როგორც წესი, თბილისისა და სომხითის მელიქები სპარსულ-მაპმადიანური პოლიტიკური ორიენტაციისანი იყვნენ („კუალად მელიქი სომხითისა და ათაბეგ ზაქუმ ერთგულობდნენ ყეინსა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 434).

ასევე თბილისის მმართველია ბაგრატიონი გასპარსელებული სიმონ-ხანიც. თეიმურაზ-სააკაძის აჯანყების შემდეგ ყიზილბაშები კვლავინდებურად იდგნენ ქვემო ქართლსა და თბილისში „წარმოვიდა ყიზილბაშის ჯარი და მოიცვეს საბარათაშვილო და სომხითი მოითარეშეს და იყვნენ ... ხოლო ყორჩიბაშმან გაამაგრა ციხე ტფილისისა და დააგდო მუნ სვიმონ-მეფე აქეთ 1628...“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 415). ამ სვიმონ ხანის მოკვლის შემდეგ განრისხებულმა შაჰმა ქართლის ვალად გამოგზავნა გათათრებული როსტომ-ხანი, ამის შემდეგ ქართლ-კახეთს გათათრებული მმართველები მართავდნენ. ცხადია, ისინი ისეთივე ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდნენ ქართლსა და კახეთში, რომელიც მიღებული იყო საერთოდ სპარსეთის სახელმწიფოთში. სპარსეთში კი ვაჭრობა და მრეწველობა სომხური სარწმუნოების მქონე მოსახლეობის ხელში იყო.

ამიტომაც უნდა ითქვას, რომ უკვე XVI საუკუნიდანვე ქვემო ქართლი და თბილისი სპარსულ პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვემდებარების ქვეშ მყოფ ქვეყანას წარმოადგენდა და აქ სომხურ ეკლესიას ისეთივე შედავათები და უპირატესობანი ჰქონდა, როგორც საერთოდ სპარსეთში, ამის გამო მრევლი აკლდებოდა მაპმადიანთა მიერ სასტიკად დევნილ სპარსეთის ეკლესიას და ემატებოდა სომხურ ეკლესიას. რაც შეეხება თბილისის ჩრდილოეთ და დასავლეთით მდებარე ქართლს, რომელსაც ძირითადად ქრისტიანი, ანდა ქართული ეროვნული

თვითშემეცნების მქონე მაპმადიანი ბაგრატიონები მართავდნენ, შედარებით შენელებული იყო ქართველთა გათათრებისა და გასომხების პროცესი, თუმცა კი ოოსტომის დროს თურმე, როგორც ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი აღნიშნავდა, ქართველების მნიშვნელოვანი რაოდენობა ყოველდღიურად თათრდებოდა და სომხედებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა, თუკი XVII საუკუნის დასაწყისში კახეთში ყოფილა 20 საეპისკოპოსო, ქართლში 21 საეპისკოპოსო, ხოლო მესხეთში 14-მდე, თეიმურაზ II-ის ქრისტიანული წესით კურთხევისას მე-18 საუკუნის 40-იანი წლებისათვის ქართლ-კახეთში სულ რამდენიმე მოქმედი საეპისკოპოსო არსებობდა, ხოლო მესხეთში აღარცერთი.

XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისისათვის ქართლში ყოფილა სულ ექვსი საეპისკოპოსო, კახეთში ოთხი, როგორც ეს საბუთიდან ჩანს – „ხოლო მათის უწმინდესობის ხელქვეშენი მღვდელმთავარი რომელნიცა აწ არიან: ქართლსა შინა – 1. ტფილისისა მიტროპოლიტი... 2. რუსისა მიტროპოლიტი... 3. წილკნისა მიტროპოლიტი... 4. ურბნისისა მიტროპოლიტი... 5. სამთავრისისა ეპისკოპოსი... 6. ნიქოზისა ეპისკოპოსი. კახეთსა შინა – 1. ბოდბისა მიტროპოლიტი... 2. ნინოწმინდისა მიტროპოლიტი... 3. რუსთავისა არხიეპისკოპოსი... 4. ნეკრესისა მიტროპოლიტი...“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 112-113).

აქედან ჩანს, რომ ქართლის 21 საეპისკოპოსოდან გადარჩენილა ექვსიოდე, ხოლო კახეთის 20 საეპისკოპოსოდან – ოთხი.

რაც შეეხება მესხეთს – აქ, როგორც აღინიშნა, ქართული საეპისკოპოსოები სრულიად მოისპო. რენეგატობის გზაზე დამდგარი ახალციხის გამაპმადიანებული ქართველი ფაშები თვითონვე უწყობდნენ ხელს სამცხეში ქრისტიანობის დათრგუნვას და მუსულმანობის დანერგვას.

სამცხეში მაპმადიანობის გავრცელების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ქრისტიანული რელიგიის მსახურთა რიცხვი,

კრისტიანი მოსახლეობა ფაქტიურად უწინამძღვროდ დარჩა (მ. სვანიძე, „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორია-იდან“, გვ. 322-324). ვახუშტის სიტყვით, „განნა თვინიერ ადგილ-ადგილ იპოვებიან მღვდელნი და შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა წესითა და სჯულითა მათითა და აღშენდებიან მეჩეთი. არამედ დაშთენ გლეხნი და იგინიცა უმწყესელნი, ვითარცა პირუტყვინი“. დიდი ხნის განმავლობაში იცავდა გლეხობა მამა-პაპათა სარწმუნოებას, მაგრამ დარჩენილნი „უმწყესელად“ და გაუთავებელი ოსმალური გადასახადებით დაბეგრილი გლეხებითანდათან იღებდნენ უცხო რჯულს...

ქართულ პროვინციებში თუ ოსმალო დამპყრობლები მიწის
მფლობელობას ძირითადად უნარჩუნებდნენ ძირითადად გამაპ-
მადიანებულ ქართველ დიდებულებს და მათი სახით თავიანთ
დასაყრდენს ეძებდნენ იქ, სომხურ „გავარებში“, რამდენადაც მიწა-
უმეტესად ქურთი ბეგების ხელში იყო, ოსმალები
ითვალისწინებდნენ სომხური უმაღლესი სასულიერო წოდების
როლს მასების დამორჩილების საქმეში და პრივილეგირებულ
მდგომარეობაში ტოვებდნენ მას. ასევე გარკვეული შეღავათებით
სარგებლობდა უმაღლესი სასულიერო წოდება აღმოსავლეთ საქ-
ართველოშიც.

XVIII საუკუნის სომეხ კათალიკოსს – სიმეონ ერევანელს თავის „ჯამბრში“ ნათქვამი აქვს, ეჩმიაძინის კათალიკოსები, არც ძმობის წევრები ვალდებულები არ იყვნენ გადასახადი ეხადათ საერო ზელისუფლების სასარგებლოდ (ყყყყყყ ყყყყყყყყ, ყყყყყყ, 1958. ფ. ყყ. 201). დროდადრო თუ მოხდებოდა და რომელიმე დამპყრობელი მაინც შეაწერდა გადასახადს ეჩმიაძინის მონასტერს, მისი მესვეურები ყოველთვის ცდილობდნენ მოეძებნათ შესაფერისი მომენტი მის გასაუქმებლად. მაგ. კათალიკოსის მელქისეთის დროს ირანის მპყრობელს შაჰ-აბაზს (1587-1628) დაუხარკია „წმინდა ტახტი“ ყოველწლიური გადასახადით. შაჰ-სეფის მფლობელობაში კათალიკოსმა მოვსესმა შეძლო თანხმობის მიღება ამ გადასახადის გაუქმებაზე. ასევე იქცეოდნენ ცალკეული სასულიერო პირებიც. სულთან მეჰმედ IV-სათვის (1648-1687) რამდენიმე ვარდაპეტს მიუმართავს თხოვნით ხარჯისაგან განთავისუფლების თაობაზე, იმ მოტივით, რომ ღვთისმსახურნი ძველთაგანვე სარგებლობდნენ ამ უპირატესობით. სულთანს მათი თხოვნა შეუწყნარებია (იქვე, გვ. 315).

რამდენადაც ეკლესია-მონასტრები სომხეთში ოსმალეთის ბატონობის პირობებშიც გარკვეული უპირატესობით სარგებლობდნენ, მათ სათავეში ხშირად ეღვნენ ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები... XVI-XVII სს-ში ზოგიერთი მონასტერი კიდევაც ახერხებდა თავის სამფლობელოების გაფართოებას. ამდენად, სომხურმა ეკლესიამ შეინარჩუნა თავისი უფლებები და შეუვალობა, რის შედეგადაც სომეხი გლეხი, წინააღმდეგ სამცხე-საათაბაგო გლეხისა არ დარჩენილა უწინამდლვრო და „უმწყესელი“.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეჩმიაძინი შეეცადა, ხელში აეღო საეკლესიო გადასახადების შეგროვების უფლება ყველა ქრისტიანი სომეხისაგან, სადაც არ უნდა ეცხოვრა მას. ეს კი ნიშნავდა ეჩმიაძინის ზრუნვას სომეხთა შორის სარწმუნოების დაცვა-

შენარჩუნებისათვის. ყოფილა შემთხვევები, როდესაც საკათალ-იკოსოს გადაუხდია გადასახადი სახელმწიფო ხელისუფლების სასარგებლოდ იმ მორწმუნეთა მაგივრად, ვისაც ამის გაკეთება თვითონ არ შეეძლო. ევროპელი მოგზაური პ. ტურნეფორი ახსენებს რა ეჩმიაძინის საკათალიკოსოს სიმდიდრეს, აქვე დასძენს: ის ღარიბია, სხვა მნიშვნელობით და ნამდვილი ღარიბიც, რადგ-ანაც ვალდებულია გადაიხადოს სულადობრივი გადასახადი იმ მორწმუნეთა მაგივრად, რომლებსაც საშუალება არა აქვთ მისი გადახდის. ეჩმიაძინი ამ დანაკლინს, სხვათა შორის, სავარაუდოა, ივსებდა სომეხი დიდვაჭრების ხარჯზე, რომლებიც ქრისტიანობის შენარჩუნებით, მეტისმეტად იყვნენ დაწინაურებული და გამდიდრებული საგარეო ვაჭრობის სარბიელზე... ზემოთქმულ-ის საფუძველზე, ვფიქრობთ, სომხურმა ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც საგრძნობი შეღავათებით სარგებლობდა ოსმალეთის ბატონობის პირობებში, დიდი როლი შეასრულა მოსახლეობაში სარწმუნოების დაცვის საქმეში. ზრუნავდა თავისი მრევლის შენარჩუნებაზე, ის ზოგჯერ თვითონ მიდიოდა დათმობაზე ქრის-ტიანი მოსახლეობის მიმართ და ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვ-ამდა თავის სიმტკიცეს სარწმუნოებისათვის ბრძოლაში.

სრულიად განსხვავებული იყო ვითარება ამ მხრივ სამცხე-საათაბაგოში. დიდი ხნიდან მოწყვეტილი საქართველოს დანარჩ-ენი მხარეებისაგან, ოსმალეთის პილიტიკის წყალობით, აქ ინტ-ენსიურად ხდებოდა ფეოდალური ზედა ფენების გამაპმადიანება, რაც გარკვეული პრივილეგიების მოპოვებასთან იყო დაკავშირებული. მცირდებოდა ეკლესია-მონასტრების რიცხვი და ვინც დარჩა „ქრისტიანული, იგინიცა, უმწყესელნი არიან ვინა-იდან არღარა რას მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა და ბერძენთა არა სცალის მათთვის. ამისათვის უეპისკოპოსონი და უხუცონი არიან“ (ვახუშტი, ქ.ც., IV, გვ. 660) საარსებო პირობებისა უუფლებო მდგომარეობის სიმბიმე აიძულებდა მათ

თანდათან გადასულიყვნენ უცხო რჯულზე და ამით მოეპოვებინათ ზოგიერთი შეღავათი არსებობის შესანარჩუნებლად“ (ლ. დავლიანიძე, „ჰაკობის კანეცის ერთი ცნობის გამო“ ძიებანი საქ-ართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 250-254).

არამარტო მესხეთში, არამედ ყველაგან საქართველოში, სადაც კი ფეხი მოიკიდეს მაპმადიანმა მმართველებმა, აქტიურად მიმდინარეობდა ქართველთა დენაციონალიზაციის პროცესი. ქართველებს მაპმადიანური სახელმწიფოები არა მარტო ასახლებდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან, ყიდიდნენ და ყიდულობდნენ ტყვეებად, არამედ ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ქართველების სხვა ერებში გათქვეფა-ასიმილაციას, რაც იმ დროს მხოლოდ ერთი ხერხით მიიღწეოდა – სარწმუნოებრივი გადაგვარებით, ქართული ეროვნული ეკლესიისათვის საფუძვლის გამოცლით.

„ქართველთა განთესვა“ – ემიგრაცია. ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ტრაგიკული მოვლენები „ქართველთა ნათესავის განთესვის ფაქტებზეც მიგვითოთებენ. ნ. ბერძენიშვილი გულნაკლული შენიშნავს, რომ შეუსწავლელი და შეუფასებელია ამ შავბნელ ხანაში მიმდინარე ეთნიკური პროცესები (ქართველთა „გათათრება“, „გალეკება“. „დაკარგვა“ (ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა (დღიური 1947, საქ. ისტ. საკითხები I, 1964, გვ. 243; აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI-XVIII საუკუნეებში, საქ. ისტ. საკითხები, VI, 1973, გვ. 317; ა. კაცაძე, „საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის საკითხები აკად. ნ. ბერძენიშვილის შრომებში“ (იქვე, გვ. 49).

ქართლსა და კახეთში ქართული ეროვნული (ქრისტიანული) სახელმწიფოებრიობის არსებობამდე ასე თუ ისე ქართველთა დენაციონალიზაციის პროცესს სახელმწიფო აკავებდა, იმით, რომ ქართულ ეკლესიას უწევდა ყოველმხრივ მხარდაჭერასა და მზრუნველობას, მაგრამ იმის შემდეგ, რაც XVII ს. 30-იანი

წლებიდან ქართლ-კახეთის მაპმადიანი მმართველები მოევლინ-ენ ქართველობას“, საფუძველი გამოეცალა. ქართლსა და კახეთშიც ინტენსიურად გაგრძელდა ქართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ დარჩენილ ქართველთა (შაქსა, ყარაბაღისა, ლორე-ტაშირსა, ბამბაკსა, ქვემო ქართლსა და საქართველოს მთიანეთში) მიმდინარე პროცესი ქართველთა დენაციონალიზაციისა – ქართული ეკლესის სამწყსოდან გასული მრევლი ქართული ქრისტიანობის დაკარგვასთან ერთად ეროვნებასაც კარგავდა.

როგორც აღინიშნა, თბილისა და ქვემო ქართლში მაპმადიანთა ბატონობის დროს ქართული მოსახლეობა ძირითადად სომხურ ეკლესიას ეკედლებოდა, რაც გამოწვეული იყო სოციალ-ეკონომიკური მიზეზებით. სომხურ ეკლესიას შეეძლო ტყვეთა დახსნა და სამშობლოში დაბრუნებაც და ზოგიერთი მაპმადიანი მბრძანებელი კრძალავდა სომხური მოსახლეობის შევიწროებასაც კი. ასე დაუხსნია ქართლის ტყვეთაგან 300 ოჯახი ნადირშაპის შემოსევისას სომხურ ეკლესიას „იმის გამო, რომ ქართველთა შორის ასეთი სახსრები ძნელად საშოვარი იყო, ჩანს ქვეყანას დიდაღი ხალხი ეკარგებოდა. ეს ვითარება სომხურ სარწმუნოებას საქართველოში პოპულარულსა და მიმზიდველს ხდიდა“ (შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 40).

იმ პრივილეგიების გამო, რომელნიც მიანიჭეს სპარსეთსა და ოსმალეთში სომხურ ეკლესიას, სომხური მოსახლეობის ვაჭრობასა და აღებ-მიცემაში ჩაბმამ მათში დიდაღი ფულადი სახსრების თავმოყრას შეუწყო ხელი.

ეჩმიაძინი დიდაღი კაპიტალის მქონე საფეოდალო იყო. ირანისა და თურქეთისათვის, ომისა და სხვა საჭიროების შემთხვევაში, იგი სხვა სომებ დიდვაჭრებთან ერთად ითვლებოდა ფულადი სახსრების მიმწოდებელ ერთ-ერთ ცენტრად. ფულის გარკვეულ ნაწილს ეჩმიაძინი ხარჯავდა დატყვევებულ სომებთა

გამოსახსნელად, როგორც სომხეთში, ისე საქართველოში“ (იქვე, გვ. 40). სპარსეთში (მათ შორის ჯერ თბილისა და ქვემო ქართლში, შემდეგ კი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში) როგორც ითქვა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა სომეხთა ხელში იყო, ასევე იყო თურქეთშიც – „თურქეთის ტერიტორიაზე მხოლოდ სომეხ ვაჭრებს დაუტოვეს უფლება ევროპასთან სააღებმიცემო ურთიერთობისა. ადრე უკვე შევნიშნეთ, რომ სომეხ ვაჭართა პრივილეგირების საფუძველი ქრისტიანული რელიგიის განსხვავებულ სექტაში მდგომარეობდა. თვით ევროპელი ვაჭრებიც კი, რომელთაც ოტომანების იმპერიაში თავიანთი ინტერესები ჰქონდათ, ჩუმად – სომეხთა სახელით და ტანსა-ცმლით შემოდიოდნენ და ისე საქმიანობდნენ“ (იქვე, გვ. 43).

XVII ს-ის 40-იანი წლებიდან ეკონომიკურმა აღმავლობამ ქართლის მაპმადიან მმართველთა მფლობელობაში გადასვლას-თან ერთად გაზარდა თბილისში სომხური ეკლესიისა და ვაჭარ-მეწარმეთა გავლენა. „XVII საუკუნის 40-იან წლებში ქართლის სამეფოს საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაწინაურებასთან ერთად იწყება აღმ. საქართველოს უდიდესი საქალაქო ცენტრის – თბილისის აღმავლობაც. „ამის აღმავლობას აპირობებდნენ ერთი მხრივ, ირანთან დამოკიდებულობის შედარებით ხელსაყრელი პოლიტიკური ფორმა, ხოლო მეორე მხრივ ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი, რომელმაც ბოლო მოუღო დაუსრულებელ ომებს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და თითქმის 90 წლის განმავლობაში „უზრუნველყო მშვიდობიანი ცხოვრება მახლობელ აღმოსავლეთში“ (ვ. გაბაშვილი, XVI-XVIII სს. ქალაქები, ნარკვევები მახლ. აღმ. ქალაქ. ისტ. I, 1966, გვ. 183). აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, აღებული ხანის თბილისი... აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი გახდა... ეს ქალაქი მარტო ფეოდალური ქვეყნის მმართველის სადგომი კი არ იყო, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკუ-

რი ცენტრიც (ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI-XVIII საუკუნეში, საქ. ისტ. საკითხები, IV, გვ. 227). ქართლის სატახტო ქალაქი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სატრანზიტო პუნქტს, რომლის მეშვეობით წარმოებდა გაცხოველებული ვაჭრობა როგორც აღმ. კავკასიის, ისე თურქეთისა და ირანის ქალაქებს შორის“ (კ. კუცია, „თბილისისა და აღმ. ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა, ძიებანი... 1976, გვ. 258).

ხელსაყრელი პირობების დადგომის შემდეგ სომხური ეკლესია ადვილად ზრდიდა თავისი მრევლსა და სამწყსოს. ქართველები ირანშიც მას ეკედლებოდნენ.

„XVII-XVIII საუკუნეებში ირანსა და საქართველოს შორის გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა... ირანელი და ქართველი ვაჭრების ქარავნები მიდიმოდიოდნენ ირანსა და საქართველოს შორის, ამავე დროს, ქართველი ვაჭრები, როგორც ჩანს, ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ირანის ქალაქებში და ეწეოდნენ აღებმიცემობას, ამის თაობაზე ცნობები დაცულია ევროპელი მოგზაურების თხზულებებსა და ქართულ დოკუმენტურ წყაროებში... ადამ ოლეარიუსის და იან სტრეისის თხზულებებში დაცულია ცნობა, რომ ისპაპანის გარეუბან ჰასანაბადში ცხოვრობდნენ ქართველი ქრისტიანები, რომელთა შორის შესანიშნავი ვაჭრებიც იყვნენ, ისევე როგორც სომხებს შორისაც (გ. უორდანია, უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII საუკუნეში, „მნათობი“, 1962, №8, გვ. 174, 175)... ქართველი ვაჭრები ირანის ქალაქებში საკმაოდ ფეხმოკიდებულნი ყოფილან და იქ მუდმივად ცხოვრობდნენ“. ბუნებრივია, რომ მათ კავშირურთიერთობა ჰქონდათ ევროპელ და აზიელ ვაჭრებთან. ამის თაობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის „ქულამშვიდობის დავთარი“... როგორც ჩანს, ქართველი ვაჭრები არა მარტო მიდი-მოდიოდნენ ირანსა და საქართველოს შორის, არამედ წლობით (და

ათეული წლობითაც) ფეხმოკიდებულნი იყვნენ ირანის ქალაქებში და მისდევდნენ ვაჭრობას.

ჩვენი აზრით, ამ გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ ისპაპანის ერთ-ერთ უბანში ჩვენამდე მოაღწია ქართულ და ქართულ-სომხურ წარწერებიანმა საფლავის ქვებმა. ამ წარწერებს ირანში სამეცნიერო მივლინებით დროს მიაკვლია მაგალითოდუამ. საფლავები შემორჩენილია ისპაპანის ჯულფაში ნერსესის, მინასის და სარქისის სომხურ ეკლესიათა ეზოებში (ეკლესიები მდებარეობდნენ ქვისმთლელთა, თავრიზისა და ერევნის ქუჩებში), (იხ. მაგალითოდუა, ქართული ნეკროპოლი ირანში, ქართულ-სპარსული ეტიუდები, 1971, გვ. 196). საფლავთა უმეტესობას წარწერები ორ ენაზე – ქართულად და სომხურად აქვს გაკეთებული. აქ გვხვდება გორელი თაყაიშვილი ზაალბეკის, სააკაშვილი გიორგის, მიჯანაშვილი ათაბეგას, ამირბაბიანთ ელიზბარის შვილის ბალთასარას, მირიანთ რამაზის შვილის ზურაბბეკის, მირიანთ რამაზის შვილის გივიბეკის საფლავები (ქართულ-სომხური წარწერებით) და სხვა... ისპაპანის ჯულფაში, სომხური ეკლესიების ეზოებში ერთი გვარის რამდენიმე კაცია დასაფლავებული და თანაც სხვადასხვა დროს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საფლავები ადგილობრივი მცხოვრებლებისაა. თაყინაშვილი მამიჯანა გვხვდება 1679 წლის საბუთებში (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, XVI-XIX ს. წიგნი I, 1962, გვ. 34) (საბუთი თბილისური წარმოშობისაა), თაყაიშვილი დავითა 1745 წლით დათარიღებულ (მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, 1955, გვ. 52), ხოლო თაყაიშვილი გიორგი XVIII საუკუნის შუა ხანების საბუთებში იხსენიებიან (იქვე, გვ. 544)...“ (დ. კაციტაძე, „ქართველი ვაჭრები ირანში“, ძიებანი... გვ. 263-269).

სინამდვილეში ვინ იყვნენ ეს ქართული გვარის მატარებლები, რომლებიც სომხურ ეკლესიათა ეზოებში დაიკრძალნენ,

ქართველები თუ სომხები? დ. კაციტაძე, მ. ჭიკაძე და სხვა მეცნიერები მათ უწოდებენ „სომხური წარმოშობის ქართველ ვაჭრებს“ (იქვე), მაგრამ სინამდვილეში ეს პირიქით უნდა ყოფილიყო, ისინი იყვნენ სომხური სარწმუნოების მქონე ეროვნებით ქართველი პირები, სწორედ ამიტომ დაიკრძალნენ ისინი სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიაში, თავიანთი სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შესაბამისად. ყოველგვარ საბუთსა თუ დოკუმენტში ისინი ფიგურირებენ როგორც სომეხი ვაჭრები, თუმცა კი მათი გვარ-სახელები ქართული იყო, ქართული ფორმითვე გაღმოსცემდნენ მათ გვარ-სახელებს იტალიურად და ლათინურად, უცხოელებიც მათ ქართველებს უწოდებდნენ. საერთოდ, იმდენად დიდი იყო გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასულ ქართველთა რიცხვი XVII-XVIII საუკუნეებში, რომ თავისი ახალი სამწესოსათვის სომხური ეკლესია ლოცვებსა და საეკლესიო წიგნებს ქართული ასოებით აწერინებდა სომხურ ენაზე. ახლად გაგრიგორიანელებულმა ქართველებმა არ იცოდნენ, ან სუსტად იცოდნენ სომხური ენა, მათ არათუ შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ენის ცოდნა, ამ ენის გარდა სხვა არც იცოდნენ. შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული გვარები, ადათ-წესები და ჩვეულებები. მათ რიცხვს შეუერთდნენ თანდათანობით ქართველი ვაჭრებიც ამ საუკუნეებში, იმდენად რომ XIX ს. დასაწყისისათვის ყველა ქართველი ვაჭარი უკვე სომხად ითვლებოდა.

„... საქართველოს ქალაქებში მცხოვრები სომეხი ვაჭარ-ხელოსნები მჭიდროდ და ორგანულად იყვნენ დაკავშირებული ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან. „სომხური წარმოშობის თბილისელი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის დამახასიათებელი იყო ქართული წეს-ჩვეულებები, გაერთიანებული იყვნენ აქაურ ვაჭართა ამხანაგობებში და ხელოსანთა „ასნაფებში“, ხოლო „მოქალაქენი“ (როგორც ქალაქის ზედა ფენის

წარმომადგენლები) ასრულებდნენ საქალაქო თანამდებობებს (ქალაქის მელიქი, მელიქ-მამასახლისი, გუშრიბი, ქეთხუდები და სხვა) (ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თსუ შრომები, 116, 1965, გვ. 335-336, იქვე, გვ. 267).

ვ. გაბაშვილს, რომელმაც გაბაონის ხელმოწერით დაბეჭდილ დიდებულ რომანში „აივნიანი ქალაქი“ სწორედ ქართველთა გასომხების სურათი დახატა, კარგად მოეხსენება, რომ სომეხთა გაქართველებისათვის არავითარი პირობები არ არსებობდა XVII-XVIII სს. საქართველოში, ამიტომაც კარგად მოეხსენებოდა თბილისელი ვაჭრების, ხელოსნებისა და მოქალაქეთა ნაწილი იყო არა სომხური წარმოშობის პირები, არამედ გრიგორიანული ეკლესიის მრევლად ქცეული ქართველობა. მოქალაქეთა სომხურ ნაწილს არ შეეძლო გაქართველება და არ გაქართველებულა, ისინი არა „სომხური წარმოშობისანი“, არა-ამედ სომხები იყვნენ. ხოლო მეცნიერთათვის საეჭვო „სომხური წარმოშობის მქონე“ ქართული წეს-ჩვეულებებისა და გვარების მატარებელი პირები – ყოფილი ქართველები – ანუ „ქართული წარმოშობის სომხები“ არიან.

„XVII-XVIII დოკუმენტებში ყველგან, როგორც წესი, სომხური წარმოშობის ქალაქის მოხელეების, ვაჭრების, ხელოსნების და მათი სახლის კაცების ვინაობა გვარის აღმნიშვნელი ქართული ფორმითაა დასახელებული (იქვე). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ფორმითაა გადმოცემული გორელი და თბილისელი სომეხი ვაჭრებისა და მოქალაქეების გვარები ლათინურად და იტალიურად. იშვიათი არ იყო მათში წმინდა ქართული სახელებიც“ (იქვე). თბილისელი და გორელი ვაჭრები ისპაპანშიც კი ქართულ ყაიდაზე დაბოლოებული გვარებით ცხოვრობდნენ... საფლავებს ისპაპანის ჯულფაში სომხური ეკლესიების ეზოებში წარწერები ქართულ-სომხურად და

ზოგიერთს მხოლოდ ქართულად აქვს გაკეთებული... აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ-სომხური ეპიტაფიების ძირითადი ნაწილი ქართულია... ისპაპანის ჯულფაში ცხოვრობდნენ და აღებმიცემობას ეწეოდნენ თბილისელი და გორელი ვაჭრები, ისინი წარმოშობით სომხები იყვნენ, მაგრამ იწოდებოდნენ ქართველებად“ (იქვე), რაც არასწორია, პირიქით, ისინი წარმოშობით, ეთნიკური წარმომავლობით ქართველები იყვნენ, რასაც მათი გვარები და ეპიტაფის ენაც ამტკიცებს, მაგრამ სომხებად იწოდებოდნენ მათი გრიგორიანული სარწმუნოების გამო, რაც მათი სომხურ ეკლესიაში დაკრძალვით დასტურდება. „ეკროპელი მოგზაურები და ირანის საზოგადოებრიობა მათ ასხვავებდა ისპაპანის ჯულფაში მცხოვრები სომხებისაგან (ისპაპანის ჯულფის სომხურ სასაფლაოებზე, როგორც ჩანს, ეთნიკურად ქართველებსაც (ქრისტიანებს) ასაფლავებდნენ (ქართველ ქრისტიანებს სხვა გამოსაგალი არ ჰქონდათ, ისპაპანში ქართული ეკლესიები არ იყო“ (დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 263-269).

მართალია, ისპაპანში არ იყო ქართული ეკლესიები, მაგრამ ქართველებს (მართლმადიდებლებს) განა ნებას დართავდნენ, გრიგორიანულ ეკლესიაში დაეკრძალათ მიცვალებული? სომხურ ეკლესიაში სომხური სარწმუნოების მქონე პირები იკრძალებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომელი ეთნიკური წარმოშობის იყვნენ ისინი, ქურთები თუ ქართველები. ამიტომაც, სომხურ ეკლესიებში დაკრძალული ქართველი პირები სარწმუნოებით გრიგორიანები ანუ სომხები იყვნენ.

როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, შეუსწავლელი და შეუფასებელია XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე ეთნიკური პროცესები - ქართველთა „გათათრება“, „გალეგება“, „გასომხება“, „გაბერძნება“, „გაოსება“, „დაკარგვა“.

მაპმადიანურმა იმპერიებმა თავის მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს იმით, რომ ქართველების ეთნიკურ თვითშემეცნებას

საფუძველი გამოაცალეს. ქართველობა და ეროვნული ეკლესია შეუსისხლხორცდა ერთმანეთს, ქართული ეკლესის ავტორიტეტის თუ ეკონომიკური საფუძვლის შერყევა ქართველობის დენა-ციონალიზაციას იწვევდა.

ქართველების არაენოზაცია

თურქებმა კონსტანტინეპოლის „ახლადშექმნილ სომეხთა საპატრიარქოს დაუმორჩილეს: სომხები, სირიელები, ქალღეველები, კოპტები, ქართველები (იგულისხმება ამ დროს თურქების მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობილი პროვინციების ქართველები, ყარს-არზრუმისა და ნაწილობრივ იმიერი ტაოს მიმდებარე მიდამოების ქართული მოსახლეობა), აბისინიელები“ (გ. ორმანიანი, სომხური ეკლესია, 1913, გვ. 74; შ. ლომსაძე, „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“, 1979, გვ. 27). სომხური საპატრიარქოსადმი დამორჩილებული ქართველები სომხდებოდნენ, არა მარტო იმიტომ, რომ მათ ეკლესიებში ინერგებოდა სომხური ენა და ისინი გრიგორიანდებოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათი სამოქალაქო-სასამართალო საქმეებსაც კი წყვეტდა კონსტანტინეპოლის სომეხთა საპატრიარქო“ (იქვე, გვ. 24).

კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ თურქებმა გააუქმეს ბერძნული პოლიტიკური ხელისუფლება. „ამიერიდან რჩებოდა მხოლოდ ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, რომელიც ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა. მოსალოდნელი ექსცესების თავიდან ასაცდენად, როგორც ოსმალები ფიქრობდნენ, საჭირო იყო

გამონახულიყო მესამე ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, ბზარს შეიტანდა მართადმადიდებელთა უფლებებში და მის რეალურ კონკურენტად გადაიქცეოდა. სულთანის მთავრობამ ასეთ მესამე ძალად მიიჩნია ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სომხები და სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, რომელიც ეკონომიურად მაშინ საკმაოდ მოღონიერებული ჩანდა... სულთან მეპმედ II-ს კონსტანტინეპოლელი სომხები მიაჩნდა თავისი ინტერესების ერთგულ დამცველად. საერთოდ, ქრისტიანულ რელიგიურ მიმდინარეობაში სომებთა თავისთავადი სექტა, რომელსაც მოვიანებით (1836 წ.) გრიგორიანობა შეერქვა, სომხებს განსაკუთრებულ და შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა როგორც თურქეთში, ისე ირანში. ასე შეიქმნა მეორე სომხური საპატრიარქო კონსტანტინეპოლელი. ამრიგად, სომები ხალხი სომხური სახელმწიფოს არარსებობის პირობებში უცბად ორი საპატრიარქოს (ეჩმიაძინი-კონსტანტინეპოლის) და ორი საკათალიკოსოს (სისის და ახტამარის) პატრიონი გახდა“ (შ. ლომსაძე, „გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“, 1979, გვ. 22-24).

საქართველო გაყოფილი იყო თურქეთსა და ირანს შორის. თუ საქართველოს თურქულ ნაწილში ქართველების გასომხებას თურქები უწყობდნენ ხელს, ირანულ ნაწილში (ქართლსა და კახეთში) ქართველების გასომხება სპარსელების ნებით ხდებოდა.

იმ დროს საქართველოს კათალიკოსი ევდემოზ დიასამიძე სპარსმა ხელისუფალმა კლდიდან გადააგდებინა, ხოლო კათალიკოსი დომენტი სტამბოლის ციხეში იყო გამოკეტილი, ირანის დედაქალაქში სპარსეთის შაჰების ხელშეწყობით აგებდნენ სომხურ ეკლესიებს ბრწყინვალე არქიტექტურული გადაწყვეტით, მოოქრული ჭერითა და გუმბათებით, დაზვეწილი

გემოვნებით შესრულებული მხატვრობით (1605-1663 წწ.)², ამავე დროს კი თბილისის სიონი კინაღაშ მაჰმადიანურ მეჩეთად გადაკეთეს.

„უფრო მეტიც, სპარსეთში გასახლებულ სომხებს შაპი ნებას რთავდა და პირადადაც ეხმარებოდა ეკლესიების მშენებლობაში, დადიოდა მათს ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ესწრებოდა ქრისტიანულ ცერემონიალებს, მისი განსაკუთრებული ბრძანებით სჯიდნენ ყველას, ვინც სომეხ ქრისტიანს შეურაცხვოფას მიაყენებდა... აბრამ ერევანცი სულთან აჰმად III-ს სომეხთა კეთილდღეობაზე მზრუნველსა და „სომეხი ხალხის მეურვეს“ ეძახის, უფრო მეტიც, ნადირ-შაპის მიერ სომხებისადმი გამოცემული რაყამებიდან მეოთხე რაყამში ვკითხულობთ – „თუ რომელიმე სომეხი ქრისტიანი მიიღებს მაჰმადიანურ სარწმუნოებას, მაშინ მას ჩამოერთმეოდა მთელი მისი მემკვიდრეობა“³. ამავე დროს ქართველებს იძულებით ამაჰ მადიანებდნენ, მაშასადამე, თუ ქართველს ქრისტიანად დარჩენა უნდოდა, ის უნდა გასომხებულიყო, რადგანაც სომხის გამაჰ მადიანებას კანონი კრძალავდა.

ამ ეპოქაში ქართლ-კახეთი ძირითადად სპარსელების ხელში იყო და სპარსეთის სახელმწიფოში შედიოდა, ამიტომაც საქართველოში, ისევე როგორც მთელ სპარსეთში, სომხები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ, ხოლო ქართული ეკლესიის მრევლი დევნილი.

იმის შემდეგ, რაც „...ირანის შაპმა ეჩმიაძინს, როგორც სომეხთა სარწმუნოებრივ ცენტრს, მოწყვალე თვალით შეხედა“⁴, სომეხთა სარწმუნოებრივი ცენტრი განუზომლად გამდიდრდა, გაფართოვდა და თავისი გავლენა გაავრცელა მეზობელ ქვეყნებზე.

ეჩმიაძინს მნიშვნელოვანი მამულები ჰქონდა თავრიზსა და თბილისში, მამულებთან ერთად ისინი ყიდულობდნენ აგრეთვე ყმა-გლეხებს, რომლებიც ამუშავებდნენ ნაყიდ მიწებს. მაგ., 1715

წ. კათალიკოს ასტვაცატურ ამაღნელმა თბილისში იყიდა ყმებად ხახუჭაშვილების რამდენიმე ოჯახი, რის შემდეგ ისინი ეჩმიაძინის ნასყიდ ყმებად ითვლებოდნენ“⁵.

ცნობილია, რომ ის ქართველი ყმა-გლეხები, რომელთაც ეჩმიაძინი და, საერთოდ, სომხური ეკლესია ყიდულობდა, იღებდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას და სომხდებოდნენ.

ქართველი გლეხების გასომხების ფაქტი აღწერილი აქვს მისიონერ ამბროზის. მას შეუმჩნევია, რომ სომხდებოდნენ არა მარტო სომხური ეკლესის მიერ ნაყიდი ქართველი გლეხები, არა ამედ სომხდებოდა იმ ქართული სოფლების მოსახლეობა, რომლებსაც იძენდნენ მდიდარი სომხები. 1640 წელს ის რომში გზავნის წერილს. ქართველებიო, – წერს, – „რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წეზედ...“, მდიდარი სომხები კი, რომელთაც შეეძლოთ საქართველოში სოფლების, მამულებისა და ყმების შეძენა, მრავლად იყვნენ როგორც სპარსეთში, ისე თურქეთში (თურქეთში შედიოდა ქართლ-კახეთი, თურქეთში – მესხეთი).

სპარსეთის სომხებმა „შექმნეს ჯულფის სავაჭრო კომპანია, კავშირი დაამყარეს იტალიის, საფრანგეთის, პრუსიის სამრეწველოებთან, შექმნეს თავიანთი კანტორები ინდოეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში, იავასა და ფილიპინის კუნძულებზე და სხვ... თურქეთისა და მეორე მხრივ, სპარსეთის მესვეურთა პოლიტიკის წყალობით XVII-XVIII საუკუნეებში სომხური სავაჭრო კაპიტალი საერთაშორისო არენაზე გავიდა. მათ ვხედავთ შავი ზღვის, ეგეოსის ზღვის, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეების აუზებში და სხვა“⁶.

სწორედ ამ დროს, როცა სომხებს თავიანთი სიბრძნისა და გონიერების მეოხებით საშუალება ჰქონდათ სიმდიდრე მოეპოვებინათ ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების სანაპირო

ქვეყნებშიც კი, ქართველობას ატყვევებდნენ და სამშობლოდან ასახლებდნენ, დევნიდნენ და ამაპმაღიანებდნენ.

შაპ-აბასმა კახეთის ქართველობა (ჩანს, 300 000 სული) დაატყვევა, სპარსეთში გადაასახლა და იძულებით გაამაპმადიანა, ამავე დროს კი შაპ-აბასის მეთვალყურეობით შენდებოდა ისპაპან-ჯულფას ბრწყინვალე სომხური ეკლესიები.

სპარსელები ქართლის აკლების დროსაც უამრავ ქართველს ატყვევებდნენ და სპარსეთში მიერეკებოდნენ. სწორედ ასეთ დროს სომხური ეკლესია ეხმარებოდა და ტყვეობიდან იხსნიდა გრიგორიანული სარწმუნოების მქონე მოსახლეობას.

დატყვევებისა და გადასახლების დროს ირღვეოდა ქართული ოჯახები, მამა ირანის ერთ კუთხეში იყიდებოდა, შვილები კი – სხვაგან, თავისუფლება და ყოველგვარი ადამიანური ღირსება ისპობოდა. ამ საშინელი გასაჭირიდან თავის დახსნა შეიძლებოდა გრიგორიანული სარწმუნოების მიღებით, რადგანაც ირანში არსებული კანონებით, როგორც აღნიშნული იყო, გრიგორიანული სარწმუნოების მქონე მოსახლეობა დევნას არ განიცდიდა.

.....1741 წ. აგვისტოში, როცა ყიზილბაშებმა ქართლი აიკლეს, მერე გაუსიეს მარბიელი ავლანისა და საცა რამ დარჩენილიყო, დაატყვევეს... გამარჯვებულმა სპარსელებმა, როცა ქართლის ტყვები დააგროვეს და ირანში გასარეკად გაამზადეს, ამ დროს ნაღირ-შაჰის წინაშე გამოცხადდნენ სომხური ეკლესიის წარმომადგენლები, მიართვეს მას 300 თუმანი ფული, 300 ფუთი ხორბალი და იხსნეს შორეულ ირანში გასარეკად გამზადებული 300 სომხური ოჯახი. იმის გამო, რომ ქართველთა შორის ასეთი სახსრები მნელად საშოვარი იყო, ჩვენს ქვეყანას დიდძალი ხალხი ეკარგებოდა. ეს ვითარება სომხურ სარწმუნოებას საქართველოში პოპულარულსა და მიმზიდველს ხდიდა⁷.

ქართველთა გასომხებას მასობრივი ხასიათი მიუღია და ყოველდღიურად თურმე იმდროინდელი დამკვირვებელი საკუთარი

თვალით ხედავდა, თუ როგორ სომხდებოდნენ ქართველები. ეს იქიდან ჩანს, რომ ამ ფაქტს ადასტურებს ისეთი გამოჩენილი მოღვაწე – მოგზაური, როგორიც იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი).

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სასულიერო პირი იყო. მას ელჩადაც აგზავნიდნენ ევროპაში, მიიღო ესპანეთის მეფემ, რომში ქართული წიგნის გამოცემისათვის იზრუნა, პატივს სცემდა რომის პაპი. ის არა მარტო კახეთსა და ქართლში, არამედ სამეგრელოშიც მოღვაწეობდა, ამიტომაც სიტყვა იმ კაცისა, რომელიც კარგად იცნობდა არა მარტო საქართველოს ყოველი კუთხის, არამედ იმდროინდელი მსოფლიოს ცხოვრებას, ჭეშმარიტი იყო და მხოლოდ სიმართლეს შეიცავდა. მან ერთ კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა როსტომ მეფე, საქართველოს კათალიკოსი და ეპისკოპოსები, განაცხადა: „ყოველდღე ჩვენი თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებასაც დებულობს“⁸. როსტომ მეფე, კათალიკოსი და ეპისკოპოსები მას დაეთანხმნენ.

სპარსთა და თურქეთის მიერ დაპყრობილ საქართველოს კუთხეებში ქართველები განსაკუთრებით სომხდებოდნენ (ანუ გრიგორიანულ სარწმუნოებას იღებდნენ) ქალაქებსა და გზისპირა სავაჭრო სოფლებში. ადამიანის გასომხება იმით გამოიხატებოდა, რომ ის აღიარებდა თავის თავის სომხური ეკლესიის წევრად.

ამ დროს მას ჩვეულებრივ რჩებოდა თავისი ქართული ენა, ქართული ადათ-წესები და ჩვევები, მის ცხოვრებაში თითქმის არაფერი იცვლებოდა გარდა იმისა, რომ მაჰმადიანებისაგან ახლა უკვე დაცული იყო სომხური ეკლესიის მიერ.

ევროპელი მისიონერები, როგორც წესი, ყოველთვის აღწერდნენ, რომ იმდროინდელ ქართლში ბატონობდნენ სომხები. ამას

აღნიშნავენ არა მარტო ევროპელები, არამედ ქართველებიც. მაგალითად, საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ VII 1742 წელს თავის წერილში რომის პაპს, ბენედიქტე XIV-ს, სწორედ ამას შესჩივის – „ჩემი დიდიხნის წადილის შესრულება სომხებმა არ დამაცალეს, რადგან ახლა ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთ ნებისამებრ ბატონობდნენ“.

თურქეთმა სამხრეთ საქართველოში ერთიმეორის მიყოლებით გააუქმეს ქართული საეპისკოპოსოები. 1763-1764 წლებისათვის ამ მხარეში დარჩენილი იყო ერთადერთი ქართველი ეპისკოპოსი გიორგი. თურქთა იძულებით „1764 წ. დასაწყისში ამ მხარეს ქართველი ეპისკოპოსი ვინმე გიორგი იძულებული გამხდარა დაეტოვებინა მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ოსმალეთი ხედავდა რუსეთ-საქართველოს კავშირს და არავითარ შემთხვევაში არ მიიჩნევდა ახალციხის ფაშის ტერიტორიაზე მის რამენაირ შეწყნარებას. ამიტომაც იყო, რომ ქართველმა ეპისკოპოსმა გიორგიმ მართლმადიდებლობის ნაცვლად მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რაც საქმარისი საბაბი გახდა იმისათვის, რომ რომ თურქ მოხელეებს შეეწყვიტათ საეპისკოპოსო დევნა“⁹.

მაგრამ ამით არ დამთავრდა. როგორც კი ქართველმა მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ კათოლიკობა მიიღო, მაშინვე მისი დევნა დაიწყეს სომხებმა. ფაშას მოსთხოვეს მისი დაპატიმრება იმ მოტივით, რომ ქართველი ეპისკოპოსი კი არ უნდა გაკათოლიკებულიყო, არამედ გაგრიგორიანებულიყო, რადგან ყველა ქრისტიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, ჩვენ უნდა გვემორჩილებოდესო.

მართალია, თურქებმა შეწყვიტეს ქართველი ეპისკოპოსის, გიორგის, დევნა, მაგრამ „სამაგიეროდ გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს დევნა დაუწყო ეჩმიაძინის პატრიარქმა. საინტერესოა ვიცოდეთ, რა უფლებით ეჭიდებოდა მართლმადიდებელ გიორგი

ეპისკოპოსის ყრმობას სომეხთ პატრიარქი.ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის რაიმე უფლებრივი ურთიერთობა ხომ არსებობდა? ამის სარწმუნო პასუხს ჩვენ გვაძლევს მისიონერი ლეონი. იგი წერს: „ეჩმიაძინის პატრიარქი პორტას მიერაა დამტკიცებული და კარგადაა დაცული თვით სულთანის მიერ, ამიტომ მბრძანებლობს მთელ ერზე...და თურქების ფირმანის ძალით ყველა სხვა ქრისტიანი მორჩილებაში მოჰყავს“¹⁰.

მართლმადიდებელი ქართველები თურქ-სპარსელთა ნებით უნდა გაგრიგორიანდნენ, ანუ დაემორჩილონ სომხურ ეკლესიას, განსაკუთრებით ის ქართველები იდევნებოდნენ სომეხთა მიერ, რომლებიც ამ წესს დაარღვევდნენ და გაგრიგორიანების ნაცვლ-ად კათოლიკობას მიიღებდნენ. ამას სხვა მაგალითების გარდა ეპისკოპოს გიორგის მაგალითიც აჩვენებს – „სომეხ პატრიარქს მოპოვებული ჰქონია სულთანისაგან უფლება კავკასიის ქრისტიანობის მეურვეობისა. გასააგება, რომ გაკათოლიკებულ ქართველ ეპისკოპოს გიორგისაც ამ მიზეზით ეჭიდებოდა, ე.ი. მასზე ხელეწიფებოდა სომეხ პატრიარქს, რომელსაც ახალციხის ფაშასათვის გიორგის დაპატიმრება უთხოვია, მაგრამ გაკათოლიკებულ ქართველ ეპისკოპოსს ფაშასათვის ქრთამი 1000 პიასტრი მიუცია და ფაშას ის სომეხი კათალიკოსისათვის დაუმალავს. სომეხთა ეპისკოპოსს ფაშასათვის დოკუმენტურად დაუსაბუთებია, რომ „ხვანთქარის ფირმანის ძალით ახალციხელები უნდა ემორჩილებოდნენ ჩემს პატრიარქსო. ახლა კი „გაფრანგებულან და მისი მორჩილნი არ არიან“, ე.ი. სომეხი ეპისკოპოსი თვლიდა, რომ გიორგი გაკათოლიკების მაგიერ უნდა გაგრიგორიანებულიყო. ამ საკითხზე ფაშას ქართველს კათოლიკეთა და სომეხთა ეპისკოპოსს შორის პაექრობა გაუმართავს... ეს დავა ჩვენ იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ახალციხის ბევრი მართლმადიდებელი ამ გზით ალბათ გრიგორიანულ სარწმუნოებას იღებდა“¹¹.

ჩვენთვის ცნობილია, თუ როგორ აიძულებდნენ და დევნიდნენ ქართველ ცნობილ პირებს იმის გამო, რომ მათ გრიგორიანობის ნაცვლად კათოლიკობა მიიღეს, მაგრამ უბრალო, რიგითი მართლმადიდებელი გლეხების დევნა და მათზე იძულება ნაკლებად არის ცნობილი, შეიძლება არც დევნიდნენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქართველი გლეხები არ იღებდნენ კათოლიკობას, არამედ პირდაპირ გრიგორიანდებოდნენ.

არსებობს დამამტკიცებელი საბუთი „საქართველოში სომხური სარწმუნოების ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივის არსებობისა“¹².

სომხური ეკლესიის ცენტრს მთელი საქართველოს მოსახლეობა თავის მრევლად მიაჩნდა. ეს დამტკიცებული ჰქონდა კიდეც სპარს-ოსმალთა მიერ. ამიტომაც ქართველებს არა კათოლიკობა, არამედ გრიგორიანობა უნდა მიეღოთ.

სომხეთის პატრიარქს თავის მრევლად მიაჩნია ქართველები, ხოლო საქართველო თავის სამწყსოდ. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ირანის შაჰებისაგან სომხები იღებდნენ ნებას, რომ საქართველოდან (!) კონკურენტები განედევნათ, საქართველოდან და არა სომხეთიდან.

1741 წელს სომხებმა თბილისსა და გორში კათოლიკები დაარბიეს ირანის შაჰის ნებართვით.

„ტფილისში დიდი დევნულობა აღძრეს კათოლიკების წინააღმდეგ, რადგანაც დიდი სასომხეთის პატრიარქმა მოიპოვა ერთი ფირმანი შაჰთამაზზისაგან, რათა არც ტფილისში და არც გორში აღარ დააყენონ კაფუცინები. ეს ფირმანი რა მიუტანეს ტფილისში მეფის მოადგილეს, მაშინვე ჩამოართვა კაფუცინებს, რაც გააჩნდათ და მათი ეკლესიაც გააოხრა და ყველა იქ მყოფი პატრიები განდევნა“¹³.

სომხურ ეკლესიას არა მარტო ირანის შაჰი, არამედ, როგორც ითქვა, ოსმალეთის ხონთქარიც აბატონებდა ქართველთა მიწა-

წყალზე: „სომხების პატრიარქისავე ჩაგონებით იყო, რომ ხვანთქ-არმა ახალციხის კათოლიკები დაუქვემდებარა ეჩმიაძინის პატ-რიარქს, რის გამოც სამ წელიწადში ერთხელ განგებ ერთი ვარ-თაპეტი მიდიოდა და კათოლიკებს ხარკ ართმევდა... ეჩმიაძინის გამძაფრებული პატრიარქები არ ჰქვერდებოდნენ ამ გადასახადს, რამდენადაც და როდესაც კი შესძლებდნენ, იქაურ კათოლიკებს სდევნიდნენ და ხშირად მათ სახლ-კარსაც ოსმალებს აკლებინებდნენ. ესრეთ, იქაური მუდამ წამებული იყვნენ სომხების პატრიარქების და მათ მიერ წაქეზებული მაკმადიანებისაგან“¹⁴.

ევსევი ნიკოლაძე, ქართული ეკლესიის ისტორიკოსი, წერს, რომ გრიგორიანობის საქართველოში გავრცელების წინააღმდე-ეგ მედგრად იბრძოდნენ ჩვენი კათალიკოსები ნიკოლოზ ამილახვარი, დომენტი, ბესარიონი, ასევე ანტონ I. მაგრამ ქართ-ველ სამღვდელოებსა და კათალიკოსებს ზოგჯერ ტახტს და ხანდახან სიცოცხლესაც კი ათმობინებდნენ სპარს-ოსმალები.

ევ. ნიკოლაძე წერს, რომ საქართველოში ქართველებმა თავ-იდან გულთბილად და სიყვარულით მიიღეს თანამორწმუნე (ქრისტიანი) სომხები, „მაგრამ სომხებმა ქართველებს ეს ღვაწლი მით მიუზღეს, რომ დაივიწყეს მათი ამაგი და დაიწყეს ქართველ ხალხში მწვალებლობის (ე.ი. გრიგორიანობის) გავრცელება. ქართველების იმ ერთ ნაწილს, რომელიც სომეხთა სარწმუნოებას, მათ შეასწავლეს სომხური ენა და ამნაირად ეს ხალხი მთელ ქართველობას ჩამოაშორებს... ასეთი წარმატებით გამხნევებულნი სომეხთა მისიონერები მოეფინენ აღმოსავლეთ საქართველოში და დაიწყეს ქართველებში მწვალებლობის გავრცელება. მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ საქართველოს განათლებული კათალიკოსები: ნიკოლოზ ამილახვარი (1675-1688), დომენტი (1705-1724) და გამსაკუთრებით, ბესარიონი (1724-1739). საქართველოში ძველი დროიდანვე მოიპოვებოდნენ თარგმანში ის ნაწერები, რომლებიც იყვნენ მიმართული სომხური ეკლესიის

მწვალებლობის წინააღმდეგ... ამ თხზულებათა შემწეობით საქ-ართველოს მღვდელმთავრები ადვილად იმარჯვებდნენ სომხებზე პაექრობაში. მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისიდან გარემოება ძალზე იცვალა. ამ დროიდან მხითარისტების ნაწარმოებნი ძლიერ გავრცელდნენ სომეხთა შორის და მისცეს საშუალება მათ სამღვდელოების საღვთისმეტყველო განათლებისა. ევროპელი მწერლების სხოლასტიკური ნაწარმოებნი, რომლებიც სომხურ ენაზე გადმოითარგმნენ, გახდნენ ახალ წყაროდ სარწმუნოებრივი დავისა. სხოლასტიკურმა ხერხიანობამ, რომლებიც განსაკუთრებით არისტოტელეს ლოღიკას ემყარებოდა, სომეხთა მისიონერებს მისცა მძლავრი იარაღი ქართველების წინააღმდეგ. სომეხთა მისიონერების მონოფიზიტური პროპაგანდა, რომელიც წინათ დაიწყო, განსაკუთრებით გაძლიერდა არეულობის დროს საქართველოში, მეფე იესეს სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზ მეორის ქართლში გამეფებამდე (1724-1744) და უმაღლეს წერტილ-ამდე ავიდა კათალიკოს ანტონ პირველის მმართველობის პირველ წლებში (1744-1749)¹⁵.

ევ. ნიკოლაძე იმოწმებს თვით ანტონ კათალიკოსს და წერს, რომ სომხეთის ეკლესიის მეთაური კათალიკოსი ლაზარე დაუახლოვდა ანტონ კათალიკოსს და შეეცადა ანტონს მიეღო გრიგორიანული სარწმუნოება. ანტონმა, ცხადია, არ მიიღო გრიგორიანობა, რომელიც ავალდებულებდა მას, ქართული ეკლესიის მეთაურს, ქცეულიყო სომხური ეკლესიის წევრად - „როგორც კათალიკოსი ანტონი მოწმობს, ერთბუნებიან მწვალებლებს მასთანაც ჰქონდათ კამათი. სომეხთა მისიონერების მეთაურად ითვლებოდა ანტონ პირველის თანამედროვე სომეხთა კათალიკოსი ლაზარე ჭაუქელი. უკანასკნელი ძალიან დაუახლოვდა კათალიკოს ანტონს და შეეცადა მის გამოყვანას მართლმადიდებელი ეკლესიიდან, მაგრამ ეს ვერ მოახერხა“¹⁶.

ბუნებრივია, შეიძლება დაისვას კითხვა, ნუთუ გრიგორიანებს იმის უფლებაც კი ჰქონდათ, ქართული ეკლესიის მეთაურ კათ-ალიკოსისათვის შეებედათ, რომ მას სომხური სარწმუნოება ელიარებინა? ამის ნებას და ასეთ გაბედულებას გრიგორიანებს აძლევდა ის, რომ სპარსეთი და თურქეთი დიდად აძლიერებდნენ სომხურ ეკლესიას და მას ფაქტობრივად გადასცეს უფლება თავ-ის მრევლად ექცია არასომეხი ქრისტიანები საქართველოში.

„სომეხთა მწვალებლობა წარმატებით ვრცელდებოდა ქართველთა შორის იმიტომ, რომ საქართველოში გამოცხადებული იყო სარწმუნოებრივი თავისუფლება და მთავრობას არ შეეძლო სარწმუნოებრივი დავის აკრძალვა“¹⁶. სინამდვილეში კი საქართველო დაპყრობილი ან გასალი ქვეყანა იყო, რომლის მთავრობასაც არ შეეძლო დამოუკიდებელი სარწმუნოებრივი პოლიტიკის წარმოება, ისე ვერ შეაფერხებდა გრიგორიანთა მოქმედებას.

ანტონ კათალიკოსმა არათუ აღიარა გრიგორიანობა, არამედ ამ სარწმუნოების საწინააღმდეგოდ დაწერა ვრცელი თხზულება, რომელსაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას XIX საუკუნეშიც კი რუსეთის იმპერატორი მიიჩნევდა საქართველოში გრიგორიანობის გავრცელების შემაფერხებელ საშუალებად.

ანტონმა „...დაწერა უზარმაზარი დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულება „მზამეტყველება“, რომელიც „არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არამცთუ ქართულ მწერლობაში, არამედ მთელი აღმოსავლეთის ეკლესიის საღვთისმეტყველო აზროვნების განვითარების ისტორიაში“ (პ. კეკელიძე). ეს ვეებერთელა წიგნი სულ რაღაც ერთ წელიწადნახევარზე ნაკლებ დროში დაიწერა (წერა დაიწყო 1750 წლის 1 ოქტომბერს და დასრულდა 1752 წლის 11 მარტს). წიგნი მიმართულია მართლმადიდებლური ეკლესიის დასაცავად მწვალებელთაგან¹⁷.

ამ თხზულების დიდი მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ როცა XIX საუკუნეში ქართული ეკლესიის თავისთავადობის გაუქმების გამო სომხურ ეკლესიას დიდი შესაძლებლობა მიეცა საქართველოში გაევრცელებინა თავისი სარწმუნოება, რუსეთის იმპერატორს განკარგულება გაუცია ამის საწინააღმდეგოდ დაებეჭდათ „მზამეტყველება“.

„დიდი ხანია ერთ ვისმე პირს მიურთმევია ხელმწიფე იმპერატორისათვის თხოვნა მასზედა, რომ საქართველოში ვრცელდება ფრანგობა ანუ ფრანგთა სარწმუნოება და სომხობა და ამასთან-ავე დაურთავს იმ პირსა, რომ მხოლოდ ერთადერთი საშუალება არისო მოსასპობად სხვადასხვა სარწმუნოებისა მართალმადიდებელ საქართველოში, დაიბეჭდოს „მზამეტყველება“ საქართველოს სწავლულ კათალიკოზისა ანტონი პირველისა. ხელმწიფე იმპერატორს ესრეთი თხოვნა გარდაუცია სინოდში“¹⁸, ეგზარქოს გამოურკვევია, მართლა ვრცელდებოდა თუ არა საქართველოში (ეპარქიებში) „ფრანგობა“ და „სომხობა“, რის შემდეგაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამოცემულიყო ეს წიგნი „გასომხებისა“ და „გაფრანგების“ თავიდან ასაცილებლად.

მითუმეტეს XVIII საუკუნეში ამ წიგნს ჰქონდა უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა. ეს თხზულება ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით, 3-4 წელიწადში „მზამეტყველება“ უთუოდ ძალზე დააბრკოლებდა გრიგორიანობის წინსვლას საქართველოში. 1752 წელს დასრულებული წიგნი 1754-1755 წლებისათვის უკვე მთელს საქართველოში იქნებოდა გავრცელებული.

ევ. ნიკოლამე წერს: „როდესაც ანტონ კათალიკოსმა შეხედა, რომ სომეხთა მისიონერობის პროპაგანდა საქართველოში მართლმადიდებელ სარწმუნოებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, გადაწყვიტა მის წინააღმდეგ გამოსულიყო და მწვალებლობის გარყვნილ მოძღვრებას მეცნიერული სიტყვით

შებმოდა. ვინაიდან სომეხთა მისიონერები თავის სწავლას ამყარებდნენ სხოლასტიკასა და სომხური ეკლესიის ისტორიაზე, ანტონი გახდა იძულებული გაცნობოდა ამ წყაროებს ლათინურ ენაზე. მან ჯერ კარგად შეისწავლა სხოლასტიკა და სომხური ღვთისმეტყველება... და ამის შემდეგ სომეხთა მწვალებლობის განსაქიქებლად დასწერა დიდი თხზულება, რომელსაც „მზამეტყველება“ უწოდა. ეს ნაწარმოები, რომელიც დასრულდა 1752 წელს, შეიცავს მონოფიზიტური მოძღვრების სრულ განქიქებას და მასში ყოველი კაცი იპოვის მზა პასუხს მწვალებელთა ყველა კითხვაზე“¹⁹.

როგორც აღინიშნა, 1753-1755 წლებისათვის ეს თხზულება უკვე წინ აღუდგებოდა საქართველოს მდაბიო ხალხშიც კი პოპულარულ მონოფიზიტურ თხზულებებს. ამ დრომდე, თურმე, ერთი ასეთი მონოფიზიტური თხზულება, სომეხთა კათალიკოს ლაზარეს მიერ დაწერილი, მრავალს ქრისტიანს მართლმადიდებლობის გზიდან აცდენდა. სომეხთა კათალიკოსი ლაზარე თავის თხზულებაში „სომეხთა ეკლესიას აღიარებდა ყველა ეკლესიების უფროსად და სომეხთა კათალიკოსს ყველა ქრისტიანების მთავარ მბრძანებლად. ლაზარემ თავისი თხზულება... მრავალ ხელნაწერებში გაავრცელა ქართველებში, როგორც არქიეპისკოპოსი ჭიმოთე მოწმობს, ეს შრომა საქართველოში მდაბიო ხალხში იკითხებოდა და ბევრი კეთილმორწმუნე მოტყუებაში შეჰქავდა“²⁰.

სწორედ ამგვარ ქმედებას წინ აღუდგა კათალიკოსი ანტონი და მრავალ ქართველს შეუნარჩუნა არა მარტო მართალი რწმენა, არამედ შეუნარჩუნა ეროვნება – ქართველობა.

არ შეიძლებოდა ეს უპასუხოდ დარჩენილიყო, ანტონი ასეთი გაბედულებისათვის უნდა დასჯილიყო და დაისაჯა კიდეც – 1755 წელს მას ჩამოართვეს საკათალიკოსო ტახტი და გააძევეს. მართალია, სხვა მოტივით.

არ არის გამორიცხული, რომ ანტონის მარცხში ერთა ეჩმიაძინის ხელი, როგორც წერს გ. მაისურაძე – „ეჩმიაძინს ყველაზე უფრო მეტად ერეკლე II-ის ფრანგთმომხრეობა აღიზიანებდა... ამასთან, კათოლიკეთა მომაგრება რუსული გავლენის ნეიტრალიზებასა და სომხური სარწმუნოების თანდათანობით განდევნასაც იწვევდა. ამიტომ თუ, ერთი მხრივ, ამ ძალაზე დაყრდნობა ერეკლე II-ს დიპლომატიური ლავირების საშუალებას აძლევდა, მეორე მხრივ, მის წინააღმდეგ რუსეთ-ეჩმიაძინის კავშირის შექმნას უწყობდა ხელს. არ არის გამორიცხული, რომ 50-იან წლებში ერეკლე-II-ის ასეთი მარცხი ასეთი კავშირის შედეგი ყოფილიყო“²¹.

ანტონ კათალიკოსი მონოფიზიტებისათვის ყველაზე მიუღებელი პირი იყო საქართველოში. გრიგორიანებს დიდი ძალა ჰქონდათ იმის შემდეგ, რაც 1762 წელს ერეკლე მეორემ ანტონი დააბრუნა საქართველოში და მისცა კვლავ საკათალიკოსო ტახტი, სომხური ეკლესიის მეთაურმა კათალიკოსმა მკაცრად გააფრთხილა ერეკლე II და თითქმის დაემუქრა კიდეც. მის წერილში, ცხადია, არა უშუალოდ ანტონზეა საუბარი, არამედ კათოლიკებზე.

„რა მოულოდნელიც არ უნდა იყოს, სომეხი კათალიკოსის სიტყვებში არა მარტო პროტესტი ისმის ერეკლეს პოლიტიკის-ადმი, არამედ ერთგვარი ფარული მუქარაც. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ცოტა ხანში ეჩმიაძინი ქართველი მეფის საწინააღმდეგო მოქმედებას გამოამჟღავნებს. მოტანილი წერილი 1765 წლის გაზაფხულითაა დათარიღებული. იმავე წლის დეკემბერში კი ერეკლემ ამხილა ქართველ თავადთა შეთქმულება პაატა ბატონიშვილის მეთაურობით, რომელშიც ეჩმიაძინის წარმომადგენელი აღალოც აღმოჩნდა ჩათრეული... რუსეთის კავშირი პაატას შეთქმულებასთან თითქმის აშკარაა. თუ ეს მოსაზრება შესაწყნარებელია, მაშინ ერეკლე II-ის წინააღმდეგ რუსეთისა

და ეჩმიაძინის კავშირი ამ შემთხვევაშიც სავსებით დასაშვებია“²².

აღსანიშნავია, რომ აჯანყებულები ერეკლემ სასტიკად დასაჯა, ხოლო ეჩმიაძინის წარმომადგენელი აღალო არ დასაჯა²³. ეს მიუთითებს, თუ რა ძლიერ ძალას წარმოადგენდა საქართველოში სომხური ეკლესია.

„თბილისის სომებს ვაჭრებს ევროპელთა კონკურენციისა ეშინოდათ, სომხურ ეკლესიას კი – კათოლიკეთა გავლენის ზრდისა. ამ მხრივ, ეჩმიაძინს არც ერეკლესა და ანტონ I-ის ფრანგთმომხრეობა მოსწონდა. ნიშანდობლივია, რომ 1755 წელს თბილისში მოწყობილ კათოლიკეთა დარბევაში ეჩმიაძინის ხელიც ერია“²⁴. სწორედ 1755 წ. განდევნეს ანტონი.

ანტონ I კათოლიკე რომ ყოფილიყო, მას რუსეთის წმინდა სინოდი არ ჩააბარებდა ვლადიმირის ცენტრალურ ეპარქიას, არ მისცემდა მთავარეპისკოპოსის მაღალ ტიტულს (მაშინ სულ რამდენიმე მთავარეპისკოპოსი იყო რუსეთში) და მერე XIX საუკუნეში რუსი იმპერატორის ნებით არ გამოსცემდნენ „მზამეტყველებას“, რომელიც სწორედ „ფრანგობის“ ანუ კათოლიკობისა და გასომხების შემაფერხებელ საშუალებად მიიჩნეოდა.

ანტონ I ქართველებმა განდევნეს მხოლოდ სუბიექტური ინტერესების გამო, კერძოდ, მეფე თეიმურაზ II-ს (კახეთის ტახტის მემკვიდრეს) ეშინოდა ანტონისა, როგორც ქართლის სამეფო ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრისა, მეფესთან დაახლოებულ ზოგიერთ ქართველ სამღვდელო პირს ანტონ I-ის ნაყოფიერმა მოღვაწეობამ შური აღუძრა და ამიტომაც ცილი დასწამეს, ხოლო გრიგორიანებს ანტონი არ მოსწონდათ „მზამეტყველების“ დაწერისათვის. 1755 წლის კათოლიკეთა დევნაში სწორედ იმ ქართველმა სახელმწიფო მოხელეებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა, რომელთაც გრიგორიანული სარწმუნოება ჰქონდათ მიღებული. ცოტა მოგვიანებით ერთი

მისიონერი წერდა – „ამ ამბავზე საქართველოს ყველა ადგილებიდან შემოიკრიბნენ მეფის ნაცვლები და მსაჯულები, რომლებიც სქიზმატიკი სომხები არიან. იმათ უფრო შეაგულიანეს მეფე ჩვენ წინააღმდეგ“²⁵.

აქ „სქიზმატიკი სომხებში“ სწორედ ქართველი გრიგორიანები იგულისხმება, რადგანაც შეუძლებელია მთელ საქართველოში მეფის ნაცვლები და მსაჯულები არა ქართველები, არამედ ეროვნებით უცხოელები ყოფილიყვნენ.

რამდენიმე საუკუნით ადრე გიორგი მცირე წერდა: „...ვითა-რცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნენ ბოროტნი – იგი თესლნი სომეხთაგანი, გულარძნილნი და მანქ-ანანი და ამის მიერ ფრიად გვევნებოდაო...“²⁶ აქ „სომეხთა თესლ-ში“ გიორგი მცირე, როგორც კონტექსტიდან ჩანს, გულისხმობდა ქართველ გრიგორიანებს, ანუ სომხური ეკლესიის წევრ ქართველებს. ამის გამოო, წერდა ის და სხვა იმდროინდელი მოღვ-აწენი, ბერძენთა შორის მრავლად გამოჩნდნენ „მაყვედრებელნი“ და „მაბრალობელნი“, რომელნიც გვისწორებდნენ და გვასწვლ-იდნენ, როგორი სახისა უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიაო.

ასეთი ისტორია განმეორებულა მოგვიანებით, ანტონის ეპოქ-აში. ოღონდ ახლა უკვე პირიქით, ახლა არა ბერძნები, არამედ თვით გრიგორიანები „ასწავლიდნენ“ და „აყვედრიდნენ“ ქართველებს, თუ როგორი სახისა უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესია. ასე წერს ანტონ I თავის „მზამეტყველებაში“ „664.12. აქვს უკვე საკუთრად ეკლესიასა სომეხთასა ხელის დასხმა უეკლ-ესიოდ ეპისკოპოსთა... გვასწავებენ ჩვენ, ხოლო ამხილებსთცა მათ ბეჭედი იგი...“

„666.14. უკვე ეკლესიასა სომეხთასა საკუთრად, რამეთუ არა წმინდად შეურაცხიეს დედანი... გვაყვედრიან ჩვენ, ვითარცა დედათაგან გამოცხობილისა შემწირველთა“²⁷... და სხვა. ე.ი.

„სომხები“ ქართველებს საეკლესიო წესებს „ასწავლიან“ და „აყველრიან“ ამ წესების უცოდინარობას ანტონის დროს.

„ლაზარე კათალიკოსი სომეხთა, ესე აწ, რომელიცა ცხოვრობს ჟამთა ჩვენთა... ამან ლაზარე აღწერა წიგნი, რომელსა უწოდა „საწადელი სამოთხე“ გარნა არა საწადელ არს იგი ჩემდა არამედ ფრიადცა საძაგელ... განსაკვირვებელთა გმობათა იტყვის, ვითარმედ ეშმაკიცა შეძრწუნდებიან“²⁸, – წერს ანტონი.

გრიგორიანებს, ცხადია, არ შეეძლოთ უყურადღებოდ დაეჭოვებინათ ანტონის ანტიგორიანული ქმედება, მით უმეტეს, რომ საქართველოში გრიგორიანებს ქართული ენა, თავიანთი მშობლიური ენა კარგად ესმოდათ და შეეძლოთ წაეკითხათ ანტონის შრომა. ირანისა და ოსმალეთის მიერ გაძლიერებულნი ამგვარ კრიტიკას ვერც მოითმენდნენ. „ირან-ოსმალეთისათვის შედარებით უფრო მოსათმენი იყო რუსულისაგან განსხვავებული ქრისტიანობა, რის გამოც აღმოსავლეთში თვით კავკასიის არაქართულ პროვინციებში „ფარულად ქრისტიანობდნენ, სომეხნი კი ცხადად“. უფრო მეტიც, ოსმალეთთან ლოიალური ურთიერთობა კონფესიური ექსპანსიის საშუალებასაც აძლევდა ეჩმიაძინს. იტალიელი მისიონერი ლეონე წერდა: „ეჩმიაძინის პატრიარქი პორტას მიერაა დამტკიცებული და კარგადაა დაცული თვით სულთანის მიერ, ამიტომაც მბრძანებლობს მთელ თავის ერზე... და თურქების ფირმანის ძალით ყველა სხვა ქრისტიანი მორჩილებაში მიჰყავს“. ამ მხრივ, ის ქართულ ინტერესებსაც უპირისპირდებოდა. არაერთი შემთხვევა აღრიცხული, როცა ოსმალეთის მფლობელობაში მოქცეულ სამცხე-ჯავახეთის ქართულ მართლმადიდებლებს ეჩმიაძინი ძალით სომხურ სარწმუნოებაზე აქცევდა“²⁹.

„სომხების პატრიარქისავე ჩაგონებით იყო, რომ ხვანთქარმა ახალციხის კათოლიკები დაუქვემდებარა ეჩმიაძინის პატრიარქს...“³⁰.

აღსანიშნავია, რომ არა მარტო თურქეთი და სპარსეთი აძლიერებდნენ სომხურ ეკლესიას, არამედ ქართველი მეფე-მთავრებიც განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ გრიგორიანებს.

ქართველ მეფეთა კეთილ მოპყრობას გრიგორიანებისადმი უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა ეკონომიკური მოტივები, მაგრამ ისიცა აღსანიშნავი, რომ მათ არც შეეძლოთ ემოქმედათ გრიგორიანთა წინააღმდეგ. ქართლი და კახეთი ირანის პროვინციები იყო და აქ უნდა გატარებულიყო იგივე სარწმუნოებრივი პოლიტიკა, როგორიც ირანში, ქართლ-კახეთის სამეფოების აღდგენის შემდეგ კი ისინი ირანის ვასალი ქვეყნები გახდნენ.

სომეხთადმი კეთილად იყო განწყობილი და მათ პირობებს უქმნიდა როსტომ მეფე, მარიამ დედოფალი (მარიამს წალკაში გრიგორიანებისათვის ეკლესია აუგია), გახტანგ IV³¹.

მეფე სიმონ I „...სომეხთა დიდი მოსიყვარულე და ვარდაპეტების დიდი პატივისმცემელი იყო“ (სომეხი მემატიანის სიტყვებია)³².

გრიგორიანებისათვის როსტომ მეფეს და მარიამ დედოფალს აუგიათ ქალაქი (ქართლის ახალქალაქი) გრიგორიანული საყდრებითა და მონასტრებით, როგორც ეს იქ მდგომი ეკლესის წარწერიდან ჩასს³³. ამ წარწერაში არ არის ნათქვამი, რომ ეს ქალ-აქი „სომხებისათვის“ აშენდა, არამედ ნათქვამია, რომ ის აშენდა „სახასოდ ვაჭართა“³⁴. იმ დროს გრიგორიანს, სომეხსა და ვაჭარს ერთმანეთთან აიგივებდნენ და საერთოდ, „სომეხი“ და „ვაჭარი“ სინონიმები იყო. ამიტომაც აქ „ვაჭრებში“ ქართველი გრიგორიანებიც იგულისხმებიან.

მალე, როსტომის კარზე, მაღალი სახელმწიფოებრივი პოსტებიც გრიგორიანებმა დაიჭირეს, კერძოდ, თბილისის ქალაქისთავობა, ეს კარგადაა აღწერილი. როსტომი, როგორც

სპარსეთის წარმომადგენელი ქართლში, გრიგორიანების მიმართ ატარებდა სპარსულ პოლიტიკას, იცავდა და მფარველობდა მათ, ამავე დროს კი მართლმადიდებელთა ეკლესიას დევნიდა. ქართველი კათალიკოსი ევლემონი მან დაახრჩობინა და ციხიდან გადმოაგდებინა.

მართლაც, როსტომი თავისი ანტიქართული და პროსპარსული პოლიტიკის გატარებისას არა ჰგავდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს. მიუხედავად იმისა, რომ როსტომის მეუღლე ქრისტიანობისადმი (როგორც მართლმადიდებლობის, ისე მონოფიზიტობის) კარგად იყო განწყობილი, როსტომი მაინც მტრულად იყო განწყობილი ქართული ეკლესიის მიმართ. საქმე ის იყო, რომ ქართული ეკლესია გამოხატავდა იმ ქართველების მისწრაფებას, რომელთაც სურდათ თეიმურაზ I-ის ტახტზე აყვანა, ხოლო როსტომის საქართველოდან გაძევება.

როგორც აღნიშნა, როსტომ მეფესა და თეიმურაზს შორის დაპირისპირებამ ქართული ფეოდალური საზოგადოების ორ ბანაკად გაყოფა გამოიწვია. დაუღალავი თეიმურაზი როსტომისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას წლების მანძილზე იმერეთიდან განაგრძობდა. მის მთავარ ამოცანას ქართლიდან როსტომის გაძევება, ირანის ბატონობის დამხობა და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება შეადგენდა... ქართლში როსტომის მოღვაწეობის პირველმა 15 წელმა სხვადასხვა ბრძოლებით, აჯანყებებით და შეთქმულებებით დამბიმებულ სიტუაციაში განვლო. ქართლში როსტომის მოსკლისთანავე ქართველების ერთი ნაწილი მაპმადიან მეფის მმართველობას არ დაემორჩილა, მათ ქრისტიანობის რჯულისათვის „ბატონი თეიმურაზი ერჩივნათ“³⁵.

თეიმურაზი იყო განსახიერება მართლმადიდებლობისა, ანუ, როგორც მაშინ მიიჩნეოდა, „ქართველობისა“. ქართველებს სწორედ თეიმურაზი სურდათ. ამის გამო „...როსტომ მეფის ლაშქარში თეიმურაზის სასარგებლო განწყობილება სუფევდა...“³⁶.

ისე, როგორც წინა წლებში, 1642 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ კვლავ დიდი შეთქმულება მოაწყეს. შაპ-აბას II-ის ისტორიკოსის მოპამედ თაპერის ინფორმაციით, „თეიმურაზი შეუთანხმდა ზაალ ერისთავს – ყარაყალხანს, ნოდარ და იოთამ ამილახვრებს... რათა როგორმე მოსპონ მეფეების საფარველი როსტომ მეფე“ როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ ამ ახალ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახვარი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოჩიაშვილი, სომხეთის მელიქი ყორხაზბეგ ათასეგიშვილი და სხვა ქართველნი. შეთქმულთა შორის ყველაზე აქტიურად ევდემონ დიასამიძე მოქმედებდა. დადგებული პირობის თანახმად, შეთქმულთა მიზანს „ცოტას კაცით“ ცხირეთს მყოფი როსტომ მეფის მოკვლა და მის ადგილზე თეიმურაზის გაბატონება წარმოადგენდა“³⁷.

მაგრამ „ქართველთა (მართლმადიდებელთა) ეს შეთქმულება გასცა სომხეთის მელიქმა (ჩანს, ქართველმა გრიგორიანმა), რომელმაც შაპს შეთქმულება გაუმჯდავნა“³⁸.

არ შეიძლება ქართული ეკლესიის მეთაურის მონაწილეობა ამ შეთქმულებაში ავსნათ პირადი დაინტერესებით, არამედ ეს იყო გამოხატვა ქართული ეკლესიის ბრძოლისა მაჲ მადიანობის (და სხვა გავრცელებული რელიგიური მიმართულებების) წინააღმდეგ.

როსტომმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მის წინააღმდეგ იბრძოდა ზოგადად მართლმადიდებელი ქართველობა, რომლის მეთაურიც კათალიკოსი იყო. ამიტომაც მან განსაკუთრებული სისასტიკით დასაჯა დატყვევებული კათალიკოსი. საერთოდ, როსტომი აჯანყებულთა მიმართ შემწყნარებელი იყო და ერჩია მათი შემორიგება. 1642 წლის აჯანყებულებიც მცირედ დასაჯა, კერძოდ, მხოლოდ რამდენიმე კაცი გაახეიბრა და თვალები დათხარა, მაგრამ კათალიკოსი არა მარტო მოაკვლევინა, არამედ სიკვდილის შემდეგაც შეურაცხყო – ციხიდან გადმოაგდებინა.

„კათალიკოსი ქალაქის ციხეში დაამწყვდიეს, შემდეგ „დაარჩევს და ციხიდან გადმოაგდეს“³⁹.

როსტომის დროს (და საერთოდ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან) გაიზარდა და განვითარდა ქართლის საქალაქო ცხოვრება, ხელოსნური წარმოება, ვაჭრობა, დაწინაურდა თბილისი, დასახლდა ქალაქები. ეს გულისხმობდა გრიგორიანობის რაოდენობის გაზრდას, რადგანაც საერთოდ იმ დროს ვაჭრობას და ხელოსნობას ძირითადად ისინი მისდევდნენ. ამ გრიგორიანებში უთუოდ დიდი იყო ქართველთა რიცხვი.

„აღებული ხანისათვის ქართველ-სომეხთა ეკონომიკური ურთიერთობების ასევე თავისებურ ფორმად გვევლინება ეჩმიაძინის მსხვილი ფეოდალური ორგანიზაციის გარკვეული კავშირი ქართულ ფეოდალურ მფლობელობასთან და ქართული ქალაქების ვაჭრობა-წარმოებასთან.

ქართული და სომხური წყაროების მოწმობით, ეჩმიაძინი ქართლსა და კახეთში ფლობდა სოფლებს, ცალკეულ ზორებს, ბაღებს, სახნავ სათეს ფართოებებს, ხოლო ქალაქ აღგილებში დუქნებს. აქვე იგულისხმებიან მის ყმობაში მოქცეული შესაბამისი მწარმოებლები და ხელოსან-ვაჭრები“⁴⁰.

ეჩმიაძინის გავლენა ისეთი დიდი იყო, რომ მას თვით მართლმადიდებელი ქართველი მეფეებიც კი ყმებსა და სოფლებს ჩუქნიდნენ. ქართველი გლეხები ამ გზით გრიგორიანდებოდნენ.

„კახეთის ბატონის“ თეიმურაზს და მის შვილიშვილს ერეკლეს ეჩმიაძინისათვის შეუწირავთ სოფელი თასმალური თავისი მცხოვრებლებით, ვენახებითა და წყლებით“ (იქვე, გვ. 173); ეს სოფელი კახეთსა და ქიზიქს შორის ყოფილა. „1657 წ. უკვე როსტომ მეფეს შეუწირავს ეჩმიაძინისათვის სოფელი ნახიდური“⁴¹.

ეს ქართული სოფლები, ცხადია, გაგრიგორიანდნენ ანუ „გასომხდნენ“. „ქართულ ხელისუფალთა გარდა ეჩმიაძინს ყმა, მამულსა და სხვა საქონლებს სწირავდნენ საქართველოში

მცხოვრები სომხური წარმოშობის შეძლებული პირები, რითაც ისინი ხარკს უხდიდნენ თავის კონფესიურ კუთვნილებას. მაგალითად, 1678 წელს სოფელ შუღავერში ჯავანშირის შვილებს ეჩმიაძინისათვის შეუწირავთ კარგად მოწყობილი ზვარი, 1664 წელს თბილისელ მოქალაქეს ასლან ბეპბუთაშვილს „სულისა და თავის სადღეგრძელოდ“ სომეხთა მთავარი ეკლესიისათვის სამი ქულბაქი შეუწირავს, ახალქალაქელ ამბარდანიანთ მურადაშვილს კი მის მიერ ცხინვალს ნაყიდი ორი ბიჭი შეუწირავს ეჩმიაძინისათვის“⁴².

ცხადია, ეს ორი ნაყიდი ბიჭი გაგრიგორიანდა. ამის თქმის ნებას იძლევა არა მარტო 1634 წელს ნიკოლოზ ირბახის მიერ სასამართლო დარბაზში წარმოთქმული სიტყვები, რომელსაც ყველა დაეთანხმა „ყოველდღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხედებიან“-ო, არამედ „პატრი ამბროზის მოხსენება, რომში 1640 წელს გაგზავნილი, რომელიც ასე ამბობს: ამ „ქრისტიანების ქვეყანაში კვალად შეიძლება ბევრი კეთილის ქმნა რავდენიმე მამულ-სოფლების ყიდვით, როგორთაც შვრებიან სომხები, რომლებისაც თუმცა დიდი სიმძულვარე აქვსთ ქართველებს სარწმუნოების საქმეში, მაგრამ რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ, ამაზედ უარესიც ვნახეთა: ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა ურიებმა გააურიავეს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე. ამისათვის თვინიერ რაიმე ეჭვისა, ბევრი ქართველები სიამოვნებით მიიღებენ ლათინის წესსა, უკეთუ შეიქმნებიან ჩვენნი ხელქვეითნი“⁴³.

ამის გამო ეჩმიაძინი დაინტერესებული იყო შეეძინა და მიეღო ქართული სოფლები ყმა-გლეხებით.

„ეჩმიაძინი ყოველი ღონით ცდილობდა ზელი შეეწყო ასეთი განწყობილებისათვის საქართველოს სომხურ მოსახლეობაში და რაც შეიძლება მეტად გაეზარდა საკუთარ ყმათა კონტინგენტი“⁴⁴.

ქართველთა მასიურ გაგრიგორიანებას ხელს ისიც უწყობდა, რომ მაშინ დამკვიდრებული წესის თანახმად ვაჭარი, მედუქნე, ხელოსანი, ამქარი, მოქალაქე გრიგორიანული სარწმუნოებისა უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, სხვადასხვა ხელობის მოსაქმენი ქმნიდნენ გაერთიანებებს, რომელ შიც შესვლისათვის აუცილებლად საჭირო იყო გაგრიგორიანება.

„აშკარაა, ქართული ქალაქების პრიონესიული გაერთიანებები ვაჭრობაში სომეხთა უპირატესობის გამო, უმთავრესად მონოფიზიტურ ეკლესიასთან უნდა ყოფილიყენენ დაკავშირებული, ამიტომ ამ გაერთიანებებში შესვლა და მის საფუძველზე გარკვეული პრივილეგიების მიღება, გასაგებია, მხოლოდ სომხურ სარწმუნოებაში გადასვლით შეიძლებოდა.

ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილის სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლა სხვა გზითაც ხდებოდა, ჯერ კიდევ მ. თამარაშვილმა ვატიკანის არქივის მასალების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ სომეხთა მიერ სოფლის, ე.ი. ყმა-მამულის შეძენის შემდეგ იქ მოსახლე ქართველთა ნაწილი სომხურ სარწმუნოებაში გადადიოდა“⁴⁵.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მოსახლეობა მასობრივად იღებდა გრიგორიანობას, ისინი არ უარყოფნენ ქართულ ენას, წეს-ჩვეულებებს, ქართულ ხასიათს.

მართალია, გრიგორიანი ქართველები თავიანთ თავს „სომეხს“ უწოდებდნენ, მაგრამ ამ ტერმინში („სომეხში“) ისინი დებდნენ არა ეთნიკურ შინაარსს, არამედ მხოლოდ სარწმუნოებრივს. ქართველ გრიგორიანებს მხოლოდ სარწმუნოებრივად მიაჩნდათ თავიანთი თავი „სომხებად“, ეთნიკურად კი – „საქართველოს შვილებად“. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან აღრიცხეს რუსებმა ქართველი გრიგორიანები ეროვნებით სომხებად, ასევე ეროვნებით სომხებად აღრიცხეს სომხური ტიპიკონის მქონე ქართველი კათოლიკები.

მ. თამარაშვილი წერდა: „ამ ქართველებმა თუ სარწმუნოება უარყვეს, გვარტომობა არ უარუყვიათ და არც თავიანთი სახელები დაუტოვებიათ, რადგან დანარჩენი მართლმადიდებელი ქართველები არ ედავებოდნენ გასომხებულ ქართველებს თავი-ანთ გვარისა და სახელის შენახვას“⁴⁶.

რატომ იღებდნენ ქართველები გრიგორიანობას და კათოლიკე ქართველები კი რატომ გახდნენ სომხური კათოლიკური ეკლესიის წევრები?

იქნებ გრიგორიანობა მხოლოდ სარწმუნოებრივ აღმსარებლობას არ ნიშნავდა?

უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგორიანობის მიღება – ეს იყო სოციალური კატეგორიის შეცვლა, ეს იყო რაღაც შეგავსი სოციალური რევოლუციისა. შინაომებით, ლეკიანობით, მაჰმადიანური აგრესით გატანჯულ, დაზარალებულ გლეხებსა და ხელოსნებს ომი აღარ სურდათ. ჩანს, გადასახადებით და ომებით გაღატაკებული ხალხის მასები ისე ხვდებოდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას, როგორც განმათავისუფლებელს სიღატაკისა და ომებისაგან, მართლაც, ეს სარწმუნოება ათავისუფლებდა გლეხს და ხელოსანს ომის ბეგარისაგან, და ჩანს, საბატონო გადასახადისაგანაც.

მათი მფარველი ხდებოდა ძლიერი და მდიდარი სომხური ეკლესია, რომელიც უშიშროებისა და სიღატაკისაგან დახსნის გარანტიას აძლევდა მათ, სამაგიეროდ არაფერს არ ითხოვდა გლეხობისა და ხელოსნებისაგან, გარდა ეჩმიაძინის რელიგიური უპირატესობის აღიარებისა. მართლაც, ეკონომიკურად დაუძლეურებულ და ამით ავტორიტეტშელახულ მცხეთასთან (ქართულ ეკლესიასთან) შედარებით მდიდარ ეჩმიაძინს დიდი გარეგნული ბრწყინვალება ჰქონდა.

მაგრამ გლეხისა და ხელოსნისათვის არსებითი იყო ის, რომ გრიგორიანობის მიღებით იგი ძალზე ხშირად თავისუფლდებოდა

ბატონყმური ურთიერთობისაგან, ანდა თუ ყმად რჩებოდა, ის იცვლიდა სოციალურ კატეგორიას - გლეხიდან, მიწის დამმუშავებლიდან, ის იქცეოდა ვაჭრად, რომელიც გაცილებით დიდი თავისუფლებით სარგებლობდა და ქონების დაგროვების შემდეგ ყმობიდან გამოხსნაც კი შეეძლო მაშინ, როცა ეს გლეხისათვის გაცილებით უფრო მნელი იყო.

გრიგორიანობის მიღებით ის როგორც „სომეხი“ ანუ ვაჭარი, თავისუფლდებოდა ომის ბეგარისაგან, ეს იმ დროს, როცა ყოველ მებატონეს თავისი მამული პატარა სახელმწიფოდ მიაჩნდა და გამეტებით იბრძოდა ამ „სახელმწიფოს“ საზღვრების გაფართოებისათვის.

იმ დროს, როცა მებატონები მიწის ყოველი მტკაველისათვის გააფირებით ებრძოდნენ ერთმანეთს (და ებრძოდნენ ყმა-გლეხების საშუალებით), მუდმივი ლეკიანობის, ომებისა და აჯანყების დროს, სამხედრო ბეგარისაგან გათავისუფლება დიდი შეღავათი იყო.

ამის გარდა გრიგორიანებს შექმნილი ჰქონდათ ერთგვარი კორპორაციები, ურთიერთდახმარების სალაროები თავიანთ ეკლესიებთან. ეკლესია ეხმარებოდა ლატაქს, აძლევდა ბავშვებს განათლებას, ასწავლიდა ვაჭრობას და, რაც მთავარია, ტყველ წაყვანილ ოჯახებსაც კი იჩსნიდა ფულით და აბრუნებდა თავი-ანთ საცხოვრებელ ადგილზე. ეს დიდად მიმზიდველს ხდიდა გრიგორიანობას.

საქართველოში იმ დროს „სომხობა“ აღნიშნავდა არა ეროვნებას, არამედ სოციალურ ფენას, სოციალურ კატეგორიას. ქვეყანაში არსებობდა ყმა, ანუ გლეხი, მებატონე და „სომეხი“, ანუ ვაჭარ-ხელოსანი.

„სომეხი“, როგორც წესი, ნიშნავდა გრიგორიან ადამიანს განურჩევლად მისი ეროვნებისა (უმეტესწილად ქართველს), რომელიც ვაჭარი ან პოტენციური ვაჭარი იყო (ხელოსნებიც ვაჭრობდნენ).

„სომხობა“ – ეს იყო ვაჭარ-ზელოსანთა ფენა და არა ეროვნება და ისინი არ იდევნებოდნენ სპარს-ოსმალთა მიერ. ფრედერიკო დიებუა წერდა: „საოცარი ესაა, რომ მარტო ქართველებს სდევნიდნენ და არა სომხებს...“⁴⁷ ირანში სომხებს ყოველგვარი უპირატესობა ენიჭებოდათ, სომხები როგორც ირანის, ისე თურქეთის ეკონომიკური წარმატების საყრდენი იყო. სომხებს სწორედ ვაჭრობა-ხელოსნობა ევალებოდათ. სომხობა რელიგიურ-ეკონომიკური ორგანიზაცია იყო. ამან გამოიწვია ის, რომ ერთ-იოდში შიდა ქართლის ბარში, მიუხედავად მოსახლეობის სიჭარბისა, გაუქმდა ყველა ქართული საეპისკოპოსო, რადგან მოსახლეობა გაგრიგორიანდა და ეჩმიაძინს შეემატა. ამიტომ ერეკლე II-ის დროისათვის მცხეთიდან ვიდრე ლიხის ქედამდე თითქმის აღარც ერთი ქართული საეპისკოპოსო აღარ არსებობდა, მხოლოდ მცხეთა-თბილისში და კახეთში ისხდნენ ქართველი ეპისკოპოსები!

ზ. ჭიჭინაძე წერდა – „ძველთაგანვე თბილისის ნამდვილი სომხის შთამომავალი მოქალაქენი თავისუფლად ყიდულობდნენ ქართველ ყმა-გლეხებს, მათ ჰულობდნენ როგორც უნდოდათ და თან თავიანთ სჯულზედაც მოაქცევდნენ. თვით ქართველ ყმათა მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მრავალნი დევნილნი ყმანი ეთვისებოდნენ სომეხთა, დევნილნი სომხურ გვარსა და სახელს ირქმევდნენ, სომხურად ინათლებოდნენ და მით გადირჩენდნენ ხოლმე თავებს“⁴⁸.

„თბილისელი ვაჭრები ყიდულობდნენ მართლმადიდებლებს, ამასთან არა მხოლოდ საჭიროებისათვის, არამედ სახელოსნოებში სამუშაოდაც. სომხური სარწმუნოების პირთა ყმობაში მოხვედრილი მართლმადიდებლების პატრონის სარწმუნოებაში ნებით თუ უნებლიერ გადასვლა, ჩანს, ზოგჯერ ფართო ხასიათს იღებდა, რის გამოც ხელისუფლები დროდადრო ამ პროცესის დამუხრუჭებას არაპირდაპირი გზითაც ცდილობდნენ“⁴⁹.

ქართველების გრიგორიანულ სარწმუნოებაში გადასვლის შემდეგ სომხური ეკლესია დაინტერესებული იყო მათ შეეთვისებინათ სარწმუნოება, მაგრამ ქართველებმა არ იცოდნენ სომხური ენა - გრიგორიანული საეკლესიო ენა, ამიტომაც ქართველებისთვის ქართული ასოებით დაწერილ სომხურ სახარებას, ლოცვებს, საეკლესიო წიგნებს ავრცელებდნენ საქართველოს სომხურ ეკლესიებში.

ქართველი გრიგორიანი ხელოსნები, ვაჭრები და ამქრები საქმეს აწარმოებდნენ ქართულ ენაზე, მოღწეულია უამრავი ქართულენოვანი ასეთი დავთარი.

ქართველი გრიგორიანი პოეტებიც კი ქართულ ენაზე წერდნენ ლექსებს (ასეთი პოეტი მრავალი იყო).

ქართველი გრიგორიანი ისტორიკოსებიც კი (მაგ. ფარსადან გორგიჯანიძე და სხვა წვრილი მთხველები) ქართულ ენაზე წერდნენ.

ქართველი გრიგორიანი სახელმწიფო მოხელეები და აზნაურები ქართულ ენაზე აწარმოებდნენ საქმეს.

საერთოდ, ქართველ გრიგორიანებს უყვარდათ საქართველო, ქართული კულტურა, ქართული ადათ-წესები და ყოველივე მამაკაპური, საქართველოს ისტორია. ეს აღნიშნულია მცოდნეთა მიერ: „გველის პერანგში“ ასეთი ადგილია: მოქმედება ხდებოდა არა საქართველოში, არამედ სპარსეთში: „სომეხების სუფრაზე თარია, ვიღაც გასაოცრად უკრავს. თარი ნელღება და შეორუ კაცი დაირას იღებს, შეათამაშებს ხელში და ყურთან მიიტანს და თითქოს ყბაყურააო – გაჰკივის ბაიათს: „რუსთაველი აღარ გვყავს, გამკითხავი ვინ არი... აღსდეგ, თამარ დედოფალო! შენთვის ტირის...“ უეცრად პეტრიძე წამოხტება: – ვინ კითხავს მაგ უბედურს ან რუსთაველს ან თამარს? ვაჰმე, ისტორიავ!“⁵⁰

თუმცა მართლდმადიდებლები ქართველ გრიგორიანებს ქართველებად აღარ მიიჩნევდნენ, მაგრამ ისინი ქართულენოვ-

ანნი იყვნენ და აღწერილის მსგავსად უყვარდათ საქართველო, ანუ თავისი ისტორია და წინაპრები. ასეთი „სომეხები“ განსხვავდებოდნენ ნამდვილი სომხებისაგან და ნამდვილ სომხად არც მიაჩნდათ თავიანთი თავი, ხოლო სომხეთში მათ სომხად არ მიიჩნევდნენ.

სომხეთის აჯანყების ცნობილ მეთაურს, დავით-ბეგს, სომხები სომხად არ მიიჩნევდნენ და ქართველს უწოდებდნენ. სომხური ეკლესიის მოღვაწე არტემ არარატელი გადმოგვცემს: 1796 წელს ყიზლარში უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი არტემი თანამობმე სომხებთან ეძებს თავშესაფარს, კიდევაც ახერხებს ერთი სომხის მოძებნას, მაგრამ ეს უკანასკნელი გულცივად ისტუმრებს გარეთ. ა. არარატელის შენიშვნით, „იმიტომ, რომ მე ქართველი სომეხი არა ვარ და ნამდვილი სომხეთის მკვიდრი ვარ; ამასთან დასძინა: წადი შენს თანამემამულე მღვდელთან, იქნება მან შეგიფაროსო“⁵¹.

აქედან ცხადია, რომ „ქართველი სომხები სხვაა, ხოლო „ნამდვილი სომხეთის მკვიდრი“ – სხვა. ქართველი სომეხი ეთნიკურ-ად ქართველია და მხოლოდ სარწმუნოებრივად არის „სომეხი“.

არტემ არარატელი აღნიშნავს საქართველოში ქართული ენის საყოველთაო ხმარების შესახებ გრიგორიანთა მიერ – „აქაური სომხების უმრავლესობამ სრულიად არ იცის სომხური და ქართულად ლაპარაკობს.ამ ადგილების გავლა მით უფრო ძნელი იყო, რომ რომ სომხებმა არ იცოდნენ სომხური ენა და ქართულ-ად ლაპარაკობდნენ“⁵².

ა. არარატელი არ წერს, რომ საქართველოში ყველა სომეხი ლაპარაკობდა ქართულ ენაზე, ის წერს – „უმრავლესობამ არ იცის სომხური“, ეს იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ სომხურის მცოდნე გრიგორიანები „ნამდვილი სომხები“ იყვნენ, გადმოსახლებულნი სომხეთიდან, ხოლო ამ ენის უცოდინარი კი ადგილობრივი ქართველი გრიგორიანები.

ერთი მხითარისტი წერდა, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლებისთვის საქართველოში მოსახლე სომხები სომხურის უცოდინარნი იყვნენ და ქართულად ლაპარაკობდნენ“⁵³.

ივ. გვარამაძე წერდა – „უკეთუ ჩვენი წინაპარნი სომხები იყვნენ, რა ეჭვია, თავიდანვე სომხური ენა ექნებოდათ შინ და გარეთ სახმარებლად, როგორც სახულიერო პირნი ეკლესიაში წირვა-ლოცვას სომხურად ასრულებდნენ, ერშიც იმავე ენას გაავრცელებდნენ, მეტადრე ქალაქ ადგილას, სადაც წერა-კითხვის ცოდნა აუცილებლად საჭიროა მოქალაქე მოვაჭრე მოზარდის ახალ-თაობისათვის! რა დასაჯერებელია, რომ სომხის მღვდელმა თავის მოწაფეს ქართული წერა-კითხვა ასწავლოს და სომხური არა? ვთქვათ, ხმარებაში ქართული ენა ყოფილიყო და მის გამო სომხურისთვისაც თავი დაუნებებიათ და ქართული ენა შეუტანიათ ხმარებაში, შინ, გარეთ და ეკლესიებშიც, მაშინ იმათ ქართულში, ხომ თავიანთი სომხური დედა-ენის თითო-ოროლა ნაწყვეტებიც არის დარჩებოდა უეჭველად... ხოლო რადგან არავითარი სომხური ენის ამგვარი ელემენტები არ დაშთენილა ჩვენს ქართულ ენაში, ცხადი ჭეშმარიტება არის, რომ ჩვენი წინაპარნი ქართველთა მოდგმის ჩამომავლობისანი არიან, მისთვის წმინდა ქართული ენა ჰქონიათ ხმარებაში“⁵⁴.

იმის გამო, რომ ახლად გაგრიგორიანებულმა ქართველებმა სომხური ენა არ იცოდნენ და ამავე დროს კი მათი რიცხვი ძალზე დიდი იყო (დიდი თუ პატარა ქალაქების ვაჭარ-ხელოსანი მოქალაქენი, გზისპირა სოფლის გლეხები, შეწირული სოფლის ყმები), საჭირო გახდა მათვის ქართული ასოებით დაეწერათ სომხური ლოცვები, წიგნები და სახარებაც კი.

გასომხებულთა გვარები

ქართველ მონფიზიტებს ვახუშტი ბაგრატიონი „სარწმუნოებით სომეხებს“ უწოდებდა, მათი ენა, ქცევა-ზნე და ცხოვრების წესი ქართული იყო.

ის ქვემო ქართლის „სომხობის“ შესახებ წერს: „იმ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“ (ტ. IV, გვ. 312).

ვახუშტის ამ ცნობაში, როგორც ვხედავთ, ყურადღება თითქოს ძირითადად გამახვილებულია სარწმუნოებრივ მომენტზე, რომლის გვერდით ეთნიკურობის ცნება სადღაც ქრება⁵⁵.

„ნიშანდობლივია, რომ სარწმუნოებრივი კუთვნილების გარეშე მოხსენიებული თბილისის სომხების მიმართ ვახუშტი კულტურული ქართველობის აღმნიშვნელ იმავე გამოთქმას იყენებს“⁵⁶.

ზ. ჭიჭინაძე საქართველოში მცხოვრებ ყველა სომებს არ უწოდებდა ქართველ გრიგორიანს. ის მხოლოდ სომხური ეკლესიის წევრ ქართველებს უწოდებდა ამ სახელს. აგრეთვე ზ. ჭიჭინაძე არ ფიქრობდა, რომ თბილისში მცხოვრები ყველა სომები ეროვნებით ქართველი იყო.

ის წერდა, რომ თბილისის სომხებში შეიძლება ნახევარი სომხური სარწმუნოების მქონე ქართველები აღმოჩნდესო. მას ამის თქმის უფლებას აძლევდა თავისი პირადი დაკვირვება და გამოკითხვა ცოცხალი ადამიანებისა – სწორედ ამგვარი „სომხებისა“. ის წერდა – „...დღეს მთელი ქართლ-კახეთი და მასთან იმერეთიც სავსეა ქართველი გრიგორიანებით, მათ ყველას კარგად ეტყობათ, რომ იგინი შთამომავლობით ნამდვილი ქართველები უნდა იყვნენ და არა სომეხნი, ყველა ეს კარგად

ეტყობათ მათ, კინც კი დააკვირდება, ცხადად შენიშნავს, რომ სულ თუ არა, უმეტესი ნაწილი ამ გრიგორიანებისა უნდა იყვნენ ნამდვილად შთამომავლობით ქართველნი. ამას ეჭვი და ყოყმანი არ უნდა, თუკი ვინმე დააკვირდება, სამწუხაროდ ამის დაკვირვება ქართველებს სრულებით არა აქვსთ... დღეს მთელმა საქართველოს ერმა რომ ამ გრიგორიანთ სარწმუნოება მიიღოს, მის შემდეგ იგიც თავის გვარტომობას, ე.ი. ქართველობას უნდა გამოეთხოვოს?!... თამამად ვიტყვით, რომ რაც ქართველთაგან გაფრანგებულა, ასი იმდენი გასომხებულა, ახალციხე ერთ დროს გასომხებულ ქართველებით იყო სავსე, იქ ქართველთა რიცხვი გაფრანგებულ და გასომხებულ ქართველთაგან შესდგებოდა და ორივე კი მაინც სომხად იწოდებოდნენ... ქართველი გრიგორიანებთაგან ძველთაგანვე ყოველივე შინაური თუ გარეული ბარათების წერა ხომ სულ ქართულად სწარმოებდა. მათში სომხურად თვით მღვდლებიც არ სწერდნენ და გინდ რომ ეწერათ, მერე, ამით რას გახდებოდნენ, არაფერს. ქართლის ქართველი გრიგორიანებთაგან ქართული მწერლობის ასპარეზზედ სხვადასხვა შესამჩნევი მწერლებიც გამოსულან ძველ დროს... მადათოვი, ქიჩიკნოვა, ჩამჩი მელქო, საიათნოვა, წყალობა ბებუთოვი, ოსეფ ამიროვი... ზურაბ ანტონოვი - კომედიების მწერალი და ცნობილი გვარი მიხეილ ბირთველის ძე თუმანაშვილი, მწერალი და მელექსე, რომელიც „ცისკარში“ წერდა დაარსებითგანვე და 1869 წ. „ცისკრის“ ერთ ნომრის „სალაყბოში“ ის ჰაზრი გამოთქვა, რომ „ჩვენ ტომით ქართველნი ვართ და მხოლოდ სჯულით სომეხნი“, ამათ გარდა ფილიპე ყაითმაზაშვილი, თბილისის გეგმის დამხატი ტერ შმოვანი და მრავალი სხვანი, ენით დაუთვლელნი, ყველას მოთვლა აქ ძნელია, ხოლო იმას კი ვიტყვით, რომ ძველთაგანვე თფილისის ქართველი გრიგორიანების თუ სომხის შთამომავლობის სახალხო ენას ქარ-

თული ენა შეადგენდა. ამ ენით სულდგმულობდნენ იგინი... სიკვდილის შემდეგაც კი ამ საფლავის ქვებზეც ქართულად აწერდნენ, ასეთის ძველი ქართულის წარწერიანი ქვებით სავსეა ძველი ხოჯივანქის სასაფლავო, ასევე იყო ვანქის გალავანში და სხვა საყდრებთა მახლობლადაც ასე იყო, თვით საყდრის შენებათა ცნობებსაც კი სწერდნენ ქართულად... თბილისის სომხობა ისევე ჰპატრონობდა ქართულ ენას, როგორც ქართველნი, უამისოდ არ შეიძლებოდა, რადგანაც მაშინდელი სომხიც ტომით ქართველი იყო, იგი ქართველ გრიგორიანად უნდა შერაცხულიყო. ასეთ პირთაგან ქართულ ენაზედ ძლიერ ბევრი წიგნებია ნაწერ-ნათარგმნი... ჩვენი მოსაზრება იყო, რომ გვესაუბრა და დაგვესაბუთებინა ის გარემოებანიც, რომ ქართველებშიც არიან ისეთნიც, რომელიც გრიგორიანთა სარწმუნოებას აღიარებდნენ და დღეს მისი მეოქნებით იგინი სომხის გვარადაც ირაცხებოდნენ. ასეთი მოსაზრების დასამტკიცებლად საჭიროა ცოცხალი ცნობები, ნამდვილი ამბები ჭეშმარიტებას ემორჩილებოდა ყოველი განათლებული კაცი, ამ ჭეშმარიტებას ვერავინ ეწინააღმდეგება... აი, ესეც ზოგი გვარები ქართველი გრიგორიანებისა... ალავერდაშვილი, ალავერდოვი, მთაწმინდელი, მამაპაპათ ქართულის ენით მოლაპარაკე, დღეს ალავერდოვი, გაგვარებული... იგი სწერს შემდეგ საყურადღებო ცნობას, რომელიც უმნიშვნელო იქნება, რომ მოვიყვანოთ აქ: „მე ვსწავლობდი თბილისის სახელოსნო სკოლაში. მე სომები ვარ, მაგრამ სომხური არ ვიცოდი, საქართველოს სომხები მარტოდ რჯულით ვართ სომხები, თორემ ეროვნებით ქართველები ვართ, როგორც ფრანგები და თათრებიც, სომხების განყოფილებაში ქართული ენა აკრძალული აქვსთ, იქ არავინ ამ ენას, არც მე მასწავლიდნენ, ქართულის წერა მე ჩემის შრომით და მალვით შევისწავლე, ამიტომ ამხანაგები მე „ვრაცას“ მეძახდნენ, ე.ი. ქართ

ველს, როცა ეს ამბავი სომხური ენის მასწავლებელმა და მღვდელმა შეიტყვეს, მათ ამის გამო სასტიკად გამკიცხეს. ქართულ ენას ნუ სწავლობსო, ასეთი ვაი-ვაგლახით შევისწავლე ჩემი ღვიძლი ენა – ქართული“⁵⁷.

ზ. ჭიჭინაძე ჩამოთვლის ქართველი გრიგორიანების გვარებს: ალხაზიშვილი – გვარის გადაკეთების შემდეგ – ალხაზოვი; აჭარიანი; არეშაძე – არეშოვი; უბულოვი – აბულიანცი – ძველი გვარი აბულაძე; ბარათაშვილი; ბაქრაძე – ბასილაშვილი – ბასილოვი; ბეგთაბეგისშვილი; გიგაური; გიორგაძე – ახალი გვარი – გიორგიანცი; გველესიანი – ახალი გვარი – გველიანცი; დურგლიშვილი; ბერძენიშვილი, დალაქიშვილი, გულაშვილი – ივანგულაშვილი – ივანგულოვი; მამულაშვილი – მამულოვი; ლარიბაშვილი – კარიბოვი; ლოლაძე; ამბარდანა; კოხტიევი; მამაცაშვილი; მაჩაბელი; სანდაძე; ტურიაშვილი; თარხნიშვილი; მზარეულოვი; სოსიაშვილი; შაბურიშვილი – შაბუროვი; ლარლიაძე; მუჩაიძე, თუშიშვილი – თუშურიანცი; ლაზიშვილი; ობელგოვიანცი; ლამბარიშვილი; როსტომაშვილი; ჯაშიტაშვილი; ათაბეგოვი – ჯაყელი; ზურაბაშვილი; დიდ-ზურაბაშვილი – დიდ-ზურაბოვი; ქონიაშვილი – გვარის გადაკეთების შემდეგ სალოვი; მესამთლიშვილი – გვარის გადათარგმნის შემდეგ – სეგჩნიკოვი; მელიაშვილი – გვარის გადათარგმნის შემდეგ – ლისიციანი; ხუციშვილი, გომელაური; სულხანაშვილი; ზოზიაშვილი; ლომიძე; პანჩულიძე – პანჩულიანი; ფრიდონაშვილი; მალხაზიშვილი; ელისაბროვი; ნადირაძე; მენთეშაშვილი – მანთაშოვი; წამალაშვილი; კოხტაშვილი; იასამანოვი; აღნიაშვილი; ბუხრაშვილი; ნამურაძე; ქოჩორაშვილი – ქოჩორიანცი; მამაჯანაშვილი; მამინაშვილი; შანშეშვილი; მირზაშვილი; თავქალაშვილი – თავ-ქალიანცი; პურადაშვილი – პურადოვი; თუმანიშვილი; ჯავახიშვილი; მირიანაშვილი; ნარიმანაშვილი; წერე-

თელი; მარტიაშვილი; ფანიაშვილი; ძიკოვი; ხიდაბეგიშვილი; ხახანაშვილი; ზალიაშვილი; ხიზანოვი; მეღვინოვი; ბაინდურაშვილი; ჩხეიძე; დადიანი; დოლაშვილი; კოშკაშვილი; გოზალოვი; საფარიშვილი; ხიმშიაშვილი; წმინდოაშვილი; დონდაროვი; გიორგაძე; ქიტიაშვილი; ხაზარიშვილი; მეღორიშვილი; ჩარექაშვილი; მეტივიშვილი; ხახუტაშვილი; მანველოვი; აფხაზიშვილი; უბლარია; ჭიპაშვილი; ღვთისიევი...⁵⁸

ქართველი კათოლიკები რომ „სომხდებიან“, ეს დადასტურებულია მეცნიერთა მიერ. მ. თამარაშვილმა ვაჭიკანში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ეს დაამტკიცა თავის წიგნებში.

„რაც შეეხება ქართველ კათოლიკებს, იმის გამო, რომ ვატიკანში კონგრეგაციის მიერ ქართული ენა არ იყო დამტკიცებული ღვთისმსახურებისათვის მოქმედ ენად, აქ გაბატონდა ლათინური და სომხური ენები. იმის გამო, რომ თურქეთმა XVI-XVII სს. ჩაკეტა ევროპაში მისასვლელი გზები და მისიონერებს აუკრძალეს აქ შემოსვლა, თანდათან ქართული კათოლიკური ეკლესიებიდან გამოიდევნა ლათინული ენაც (მისი უცოდინარობის გამო) და ქართველი კათოლიკები შერჩენ სომხურ ენას, ხშირ შემთხვევაში ქართველ კათოლიკეთა მრევლს სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენლები თუ გასომხებული ქართველები წინამძღვრობდნენ. ასეთი ვითარება ქართველ კათოლიკეთა სრულ დაბნევას იწვევდა, რადგან მეტყველებდნენ ქართულად, აიძულებდნენ ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის ქვეშ.

სომხურ-კათოლიკური ეკლესია ხელმძღვანელობდა მათ ჯვრისწერა-მონათვლას. მონათვლისას არქმევდნენ სომეხი კათოლიკე ეპისკოპოსის მიერ რეკომენდებულ სახელებს და ასე თანდათან იცვლებოდა ნამდვილი ვინაობა. ხშირად ახალ სახელს

ახალი გვარის ხელოვნურად შექმნა და გადაკეთებაც მოსდევდა. შოვინისტი კათოლიკე მოძღვარნი ყველაფერს აკეთებდნენ იმი-სათვის, რომ ქართველ კათოლიკებს და ევანგელიკანათ მშობლიური ენა, გვარი, წარმომავლობა და ბოლოს, რადგანაც კონგრეგაციას მათ საეკლესიო ენად სომხური ჰქონდა დამტკიცებული, სომხებად გამოეცხადებინა. სამწუხაროდ, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ სოფ. ველის მაგალითზე, მესხეთის სინამდვილეში ეს ნაწილობრივ კიდეც გაკეთდა⁵⁹.

მ. თამარაშვილი წერს – „ახლახანს გორში და ახალციხეს (1703 და 1705 წ.) დაწერილი საბუთები აღმოაჩინეს, რომლებიც ცხადად გვიმტკიცებენ იქაური კათოლიკების ქართველობას ნათლისდების სახელებით და სხვა გარემოებით... აი ხსენებულ ახლად ნაპოვნ საბუთებში ზოგიერთი სახელები: მინდორათი, მანანაძე, წალდაძე, ნებიერიძე, მიქელაძე, ხურციძე, ქათამათი, ზაზათი, ბეროთი, ბერომელათი, მალხაზათი, კეშერათი, გულასპა-თი, ტეტიათი, ბატონათი... ზიზანათი, ცხელათი, თელიათი, ტყავაძე, ომიაძე, მაისურაძე, პოროველათი, მეჩხუათი, ფილ-იჭამიათი, გოდელათი, გოდერმათი, თუთელათი, ხუთქალთი... ნახვრეტათი, ქვათი, ფუფულათია, გედიათი, კენჭიანთი, ხრინ-წიანთი... კბილათი, კოჭიბროლათი, სარდალათი, კანდელაკიანთი, ძამათი, პუნწკათი, ხახიანათი, გელაჭამიათი, ჭოჭუათი, ეთერათი, პურადათი, ქოჩორათი, ღვინიათი, ჩიტირეკათი, ამზერიანთი, ქონიათი და სხვა – (კაცების სახელები) ქრისტესა, ღვთისა, აღდგომელა, მახარა, დარჩია, ოტია, განია, ბერუკა, ჩიტა, შერ-მაზანა, ერეკლე, რამაზა, სავა, ნიკო, გოგიტა, ფარსადანა, ნადი-რა, ხოშა, მახარობელი, კიკინა, ზაალი, ელიზბარა, გლახა, საბა, უოუა, ბეჟანა, ზურაბა, ამირანა, პაპუა, მამუკა, პაატა, გოგია, ბეჟუა, მამულა, შაქრო, ნიკაშა, მალაქია, ნონო, ნონია, იორდანე, საყვარელა, შიო, თამაზა და სხვ. დედაკაცის სახელები: მზექალა,

მზისადარა, ვარდიგულა, გულსუნდა, იაგუნდა, ნათელო, დედიქ-ალა, დედანო, დარეჯანა, თუთა, თვალშვენიერი, ძუძუნა, თამა-რა, ლელო, ყბაწითელა, გუნდო, ბატონდედა, გულგულა, ყბაჩუა, ბანგიანი, ვარდო, გუნდო, დედება, თეთრუა, ლოყაწითელა, გედო, კაკალო, ყაყაჩო და სხვა“.

ყველა ესენი, ქართველი კათოლიკენი, სომხებად იწოდებოდნენ. სიმართლე გაირკვა მიხეილ თამარაშვილისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა გმირული თავდადებით.

თბილისის მოქალაქეთა გაგრიგორიანების შემდეგ გრიგორიანთა უბნებში არსებული ქართველთა ეკლესიები უმრევლოდ და უმოქმედოდ დარჩენილნი – გრიგორიანებს რჩებოდათ. მათი მართლმადიდებელი წინაპრების მიერ იყო აშენებული კიდეც ეს ეკლესიები. ეკლესიის მრევლი მხოლოდ სარწმუნოებას იცვლიდა, საეკლესიო შენობა კი კვლავ ძველი რჩებოდა. თამარაშვილი წერს – „აი სხვათა შორის, რამდენი ეკლესიები დაიჩემეს და მათში ქართული წარწერები გააქრეს – ტფილისში მეიდნის თავზე ყოფილა პატარა გუმბათიანი ეკლესია, დღეს სურფ-გეორქად წოდებული, წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, დღეს ჯიგრაშენის ეკლესიად წოდებული, ავლაბრის ხიდის იქით ისნის ეკლესია, ფეხთაინის ეკლესია, ძველად ბეთლემის მღვთისმშობლად წოდებული, ტფილისის ახლოს თელეთის წმიდა გიორგის ეკლესია, შავნაბადას ეკლესია, თელავის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ერეკლე მეფის სახლის ეზოში ყოფილა, ჯავახეთში კუმურდოს ეკლესია და სხვა“⁶⁰.

„XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მრავალი მებატონის მამული უვარდებოდა სომეხ დიდვაჭარს. ზოგჯერ ამ მამულში მსხდომი გლეხები ახალი მებატონის სარწმუნოებასაც ღებულობდნენ“⁶¹. ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას 1976 წელს დმანისის რაიონის სოფელ ვარდისუბანში ასეთი საინტერესო მასალა აქვს დაფიქსირებული: ვარდისუბანში

ცხოვრობდნენ ქართველები და სომხები. სომხები ეწერებიან მინასინცებად, მიქელიანცებად, ავაქიანებად და მარქარიანებად, პასპორტშიც უწერიათ, რომ არიან სომხები. მათ სომხური ენა არ იციან. მათი მშობლიური ენა ქართულია. ყოფითი წეს-ჩვეულებებით და კულტურის ყველა ნიშნით ქართველები არიან, სომხურ ყოფასთან არაფერი აკავშირებთ. თითქოს ისეთი სურათი იქმნებოდა, რომ სომხების ქართველებთან ასიმილაციას უნდა ჰქონოდა ადგილი, სინამდვილეში კი ეს ასე არ არისო, წერს ნ. ვოლკოვა. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ აქაური სომხური გვარის მატარებლები წარმოშობით ქართველები არიან და აქ ასი-ოდე წლის წინ მოსულან სხვადასხვა რაიონებიდან. ასე, მაგალი-თად, მინასიანცების და მიქელიანცების წინაპრები დიღმელი თეთრაძეები ყოფილან, რომლებიც დიღმიდან სამი თაობის წინ გადასულან, მარქაროვების წინაპარი გორელი მენაბდიშვილები ყოფილან, მარქაროვებს ვარდისუბანში ახლაც მენაბდიანთ ეძახიან (პატრონიმიულ სახელს) და არა მარქაროვებს. აქაურებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ შეუცვალა ადგილობრივმა სომეხმა მემამულემ ქართველებს ქართული გვარები სომხურად.

1985 წ. ამავე სოფელში იგივე მასალა იქნა დამოწმებული, მაგ. სიმონიშვილებს სომეხმა მებატონებ სიმონიანცებად გადაუკეთა გვარი.

...განსაკუთრებით ღირებულია XIX საუკუნეში რამდენჯერმე ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები და 1886 წელს საოჯახო სიები... ქართველი მონიფიზიტები (გრიგორიანები) ხშირ შემთხვევაში სომხური ეროვნებისადმი არიან მითვლილი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აზრი აღმწერ-თა მიერ სარწმუნოებრივ მომენტზეა გადატანილი. თუ ქართვე-ლი მართლმადიდებლური რწმენის გარდა აღიარებდა სხვა სარწმუნოებას, ის მოსახლეობის შეხედულებით ქართველი აღარ იყო. ასე მოინათლნენ სომხებად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქა-

როველოს გარკვეული ნაწილი, ფრანგებად (და სომხებად) – კა-თოლიკე ქართველები სამცხე-ჯავახეთში, ინგილოებად მაპმად-იანი ქართველები ისტორიულ ჰერეთში, თურქებად მაპმადიანი ქართველები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ცნობილია, რომ საქართველოში მონფიზიტობა გავრცელდა ქართველთა შორისაც და ჩამოყალიბდა ქართველ გრიგორიანთა თავისებური ჯგუფი... გორის მაზრის თარიანის საზოგადოების სოფელ ახალდაბაში სხვადასხვა გვარის ქართველებთან ერთად მოსახლეობები პაპუაშვილები, თათრიშვილები, ნაცვლიშვილები, თანდილაშვილები, გიორგაშვილები, კუტიშვილები, ჯავახიშვილები, ჩამოთვლილ გვართა წარმომადგენლები სომხური ეთნიკური ფენისადმი არიან მიკუთვნებულნი, ჩვენი ღრმა რწმენით სარწმუნოებრივი მომენტის გამო. აღნიშნული გვარსახელების მატარებელნი ამავე საოჯახო სიის მიხედვით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც არიან განსახლებულნი და ყველანი ქართველებს ეკუთვნიან... საერთოდ, 1886 წლის საოჯახო სიით შეიძლება გამოთვლა, თუ რამდენი კომლი, გვა-რი, სული არის ჩამოცილებული ხელოვნურად ქართველ ეთნოსს და მექანიკურად სხვა ეთნოსზე, ამ შემთხვევაში სომხურზე მიწერილი.... ახალქალაქის (ქართლის) სომხური გვარსახელების ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით, მაგრამ უნდა დავასახელოთ ზოგიერთი „სომხური“ გვარსახელი: მამასახლისშვილი, ქვრივ-იშვილი, ხუციშვილი, მეზურნიშვილი, გოგინაშვილი, ოქრომჭ-ედლიშვილი, ჩალაშვილი, ტატანაშვილი, აბუაშვილი, გაბრიელიძე, წვერიაშვილი, მჭედლიშვილი, ნასყიდაშვილი, ივერიანოვი, ფირალიშვილი, გოდერძიშვილი, მამაცაშვილი... ჩამოთვლილ გვარსახელებს ქართული ძირები აქვთ, ეთნოგრაფ-იული მასალებითაც ისინი გრიგორიანი ქართველები იყვნენ... გორის მაზრის სოფ. ბერბუქში მოსახლეობდნენ გიგაურები. საოჯახო სიით გიგაურები სომხურ-გრიგორიანული

სარწმუნოების გამო, სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული... ვერზეიაშვილების ერთი კომლი თუ სომხური გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი და ეროვნებით „სომეხია“, მეორე – მართლმადიდებელია და ქართველია. გორის მაზრის სოფ. ვაყაში სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული: იმედაშვილი, მამულაშვილი, მეკარიშვილები... გრაკალში – პაპუაშვილები, გოგინაშვილები, ღურგლიშვილები, ტატიაშვილები; დიდ გარეჯვარში – თუშიშვილები, მუნჯიშვილები; დარბში – კულუმბეგაშვილები, დოლიაშვილები, მოძმანაშვილები, თეთრუაშვილები, ქოთუაშვილები, ბერიანაშვილები, პაატაშვილები... ზემორებში – კაკიტაშვილები, მამუკელაშვილები, ქართველიშვილები, კაბულაშვილები; ტყვიავში – ქარელები, მერაბიშვილები, გიგუაშვილები, ხაბაზიშვილები და მრავალი სხვა... სოფ. კავთისხევში სომხურ-გრიგორიანული რწმენის გამო სომხური ეროვნებისადმი არიან მიკუთვნებული ნანიკაშვილები, ქსოვრელები, ირემაშვილები, ბასიაშვილები, ბიჭიკაშვილები... ქვახვრელში – ბერიკაშვილები, პაპიაშვილები, გოგოლაშვილები, მათიაშვილები, ხუციშვილები, გიგოლაშვილები... ახალგორში მოსახლეობდნენ ისეთი გვარებიც, რომლებიც სომხური ეთნოსისადმი კონფესიური მიკუთვნებულობის გამო არიან მიწერილი. ასეთ გრიგორიან ქართველებს შორის შეიძლება დავასახელოთ: მზარეულოვი, ბურდინოვი, მეარაყოვი, კაკილოვი, კიკოლაშვილი, ხუბაშვილი, ხუციულაშვილი, ბერიაშვილი, ლოსეურაშვილი, გათენაშვილი, გელიაშვილი, დათიაშვილი, გრემელაშვილი, ცაგარელი. ეთნოგრაფიული მასალებითაც ჩამოთვლილი გვარები ქართველები არიან, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო მიიღეს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება და შესაბამისად მიეკუთვნებიან სომხურ ეროვნებას... ქართველი გრიგორიანების ჩამოთვლა 1886 წ. სს-ის მიხედვით შეიძლება გაგვეგრძელებინა აგრეთვე

თბილისის, თელავის, სიღნაღის მაზრებიდან... ავიღოთ მაგალითად, თბილისის მაზრის სოფელი – ახალსოფელი, საღაც მოსახლე კაზაროვების ერთ ნაწილს მიწერილი აქვთ – „ესენი მათიაშვილები არიან“, სოფელ კუმისში მკვიდრობდა „კეკელოვი (ესენი ალავერდაშვილებია)“. კუმისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ (გრიგორიანული რწმენის გამო კი სომხებად არიან ჩაწერილი)... ბაბალაშვილი, გურასპაშვილი (შეადარე გურასპაული), საყვარელაშვილი, მათურაძე, თათარაშვილი, გზირიშვილი, გარსევანოვი, ხორიტოვი, გურამოვი, გაბიევი, ჟუჟიაშვილი, ტეტიაშვილი, კახელაშვილი, ქობულაშვილი, ოლქიაშვილი, დედილაშვილი, ნინიაშვილი, სოზიაშვილი, მაისურაძე, საყვაროვი, კახუროვი, როსტიაშვილი... პატარა ენგეთში „გრიქურაშვილი (ესენი მესტვირიშვილები არიან)“, სართიჭალაში – „სტეფანოვი (ესენი გარსიაშვილებია)“; სანიორეში – „ოხანაშვილი (ორკოდაშვილებია)“, „სარქისაშვილი (კიკუაშვილებია)“, ყანდაურაში – „კუზანაშვილი (გამტკიცულაშვილებია)“, ჩუმლაყში – „დემუროვ (მენაბდიშვილებია)“, ანანურში – „სტეპანოვ (მუხაშვილებია)“... მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში სომხური მოსახლეობა იყო და, შესაბამისად, ქართველი გრიგორიანებიც, მაგრამ ამ უკანასკნელთა რაოდენობის ზრდა განსაკუთრებით იგრძნობა XIX საუკუნის შუა ხანებიდან (არაერთი მაგალითი შეიძლებოდა მოგვეტანა XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდის კამერალური აღწერებიდან, რომლებშიც ესა თუ ის გვარები ჯერ მართლმადიდებლებად და ქართველებად, შემდეგ გრიგორიანებად და სომხებად არიან ჩაწერილი). საქართველოში XIX საუკუნეში ქართველი გრიგორიანების ზრდა, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფ ზრდასა და 1811 წლიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვასთან⁶².

პ. მურადიანს ასეთ სომხებად მიაჩნია ყარაშვილი, ბიჭიაშვილი, ჩეკურიშვილი, გაბრიელაშვილი, მუსხელიშვილი (ბ. არველაძე, სომხური და ქართული ეკლესიები, 1996, გვ. 46).

XX ს. დასაწყისში შიდა ქართლის რაიონებში 133 სომხურ ეკლესიას 133 მღვდელი ტერტერა ემსახურებოდა, მრევლი 100 000-მდე კაცს შეადგენდა.

ეკონომიკური ზემოქმედების შესახებ წერს ქ. შარაშიძე, მატენადარანში დაცული ქართული ხელნაწერების ერთ ნაწილზე მუშაობის შემდეგ. „ამ ჯგუფში საყურადღებოთ იყო რამდენიმე საბუთი, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ სომეხთა ეკლესია, საქართველოს ზოგიერთ რაიონში, თუ შეიძლება ითქვას, ფულადი თანხის გამსესხებელი დაწესებულების ფუნქციას ასრულებდა, არა მარტო სომეხი, არამედ ქართველი მოსახლეობისათვისაც“.

„საყურადღებოა სომეხ კათალიკოს ნერსესის პუმანური პიროვნება (1760-1857)... მან დააარსა სომხური სემინარია და დაწყებითი სკოლები თბილისში, უმაღლესი სასწავლებელი... ნერსესი დახმარების ხელს უწვდის ქვრივობლებს. თელაველი ქვრივის, სომხის ქალის მიმართვა ხსენებული პიროვნებისადმი მოწმობს, რომ ნერსესის დახმარებით იზრდებიან, შესაბამის ასაკში მზითვდებიან და ქორწინდებიან ქვრივის ობოლი გოგონები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ნერსესის ქველმოქმედება არ არის შემოფარგლული ნაციონალური და რელიგიური ზღუდეებით. ნერსესმა ჩინებულად იცის ქართული... საყურადღებოა, რომ ნერსესი, ეტყობა, პირადად მიდიოდა ქართლის სოფლებში ზოგიერთი საქმის მოსაგვარებლად. XIX საუკუნის I ნახევარში ამ კათალიკოსს ნივთიერი დახმარებისა და მფარველობისათვის ქართველებიც მიმართავენ... ნერსესს მიმართავს ვინმე თამარი, ეტყობა, დიდი თავადის მეუღლე, რომლის ქმარიც ტყვეობაშიც დაღუპულა. დაღუპული, ჩანს, გარკვეულ

პოლიტიკურ როლს თამაშობდა, ვინაიდან მისი ოჯახისათვის ჩამოურთმევიათ ყმა და მამული, ქვრივი სასტიკ სიღარიბეში ჩავარდნილა. თამარი მეტად თავდახრილად სთხოვს ნერსეს ნუგეშს და დახმარებას. აღსანიშნავია, რომ ამ ქართველი თავადის მეუღლე ქართულ ენაზე მიმართავს სომხური ეკლესიის მეთაურს, ამავე დროს კი გაუქმებული ქართული ეკლესიის მეთაური რუსი ეგზარქოსები სასტიკად დევნიდნენ ქართულ ენას. თავადის ქვრივისათვის ქონება სწორედ რუსეთის (მართლმადიდებელთა) ხელისუფლებას ჩამოურთმევია, სომეხი ხელისუფალი კი მას ხელს უმართავს. ცხადია, გასომხებისათვის პირობები შექმნილია.

ქ. შარაშიძე წერს – „ახალი ამბავი არ არის, რომ საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ქართული ენა საუკუნეების მანძილზე მშობლიური ენა გახდა და ქართული მწიგნობრობა მათი უდიდესი ნაწილისათვის ერთადერთი იყო, რომელსაც ისინი ფლობდნენ. მატენდარანის ჩვენ მიერ ანოტირებული საბუთები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ამ ფაქტს. ქართულად იწერება მოკითხვის ბარათები, ქართულად წარმოებს საქმიანი მიმოწერა ოჯახის წევრებშუაც, ქართულად იწერება არა თუ კერძო პირების ანგარიშები, დავთორები, თამასუქები, არამედ სომეხთა ეკლესიების ოფიციალური ანგარიშებიც.

საყურადღებოა, რომ სამი ვაჭარი ძმა, რომელთაგან ერთი თბილისში ვაჭრობს, მეორე – ერევანში და მესამე კიდევ – ყარსში, ერთმანეთთან ქართული მიმოწერით არიან დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო იყო ნერსეს კათალიკოსის მიმართ 1826 წლის ახლოს დაწერილი ბარათი...“⁶⁴

XIX საუკუნეში, იმ დროს, როცა ქართული ენა ამიერკავკასიის და საქართველოს მოსახლეობის უმთავრესი ენა იყო, თბილისში არ არსებობდა არც ერთი ქართულენოვანი სკოლა თუ

სასწავლებელი (XIX საუკუნის 60-70-იან წლებამდე) მაშინ, როცა იმავე დროს თბილისში არსებობდა სომხურენოვანი სემინარია, სხვადასხვა სომხური სახელოსნო სასწავლებელი და უმაღლესი სასწავლებელიც კი. მოსახლეობა და მათ შორის ქართველი მოსახლეობაც (განსაკუთრებით მოქალაქენი) თავიანთ შვილებს ამ სომხურ სასწავლებელში აბარებდნენ, სადაც ისინი სწავლობდნენ კიდეც სომხურ ენას, მათთვის უცხო ენას.

უნდა დავასკვნათ, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) ერთიანი ქართველი ხალხიც განიცდის დენაციონალიზაციას, სხვადასხვა ქართულ სამეფო-სამთავროებში დანაწილებულ ქართველობას უჩნდება კუთხური პატრიოტიზმი, ყალიბდება იმერლობა, ქართლობა, ქახელობა თუ მეგრულობა, ამავე დროს ქართველთა ერთი ნაწილი „თათრდება“, „ფრანგდება“, „სომხდება“, განსაკუთრებით კი მიმდინარეობდა ქართველთა არმენიზაცია. მთიანი ნაწილის ქართველობაც დენაციონალიზაციას განიცდიდა. ეს პროცესი გაგრძელდა XIX საუკუნეშიც. თუმცა, ამავე საუკუნის ბოლოს დაიწყო კონსოლიდაციის პროცესი, ამ დროს ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციისადმი ანტაგონისტურად განეწყო სომხური ბურჟუაზია. გ. მელიქიშვილი წერს – „მეორე მხრივ, ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესისადმი ანტაგონისტურად განწყობილი აღმოჩნდა აგრეთვე ძლიერი სომხური ბურჟუაზია, რომელიც გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს ამ ხანის საქართველოში და კავკასიის ზოგ სხვა რაიონში“⁶⁵. და ეს, ცხადია, ხელს უწყობდა გრიგორიანელი ქართველების სომხებში ასიმილაციას.

ლიტერატურა

- 1) შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტ-ორიიდან, 1979, გვ. 27; 2) ო. გვილავა, ისპაჲანი, შირაზი, ქაშანი, 1980, გვ. 103; 3) შ. ლომსაძე, გვიანი..., გვ. 39; 4) შ. ლომსაძე, გვიანი..., გვ. 38; 5) იქვე, გვ. 40; 6) იქვე, გვ. 38; 7) იქვე, გვ. 40; 8) მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობის, ქართველთა შორის, 1902, გვ. 127; 9) შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975, გვ. 302; 10) იქვე, გვ. 32; 11) იქვე, გვ. 302-303; 12) გ. მაისურაძე, ქართველ და სომებს ხალხების ურთიერთობა, 1982, გვ. 315; 13) მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904, გვ. 67; 14) იქვე, გვ. 78; 15) ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918, გვ. 145; 16) იქვე, გვ. 146; 16ა) იქვე, გვ. 146; 17) ს. ავალიანი, ანტონ პირველი, 1987, გვ. 21; 18) „მზამეტყველება“ ქმნილი ანტონ I საქართველოს კათოლიკობისაგან, 1882, გვ. 5; 19) ევ. ნიკოლაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 147-148; 20) იქვე, გვ. 147; 21) გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 226-227; 22) იქვე, გვ. 267-268; 23) იქვე, გვ. 269; 24) იქვე, გვ. 264; 25) მ. თამარაშვილი, პასუხად..., გვ. 75; 26) ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1978, გვ. 287; 27) მზამეტყველება, გვ. 596-597; 28) იქვე, გვ. 112; 29) გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 265; 30) მ. თამარაშვილი, პასუხად... გვ. 78; 31) გ. მაისურაძე, გვ. 166; 32) იქვე, გვ. 149; 33) იქვე, გვ. 166; 34) იქვე, გვ. 167; 35) გ. უორულიანი, საქართველო XVII ს. 30-50-იან წლებში, 1987, გვ. 62; 36) იქვე, გვ. 63; 37) იქვე, გვ. 71; 38) იქვე, გვ. 71-72; 39) იქვე, გვ. 72; 40) გ. მაისურაძე, გვ. 172; 41) იქვე, გვ. 175; 42) იქვე, გვ. 175; 43) მ. თამარაშვილი, პასუხად... გვ. 238; 44) გ. მაისურაძე, გვ. 176; 45) იქვე, გვ. 304; 46) მ. თამარაშვილი, პასუხად... გვ. 238; 47) იქვე, გვ. 205; 48) ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, 1906, გვ. 68; 49) გ. მაისურაძე, გვ. 305; 50) გრ. რობაქიძე, გველის პერანგი, 1988,

გვ. 70; 51) გ. მაისურაძე, გვ. 319; 52) იქვე, 312; 53) იქვე, გვ. 312; 54) ბ. თამარაშვილი, პასუხად... გვ. 234; 55) იქვე, გვ. 310; 56) იქვე, გვ. 311; ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 105; 58) იქვე, გვ. 94-112; 59) შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 501-502; 60) ბ. თამარაშვილი, პასუხად... გვ. 232; 61) რ. ოოფტიშვილი, XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები, მნათობი, 1987, №13, გვ. 158-160; ფ. ყველაზე, ყველაზე ყველაზე დ ყველაზე ყველაზე, ყველაზე ყველაზე დ ყველაზე-ყველაზე ყველაზე ყველაზე, ყველაზე, ფ. 1978, ფ. 16-17. 62) რ. ოოფტიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 160; 63) ქ. შარაშიძე, ერევანში მივლინების მასალები, „მრავალთავი“ XIII, 1986, გვ. 115; 64) იქვე, გვ. 117; 65) საქ. ისტორიის ნარკვ. ტ. 1, 1970, გვ. 330.

ბოლოსიტყვა

რუსი ეთნოგრაფი ვოლკოვა, მიუდგომელი ქართველთა გასომხების საკითხში, საარქივო მასალებზე დაყრდნობით წერს, რომ XX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლში ეჩმიაძინს ჰყავდა თითქმის ასი ათასიანი მრევლი. ისინი ეთნიკური წარმოშობით ქართველები იყვნენ (სარწმუნოებრივად ყოფილი მართლმადიდებლები, გამოსულნი ქართული ეკლესიის წიაღიდან). თითქმის ამავე ციფრს ასახელებს საუკუნის დასაწყისში ცნობილი მკვლევარი ალექსანდრე ფრონელი, რომლის მიხედვითაც მისი დროისათვის გასომხებული ანუ გაგრიგორიანებული იყო 400 000 ქართველი. მან უამრავი ცოცხალი მაგალითის მოტანით დაამტკიცა, რომ ქართველების დენაციონალიზაციის უმთავრესი მიზეზი იყო ოსმალთა, სპარსელთა და ლეკთა მიერ ქართული ეკლესიის მიზანმიმართული დევნა, იგი 1914 წელს წერდა: „ვინ იფიქრებს, რომ რომ ქართველი სულ რაღაც 130 წლის წინათ ასე იჩაგრებოდა, ბევრს ზღაპრად მოეჩვენება ორი მილიონი ქართველის გამაჰმადიანება და 400 ათასის გასომხება, მაგრამ სრული ჭეშმარიტება და სინამდვილე კია“ (ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, ქ. გორი, 1914, გვ. 28).

ალ. ფრონელის დროს 100 ათასი გრიგორიანი ქართველის (ე.წ. „სომხების“) საცხოვრისს წარმოადგენდა შიდა ქართლის ქალაქები და სოფლები. დანარჩენი 300 000, ჩანს ალ. ფრონელის აზრით ცხოვრობდა თბილისსა, ქვემო ქართლსა, კახეთსა და მესხეთში (ოსმალოს საქართველოში). იაკობ ახუაშვილს მოჰყავს ჩანაწერი XVIII ს. ევროპელი მისიონერის დღიურიდან, რომლის მიხედვითაც ქართველი დაპყრობილ საქართველოში იძულებული ხდებოდა უარეყო დედა ქართული ეკლესია და მიკედლებოდა არაეროვნულ ეკლესიას, წინააღმდეგ შემთხვევაში: 1. მას

ოსმალეთის სახელმწიფო გამოაცხადებდა საშიშ კაცად, დაუწყებდა თვალყურის დევნას; 2. სადავო საკითხის წამოჭრი-სას გაამტყუნებდა; 3. სასამართლოც უთუოდ დაადანაშაულებდა, მართალიც რომ ყოფილიყო; 4. სამუშაო არ მიეცემოდა, კარგი ხელოსანიც რომ ყოფილიყო; 5. ქართველის (ე.ი. ქართული ეკლესიის წევრის) ქონების წამრთმევი არ დაისჯებოდა, ქართველი ქალი განსაკუთრებით იჩაგრებოდა მუსლიმთა მიერ; 6. მუსლიმ-ანის წყენინების შემთხვევაში ქართველი (ე.ი. მართლმადიდებელი, ქართული ეკლესიის მრევლი) განსაკუთრებულად დაისჯებოდა; 7. ქართველებს ეკრძალებოდათ ლხინი, სიძლერა და ქორწილის წვეულება; 8. მიცვალებულის დასაფლავების ნება ეძლეოდათ ღამით, გალობისა და წესის შესრულების გარეშე; 9. ქართველ მღვდელს ოსმალეთში განიხილავდნენ, როგორც განსაკუთრებულად ცოდვიან ადამიანს, ამიტომაც გარდაცვალებისას ღრმა საფლავს უთხრიდნენ, რადგანაც ფიქრობდნენ: „ქართველი მღვდელი ისე ცოდვილია, თუ ღრმად არ ჩავფალით, მიწა ამოისვრის“ (ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, 1994, გვ. 110), თუმცა იმავე დროს სომეხ თუ კათოლიკე მღვდლებს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ამის გამო ქართველი მღვდლები იმულებულნი გამხდარან, ერისკაცის ტანისამოსი ჩაეცვათ და მალულად შეესრულებინათ ქრისტიანული წესები, თუმცა, მაინც, საბოლოოდ მათ მთელი მრევლი დაკარგეს მესხეთში. ქართველობა ან გამაპმადიანდა ან გასომხდა.

ქვემო ქართლსა და თბილისში გასომხებას მასიური სახე მიუღია აღა მაპმად ხანის შემოსევის შემდეგ. მტერი მხოლოდ ქართველებს ხოცავდა, სომხებს კი ინდობდა. „დოსითეოს ფიცხელაურის გადმოცემით ჩუღურეთში, კუკიაში, შავ სოფელში, ვერაზე და ავლაბარში ძალიან ბევრმა ქართველმა მიიღო სომეხთა რჯული... მტრის უკან მობრუნების შიში ძლიერი იყო. ხმა იყო დარხეული, რომ მტერი მეორედ აპირებს მოსვ-

ლას თფილისზე, ქართველებს ყველას დახოცავს და აბა რა ძალა გვადგა, რომ ჩვენც მტერს თავი მიუცეთ ხელშიო. ამ დროს არიან გასომხებული მაისურაძეები, ლაზარაშვილები, მერაბიშვილები, ნიკულაშვილები და სხვანიც მრავალნი“ (გაზ. სამშობლო, 1915, №178).

სამწუხაროდ, რუსებით XIX საუკუნეში, როგორც ადრე ოსმალები და ირანელები, მხოლოდ ქართულ ეკლესიას დევნიდნენ. მოსპეს ქართული ეკლესიის ორგანიზაცია, ხოლო სომხურ ეკლესიას ხელი არ ახლეს და დაუტოვეს საკათალიკოსო წყობა. სომეხთა პატრიარქი რუსების დროს თბილისში იჯდა. რუსების მიერ ქართული ეკლესიის მიზანმიმართული დევნის გამო XIX საუკუნეში ქართველთა გასომხების პროცესი არა თუ შეწყდა, არამედ გაიზარდა კიდეც. ამას თან დაერთო ეკონომიკური მოტივები. ვ. გაბაშვილის თქმით, XIX ს-ში მდიდარი სომხური და კათოლიკური ეკლესიები ქრთამით იბირებდნენ ქართველებს თავის მრევლში (ვალერიან გაბაონი, „აივნიანი ქალაქი“, 1988, გვ. 500).

რუსეთის ხელისუფლება ქართული ეკლესიის თავისთავადობის გაუქმებით არ დაკმაყოფილებულა, სახელმწიფოს ხაზინას გადაეცა მთელი მისი ქონება, ამავე დროს კი სომხურმა ეკლესიამ თავისი ქონების გამოყენებით თბილისში გახსნა სომხური სემინარიები, სასწავლებლები. თბილისი XIX ს-ში რუსეთის წყალობით სომეხთა უმთავრეს და უდიდეს კულტურულ-სულიერ ცენტრად გადაიქცა. ეს ამ საუკუნეში ხელს უწყობდა ქართველების გასომხებას თბილისში, ქართლსა და კახეთში.

მიტროპოლიტი ანათოლი ჯაფარიძე

სერია: ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან
განშორებული ქართველებისა

მესხეთი

ქართველთა გამაჟმაღიანება

- I. საქართველოს კუთხეთა გამაჟმაღიანება
- II. მესხების გამაჟმაღიანება
- III. გათათრება
- IV. ქართული ენის დავიწყება
- V. გამაჟმაღიანებულთა გვარები

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია
1999

წმიდა ილია მართლის თქმით, „აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლებაა, მერმისის გამორკვევა სიბნელისაგან“. ჩვენი ხალხის ისტორიული მეხსიერების აღდგენას ისახავს მიზნად მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის მონოგრაფიების სერია – „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“. მათში გადმოცემულია მტერთა მიერ დაპყრობილ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მცხოვრებ იმ ქართველთა ბედი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო დატოვეს ეროვნული ეკლესია, სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილი ეთნიკურად გადაგვარდა.

წინამდებარე ნაშრომში უხვ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ოსმალთა და ირანელთა მიერ დაპყრობილი საქართველოს კუთხეთა გამაჰმადიანება, კერძოდ, მესხების გამაჰმადიანება, რომელსაც ხალხი „გათათრებასაც“ უწოდებდა. გადმოცემულია, აგრეთვე, მათ მიერ ქართული ენის დავიწყება და გამაჰმადიანებულთა გვარები.

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 1999

საქართველოს პუნქტია გამაჟმაღიანება

შეა საუკუნეებში საქართველო დიდ ქვეყანად ითვლებოდა, ხოლო ქართველობა მრავალრიცხოვან ერად. ეს მართლაც ასე რომ ყოფილა, იქიდანაც ჩანს, რომ თვით XIX საუკუნის დასაწყისში, უმძიმესი XVI-XVIII საუკუნეების განვლის შემდეგაც კი, ქართველობა ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი იყო ამიერკავკასიაში და ის შავსა და კასპიის ზღვებს შორის მცხოვრები მოსახლეობის თითქმის ნახევარს (44%) შეადგენდა.

ლათინურ ენაზე შექმნილ ერთ თხზულებაში, რომელიც XIV-XVI საუკუნეებს შეეხება, იბერია, ანუ საქართველო მოხსენიებულია, როგორც უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც თავისი ენა და დამწერლობა გააჩნია (იხ. ლ.ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, 1980 წ., გვ. 17).

სწორედ ამ მიზეზის გამო უცხოელები ქართული ეკლესიის მეთაურს ზოგჯერ „მთელი აღმოსავლეთის პატრიარქს“ უწოდებდნენ (იხ. ო.ჟუჟუნაძე, XV ს. I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტორიისათვის, კრებული: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო... I, 1970 წ., გვ. 16).

ოსმალეთის იმპერიის დაარსების დროისათვის ქართველი ხალხით დასახლებული იყო არა მარტო ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი, არამედ მცირე აზიაში ევფრატის, ჭოროხისა და არეზის ხეობათა სათავეები. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის სამეფო ამ დროისათვის თავის ეთნიკურ საზღვრებს მოიცავდა, მაინც ესაზღვრებოდა გელაქუნის ტბას, ხოლო კახეთის სამეფო ვრცლად იყო გადაჭიმული აღმოსავლეთ შაქამდე.

ქართველთა გამაჟმადიანების შემდეგ საქართველოს საზღვრები მკვეთრად შემცირდა. გამოანგარიშებულია, რომ საუკუნის დამდეგს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია შეადგენდა 34270 კვადრატულ კილომეტრს საკმაოდ მომრავლებული

მოსახლეობითა და განვითარებული ფეოდალური მეურნეობით (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1995, გვ. 26). მაშასადამე, მისი ფართობი დღევანდელი საქართველოს (69.000 კვ. კმ) ნახევარს უტოლდებოდა.

გამაპმადიანდა ქართველობის კოლონიალური რაოდენობა, კერძოდ, გამაპმადიანდა მთელი მხარეები საქართველოსი: ჰერეთი, ლაზეთი, აღმოსავლეთ კახეთი, მესხეთი, ქვემო გურია, აჭარა, თუ არ ჩავთვლით აფხაზეთის და ჩრდილო კავკასიის მკვიდრ გამაპმადიანებულ ქართველობას.

ძველ ქართველებს კახეთის აღმოსავლეთით, ბარდავამდე მოქცეული მიწა-წყალი ქართველი ხალხის საცხოვრისად მიაჩნდათ, ხოლო იქ დამკვიდრებულ მოსახლეობას თანამემამულეებად თვლიდნენ. ხორენელის ცნობის მიხედვით, წმიდა ნინომ ქართველთა ქვეყანა განანათლა, ვიდრე მასქუთებამდე. მასქუთებს კასპიის ზღვის პირას მცხოვრებ ტომს უწოდებდნენ. რანის მოსახლეობა ქართველთა მეფე ბაქარს მოუნათლავს. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, „რანი ბარდავამდის“ – მირიან მეფის სამეფოში შემოდიოდა. „...აქედან გასაგებია ის ახლო ინტერესი (პრეტენზია), ქართველები რომ ამ სასაზღვრო ქვეყნის მიმართ იჩენდნენ“... (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 624).

კიდევ უფრო შორს იყო გადაჭიმული ჰერეთი. საქართველოს საზღვარი აქ მდინარე თეთრწყლამდე და შამახის მთებამდე აღწევდა, ანუ იქამდე, სადაც მტკვარს ერთვის არეზი (არაქსი). ერთერთი პირველი, მონღოლთა შემოსევების გამო, სწორედ ეს ქართული ქვეყანა გამაპმადიანდა, აქ, ყოფილ „საარიშიანოში“ შაქის ქვეყანა წარმოიქმნა, შემდეგ კი – ნუხის სახანო.

ჰერეთის გამაპმადიანების შემდეგ სხვადასხვა მიზეზის გამო გამაპმადიანდა აღმოსავლეთ კახეთი. აღმოსავლეთ კახეთში მდებარეობდა კახეთის სამეფოს ყველაზე უხვოსავლიანი მიწები,

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ამიტომაც აქ იყო კახეთის სამეფოს ძველი დედაქალაქებიც (ზაგემი, ბაზარ-ქალაქი), მნიშვნელოვანი ქალაქები (ბელაქანი, ჭარი, ფიფინეთი, კახი, ქურმუხი). აქ იჯდა გიშელი ეპისკოპოსი. აღმოსავლეთ კახეთის გამაპატარიანების შედეგად დიდად შემცირდა ქართველი ქრისტიანების რაოდენობა.

ასევე ითქმის ლაზეთის შესახებაც.

მართალია, ლაზეთი დიდი წნის მანძილზე ბიზანტიის იმპერიის გავლენას განიცდიდა და მის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა, მაგრამ ის ყოველთვის წარმოადგენდა ქართულ ქვეყანას და ასეთად დარჩა ბოლომდე, გამაპატარიანების შემდეგაც. ლაზეთს შემდგომ ტრაპიზონის იმპერიასაც უწოდებდნენ – „უდავოა ის ფაქტი, რომ ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველური ტომები, მოსული ელემენტები (ბერძნები, სომხები და სხვა) აქ არ წარმოადგენდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს“ (წ. ბაწაში, ეთნო-რელიგიური პროცესები, 1988, გვ. 4).

ლაზების რიცხობრივი რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ არა მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში წარმოადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას, არამედ მთელი ოსმალეთის შავიზლვისპირეთში. ცნობილია, რომ ისლამის გავრცელებისას ლაზების ერთი ნაწილი გამაპატარიანების თავიდან აცილების მიზნით ინარჩუნებდა ქრისტიანობას გაგრიგორიანებით და ასევე ბერძნული ეკლესიის წევრად განდომით. მიუხედავად ამისა, მაჲ მადიანი ლაზების რაოდენობა მრავალ ათეულ ათასს აჭარბებდა. წ. ბაწაში წერს, რომ ლაზეთის ქართველობა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად იღებდა გრიგორიანობას, კათოლიკობას, უფრო ხშირად კი ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს და მათივე მუსულმანი თანამეტომეების თვალში ხდებოდა შესაბამისად: სომხად, ფრანგად, ბერძნად. ქართველები „სწორედ ამის გამო მუსულმან ქართველს უწოდებდნენ თათარს ან თურქს“

იმის მიხედვით, სლამის რომელ მიმდინარეობას აღიარებდნენ – შიიზმს თუ სუნიზმს; ქართველს, რომელსაც გრიგორიანობა ჰქონდა მიღებული – სომეხს, ქართველ კათოლიკეს – ფრანგეს, იუდაიზმზე გადასულს კი – ებრაელს“ (თემატიკურ ქ.ქ. ქ. XVII ქ. თემატიკურ თემატიკურ თემატიკურ თემატიკურ თემატიკურ VI, ქ., 1976 ქ., თემ. 248).

საქართველოს სამოციქულო ეკლესია ამ პერიოდში ჭეშმარიტად დედა იყო ქართველობისა, რამეთუ თვით ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიკედლებულ ქართველებსაც კი აკარგვინებდნენ ბერძნები ქართულ ენასა და ეროვნებას, იძულებით ათვისებინებდნენ ბერძნულ ენას, ასევე იკარგებოდნენ გრიგორიანი ქართველებიც ქართველი ერისათვის, - ისინი სომხეთებოდნენ. უფრო მეტიც, სწორედ მაჰმადიანი ქართველები ინარჩუნებდნენ ქართულ ენას ქართული ეკლესის საქმიანობის ოსმალეთში აკრძალვის შემდეგ.

„ბერძნულ ეკლესიას დაქვემდებარებული ადგილობრივი მცხოვრებნი თანდათანობით ბერძნდებოდნენ, მაგალითად, ლაზი-ქრისტიანი აუცილებლად ბერძნულ სახელსა და გვარს ატარებდა, ვალდებული იყო წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე მოესმინა, „წმინდა და წერილები“ ბერძნულად ეკითხა, სკოლაში ბერძნულ ენაზე ესწავლა... ქართული ენა, მისი ლაზური დიალექტები ოჯახებიდანაც კი იდევნებოდა, როგორც უსჯულოთა ენა.

მშობლიური ქნის შენარჩუნება მხოლოდ იმ ღაზებმა შესძლეს, რომლებიც ოდესლაც ქართულ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და შემდეგ მუსულმანია მიიღეს“ (იქვე, გვ.43).

აქედანაც ჩანს, თუ რა მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს ქართველი ადამიანი საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, რატომ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მისი მრევლი. თვით მართლმადიდებლური ბერძნული ეკლესია, რომელიც მსოფლიო

ქრისტიანობის სარწმუნოებრივი ბურჯი იყო, ეროვნებას აკარგვინებდა ქართველ მრევლს, თუ არას ვიტყვით სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებზე, მაჲმადიანობის მიღებით ხომ ქართველები ეთნო მასალად, ეთნო სუბსტრატად იქცნენ ახლად ჩამოყალიბებული ოსმალო ერისათვის, რომელსაც დღეს შეოფლიო თურქების სახელით იცნობს.

თუ რა მტკიცედ იკიდებდა ფეხს მაჲმადიანობა ქართულ მოსახლეობაში, იქიდანაც ჩანს, რომ თუმცა აჭარა და ქვემო გურია (ქობულეთის მხარე) ფაქტიურად გამაჲმადიანდა XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში, ხოლო XIX ს. ბოლოს ის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ახლადმიღებული სარწმუნოება დარჩა უცვლელი. ამ შემთხვევაში უთუოდ იმანაც იქონია მნიშვნელობა, რომ ამ დროისათვის ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული იყო, ხოლო რუსულ-ბიუროკრატიული ეკლესიის ჩინოვნიკი სამღვდელოება ახლად გამაჲმადიანებულ და მაჲმადიანობაში ჯერ კიდევ განუმტკიცებელ ქართველობას, რომელიც ეკლესიის ნანგრევებში სანთლებს ანთებდა, ფრესკებზე შემორჩენილ ხატებზე ლოცულობდა და სააღდგომოდ კვერცხებს დებავდა, თურქებად მიიჩნევდა.

ისმის კითხვა, როგორ მოხდა, რომ შორეულ ირანში, ფერეიდანში, გადასახლებულმა და შემდეგ გამაჲმადიანებულმა ქართველებმა შესძლეს ეროვნების შენარჩუნება, ხოლო ისტორიულ საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველობა (მესხები, ლაზები თუ აღმოსავლელი კახელები) გამაჲმადიანების შემდეგ ეროვნულ სახეს ფაქტიურად კარგავდა?

„1614 წელს სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს 30.000 კაცი ... 1616 წელს დახოცეს 70.000 და ტყვედ ჩაიგდეს 130.000 ... 1625 წელს, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, მხოლოდ 100.000 კაცამდე იქნა გადასახლებული ირანში“ (მ. ფათემი, „სპარსული მასალები“, 1982, გვ. 17).

თავისუფალ თავისუფალ, თავ, 1939 წ. ფ2, თავ. 83, წ.
თავისუფალ, თავისუფალ თავისუფალ... 1983, თავ. 34).

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები
ქართველები მრავლად გამაჰმადიანდნენ და გაწარმართდნენ, რაც
შეუმჩნეველი არ დარჩენია გერმანელ მოგზაურ გიულდენ-
შტედტს, რომელიც წერდა ოსებში მოქცეული ქართველი
მთიელებისა და მაჰმადიანებში მოქცეული ქართველების
გადაგვარების შესახებ. გამაჰმადიანდა, აგრეთვე, აფხაზეთის
ჩრდილოეთში დამკვიდრებული მოსახლეობა (იხ. მისი
„მოგზაურობა საქართველოში“, გ. 1-2, 1962-64).

განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანი იყო ქართველი
ერისათვის სამხრეთ საქართველოს, ანუ სამცხე-საათაბაგოს გამაჰ
მადიანება.

არა მარტო საქართველოს განაპირა მხარეების მოსახლეობა
მაჰმადიანდებოდა და ეკარგებოდა ქართველ ერს, არამედ თვით
ქვეყნის გული. სამეგრელოში ოდიშის ზღვისპირი ფოთამდე
ოსმალებმა დაიჭირეს. იმერეთში ოსმალოს ჯარი იდგა, ქართლსა
და კახეთში კი თვით დიდგვაროვანი, სახელმწიფოს სამსახურში
ჩამდგარი მოხელეები მაჰმადიანდებოდნენ. ნ. ბერძენიშვილი
წერს, რომ მაჰმადიანდებოდა არა მარტო ციხე-სიმაგრეებში
მცხოვრები ქართველობა, არამედ ციხის გარშემო მდებარე
სოფლების მოსახლეობაც (ციხის ძირები). შემდგომ
სარწმუნოებრივ-ეროვნული მდგომარეობის პროცესს ისეთი სახე
მიუღია, რომ ქართველი გლეხებიც მაჰმადიანდებოდნენ. ზოგჯერ
კი მაჰმადიანურ ქვეყნებშიც გარბოდნენ – „იკარგებოდნენ“.

„ბატონიშვილი ჩაგვრითა და უცხოელთა ძალმომრეობით
შევიწროებული გლეხები ხშირად თავიანთ მშობლიურ
ადგილებში ვეღარ ძლებდნენ, გარბოდნენ, „ყაზახობდნენ“ და
ხიზნობდნენ ქვეყნის შიგნით. ამავე დროს, „გაქცევასთან“
დაკავშირებული და მეტ-ნაკლებად გავრცელებული მოვლენა

გახდა გახიზვნა უცხოეთში, რაც უმეტეს შემთხევაში „გათათრებაში“, ანუ „გაოსმალებაში“ გამოიხატებოდა. ბატონებური ჩაგვრისაგან გაქცეულთა ლტოლვას ოსმალეთის-აკენ რამდენადმე აქეზებდა შედარებით „რბილი“ ექსპლუატაცია, რაც ამ ქვეწის ჩამორჩენილობას ახასიათებდა...“ (საქ. ისტ. ნარკვ. IV, გვ. 397).

სწორედ ზემოთმოყვანილის, ანუ ქართველთა მასიური გამაჲ მადიანების გამო ერთ დროს „უზარმაზარი ქვეყანა“ – საქართველო უმნიშვნელოდ იქცა, ხოლო მრავალრიცხოვანი ერი – პატარა ერად, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა ეროვნული დამცრობა არა იძღვნად უცხო სახელმწიფოთა აგრესიამ, არამედ შინაგანმა წინააღმდეგობამ, თემობრიობამ, ეროვნულმა დაშლილობამ და საკუთარი ეკლესიის ავტორიტეტის შებლალვამ, ანუ მცირე რწმენამ გამოიწვია.

მსხვილი გამაჲაღიანება

სამხრეთ საქართველოში გამაჲმადიანდა (გათათრდა), გაგრიგორიანდა (გასომხდა), გაკათოლიკდა (საეკლესიო სომხურენოვნების გამო გასომხდა), გაბერძნდა (კონსტანტინეპოლის ბერძნული ეკლესიის დაქვემდებარების გამო) ქართველების კოლოსალური რაოდენობა (არა მხოლოდ მკვიდრნი, რომელთაც მესხები ეწოდებოდათ, არამედ სამცხე-საათაბაგოში ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების გამო XVII-XVIII სუკუნებში გადმოსახლებული იმერლები, ქართლელები, კახელები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ლტოლვილ-გადმოხიზნულნი).

ერთი დამკვირვებელი წერს, რომ მაჲმადიანდებოდნენ მხოლოდ ქართველები, ხოლო სომხეთში მცხოვრები სომხები არ

მაჰმადიანდებოდნენ (იხ. ქვემოთ). რა იყო ამის მიზეზი? რატომ ვერ შეინარჩუნეს მესხეთის მცხოვრებლებმა ქართული ქრისტიანობა, ქართველობა?

საათაბაგო ისევე ვრცელი ქვეყანა იყო, როგორც ქართლ-კახეთი. იგი თავის მხრივ, შედგებოდა ცალკეული ქვეყნებისაგან, როგორიც იყო: ბასიანი, კარნიფორი, ტაო, კოლა, არტაანი, კარი, პარხალი, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ჯავახეთი და სხვანი.

მესხეთის ქართველობა შეადგენდა სამწყსოს მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევარი, წურწყაბელი, წყაროსთაველი, ერუშნელი, ვალაშკერტელი, ანელი, კარელი, ბანელი, დადაშნელი ეპისკოპოსებისა, რომელნიც თავის მხრივ ემორჩილებოდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. ასეთი იყო საუკუნოვანი ტრადიცია, საეკლესიო წესი. სამწუხაროდ, მესხეთში ეს წესი დაირღვა და მცხეთის ლედა-ეკლესისაგან, საუფლო კვართისაგან ეკლესიურად განშორებული მესხეთი იქცა მსხვერპლად თავისივე ეკლესიური დაუმორჩილებლობისა.

მესხეთის ქვეყანა (თორთომი), სადაც ოშკისა და ხახულის დიდებული კათედრალები იყო აღმართული, მასიურად გამაჰმადიანდა.

....თორთომი 1549 წლიდან მაჰმადიანურ გარემოში ყოფილა მოქცეული, მაგრამ იქაურ ქართულ მოსახლეობას XVII ს-ის 40-იან წლებამდე შეუნარჩუნებია ქრისტიანული სარწმუნოება, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის დროს ამ მხარის ბინადარნი ყოფილან „გაცნი, ვითარცა მესხნი და აწ სრულიად მაჰმადიანნი“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 687)... 1643 წელს ოსმალეთის სულთნის (იბრაჰიმ I, 1640-1648) ბრძანების თანახმად, არზრუმის ფაშა ჯაფარს დაუწყია ქვეყნის აღწერა, რასაც შედეგად მოჰყოლია გადასახადის მეტისმეტად დამძიმება. თორთომის ქართული მოსახლეობა ამ ფაქტის გამო იმდენად შეძრწუნებულა,

რომ ერთიანად მიუღია მაპმადიანობა, ხოლო სომხებს შეუნარჩუნებიათ სარწმუნოება. პაკობ კარნეცის ეს ცნობა ცალკე აქვს გამოყოფილი კ. კოსტანიანცს თავის წინასიტყვაობაში ... სომხური მოსახლეობის მიმართ ჭაშიანი აღნიშნავს: „ისინი ქრისტიანობას ინარჩუნებდნენ არა მარტო იმ „გვარებში“, რომლებშიც თავიდანვე სომხები ცხოვრობდნენ და მხოლოდ პოლიტიკურად ექვემდებარებოდნენ საფაშოებს, არამედ თვით საფაშოს ცენტრებშიც კი“. მაგალითისათვის, ის ლაპარაკობს ახალციხეში მცხოვრებ ქრისტიანებზე, რომლებიც მეტწილად იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას. თუ სომეხი მოსახლეობის გამაპმადიანება რამდენადმე უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე ქართველებისა, ეს გარკვეულ მიზეზებთან უნდა იყოს დაკავშირებული“ (ლ. დავლიანიძე, „პაკობ კარნეცის ერთი ცნობის გამო“, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტ-ორიიდან, 1976 წ.).

უერადღება უნდა მიექცეს სომეხი მეცნიერის სიტყვებს, რომ სომეხი მოსახლეობა საფაშოებთან მხოლოდ პოლიტიკურად იყო დაქვემდებარებული. არსებობდა სულიერი დაქვემდებარებაც. სულიერად სომხური მოსახლეობა თავის სასულიერო ცენტრებთან, ამ შემთხვევაში ეჩმიაძინთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც მათთვის პოლიტიკური დაქვემდებარება დიდ გავლენას არ ახდენდა. პოლიტიკური დაქვემდებარება მათი ცხოვრების მხოლოდ გარეგანი მხარე იყო, სულიერ დამოუკიდებლობას კი მტკიცედ იცავდნენ.

მესხეთის ქართველი მოსახლეობა კი ჯერ კიდევ ქვეყნის ქრისტიანობის დროს ათაბაგების უგუნური პოლიტიკის შედეგად მოწყდა დედა-ეკლესიას, სასულიერო ცენტრს.

იმ დროს, როცა მესხეთში ჰყვაოდა ქრისტიანობა და მოსახლეობა გულმხურვალე მორწმუნე იყო, ათაბაგებმა დიდად იღვაწეს XV საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს სამოცი-

ქულო ეკლესიის მთლიანობის დარღვევისათვის, ქართული ეკლესიის წიაღიძან მესხეთის გამოყოფისათვის. სამწუხაროდ, ეს მათ შესძლეს. დედა-ეკლესიისაგან მესხეთის გამოყოფას საბედისწერო შედეგი მოჰყვა მესხთათვის.

„როდესაც სრულიად საქართველოს სამეფოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფისა და დაშლის პროცესი დაიწყო, ამ დროს საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დაცვას უფრო მეტი პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა: ამიერიძან მხოლოდ ის და მისი საჭეთმპყრობელი კათალიკოს-პატრიარქიდა იყო საქართველოს და ქართველი ერის მთლიანობის გამომხატველი. დედა-ეკლესიისაგან ჩამოშორება მაშინ იმ სულიერ-სარწმუნოებრივ კავშირს წყვეტდა, რომელიც მხოლოდ აერთებდა დანარჩენ საქართველოსთან ამა თუ იმ პოლიტიკურად უკვე განკერძოებულ ნაწილს. მესხეთის გამაპმადიანებას, საქართველოსაგან ჩამოშორებას და მისი უდიდესი ნაწილის გათურქებას, უეჭველია, სხვათა შორის, ათაბაგთა მიერ მისი საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად წარმოებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ და გამოყოფამ შეუწყო ხელი. ერთი მხრივ, ამ გამწარებულმა ბრძოლამ ხალხის თვალში ეკლესიისა და ქრისტიანობის ავტორიტეტი შეასუსტა, მეორე მხრივ, მესხეთის სამღვდელოებას, დედა-ეკლესიას მოწყვეტილს და განმარტოებულს, მაპმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისუნარიანობა დაუკარგა. ხოლო იქ, სადაც ქრისტიანობამ მაპმადიანობას დაუთმო ასპარეზი, ქართველების ეროვნული გადაგვარება და გათურქებაც დაიწყო. ამგვარად, ცხადია, რომ მაშინდელ პირობებში ქართული ეკლესიის მთლიანობის დამცველი საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობისათვის მებრძოლი იყო და მისი დამრღვევი კი – ქართული ეროვნული საქმის დამღუპველი“, – წერს ივანე ჯავახიშვილი (ტ. IV, 1967, გვ. 174).

XVI-XVIII საუკუნეებში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო „ქართველს“ უწოდებდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც ეთნიკური წარმოშობით ქართველი იყო და ამავდროულად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრი, ე.ი. ქართველი მართლმადიდებელი. როგორც ითქვა, ქართველ გრიგორიანს სომეხი, ქართველს კათოლიკეს – ფრანგი, ქართველ მაკმადიანს – თათარი, ან მუსულმანი ერქვა. ამგვარი ვითარების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტს, გავლენას, რამეთუ ის წარმოადგენდა „ქართველობის“ ერთადერთ მტკირთველს იმ დროისათვის.

ათაბაგებმა კი ძლიერ დასცეს ქართული ეკლესიის ატორიტეტი მესხთა თვალში. ქართულ ეკლესიას, მართლმადიდებელ სამღვდელოებას სასტიკად სწამებდნენ ცილს, ისიც კი იკადრეს, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მექრთამეობა დასწამეს, ხოლო მცხეთის მიერ ნაკურთხ და დადგენილ მღვდელმთავრებს, როგორც „ნაფიცებს“, დასცინოდნენ და არ ცნობდნენ.

XVII საუკუნის დამდეგს, გაჭირვების უაშს, ათაბაგები მიხვდნენ, რომ მათ პოლიტიკურ საყრდენს „ქართველობა“, ანუ ქართული ეკლესიის მრევლი წარმოადგენდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მესხეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი უკვე გამაჰმადიანებულიყო. ისინი უკვე აღარ ემორჩილებოდნენ ქრისტიან ათაბაგს. ათაბაგ მანუჩარს, რომელიც ქრისტიანი და ქართული ეკლესიის წევრი იყო, უკვე აღარ ემორჩილებოდა მოსახლეობის ნაწილი, რადგანაც მესხეთში „...გარდაიცვლებოდნენ წესი და ვიეთი ზოგნი პატივისათვის ნებით, ზოგნი მძლავრობით ოსმალთა მაკმადიანდებოდნენ და იქმნებოდიან უმორჩილონი ათაბაგისანი. ხოლო მანუჩარ მძლავრობდა მათ და არა პატივს უყოფდა. ამისათვის შეასმინეს ოსმალთა და, მათ აზრუმის ფაშასა“, – წერს ვახუშტი (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 725).

XVI საუკუნესა და XVII საუკუნის დასაწყისში ქრისტიანი ათაბაგები თავდადებით იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნის გადასარჩენად ოსმალო და ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც ითქვა, მოსახლეობის ერთი ნაწილი, ანუ ქართველი მუსულმანები მას უკვე მხარს აღარ უჭერდნენ.

„XVII ს-ის პირველ მესამედში სამცხის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. მიუხედავად მანუჩარ ათაბაგის დაუღალავი ბრძოლისა, ოსმალების მოძალების შედეგად ქართველები თანდათან ტოვებენ თავიანთ სარწმუნოებას და ადაორჩევებს. „არამედ მანუჩარ ჯერ ვერ შურ აგო, ვინაიდან მიიქცეოდნენ და დაუტევებდნენ წესსა და რიგთა სჯულსა მესხნი მძლავრობითა ოსმალთათა“ (საქ. ისტ. ნარკ., IV, გვ. 308).

ქართლსა და კახეთში მტრებმა მოახერხეს ქართველი მეფეების გამაპმადიანება, ხოლო ხალხი უერთგულესი მრევლი იყო ქართული ეკლესიისა. მესხეთში კი, პირიქით, ამ პერიოდში ათაბაგები ქრისტიანები არიან, ხოლო ხალხი მერყეობს, ამანაც გადაწყვიტა მესხეთის ბედი.

ათაბაგი მანუჩარ II თავდადებით იბრძოდა ქრისტიანული ქვეყნის შენარჩუნებისათვის. თუ რაოდენ მძიმე იყო ეს ბრძოლა, იქიდანაც ჩანს, რომ მისი მეუღლე, სიმონ მეფის ასული ელენე, მცირეწლოვან შვილთან ერთად ოცდახუთი წელი თავს არიდებდა მტრებს მიუვალ აღგილებში (ისქანდერ მუნშის ცნობა. იქვე, გვ. 304).

ჩანს, სწორედ ეს ბავშვი, რომელიც „დედასთან და ერთგულ მხლებელთან ერთად მთებსა და ტყეს აფარებდა თავს“, შემდგომ დაეუფლა საათაბაგო ტახტს მანუჩარ III-ის სახელწოდებით. მანუჩარ III-მ თავისი კარგი ქართველობა და ქრისტიანობა იმითაც დაამტკიცა, რომ მესხთა რაზმით მონაწილეობდა მარაბდის ომში (1625 წელს) ირანელების წინააღმდეგ. იგი იყო უკანასკნელი ათაბაგი, რომელმაც სამშობლოს დასაცავად იბრძოლა.

მანუჩარ III-მ ისიც მოახერხა, რომ ოსმალეთის სულთანმა მას „მისცა ქრისტიანობით ათაბაგობა“. ეს იყო უდიდესი გამარჯვება. ამით ოსმალეთი იურიდიულად ცნობდა საათაბაგოს, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოებრივ ერთეულს. ეს უთურდ დაიცავდა ამ მხარის მოსახლეობის ქართველობას.

მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისას მანუჩარ III სტუმრად მიიწვია ბიძამ, ბექამ, საწამლავი მისცა და მოკლა. თვითონ კი სასწრაფოდ სტამბოლს გაემგზავრა, მაჰმადიანობა მიიღო და სულთნის მიერ ახალციხის (ჩილდირის) ფაშად დაინიშნა საფარფაშას სახელით. ამის შედეგად ქრისტიანობა თანდათან აღმოიფხვრა მესხეთში: „ამან აღწერა ქვეყანა და შეჰვერეს ხარკი ქრისტიანეთა... ეპისკოპოსნი და მონასტერნი წინაოვე შლილობათა ამათ შინა ათაბაგებთათა და უმორჩილებითა ქართლის კათალიკოზისათა შემცირდებოდნენ ურწმუნოებითა მესხთათა, რამეთუ მიუხმიდენ მამულ-შეწირულობათა, შემცირდებოდნენ და მოიშლებოდნენ მთავართაგან და შემდგომად უმეტეს დაპყრობისა ტაო-კლარჯეთისა და შავშეთარტანუჯისა ოსმალთაგან, არღარა მოიპოვებოდა მუნ, ვინაითგან მიუხნეს ოსმალთა სრულიად მამულ-შეწირულობანი და არღარავინ იყო მეტრფე მონაზონებისა და წარაქვნდათ მუნიდამ სიწმიდენი ხატთა, ჯვართა და ნაწილთა სამცხეს, ქართლს, იმერეთს. ეგრეთვე აწცა მხოლოდ სამცხეს უმეტესად იქმნებოდნენ, რამეთუ არღარა იყო ეპისკოპოსნი, ანუ მონასტერნი, ვინაითგან რისხვითა ღვთისათა გამაჰმადიანებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი ამ ქვეყნისანი და დაიწყეს მიერით თათრობა, რამეთუ ეამთ ამათ მოაკლდებოდა ქრისტიანობასა. არა იყო მორჩილება კათალიკოზისა, ანუ ეპისკოპოზისა და სამღვდელოთა, არამედ ოხრება ეკლესია-მონასტერთა და შენება ჯამეთა. ხოლო მორწმუნენი ჰყარვიდნენ მაღვიდნენ ხატთა, ჯვართა და ნაწილთა წმიდათათა და სხვათა წარაქვნდათ იმერეთს და ქართ-

ლს და ივლტოდინცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდენ მაჲ მაღიანობასა, რამეთუ განაგებდა საფარ ფაშა ნებითა ოსმალეთითა ყოველსავე“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 726).

შემდგომი ფაშა უსუფი „...მოიძულებდა ქრისტიანობასა და შესძინებდა მაჲმაღიანობასა და აღმოიფხვრებოდნენცა წესი და რიგნი ქრისტიანობისანი და ყოველნივე შეემატებოდნენ მაჲმაღს“ (იქვე, გვ. 727). უსუფ ფაშა 1647 წელს გარდაიცვალა.

როსტომ-ფაშას დროს გამაჲმაღიანდნენ ქართველი ქალებიც, აქამდე მართალია, ქართველი წარჩინებულები მაჲ მაღიანდებოდნენ, მაგრამ მათი ცოლები და შსახური ქალები ქრისტიანები იყვნენ.

როსტომ ფაშას უბრძანა ოსმალეთის ხონთქარმა, რათა მაჲ მაღიანთა ცოლებიც გამაჲმაღიანებულიყვნენ. „მაშინ შეუთქვეს რა წარჩინებულთა ცოლთა, მათ ყოველთა შიშისთვის ჭანჯვის – დაუტევეს ქრისტე და გამაჲმაღიანდნენ ყოველნი სრულიად“ (იქვე, გვ. 728).

იძულებით გაამაჲმაღიანეს თვით როსტომ ფაშას ცოლიც, რომელიც მტკიცე ქრისტიანი იყო და მრავალგზის თავის მოკვლა გადაწყვიტა გამაჲმაღიანების თავიდან ასაცილებლად. ბოლოს განაცხადა: თუ ყველა წარჩინებულის ცოლი გამაჲმაღიანდება, მეც დავუტევებ ქრისტესო. ეს, როგორც აღინიშნა, მართლაც ასე მოხდა. ამის შემდეგ – „იქმნა რისხვა ღვთისა ცოდვათა ჩევნთათვის, რამეთუ აწ უმეტესადრე მოოხრდებოდნენ ეკლესიანი დიდშვენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყვთა საღვურნი და ივლტოდიან კვალადცა, რომელთა არა ინებეს მაჲმაღიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს და წარაქვნდათ ხატნი და ჯვარნი და წმიდათა ნაწილნი. მოისპობოდნენ ეპისკოპოსნი, თუ საღმე იყო, და მონაზონნი და მწყემსნი, გარნა თვინიერ ადგილ-ადგილ იპოვებოდნენ მღვდელნი და შეიქმნა სრულიად მაჲმაღიანობა წესითა და რჯულითა მათითა და აღშენდებოდიან მეჩითნი, არ-

ამედ დაშონენ გლეხნი და იგინიცა უმწყესელნი ვითარცა პირუტყვნი“ (იქვე, გვ. 728). (როსტომ ფაშა 1659 წელს გარდაიცვალა). ეს პროცესი გაგრძელდა და XVIII ს. დასაწყისისათვის, 1705 წლისათვის, „არღარავინ იყო ქრისტიანე თვინიერ გლეხთა, არამედ იგინიცა მცირედ სამცხეს, თვინიერ ჯავახეთისა, და უმცირესად შავშეთს, აჭარას და არტაანს“ (იქვე, გვ. 736). უფრო მეტიც, ახლა უკვე ოსმალთაგან შედარებით დაცულ მესხეთში მასიურად გადმოდიან შიდა და ქვემო ქართლიდან, იმერეთიდან ლტოლვილი ქართველი გლეხები, ესახლებიან იქ და „თათრდებიან“. „ვინაითგან ესეოდენთა უამთა შინა იქმნა მშვიდობა ქვეყანათა ამათ შინა, აყრილნი ქართლიდამ და სომხითიდამ სახლდებოდიან აქა და უმეტესნი ჯავახეთს, კუალად უფროსად ტყეთაგან იმერთათა განმრავლდებოდნენ ფრიად თათრობითა, ვინაიდან ხარკთაგან კიდე ვერა რაის ავნებდნენ გლეხთა“ (იქვე, გვ. 736).

1723 წლისათვისაც გლეხთა ნაკადი ქრისტიანული საქართველოდან არ შეწყვეტილა. „ვინაითგან იყო ქართლი ჭირსა დიდსა, აღშენდა ჯავახეთი და სამცხე მუნიდამ ვინაითგან გარდამოშენდებოდნენ...“ (იქვე, გვ. 738).

როგორც ითქვა, სამცხე-ჯავახეთი XVIII ს. დასაწყისში ავსებული და „აშენებული“ იყო შიდა და ქვემო ქართლიდან, იმერეთიდან გადმოსული თუ გადმოყვანილი ქართველებით. ისინი გამაჰადიანდნენ და დაეკარგნენ ქრისტიანებს, საქართველოს.

იმდენად დიდი იყო გასამაჰადიანებელი ქართველების რაოდენობა საათაბაგოში, ანუ ყოფილ ტაო-კლარჯეთში, რომ ოსმალო ხელისუფალნი დაფიქრებულან, როგორი წესით გაემუსულმანებინათ ისინი, რომ მათთვის დაევიწყებინათ საყვარელი სარწმუნოება – ქრისტიანობა, მშობლიური დედა – ქართული ეკლესია. საზოგადოდ, მაჰადიანობის მისაღებად საკმარისი იყო, რათა ქრისტიანს რამდენიმე მუსულმანის

თანდასწრებით ეთქვა: „ლა ილაპა ილლა ლაპუ ვა მუკამადე რასულულ ლაპი“ – არ არის ღმერთი, გარდა ალაპისა და მუკ ამედი მისი მოციქულია, – რომ მაკმადიანად ეცნოთ. მაგრამ ქართველთა მიმართ ამით არ დაკმაყოფილებულან. ქართველებისთვის მოუთხოვიათ არა მარტო აღიარება უცხო სარწმუნოებისა, არამედ დაგმობა ქართული რკულისა, ქართველობისა, ე.ი. მაკმადიანობის მიღების ქამს ქართველებს საჯაროდ უნდა უარესოთ ეროვნული სარწმუნოება. „თათრის რკული“ კი ექოთ და წარმოეთქვათ ასეთი ტექსტი: „მუკამედი ჩვენი წმინდა ადამიანი არის, მოციქული, ღმრთის მოსამსახურე არის. იმის რკული თათრის რკულის არის, სუფთა არის. მოციქული, ღმერთის რჩეული არის. დავიჯერე. ქართველის რკული რომ ბოროტი იყო, გონჯი იყო, ბილწი იყო, ეშმაკის რჩეული იყო. დავაგდე“ (იხ. ც. აბულაძე, ქრისტიანთა გამაკმადიანების ოსმალური წესი, გაზ. „ლ.ს.“ 28.VII, 1989).

ეს საშინელი წესი ქართველებს „თავზარდამცემი სიძულვილით აღავსებდა საკუთარი ერისა და ქრისტიანული რწმენისადმი“ (იქვე).

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველების გამაკმადიანების წესი ჩვენს ხალხს აღავსებდა სიძულვილით არა იმდენად, საზოგადოდ ქრისტიანობისადმი, არამედ საკუთარი ერისა და რკულისადმი. ეს იქიდან ჩანს, რომ ეს წესი, გამაკმადიანების ფორმულა, შეიცავდა ასეთ სიტყვებს: – „წმიდა მარიამი, იმისი შვილი იქსო მოციქული ღმერთმა გააჩინა. დედაშვილნი მოციქული ღმერთის მსახურნი არიან. მოციქულ ღმერთმა იქსოს ცნობა მისცა, წმიდათ გააჩინა“ (იქვე). ეს მიუთითებს იმის შესახებ, რომ მაკმადიანი ხელისუფალნი ითვალისწინებდნენ ქართველთა სიყვარულს ქრისტესადმი, ღვთისმშობლისადმი და იცოდნენ, რომ მათ ქართველები არ დაგმობდნენ, სამაგიეროდ აგმობინებდნენ ეროვნულ ეკლესიას – „ქართველთა რკულს“, ქართულ

ქრისტიანობას. „ქართველი რჯული რომ ბოროტი იყო, გონჯი იყო, ბილწი იყო, ეშმაკის რჩეული იყო – დავაგდე“. როგორია სომხის რჯული? კათოლიკების? ბერძნების? ისინიც ხომ ქრისტიანები არიან? ქრისტიანი კი არაა ცუდი, არამედ „ქართველის რჯულია“ ცუდი, ქართული ეკლესია ცუდი, „ეშმაკის რჩეული“. მაგრამ აღნიშნულ საუკუნეებში ხომ, როგორც ითქვა, „ქართველი“ ეწოდებოდა ქართული ეკლესის მრევლს, საქართველოს სამოციქულო ეკლესის წევრს, თუკი „ქართველის რჯული“ ცუდია, ქართული ეკლესია და „ქართველიც“ ცუდია. ამიტომაც აღნიშნული ფორმულა, გამაპმადიანების ოსმალური წესი მიმართულია „ქართველობის“ წინააღმდეგ. აյ არ იგმობა ქრისტიანობა, არ იგმობა არაქართული სხვა ეკლესიები. სამაგიეროდ ქებულია და განდიდებული „თათრის რჯული“. მას „სუფთა, წმინდა, მოციქული ღმერთის რჩეული“ ეწოდება. ერთი სიტყვით, დაგმობილია ქართველობა და განდიდებულია „თათრობა“.

ამ ფორმულის წარმოთქმის შემდეგ ქართველების სულიერი გადაგვარება ხდებოდა – ქართველი თათრად იქცეოდა. ასე „გათათრდა“ სულიერი თვალსაზრისით ქართველების კოლოსალური რაოდენობა მესხეთში. ისინი გათათრდნენ ქართული ეროვნული ეკლესის უარყოფის შედეგად. სხვა საკითხია, რომ ყურანში გვხვდება „მარიამსა და მის შვილ, ღმერთის მოციქული იესოზე“ საუბარი. საქმე ისაა, რომ ეს მომენტი თავის სასარგებლოდ გამოიყენა ბოროტმა მუსულმანმა ხელისუფლებამ და მისი საშუალებით ქართველებს „ქართული რჯული“ აგმობინა. თითქოსდა ხოგადად ქრისტეს და ღვთისმშობელს კი არ ებრძოდა, არამედ მხოლოდ „ქართველის რჯულს“.

სულიერი „გათათრების“ შემდეგ ოსმალეთში მცხოვრებმა ქართველებმა თავიანთი ქართველობაც ნელ-ნელა უარყვეს და ყოველივე ქართველის მიმართ კრიტიკულად განეწყვნენ.

აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ახლოს ცხოვრობდნენ საქართველოსთან მუსლიმანი ქართველები, მთელი უფრო უარყოფნენ ქართველობას. მაგ. სამცხე-ჯავახეთის მუსლიმანები უფრო უარყოფნენ ქართველობას, ვიდრე თორთომისა თუ ისპირის „გურჯები“. ჩანს, საზღვრისპირა მხარეების მხარეების ანტიქართული პროპაგანდა და მოსახლეობის დამუშავება უფრო ძლიერი იყო. ამ მიზეზის გამო „თათრობდნენ“ საქართველოს ახლო კუთხეებში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები, ხოლო შორეულ მხარეებში მცხოვრები ქართველები არ უარყოფნენ ქართველობას, თავის ეროვნებას. მათ ისლამის მიღების დროს არ აგმობინეს „ქართული რჯული“. როგორც ჩანს, იძულებით გამაჰმადიანებისას ქართველობა უფრო მეტად ინარჩუნებდა ეროვნულ ცნობიერებას, (ე.ი. ქართველობას), ვიდრე ნებაყოფლობით გამაჰმადიანებისას. ოსმალეთში, როგორც აღნიშნავენ, იძულებით გამაჰმადიანებას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მიმართავდნენ. იქ შექმნილი იყო ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომ ხალხი „ნებაყოფლობით“ მაჰმადიანდებოდა: „მოსახლეობის ძალდატანებით გამუსულმანების პროცესს მასობრივი ხასიათი არ მიუღია. ეს არც შეესაბამებოდა იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს. ჩვეულებრივ მუსულმანობას მოსახლეობა იღებდა საკუთარი საზოგადოებრივი და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად“ (ნ. ბაწაში, ეთნო-რელიგიური პროცესები... გვ. 35).

ქართველობა თავის „ნებით“ მაჰმადიანდებოდა და, რაც მთავარია, ამ დროს თავის „ნებით“, ანუ შეგნებულად, გააზრებულად გმობდა „ქართულ რჯულს“ – იმავე ქართველობას. ეს იყო სულიერი გენოციდი, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ მოუწყო მათ. ეს პროცესი იმ დროს მიმდინარეობდა, როცა ეროვნება და სარწმუნოება გაიგივებული იყო. ეროვნული სარწმუნოების

გმობა ეროვნების გმობასაც ნიშნავდა, მაგრამ თუ გამოჩნდებოდა ახალი ძალა, რომელიც მუსულმან ქართველებს ქართული ეკლესიისაკენ შემოაბრუნებდა, მათ დაუბრუნებდა ქრისტიანობას, ამით ეროვნული ცნობიერება კვლავ აღორძინდებოდა და თავის ერს მრავალი სული შეემატებოდა. ასეთი ძალა შეიძლებოდა ყოფილიყორუსეთის მართლმადიდებლური იმპერია, რომელმაც ფაქტიურად XIX ს. ბოლოსათვის მოიცვა საათაბაგო, მაგრამ სამწუხაროდ იმპერიულმა ძალებმა არ ინებეს „ქართველობის“ აღორძინება. მათ არჩიეს, მუსულმანი ქართველები „თათრებად“ დარჩენილიყვნენ და თათრებადაც განიხილავდნენ მათ. სწორედ რუსთა ბატონობის დროს დაივიწყეს ქართველმა მუსულმანებმა იქამდე შემორჩენილი ქართული ენა და ეროვნული ცნობიერების შემორჩენილი ნაპერწკალი. რუსული ხელისუფლება ისევე სდევნიდა ქართულ ეკლესიას, როგორც ოსმალოს ხელისუფლება და მესხეთის ათაბაგები. ქართული ეკლესიისაგან ჯერ ათაბაგთა, შემდეგ ოსმალთა და რუსთა მიერ მოწყვეტილი მესხები „გათათრდნენ“.

გათათრება

XIII-XIV საუკუნეებში ქართველები კარგად არჩევდნენ ერთმანეთისაგან თათრებსა და თურქებს. ისინი სხვადასხვა ხალხები იყვნენ. თათარი მონღოლთა ტომი იყო, ხოლო თურქი მისგან რამდენადმე ეთნიკურად განსხვავებული ხალხი. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ილხანთა (ირანის) მონღოლთა სამეფოში მონღოლებმა მაჰმადიანობა მიიღეს, მონღოლები ეთნიკურად ასიმილირდნენ, ხოლო ხალხს, ეთნოსს, რომელიც ცხოვრობდა ილხანთა სამეფოში (სპარსეთში) და მაჰმადიანობდა (ეს იყო სხვადასხვა ეთნიკუ-

რი წარმომავლობის მოსახლეობა), თათრები უწოდეს. თათარი ქართველის თვალში (დაახლოებით XIV საუკუნიდან) ყოველ მაჲ მაღიანს ეწოდებოდა. შემდეგ წარმოიშვა საქართველოს სამხრეთით მეორე მუსულმანური (ოსმალეთის) იმპერია. ქართველის თვალში მუსულმანობის გამო, მისი მცხოვრებნიც „თათრები“ იყვნენ. საზოგადოდ, „გათათრებას“ უწოდებდნენ ქართველების გამაჲმადიანების პროცესსაც (ე.ი. წინა პლანზე იდგა სარწმუნოებრივი აღმსარებლობა).

როგორც ითქვა, მაჰმადიანობის მიღების შედეგად თურქეთში, სპარსეთსა თუ სხვაგან ქართველები „გათათოდნენ“. ამის გამო შეიცვალა მათი ეთნიკური ფსიქოლოგია, თავიანთი თავი გამიჯნეს ქართველი ქრისტიანებისაგან (ე.ი. „ქართველებისაგან“). ეთნო-ფსიქოლოგის შეცვლის შემდგომ მათ თანდათან ქართული ენის გვერდით თურქულიც შეისწავლეს. თურქებისაგან განსასხვავებლად თავიანთ თავს „გურჯებს“, „ბინალებს“, „მუსულმანებს“ უწოდებდნენ.

შეიძლება დაისვას კითხვა, შეიძლება თუ არა რომელიმე ერის რაიმე განსაზღვრულმა ნაწილმა შეიცვალოს სარწმუნოება, მი-იღოს განსხვავებული რჯული და ამით ეროვნულად გადაგვარდეს – დაკარგოს ეროვნება?

« შესაბუთ შესაბუთ _ შესაბუთ ამ შესაბუთ, შესაბუთ შესაბუთ ა შესაბუთ შესაბუთ შესაბუთ, შესაბუთ ამ შესაბუთ, შესაბუთ შესაბუთ შესაბუთ, ამ შესაბუთ შესაბუთ, შესაბუთ ა შესაბუთ შესაბუთ, შესაბუთ ამ შესაბუთ შესაბუთ შესაბუთ, შესაბუთ ა შესაბუთ შესაბუთ» (შეს ამ, შეს. 116).

ათაბაგების მიერ მოწყობილი საეკლესიო განხეთქილებისა და ოსმალეთის აგრძელების შედეგად „გათაორდნენ“ (ე.ი. გამუსულმანდნენ) ქართველები. მათ შემდეგ საუკუნეებში ზოგს თურქი, ზოგს აზერბაიჯანელი უწოდეს (მუსულმანური სარწმუნოების გამო), მაგრამ ისევე, როგორც დუხობორები და მალაქნები არიან რუსები, თუმცა კი მათ ამის თვითშემეცნება არა აქვთ, ასევე „მუსულმანები“ და „ბინალები“ არიან ქართველები. საბედნიეროდ, თურქეთის სიღრმეში მცხოვრები ქართველი მუსულმანები თავიანთ თავს „გურჯებს“ უწოდებენ და იციან თავიანთი ქართული წარმომავლობა.

ქართველთა სწრაფ დენაციონალიზაციას, ჩანს, ხელი შეუწყო ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს დაქვეითების პროცესში წარმოშობილმა თემობრიობამ.

ივანე ჯავახიშვილის თანახმად, საქართველოს მეზობლად სპარსეთისა და განსაკუთრებით ოსმალეთის მძლავრი იმპერიის წარმოქმნამ, კონსტანტინოპოლის აღებამ, საქართველოს ევროპისაგან მოწყვეტამ და მაჰმადიანურ რკალში მოქცევამ, ჩრდილო კავკასიის ხალხების მრისხანე მტრად გადაქცევამ ქართველ ერში დაბადა უიმედობა. ეს კი დამღუპველი და დამშლელი ყოფილა ერისა – „...უიმედობის გრძნობა და შიში ზოგჯერ დამარცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერის ნებისყოფას სტეხს, სულიერად აკრინებს, ზნეობრივად აძაბუნებს ხოლმე ...სახელმწიფოებრიობა და საზოგადო ინტერესი კერძოსა და პირადულს სულიკვეთებას უთმობს ბატონობას. ... როგორც დაბალი ფიზიკურის სხეული განსაცდელის დროს თავდაცვის მიზნით იკუმშება და თავის ქერქში


ძვრება ხოლმე, ისევე სოციალურ სხეულს ემართება და რაკი სახელმწიფოსი და საერთო ძალის უკვე იმედგადაწყვეტილობაა ხოლმე გამეფებული, ასეთ პირობებში შეიძლება სახელმწიფოებრიობის დაქვეითებისა და დაშლის პროცესიც დაიწყოს... აი, რამ წარმოშვა სრულიად საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა, რამ შეუწყო ხელი ამ პროცესს... გამოყოფისათვის ატეხილი ბაგრატის აჯანყება და ყვარყვარე ათაბაგის ღალატი სწორედ გიორგი მეფის დროს დაიწყო და სწორედ მაშინ, როდესაც ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთაგან მოკავშირეობით განზრახული შეერთებული ომის მოწყობის უიმედობა ცხადი შეიქმნა“³ (ივ. ჯავახიშვილი, IV, 1967, გვ. 180-181).

რაც უფრო ძლიერდებოდა საქართველოზე სალტესავით შემოჭერილი მუსულმანური რკალი, მით უფრო იშლებოდა ქართველი ერი თემებად. წარმოიშვა ქართლელობა, კახელობა, იმერლობა, მესხობა, გურულობა, მეგრელობა და სხვა. დაიწყო სწრაფი გადასვლა უცხო ერებში – ქართველების ასიმილაცია, რაც ეროვნული სარწმუნოების შეცვლით (გაგრიგორიანებით, გაკათოლიკებით, გაბერძნებით, გათათრებით) გამოიხატა. ამიტომაც ამბობდა ამ ეპოქის თვითმხილველი ნიკიფორე ირბაზი: „ყოველდღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველი სომხედებიან და თათრდებიან, გაფრანგება რაღად უნდა დაეშალოთო“.

„მესხობამ“, სატომო სახელმა „მესხმა“ წამოიწია სწორედ საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. აქამდე ტაო-კლარჯეთის მცხოვრებთ უბრალოდ ქართველებს უწოდებდნენ.

ვახუშტის აზრით, ტაო-კლარჯეთის მცხოვრებთ „მესხები“ ბაგრატიონების დროს ეწოდათ. „...არამედ ბაგრატიონთა მეფობისა შინა ყოველთა ამათ ადგილებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა მესხნი...“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 658).

ამჟამად სატომო სახელს „მესხს“ აკავშირებენ უძველეს უცხოურ წყაროებში ცნობილ „მესხენების“, ანუ კაპადოკიელების ტომთან, ხოლო იბერებს სხვა ტომად თვლიან. ვახუშტისხვა წარმოდგენისაა ამ საკითხზე. მისი აზრით (რაც განმეორებაა ძველქართული ისტორიოგრაფიისა), ქართული ეთნოსი ერთი წარმოშობისაა. მესხეთის ვრცელი ქვეყანა ქართველთა ეთნარქის – ქართლოსის ნაწილია და მისი სახელია „ქართლი“, ანუ „საქართველო“. ქართლოსის ძემ მცხეთოსმა – „განუყო სამთა ძეთა თვისი წილი და მისცა... ძესა თვისსა ოძრახოს ...ვიდრე ზღუამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, ოომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლოთისი და ტაო და ამათ ადგილებთა უმეტეს უწოდეს ზემო ქართლი, ხოლო ფარავნის დასავლით... მისცა მცხეთოს ძესა თვისსა ჯავახოსს და მის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი და არიან ამათ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა“ (იქვე, გვ. 657).



აქედან ჩანს, რომ მესხეთის მკვიდრნი არიან შვილნი და შთამომავლნი „მცხეთოსისა“ მისგანვე მიუღიათ სახელი „მესხი“. „ეწოდა მესხი, იგივე ძველი სახელი სამცხეთოსი და სიმოკლისათვის მესხი ითქმის“ (იქვე, გვ. 558).

როგორი ხასიათისა და გარეგნობისა იყვნენ მესხები – ქართლოსის ძენი? „ხოლო კაცნი და ქალნი არიან მზგავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ხელოვნების მოყვარე, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა, სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა 1626 სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მაჰმადიანნი, გარნა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწყესელნი არიან, ვინაითგან არღარა რაისა მორჩილეენ ქართლის კათალიკოზსა და ბერძენთა არა სცალის მათვის. ამისათვის უეპისკოპოზნი და უხუცონი არიან, თვინიერ რომელნიმე ქართლის იკურთხიან. ენა საკუთრად აქვსთ, იგივე ქართული“ (იქვე, გვ. 660).

უცხოელები მესხებს უწოდებენ არა მესხებს, არამედ ქართველებს, „გურჯებს“. ამიტომაც აძაგებდნენ მაჰმადიანი მმართველები „ქართველის რჯულს“ და არა „მესხის რჯულს“.

ქართული ენის ცოდნა დიდხანს შეინარჩუნეს მესხმა მაჰმადიანებმა. მხოლოდ რუსეთის ბატონობის დროს შემცირებულა მისი გამოყენების არეალი.

„ზემო ქართლი, ანუ მესხეთი დიდი კულტურის ქვეყანა იყო. შუა საუკუნეებში აქ განსაკუთრებით ჰყვაოდა სასულიერო ცხოვრება, რომელსაც ტონს აძლევდა ქართული კულტურის აღმავლობა... მარტო სამცხე-საათაბაგოში 13 საეპისკოპოსო სამწყსო იყო – მაწყვერელის, კუმურდოელის, იშხნელის, ანჩელის, მტბევარის, წურწყაბლის, ერუშნელის, ვალაშკერტელის, ანელის, კარელის, ბანელისა და დადაშნელისა. ეს არის შესანიშნავი საბუთი სამხრეთში ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების გავრცელების არეების დასადგენად და თვით საქ-

ართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების დასადგენად მესხეთის დაკარგვამდე.ამ სიას შეიძლება დაემატოს არზრუმელის – ქართულ-მართლმადიდებლური ეკლესიის მწყემსმთავარი არზრუმსა და მის გარშემო სოფლებში მცხოვრებ ქართველთა სულიერი წინამძღვარი... XVI ს-ის მეორე ნახევარში სამცხე-საათაბაგოს სამხრეთის საეპისკოპოსოები: ბანელის, იშხნელის, ანჩელის და სხვა თურქებმა დაარბიეს. მოძღვარნი ჯერ სამცხე-ჯავახეთსა და შავშეთ-აჭარას შეეფარნენ, ხოლო შემდეგ XVI ს-ის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში, როცა თურქებმა ეს მხარეც დაიპყრეს, აქედან ქართლ-იმერეთში გადაიხვეწნენ“ (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 283-284).

XVII ს-ის 60-იანი წლებისათვის სამცხე-საათაბაგოს ტერი-ტორიაზე ერთადერთი საეპისკოპოსოლა დარჩენილა. „უპატ-რონიდ რჩებოდნენ ეკლესიები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი სიმდიდრით, ოქრომჭედლობის, ხატების, ძვირფასი თვლების ნიმუშებითა და წიგნების სიუხვით. მხარის პოლიტიკური ტრაგედიის შემდეგ ძეგლების მცირე ნაწილი „ჩამოტანილ იქნა საქართველოში, სადაც დღესაც ინახება, მეორე ნაწილი ახალციხის საეპისკოპოსოს მცხოვრებლებს აქვთ. უმეტესი ნაწილი კი დარჩა მეფეთა და დიდებულთა ადგილობრივ ეკლესიებში, შესანიშნავ მონასტრებსა და კერძო სახლებში. ყოველივე ეს მოაგროვა როსტომ ფაშამ (1644-1659), ეროვნებით ქართველმა, მათი პირველი მთავრის შთამომავალმა. ამ მმართველმა მოხსნა ხატებს თვალმარგალი და დაწვა ისინი ერთ ადგილას სახარებებთან, ჯვრებთან და სხვა საეკლესიო წიგნებთან ერთად, რომლებიც ისე ბევრი იყო, რომ მათგან შეგავსად წყლისა, მოედინებოდა ოქრო და ვერცხლი“ (გ. უზე, მე-17 საუკუნის საქართველო პატრიარქ მაკარის თვალით, რუსულ ენაზე, გვ. 49, იქვე, გვ. 288).

მესხეთში გაუქმებული საეპისკოპოსოებიდან დევნილი ეპისკოპოსები, საეკლესიო მოღვაწენი, როგორც ითქვა, გადადი-

ოდნენ გურიაში, იმერეთში, ქართლში, კახეთში, სამეგრელოში. შ. ლომსაძის გამოკვლევით, XVII ს-ის 30-იან წლებში საფარელი ეპისკოპოსი ტბეთში გაქცეულა და იქ „მტბევარად იქნა“ 1650 წელს. როცა ტბეთსაც შეუტიეს ოსმალებმა, ტბეთის ეპისკოპოსი აწყურში გადასულა და იქ „მაწყვერლობა“ მიუღია. 1687 წელს იშხანის მოშლილი საეპისკოპოსოს უკანასკნელი წინამძღვარი ექსორიაქმნილი ნიკოლოზ იშხნელი დავით გარეჯში გადასულა და იქაურ მმობას შეკედლებია. XVII ს. ბოლოს ერუშეთიდან ექსორიაქმნილი ერუშელი ეპისკოპოსი დიონისე ლარაძე რუის შეჰვარებია, შემდეგ მროველობაც მიუღია. ასეთივე ბედი სწვევია აწყვერის ეპისკოპოს ანტონ მაწყვერელს, ის XVIII ს. დასაწყისში იმერეთში გაქცეულა და ბოლოს გენათელობაც მიუღია. „XVIII ს. ერთმანეთის მიყოლებით გაუქმდა სამხრეთ საქართველოს უკანასკნელი საეპისკოპოსოები. 1753 წ. გაუქმდა ლაზ-ჭანთა უკანასკნელი საეპისკოპოსო ხოფისა. იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი უწმიდეს სინოდს მოახსენებდა: „ესე ფილიმონ ეპისკოპოსი ჩემ მიერ... ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად მონასტერსა ხოფისასა... აწ დამეთხოვა ამ მიზეზით რომელ... ოსმალნი ბილწნი ჩამოვიდნენ ქვეყანასა ჩვენსა და მოაოხრეს და მათ უშჯულოთაგან შეშინდა და დაგვეთხოვა“... 1780 წ. გურიაში გაუქმდა ხინოწმინდის საეპისკოპოსო და ექსორიაქმნილი იოანე ხინოწმინდელი იმერეთს გადაიხვეწა, რაღაც ხინოწმინდა მისი „შემავალი ერი თათართ მიიმძლავრეს და ქრისტიანობას განუდგნენ და სრულდა თათარი შეიქმნენ“ (იქვე, გვ. 300).

მესხეთის 14 ქართული საეპისკოპოსოდან XVIII საუკუნისათვის გადარჩენილა ერთადერთი. 1740 წელს სულთანს ფირმანით იშხნელობა, მაწყვერლობა და, ჩანს, საფარელ-მტბევარობა მიუცია ერთი ეპისკოპოსისათვის. „ამ ერთადერთმა საეპისკოპოსომ სამცხე-ჯავახეთში, როგორც ჩანს, იარსება 1763 წლამდე. 1763 წ. ბოლოსა და 1764 წ. დასაწყისში ამ მხარის ქართველი ეპისკ-

ოპოსი ვინმე გიორგი იძულებული გამხდარა დაეტოვებინა მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ოსმალეთი ხედავდა რუსეთ-საქართველოს კავშირს და არავითარ შემთხვევაში არ მიიჩნევდა დასაშვებად აზალცის საფაშოს ტერიტორიაზე მის რამენაირ შეწყნარებას. ამიტომ იყო, რომ ქართველთა ეპისკოპოსმა გიორგიმ მართლმადიდებლობის ნაცვლად მიიღო კათოლიკე სარწმუნოება, რაც საკმარისი მიზეზი გახდა იმისათვის, რომ თურქ მოხელეებს შეეწყვიტათ საეპისკოპოსოს დევნა. სამაგიეროდ გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს დევნა დაუწყო ეჩმიაძინის პატრიარქმა... სომეხ პატრიარქს მოპოვებული პქონდა სულთანისაგან უფლება თურქეთში შემავალი კავკასიის ქრისტიანების მეურვეობისა (იქვე, გვ. 302).

ქართული ენის დაგიზება

ექვთიმე თაყაიშვილი წერდა გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის მშობლიური ენის ბედის შესახებ: „რაც შეეხება ენას, ქართული ენა თანდათან დავიწყებას მიეცა და ადგილი დაუთმო თათრულ ენას. ამას ხელი შეუწყო პირველად სიადვილემ ენისა... სკოლებმა, სადაც მხოლოდ ყურანს ასწავლიდნენ თათრულ ენაზე და სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრ ადგილას ჯერაც შერჩენილა ქართული ენა, ნამეტნავად მთის მივარდნილ და ძნელად მისასვლელ სოფლებში. მამაკაცებმა ყველამ იცის თათრული, მაგრამ თათრულად ელაპარაკებიან მხოლოდ უცხოელებს და ოსმალთა თანამდებობის პირებს, თავიანთ შორის, ოჯახში მარტო ქართულად ლაპარაკობენ, ნამეტნავად ქალები და ბავშვები... ლაზები ამ ოლქისა ლაპარაკობენ თავიანთ ლაზურ ენაზე. კიდევ უკეთ არის შენახული ქართული ენა ზოგიერთ ძნელად მისავალ

სოფლებში...“ (ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო, „მნათობა“, №8, 1990, გვ. 141).

მაპმადიანობის გავრცელების შემდეგ მესხეთში „თათრული ენაც“ (როგორც თურქულს უწოდებოდნენ იმ დროს) ვრცელდებოდა. სამცხე-ჯავახეთში ამ ენას ფეხი მოუკიდია XVII ს. მიწურულს.

„70-80-იან წლებში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის „მაპმადიანობაზედ ძალით გარდაქცევა“ გრძელდებოდა და თურქული ენის გავრცელებისათვის ყოველნაირი ნიადაგი მზადდებოდა. აღსანიშნავია ის მასიური პირველდაწყებითი სასულიერო სასწავლებლები - „ჰადესების სახლები“, სადაც მხოლოდ ლოცვებსა და სპეციალურად თურქულ ენას ასწავლიდნენ. თურქული ენის გავრცელება ევალებოდათ განსაკუთრებით მოლებსა და საერთოდ, სასულიერო და საერო საქმის მოხელეებს, რომელნიც საკმაოდ მომრავლდნენ XVIII საუკუნეში. მაღალი რანგის სასულიერო პირები ახალციხეში ანატოლიიდან მოდიოდნენ. ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან მესხეთის ფეოდალები თავიანთ ოჯახებიანად უკვე გამაპმადიანებულები არიან“ (შ. ლოშაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 297), მაგრამ მიუხედავად ამისა, გამაპმადიანებული ქართველების ოჯახებში დაცული იყო ქართული ენის, დედაენის, ცოდნა. ქართული ენა „მათ ენად“ ითვლებოდა. ჯავახეთის ქართველები ერთი შემთხვევის გამო „ლმობიერებით“ ისმენდნენ ქართულ ლოცვებს იმის გამო, რომ ის წარმოითქმოდა „...მათსა ენასა ზედა მათგან არ დავიწყებულთა ვიდრე დღეინდელ დღემდეო“, წერდა პლატონ იოსელიანი XIX ს-ის დასაწყისში.

მიუხედავად ამისა, ისლამის განმტკიცებასთან ერთად ქართული ენაც თანდათან იდევნებოდა.

ქართულმა ენამ გაიზიარა ქართული სარწმუნოებისა და კულტურის ბედი - მესხეთის ქართველებს ისლამმა მათზე თანდათ-

ან ხელი ააღებინა. ერთ დროს ცოდნისა და ხელოვნების მოყვარე მესხეთის მოსახლეობა გამაპმადიანების დროს უფერულ მუსულმანურ მასად იქცა, არც ერთი არქიტექტურული ძეგლი, არც ერთი მატერიალური და სულიერი კულტურის ქმნილება მაპმადიან ქართველებს არ შეუქმნიათ, მაშინ, როცა ქრისტიანობის დროს კულტურა (მუსიკა-საგალობელნი, ფერწერა, ლიტერატურა) ჰყვაოდა და ხელოვნების გასაოცარი, მრავალრიცხოვანი შედევრები იქმნებოდა სამხრეთ საქართველოში. ხალხი სულიერ-ად მოჰკლა უცხოელთა ბატონობამ.

„გადაგვარების პროცესში მყოფი ადამიანები იყვნენ დაღვრემილ-დაღრუბლულნი, რადგან შინაგანად მტკივნეულად განიცდიდნენ წინაპართა გზის უარყოფას, სულიერ სიმძიმეს. აღარ მღეროდნენ, აღარ ცეკვავდნენ, თანდათან ეფლობოდნენ მაპ მაღიანური ფანატიზმის ჭაობში. XIX ს-ის დასაწყისში მესხეთის გამაპმადიანებული ქართველებისათვის სიტყვა „ქართველი“ უპვე ნიშნავდა ქრისტიანს. ბოლოს დაბოლოს, ისინი ყველაზე მეტად ქრისტიანობას გაურბოდნენ და ამდენად ქრისტიანობის მატარებელ ქართველობასაც. ...მათ თითქოს რცხვენოდათ თავი-ანთი საქციელის და წინაპართა წინაშე თავი დამნაშავედ მიაჩნდათ; ამიტომაც გაურბოდნენ ამ საკითხებზე საუბარს და ხშირ შემთხვევაში თავიანთი ვინაობის დამალვასაც ცდილობდნენ. სიკვდილის წინ ბევრი მესხი მუსულმანი ტოვებდა ანდერძს, რომ იგი დაემარხათ ქრისტიანულ ეკლესიაში, ან ძველ ქრისტიანულ სასაფლაოზე, თავის წინაპართა შორის“ (იქვე, გვ. 306).

ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, არდაგანისა და ოლთისის „ოკრუგებში“, რუსეთის საზღვრებში მესხეთის მოქცევის შემდეგ, ნაკლებად ყოფილა დაცული ქართული ენა, რადგანაც აქედან ქართველები გადასახლებულან რუსეთ-ოსმალეთის 1877 წლების ომის დროს (გარდა არდაგანის ოკრუგის სოფელ ველისა, სადაც ქართული ენა დაცული ყოფილა XX ს-ის

დასაწყისში); სამაგიეროდ, კლარჯეთსა და განსაკუთრებით იმერხევში ქართული კარგად სცოდნიათ. ერუშეთში და ოლთი-სის ოკრუგის ფანასკერტსა, ანზავსა და ნიაკომში ქართული მხოლოდ მოხუცებულებსღა ესმოდათ. პარხალის მახლობელ სოფლებში ყველას სცოდნია ქართული ენა, ასევე სხვა მრავალ სოფელში. თვით იშხანის მახლობლად ქართულად მოლაპარაკეთა მთელი სოფლები არსებულა.

შ. ლოშაძის აზრით, ქართული ენის დაკარგვა შემდეგი გზით ხდებოდა: ჯერ ენის ლექსიკონში უცხო სიტყვები მკვიდრდებოდა, შემდეგ თანდათან იცვლებოდა ამ სიტყვების გრამატიკული ფორმები და შემდეგ, საერთოდ, დროთა განმავლობაში ენაც იცვლებოდა.

„XIX ს-ის დასაწყისისათვის თურქულმა ენამ მტკვრის სათავეებში, ლაზეთში, ჭოროხის ხეობაში და ნაწილობრივ სამცხე-ჯავახეთში თითქმის გაიმარჯვა. აჭარაში იგი საგრძნობლად წინ მიდიოდა, ხოლო ქობულეთსა და კინტრიშის ხეობაში შეტევისათვის ემზადებოდა. ასე რომ, ქართული ენა ყველაზე ადრე იდევნებოდა იქ, სადაც ყველაზე ადრე იჭრებოდა ისლამი“ (იქვე, გვ. 298). დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით, ისლამის მიღების შემდეგ მესამე თაობამ ქართული წმინდად იცოდა, მეოთხე თაობა უკვე უცხოურ სიტყვებს ჰარბად ურთავდა ქართულში. მეხუთე თაობა უკვე თათრულად აზროვნებდა, მაგრამ ქართული იცოდა და შინაურობაში ზმარობდა. სწორედ ამიტომ, გზისპირა სოფლების მცხოვრებნი, რომელნიც ადრე გაამაპმადიანეს და უფრო ხშირი ურთიერთობა პქონდათ ოსმალებთან, უფრო ადრე ივიწყებდნენ მშობლიურ ენას.

ყოველივე ამის მიუხედავად, რუსების მესხეთში შემოსვლის დროს ქართული ენა საკმაოდ მტკიცედ იდგა. მისი ცოდნა, ასე თუ ისე, შენარჩუნებული პქონდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, უფრო მეტიც, ის მრავალ სოფელში და მხარეში

კვლავინდებურად მუსულმანი ქართველების მშობლიურ ენას წარმოადგენდა. ამ ფაქტს მრავალი მკვლევარი აღიარებს. აღიარებენ იმასაც, რომ სწორედ რუსების მიმართ მძულვარებით გამსჭვალულმა მესხებმა დაივიწყეს ქართული, როგორც ქრისტიანობის ენა. ქართველები და რუსები მათ თვალში ერთ მთლიანობას – მუსულმანთა მტრებს წარმოადგენდნენ. საერთოდ, ოსმალეთის იმპერიაც ამ მიზეზების გამო მტრობდა განსაკუთრებით ქართულ სახელმწიფოებრიობას – „XIV ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისში მას მართლმადიდებლური საქართველოს მეზობლობის მოთმენა არ შეეძლო, რადგან მართლმადიდებლურ საქართველოში მას სამხრეთისაკენ დაძრული, მზარდი რუსეთი ელანდებოდა. თურქთა ეს განწყობილება შესანიშნავადაა გამოხატული სიტყვებში – „მოსკოვის სახელმწიფოს შთამომავლობა რომ ამოწყდეს, ამ საქართველოდან ერთ ბეგს წაიყვანენ და გაამეფებენ“ (იქვე, გვ. 284). მუსულმანები მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში რუსეთ-საქართველოს კავშირს ხედავდნენ. ამიტომაც იყო, რომ მ. თამარაშვილის თანახმად, მართლმადიდებლობა, მართლმადიდებლური აღმსარებლობა ოსმალეთს მესხეთში სავსებით აღმოუფხვრია (იქვე, გვ. 305) და მესხები გადაუყვანია სხვა სარწმუნოებათა მაღიარებლებად, მუსულმანებად, გრიგორიანებად თუ კათოლიკებად.

შემი, რომელსაც ოსმალეთი მესხებში ნერგავდა რუსების (მართლმადიდებლების, ქართველების) მიმართ, სრულიად გამართლდა XIX ს-ის I ნახევარში. მხეცობა და ენით გაუგონარი, აზიაშიც კი არსმენილი ისისასტიკე, რომელიც რუსის ჯარმა მესხი მუსულმანების მიმართ გამოიჩინა განსაკუთრებით ახალციხის აღების დროს, მთელ თსმალეთში სასწრაფოდ გახდა ცნობილი. მოსახლეობა ყველგან დაშინდა. მთელი ანატოლია პანიკამ მოიცვა. ქალაქების უმეტესი ნაწილი რუსის არმიას უბრძოლველად

დანებდა. „მაგალითად, როცა ახალციხის აღების ამბავი შეიტყვეს არზრუმის მცხოვრებლებმა, ისინი ქალაქიდან გაიქცნენ და სერ-ასკირს განუცხადეს: მტერს ქალაქი არ დააბომბინო, ველზე შეხვდი და უბრძოლველად დანებდიო...“ (იქვე, გვ. 173).

„ვინმე მესხი“ წერს: „...შემოსევისას ჯარმან ასაკლებად ქალ-აქისა გამოცალა 12 კასრი რომი და დაერია ქალაქის ქალ-კაცსა და დაუწყო უწყალოდ წყვეტა. ღუზმაჲილის ერთს დიდს სახლში 300 ქალი და რძალი შემაგრებული იყვნენ... რა ვერ გატეხეს კარები, მისცეს ცეცხლი და ერთიან ამოსწვეს. ასე ქნეს სხვა უბნებში და ციხეშიცა, სადაც 5000 მოსახლე თავსობდა. ქონების აკლება-აოხრებას ვიღა მოთვლის, ახალციხე გადაქელეს ერთიან ისე, რომ მტერსაც აეტირებოდა“ (იქვე, გვ. 171).

1828 წლის 11 აგვისტოს დილითვე დაუწყიათ ციტადელისა და ქალაქის დაბომბვა ზარბაზნებით. 15 აგვისტოს დაინიშნა ქალ-აქის შტურმი. „პასკევიჩმა გადაწყვიტა ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად გამოეყენებინა ხანძარი“. მას უბრძანებია, ცეცხლში გაეხვიათ მთელი ქალაქი, საგანგებოდ გამოყოფილ და დანიშნულ რაზმებს ნამჯებით ცეცხლი გაუჩენიათ ქალაქის ყველა მნიშვნელოვანი შენობისათვის. „ხანძარი მოედო პირველად სამხრეთ-დასავლეთის უბნებს, სწორედ ამ დროს ამოვარდა ქარი და ხანძარი უფრო გაძლიერდა... პასკევიჩი კი დაუინებით ამტკიცებდა: „ყოველი სახლის შტურმით აღებას სჯობს, დავწვათ ყველა სახლიონ“. ხანძარწაკიდებულ სახლებში იწვოდნენ ქალები, მოხუცები და ბავშვები, ქალაქის ერთ-ერთ მეჩეთში შეკეტილი 400 კაცი მეჩეთთან ერთად ამოიბუგა. 15 აგვისტოს, შუაღამისას, როცა ცეცხლი მისწვდა შუაუბნის სახლებს, კივილით გამოცვივდნენ შეშინებული ქალები და ბავშვები, რომლებიც დაბნეულები პირდაპირ რუსების ბანაკისაკენ გაიქცნენ ტყვიების თქეშში... ქალები ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს არჩევდნენ... ხანძარი ისე გაძლიერდა, რომ თვით რუსი მეხანძრები კინაღამ დაიწვნენ...

ახალციხე ნამდვილად ჯოჯოხეთს გავდა“ (იქვე, გვ. 168), შემდეგში ქალაქში შავი ჭირიც გაჩენილა, რომელსაც თან დაერთო შიმშილი, პური „რუსეთის არმიამ მოიხმარა“ (გვ. 169). მართალია, დედა-სამშობლოს, საქართველოს შემოუერთდა ახალციხე, რისთვისაც ქართველი ჯარისკაცებიცა და ოფიცრებიც იხოცებოდნენ და სისხლს ღვრიდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ უმკაცრესმა მოპყრობამ ქართველი მუსლიმანების გულები კიდევ უფრო განაშორა ქრისტიანობას. „გამაჰმადიანებული ქართველები ერთიმეორისაგან ვეღარ არჩევდნენ სარწმუნოებასა და ეროვნებას. ქართველი მათთვის ქრისტიანული რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა. ამის საპირისისპიროდ თავიანთ თავს ეძახდნენ მუსლიმანს, ან თათარს“ (იქვე, გვ. 308). ამას თან დაერთო ისიც, რომ რუსულმა ადმინისტრაციამ გარკვეული მიზეზების გამო უარი განაცხადა, ეცნო ქართველი მუსლიმანების ქართული წარმოშობა: „... შემოერთებულ ახალციხეში დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძალაში დატოვეს შარიათი. უფრო გაცხოველდა მუსლიმანური ეკლესიის საქმიანობა, რომლისთვისაც სასულიერო მოძღვრებს, მოღებს სპეციალურად ანატოლიიდან იწვევდნენ. მოღები ადრე გაშლილ დიდ მუშაობას ახლა ამთავრებდნენ. საბოლოოდ ამაჰმადიანებდნენ ზალხს და მედრესების ფართო ქსელში ადგილობრივ ახალგაზრდებს გამუდმებითა და გამალებით ასწავლიდნენ თურქულ ენას. ფანატიზმით შეპყრობილი ახალგაზრდობა ალაპის ამ მოციქულებს სასოებით შეპყურებდა და ქართულ ენას თანდათან შორდებოდა, ე.ი. ის, რაც ვერ გაკეთდა თურქთა 200 წლიანი ბატონობის დროს, სამწუხაროდ ახლა, XIX საუკუნეში, ე.ი. შემოერთების შემდეგ, სრულდებოდა. ქართველი მაჰმადიანები საბოლოოდ „თათრდებოდნენ“, პატივს აღარ სცემდნენ ქართულ ზნებვეულებებს, ივიწყებდნენ ქართულ ენას. ამ მხრივ თაობათა შორის ნამდვილი კონტრასტები იქმნებოდა. ზაგურსკი წერდა:

«**თუ კარგი არ იყო, მაგრავ და მაგრავ არ იყო**, მაგრავ და მაგრავ არ იყო».

ასეთი პროპაგანდის ნაყოფი იყვნენ ის ახალგაზრდა ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც ზაგურსკის შეხვდნენ ხერთვისში «**თუ კარგი არ იყო, მაგრავ და მაგრავ არ იყო**, მაგრავ და მაგრავ არ იყო» (იქვე, გვ. 309).

არსებულმა მდგომარეობამ, რუსეთის გამარჯვებებმა გა-
რკვეულწილად გამოაფხიზლა ქართველი მუსულმანი
დიდკაცობა. მათ გადაუწყვეტიათ, ზალხთან ერთად
დაბრუნებოლნენ მშობლიურ ეკლესიას, აღედგინათ ქრისტიანობა,
აშკარად, დაუფარავად განეცხადებინათ თავიანთი ქართველობა,
მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ არ ისურვა მათი გაქრისტიანება,
რადგანაც მიწის დაუფლების მიზნით გადაწყვეტილი ჰქონდა მათი
გადასახლება, ქრისტიანებს კი ვერ გადასახლებდა.

„1840 წელს, როცა ახალციხეში გართულებული სა-
ადგილმამულო საკითხების გასარკვევად ჩამოვიდა სტატსკი
სოვეტნიკი ბულგაკოვი, მასთან გამოცხადდნენ ქვაბლიანის,
ფოცხვის, აბასთუმნის, ახალციხის სანჯაყ-ბეგები, ძველ ქა-
რთველ თავადთა შთამომავალი და განუცხადეს: ჩვენი სურვ-
ილია, დავუბრუნდეთ ჩვენი წინაპრების ძველ ქართულ ქრისტ-
იანულ სარწმუნოებას, მთელი ჩვენი მხარის მაცხოვრებლებთან
ერთად, თუ მთავრობა ისეთივე პირობებს შეგვიქმნის, როგორ-
იც ქართველ თავადაზნაურობას აქვსო... აღფრთოვანებულმა
ბულგაკოვმა ეს ამბავი ჰეტერბურგს შეატყობინა, მაგრამ
სატახტო ქალაქიდან იგი მალე დაამშვიდეს და განუმარტეს, რომ
შემორთებულ მხარეში მთავარ ამოცანას წარმოადგენდა
სახაზინო მიწების გაზრდა ... ყველაფერი გასაგები იყო. ჩვენგან
ამგვარად ზურგშექცეულმა ქართველმა მაჰმადიანებმა თავადაც
ზურგი შეგვაქციეს და თურქთა მფლობელობაში დარჩენილი

სანჯაყების მოსახლეობას დაუკავშირდნენ, საიდანაც ღებულობდნენ ფანატიზმის ახალ „სულიერ საზრდოს“, „ქრისტიანობის თავიდან აცილების“ ლოზუნგს, ადგილობრივმა მაპმადიანებმა უპასუხეს ქართული ენის, როგორც ქრისტიანული ენის დაგმობით“ (იქვე, გვ. 315).

ჩვენი ეკლესიის ყოფილ მრევლს, ქართველ მაპმადიანებს, რომელთა „კვლავ გაქრისტიანება შეიძლებოდა, მთავრობა საზღვარგარეთ ერეკებოდა“ (გვ. 314). ოურქეთში გადახვეწილა 60-65 ათასი კაცი (გვ. 320). მათ ნაცვლად რუსეთის მთავრობამ სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობა შემოიყვანა ოსმალეთიდან. სამცხე-ჯავახეთში არამცირედი ქართველი მოსახლეობა დარჩა ქართული ენის და ადათ-წესების მქონე, მაგრამ რუსეთის მთავრობის მოუქნელი პოლიტიკისა და ოსმალო ემისრების წყალობით ისინიც საბოლოოდ „გათათრდნენ“ XIX საუკუნეში.

გამაპმაღიანებულთა გვარები

რუსთა მიერ სამცხე-ჯავახეთის შეერთების შემდეგ ამ ქვეყანაში საცხოვრებლად დარჩა ქართველ მუსლიმანთა ის ნაწილი, რომელიც არ იყო განმსჭვალული ქრისტიანობის მიმართ, შენარჩუნებული პქონდა ქართული ადათები და წესჩვეულებები, იცოდა, ანდა ნაწილობრივ ფლობდა ქართულ ენას. მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქეთში გაიხიზნა.

ქართველ მაპმადიანთა დიდ ნაწილში XIX ს-ის დასაწყისში „ჯერ კიდევ ძლიერად იყო შენარჩუნებული ქრისტიანული სული“. დიუბუას დაკვირვებით, მესხეთის ქართველ მაპმადიანებს „რომ არ ეშინოდეთ ოურქების დაბრუნებისა და იმ საშინელებისა, რომელიც ოსმალთა შემოსვლას მოსდევდა ხოლმე, ყველა ისინი

ისევ გაქრისტიანდებოდნენ და დაუბრუნდებოდნენ თავიანთ წინაპრების რელიგიას“. მათში ჯერ კიდევ არ იყო წაშლილი ქრისტიანული ზნე-ჩვეულებანი. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ქართველები ქრისტიანი ქართველების მსგავ-სად იცავდნენ თურმე ქრისტიანულ მარხვას. მთელი XIX ს-ის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის ბევრი ქართველი მაჰმადიანი სისტემატურად დადიოდა ქრისტიანულ დღესასწაულზე, მარიამბაზე, რომელიც ვარძიაში იმართებოდა და ამის გამო ვარძიობასაც ეძახდნენ . ვარძიობაზე მოსული მუსულმანი ქართველები ძველი წესით სწირავდნენ მსხვერპლს და ღვთისმშობლის წინაშე დაჩოქილნი ღმერთს შესთხოვდნენ შვე-ლას. ქართული წესით ნიშნავდნენ პატარძალს... თეიმურაზ ბატ-ონიშვილი მიუთითებდა, რომ ახალციხის მხარეში „მარადის ქა-რთული ენა ილაპარაკებოდა – თუმცა „თათრები“ იყვნენ, მაგრამ სხვა ყოველი ჩვეულება ქართული ჰქონდათ“ (შ. ლომისაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 306).

უცხოელი მოგზაურებიც კარგად ამჩნევდნენ, აღწერდნენ ქართველ მაჰმადიანთა ქართულ წეს-ჩვეულებებს. დიუბუა დე მონპერე წერდა – „ჩამოვიარეთ ღობიეთში, იქ სულ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ყველანი ლაპარაკობენ ქართულად... ამ ძველ ქართველებს შევნიშნე ისეთივე სახე და შეხედულება, როგორც იმერლებს და ქართლელებს... აქ თურქული უღლის მიუხედავად, მაინც არ დაკარგულა ქართველთა მოსაწონი ზნე-ჩვეულება... გავიარეთ ახაშენზე, რომელიც ასეთივე გამაჰმადიანებული ქართულისოფელია და ლაპარაკობენ მხოლოდ ქარ-თულად“. ეს მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მოსახლეობის უმთავრესი ნაწილი მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა“ (იქვე, გვ. 307).

1832 წლის აღწერისა და 1870 წლის აღწერითაც სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანების დიდი ნაწილი იწოდებოდა „ქართველებად“.

„1832 წლის აღწერის ოფიციალური მონაცემებითაც „ახალციხელი თურქების დიდი ნაწილი, რომელთაც მიიღეს ომარის სექტის მაპმადიანობა, წარმოშობით თითქმის მთლიანად ქართველებია. ისინი კუველანი კარგად ლაპარაკობენ ქართულს, ბევრმა მათგანმა დღემდე შეინახა კიდეც თავისი გვარი, ახლა კი ზოგი მათგანი ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდნენ“ (იქვე, გვ. 307).

ქართული ენა და ქართული ზექ-ჩვეულებანი ყველაზე მეტ-ად შენარჩუნებული ყოფილა სოფლებში: წნისი, კლდე, შურდო, ჭვინთა, საყუნეთი, მუგარეთი, გიორგიწმინდა, ოშორა, ინდუსა, თოკი, ქილდა, აწყვერი, აგარა და სხვა. აქაურ მცხოვრებთა შეგნებაში რუსების შემოვსლის დროისათვის ჯერ კიდევ არ ყოფილა აღმოფხვრილი ქრისტიანული ჩვევები. ისინი ქრისტიანული დღესასწაულების დროს ეკლესიებში ლოცულობდნენ.

ლუკა ისარლოვი წერდა: „აწყვერის უბნის სოფ. სვირში 30 ოჯახია, ყველა გამუსულმანებული, მაგრამ ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, ამაღლება დღეს ყველა მიღის სოფლის ნახევრად დანგრეულ საყდარში. მოყავთ სამხთოები, ქართული წესით კლავენ ცხვრებს, ანთებენ სანთლებს ... ასევე, სოფ. წირას ქრისტიანულ ეკლესიაში მიღიოდნენ რძენაკლული მეძუმური ქალები, ლოცულობდნენ, იწერდნენ პირჯვარს, ანთებდნენ სანთლებს და ქრისტე ღმერთს შესთხოვდნენ დახმარებას. საყუნეთელი მუსლიმანები მხოლოდ მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ და სოფლის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ხელყოფას არავის ანებებდნენ. იცავდნენ ხატ-ჯვრებსა და უკლიდნენ წიგნებს, ოღონდ ეს იყო, რომ წინამძღვარი არ ჰყავდათ. საყდარი შუალამისას შიგნიდან სისტემატურად ნათდებოდა თურმე შიგ შეპარული, ახლად გამუსულმანებული მრევლის წყალობით, რომელიც ჩუმად ლოცულობდნენ თავიანთ ძველ წესზე. საყუნეთელები დიდხასს წითელი კვერცხებით ზეიმობდნენ აღდგომას. თავიანთი ძველი სალოცავების დაცვა და მოვლა მთე-

ლს მესხეთში მემკვიდრეობით პქონდათ აღებული გვარებს ... ასე რომ, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმთავრეს ნაწილს შემორთების დროს ყველაფერი – ენა, წეს-ჩვეულება, ადათი, მთელი საშინაო-ოჯახური ცხოვრება წმინდა ქართული პქონდა, გარდა რელიგიისა, ხოლო რელიგია, როგორც ვიცით, არავის ეროვნული კუთვნილება არაა, – წერს შ. ლომსაძე (დასახ. ნაშრ., გვ. 311).

რუსთა მმართველობის დროს მაჰმადიან ქართველთა ლტოლვა ქრისტიანობისაკენ რამდენადმე შენელდა, ხოლო გასაბჭოების შემდეგ მთავრობამ მათ გაუხსნა აზერბაიჯანული სკოლები. აზერბაიჯანიდან საგანგებოდ იწვევდნენ მასწავლებლებს, კულტურის, პრესის, ადმინისტრაციულ და პარტიულ მუშაკებს. მესხი ქართველები სრულიად არაქართული ზედამხედველობის ქვეშ მოექცნენ. ადმინისტრაციამ კიდევ უფრო შეავიწროვა ქართული ენა და ქართული თვითშემეცნება. ზოგიერთი სოფლის თხოვნა მათვის ქართულენოვანი სკოლების გახსნის შესახებ ადმინისტრაციამ სასტიკად ჩაახშო. ასეთი მოთხოვნის მქონე განცხადებებზე ადებდნენ რეზოლუციას: „თქვენ თათრები ხართ, თათრულად ისწავლეთ“. იმ დროს თათრულ ენას უწოდებდნენ აზერბაიჯანულს. სიტყვა „თურქის“ ხმარება პოლიტიკური მიზეზების გამო მიღებული არ იყო. ეროვნებით აზერბაიჯანულებადაც ჩაუწერიათ საწყალი ქართველი მაჰმადიანები. XX ს-ის 30-იან წლების ბოლოს ძველი, ანტიქართულ-ად განწყობილი პირველი ბოლშევიკური პლეადის წასვლისა და სამმართველო აპარატის ახალი თაობით შეცვლის შემდეგ ოდნავ შეუცვლიათ მიდგომა ქართველი მაჰმადიანებისადმი. ახალციხის რაიკომის I მდივანს შეუსწავლია ქართველი მაჰმადიანების საკითხი, დაკვირვებია მათ ცხოვრებას და დაკვირვების შედეგები გაუცვნია თბილისის მთავრობისათვის. 1939 წლის აღწერით ახალციხის რაიონში 83 სოფელი იყო, რომელშიც 55.450 სული

ცხოვრობდა, აქედან ქართველებად ეწერებოდა 5.836 კაცი, „აზერბაიჯანელებად“ – 28.428 კაცი, იყვნენ სომხები და სხვა.

„გ. კირვალიძე საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ თითქმის მთელი რიცხვი „ეგრეთ წოდებული ადერბაიჯანელებისა არიან სინამდვილეში გამაჰმადიანებული ქართველები... გ. კირვალიძე რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ახსენებს, რომ გამაჰმადიანებულ ქართველებს, უმეტესად გლეხობას, მესხეთ-ჯავახეთში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროსაც ქართული ენა მთლიანად დავიწყებული არ ჰქონდათ, სახლში და ურთიერთშორის ლაპარაკობდნენ ქართულად, თათრულს ენას კი ხმარობდა თავადაზნაურობა (ბეგები) და ის პირნი, ვინც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა. ქართული ენის დავიწყება ინტენსურად გრძელდებოდა მე-19 საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ მესხეთ-ჯავახეთი განთავისუფლებული იყო ოსმალეთის უღლისაგან. „ეს მდგომარეობა აიხსნება ძველი რუსული მთავრობის კოლონიური პოლიტიკით, რის საფუძველზედაც ქართველი მაჰმადიანები თათრებად იქნენ გამოცხადებულნი... მიუხედავად ყველა ამ განსაცდელისა, მაჰმადიანურ მესხებ-ჯავახებმა მაინც შეინარჩუნეს მშობლიური ქართული ენა“ (ვ. შარვაშიძე, ბედკრული შვილები, გაზ. ახ. კომ., 30.V.1989 წ.).

მ. კირვალიძე შემდგომ მთავრობას უგზავნის ოფიციალურ დოკუმენტს, სადაც ჩამოთვლილია ქართველ მაჰმადიანთა გვარები:

„გთავაზობთ ახალციხის რაიონის გამაჰმადიანებულ ქართველთა გვარების სიას:

აწყურის სასოფლო საბჭო.

სოფელი აწყური: ბარათაშვილი, ორჯონიკიძე, ბაქრაძე, მუხრანსკი, ლომაშვილი, ლომიძე, ნოზაძე, ჩხეიძე, მესხიძე, ბარბაქაძე, მალრაძე, კაპანაძე, პაპიძე, ჯანაშვილი, მაღალაშვილი,

სამსონიძე, ხმალაძე, კუპრიაშვილი, მარინაშვილი, ზალაძე, მამუკაძე, გურგენიძე, აზნაუროვი ანუ აზნაურაშვილი.

სოფელი ტყემლანა: გვარამაძე, ჩაკიძე, ხმალაძე, კორკოტაძე.

სოფელი წრიოხი: გურგენიძე, მაღრაძე, მახიაძე.

საყუნეთის სასოფლო საბჭო.

სოფელი საყუნეთი: ჯავახიშვილი, კახიძე, ფერხანიძე, ფუტურიძე, ოორდანიძე, მამიძე, პატარიძე, ჯავახიძე, ტაბატაძე, სარალიძე, ოქროპირიძე, ხახუტაძე, ფოცხვერაძე, ადელაძე, ბოტაძე, ბოზაძე, კაპანაძე, ჭონკაძე, პატრიკაშვილი, გაგნიძე, მჭედლიშვილი, არყიშვილი, ბრეძიაშვილი, ტალახაძე.

სოფელი ორთოლა: ფერაძე, უუჟუნაძე, ბაყაყაძე, მუთიაშვილი, კონიაშვილი, ფუტურიძე.

სოფელი კოპაძე: ჩუბინიძე, ყიფიანი, ტალახაძე, ალხაზიშვილი, კოტაძე, მამუკაძე, სამსონიძე, საგინაშვილი, ტიკაძე...

აგარის სასოფლო საბჭო.

სოფელი ზიკილია: გოგოლაძე, აითაძე, ბიბინაძე, გვარამაძე, ყავაზიშვილი, სახუტაძე, ასრათიძე, ბეხურაძე, ნადირაძე, სირაძე, ხეირაძე, მამალაძე, გაროძე, ჭიჭინაძე, დავრეშიძე, ზილოძე, კოტაძე, თუთაძე, კაპანაძე, მუჭიდაძე, ჩიტიძე, სამსონიძე, ელიაძე, კუკუაძე, თამარაძე, გოჩიძე, ტატაშიძე.

სოფელი წინუბანი: კუკუაძე, ზილოძე, ჩოლოვაძე, თორაძე, ჯაფარიძე, ჭელიძე, თოთორაძე, ტოსაძე, ტოპოლაძე, უჩნაძე, გოჩაძე, მამუკაძე.

სოფელი გურკელი: პაპალაძე, შაუშიძე, ჯანაძე, ანტაძე, ჩოხაძე, ელიაძე, ლოლაძე, თორაძე, ლაპიძე, თაიტაძე.

სოფელი აგარა: ტულუშაძე, ფერაძე, ხეირაძე, გოგოლაძე, ბეხუნაძე, აითაძე, კოტაძე, ხახუტაძე, გვარამაძე, ნადირაძე, ქოჩორაძე, ზილოძე, ჩიტიძე.

ფერსის სასოფლო საბჭო.

სოფელი ფერსა: ჩახალიძე, შაშვიაშვილი, ბექირაძე, მურადელი, ზასპიაძე, ლოლავლიძე, ჩაფიძე, ჭილაძე, საფარაშვილი, რევაზიშვილი, ოქრუაძე, ქუდაძე, მეცხვარაძე, გელაძე, ბარტყაძე, ბერიძე, კორკოტაძე, მაღალაძე, მეხბბორიძე.

სოფელი მუგარეთი: თამარაძე, მირძეველიძე, ინდურელიძე, მამუკაძე, ბერიძე, ბეშოძე, ბებერაძე, ლოშაძე, ტატაშიძე, კოტაძე, გუნჯოძე, თამარაშვილი, მამუკაშვილი, ყალაყულაძე, სვანიძე, თურქაძე, მეცხვარიძე, ტოსოძე, მჭედლიშვილი, ქოჩორაშვილი.

სოფელი ჩოხტა: ქუდაძე, ჩენჩოშვილი, ლატუკაძე, იარმაღაშვილი, კორკოტაძე.

სოფელი ნოხცევი: წერეთელი, პაპალაძე, ტატაშვილი, კაპანაძე, თინაძე, ჩხეიძე, ლომიძე.

სოფელი შურდო: შუბლაძე, კატუნაძე, მუთიაშვილი, გორიაშვილი, ხმალაძე, გუჯელაშვილი, ქარუმიძე.

სოფელი გიორგიშვინდა: მაზნიაშვილი, ინასარიძე, ექსოლიძე, მეხბორიშვილი, იბიაშვილი, ფერაძე, მამულაძე, ნასყიდაშვილი, გოგოლაძე, მეხრიშვილი, ბერაძე, ბაბელაძე, კორკოტაძე.

კლდის სასოფლო საბჭო.

სოფელი კლდე: ბიძინაშვილი, გოძიაშვილი, ტატიძე, ბლიაძე, გვარამაძე, გაგნიძე, ქარელიშვილი, ბარქუნაშვილი, ჯიბლაძე, თხილაშვილი.

სოფელი წნისი: კოპაძე, ბასილაშვილი, ბექაძე, პავლიაშვილი, კვირტიხაშვილი, წეროშვილი.

სოფელი ზეუბანი: ბაყანაშვილი, ფუტურიძე.

სოფელი ბოგა: სარალიძე, ზაუტაძე, ჩომახიძე, მეცხვარაძე, ჩიხლაძე, ცეკვაძე, ლოლაძე, კოჭოშვილი, ტორულაძე.

სოფელი სვირი: ვარდიაშვილი, ხიზანიშვილი, მაისურაძე, ბახტაძე, ხუროძე, ყაყუნაშვილი, გოგოლაძე, კორკოტაძე, პა-

პლოშვილი, პაპიაშვილი, ქიტუნაშვილი, ზეითაშვილი, ჩილაშვილი, ქორიაშვილი, ყერლელაშვილი, ფოლოლაშვილი, უღერიაშვილი, მჭედლიშვილი, სუხტაძე, კაკალაშვილი, ბერძენიშვილი.

სოფელი ტატანისი: წულუკიძე, ბლიაძე, ჭუტაძე, მეფურნიშვილი, ურბანიძე, ლანჭიპაძე.

წყრუთის სასოფლო საბჭო.

სოფელი ანი: ორჯონიკიძე, მაისურაძე, გვილიშვილი, თეთრაძე, ჯაფარიძე, მურელიშვილი.

სოფელი ყურთუბანი: უბედურიძე, ზაუტაშვილი, ფუტურიძე.

სოფელი ძირი: შუბიძე, გელხუაძე, მუღრაშვილი.

სოფელი ელიაწმინდა: უსიშვილი, კალტახჩიშვილი, გიშერაშვილი, სულიაშვილი.

სოფელი ჭვინთა: თეთრაძე, გიშერაშვილი, მუღრაშვილი, სულიაშვილი, საღარაძე, კალტახჩიშვილი.

სხვილისის სასოფლო საბჭო

სოფელი ზემო სხვილისი: ზანზალაშვილი, ჯაყელი, ჯაფარიძე, მახარაძე, ადოდიძე, აბაშიძე.

ვალეს სასოფლო საბჭო.

სოფელი ვალე: ბერიძე, მგელაძე, ჭიტაძე, ამილაზვარი, ნადირაძე, ლეზგიშვილი, ქურდაძე.

ჯაყისმანის სასოფლო საბჭო.

სოფელი ჯაყისმანი: გიორგაძე, ბებინაძე, აითაძე.

პამაჯის სასოფლო საბჭო.

სოფელი არჯანა: ჯაყელი.

საძელის სასოფლო საბჭო.

სოფელი აბი: ტაბატაძე, აითაძე.

სოფელი ორალი: მიქელაძე, ხმალაძე.

სოფელი ზაკი: დიასამიძე.

მინაძის სასოფლო საბჭო.

სოფელი ტობა: თამარაძე, ვარსკნელიძე.

სოფელი კვალთახევი: თეთრაძე, ქორიძე, გულიაშვილი,
მათოძე, სელიძეშვილი.

ქისათიბის სასოფლო საბჭო.

სოფელი ქისათიბი: ჩამახიშვილი, სარაჯიშვილი.

სოფელი არჯული: ჩირჭაძე.

სოფელი ანდა: ლომიძე, მათოძე, კოტაძე, გრძელიძე.

ურაველის სასოფლო საბჭო.

სოფელი ურაველი: მაჩაბელი, ხერხეულიძე, გურგენიძე.

სოფელი ორცევი: მამულაშვილი.

სოფელი წყორძა: მახარაძე, საბაშვილი.

სოფელი ენგიქევი: ჩაკაძე, ჩოხრაძე, აბდურაძე.

სოფელი ზეოთი: მამულიშვილი, გოგოლაძე.

კანპიეთის სასოფლო საბჭო.

სოფელი გიორგიწმინდა: ვაჩანაძე, ჭაპანიძე.

სოფელი კანტიეთი: ბათოშვილი.

სოფელი პატარა აგარა: მაჩაბელი.

(იხ. გაზ. ახ. კომ. 30.V.1989წ.)

ამით კირვალიძე ამთავრებს ახალციხის რაიონში 1939 წლისათვის მცხოვრები ქართველი მაპმადიანების გვარების ჩამოთვლას. სამწუხაროდ, სამცხე-ჯავახეთის სხვა რაიონების გამაჰმადიანებული ქართველების გვარების ასეთი დაწვრილებითი სია იმ დროისათვის არ შეუდგენიათ, მაგრამ ზემოთ მოყვანილი სიის გამოქვეყნების შემდეგ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ხოსიტაშვილმა გამოაქვეყნა მაპმადიან ქართველთა გვარების დამატებითი სია რაიონების მიხედვით.

„წარმოდგენილი სია, რასაკვირველია, სრული არ არის, მაგრამ რამდენადმე ავსებს იმ ნუსხას, რაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა. იქ აღნიშნულ გვარებს არ ვიმეორებთ.

ადიგენის რაიონის სოფლები: სოფელ მოხეში ცხოვრობდნენ: წულუკიძე, ჭეჭლაში – არისთავი, ხორთუბანში – გურგენიძე, ერისთავი; კეხოვანში – ხოზრევანიძე, ადიგენში – შევარდნაძე, სანიკიძე; უდეში – ბარათაშვილი, მოლოზნიშვილი, ხერხეულიძე, ჩატყურაშვილი, აბულაძე, პეტრიაშვილი, კიკნაძე, ლორთქიფანიძე; აბასთუმანში – მახარაძე, კეჩუაშვილი; დერცელში – სანიკიძე; სალარაძეში – ყურაძე.

ასპინძის რაიონის სოფლები: ასპინძაში ცხოვრობდნენ ქართველი მაპმადიანები – დიასამიძე, ზუბალაშვილი; ტოლოშში – თუთაძე, ხიდირბეგაშვილი; შალოშეთში – მაჩაბელი; ხერთვისში – აბაშიძე, ვაჩნაძე, ორბელიანი, მიქაძე, ბადალაშვილი, შაქარაშვილი, წითურაშვილი; თოკეში – აბაშიძე; რუსთავში – ღარიბაშვილი; გესუნდაში – ვაჩნაძე; ოშორაში – ავალიშვილი, გონიაშვილი, ჭაქოშვილი.

ახალქალაქის რაიონის სოფლები: გოკიოში – სულაძე, ვარძელაშვილი; ქარცებში – ყარღალაძე; ქილდაში – ხარშილაძე, გოგოლაშვილი; ოკაში – გვრიტიშვილი.

ახალციხის რაიონის სოფლები: აწყურში – კოკოლაშვილი, გოგოლაძე, ტუფანაშვილი, ჩუმაძე, მიქელაძე, ყიფიანი, რუხაძე, დოზიძე, მეხიძე, აბაშიძე; ტყემლანში – კახიძე, ტარანაძე, ფუტკარაძე; წრიოხში – ლომაშვილი, ტაბუაძე, ბაზარაშვილი; ზიკილიაში – ბაკურაძე, ხმალაძე, ზურაბაძე, ჭიჭინაძე; ფერსათში – სვანიძე, ზამთარაძე, ოქროძე, ბერძენაშვილი, სვარაძე, ჩახალიძე; მუგარეთში – გვარამაძე, გემჩაძე, გამარაძე, ქოჩორაძე, ზამთარაძე; ჩიხტაში – სუდაძე, კოტაძე; შურდოში – კოტანაძე, ხარშილაძე, მურდაშვილი; გიორგიწმინდაში – მეხბორიძე, მეხრიძე, კვირიკაძე, პაპალაძე, ჭონქაძე, გვარამაძე; წნისში – მეხრიშვილი, ბექოძე; კლდეში – დიასამიძე, ედისაშვილი, ქიქიტაშვილი, მელაძე, ბლიაძე, ბაკურაშვილი, ჭარელაშვილი, მაზმიშვილი, გეგენაძე, გოძიაშვილი, მარიაშვილი, ჭინავაძე, კედელაშვილი, ლოდიაშვილი, ზარნიშაშვილი, თედორაშვილი, ბატონჯანიშვილი, ციხელაშვილი, ფუტკარაძე (ზეუბანში)...

სოფელ ბოგაში – კიჩუაძე, ჩუჩულაძე, ჭიქიაშვილი, კისერბრუდაშვილი, რეხვიაშვილი, ზეთიაშვილი, წიქვაძე, ჩივაძე, ბერძენიშვილი; ტატანისში – მურადაშვილი; სვირში – ბეთიაშვილი, ბაზუტაძე, ყუყუნიშვილი, კავთელაძე, კორკოტაშვილი, სალარიძე, კოკოლაშვილი, ჭილიძე, ჯულფაძე, კაკუნაშვილი, ცხვიტაძე, თირაძე, ყორიაშვილი, კორიაძე; ჭვინტაში – მეგორიშვილი, გურაშვილი; ვალეში – აბულაძე, ჩილაძე, გოზალიშვილი (კოჭიბროლაძე), გელაძე, დევაძე, ბერძოძე, ბოჭორიშვილი, ბარათაშვილი, გელაშვილი; ტობაში – ბებნაძე, ნოღრუაშვილი, გაგნიძე; თელვანში – ლურხნიაშვილი; ურაველში – ლურსმანაშვილი, ოქროპირიძე, ირემაშვილი; კორტანეთში – თაფლაშვილი; ენთელში – ანთიძე, ხურციძე; მინაძეში – მეცკარიძე; ხეოთში – მანველიძე, საბაძე“ (იხ. გაზ. ახ. კომ., 16.01.1990წ.).

მესხეთში ქართველ მაჰმადიანებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართველი მართლმადიდებლები. ზოგჯერ მათ შერეული სოფლებიც ჰქონდათ.

ასე დაიკარგა მრავალრიცხოვანი სამწყსო ქართული ეკლესიისა.

მაჰმადიანი ქართველები იმის შემდეგ, რაც განშორდნენ დედა-ეკლესიას, მოწყდნენ მშობელ – ქართველ ერსაც. ქართული ეკლესიის წიაღში ისინი ეროვნულად დაცულნი იყვნენ, განშორდნენ ქრისტეს და ამით საბოლოო ჯამში დაკარგეს თვითშემეცნება. მშობლიური ეკლესია მათ იცავდა. შევთხოვთ უფალ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს იესო ქრისტეს, ვითარცა უძღები შვილი დაუბრუნდა მშობელ მამას, მსგავსადვე თავის ერს დაუბრუნოს მისგან განშორებული შვილნი, რათა ისინი მიიღოს და ძველებურადვე შეიტკბოს საქართველოს სამოციქულო დედა-ეკლესიამ.

7 თებერვალი 1991 წ.
ქ. ბორჯომი



მიტროპოლიტი ანათოლი ჯაფარიძე

სერია: ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან
განშორებული ქართველებისა

ლაზეთი-ტრიალეთი

ქართველთა განვითარება

I. შესავალი

II. ურუმების საცხოვრისი

III. ბერძნული ეკლესიის უფლებების გაზრდა ოსმალეთში

IV. ქართველი მართლმადიდებლების გაბერძნება ოსმალეთში

V. ბერძნ-ურუმების გადმოსახლება თანამედროვე

საქართველოში

VI. ქართველების გაბერძნება საქართველოში

VII. გაბერძნებულთა გვარები

საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქია
1998

წინამდებარე ნაშრომში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში (ლაზეთსა და მესხეთში) მცხოვრებ იმ ქართველ მართლმადიდებელთა ბედი, რომელნიც ოსმალური კანონების შესაბამისად, კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატ-რიარქოს მრევლად გადაიქცნენ. ნაშრომი შეიცავს პარაგრაფებს მესხეთისა და ლაზეთის მართლმადიდებლების (ე.წ. „ურუმების“) საცხოვრისის, ოსმალეთში ბერძნული ეკლესიის უფლებების გაზრდის, ოსმალეთში ქართველი მართლმადიდებლების გაბერძნების, ბერძენ-ურუმების საქართველოში გადმოსახლების, გაბერძნებულთა გვარებისა და სხვათა შესახებ.

წიგნი განკუთვნილია საზღვარგარეთ გასულ ქართველთა ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად, რათა მათ არ გაწყვიტონ კავშირი დედა ქართულ ეკლესიასთან და არ გადაიქცნენ უცხო ეკლესიათა მრევლად.

© მიტროპოლიტი ანანია ჭავარიძე, 1998

შესავალი

ძველ საბერძნეთსა და ბიზანტიაში მიმდინარეობდა სხვადასხვა, მათ შორის ქართული, ტომების ელინიზაციის პროცესი. ქართველთა გაბერძნება მიმდინარეობდა ოსმალეთის იმპერიაშიც, ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ. უფრო მეტი, ბერძნებში ქართველთა ასიმილაციის პროცესი თვით XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი თბილისის გუბერნიაში. ოსმალეთის იმპერიაში ქართველების გაბერძნების შესახებ წერს მრავალი მეცნიერი, განსაკუთრებით აღსანიშნავია წათე ბაწაშის შრომა, ხოლო თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა გაბერძნებას კარგად აღწერენ იაკობ ახუაშვილი და სხვა მკვლევარნი.

ქართველთა გაბერძნების პროცესს აპირობებდა სხვადასხვა, მათ შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური, განსაკუთრებით კი ეკლესიურ-სარწმუნოებრივი მიზეზები, უნდა ითქვას, რომ ქართველების სხვა ერებში ასიმილირების ძირითადი მიზეზი იყო ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების დაბალი დონე (იგულისხმება XVI-XIX საუკუნეები).

ი. ახუაშვილი წერს – „კითხვაზე, თუ რამ მიიყვანა ჩვენი წინაპარი ამ ყოფამდი, ნაწილობრივ პასუხად გამოდგება ფ. ბოდენ-შტეტი, რომელიც 1847 წელს წერდა: „ქართველი უზრუნველია, სახვალიოდ არა პფიქრობს... ერთგული არიან, როგორც მათი ხმალნი, სწრაფნი და მარდნი – როგორც მათნი ტაიჭნი...“ (ი. ახუაშვილი, ეთნიკური პროცესი გარისის მიწაზე, მნათობი, 1988, №6, გვ. 150), მაგრამ მხოლოდ ეს დადებითი თვისებები არ ყოფილა საკმარისი ეროვნული ცნობიერების სიმტკიცისათვის. 6. ნიკოლაძის აზრით, „ბოროტის გარჩევა კეთილისაგან შეიძლება შეგნებით, მეცნიერების დაუფლებით, ეს მოითხოვს ტვინის

უჯრედების ვარჯიშს, რისთვისაც აუცილებელია შრომა და მტკ-იცე ნებისყოფა“ . მასვე კეთილ საქმედ მიაჩნდა – „საზოგადოების გათვითცნობიერებისა და განათლებისათვის ზრუნვა“ . ქართველების დენაციონალიზაციასთან (გაბერძნებასთან) დაკავშირებით ი. ახუაშვილი ზემოთმოყვანილ შრომაში განაგრძობს – „ვფიქრობთ, დროა ყოველივეს თავისი სახელი ეწოდოს, თუმცა დიდი ილიასი არ იყოს, „მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელს, მაგრამ ეს როდია იმის საბუთი, რომ თვალი დავიბრმაოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ, ენა მოვიჭრათ, როცა ეს სიავე ჩვენვე თავში გვცემს, ჩვენს არარაობას, ჩვენდა სამარცხვინოდ, საქვეყნოდ ჰლალადებს. საფუძვლიანი და საბუთიანი სიბოროტისა და სიავის მხილება საჭიროა და აუცილებელია...“

საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელი ერისას გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა“ (იქვე, გვ. 150).

ისტორიის გამეორებას, მომავალში მსგავსი სიტუაციის განახლების შემთხვევას, ჩვენი ხალხი ეროვნული ცნობიერების მაღალი დონით უნდა შეხვდეს. ეროვნული გადაგვარების საფრთხე დღესაც რომ რეალურია, იქედანაც ჩანს, რომ თვით რუსეთშიც კი საცხოვრებლად გადასული ქართველი ადამიანის შთამომავლები ეროვნებას ვერ ინარჩუნებენ და 2-3 თაობის შემდეგ ასიმილირდებიან სხვა ერში. მით უფრო რეალური გახდება ეროვნული გადაგვარების საფრთხე საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდების სამუშაოდ მასიური გასვლის შემთხვევაში. ამიტომაც წარსულის მიუდგომელი კვლევა საჭიროა.

მაინც რა იყო ის საშუალება, რომლის ძალითაც ქართველი ადამიანი ბერძნდებოდა? ეს იყო საეკლესიო იურისდიქცია, კერძოდ ის ქართველები, რომელნიც გარკვეული მიზეზების გამო ხდებოდნენ მრევლი კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლური საპატრიარქოსი – ბერძნდებოდნენ.

როგორც ცნობილია, მესხეთი ანუ სამცხე-საათაბაგო ვრცლად გადაჭიმული, მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო. იქ ქართველი ხალხის ერთი მესამედი მაინც ცხოვრობდა, ხოლო ქართველები XV საუკუნის ერთი ცნობის თანახმად, დიდი, მრავალრიცხოვანი ხალხი იყო.

კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბით ქართველი ხალხი მართლაც მრავალრიცხოვანი და „დიდი“ ხალხი რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ თვით XIX საუკუნის დასაწყისში, საუკუნოვანი ომების შემდეგაც კი, ქართველები მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობის 44%-ს შეადგენდნენ, მათი რაოდენობა მკვეთრად აჭარბებდა აზერბაიჯანელებისა და სომხების რიცხვს. მით უმეტეს, განსახილველ პერიოდში XVI-XVIII საუკუნეებში მესხეთში ქართველების რიცხვი შთამბეჭდავი იყო. სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, მესხეთის ქართველობა თითქმის სრულიად გადაგვარდა. მათი დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილმა მიიღო გრიგორიანობა (ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ, „სომხობა“), კათოლიკობა („ფრანგობა“), დარჩენილი ქართველი მართლმადიდებლები, რომლებზედაც კონსტანტინოპოლის საპატრიიარქომ იურისდიქციის გავრცელება შესძლო – ბერძნებად იქცნენ.

თუ რა პირობები შეიქმნა მესხეთში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის გასავრცელებლად, წერს ვახუშტი, რომლის თანახმადაც კონსტანტინოპოლი სარწმუნოებრივად ვალდებულიც კი იყო, ყურადღება მიექცია უპატრონოდ მიტოვებული ქართველი მართლმადიდებლებისათვის და თავის ფრთეთა ქვეშე შეეყვანა ისინი.

დაახლოებით 1659 წლისათვის მესხეთში „შეიქნა სრულიად მაჰმადიანობა წესითა და რჯულითა მათითა. და აღშენდებოდიან მეჩითნი. არამედ დაშთნენ გლეხნი და იგინიცა უმწყესელნი, ვითარცა პირუტყვნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 729).

მესხეთის მოსახლეობა სარწმუნოებრივ საკითხში ორ ფენად გაიყო. მაღალმა ფენამ მიიღო მაპმადიანობა, ხოლო გლეხები კვ-ლავ ქრისტიანებივე დარჩნენ, მაგრამ წინამძღვართა გარეშე. ქართველ გლეხ-ქრისტიანებს ქართული ეკლესია აღარ ეშვახურებოდა, რამეთუ სხვადასხვა მიზეზების გამო ეკლესიას გამოეცალა მატერიალურ-ფინანსური საფუძველი, წარჩინებულები კი მასზე აღარ ზრუნავდნენ. უქართულეკლესი-ოდ ანუ „პირუტყვებით“ უმწყემსელად დარჩენილი ქრისტიანი გლეხები ეროვნული თვითშემეცნების დაბალი დონის გამო ერთ-მანეთს შორის გაინაწილეს ბერძნულმა, სომხურმა, კათოლიკურმა ეკლესიებმა, ხოლო გლეხების ის ნაწილი, რომელზედაც აღნიშნულ არაქართულ ეკლესიებს ხელი არ მიუწვდა – თანდა-თან წარჩინებულთა წაბაძვით – გამაპმადიანდა. რაც შეეხება წარჩინებულებს, მათ ოსმალეთის იმპერიამ ისეთი ეკონომიკურ-მატერიალური მახე დაუგო, რომ ან მაპმადიანობა უნდა მიეღოთ, ან ქონება სრულიად დაეკარგათ. წარჩინებულებმა სიღატაკეს გამაპმადიანება არჩიეს, მალე, თუმცა ცოტა მოგვიანებით მათი ცოლ-შვილიცა და შვახურნიც გამაპმადიანდნენ. გამაპმადიანებას ეროვნული ცნობიერების დაკარგვა და „გათათრებაც“ თან სდე-ვდა (აქაც ეროვნული თვითშემეცნების დაბალი დონე ჩანს) – ამის გამო მესხეთში „...მოხსრდებოდნენ ეკლესიანი დიდშვენიერნი და იქნებოდნენ პირუტყვთა საღვურნი და ილტვოდიან კვალადცა რომელთა არა ინებეს მაპმადიანობა ქართლს, ოდიშს, კახეთს... მოისპონენ ეპისკოპოზნი თუ სადმე იყო და მონოზონი და მწყემსნი, გარნა თვინიერ ადგილ ადგილ იპოვებოდნენ მღვდე-ლნი“ (იქვე, 728).

როგორც ითქვა, ქრისტიანებად „დაშთნენ გლეხნი და იგინი-ცა უმწყესელნი“. ამ ქრისტიან გლეხების საჭიროებისათვის ქართველ გლეხებს ვეღარ აკურთხევდნენ, რადგანაც ქართული საეპისკოპოსოები აღარ არსებოდნენ, ამიტომაც ქართველ ქრი-

სტიან გლეხებს კონსტანტინოპოლმა მოუვლინა ბერძენი მღვდლები. მათი ქცევის შესახებაც დაცულია ცნობები. ექვთიმე თაყაიშვილი კარგად აღწერს ბერძენი მღვდლების მოქმედებას, თუმცა კი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის დროს – „...დატრიალ-დნენ ბერძნის მღვდელებიც და უნდოდათ ჩაეგდოთ ხელში სოფელი და დაემყარებინათ იქ ბერძნული წირვა-ლოცვა, თუმცა იქ მთელი სოფელი ქართულად ლაპარაკობს. ამ მიზნით ერთ ბერძენ მღვდელს ცბიერებით გამოერთმია მათვის ძველი ქართული საეკლესიო წიგნები...“ (ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო, „მნათობი“, №8, 1990 წ., გვ. 138).

საერთოდ მესხეთის მრავალრიცხოვანი ქართველობა მთლიანად არ გამუსულმანებულა. აქ, განსაკუთრებით კი ამ ქვეყნის სამხრეთ მხარეებში, საკმაოდ დარჩნენ ქართველი მართლმადიდებელი გლეხები, რომელთა პატრონობისა და მწყემსობის ნება ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გადაეცა, ისევე როგორც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სხვადასხვაენოვანი მართლმადიდებლებისა. შედეგმაც არ დააყოვნა, ქართულმა მართლმადიდებელმა მოსახლეობამ თურქული ენა შეითვისა და თურქულენოვანი გახდა, ეკლესიურად კი კონსტანტინოპოლის სამწყსოდ იქცა. მათზე მალე იტყვიან: „ენა დაკარგეს, რწმენას კი არ უდალატეს“. ქრისტიანი თურქულენოვანი მართლმადიდებელი ქართველები უცხო, ბერძნული, ეკლესიის მრევლი გახდნენ.

ურეგების საცხოვრისი რსმალეთის იმპერიაში

ქართველთა ეთნიკური განსახლების საზღვარი მდინარე ევფრატამდე აღწევდა და ზოგჯერ ამ მდინარის სათავისა და ზემოწელის ზოგიერთ ხეობასაც მოიცავდა, კერძოდ კი ამჟამად ყარასუდ სახელდებულ მდინარეს. აქ არზრუმის სანახებში თვით XVII საუკუნეში ქართული სოფლებიც არსებულა, ხოლო არზრუმელი ქართველი ეპისკოპოსი, აღნიშნულ საუკუნეში აქ მჯდომი, ჩანს, ერთ-ერთი ბოლო ეპისკოპოსი იყო მესხეთისა.

არზრუმის გასწვრივ შავ ზღვამდე ტერიტორიებიც ქართველებით იყო დასახლებული, კერძოდ აქ მესხურ მოსახლეობას ლაზური მოსახლეობა ენაცვლებოდა. ლაზისტანი, ანუ ტრაპიზონის ვილაიეთი ძირითადად ლაზებისა და ჭანების ქვეყანას წარმოადგენდა. აღნიშნული ვრცელი მიწა-წყალი, ჭოროხის ხეობასა და მტკვრის სათავესთან ერთად ძველთაგანვე ქართველი ერის ეთნოგენეზის ერთ-ერთ ტერიტორიას წარმოადგენდა. აქ ჩამოყალიბებულა ქართველი ზალხი; აქეთ ეგულება ზოგიერთ მეცნიერს „არიან-ქართლი“. მოგვიანებით აქ ჩამოყალიბდა ე.წ. „ქართველთა სამეფო“ (ტაო-კლარჯეთი), გამაპ მადიანებამდე ეს კუთხე წარმოადგენდა ქართული კულტურის მძღავრ კერას.

XVII ს. თურქი ისტორიკოსის ჩელების მტკიცებით, „მდინარე არეზის და ზანგის ჩრდილოეთით 40 დღის სავალი კავკასიონის მთების ჩათვლით ზაზართა ზღვამდე, დაღესტნად და საქართველოდ ითვლებოდა. მისი დასავლეთი მხარე არზრუმს აღწევს“ (ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 315). XVII ს. ანტიოქიელი პატრიარქი მაკარი, რომელმაც თითქმის მთელი მესხეთი ფეხით მოიარა, ადასტურებს, რომ ადრე საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო მდინარე ევფრატი და ევფრატის აქეთა ტერიტორიები სულ საქართველოდ ითვლებოდა. საქართველოს

„საზღვარი ეკვრატამდე ჩადიოდა. ამას მოწმობს ჩელებიც. მდინარე არეზის აქეთა მხარესა და არზრუმის მიდამოებს დიდხანს შემორჩა ქართული მოსახლეობა. XVII ს. არზრუმის მიდამოებში გამოვლილმა არქანჯელო ლამბერტიმ რამდენიმე ქართული სოფელი ნახა, რომელთაც არზრუმელად წოდებული ქართველი მწყემსმთავარი ეჯდათ არზრუმში“ ... XVIII ს. შუა წლებში ტ. გაბაშვილმა გუმიშხანეში დაადასტურა არა მარტო ქართული ეკლესიების არსებობა, არამედ მოსახლეობაში შერჩენილი ხსოვნაც, რომ ადრე იგი საქართველოდ ითვლებოდა“ (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975 წ., გვ. 258).

ურუმები საქართველოში მცხოვრები ის ბერძნები არიან, რომელთა დედაენას წარმოადგენს თურქული ენა და გალოსახლებულნი არიან ჩვენში რუსული ხელისუფლების მიერ არზრუმ-გიუმიშხანეს მხარიდან, როგორც მართლმადიდებლური მოსახლეობა. მათ არ იციან ბერძნული ენა, ამასთანავე ერთად ეთნოგრაფიული ნიშნებითაც უფრო ქართულ-კავკასიურ-ოსმალურ სამყაროს განეკუთვნებიან, ვიდრე ბერძნულს. ურუმების თურქულენოვნების გამო არსებულა მოსაზრება, რომ ურუმები არიან თურქები, რომელთაც მიიღეს ქრისტიანობა (იქვე, გვ. 135). ასეთი აზრი გამოუთქვამს თურქულ-ენოვანი ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურ პანას ეფტიმს. მისი მოსაზრებით, ანალოგიური თურქულენოვანი ბერძნები ის თურქები არიან, რომელთაც ძალით მიაღებინეს ქრისტიანობა (იქვე, გვ. 135). მათ თურმე „რწმენა შეუცვლიათ,

ენა კი შეუნარჩუნებიათ“. ასეთი აზრი არსებობდა ანატოლიელი ბერძნების შესახებ, ხოლო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (რომელიც იმ დროს შედიოდა ოსმალეთის იმპერიაში) მცხოვრებ ბერძნებს XIX საუკუნის ევროპული მეცნიერები არა ბერძნულ, არამედ სლავური წარმოშობის მოსახლეობად მიიჩნევდნენ. « შ. კაპიტან 1853 წ. შ. კაპიტან « კაპიტანი კაპიტან _ კაპიტან » კაპიტან: « კაპიტან შ. კაპიტან _ კაპიტან კაპიტან კაპიტან კაპიტან, კაპიტან კაპიტან კაპიტან კაპიტან კაპიტან », (იქვე, გვ. 134).

მით უმეტეს დასაშვებია გიუმიშხანელების ქართული წარმომავლობა. საერთოდ სიტყვა „ურუმი“ თურქულად ნიშნავს რომაელს. როგორც ცნობილია, ბიზანტიია მეცნიერული ტერ-მინია, ბიზანტიის იმპერია – რომის იმპერიად იწოდებოდა თავისი მოსახლეობის მიერ. ამიტომაც იყო, რომ იმის შემდეგ, რაც აღმოსავლეთ რომის იმპერია (ანუ ბიზანტია

საქართველოში დამკვიდრებული ურუმები შესდგებიან კილისების, კანეტების, პასენისა და ლაზებისაგან. მათ ყველას აქვთ ბერძნული თვითშემეცნება (გვ. 142). ლაზებიც (ისინი წალკის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შეადგენენ) კი, თრიალეთში დამკვიდრებულნი, ბერძნებად მიიჩნევიან.

ბერძნელი პალმის უფლებების გაზრდა ოსმალეთში

„ამის შემდეგ თავიანთი შეხედულებისამებრ ოსმალებმა თუ-
რქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანები ორ მთავარ
ჯგუფად, ფრანგიციად, გაყვეს და მათ სულიერ მეთაურებად აღნ-
იშნული საპატრიარქოები გამოაცხადეს. ქრისტიანული მრევლ-
ის ამგვარი დაყოფის შედეგად საბერძნეთის საპატრიარქოს

განმგებლობაში შევიდნენ: ბერძნები, ბულგარელები, სერბები, ალბანელები, ვალახები, მოლდაველები, ხორვატები, კარაგანები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, მელჩიტები, ლაზები“ (იქვე, გვ. 25). ამ სიაში შეტანილი არ არიან მესხები, იმ მიზეზის გამო, რომ ამ დროისათვის მესხეთი ჯერ კიდევ არ იყო დაპყრობილი თუ-რქთა მიერ. მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში ოსმალეთში მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებელ მრევლზე თანდათან, ქართულ საეპისკოპოსოთა გაქრობის კვალდაკვალ, ბერძნულმა ეკლესიამ განახორციელა უფლებამოსილება.

ლაზები, უფრო სწორად ლაზ-ჭანები, მაშინ ქართებთან ერთად ტრაპიზონის სამეფოს ძირითად მოსახლეობას, მის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ... თურქ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის საკეისროს დაპყრობისა და გაუქმების შემდეგ (1461 წ.) იწყება მოსახლეობის თანდათანობით გამაჰმადიანების პროცესი... მოსახლეობის მეორე ნაწილმა, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას შერჩა, თავი ბერძნად გამოაცხადა (თუ გამოაცხადებინეს) და ასე ქართული ენის დავიწყებითა და თურქულ-ბერძნული ენებით, რომელშიც მშობლიური ენის კვალი ჯერ კიდევ არ იყო წაშლილი, მოაღწია XIX საუკუნემდე.

გ. აჭარიანი წერდა – „მოიპოვებიან ქრისტიანი ლაზებიც, რომლებიც ექვემდებარებიან ბერძენ პატრიარქს სტამბოლში. ლაპარაკობენ ბერძნულად და თავს ბერძნებად თვლიან. ამის მიუხედავად, მათ მაინც სცნობენ თავისებური გამოთქმის (აქცენტის) მიხედვით. მათ უჭირავთ ლაზისტანის დასავლეთი ნაწილი პლატანიდან აღმოსავლეთისაკენ ტრაპიზონამდე და ტრაპიზონის სამხრეთით გიუმიშხანამდე. მთავარი ქალაქები, სადაც მათ ვხვდებით, არის პლატანა, ტრაპიზონი, გიუმიშხანე“. 1830-იანი წლების დასაწყისში ანდრიანოპოლის ხელშეკრულების შესაბამისად, ქვემო ქართლში შემოყვანილ და დასახლებულ იქნა გიუმიშხანელ ქრისტიანთა ერთი ჯგუფი. ესენი იყვნენ თურქულ-

ენოვანი ქრისტიანები, რომელთაც ოფიციალურ საბუთებში „ბერძენი“, ანუ „ურუმი“ ერქვათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც თურქულ, ისე დასავლეთ ევროპულ საბუთებში მართლმადიდებლური სარწმუნოების არაბერძენი ხალხები უმეტეს წილად „ბერძნებად“ მოიხსენებიან. ბევრ საბუთში, როცა სარწმუნოებრივ დოგმატიკაზეა საუბარი, ქართველი მრევლიც და ქართული ეკლესიაც „ბერძნულად“ (ბერძნული ტიპიკონის გამო) არის მონათლული. მიუხედავად იმისა, რომ გიუმიშხანიდან გადმოსახლებულ „ბერძენთა“ შორის მაშინვე არსებობდა გადმოცემა მათი ქართულ-ლაზური წარმოშობის შესახებ, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. პირიქით, ცარიზმი ხელს უწყობდა მათში „ბერძნული“ წარმოშობის აზრის გაღვივებას და პერსპექტივაში მათ მიიჩნევდა რუსიფიკაციისთვის საუკეთესო მასალად... დღეს ოფიციალური დოკუმენტებით ქრისტიანი ლაზი აღარ არსებობს, ისინი ბერძნებად არიან აღრიცხულნი. თუმცა ყველას მათ ჯერ კიდევ ახსოვთ გადმოცემა თავიანთი ლაზური წარმოშობის შესახებ...“ (იქვე, გვ. 27).

ი. კორელოვი წერს, რომ იმის შემდეგ, რაც ოსმალებმა ქრისტიანებს პოლიტიკური უფლებები ჩამოართვეს, ნება დართეს ჩამოყალიბებინათ თვითმყოფადი თემები. მაჰმად II-მ ნება დართო ბერძნებს თავისუფალი სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, მიიღო ღონისძიება კონსტანტინეპოლიში გაფანტული ბერძნების დასასახლებლად, სპეციალური სიგელით უზრუნველყო ქრისტიანების თავისუფლება და უშიშროება (ი. კორელოვი, დასახ. ნაშრ. მაცნე, ისტორიის სერია, 1989. გვ. 137).

ყველაფერი ეს კეთდებოდა, ცხადია, ბერძნული ეკლესის გულის მოგების მიზნით, პოლიტიკურად სრულიად უფლებააყრილი ბერძნული ეკლესია ოსმალებს ესაჭიროებოდათ არა მარტო ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად, არამედ ევროპული არამართლმადიდებლური სახელმწიფოების ძალთა

გასანეიტრალებლადაც. ყოველ შემთხვევაში, ბერძნული ეკლესია მართვადი იყო ოსმალთათვის.

წ. ბაწაში წერს - „1746 წელს მაპმად II-ის გამოცემული „კანუნ-ნამეს“ მიხედვით დაწესდა სტატუსი არამუსლიმანური რელიგიური თემებისათვის და დამტკიცდნენ კონსტანტინოპოლიში მართლმადიდებლური (ბერძნული) და სომხური (გრიგორიანული - წ.პ.) პატრიარქები და ეპირალთა მთავარი რაბინი. ყველა მართლმადიდებელი (ბერძნები, ბულგარელები, სერბები, ალბანელთა ნაწილი, ქართველები, ვალახელები და მოლდაველები), ამიერიდან განიხილებოდა, როგორც ერთი „ბერძნული თემი“ (ბერძენი ერი), რომელზედაც პატრიარქი როგორც საეკლესიო, ასევე სასამართლო ძალაუფლებით სარგებლობდა, კატორლაში გაგზავნის ჩათვლითაც კი. პატრიარქსა და ეპისკოპოსებს ეკუთვნოდათ კონტროლი მართლმადიდებელი ეროვნების სკოლებსა და წიგნებზე. მათ ჰქონდათ მინიჭებული, აგრეთვე, ზოგიერთი პირადი პრივილეგია“ (ინალჯიქ ჰ. დაპყრობის ოსმალური მეთოდი „სტუდია ისლამიკა“, 1954, №2, გვ. 123-124 (ინგლისურ ენაზე); აგრეთვე მსოფლიო ისტორია), მ. 1957, ტ.ვ. გვ. 739 (რუსულ ენაზე. ციტირება წათე ბაწაშის დასახ. ნაშრომიდან).

ოსმალების იმპერიაში, როგორც ცნობილია, ცნებას „ერი“ წმინდა რელიგიური შინაარსი ჰქონდა, ე.ი. ყველა მუსლიმანი იყო ოსმალო, ყველა მართლმადიდებელი - ბერძენი და ა.შ.

„არა მხოლოდ პორტა (ოსმალეთის მთავრობა, წ.პ.), არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ სცნობდა მართლმადიდებელ ქრისტიანთა შორის რომელიმე ეროვნებას, გარდა ბერძნულისა“ (არშ. გ.ლ. ეტერისტული მოძრაობა რუსეთში, მ. 1970, გვ. 103, რუსულ ენაზე) და საერთოდ „ბალკანეთის ნახევარკუნძულის (აგრეთვე პონტოს - წ.პ.) მთელი მართლმადიდებლური მოსახლეობა მაშინ კონსტანტინეპოლ-

ის იურისდიქციაში იმყოფებოდა. ეს იურისდიქცია ატარებდა არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო ხასიათსაც. ბერძენ პატ-რიარქს, მის მიტროპოლიტებს და ეპისკოპოსებს ჰქონდათ სასამართლო და საგადასახადო უფლებები ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის – არა მხოლოდ ბერძნების, არამედ ბულგარელთა, სერბთა, ვალახელთა, მოლდაველთა, ალბანელთა... მიმართ. ყველა სკოლა, რომელშიც მართლმადიდებელთა შვილები სწავლობდნენ, დამოკიდებული იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქზე. სკოლაში სწავლება, როგორც წესი, მიმდინარეობდა ბერძნულ ენაზე. ბერძნულ ენაზე სრულდებოდა მღვდელმსახურებაც. განათლებისა და ეკლესიის ამ ელინიზაციამ და, აგრეთვე, ეკონომიურმა მოთხოვნილებებმა გამოიწვიეს ბერძნული ენის საყოველთაო გავრცელება. ბერძნული ენის მონოპოლიის მცველად კი იდგა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, რომელიც ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა სხვა ეროვნულ კულტურათა განვითარებას“ (იქვე, გვ. 102), (წ. ბაწაში, ეთნორელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, 1988, გვ. 40-41).

რუმინეთი, რომელსაც ისტორიულად ვლახეთი და მოლდავეთი ეწოდებოდა, მეთექსმეტე საუკუნეში ოსმალეთის სფეროში მოქაცა. ოსმალებმა 1716 წლიდან რუმინელების ქვეყანა სამართავად ბერძნულ თემს – ე.წ. ფანარიოტებს გადასცეს. ფანარი ერქვა კონსტანტინეპოლის ერთ უბანს, სადაც ოსმალეთის იმპერიასთან მოთანამშრომლე გამდიდრებული ბერძნები ცხოვრობდნენ, რომელთაც ოსმალები იყენებდნენ იმპერიის მართლმადიდებელი ხალხების სამართავად, ამავე უბანში იჯდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი. ბერძნებმა ფანარიოტებმა რუმინელების ქვეყნის მართვის უფლება ოსმალებისაგან შეიძინეს დიდი თანხის გადახდის შედეგად.

„იყიდეს რა ქვეყნის მართვის უფლება, ფანარიოტები, რომელნიც შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდნენ, გაწეული ხარჯების ამოგებას ცდილობდნენ, რამაც ქვეყანა სრულ გადატაკებამდე მიიყვანა“ (ა. სკურატი, „ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიები“, თარგმნილი გ. საქონადის მიერ „რუმინეთის ეკლესია“, გაზ. „მადლი“, 1997, 20.05, გვ. 9).

ფანარიოტელი მდიდარი ბერძნების საბოლოო მიზანი იყო ოსმალეთისავე დახმარებით, ან სხვა გზით შეექმნათ „ბერძნული სამეფო“.

ა. სკურატი წერს, რომ ფანარიოტელი ბერძნები „იმ მიზნით, რათა ბალკანეთის ხალხებისაგან ბერძნული სამეფო შეექმნათ, მათ ყოფაში ბერძნულ ენასა და კულტურას ძალით ნერგავდნენ, რაშიც ბერძნული იერარქიაც ხელს უწყობდათ. ეპისკოპოსად ბერძნებს ნიშნავდნენ, ქალაქში ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე სრულდებოდა“ (იქვე, გვ. 9).

აქედან კარგად ჩანს, რომ ოსმალეთის იმპერიაში არა თუ ქართველებს, არამედ ბალკანელ ხალხებს, მათ შორის რუმინელებსაც აბერძნებდნენ. მეტ-ნაკლებად ეს მათ მოახერხეს.

კონსტანტინეპოლის უბან „ფანარიდან“ გამოსული ბერძნები, რომელნიც თავის თავს „ბერძნული არისტოკრატიის უმაღლეს კასტად მიიჩნევდნენ“, ძირითადად შედგებოდა ვაჭრებისაგან, გადამყიდველებისაგან და მსგავსი ხელობის ადამიანებისაგან (ო. გვინჩაძე, „ანთიმოზ ივერიელი“, რუსულ ენაზე, 1989 წ. გვ. 246-247). ფანარიოტელმა ბერძნებმა ოსმალეთის სულთანის კარზე თანდათან დაიჭირეს უმაღლესი საკარისკაცო თანამდებობები. 1716 წელს ოსმალეთის სულთანმა ვლახეთის მთავრის თანამდებობა უბოძა ერთ-ერთ ასეთ ფანარიოტ ბერძენს და ამის შემდეგ თითქმის საუკუნის მანძილზე ვლახეთის (რუმინეთის) ვრცელ ქვეყანას ბერძნები მართავდნენ.

ვლახეთის ბერძენი მთავრის კარზე ბერძნებმა დაიჭირეს უმთავრესი საკარისკაცო თანამდებობები... ასეთი იყო „გრამატიკოსი“, ანუ ქართულად მწიგნობარი, რომელიც წარმოადგენდა მთავრის პირად მდივანს. არანაკლები თანამდებობა იყო ე.წ. „დიდი მესაწოლე“, მთავრის პირადი მომსხვენებელი, აგრეთვე „დიდი კომისი“, ანუ ქართულად მეჯინიბე, „მუხურდარი“ – მთავრის ბეჭდის მცველი, „დივიკტარი“ – საბუთების მცველი. სხვა მთავარი თანამდებობებიც ბერძნებს ეჭირათ.

ვლახეთში სხვადასხვა ფორმის ბერძნული ელემენტის შექრამ, რომელიც ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში დაიწყო, ფანარიოტების მმართველობის დროს აპოგეას მიაღწია. ბერძენი ფანარიოტები ვლახეთსა და დუნაისპირა ქვეყნებში ცდილობდნენ, საეკლესიო იერარქია შეექსოთ ეთნიკური ბერძნებით (იქვე, გვერდი 249), ამიტომაც ფანარიოტების მმართველობის დროს ვლახეთის 12 მიტროპოლიტიდან 7 იყო ბერძენი და ასეთი სურათი ჩანდა ეპისკოპოსების ეროვნული შემადგენლობის მხრივაც.

ამის შედეგად ვლახეთის საეკლესიო ცხოვრება თანდათან გარდაიქმნა ბერძნულ ყაიდაზე, ეროვნული სკოლები იხურებოდა, რუმინული ენა, როგორც „სამარცხვინო ჟარგონი“, იცვლებოდა ბერძნული ენით, ეს ენა (ესე იგი ბერძნული) უკვე წარმოადგენდა ადმინისტრაციისა და განათლების ენას. რუმინეთის სასულიერო აკადემიაში მხოლოდ ბერძნები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ პედაგოგებად. სუბსიდიები ეძლეოდა მხოლოდ იმ ეკლესია-მონასტრებს, სადაც ღვთისმსახურები იყვნენ ბერძნები (იქვე, გვ. 250).

ანთიმოზ ივერიელი, როგორც ო. გვინჩაძე მიიჩნევს, არ უყვარდათ ვლახეთის ბერძენ ეპისკოპოსებს. ამიტომაც როდესაც ანთიმოზი აუჯანყდა სულთანის მიერ დადგენილ ვლახეთის ბერძენ მთავარს, მიტროპოლიტის საქმე გაარჩია მსოფლიო პატრიარქმა იერემია III-მ. მან გამოსცა საპატრიარქო სიგელი, რომე-

ლშიც ანთიმოზ ივერიელი მოხსენებულია მოჯანყე რევოლუციონერად, მებრძოლად ოსმალეთის იმპერიისა და ვლახეთის ბერძენი მთავრის წინააღმდეგ, რომელსაც ამის გამო ჩამოერთვა ყოველგვარი სასულიერო ხარისხი. ეს სიგელი გამოცემულია 1716 წლის აგვისტოში (იქვე, გვ. 259).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ მართალია, ბერძნულმა ერთი მხრივ დაკარგა მთელ სახელმწიფოზე პოლიტიკური ზეგავლენის უფლება, მაგრამ სამაგიეროდ მიიღო ახალი უფლებები, კერძოდ, თუ აქამდე ბულგარულ, ქართულ და სხვა ეკლესიებს ავტოკეფალია და ავტონომია ჰქონდათ და ამის გამო არაბერძნულ მრევლზე კონსტანტინეპოლის უფლებები შემოსაზღვრული, ანდა ნორმირებული იყო, ახლა ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით ოსმალეთმა ყველა ეროვნული მართლმადიდებლური ეკლესია ერთ საერთო ბერძნულ ცენტრს დაუქვემდებარა. ამით, ცხადია, ადგილობრივ ეკლესიათა უფლებები, ავტონომიურ-ავტოკეფალური დამოუკიდებლობა, შესაბამისი საეკლესიო კანონები მოიშალა. ერთი სიტყვით, დამპყრობლებმა იმპერიის შენარჩუნება შეძლეს, ამ საქმეში კი კონსტანტინოპოლი გამოიყენეს. პატარა ერები კი ერთმანეთს შორის გაინაწილეს. ზოგი გაამაჰმადიანეს, ზოგიც გააბერძნეს.

საბედნიეროდ, თურქებმა ვერასოდეს ვერ შეძლეს საქართველოს სრული დაპყრობა (ამ შემთხვევაში ქართული ეკლესია ბერძნულს დაექვემდებარებოდა). მათ მხოლოდ მესხეთსა და ისტორიული საქართველოს სამხრეთ პროვინციებში მცხოვრები ქართველი მართლმადიდებლები დაუქვემდებარეს კონსტანტინეპოლის პატრიარქეს.

ქართველი მართლმადიდებლების განვირობება რსმაღლობი

როგორც აღინიშნა, ქართველთა ეთნიკური განსახლების არეალი ევფრატამდე აღწევდა, XVII საუკუნეში ეზრუში ქართველი ეპისკოპოსი იჯდა, ხოლო XVIII საუკუნეში გიუმიშხანელებს ახსოვდათ, რომ მათ მიწა-წყალს არცოუ დიდი ხნის წინ საქართველო ეწოდებოდა და საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ოსმალებმა თანდათან, საუკუნეთა მანძილზე შესძლეს უვრცელესი ქართული ტერიტორიების დაკავება, ისე, რომ საბოლოოდ არზრუშის ნაცვლად საზღვარი ოსმალეთსა და საქართველოს შორის ბორჯომთან და ქობულეთთან გადიოდა. ქართველები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ თურქებს. ჩანს, XVI საუკუნეში თურქებს არზრუშმდელი და ევფრატელი ქართველობა უმართავდა პარტიზანულ ომებს და საკმაო ზარალსაც აყენებდა მტერს. ამას ის ამტკიცებს, რომ 1514 წლის ოსმალეთ-სპარსეთის ომის დროს ქართველებიც ჩაბმულან ამ ომში ოსმალეთის წინააღმდეგ. ომის დასაწყისში ოსმალები სპარსთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ. შემდეგ კი უკან დაიხიეს. კატერინო ძენო წერს, რომ უკანდახული თურქების მთავარსარდალი „... გაემართა ევფრატისაკენ. გზაში ზვდებოდა დაბრკოლებას ქართველების მხრივ, რომლებიც მსუბუქი რაზმებით ძარცვავდნენ არმიის აღალს და ნაკუწ-ნაკუწ აქცევდნენ ყველას, ვინც შეეცდებოდა რიგების მიტოვებას მცირე მანძილითაც კი. მათი თავდასხმები იმდენად ხშირი იყო, რომ აკინჯები, რომლებიც შეჩვეულნი იყვნენ 40-50 მილის გავლას, ვერ ბედავდნენ გაქცევას, ლაშქრისაგან მცირეოდენ მოშორებას, რადგან გამძვინვარებული მტერი (ქართველები) უმოწყალოდ ხოცავდა მათ. მათ მხოლოდ ხმალი კი არ ხოცავდა, არამედ შიმშილიც, რადგან არახელსაყრელი პირობების გამო ლაშქრის მომარაგებას პროდუქტებით ვერ ახერხებდნენ. თანახმა

იყვნენ, ერთი საშინელი სიკვდილის ნაცვლად მეორე უფრო საშინელი სიკვდილით დახოცილიყვნენ“ (მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო, 1989, გვ. 28).

ამ ცნობას მრავალი დეტალის დამატებით სხვა ავტორებიც ადასტურებენ“... მაგრამ ვინ არიან ეს ქართველები, რომელი სამეფო-სამთავროს წარმომადგენელნი, ამის შესახებ უცხოური და ქართველი წყაროები არაფერს ამბობდნენ“ (იქვე, გვ. 29). ეს-ენი ქართლ-კახელები არ ყოფილან („ქართლისა და კახეთის სამეფოს ჯარს არ შეეძლო ამ დროს ოსმალეთის არმიის წინააღმდეგ ბრძოლა“ (იქვე, გვ. 30). მ. რეხვიაშვილი ვარაუდობს, 1514 წლის ოპერაციაში თურქთა წინააღმდეგ იბრძოდა იმერეთის ჯარი, მაგრამ საქართველოს რომელი კუთხის ჯარიც არ უნდა ყოფილიყო, მასში ევფრატელ-ერზრუმელი ქართველების მონაწილეობა სავარაუდოა, მითუმეტეს, რომ მტერს პარტიზანული მეთოდებით ებრძოდნენ, ალყაში აქცევდნენ, პროდუქტებით და პრავიზით მომარაგების საშუალებას არ აძლევდნენ მიმდებარე სოფლებიდან. ამიტომაც ის „ქართველები“, რომელთა შესახებაც მიუთითებენ უცხოელი ავტორები, მკვიდრი მოსახლეობაა, სხვა მხარის ქართულ ლაშქართან ერთად თურქთა წინააღმდეგ აღმდგარი. ევფრატზე არა თუ ამ დროს, ერთი საუკუნის შემდეგაც ქართული სოფლები არსებობდნენ, თავიანთი ქართველი არზრუმელი ეპიკოპოსით, როგორც ეს აღნიშნული იყო. ასევე XIX ს-ში თრიალეთსა და ქვემო ქართლში გადმოსახლებამდე არზრუმთან ცხოვრობდნენ მართლმადიდებლები, რომელთაც ამ დროისათვის უკვე მშობლიური ენა დავიწყებოდათ და თურქულენოვან მოსახლეობად ქცეულიყვნენ.

მესხეთისა და ლაზეთის დაპყრობის შემდეგ არსებული კანონის თანახმად, ადგილობრივი მართლმადიდებლები უთუოდ უნდა დამორჩილებოდნენ კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რომელიც

თავის მხრივ, ახლადშემოერთებულ მრევლს ბერძენ მღვდლებს უგზავნიდა. მღვდელს კი ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ მიღებული წესით განუსაზღვრელი უფლებები გააჩნია თავის სამწყსოში შემავალ ადამიანებზე. მღვდელი მათთვის მარტო სასულიერო ხელმძღვანელი კი არ იყო, არამედ საეროც, კერძოდ, ის იყო მოსამართლეც, მსაჯულიც და უფრო მეტიც, მას დამნაშავის კატორლაში გაგზავნაც კი შეუძლო. ეს ფაქტი ცნობილია ევროპელი მეცნიერებისთვისაც – „....ოსმალეთის იმპერიაში ბერძნულ-მართლმადიდებლურმა სამღვდელოებამ მიიღო ერთმორწმუნებზე დესპოტური (აბსოლუტური) ძალაუფლება... მრევლში მღვდელი ერთდროულადაა მსაჯული, მამასახლისი, მასწავლებელი, გადასახადების ამკრეფი, ყველა საქმის მოთავე. იგი საეკლესიო მსახური კი არ არის, არამედ ოსტატია, რომელსაც ყველაფერი ეხება... ამ ყოვლის მომცველმა დესპოტურმა მეურვეობამ, ეკლესიის ამ კონტროლმა და ჩარევამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია“. მართლმადიდებლობის არაბერძენი მიმდევრები არ ურიგდებოდნენ ასეთ მდგომარეობას და ყველგან, სადაც კი ადგილი ჰქონდა წარმატებულ სახალხო მოძრაობას, როგორც მაგალითად, სერბიასა და ვალახეთში, ხალხი აძევდებდა ბერძნული წარმოშობის საეკლესიო მსახურებს და მათ ადგილზე ინიშნებოდნენ მსახურნი ადგილობრივი მოსახლეობიდან“. ასევე იყო ვთარება პონტოს პროვინციებშიც... „გერ დაგფარავ იმ ამაზრზენ და უსიამოვნო შეტაკებების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა უნიეში ბერძნულ სამღვდელოებასა და მის მრევლს შორის ... განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ქალებმა, რომლებიც ჩაიკეტნენ ეკლესიაში, მათ განდევნეს მღვდელები... მთავარი პატრიარქის დაჟინებითი მოთხოვნით პორტამ (ოსმალეთის მთავრობამ – წ.ბ.) გააგზავნა ბრძანება და ფაშა თავად გაემართა ამბოხებულთა დასასჯელად...“ და ეს ცალკეული

შემთხვევა არ იყო. ადგილობრივი მართლმადიდებელი არაბერძნი მოსახლეობა ბერძნული საპატრიარქოსგან თავის დასაცავად მასობრივად იღებდა მაჰმადიანობას თუ სხვა რელიგიას“ (წათე ბაწაში, დასახ. ნაშრ., გვ. 43).

ვფიქრობთ, ფაქტი, რომ არზრუმის სანახებში არსებულ ქართულ სოფლებს XVII საუკუნეშიც ჰყავდათ ქართველი ეპისკოპოსი, ბერძნი სამღვდელოების მიმართ მათი წინააღმდეგობით აიხსნება. მაგრამ, ჩანს, შემდგომ მათ მიმართაც განახორციელეს არსებული კანონი და ისინი ბერძენ სამღვდელოებას დაუქვემდებარეს.

„ბერძნულ ეკლესიას დაქვემდებარებული ადგილობრივი მცხოვრებნი თანდათანობით ბერძნდებოდნენ. მაგალითად, ლაზი-ქრისტიანი აუცილებლად ბერძნულ სახელსა და გვარს ატარებდა, ვალდებული იყო წირვა ლოცვა ბერძნულ ენაზე მოესმინა, „წმინდა წერილი“ ბერძნულად ეკითხა, სკოლაში ბერძნულ ენაზე ესწავლა.“

ქართული ენა, მისი ლაზური დიალექტები ოჯახებიდანაც კი იდევნებოდა, როგორც ურჯულოთა ენა. მშობლიური ენის შენარჩუნება მხოლოდ იმ ლაზებმა შესძლეს, რომლებიც ოდესიდაც ქართულ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და შემდეგ მუსულმანობა მიიღეს. მშობლიური ენის შენარჩუნებას ცხადია, საქართველოსთან ტერიტორიულმა სიახლოვემ და გაცხოველებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობაში შეუწყო ხელი“ (იქვე, გვ. 43).

აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიძლება დაისვას კითხვა – არზრუმის სანახებში მცხოვრებმა ურუმებმა ოდესმე თუ იცოდნენ ბერძნული ენა? უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ბერძნული ენა არასოდეს არ იცოდნენ. ჯერ კიდევ XVII და XVIII საუკუნეებში ნაწილობრივ მაინც, მათი დედაენა იყო ქართული და მისი დიალექტები. ოსმალოს სახელმწიფოში შესვლამ მათში უკვე XV-

XVI საუკუნეებიდანვე დაამკვიდრა თურქული ენა, რომელმაც ქართული გააძევა. ის, რომ მათ XVII საუკუნეში ჯერ კიდევ ქართველი (არზრუმელი) ეპისკოპოსი ჰყავდათ, იმაზე მიუთითებს, რომ მათ ეკლესიაში ჯერ კიდევ არ იყო დაკანონებული ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა. XIX საუკუნეში კი ისინი თრიალეთში გადმოასახლეს. ასე რომ, მათ უბრალოდ ვერ მოასწრეს შეთვისება ბერძნული ენისა, რომელიც არასოდეს იცოდა მათმა მამა-პაპამ. თუმცა, ცხადია, იქნებოდა გამონაკლისიც.

აღსანიშნავია, რომ ბერძნული ენის მიმართ ადგილობრივ ქართველობას თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ბერძნებიც დამპყრობლები იყვნენ და ბიზანტიის იმპერია მტაცებლური სახელმწიფო იყო მცირე აზიელი ქართველებისათვის. თუმცა კი, დამპყრობლებს მოუხერხებიათ ქართველების ერთი ნაწილის ელინიზება (იგულისხმება თურქ-სელჯუკთა შემოსვლამდე), ბიზანტიის დამარცხებისა და თურქების სახელმწიფოს შექმნის შემდეგ „ელინიზებული ავტოქთონების ნაწილმა სიხარულით გაცვალა „საზიზღარი“ დამპყრობელი ბერძნების ენა და რელიგია თურქულ ენასა და მუსულმანობაზე, ნაწილმა კი კიდევ უფრო განამტკიცა თავისი „ბერძნული“ თვითშეგნება“ (იქვე, გვ. 24).

წათე ბაწაშს გამოკვლეული აქვს ლაზების გაბერძნების სურათი ტრაპიზონის იმპერიაში (ე.ი. თურქების გამოჩენამდე დიდი წნით ადრე). „უდავოა ის ფაქტი, რომ ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველური ტომები. მოსული ელემენტი (ბერძნები, სომხები და სხვ.) აქ არ წარმოადგენდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს: „ბერძნული მოსახლეობა იკარგებოდა სხვა წარმოშობის ტომების მასაში და არ შესწევდა ძალა დაექვემდებარებინა ისინი თავისი ენისა და ადათებისადმი, ე.ი. მოხდინა მათი ელინიზაცია“, – წერს უსპენსკი და აქვე ასკვნის: „იმის თქმაც კი არ შეიძლება, რომ იმპერიის ტერიტორიაზე

ბევრი ბერძენი იყო“, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობაც და მათი მეფეებიც, რომლებსაც ბიზანტიაში ცნობდნენ მხოლოდ ლაზებად და ლაზთა მეფეებად, „მთელი თავისი სიმპათიებით უეჭველად საქართველოსაკენ ისწრაფოდნენ“ (იქვე, გვ. 4). მიუხედავად ამისა, ბიზანტიის იმპერიაში მოქცეულმა ამ მხარემ განიცადა ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის გავლენა, მაგრამ მშობლიური ლაზურ-ჭანური ენა არ დაუკარგავთ. თურქთა შემოსვლის შემდეგ ლაზების ერთმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო, მეორე ნაწილი კი მართლმადიდებელი დარჩა. კონსტანტინეპოლიზე დაქვემდებარებულ ლაზ მართლმადიდებლებს მალე ბერძნული თვითშეგნება ჩამოუყალიბდათ და მათ დაკარგეს მშობლიური ლაზური ენა, შეითვისეს ბერძნული, სამაგიეროდ ლაზური ენა შეინარჩუნეს გამაჰმადიანებულმა ლაზებმა. მალე მათაც უცხო ენა – თურქული შეითვისეს. მართლმადიდებელი გაბერძნებული ლაზები მეტყველებდნენ ბერძნული ენის პონტური დიალექტით, რომელიც „ინარჩუნებს იბერიულ კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელ ყველა აფრიკატს... მის ლექსიკაში საკმაოდ ბევრია ქართველური ძირის სიტყვები“ (იქვე, გვ. 8).

მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ლაზები ამჟამად ბერძნებად აღირიცხებიან, თურქმა ისტორიკოსებმა იციან, რომ „XI საუკუნის დასაწყისში თურქმანების (სელჯუკების, წ. ბ.) მოსვლამდე ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ჭარბობდნენ ქართველები და ლაზები, მათ ენაზე ლაპარაკობდა მოსახლეობის უმრავლესობა, ლაზური ახლოა ქართულთან და წარმოადგენს მეგრული ენის კილოს“ (იქვე, გვ. 14).

ამიტომაც „უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ე.წ. ბერძნები სინამდვილეში სხვა არავინაა, თუ არა ლაზები, რომლებმაც ბიზანტიის პერიოდში მიიღეს ქრისტიანობა და მას შემდეგ თავისებურად ინარჩუნებდნენ მას“, – წერდა ერთი მკვლევარი მცირე აზიისა XIX ს-ში (იქვე, გვ. 25).

მცირე აზიელ ქართველობას უცხო არაეროვნულ
სახელმწიფოში მოხვედრით დაბნეულებს ე.წ. „თურქებისა“ და
„ბერძნების“ გარდა კიდევ უშვიათ სხვა ხალხებიც, მათ შორის
ე.წ. „კრომლები“, ისინი ფარულად ქრისტიანდებოდნენ, ოფი-
ციალურად კი მუსულმანურ წეს-ჩვეულებებს აღასრულებდნენ
(იქვე, გვ. 25). მათ აგრეთვე კრიპტოქრისტიანებსაც უწოდებდნენ.
გადაგვარებული ქართველები არიან, აგრეთვე, თავიანთი
წარმოშობით ხემშინებიც. „ჰემშინი მოსახლეობის ნახევარზე
მეტი ლაზებისაგან შედგება, ხოლო დანარჩენი ნაწილი წარმო-
ადგენს ნარევ ხალხს, მათ ეთნოგენზში მთავარი როლი ითამაშა
სომხურ-გრიგორიანულმა ეკლესიამ, რომელსაც, როგორც ჩანს,
მიეკედლა ლაზთა გარკვეული ნაწილი, როგორც ეს ხდება ჩრდ-
ილო-აღმოსავლეთ ანატოლიის სხვა ნაწილებშიც“.მათი ენა
სომხურის, ლაზ-ქართულისა და თურქული ენების ნარევია...
იზმირში მათ „სომეხევე“-ს უწოდებენ... ბავშვებს ოფიციალურ
თურქულ-მუსულმანურ სახელებთან ერთად აძლევენ „შინაურ“
მოფერებით სახელებს, ეს სახელები აშკარად ლაზურია, როგორც
უღერადობით, ისე შინაარსითაც. მაგ.: თუთა-მთვარე, ბურბა-
ლამურა, მუთიკა-დელფინი, თუნი-დათვი, მუცხი-ვარსკვლავი და
ა.შ. ნ. მარი ლაზეთში მოგზაურობის ანგარიშში ასახელებს ჰ
ემშინურ გვარებს, რომლებიც შინაარსის მიხედვით ასევე ლაზუ-
რია“ (იქვე, გვ. 60).

ქართველთა არმენიზება ოსმალეთში არაა გასაკვირი, რადგ-
ანაც ამ ქვეყნის მთავრობამ მსგავსად ბერძნულისა, უზარმაზარი
პრივილეგიები მიანიჭა კონსტანტინეპოლის სომხურ საპატრია-
რქოს. მსგავსად ბერძენი მღვდლებისა, სომეხ მღვდლებსაც
მინიჭებული ჰქონდათ ყოველგვარი უფლებები – «შეს შესაბ-
ამის შესაბამის-შესაბამის შეს შესაბამის შეს შესაბ-
ამის შეს შესაბამის შეს შესაბამის შეს შესაბ-
ამის შეს შესაბამის» (შ. ლომიშვილი, „ახალკისხური ქრონიკის“, გვ. 24).

ქრისტიანობის შესანარჩუნებლად ქართველი მკვიდრი მოსახლეობასხვადასხვა ზომებს მიმართავდა - „სასულიერო პირთა და მოქალაქეთა ნაწილი ხშირად ქრისტიანობის შესანარჩუნებლად იღებდა გრიგორიანობას, კათოლიკობას, უფრო ხშირად ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქს და მათივე მუსულმან თანატომელთა თვალში ხდებოდა შესაბამისად: სომხეთ, ურანგად და ბერძნად. ქართველები კი, „ცწორებ ამის გამო მუსულმან ქართველს უწოდებდნენ თათარს ან თურქს (იმის მიხედვით თუ ისლამის რომელ მიმდინარეობას აღიარებდა - შიიზმს თუ სუნიზმს). ქართველს, რომელსაც გრიგორიანობა ჰქონდა მიღებული - სომხს, ქართველ კათოლიკს - ფრანგს, იუდაიზმზე გადასულს კი - ებრაელს“ (იქნე, გვ. 23).

ტრაპიზონში, გიუმიშხანესა, პლატანასა და სხვა ადგილებში მცხოვრები ქრისტიანი ლაზები გაბერძნდნენ – ბერძნული ეკლესიისადმი მათი დაქვემდებარების გამო (იქვე, გვ. 8).

მათი ნაწილი წალკაში, ბოლნისში, ბორჯომში, დონეცკსა და კრასნოდარში დასახლებულა (იქვე, გვ. 8).

საქართველოს ტერიტორიაზე

ამიერკავკასიაში შემოსვლის შემდგომ თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით რუსეთის მთავრობამ ინება სასაზღვრო მხარეებში დაესახლებინა ქრისტიანი მოსახლეობა. ამისათვის მიღებული იქნა გადაწყვეტილება ოსმალეთიდან ქრისტიანი მართლმადიდებლებისა და გრიგორიანების გადმოსახლებისა.

გადმოსახლებულთათვის განსაზღვრული იყო მათი 6 წლით
გათავისუფლება სახაზინო გადასახადისაგან და სხვა მნიშვნე-
ლოვანი შეღავათები (იქვე, გვ. 140).

ურუმთა ჩამოსახლება დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდებოდა თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე, ინტენსიური იყო ამ საუკუნის 50-იან წლებში.

1853-1856 წლების ყირიმისა და 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში მიგრაცია გაგრძელდა. მათი მოსვლა თანამედროვე საქართველოში არა თუ XIX საუკუნეში, XX ს. 30-იან წლებამდე გაგრძელდა. „თანამედროვე საბერძნეთის ისტორია იწყება ოსმალეთის მიერ კონსტანტინეპოლის აღების (1453 წ.) დროიდან. ოსმალმა დამპყრობლებმა შეაფერხეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. XVIII ს. დამდეგს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომებმა შეარყიეს ოსმალეთის იმპერიის ძლიერება. ამ პერიოდიდან რუსეთის მეფის მთავრობამ მიიღო ზომები, რათა ოსმანთა იმპერიიდან კავკასიაში ორგანიზებულად გადმოუსახლებინა ბერძნები და სომხები, ჩაესახლებინა ისინი თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში და აქ ჰყოლოდა, როგორც უერთგულესი წინამავალი რაზმები. კავკასიაში (მათ შორის საქართველოში) ბერძნებთა გადმოსახლების საქმეს ხელმძღვანელობდა 1810 წელს სპეციალურად შექმნილი „კავკასიაში თურქეთიდან ქრისტიანთა

გადმოსახლების კომიტეტი“, რომელიც მცირე აზიაში სასურველი საქმიანობის მისაღებად ძირითადად სასულიერო პირებს იყენებდა... ბერძნები რუსეთის ჯარში მსახურობდნენ და საგანგებო ნაწილიც კი არსებობდა „ბერძნული რაზმეულის“ სახელწოდებით. როდესაც საზავო ხელშეკრულების ძალით, რუსეთის ჯარმა დასცალა არზრუმ-ბაიბურთ-გიუმიშხანი, ბერძნებს უფლება მიეცათ დაბრუნებულიყვნენ უკან – თავიანთ სამშობლოში, საბერძნეთში, მათ სანაცვლოდ თურქეთი მოითხოვდა საბერძნეთში მყოფი თურქების განთავისუფლებას და მშობლიურ ადგილებში გადმოსახლებას. ერთი სიტყვით, შეთანხმების საფუძველზე ორმხრივი გაცვლა უნდა მომხდარიყო. თურქეთში მცხოვრებმა ბერძნებმა სამშობლოში წასვლას კავკასიაში წამოსვლა ამჯობინეს“ (ი. ახუაშვილი, ბერძნული ახალშენები ქვემო ქართლში, „მნათობი“, 1989, №12, გვ. 158).

ფაქტი იმისა, რომ ურუმები საბერძნეთში არ წავიდნენ, თუმცა მათ ელოდნენ და საქართველოს შიდა მხარეებისკენ გამოსწიეს, უმნიშვნელო არ არის და არც შემთხვევითი. არ შეიძლება ამ ფაქტის ახსნა რუსული ხელისუფლების დაპირებებით. როგორც აღნიშნული იყო, გიუმიშხანეში XVII საუკუნეში ახსოვდათ, რომ მათი მხარე ერთ დროს საქართველოს ნაწილს შეადგენდა, არც არზრუმელთათვის იყო უცხო ქართველობა და საქართველო ამ დროისათვის, ამიტომაც XIX ს. დასაწყისში, როგორც მათ მიერ ახალი სამშობლოს არჩევიდან ჩანს, ჯერ კიდევ „საქართველოს შვილებად“ მიაჩნდათ თავი. საბერძნეთი მათთვის უცხო მხარე იყო, საქართველო – მშობლიური. 1829 წლის სექტემბერში გიუმიშხანედან და მედიანას რაიონებიდან ბერძნებ კოლონისტთა 100 ოჯახი დაიძრა თრიალეთისაკენ. ისინი უნდა ჩამოსულიყვნენ წინწყაროში (როგორც ამ მხარის შესაკრებ, გამანაწილებელ პუნქტში) და იქიდან წალკის იავარქმნილი ნაოხარი სოფლების ტერიტორიაზე გადასულიყვნენ.

1829 წლის 15 ოქტომბერს ბერძნები უკვე ჩასულან წინწყაროში... 1830 წლის 22 ოქტომბერის მონაცემებით, ბერძნები უკვე წინწყაროში არიან. ეს ირკვევა სამხედრო გუბერნატორ ზაველეისკისადმი ბერძენთა თავის (იუზბაშის) ოეოდორე ზამენ-აპულოს მიწერილობიდან. „საჭიროა მიეცეს მათ მიწა, სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი, ბინების ასაშენებლად ხე-ტყე და ფულ-ადი დახმარება...“

ბერძენთა გარკვეულ ჯგუფს სამოსახლოდ აურჩევია ქარ-თული სოფელი ბეშქენაშენი (დღევ. ბეშთაშენი, წალკის რაიონი) და იქ დასახლებულა 1830 წლის გაზაფხულზე. ამას მოჰყვა ბერძენ კოლონიზატორთა შემდეგი ტალღები... რუსეთის ცარი-ზმის მოხელეთა ხელგაშლილობაშ ამჯერად წალკისაკენ დასძრა არა თუ 125, არამედ ბერძენთა 1025 ოჯახი. ისინი ძირითადად მიწათმოქმედნი და მესაქონლენი იყვნენ. ემიგრირებულნი წალკაში მოდიან გაკვალული მარშრუტით: არზრუმი-ყარსი-გუმბრი-ტფილის-კოდა-ეკატერინეფელდი (ლუქსემბურგი)-შინ-დლარა-წალკა. ბერძენთა ამ დიდმა გუნდმა თრიალეთის მიწა-წყალი შეავსო და სული შთაბერა 18 სოფელს. მათ უმრავლესობას უწოდეს იმ ძველი თურქული სოფლების სახელები, საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ... წალკის სამხრეთით მეათე კილომეტრზე, სოფ. გომარეთთან ახლოს (დღევ. დმანისის რაიონი) დააარსეს სამი სოფელი... 1855 და მომდევნო წლებში გადმოსახლებულმა ბერძნებმა რამდენიმე სოფელი დააარსეს აჭარაში (ბათუმის ახლოს), აღმოსავლეთ საქართველოში თეთრიწყაროს რაიონში... 1855 წელს, 1865 წელს... 1877 წელს... წალკის რაიონში, ციხისჯვარში ბორჯომის რაიონში და სხვ. 1914-1918 წლების პირველმა მსოფლიო ომმა კავკასიაში ბერძენთა ახალი გადასახლება წარმოშვა, ხოლო ლოზანის კონფერენციამ (1922-1923) გამოიტანა სპეციალური დადგენილება თურქეთში მცხოვრები ბერძნების საბერძნეთში მცხოვრები თურქებზე გა-

ცვლის თაობაზე. ამჯერადაც ბერძნების დიდმა ნაწილმა დაბრუნება არჩია არა თავის სამშობლოში, არამედ სსრ კავშირში, კერძოდ კავკასიაში“ (იქვე, გვ. 159).

აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება აღნიშნული მეცნიერის გამონათქვამს – უნებლიერს, მაგრამ სწორს – „ამჯერადაც ბერძნების დიდმა ნაწილმა დაბრუნება არჩია არა თავის სამშობლოში, არამედ... კავკასიაში“ „დაბრუნება“ შეიძლება იქ, საიდანაც გაემგზავრნენ. ურუმები „დაბრუნდნენ“ თავიანთ ნამდვილ სამშობლოში, სწორედ კავკასია – საქართველო მიაჩნდათ მათ თავიანთ სამშობლოდ და არა საბერძნეთი. ამ მხრივ, აღსანიშნავია ცნობილი თურქოლოგის, ოთარ გიგინეიშვილის დაკვირვება იმის შესახებ, რომ საბერძნეთში გადასახლებულ (კერძოდ, თესალონიკის სანახებში მცხოვრებ) ურუმებს თურმე იქაურები ქართველებს (გურჯებს, გეორგიანებს) უწოდებდნენ და რამდენიმე ასეთი „ქართული“ სოფელიც არსებულა იქ, შექმნილი ურუმების მიერ. ურუმებს გული საქართველოსაკენ რომ მიუწევდათ, იქიდანაც ჩანს, რომ რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მთელ რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში უსასტიკესი ათეისტური რეჟიმი დამყარდა, რომელიც ებრძოდა ეკლესიას. ეს იცოდა მთელმა მსოფლიომ და ცხადია, იცოდნენ ურუმებმაც, ლოზანის (1922-23 წლების) კონფერენციის შემდგომ ურუმები ანუ ბერძნები შეთანხმების თანახმად საბერძნეთში უნდა გადასულიყვნენ საცხოვრებლად, ისინი არ ეთანხმებიან ამ კონფერენციის გადაწყვეტილებას და ღრმად მორწმუნე – მართლმადიდებელი ხალხი მიდის ათეისტურ სახელმწიფოში. მხოლოდ მიწის ყივილსა და ჭეშმარიტი სამშობლოს სიყვარულის დაფარულ გრძნობას შეეძლო აეძულებინა ისინი საბერძნეთის ნაცვლად საქართველოში ჩამოსულიყვნენ – „დაბრუნებულიყვნენ“.

„ვარაუდობენ, რომ თრიალეთი ურუმთა, განსაკუთრებით ძველ ქართული პროვინციებიდან მოსული გიუმიშხანელებისა და პასენების ეთნოგენეზში გარკვეული როლი შეასრულეს ლაზებმა. მათ ყოფაში შემონახულია ძველი ქართული ტრადიციებიც“ (იქვე, გვ. 160).

ქართველების გაბერძნება თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე

თურქეთიდან გადმოსახლებული ურუმები რუსეთის მთავრობამ დაასახლა მემამულეთა მიწებზე – გარისსა და თრიალეთში. დასახლებული სოფლების მიწები ეკუთვნოდათ მემამულეებს: ბარათაშვილებს, ყაფლანიშვილებს, ორბელიანებს, აბაშიშვილებს, აბულფათაშვილებს, აფხაზიშვილებს, თაყაიშვილებს, თუმანიშვილებს, იოთამიშვილებს, ვარაზაშვილებს, გილაქიშვილებს, ელიოზაშვილებს, ზაზუნაშვილებს, თარხნიშვილებს, თუღაშვილებს, მაღალაშვილებს, მერაბიშვილებს, საგინაშვილებს, საჩინოშვილებს, სოლოდაშვილებს, ზურაბიშვილებს, ასლანიშვილებს, ურუფებეგაშვილებს, ყორღანაშვილებს, შალიკაშვილებს, ციციშვილებს, შარაშიძეებს, ჯავახიშვილებს, რასაც ადასტურებს „გადმოსახლებულთა კომიტეტის“ მიერ შედგენილი და რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილი უწყება, ასევე „მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში...“ (ი. ახუაშვილი, ეთნიკური პროცესები გარისის მიწაზე, „მნათობი“, 1988, №6, გვ. 144).

ურუმები დამკვიდრდნენ საქართველოს მრავალ სოფელში. ისინი უკაცრიელ მიწებზე არ დასახლებულან. დააარსეს ახალი

სოფლებიც ძველქართულ სოფლებსა თუ ნასოფლარებზე, რომლებშიც რამდენიმე კომლი ქართული ოჯახი კვლავ მკვიდრობდა. მაგალითად, ს. მაკალათიას მასალით „1861 წ. მეფის მთავრობას ციხისჯვარში დაუსახლებია ტრაპიზონის ვილაიეთიდან გადმოსული ბერძნების 25 კომლი, მანამდე აქ რამდენიმე კომლი ქართველიც ყოფილა: კასიტაშვილი, ბლიაძე და მიქელაძე“ (ს. მაკალათია, „ბორჯომის ხეობა“, გვ. 35).

ქართული მოსახლეობა დახვედრია სოფელ წინწყაროში დასახლებულ ბერძნებსაც, ასევე სხვა სოფლებშიც ყოფილა ქართული მოსახლეობა.

საერთოდ, ბერძნების გადმოსახლებისას თრიალეთი და ქვემო ქართლი ახალი დაცლილი იყო. შიშიანობისა და ლეკიანობის გამო ხალხი ქართლ-კახეთში იყო გადასული. როცა ასეთმა ოჯახებმა შეიტყვეს, რომ თრიალეთი დასახლდა და მთავრობა ყურადღებას აქცევს დამკვიდრებულ მოსახლეობას, მკვიდრი ქართული მოსახლეობის ნაწილი უკანვე ამობრუნდა თრიალეთსა თუ ქვემო ქართლში.

ამათ გარდა, თვით თურქეთიდან გადმოსახლებულ ურუმებშიც საქმაოდ იყვნენ ქართული თვითშემეცნების მქონე ოჯახებიც: „თურქეთიდან გადმოსულთა შორის მცირე ნაწილი ქართველებიც ერივნენ, რომლებსაც ბერძნთა მსგავსად შეცვლილი ჰქონდათ გვარები...“ (ი. აზუაშვილი, ბერძნული ახალშენები ქვემო ქართლში, „მნათობა“, 1989, №12, გვ. 162).

თითქმის ყველა მკვიდრი ქართველი ურუმთა სიჭარბეში მოქცევის შემდგომ გაბერძნდა, რაც გამოიხატა მათ მიერ გვარების შეცვლით (თუმცა დარჩნენ ისეთი ქართველებიც, რომელთაც გვარები არ შეუცვლიათ, კვლავ ძველებური ქართული გვარები დარჩათ, მაგრამ ბერძნული თვითშემეცნება გაუჩნდათ. მათ გვარებს ქვემოთ მოვიზნენებთ). ქართველების გაბერძნებას თბილისის გუბერნიაში იწვევდა აგრეთვე შექმნილი პოლიტიკურ-

სოციალური თუ ეკონომიკური მიზეზები, მაგალითად, მიწას რუსული ხელისუფლება აძლევდა გადმოსახლებულებს (ათეულობით ჰექტარს), მაგრამ არ აძლევდა მკვიდრს, ასევე გადმოსახლებულნი მთავრობისაგან იღებდნენ ფულად დახმარებას – თავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან წლების მანძილზე, თვალსაჩინო და ხელშესახები უპირატესობანიც ეძლეოდათ გადმოსახლებულებს, მაგალითად, სურსათით დახმარება. ვისაც სურსათისა და სხვა პრივილეგიების მიღება სურდა, ბერძნად იწერებოდა.

„...როცა მეფის ხელისუფლებამ მოწყალების კალთა გადააფარა საქართველოში ჩამოსახლებულ ბერძნებს, წინწყაროში ოდითგანვე მცხოვრები, თუ აკლება-აოხრების შემდეგ უკან მობრუნებული, ეკონომიურად სუსტი და სრულიად დაკნინებული მკვიდრი ქართველი იმდენად არაქათგამოცულილი იყო, რომ მიგრანტთა გავლენაში მოექცა და ბერძენი გახდა... 1822 წელს ვხვდებით გვარებს: აზარაშვილი, იოანიძე, ბესალაშვილი, ლაზარაშვილი, აბრამაშვილი, ელეფთერიშვილი, იოსებაშვილი, ამირანაშვილი, ნიკოლაშვილი, ვასილიშვილი, პეტრიაშვილი, მიხეილიშვილი (თევდორესშვილი), ესტატეშვილი, თომსაშვილი, პავლიაშვილი (პავლესშვილი), სემონიშვილი, გიორგიშვილი, მართველიშვილი, სტეფანიშვილი.

1822-1855 წლებში ჩნდებიან გვარები – კალაძე, არიშვილი, ბოსანაშვილი, ბარათოვი, ნანიაშვილი, ფერიაშვილი, გოგოლაშვილი, სეფიაშვილი, ასლანიშვილი, ასლამაზიშვილი და სხვა.

1873 წელს ქართული გვარები იცვლება, ხოლო მათი მფლობელები (გრაფით „ტომი, ჩამომავლობა“) ბერძნები ხდებიან: თევდორაშვილი გახდა (თევდოროლლი) 1886 წლიდან დღემდე ფედოროვი... ქართველიშვილი – გურჯიევი... სხვათა შორის, შემონახული საარქივო მასალა შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ, თუ თვალსა და ხელს შეაქ-

როგორი კაცი საკუთარსავე მიწაზე როგორ კარგავდა გვარსა და სალაპარაკო ენას.

1873 წლის აღწერის ჯამში ქართველად მოიხსენიება 4 ოჯახი, 1886 წლის აღწერამ ისინი ბერძნებად „გააფორმა“. გრაფაში ტომი კვალის და კარგვის მიზნით, აღნიშნულია გლეხური ჩამომავლობა. წმინდა ქართული გვარებით დღეს წინწყაროში ცხოვრობენ და ბერძნობას აღიარებენ: ბარათაშვილები (ბარათოვები), საკალიძეები, კეკელაშვილები, თოფურიძეები (ი. ახუაშვილი, ეთნიკური პროცესები... გვ. 149).

„ერთი წყება ქართველები გადმოსახლებულებს საკუთარ მიწაზე დახვდა, მათ, მცირე გამონაკლისის გარდა, გვარები შეეცვალათ და ბერძნებად ჩაწერეს. ძირითადმა ნაწილმა გადმოცემით იცის, რომ მათი წინაპრები ქართველები იყენენ. ილია გიორგის ძე დამოუკმა (პედაგოგი, 64 წლის) გვიამბო: ჩვენ ქართველები ვართ, ჰირვანდელი გვარი პეტრიაშვილია, როცა გვარების შეცვლა დაუწყიათ... დამოუკმა გადაუკეთებიათ. წინწყაროელმა მათე ვლასის ძე გურჯიევმა (75 წლის, 1986) თქვა: ჩვენი გვარისანი დღეს ცხოვრობენ სოფ. წინწყაროს, აგრეთვე წალკის რაიონის სოფლებში... ყველა ისინი ერთი ბუდის ქართველები არიან. მე მახსოვს წინაპრები, პაპები და ბებიები, რომლებიც ქართველობდნენ... არიან ქართველებიც: მაისურაძეები, ჯამელაშვილები და ფურცელაძეები, ფურცელაძეთა ერთი ნაწილი ქართველად ეწერება, ხოლო ნაწილი გაბერძნდა და ერგიშვი გახდა. ერთ დროს ველისპირს ერკუშანთ სოფელი შეარქვეს და აქედან გაჩნდა გვარიც – ერკუშევი, ერგუშევი, ფურცელაძეების ერთ ოჯახში ისეთი შემთხვევაცაა, როცა ერთი ძმა ქართველია, ხოლო მეორე – „ბერძენი“. კითხვაზე, როგორ ახსნის ჩვენი მოსაუბრე ამ გარემოებას, ამბობს: „წინაპართა გადმოცემით 1820-იან წლებში მეფის მთავრობა ეკონომიკურად ეხმარებოდა საქართველოში გადმოსახლებულ ბერძნებს. მათ

შაქარს, ფქვილს, საპონს, ასანთს, მარილს და სხვა სახის პირველი მოთხოვნილების საგნებს აძლევდა. ფურცელაძეებსა და სხვებსაც რომ შეხვედროდათ დახმარება, გადაიკეთეს (ზოგს ალბათ, გადაუკეთეს) როგორც გვარი – ისე ეროვნება... ბერუაშვილები ქართველები არიან, ველისპირში კი ბეროვები, ეროვნებით ბერძნები, ამ გვარის წარმომადგენლებთან საუბარში გაირკვა, რომ მათ გვარი და ეროვნება XX საუკუნის დასაწყისში შეეცვალათ... თეთრაძეები გადმოვიდნენ სოფ. გომარეთიდან, ურუმ ბერძნებს შორის რომ მოხვდნენ, მათ „გურჯებს“ ეძახდნენ (თურქ. „გურჯი“ – ქართველი) და აქედან წავიდა გვარი გურჯიევი. მეორე წყება გურჯიევებისა მოდიან ქართველიშვილებიდან... გურჯიევთა ერთ-ერთი შტო ნაწარმოებია ბერძენიშვილის გვარიდან... როგორ მოხდა, რომ საკუთარ მიწა-წყალზე ქართველი გაბერძნდა და გვარსახელიანად სხვა ეთნოსს მიეკუთვნა?... გადმოსახლებულს რუსეთმა განსაკუთრებული პირობები შეუქმნა... მიწა მისცა და ყოველი სახის გადასახადისაგან გაათავისუფლა... ფედია კილინგაროვის (იგივე ჯალიაშვილის) გადმოცემით, მის პაპას – ნიკო ჯალიაშვილს კაცი შემოჰკვდომია... ოფრეთელმა ჭედილაშვილებმა გვარი არ შეიცვალეს, მაგრამ ბერძნებად იწერებიან... რეხაში ზაზაშვილთა 4 კომლია, რომლებიც ზაზაევებად და ეროვნებით ბერძნებად იწერებიან, მათ შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ქართული ენა ...რეხელ კალაძეებს (კალიაჩოვებს) ჰქონდათ მეორე გვარიც – ლარიბაძე. კალიაჩევებიც... ბერძნებად არიან ჩაწერილი. ლაზარიშვილებიდან ნაწილი ლაზაროვია – ბერძენი, ხოლო ნაწილი – ქართველი, არიან ისეთებიც, რომლებსაც გვარი შეეცვალათ ლაზაროვად, ხოლო ეროვნება დარჩა ქართველი... ბერძენთა შორის მცხოვრები ქართველების გაბერძნების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ვინც ბერძნობას

მიიღებდა და გვარს შეიცვლიდა, სურსათ-სანოვაგე მასაც შეხვდებოდა...

რენელების ეკლესიაში (აღადგინეს 1877 წ.) მღვდლებად დიდხანს ქართველები იყვნენ. XX საუკუნის დასაწყისში ქართველი მღვდელი დარჩია შესცვალა ბერძენმა მღვდელმა და დაიწყო საკუთარი მრევლის მომრავლება. ვინც გადავიდოდა ბერძნულ გვარზე და ბერძნად ჩატერებოდა, იგი მათ სამოთხურ ცხოვრებას საბერძნეთიდან გამოგზავნილ ბრინჯას, საპონს, სურსათსა და სხვა სიკეთეს ჰპირდებოდა და უსრულებდა კიდეცა (ი. ახუაშვილი, ბერძნული ახალშენები... გვ. 164).

ქართველები რუსეთის მეფის მთავრობას პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა მიჩნეული, საქართველოს სასაზღვრო მხარეებში ცდილობდა „ერთგული მომხრეების“ – სომხებისა და ბერძნების დაფუძნებას. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზიც XIX ს-ში ქართველთა გაგრიგორიანებისა და გაბერძნებისა, მაგრამ მაინც ქართველთა დენაციონალიზაცია საკუთარ მიწა-წყალზე უპირველესად გამოწვეული იყო ეროვნული თვითშემეცნებისა და თვითშეგნების დაბალი დონით.

გაბერძნებულთა გვარები

ქართველები, როგორც აღნიშნული იყო, ძირითადად გაბერძნდნენ ოსმალეთის იმპერიაში, კერძოდ ის მართლმადიდებლები, რომელნიც, ოსმალეთის სახელმწიფოებრივი კანონების თანახმად, დაუქვემდებარეს კონსტანტინეპოლის ბერძნულ საპატრიარქოს. კონსტანტინეპოლს მრავალრიცხვანი ქართული მრევლი გაუჩნდა, რამეთუ ოსმალთა მიერ დაპყრობილი მესხეთი (ქვემო გურიასთან ერთად) დიდი ქვეყანა იყო, გარდა ამისა, ქართველთა განსახლების

ეთნიკური საზღვრები აღწევდა ევფრატამდე, თუ არას ვიტყვით ლაზისტანის ვრცელ ქვეყანაზე, რომელიც ძირითადად ასევე ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ოსმალეთში გაბერძნებული ქართველების გვარები თითქმის უცნობია, სამაგიეროდ შედარებით უკეთაა ცნობილი იმ ქართველთა გვარები, რომლებიც XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში გაბერძნდნენ თბილისის გუბერნიის ტერიტორიაზე. ამათგან ნაწილობრივ შესწავლილია რამდენიმე სოფლის გაბერძნებულ მოსახლეთა გვარები, კერძოდ წინწყაროსა, რეხასა და სხვაგან. ფაქტიურად ეს მასალა ჯერჯერობით დაუმუშავებელ-შეუსწავლელია. გამონაკლისია მხოლოდ იაკობ ახუაშვილის შრომები: „ეთნიკური პროცესები გარისის მიწაზე“, „მნათობი“, 1988, №6; „ქვემო ქართლის ეთნოსი ისტორიულ ასპექტში“, „მნათობი“, 1988, №10; „ბერძნული ახალშენები ქვემო ქართლში“, „მნათობი“, 1989, №12. ამ შრომებით ვისარგებლეთ ჩვენ და ანბანის მიხედვით ამოვწერეთ საქართველოში გაბერძნებულთა გვარები (ჯერ მითითებულია ძველი გვარი, შემდეგ კი – ახლადმიღებული).

არიდაშვილი – არდაოლლი – არუდოვი

ასლანიშვილი – ასლანოვი

ასლამაზიშვილი – ასლამაზოვი

აივაზაშვილი – აივაზოვი

ანესიშვილი – ამოსოვი

ამანათაშვილი – ამანათოვი – ტრაპუნტოვი

ბარათაშვილი – დანაჩიევი – ბარათოვი

ბალაბანიშვილი – ბალაბანოვი

ბერძენიშვილი – გურჯაევი (I)

ბოსტანაშვილი – ბოსტანჩოლლი – ბოსტანჯიევი

ბერუაშვილი – ბეროვი

ბიჭიაშვილი – ბიდჟოევი

გაბაშვილი – გაბაოლლი

გიორგაშვილი – გიორგიოლლი
გიგოლაშვილი – გიგოლოვი
ვახტანგიშვილი (გვარი არ შეუცვლია, ეროვნებაში ბერძენი უწერია)

ზაზაშვილი – ზაზოვი

თევდორაშვილი – თევდოროლლი – ფედოროვი – ანოზოვი
თოფურიძე (გვარი არ შეუცვლია, ეროვნებით „ბერძენია“)

თომაშვილი – ტომაზოვი

თეთრაძე – გურჯიევი (II)

თათარაშვილი – თათაროლლი – თათაროვი

იორდანაშვილი – ჩულფაევი

ისანაძიშვილი – სიმონოვი

ისაკაძე – ფახოროვი

კალაძე – კალაიჩოლლი – კალაიჩევი

კოსტანაშვილი – კოსტანოვი

კეკელიშვილი (გვარი არ შეუცვლია, ეროვნებით „ბერძენია“)

ლაზარიშვილი – ლაზაროლლი – ლაზარიძი

მაზმანიშვილი – მაზმინოლლი – მაზმუდოვი

მურმანიშვილი – მურმანოვი

მურადაშვილი – მურადოლლი – მურადოვი

მირზაშვილი – მირზაოლლი – მირზოევი

მერაბიშვილი – მარაბოლლი – მარაბოვი

ნიკოლაშვილი – ნიკოლაოლლი

ნიკოლაძე – ნიკოლოვი

პეტრიაშვილი – პეტრეოლლი – დიმოევი

საკალიძე – (გვარი არ შეუცვლია, ეროვნებით „ბერძენია“)

სეფიაშვილი – სეფიანოვი

საბაძე – (გვარი არ შეუცვლია, ეროვნებით „ბერძენია“)

უფლისაშვილი – უფლაოლლი – პლიზოლლი

ფარაჯანაშვილი – ფარაჯაოლლი – ფარაჯანოვი

ფერიაშვილი – ფერიოლლი – კარაქლევი
ფურცელაძე – ერგიშევი
ფალავანდიშვილი – ფალავანდოლლი – პაფლენოვი
ქართველიშვილი – გურჯიევი (III)
ღვინიაშვილი – ხრისტოფოროვი
ყარაჯაშვილი – ყარაჯაოლლი – ყარაჯიევი
ჭედილაშვილი – (გვარი არ შეუცვლია, ეროვნებით
„ბერძენია“)
ხეჩინაშვილი – ხეჩინოვი
ხამაჯაგაშვილი – ხამაჯაგოვი – ჩილფიევი
ჯალიაშვილი – კილინკაროვი
ჯავარაშვილი – ჯავარაოლლი

სია არასრულია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არზრუმსა თუ გიუმიშხანეში მცხოვრებმა და საქართველოში გადმოსახლებულმა ურუმებმა, რომელთა შორისაც მრავალი ლაზია, არასოდეს არ იცოდნენ ბერძნული ენა, რამეთუ ისინი ეთნიკურად ბერძნები არ ყოფილ-ან, მათი დედა ენა ოდითგანვე იყო ქართული და ქართველური ენები, ეს ენები მათ ოსმალების ბატონობის დროს დაივიწყეს და შეითვისეს თურქული. ამჟამად, XX ს. 80-იან წლებში თბილისის უნივერსიტეტის ინიციატივით მათ უნიშნავენ ბერძნული ენის გაკვეთილებს და ცდილობენ, შეასწავლონ ბერძნული ენა.

კიდევ უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ ქართველ მართლმადიდებლებს რატომ უწოდებენ მაპმადიანები და ზოგჯერ ევროპელებიც „ბერძნებს“. მაპმადიანები ხშირად ხალხებს ჰყოფდნენ არა ეთნიკური კუთვნილების, არამედ სარწმუნოების მიხედვით.

ყველა ქრისტიანი, მით უმეტეს მართლმადიდებლური ანუ „ბერძნული“ სარწმუნოების მქონე ხალხი, მათთვის ბერძენი იყო. ამიტომაც იყო, მაგალითად, რომ ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის შექმნამდე, უგვიატის სულთანები საქართველოს მეფეებს ოფიციალურ მიმართვებში „ბერძენთა შთამომავალთ“ უწოდებდნენ – ეს ქართველი მეფის ტიტულია – (XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, 1988, გვ. 55) – შეიძლება ასეც ითარგმნოს ეს ტიტული – „ბერძნების შვილი და ბერძნების ამოღებული (მახვილი)“ (იქვე, გვ. 65, შენიშვნა 46).

ევროპელებიც, იმის გამო, რომ მსოფლიო საეკლესიო განხეთქილების დროს ქართველებმა ბერძნულ ეკლესიას დაუჭირეს მხარი და დიდი სიმტკიცით იცავდნენ ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციებს, ზოგჯერ ქართველებს „ბერძნებს“, ე.ი. ბერძნული ეკლესიის წევრებს უწოდებდნენ. მით უმეტეს, ასე იყო ოსმალთა იმპერიაში, სადაც, როგორც აღინიშნა, ყველა მართლმადიდებელს, ქართველებსაც და არაქართველებსაც ბერძნებს უწოდებდნენ.

1990, ბორჯომი

მიტროპოლიტი ანათოლი ჯაფარიძე

სერია: ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან
განშორებული ქართველებისა

შიდა ქართლი

ქართველთა გაოსება

1. შესავალი
2. ოსები – ორი ეთნოჯგუფის მემკვიდრე ხალხი
3. ოსთა და ქართველთა ურთიერთობა მონღოლებამდე
4. დვალების სარწმუნოება და მათი გაოსება
5. დვალების შემოსვლა ქართლის მთიანეთში
6. დვალების გაოსება ქართლის მთიანეთში
7. ოს-დვალთა განსახლება ქართლის ბარში
8. ქართველთა გაოსება XIX საუკუნეში
9. გაოსების რელიგიური მომენტი
10. გაოსებულთა გვარები

შესაგალი

ზოგჯერ ისმის კითხვა: საჭიროა თუ არა წერა ქართველთა გაოსების შესახებ და, საერთოდ, არსებობს თუ არა ასეთი პრობლემა? ქართველთა გაოსების საკითხი ჩვენ ძალზე მნიშვნელოვნად და, ამასთანავე, სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემად მიგვაჩნია. როგორც ცნობილია, ოსებს და ქართველებს ხშირად აქვთ ერთნაირი გვარები. სხვადასხვა კუთხის ქართულ მოსახლეობას ამ საკითხის არსში გაურკვევლობის გამო „ოსური“ გვარის მატარებელი ადამიანი, როგორც წესი, ოსური ეროვნების მქონედ მიაჩნია. ეს თაობათა მანძილზე ოსურ თვითშემეცნებასაც კი უყალიბებდა „ოსური“ გვარის მატარებელ ქართველს, ზოგჯერ კი მძიმე ფსიქოლოგიურ შედეგსაც იწვევდა.

მაგალითად, თბილისთან ახლოს, სოფელ დიდ ლილოში, ცხოვრობენ „ოსური“ გვარის მატარებელი ქართველები: ცხოვრებაშვილები, თიგიშვილები და სხვანი. ისინი თავის დროზე სამაჩაბლოდან გადასახლებულან ლილოში. სამაჩაბლოში დარჩენილი მათი მოგვარები ოსური გარემოს ქვეშ მოექცნენ. მთებიდან ოსების ქართლში ჩამოსახლების შემდგომ ისინი გაოსდნენ, ამიტომაც ეს პრობლემა (კერძოდ ის, რომ მათ ოსებად მიიჩნევენ) გამოწვეულია აღნიშნულ საკითხში მათი მეზობლების გაუცნობიერებლობით. გულნაკლული რ. თიგიშვილი წერს: „წინაპართა გადმოცემით, დიდ ლილოელთა ჯილაგი და მოდგმა წმინდა ქართულია, ასეთივე აზრია დამკვიდრებული სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობის ნაწილში (ე.ი. მათში, რომელთაც აღნიშნული „ოსური“ გვარები აქვთ და შეიძლება პასპორტში „ოსიც“ უწერიათ – ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე). მართლაც, რომ ყველა ნიშნით ქართული ბუნებისაა, ადასტურებს შემდეგი შეუკალი საბუთები: მთელი სოფლის უხუცესებმა, მათმა წინაპრებმა არც ერთი ოსური სიტყვა არ იცოდნენ, ოსური სახელი არც ადრე და

არც გვიან არავის რქმევია. ოს ეროვნებასთან გენურ-ნათესაობით კავშირებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. არც ერთ ლილოელს არასოდეს არ ჰყოლია ოსი ნათესავი... ისეთ კომპაქტურ, მრავალრიცხოვან სოფელს ოსურის ნასახიც რომ აღარ შემორჩა? პასუხი მხოლოდ ერთია: დიდი ლილო და მისი მოსახლეობა არ-ასოდეს ყოფილა ოსური, თორემ ერთი ოსური ოჯახიც რომ გამორეოდა, მაშინ საქართველოს ზოგ რაიონში თუნდაც კანტ-იკუნტად მცხოვრები ოსების მსგავსად, ისინიც შემოინახავდნენ თავის თვითმყობადობასა და ჯიშის ნაწილს მაინც.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: მაინც როდემდე უნდა იყოს დიდი ლილოს მკვიდრი მოსახლეობა გაბატონებული მცდა-რი შეხედულებით მონათლული? ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყოველივე ამის გასარკვევად დიდ ლილოელთა ეთნოლოგიით დაინტერესებულ ისტორიკოსთა ავტორიტეტული დასკვნებია საჭირო, ამიტომაც მოთმინებით ველით იმის საჯაროდ გამოცხადებასა და აღიარებას, რაც ჩვენთვის ცხადზე უცხადესია.

საყურადღებოა ერთი გარემოება – ძველი გადმოცემების მიხედვით, თაობიდან თაობის ხსოვნას შემორჩა ლილოელთათვის უცილობელი ჭეშმარიტება: „ჩვენი წინაპრები გმირი ქართველები იყვნენ და სამაჩაბლოს დროშის ქვეშ იცავდნენ სამშობლოს“ (რ. თიგიშვილი, დიდი ლილოს ჭეშმარიტი სული, გაზ. „მამული“, №15, VIII, 90 წ.).

მიუხედავად დიდ ლილოელთა ასეთი ეროვნული სულისკვეთებისა, მეზობლები მათ თავდაჯერებით ოსებს უწოდებდნენ, ამიტომაც კითხულობს ავტორი – „აბა მაშ რა გამართლება უნდა მოუმებნოთ ისეთ აბსურდულობამდე თავდაჯერებულ ადამიანთა ახირებას, რომლებიც სისხლით, სულით-ხორცამდე ქართველებს არაქართველებად აცხადებენ?“ (იქვე, გვ. 4).

მართლაც, უცოდინარობა და სიმართლის გაგების უსურველობა წარმოშობით ქართველს არაქართველად აცხადებს საქართველოშივე! მადლობა ღმერთს, რომ სამაჩაბლოს ზემოთ აღნიშნული მკვიდრნი არ გაოსებულან, მაგრამ მათი თანამეტომების ნაწილი გაოსდა, სხვა ავტორები წერენ: „მრავალი ქართველი, რომელნიც ცხოვრობდნენ ქსნის, ლიახვის, მეჯუდას, ჭარებულას თუ ელტურას ხეობებში, ისტორიულ სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთავოში – ილურიძეები, ელბაქიძეები, მარიამიძეები, შევარდნაძეები, ჯირკვალიძეები და სხვა მთიდან მოწოლილი ოსური მოსახლეობის ისეთ იზოლაციაში მოხვდნენ, რომ ნაწილობრივ დაკარგეს მშობლიური ენა, თვითშემეცნება და ბევრჯერ ჩვენ თვითონ დაგვიდასტურებია, რომ ერთი ძმა ქართველად იწერება, ხოლო მეორე – ოსად“ (ელ. ნადირაძე, ნ. შოშიტაშვილი, „პვიცი გვარზე ხტის“ გაზ. „ახ. ივერიელი“, 26.VI. 1990 წ.).

უფრო მეტიც, ჩანს ერთი-ორ „ოსად ჩაწერილ“ ქართველს მოუწადინებია მამაპაპეული ეროვნების აღდგენა, მაგრამ მას დიდ წინააღმდეგობას უწევენ. ამიტომაც, ზემოთ ხსენებული ავტორები ეკითხებიან მსგავს მოწინააღმდეგეს: „ამხ. მ. ბერელიძე, როგორ ფიქრობთ, ასეთ ხალხს უარი უნდა ეთქვას თავისი ნამდვილი გვარის აღდგენაზე თუ ყველაფერი მოსკოვს უნდა შევეკითხოთ?“ (იქვე, გვ. 3).

უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ისტორიულ სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველები იძულებული იყვნენ ოსებად ჩაწერილიყვნენ, როგორც XIX, ისე XX საუკუნეში. XX ს-ის 20-30-იანი წლებში მსგავსი იძულების გამომწვევი პირობები კარგად აქვს გადმოცემული მეცნიერ-მკვლევარს გ. ბოჭორიძეს, რომელიც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ მოყოლილი 4 129 ქართული კომლის, ანუ 23 460 ქართველის შესახებ წერდა: „ოსეთში მოყოლილი ქართველები

ყოველმხრივ საშინლად შევიწროებულნი არიან; ისინი აშკარა ტყვებად გრძნობენ თავს, საქართველოდან სამსახურის საქმეზე მისულ კაცს ისინი თავს ევლებიან და თავიანთ ჭირ-ვარამს ოხვრითა და კვნესით შესჩივიან: „რა გვიყვეს ჩვენმა ძმებმა, ამათ (ე.ი. ოსების) ხელში რად ჩაგვყარეს, განა ჩვენ ქართველები არა ვართო? ...საბჭოთა ტერიტორიაზე, ვგონებ, არც ერთი მოსახლეობა არ უნდა იყოს ისე აბუჩად აგდებული და საზოგადო მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებული, როგორც ეს ოსეთის ქართველობაა. მენშევიკების მიერ მიყენებული შევიწროების ნიადაგზე ოსები აშკარად შურს იძიებენ ქართველებზე. ამას სჩადიან ისინი საბჭოთა ხელისუფლების მთელ სიგრძეზე. მაგრამ აშკარაა, პირლია ქართველჭამიობას ოსები იჩენდნენ განკულაკების დროს. განკულაკება ოსეთში ისეთი ფორმით მოხდა, როგორც არსად მომხდარა: ისინი, ნაციონალისტები, განკულაკებას კი არ აწარმოებდნენ, არამედ თავიანთ ფარულ ნაციონალურ ზრახვებს ახორციელებდნენ: აშკარად ქართველებს ერეკებოდნენ, შემდეგ განკულაკებულთ ერთი ხელი ლოგინისა და იმის გარდა, რაც ტანზე ეცვათ, სხვა არაფერი დაანებეს და ყველანი შიშველ-ტიტველნი გამოდევნეს. ბოლოს, მრავალნი სომეხთაგანნი (განკულაკებული) უკანვე დააბრუნეს, ხოლო ქართველთაგანი კი – თითქმის არავინ. ქართული ენა იდევნებოდა ქართულ სოფლებში. მიწერ-მოწერა და სხვა, ჯერ რუსულად სწარმოებდა, ხოლო ახლა ოსურად, ქართული კი განდევნილია. სამართალი მიღებითია. ყველაფერში აშკარა გადახრა არის ოსების მხარეს. თვალში ამოღებული კაცისთვის სამართალი არ არსებობს. 1929 წლიდან საქართველოში საქმის წარმოება, ჩვენების მიცემა და პროცესი ოსურად შემოიღეს... ქართველ ქალებზე თარეში და აღვირახსნილობა ფართო მასშტაბით სწარმოებდა. ქალებს იტაცებდნენ და აუპატიურებდნენ. თუ ვერ მოიტაცებდნენ, ოჯახს გადაეკიდებოდნენ და აიძულებდნენ ქალის მიცემას... ადგილ-

მამულის მფლობელობის საქმეში უპირატესობა ოსებს ეძლევა (ეს ისეთი მიზეზია, რომლის გამოც ქართველის ოსად ჩაწერა უთუ-ოდ შესაძლებელია - ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე), გადასახადს პირველ ხანებში მარტო ქართველებს ახდევინებდნენ, ხოლო შემდეგ კი აშკარად ქართველ გლეხებს ტვირთავდნენ. სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად ... ბევრი მასწავლებელი იძულებული გახდა, სკოლისათვის თავი დაენებებინა და წასულიყო. ამის შემდეგ სკოლაც იკეტებოდა. მოსახლეობა სკოლას თხოულობდა, ეუბნებოდნენ: თუ გინდათ, ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არა და, თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნით“ ... ოსური ენა სავალდებულო საგანია ქართულ სკოლებში (შვიდწლედებში), ხოლო ქართულ ენას ოსურ სკოლებში ადგილი არა აქვს... მოსამსახურებად, მიღიციდან დაწყებული, სულ ოსებს იღებენ. სომხებს უფრო აძლევდნენ ადგილს, ვიდრე ქართველებს. ყველა ზემოთხსენებულის ფაქტიური მასალა უამრავია ოსეთის ქართულ სოფლებში. მოსახლეობის სტატისტიკური ცნობები ამოღებულია სს. ცაკის საორ. განყ. გამოცემიდან საქ. სსრ ადმინისტრაციული დაყოფა, 1930, ტფილისი“ (ლ. ფრუიძე, გ. ბოჭორიძის ცხოვრება და მოღვაწეობა „მნათობი“, №9, 1990 წ, გვ. 136).

გ. ბოჭორიძის მიერ მოყვანილი ფაქტები სხვა მასალებითაც დასტურდება, მაგალითად, ა. თოთაძე წერს: „ავტონომიური ოლქის შექმნისთანავე სამხრეთ ოსეთის ცაკი იღებს ბევრ უგანონო გადაწყვეტილებას. მაგალითად, 1923 წელს სამხრეთ ოსეთის ცაკმა მიიღო დადგენილება „ოლქის ფარგლებში ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის, შემოღების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „შემოღებულ იქნას თანდათანობითი მშობლიური ოსური ენა ყველა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით. მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად

დატოვებულ იქნას რუსული ენა და მოეთხოვოს რესპუბლიკას სამხრეთ ოსეთთან ხსენებულ რუსულ ენაზე ურთიერთობის წარმოება“ . ამრიგად, საქართველოს ისტორიულ ნაწილში საერთოდ უგულებელყოფილ იქნა ქართული ენა. ბევრ ასეთ ფაქტს „ვერ ვამჩნევდით“ (ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწაზე, გაზ. „ცხოვრება“ 9.II. 1991 წ.).

სამაჩაბლოში ანტიქართული პოლიტიკა და ქართველთა შეუბრალებელი ხოცვა-ულეტა უფრო ადრეც – 1917-1920 წლებშიც მიმდინარეობდა. მაგალითად, გაზეთი „ალიონი“ წერდა 1918 წლის 29 მარტს სტატიაში „ცხინვალის ტრადედის გამო“: – „გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა უთხრეს გლეხებს: ხომ ჰქედავთ, მიწას არ გაძლევთ, გასწყვიტეთ თავადაზნაურობა და წაიღეთ მიწებით. გლეხები ასეც მოიქცნენ. თავადებსა და მათ ბავშვებს ბრძო შეუბრალებლად ჰქოცდა... „აბა ჩაუკვირდით ცხინვალის ამბებს. ცხინვალს იკლებენ, სძარცვავენ, მიცვალებულებსაც კი ჰქდიან ტანისამოსს...“

ქართული მოსახლეობის სასტიკი დევნის შესახებ წერს ლეგან თომიძე „ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან 1917-1920 წლებში“ (მაცნე, ისტორიის სერია №3, 1990, გვ. 17-65).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რევოლუციამდეც ოსი მოსახლეობა, რომელიც მაშინ ხიზნების სახელით ცხოვრობდა შიდა ქართლში, ქართველ მოსახლეობაზე მეტი უპირატესობებითა და შეღავათებით სარგებლობდა სოციალურ სფეროებში. „ტყით სარგებლობის პრაქტიკა გარკვეულ საბაბს ქმნიდა ქართველთა და ოსთა დაპირისპირებისათვის, მაგალითად, სოფელ ავლევში მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ხიზნის უფლებებით იყვნენ აღჭურვილი, შეეძლოთ უფასოთ ესარგებლათ ტყით. აბორიგენი ქართველი გლეხები კი ამ უფლებას მოკლებული იყვნენ ... აღმასკომა 1917 წლის ზაფხულში დაადგინა, რომ ტყით

სარგებლობისათვის (მაგალითად, შეშის გამოტანისათვის) თი-თოეულ ქართულ კომლს 5 მანეთი უნდა გადაეხადა, ოსებს კი, როგორც ხიზნებს, გადასახადი არ დააკისრეს... (იქვე, გვ. 33).

ოსებს ქართველებთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება XIX საუკუნეში, რაც წინა-სწარ იყო გამიზნული იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე. შიდა ქართლის საბოლოოდ ოსებით დასახლება რუსეთის ხელისუფლებამ ვერ მოასწრო. მეფის მთავრობა დაემხო. – „მეფის მთავრობამ ერთი ასეთი პროექტიც შეიმუშავა, ქართველების აყრა – გადასახლების მიზნით; ტირიფონის ველის გარშემო მიმდებარე სოფლებიდან განზრახული იყო 40 000 ქართველი გლეხის აყრა და იქ სამხედრო პოლიგონის მოწყობა, ამას წინ უსწრებდა მთავრობის მიერ შედგენილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ოსი ხიზნებისათვის ქართული მიწების სამუდამო მფლობელობაში გადაცემას.

კავკასიის ქედიდან მეჯვრისხევამდე (მდ. მეჯუდა) საცი-ციანოსა და საჯავახოში ათიათასობით დესეტინა მიწა უფა-სოდ უნდა გადასცემოდა ოსებს, ეს მაშინ, როცა ქართველი გლეხები ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჯერ კიდევ გამოსასყიდ უულს იხდიდნენ იმ მიწებისას, რომელზეც ესახლნენ“ (ნ. გრიგალაშვილი, „ისტორიის გზაჯვარედინზე“, გაზ. „სოფ. ცხ.“ 4.I.1990 წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზეზი იწვევდა ქართველი ადამიანის სოციალურ-ეროვნულ შეზღუდვას ოსი ეროვნების ადამიანთან შედარებით, რაც ედებოდა კიდეც საფუძვლად ქართველების გაოსებას საქართველოში.

„ქართველთა ისტორიული ბედუქულმართობის ბრალია ყოვე-ლივე ეს, თორემ ჩვენს ქვეყანაში რატომ უნდა გაოსებულიყო, გასომხებულიყო, გათათრებულიყო, გაფრანგებულიყო, გალეკებულიყო, გააფხაზებულიყო ჩვენი სისხლი და ხორცი? –

წერს როლანდ თოფჩიშვილი (ისტორიის გამყალბებლებთან კამათს აზრი აქვს? გაზ. ლ.ს. 18.I.1991 წ.).

დიახ, ქართველები გაოსდნენ. საბედნიეროდ, ხშირად გაოსება იმით გამოიხატება, რომ გაოსებულს უყალიბდება ოსური ეროვნული თვითშემცნება, სხვა მხრივ კი, ის ინარჩუნებს ქართულ წეს-ჩვეულებებს, ქართულ ენას, ქართულ ტრადიციებს და გვარსაც კი. მაგ. ასეთი გაოსებულის ქართული ფორმის ქონებარი უკვე აღარ მიიჩნევა ქართულად. ეროვნული თვითშემცნება სხვა ყველა თვისებას ფარავს. ასე იქცევა ხოლმე სისხლ-ხორცით, მამა-პაპით ქართველი ოსად, ანუ როგორც ამბობენ, „ალანად“.

ხშირად ასეთი კითხვა ისმის: ოსები და ალანები ერთი ხალხია თუ არა? თანამედროვე ოსური ისტორიოგრაფია მიიჩნევს, რომ ოსების წინაპრები ცნობილნი იყვნენ ალანებისა და იასების (ასების) სახელით, მაგრამ, თავის მხრივ, ალანებსა და ასებს (იასებს) ყარაჩაელი და ბალყარელი მეცნიერები მიიჩნევენ ყარაჩაელებისა და ბალყარელების წინაპრებად (კერძოდ, ენათმეცნიერი უ. ალიევი, ისტ. მეცნ. დოქტ. ე. ალექსეევა, ფილოლოგი მეცნიერი ს. ბაიჩიროვი).

როგორც ოსი, ასევე ყარაჩაელი და ბალყარელი მეცნიერების აზრი ალანების ენის (ეთნიკური კუთვნილების) შესახებ განსხვავებულია. პირველთათვის ალანები ირანულენოვანი ტომია, მეორეთათვის – თურქულენოვანი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები ალანებს არა მარტო თავიანთ წინაპრებად მიიჩნევენ, არამედ ამჟამადაც კი ისინი „ალანებს“ უწოდებენ, ზოგიერთი მეზობელი ხალხი ბალყარელებს – „ასებს“, ხოლო ყარაჩაელებს – „ალანებს“ უწოდებს, ამის შესახებ ქვემოთ მოწოდებულია ს. ბაიჩიროვის გამოკვლევიდან ერთი ნაწილი. ალანები ჩრდილოკავკასიური ტომისათვის ისეთივე სახის წინა-

პარია, როგორც, ვთქვათ, ქართველებისათვის შუმერები თუ ქალდეველები, ანდა ხეთები.

ალანებისაგან ოსების წარმოშობას ესაჭიროება დამტკიცება, ეს ძალზე რთულია, არ არსებობს პირდაპირი დამამტკიცებელი ფაქტები.

აღნიშნულ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიას ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ გააჩნდა თავისი აზრი (ვახუშტი ბატონიშვილი).

ქვემოთ განხილულია თანამედროვე ოსი, ყარაჩაელი, ბალყარელი, ძველი ქართველი ისტორიკოსების შეხედულებანი.

ოსი ხალხის ჩამოყალიბება

«ოსები - ორი ეთნოჯგუფის მემკვიდრე ხალხი»

ოსთა ეთნოგენეზისის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილისა და თანამედროვე ისტორიკოსთა დიდი ნაწილის შეხედულებანი ფაქტიურად მსგავსია.

თანამედროვე ისტორიკოსების დიდი ნაწილის შეხედულება ასეთია: „ოსი ეროვნების ჩამოყალიბება ენობრივ, ნაწილობრივ ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების შუქზე იხატება, როგორც ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთქმედებასა და ურთიერთშეღწევას ორი ეთნიკური ჯგუფისა: ჩრდილოირანულს (სკვითურ-სარ-მატულ-ალანურს), ერთი მხრივ, და ადგილობრივ, კავკასიურს – მეორე მხრივ. ამ ორი ჯგუფის ურთიერთქმედებისას ირანული ჯგუფის ირანული ენა იქცა გამარჯვებულ ენად, რომელმაც შეინარჩუნა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი სიტყვიერი

ფონდი. ამავე დროს, ირანული ენის სიტყვათა მარაგი შეივსო ადგილობრივი აბორიგენების ენის ხარჯზე. ამავე დროს, კულტურამ და ყოფამ ადგილობრივი მოსახლეობისა შეინარჩუნა თავისი ძველი ტრადიციული კავკასიური ფორმები“ („სამხრეთ ოსეთის ისტორიის ხარკვევები“, I, 1985, რუსულ ენაზე, გვ. 58).

სწორედ ასეთი თვალსაზრისი ასთა ეთნოგენეზის შესახებ (ოსები, როგორც ორი ეთნიკური ჯგუფის შერევის შედეგად შექმნილი ხალხი) ვახუშტიმ გამოთქვა საუკუნეებით ადრე.

მიუხედავად იმისა, რომ ოსი ხალხის ეთნოგენეზისში ადგილობრივ კავკასიურ ეთნიკურ ჯგუფს ისეთივე წვლილი მიუძღვის, როგორც სტეპებიდან მოსულს, მაინც თანამედროვე მეცნიერების უმრავლესობა ოსი ხალხის წინაპრად ასახელებს არა კავკასიურ ჯგუფს, არამედ მოსულთ – ალანებს.

„ისტორიული წყაროების შესწავლამ საშუალება მოგვცა მივსულიყავით დასკვნამდე, რომ ის ხალხი, რომელსაც ქართველები „ოვსებს“ უწოდებდნენ, ბერძენი, რომაელი, ბიზანტიელი, სპარსი, სომეხი და სხვა ძველი ავტორები „ალანთა სახელით“ იცნობდნენ. ისტორიკოსებისათვის ცნობილი იყო, რომ ალანები მიეკუთვნებოდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებს, რომლებიც ძველ დროს რუსეთის სამხრეთ რაიონებში ცხოვრობდნენ. ამრიგად, გამოიკვეთა გზა ოსების წინაპრების გადაადგილებისა ჩრდილოეთიდან მათ თანამედროვე საცხოვრებელ ადგილებამდე“ (იქვე, გვ. 56).

როგორც აქედან ჩანს, ოსთა წინაპრებად მიჩნეულია სკვითურ-სარმატული ტომი – ალანები. ოსების ამ წინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი და სამშობლო ყოფილა სამხრეთ რუსეთის ველები, საიდანაც ისინი გადმოსახლებულან კავკასიაში. სად ბინადრობდნენ თავდაპირველად ოსთა წინაპრები?

ამ კითხვას პასუხი გასცა ვახუშტიმ. მან ოსების ჩამოყალიბება დასახა, როგორც მოსულ „ხაზართა“ ელიტისა და მკვიდრ

„კავკასიელთა“ ურთიერთშერევის პროცესი (თუ რატომ უწოდებდა ჩრდილო კავკასიაში სტეპიდან მოსულ ხალხს ვახუშტი „ხაზარებს“, ამას განვიხილავთ ქვემოთ). „ხაზართა ქვეშ ვახუშტი, ჩანს, გულისხმობდა ირანულენოვან ანდა თურქულ-ენოვან ტომებს.

ვახუშტის შეხედულება ასეთია: ხაზარების სამშობლოა დონის წყლის მიმდებარე ქვეყანა. „ხაზარეთის მდინარე არის დონის წყალი და ხაზარეთი დონის წყლიდან დნესტრამდე, შავი ზღვის პირი ლიტოვამდე და რუსეთამდე“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 51).

ასევე მიაჩნიათ ოს ისტორიკოსებსაც, რამეთუ ისინი ოსთა წინაპრების პირველსაცხოვრისად სწორედ სამხრეთ რუსეთის ველებსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთს სახავენ: „ნართების ლაშქრობათა და გმირობათა არენას თითქმის მუდამ წარმოადგენს სტეპი, ძალზე ხშირად იხსენიება ზღვა, რაც, კერძოდ, ეთანხმება ისტორიულ მონაცემებს ოსთა წინაპრების (სკვითების, სარმატების და ალანების) ძველი სახლობის შესახებ სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოკავკასიის სტეპებში“ („სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები“, გვ. 60).

ალანებს თავდაპირველად უცხოვრიათ არა მარტო ალმოსავ-ლეთ აზოვისპირეთსა და დონზე, არამედ ყირიმშიც, როგორც ამას ლინგვისტური მონაცემები უჩვენებენ (იქვე, გვ. 63).

როგორც ვახუშტის, ისე ოს ისტორიკოსთა თანახმად, ოსი ხალხის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სტეპების ბინადართა კავკასიაში შემოსვლა. ეს მოხდა კავკასიურ ეთნიკურ ელემენტთან შერევის შემდეგ.

როდის შემოვიდნენ კავკასიაში ალანები? როგორც ჩანს, ეს მომხდარა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე. „საბჭოთა ენციკლოპედიური სიტყვანი“ მიიჩნევს, რომ ალანების სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი ხალხი I საუკუნიდან ცხოვრობდა

აზოვისპირეთსა და კავკასიის მთისწინეთში. ალანთა ნაწილი მონაწილეობდა ხალხთა დიდ გადასახლებაში, ეს კავკასიელი ალანები ყოფილან ოსების (იასების) წინაპრები (გვ. 35, სტატია „ალანი“).

ვახუშტიც უძველესი დროით ათარიღებს ოსების ერთ-ერთი წინაპარი ტომის ჩრდილოეთ კავკასიაში შემოსვლას.

როგორც აღინიშნა, ჩრდილო კავკასიაში სტეპებიდან შემოსულ (ოსთა ერთ წინაპარ) ხალხს ვახუშტი „ხაზარებს“ უწოდებს. ჩანს, ეს შედეგია შემდეგი გარემოებისა: – მართალია, ალანები ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყვნენ ცნობილნი, მაგრამ „ალანია“, „ანუ „ალანეთი“ ეწოდებოდა მე-9 საუკუნის დასასრულიდან მე-13 საუკუნის დასაწყისამდე არსებულ სახელმწიფოს ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. ეს სახელმწიფო – „ალანია“ ხაზართა კაგანატს, ანუ ხაზარების სახელმწიფოს გამოეყო (ე.ი. მე-9 საუკუნის დასასრულს) და დაიშალა მონგოლ-თათართა შემოსევების გამო (იქვე, სტატია „ალანია“).

იმიტომ რომ ალანების სახელმწიფო საუკუნეთა მანძილზე ხაზარების სახელმწიფოში შედიოდა, ვახუშტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცხოვრებ ალანებსაც ხაზარებს უწოდებს. ცხადია, ეს ანაქრონიზმია, მაგრამ ვახუშტის დროის მკითხველისათვის ასეთი სახელწოდება უფრო გასაგები იყო, რამეთუ ქართული ძველი ისტორიოგრაფია ტერმინ ხაზარებს იცნობდა, ხოლო ალანებს – არა.

ვახუშტი ასე ხატავს ოსი ხალხის ჩამოყალიბების პირველ ეტაპს: ხაზარები (ე.ი. სტეპების მკვიდრნი) მდინარე დონზე და დნესტრზე, შავი ზღვიდან ლიტვამდე, ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ ფარნაკაზამდე, მცხეთაში მამასახლისობის ეპოქაში (ე.ი. ქრისტემდე ასწლეულებით ადრე). შემდგომ ისინი დაიძრნენ კავკასიისაკენ და შემოიჭრნენ კავკასიაში თარგამოსიანთა მიწებზე.

ცხადია, ამ შემთხვევაში ხაზართა ქვეშ სკვითურ-სარმატული ტომბი იგულისხმება. იქამდე ჩრდილო კავკასიის მთლიანი მიწა-წყალი დასახლებული იყო თარგამოსის ძეთა – ლეკანისა და კავკასოსის შთამომავალთა მიერ. ვა ხუშტის („ქართლის ცხოვრების“) თანახმად, კავკასიაში დასახლებული შვიდი ერთ-მანეთის სისხლით მონათესავე ტომი (ე.ი. თარგამოსის ძეები: ქართლოსის, ბარდოსის, მოვაკანოსის, ჰეროსის, ეგროსის, ლეკანის, კავკასოსის შთამომავლები) ერთმანეთს ეხმარებოდნენ საერთო მტრის გამოჩენისას.

მართლაც, სტეპის მკვიდრების („ხაზარების“) ჩრდილო-კავკასიაში შემოჭრის შემდეგ შვიდივე კავკასიელი ხალხი გაერთიანებულა საერთო მტრის წინააღმდეგ.

„ხოლო შემდგომად განძლიერდნენ ხაზარნი და უწყეს ბრძოლა ძეთა კავკასოსთა; არამედ ძეთა შორის კავკასოსათა უწარჩინებულესი იყო პირველად ძურმუკოს ძე ტინენისა, ესე ეზრახა ექვსთა ნათესავთა ძმათა (რამეთუ მაშინ იყვნენ სიყვარულსა ზედა ურთიერთისა და მორჩილებისა მცხეთელ მამასახლისასა), რათა მწე ეყვნენ. მაშინ შეითქვნენ შვიდივე ნათესავნი ესე, შეკრბნენ და გარდავლეს მათა კავკასი, მოსრნეს და მოსტყვევნეს ხაზარეთი და აღაშენეს პირსა ხაზარეთისასა ციხე (ბერძულსა 3861, რამეთუ ხაზარეთის მდინარე არს დონის წყალი და ხაზარეთი დონის წყლიდამ დნესტრამდე შავი ზღვის პირი ლიტოვამდე და რუსეთამდე) და წარმოვიდნენ თვის-თვისად დასაბამითგან წ 2302, ქართულსა 273. შემდგომად ამისა თავი იჩინეს ხაზართა მეფე და შეკრბნენ მის ქვეშ და გამოვლეს გზა დარუბანდისა. ამათ ვერ წინა აღუდგენ თარგამოსიანნი, შემოვიდნენ, მოსრნეს მოსტყვევნეს თარგამოსიანნი დასაბამით 2310, ქართულსა 241, და დაისწავეს გზა დარუბანდისა და არაგვისა და განამრავლეს შემოსვლა თარგამოსიანთა ზედა და იყვნეს მოხარკედ მათდა უამრაოდენმე“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 51).

მაშასადამე, ვახუშტის აზრით, სტეპის მკვიდრთა კავკასიაში შემოჭრის დროს კავკასიის ყველა ტოში გაერთიანდა ქართველთა მეთაურობით მტრის წინააღმდეგ. ამ დროს მათ ვერ შესძლეს მტრის დამარცხება, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ სტეპის მკვიდრებში განვითარებულა სახელმწიფოებრიობა და ორგანიზებულ ხალხს დაუმარცხებია იბერიელ-კავკასიელები. ისინი დარუბანდის გზით შემოჭრილან ამიერკავკასიაში, აქც მრავალჯერ დაუმარცხებიათ იბერიელ-კავკასიელთა საერთო ლაშქარი, ტყვედ წაუსხამთ ჩრდილო კავკასიაში ქართველ-ალბანელთა ერთი ნაწილი და დაუსახლებიათ იქ. აქამდე ჩრდილო კავკასიის ველები დასახლებული იყო ქართლოსის ორი ქმის - ლეკანისა და კავკასოსის შთამომავლებით. საერთოდ, ვახუშტი იმეორებს ძველ ისტორიკოსთა ცნობებს, რომელნიც, თავის მხრივ, საინტერესოა ჩრდილო კავკასიის ეთნოგრაფიული სურათის აღქმისათვის უძველეს დროს. იმის გამო, რომ ვახუშტის მოსაზრება ოსი ხალხის ეთნოგენეზისის შესახებ ფაქტიურად გაზიარებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიერ, მისი ყოველი ცნობა საინტერესოა.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წევრების დასადგენად მეცნიერებს დიდი შრომა და ძიება დასჭირდათ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, ქართველ მეცნიერებს კი ამ კითხვაზე თავიდანვე ჰქონდათ პასუხი გაცემული. მაგალითად, ვახუშტი ასახელებს შვიდ ტოშს, რომელთაც აქვთ გენეტიკური ნათესაობრივი კავშირი. სისხლისმიერი ერთობის გარდა, მათ აქვთ თვითშეგნება ერთიანობის შესახებ, ამიტომაც ისინი ერთიანდებიან ხოლმე სამხედრო ძალითაც. ჩვენი ძველი ისტორიკოსები ხალხთა ერთ ოჯახში ათავსებენ ქართულ-ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ტოშებს. ესენია: ქართლოსის, ბარდოსის, მოვაკანისის, ჰეროსის, ეგროსის, ლეკანის, კავკასოსის შთამომავლები. ეს უთუოდ დიდი და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია.

მაშასადამე, როგორც აღნიშნული გვქონდა, საერთო სურათი ასეთია: ჩრდილო კავკასიაში (არა მთებში, არამედ მთისწინეთის ველებზე) ცხოვრობს ორი მკვიდრი ხალხი (კავკასოსის შთამომავლები და ლეკანოსის შთამომავალნი). მალე მათ გამოუჩნდათ საერთო მტერი – „ხაზარები“, ანუ სკვით-სარმატები. მათთან ომში ეს ორი ხალხი ხშირად მარცხდებოდა. იმის გასაგებად, თუ როგორ წარიმართა შემდგომ ამ ხალხის ბედი, მოვიყვანოთ გენეალოგიური სქემა მათი ეთნარქებისა (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 633; გვ. 51):

„ხაზართა“ შემოსევის შემდეგ მოვლენები ასე განვითარებულა: ხაზართა ერთი ნაწილი დამკვიდრდა ლეკანის წილ ქვეყანაში (იგულისხმება ჩრდილო კავკასიის ველები), თავის მხრივ, ლეკთა მთავარს, ხოზონს აუყრია თავისი ხალხი, მიუტოვებია ძველი სამშობლო, შემოსულა კავკასიის მთიანეთში და იქ დასახლებულა (გვ. 633).

მეორე ხალხის კავკასიანელთა ერთი ნაწილი შემოსულ „ხაზარებს“ დაუხოცავთ, ხოლო გადარჩენილებს დურძუკოსის მთავრობით მიუტოვებია ძველი სამშობლო და აყრილა ჩრდილო კავკასიის ველებიდან, შემოსულან კავკასიის მთიანეთში და იქ დასახლებულან. როგორც ვთქვით, კავკასიის მთიანეთში ორივე ხალხის გადარჩენილი ნაწილი დამკვიდრებულა. კავკასიანელები დურძუკოსის მთავრობით დამკვიდრებულან მდინარე თერგის სანახებში. ამ „დურძუკოსის“ გამო მდინარის აღმოსავლეთ ნაწილს („კერძს“) ეწოდა ძურძუკეთი, ხოლო თერგის მარცხნივ მიმდებარე ქვეყანას – დვალეთი.

ვახუშტის აზრით, ჩრდილო კავკასიის არცერთ ქვეყანას „ოვსეთი“ არ ეწოდებოდა, რამეთუ ეს მხარე თარგამოსის ძეთა შთამომავლებით იყო დასახლებული. სტეპებიდან შემოსულ მტრებს ერთიანი ძალით წინ აღუდგნენ იბერიელ-კავკასიელნი, მაგრამ დამარცხდნენ. მრავალი ტყვე წაიყვანეს „ხაზარებმა“

ჩრდილოეთში ამიერკავკასიიდან (კერძოდ ქართლ-სომხეთიდან, რანიდან და მოვაკანიდან). ეს ტყვეები შემდგომ ხაზარებმა ჩრდილო კავკასიაში დაასახლეს. ვახუშტის აზრით, სწორედ ჩრდილო კავკასიაში შემოსეული სკვითებისა და მათ მიერ დატყვევებული მოსახლეობის ურთიერთშერევა დაედო საფუძვლად ძველი ოსი ხალხის ეთნოგენეზის. „ხაზართა მეფემან მისცა ქვეყანა კავკასოს ძესა თვისთა ურბანოსს და ტყვენი ქართლ-სომხითისანი. ამან მოსწყვიდა ნათესავი კავკასოსი და დაეშენა აქა თვისთა და ტყვითა მით და უწოდა ოვსეთი. ესე არს ხაზარულად „ზოგი თესვად“, ვითომ „ზოგი მოვსწყვიდე და ზოგი დავსხი თესვად“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 632).

ამის შემდეგ ჩრდილო კავკასია გავლენის სფეროებად გაიყვეს ოვსებმა („ხაზარებმა“) და ქართველთა სახელმწიფომ („ფარნავაზიანებმა“), დვალეთი და დურძუკეთი, ესე იგი ჩრდილო კავკასიის მთებში არსებული ქვეყნები ქართულ სახელმწიფოს გავლენის სფეროში მოექცა, ხოლო მათ დასავლეთით მდებარე მთისწინეთი და ველები – სკვითებისა („ხაზართა“ მეფისა). დვალეთის დასავლეთით მიმდებარე კრცელ ქვეყანას უკვე ოვსეთი ეწოდებოდა, „ოვსთა მეფეს“ ერგო დვალეთის საზღვრის გარეთ (დასავლეთით) მიმდებარე ქვეყანა (გვ. 634). (დვალეთი, როგორც ვთქვით, ეწოდება მდინარე თერგის დასავლეთით მდებარე ქვეყანას).

„ხოლო შემდგომ ფარნაოზის გამეფებისა დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დუალეთი, და სხვა ხევნი იგი დაშთენ მეფეთა ოსთასა და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე“ (გვ. 633). ე.ი. სხვაა ოვსეთი და სხვაა დვალეთი (ჩრდილო კავკასიაში, თერგის ხეობის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს დვალეთი, ხოლო დვალეთის საზღვრის გარეთ მდებარე მომიჯნავე ხევები დარჩა ოსთა მეფეს („დარჩა ფარნაოზის ძურძუკი და დვალეთი და სხვანი ხევნი იგინი დაშ-

თნენ მეფეთა ოსთასა“). ამის მიზეზი ის იყო, რომ ხევებში შემოვიდნენ ოსები, „დაიმონეს“ ხევების მოსახლეობა და დასახლდნენ იქ („იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანსავე“).

ვახუშტი ასთა ცხოვრებას ორ ნაწილად ჰყოფს: – მონღოლებამდე და მონღოლების შემდგომ. მისი აზრით, ძველი ოსი ხალხი ბარში ცხოვრობდა, როგორც აღინიშნა, იგი ორი ეთნიკური ჯგუფის შერევის შედეგად წარმოიქმნა, ცხოვრობდა დვალეთის მეზობლად, ჩრდილო კავკასიის მთისწინეთსა და ველებზე. მონღოლების შემდეგ ყალიბდება ახალი ოსი ხალხი, ანუ მთის ოსები. იგი ყალიბდება კვლავ ორი ეთნიკური ჯგუფის მეოხებით. კერძოდ, მონღოლების შემოსევათა გამო დვალეთში ესახლებიან ბარის ოსები, რაც პირობას ქმნის დვალების გაოსებისა. ეს სათავეს უდებს ოსი ხალხის ახალ ცხოვრებას, რომელიც ახლა უკვე მთიელ ხალხად იქცა.

ოსეთის სამეფო

მონღოლების შემოსევამდე ოსეთის სამეფო ვრცლად იყო გადაჭიმული კავკასიის მთების იქით, დღევანდელ დასავლეთ იმიერკავკასიის მიმდებარე ველებზე. მას მართავდა სამეფო დინასტია, რომელიც საქართველოში მიჩნეული იყო როგორც ერთ-ერთი ღირსეული და სახელოვანი სამეფო სახლი.

ბრწყინვალებითა და დიდებულებით ცნობილი ქართველი ბაგრატიონები თავიანთი ღირსებისათვის მისაღებად თვლიდნენ დამოყვრებას ოსეთის სამეფო სახლთან X-XII საუკუნეებში, რაც ოსეთის სამეფოს სიძლიერეზეც მიუთითებდა.

საქართველოს სამეფოს გაერთიანების შემდეგ ბაგრატიონები საქართველოს თვითმკურობელი მეფეები გახდნენ და, როგორც

წესი, მათ სამეფო სახლში რძლებად უცხო მეფეთა ასულები მოჰყავდათ (საქართველოს დიდებულთა ასულების რძლად მოყვანა სამეფო სახლის ღირსებისათვის მიუღებლად მიიჩნეოდა).

მეფე დიდ გიორგი I-ს, რომელმაც საქართველოში შემოჭრილი ბერძენი იმპერატორი ბასილი ბულგართმმუსვრელი გააქცია, ცოლად ჰყავდა არშაკუნიანთა (სომებთა სამეფო სახლის) ასული, ეს ქალი გიორგი მეფემ შეირთო ოსთა მეფის ასულის შეძლება - რომელთანაც ჰყავდა ძე - დიმიტრი - „ხოლო კვალად სხვა ძე ჰყვა გიორგი მეფესა ოვსთა მეფის ასულისა თანა დიმიტრი“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 145).

ბაგრატ IV-ს ცოლად შერთეს ბიზანტიის იმპერატორ რომანოზის ასული (ელენე), მისი გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ IV-მ შეირთო ოსთა მეფის ასული - „ხოლო მეფემან შეირთო ასული ოვსთა მეფისა - ბორენა“ (გვ. 144).

თამარ მეფის დედაც ოსთა მეფის ასულია, ის გიორგი III-ს მამამისმა, დავით აღმაშენებლის ძემ დემეტრემ შერთო. - „მამასავე, სიცოცხლესა შინა თვისსა, მოეყვანა ამისთვის ოვსთა მეფის ასული ბურღუხან ცოლად, სახით კეკლუც შვენიერებათა ზე აღმატებელი“ (გვ. 166).

თავის მხრივ, ამ ეპოქაში ოსეთის სამეფო სახლშიც შეჰყავდათ რძლებად ბაგრატიონთა ქალები (მაგ. გიორგი III-ის ოჯახიდან), დავით აღმაშენებლის ასული ოსეთში იყო გათხოვილი. სწორედ ამ მიზეზის გამო თამარს შერთეს ოსთა სამეფო სახლის შვილი დავით სოსლანი, რომელიც თავის მხრივ იყო ბაგრატიონთა შთამომავალი. „ქართლის ცხოვრებას“ მისი გენეალოგია ასე აქვს წარმოდგენილი: - მეფე გიორგი I-ს (ბასილი ბულგართმმუსვრელის დამმარცხებელს) სხვადასხვა ცოლებისაგან ჰყავდა ორი ძე - ბაგრატ IV და დიმიტრი. დიმიტრის შთამომავალია დავით სოსლანი, ბაგრატ IV-ისა კი თამარი.

ვახუშტის აზრით, დავით სოსლანის გენეალოგია ასეთია (ვახუშტი ემყარება კასრის ეკლესის (დვილეთშია) მხატვრობასა და წარწერებს, თუმცა გასარკვევია, რეალურად არსებობდა ეს წარწერები თუ ლიტერატურული მითითება არსებობდა ამ წარწერების არსებობის შესახებ).

„მოწამე არს მისი მცირე ეკლესია კასრის ხევსა შინა, დახატულ არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით, ძე დავითისა ათონ, ძე ათონისა ჯადარინ, ძე ჯადარინისა სოსლან. დავით, რომელიც იყო ქარი თამარისა, არამედ ეფრემის ძეობა ნუ გიკვირს, ვინაიდგან ოვსეთს მკვიდრობდნენ, გუნებური გვარი ახსენა და არღარა დიმიტრით ბაგრატიონობა“ (იქვე. გვ. 177, სქოლიოში).

დავით სოსლანი საქართველოში, სამეფო სახლშივე, გიორგი III-ის დასთან – რუსუდანთან იზრდებოდა – „იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი კაცნი მძლენი, და ძლიერნი ბრძოლასა შინა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 46).

ამ წინადადებიდან ჩანს, რომ თამარის ეპოქის საქართველოში ოსები ითვლებოდნენ მძლე და ძლიერ მეომრებად – „არიან ოვსნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“.

ამიტომაც, ოსთა ჯარის გამოყენებას საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოზე ხვარასნისა, ერაყის სულტანის, ბალდადის ხალიფასა და სპარსეთის ათაბაგის ერთობლივი ლაშქრობის დროს „...გიორგი მეფემან, შემოკრიბნა სპანი თვისნი იმერ-ამერნი, ზემოქვემდნი, გამოიყვანა ოვსნი დიდძალი...“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 167) და ქართველ-ოსთა ლაშქარმა გააქცია მტერი.

მონგოლების შემოსევამდე საქართველოსა და ოსეთის სამეფოებს შორის კეთილი ურთიერთობა იყო, სრულიად იცვლება მდგომარეობა მონგოლთა შემოსევის შემდეგ.

„მაშინ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოსეთისა, (I გვ. 156) მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო, შემდგომ-ად უამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლეთით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვ-იდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (ქართლის ცხოვრება, I, 157).

მაშასადამე, აქედან გამომდინარე, V საუკუნეში ოსეთის მდ-ინარის ხეობაში („წიაღ“) ოსები, პაჭანიკები და ჯიქები ერთმ-ანეთს ესაზღვრებოდნენ, მრავალი საუკუნის შემდეგ („უამთა მრ-ავალსა“) თურქებმა განდევნეს ჯიქები და პაჭანიკები დასავლეთის მიმართულებით, ჯიქები დასახლებულან აფხაზეთის „ბოლოს“ (ჩრდილოეთით). რომელ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ეს? ვინ იგულისხმება თურქების ქვეშ – ხაზარები, ყივჩალები თუ მონგოლები? ყოველ შემთხვევაში, ეს მომხდარა VIII-XIII საუკუნეებში (ხაზარ-მონგოლთა ეპოქა).

„ოსეთის მდინარეს“ ქართველები უწოდებდნენ „თერგს“. ოსები – ვახუშტის აზრით სკვითებისა („ხაზარების“) და კავკასიელების („კავკასიის ნათესავის“) ურთიერთ შერევით წარმოშობილი ხალხია. ამიტომაც, ოსების საცხოვრისი ქართ-ველი ისტორიკოსების აზრით, არის არა დონ-დნეპრის შორისი (ის იყო მათი წინაპრების საცხოვრისი), არამედ კავკასიის იქით მიმდებარე ველები. აქ ოსებთან ერთად დავით აღმაშენებლის დროისათვის ცხოვრობდნენ ყივჩალებიც. ყივჩალთა და ოსთა შორ-ის მუდმივი ომიანობა იყო. მათი მორიგება შესძლო დავით აღმაშენებელმა – „შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთ-ისანი და ყოველნი მთავარნი მათნი და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა და აღიხვნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩალთა და ქსრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყვარული და მშვიდობა, ვითარცა ძმათა (ქა-რთლის ცხოვრება, I. გვ. 336).

მართალია, ოსთა და ყივჩაღთა შორის მუდმივი ომი იყო, მაგრამ ოსებმა წარმატებით შესძლეს თავიანთი ქვეყნის დაცვა ყივჩაღებისაგან. თუმც ისინი საკმაოდ ძლიერი ხალხი იყო, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო და ბიზანტიაც ანგარიშს უწევდნენ. ოსეთის სამეფო მონგოლებმა გაანადგურეს, უფრო მეტიც, ვახუშტის აზრით, მონგოლთა შემოსევების შემდეგ ისე სასტიკად დაზარალდა ოსეთის სამეფო, რომ მის არსებობას საფუძველი შეერყა, კერძოდ ამ დროს ოსეთის უდიდეს ნაწილში ჩასახლებული იქნა სხვა ხალხები, ამის გამო ტერიტორიას, რომელსაც ადრე ოსეთი ეწოდებოდა – ეწოდა „ჩერქეზი“ და „ყაბარდო“, ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ისტორიული ოსეთის სამეფო გაანადგურეს მონგოლებმა – ოსების დიდი ნაწილი ალბათ ასიმილირებული იქნა ისტორიულ ოსეთში დამკიდრებულ სხვადასხვა ტომებში, იგულისხმება „ჩერქეზი“, „ყაბარდო“. ხოლო ოს დიდებულთა ერთმა ნაწილმა თავი შეაფარა საქართველოს მთებში, კერძოდ დვალეთში. დვალეთში ოსმა დიდებულებმა და, ჩანს, მასთან ერთად მყოფმა ოსმა სამხედრო არისტოკრატიამ შესძლო დვალების („ქართველური ტომის“) ასიმილირება, ამის შემდეგ სწორედ ამ ახალ ტერიტორიას (ისტორიულ დვალეთს) ეწოდა ოსეთი (ვახუშტის ამ მოსაზრების შესახებ იხ. ქვემო).

ვახუშტის ამ თვალსაზრისის სისწორეს „ისიც მიუთითებს, რომ არ შეიძლებოდა ისტორიული ოსეთი ყოფილიყო ისეთი მეორე ქვეყანა, როგორიც ოსეთი იყო მონგოლთა შემოსევის შემდეგ – კავკასიის მთიანეთში მდებარე დვალეთის მომცველი მხარე, რამეთუ ისტორიული ოსეთი ღირსეული მეტოქე მონგოლებისა, მისი მეზობლები ყივჩაღთი, ხაზარეთი და რუსეთი.

საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ეს ქვეყნები მონგოლთა შემოსევის ხანაში ქვაზე ხშირად ერთად მოიხსენებიან.

ჩინგიზ ყაენმაო, ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“, „უხუცესა შვილსა თუბისსა მისცა ლაშქარისა ნახევარი და წა-

რავლინა დიდისა საყივჩაღეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს, ვიდრე ბნელეთამდე“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163. აქ „ბნელეთის“ ქვეშ იგულისხმება არქტიკული ტერიტორიები ჩრდილო რუსეთისა, სადაც მართლაც 6 თვე მზე არ ამოდის).

ბათო ყაენს (ჩინგიზ ყაენის შვილს თუბის ძეს) - „...პქონდა ოვსეთი და დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის და ზღვამდე დარუბანდისა“ (იქვე, გვ. 196).

მან ქვეყნის აღსაწერად კაცი „წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე, აღმოსავლით ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე“ (იქვე, გვ. 234).

აქედან ჩანს, რომ ოსეთი ისეთივე მნიშვნელოვანი ქვეყანაა, როგორც დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ცხადია, აქ კავკასიის მთიანეთში მდებარე დვალეთის მომცველი ტერიტორია არ იგულისხმება. ოსეთი ვრცელი ქვეყანაა, ამიტომ ისხსნიება მძლავრი მეზობლების გვერდით, სწორედ ამიტომ გაანადგურეს ის მონგოლებმა. მონგოლებმა აღხოცეს სახსენებელი ხაზარებისა და ყივჩაყებისა, მათი ქვეყნები მოსპეს, ასევე გაანადგურეს ისტორიული ოსეთიც. ოსებმა (დიდგვაროვნებმა და სამხედრო არისტოკრატიამ) თავი შეაფარეს საქართველოს, განსაკუთრებით კი საქართველოს მთიანეთს – ისტორიულ დვალეთს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მონგოლები, რომლებიც ისტორიულ ოსეთში ოსების არსებობას ვერ ითმენენ, სამაგიეროდ, ხელს უწყობენ ოსების გაძლიერებას საქართველოში, ანუ მონგოლები შეეცადნენ ოსთა სამხედრო ძალა გამოეყენებინათ ქართველთა დასასუსტებლად საქართველოში. ისინი ოსებს აძლევენ საქართველოს გულში მდებარე გორის ციხეს, და იქ ოსთა სამხედრო ძალები ჰყავთ როგორც მონგოლთა დამხმარე გარნიზონი.

საერთოდ, მონგოლებს ახასიათებდათ მსგავსი ქმედება, მაგალითად, გაპყავდათ ქართველთა სამხედრო ძალა და მისი საშუალებით ებრძოდნენ მახლობელ აღმოსავლეთსა და ეგვიპტეს. ამავე დროს, საქართველოს შიგნით სხვა ეროვნების სამხედრო ძალა (ამ შემთხვევაში ოსები) შემოიყანეს. ჩანს, სხვა ქვეყნებშიც მსგავსადვე იქცეოდნენ. საქართველოში მონგოლთა შემოსვლიდან ვიდრე გიორგი ბრწყინვალის გამარჯვებამდე, ანუ მონგოლთა ბატონობის მანძილზე, როგორც წესი, მონგოლები ქართველთა სამხედრო ძალებს უცხოეთში აომებდნენ.

მონგოლთა ბატონობისას საქართველომ ასე თუ ისე შესძლო შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრიობა. საქართველოს ქართველი მეფეები მართავდნენ, თუმცა მათ მონგოლები ამტკიცებდნენ ტახტზე. ასეთი მდგომარეობისასაც კი ქართველი მხედრები ქართველ მეფეთა თუ დიდებულთა წინამდღვრობით, შეიძლება ითქვას, რომ ძალზე ხშირად უცხო ქვეყნებში (საქართველოს მიმდებარე ტერიტორიებზე) ომობდნენ მონგოლთა სასარგებლოდ.

საფიქრებელია, რომ იმ 90 000 ქართველი მხედრიდან, რომელიც მონგოლებს გაპყავდათ, მონგოლები სხვა ქართულ ლაშქრის თუ ციხე-სიმაგრეთა გარნიზონებს ჰქმნიდნენ საქართველოს ახლოს მიწებზე და ახლო აღმოსავლეთში. ქართველები ლაზამდე და სუეცის ყელამდე იბრძოდნენ მთელი ორასი წლის მანძილზე – ალამუთში, ასურეთში, შამში, ჰემში, იერუსალიმსა თუ დამსკოში. ამ ორი საუკუნის მანძილზე მონგოლების სასარგებლოდ გაუმართავთ 28 დიდი ბრძოლა. მებრძოლ, ბრძოლის უნარის მქონე სამხედრო საქმეების მოყვარულ ტომებს მონგოლები თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. ასევე იყენებდნენ ოსურ (აღწერ) მებრძოლ ტომებს მონგოლები ოსეთის სამეფოს განადგურების შემდგომ, ოღონდ გაუკაცრიელებულ საქართველოში.

როგორც აღინიშნა, ქართველები მისი მეზობლებისავე წინ-ააღმდეგ აამხედრეს მონგოლებმა, ქართველ-სომებთა ლაშქარს რამდენჯერმე დაულაშქრავს დამასკო (იხ. ზემოთ), ამ დროს კი, როგორც აღინიშნა, ოსების ლაშქრის ერთი ნაწილი მონგოლებს საქართველოს გულში – ქართლში ჩამოუყვანიათ და მის ცენტ-რში – გორის ციხეში გაუმაგრებიათ. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როცა ქართველთა მრისხანე ლაშქარი ლაშქრავდა და ზედიზედ ამარცხებდა ზემოთაღნიშნულ ქალაქებს, სიმაგრეებს (ჰელმსს, იერუსალიმს, დამასკოს) და ქვეყნებს, სწორედ მაშინ, საქართველოს გული ოსთა ჯარს ეჭირა და ქართველები მათგან სასტიკად იყვნენ შევიწროებულნი. ცხადია, ეგვიპტესთან მებრძოლ ქართულ ლაშქარს ადვილად შეეძლო გორში შეხდომი ოსების დამარცხება, მაგრამ ეს არ სურდათ მონგოლებს. ოსები გორში სწორედ მონგოლთა სურვილით ისხდნენ. საქართველოდან მონგოლების განდევნის შემდეგ ოსებიც განდევნეს.

მემატიანეს ოსთა ლაშქრის მიერ გორის ციხის დაჭერა ასე აქვს აღწერილი – საქართველოს მეზობლად „საბერძნეთში“ (იგულისხმება მცირე აზია) მონგოლებს განუდგა ქალაქი „ტუნლუბალო“. მონგოლებმა ამ ქალაქის დასამორჩილებლად გაგზავნეს მეფე დიმიტრის ძე დავითი (VIII – 1293-1311), სწორედ ამ დროს, როცა ქართველთა ლაშქარი უცხოეთში იყო გაკრებილი, ოსებმა მონგოლების მხარდაჭერით ქართლის აოხრება დაიწყეს – „მუნ ყოფათა ფარუჯანისა იწყეს ოვსთა აოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავი-სა ბეგასძესა ამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა და მრავალგზის შეებნეს და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკვდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწვეს გორი სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხადაღმან გარდმოუშვეს საბლით კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწი-

ვნენ. ვითარცა ესმათ, ჩამოადგეს შუა, შველა ქმნეს და ზავი და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღფხურნა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II. გვ. 296). ჩანს, ეს მომხდარა დავით VIII-ის გამეფების წელს (1293 წ.) (იქვე, გვ. 297).

აქედან ჩანს შემდეგი: გორში, საქართველოს შუაგულში, ქართველთა ქალაქში გარკვეული მიზეზების გამო (უცხოეთში ლაშქრობა) მონღოლებმა ოსები ჩააყენეს და ქალაქი ჩააბარეს. ქართველები შეებრძოლნენ ოსებს და შეძლებდნენ კიდეც მათ დამარცხებას, მაგრამ მუხრანს მდგომ მონღოლებს ამის ნება არ დაურთავთ. გორი ოსთა ლაშქარს დარჩა. გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) ოსები დაამარცხა და განდევნა ქვეყნიდან. მონღოლები ქართველ დიდებულებსაც ამხედრებდნენ ცენტრალური ხელისუფლების (მეფის) წინააღმდეგ. მაგალითად, შალვა ქუენიფნეველს მეფისათვის მონღოლთა შემოსევის დროს უღალატნია (ქართლის ცხოვრება, II. გვ. 305), გამოსძღვლია მტერს და შეუყვანია ისინი ცხავატსა, ცხრა ძმის ხევსა და ქართლის მთიულეთში. აღსანიშნავია, რომ მოღალატე ქართველები და ოსების დიდებულები გაერთიანდნენ ქართველი მეფის დასუსტების მიზნით, ადგილ-მამულების ხელში ჩასაგდებად. აქედან ჩანს, რომ მონღოლებმა საგანგებოდ მოყვანეს ოსთა ლაშქარი, სწორედ ისევე, როგორც ქართველთა ლაშქარი მცირე აზიაში გაიყვანეს საომრად. საქართველოში მყოფ ოსთა ლაშქარი შედიოდა მუხრანს დაბინავებული ოსური გარნიზონის შემადგენლობაში, მისი მეურვეობის ქვეშ. როგორც ითქვა, გიორგი ბრწყინვალემ ოსები გააძევა ქვეყნიდან მონღოლთა ლაშქრის გასვლის შემდეგ, ხოლო რაც შეეხება ქართლის მთიულეთის ნაწილს - დვალეთს, მისი ისტორიული ცხოვრება სხვა გზით წარიმართა.

მონღოლთა ბატონობისას დვალეთში არა საქართველოს ბარიდან შევიდნენ მოღაშქრე ოსები, არამედ ჩრდილო კავკასიის ველებიდან, კერძოდ, მონღოლთა მიერ ოსთა სამეფოს განადგურების შემდეგ დვალეთში შევიდა და დამკვიდრდა ოსური სამხედრო არისტოკრატია.

სრულებით შეიცვალა ოსეთისა და საქართველოს ჩრდილო ტერიტორიების (დვალეთის) ბედი მონღოლების შემოსევის შემდეგ. „მონგოლ თათრებმა ალანების (რომელნიც მათ მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ) საწინააღმდეგოდ მოაწყვეს მთელი რიგი დიდი ლაშქრობები, რომელნიც შესვენებებით მრავალ ათწლეულს გრძელდებოდა, რის გამოც ალანიის მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა, ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრალური კავკასიის მთებისაკენ გარეკეს.

ბარის „ალანია“ სრულიად გააუკაცრიელეს, ... მაგრამ თათარ-მონგოლებმა ვერ შესძლეს მთლიანად დაემორჩილებინათ ალანები. ალანების იმ ნაწილმა, რომელმაც მთებისაკენ დაიხია, სადაც მანამდეც იყო ალანური მოსახლეობა, შესძლო შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა. მდგომარეობის თანდათანობითი სტაბილიზაციის შემდეგ ალანები, საბოლოო ჯამში, შეჩერდნენ ცენტრალური კავკასიის მთისწინეთში და შესძლეს რაღაც ზომით თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაციის შენარჩუნება ... ალანიის ველი გარკვეული ზომით გაუკაცრიელდა და დასახლდა ყაბარდოელებით, მთიან ნაწილში იალბუზიდან დიგორამდე თემურის შემოსევის შემდეგ გამოჩნდნენ თურქულენოვანი „პოლოვცები“, აქ დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიაზე მოხდა საბოლოო შერევა „პოლოვცებისა“ ალანებთან, რომელთაც მიიღეს შემოსულების ენა. ამ ტერიტორიაზე ალან-ოსების ყოფნის დამადასტურებელი წერილობითი წყაროების გარდა არის მრავალი ადგილის სახელწოდებანი ყაბარდო-ბალყარეთის მთიან

ნაწილში, რომელნიც აიხსნება ოსური ენით ... თათარ-მონგოლთა იძულებით ალან-ოსების ნაწილი გადავიდა კავკასიის ქედის ჩრდილო ფერდობებიდან სამხრეთში“ (სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები, I, 1985, გვ. 65-66).

მსგავსად ოსი ისტორიკოსებისა, რომელნიც ვახუშტის დამოწმებით აცხადებენ, რომ ოსეთის (ალანის) ველებზე (დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიებზე) მოხდა სტეპური ტომებისა („პოლოვცი“) და ალანების შერწყმა, რის შედეგადაც წარმოქმნილმა ნარევმა ხალხმა მიიღო მოსულთა ენა (გვ. 66), ასევე აცხადებს ვახუშტი, რომ ჩრდილო კავკასიის მთებსა და, კერძოდ, დვალეთში დევნილი ოსების დამკვიდრების შემდგომ ადგილობრივი ქართველური ტომი – დვალები გაოსდა, რაც იმით გამოიხატა, რომ მათ მიიღეს მოსულთა ენა, ხოლო თავისი დაივიწყეს.

ღვალების სარტმულება და მათი გამოხატვა გახუშტის მიხედვის

ღვალეთი თერგის მარცხნივ მდებარე ქვეყანა იყო, იქ მონგოლთა შემოსევის გამო ჩრდილო კავკასიის ბარიდან („ველიდან“) სახლდებიან ოსები, რომელნიც იმონებენ მკვიდრ კავკასიელ მცხოვრებლებს: „...იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე“ (გვ. 633), „ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დუალეთი, და სხვა ხევნი იგინი დაშთნენ მეფეთა ოსთასა, და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე“ (გვ. 633).

დვალეთი და მთის ოსეთი (მონგოლებამდე არსებობდა უფრო ვრცელი ბარის ოსეთი) მკვეთრად იყვნენ ერთმანეთისაგან გამიჯნულნი პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთი ქართული (ქართულ სახელმწიფოში შემავალი) ტერიტორია იყო, მეორე კი – არაქართული. დვალეთი ხევებად განიყოფებოდა, ქართული ხევები იყო: კასრი, ზრამაგა, უღელი, ნარა, ზროგი და ზახა, არაქართული (პოლიტიკური თვალსაზრისით) ხევები იყო: ჩიმი, თაგური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი. „არამედ დაულეთიცა განიყოფების ხევ-ხევად და იწოდების ხევნი ესრეთ „კასრის ხევად, ზრამაგად, უღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად, ხოლო რომელნი დაშთენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი...“ (გვ. 633).

როდის ეწოდა კავკასიის ხევებს ეს სახელები? ვახუშტის მიხედვით, ეს მოხდა ბათო ყაენის (ე.ი. მონგოლთა) დროს. ვახუშტის მიხედვით, ოსთა მთის ხევებში შემოსვლის შემდეგ მიმდინარეობდა ამ მთის მკვიდრი მოსახლეობისა (ე.ი. დვალების) და ლტოლვილ ოსთა ეთნიკური შერწყმა. შემოსულები (ოსები) გაბატონდნენ, ხოლო მკვიდრი (დვალები) „უგვაროები“ გახდნენ. ოსებისა და დვალების ამ ერთიან ქვეყანას უკვე ოსეთი ეწოდა.

თუ მონგოლთა შემოსევამდე ჩრდილო კავკასიის ბარის („ველის“) დიდ ნაწილს „ოვსეთი“ ეწოდებოდა, მონგოლთა შემოსევისას ამ „ოვსეთში („ველში“) ესახლება არაოსური მოსახლეობა და ისტორიულ „ოვსეთს“ ეწოდა ჩერქეზეთი, ანუ ყაბარდო, სამაგიეროდ, ოსეთი ეწოდა უკვე ახალ ქვეყანას – კავკასიის მთიანეთს, დვალეთის ნაწილს. – „...ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიდგორი და ბასიანი, და სახელნი ესენი ეწოდნენ, ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყენისა მოსვლისა, ბათო ყენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ

კავკასიათა შინა და იწოდნენ სახელითა მათითა ხეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გვარი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გვარით არიან ოვსნი და გვარი ოვსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახილაძე. ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად, ანუ ყაბარდოდ და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა „უგვაროთა – კვალად დვალადვე“ (გვ. 634).

მაშასადამე, ოსეთი ანუ როგორც ვახუშტი უწოდებს „აწინდელი ოვსეთი“ (გვ. 634) (განსხვავებით ისტორიული ოსეთისაგან, რომელიც ჩრდილო კავკასიის ველზე დასავლეთით მდებარეობდა), მოსახლეობის შემადგენლობის თვალსაზრისით ორგვარია – 1. ეს არის ამ მიწა-წყალზე შემოსული ოსები, რომელიც „გვარიანები“ (მაღალი სოციალური ფენა) გამხდარა, (ე.ი. ინდოევროპული ენის მქონე მოსახლეობა) და 2. ადგილობრივი მკვიდრი ქართველური მოსახლეობა – დვალები – „უგვარონი“ – დაბალი სოციალური ფენა. ასე იყო არა მარტო წარსულში, არამედ ვახუშტის დროსაც კი: „აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვა უგვაროთა კვალად დვალადვე“ (გვ. 634), მაშასადამე, ვახუშტის დროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული მონგოლობის დროიდან დაწყებული ასიმილაცია ინდოევროპულების (ოსების) მიერ ქართველური ტომისა (დვალების), ანუ ოსები, როგორც ერთიანი ეთნიკური ერთგვაროვანი მოსახლეობა, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. შემდეგ კი აქ ოსურმა ენამსაბოლოოდ გაიმარჯვა, ანუ, როგორც ჩანს, ორი სხვადასხვა წარმოშობის ტომების შერწყმა დამთავრდა. ვახუშტის აზრით, ჩრდილო კავკასიის ბარში მონგოლებამდე მცხოვრები ოსებიც ასეთივე ნარევი მოსახლეობა იყო, დონის ველებიდან ჩრდილო კავკასიაში შემოსული ხაზარები

(იგულისხმება სკვითები) შეერივნენ აქაურ მკვიდრ მოსახლეობას (კავკასიურ ხალხს, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომს, „კავკასოსის ნათესავს“) და ამ ურთიერთშერევის შედეგად წარმოიქმნა ბარის ოსები. ამ ოსების თავისი მიწა-წყლიდან მონგოლთა მიერ განდევნისა და დვალეთის მთებში შესვლის შემდეგ ბარის ოსები (სკვით-კავკასიელები) ერწყმიან ქართველურ ტომს (დვალებს) და ყალიბდება უკვე ახალი ეთნოჯგუფი ოსების სახელით (ოსური ენის გამარჯვების შედეგად). ესაა ვახუშტის თვალსაზრისი, მაშასადამე, „აწინდელ ოსებში“ იგულისხმება ჩრდილო კავკასიელი ოსები, რომლებიც იბერიულ-კავკასიური ტომისა (კავკასოსის ნათესავისა და დვალების) და სკვითების („ხაზარების“) ურთიერთშერწყმის შედეგად წარმოიქმნა.

მართალია, დვალების ერთი ნაწილი ასიმილირდა შემოსულ ოსებში, მაგრამ მეორე ნაწილმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა. მან გადმოლახა დვალეთის ქედი და ქართლის მთიანეთში დასახლდა (ლიახვის სათავეებში).

ვახუშტის აზრით, ხევი და თრუსო ისტორიულ დვალეთში შემავალი ტერიტორიებია, „არამედ ხევი, ... არს დვალეთისვე“ (გვ. 634), უნდა ვიგულისხმოთ, რომ დვალების ენა (რომელსაც ვახუშტი ახსენებს) იგივე იყო, რაც მოხევეთა ენა, ანუ ქართული იყო (დიალექტი).

როგორც ამბობენ, ოსურ ენაში ჩანს მეგრულიზმის გარკვეული გვალი, რაც მეგრულთა და ოსთა ან მეზობლობაზე მიუთითებს, ან იმაზე, რომ „კავკასოსიანთა“ და „დვალთა ენა მეგრულენოვანი ელემენტების მატარებელი“ იყო. მეზობლების შესახებ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო მთიანეთის ერთ ნაწილს „ალანია“ ერქვა, რაც ეთანხმება ვახუშტის თვალსაზრისს ისტორიული ოსეთის მდგომარეობის შესახებ. ისტორიული ოსეთი სწორედ დასავლეთით მდებარეობდა და მას შემდგომ ჩერქეზ-ყაბარდო ეწოდა, მაშასადამე, ოსურ-მეგრული

ურთიერთობები შესაძლებელი იყო თანამედროვე აფხაზეთში და მის მიმდებარე ჩრდილო კავკასიაში, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ისტორიული აფხაზეთი თავიდანვე არა აფხაზური (აფსუა) ტომებით, არამედ მეგრულენოვანი ტომებით იყო დასახლებული.

ვახუშტის დროინდელი ოსეთის სამხრეთი საზღვარი გადიოდა კავკასიის ქედზე. „ხოლო აწინდელისა ამის ოვეთისა საზღვარის არს... სამხრით მზღვრის კავკასი, ხევის ყელიდამ წარმოსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-საბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიდგორ-ბასიანს შორისნი კავკასიი“ (გვ. 634).

მაშასადამე, მე-18 საუკუნის 50-იან წლებში (1742-1745 წლებში, როცა ვახუშტი ამ შრომას წერდა (იქვე, გვ. 07), ოსთა განსახლების ძირითადი საზღვარი არ სცილდებოდა კავკასიის ქედს, თუმცა კი დვალები უკვე გადმოცილებულნი იყვნენ ამ ქედს და ლიახვის სათავეებში ცხოვრობდნენ, საქმე ისაა, რომ ვახუშტი განასხვავებს ოსებსა და დვალებს. ისინი მას სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომებად მიაჩნია, თუმცა იმასაც მრავალგზის აღნიშნავს, რომ ოსებისა და დვალების ურთიერთობანაცხოვრების დროს ოსები მაღალ სოციალურ ფენას შეადგენდნენ, ხოლო დვალები დაბალ ფენად იქცეოდნენ ხოლმე, ანუ ოსები ბატონობდნენ დვალებზე, იმორჩილებდნენ მათ და საბოლოოდ აოსებდნენ კიდეც. დვალთა გაოსება, მისი აზრით, XIII საუკუნეში დაწყებულა და ვახუშტის დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა დამთავრებული (იხ. ზემოთ). იმ დროისათვის, როცა ვახუშტი აგროვებდა თავისი შრომის მასალებს (XVIII ს-ის I ნახევარში, 1725 წლიდან ის მოსკოვშია), დვალებსა და ოსებს მკვეთრად ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან XVIII საუკუნეში, ჩანს, ოსთა დიდი ნაკადი შემოვიდა ქართლის მთიანეთში და დვალების ასიმილაციის ტემპი ძალზე დაჩქარდა. XVIII ს-ის ბოლოს გიულდენშტედტი უკვე ოსურ გარემოში მოხვედრილი ქართველების დენაცი-

ონალიზაციის შესახებ წერდა. მაშასადამე, ამ მოგზაურის დროს არა მარტო დვალები გაოსდნენ, არამედ უკვე ქართლის მთიანეთში მცხოვრები ქართველების (ქართლელი მთიელების) გაოსების პროცესი დაიწყო. ისტორიულ „მაღრან-დვალეთში“ მცხოვრებთ ვახუშტი ოსებს უწოდებს და არა დვალებს. აქ 1. ან გაოსების პროცესი დასრულებულია, 2. ანდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა (დვალები) ქართლის მთიანეთში გადმოსულან საცხოვრებლად და მათი ადგილი ოსებს დაუჭერიათ (მაღრან-დვინეთის ტერიტორია ამჟამად შედის ჩრდილო კავკასიის იმ რაიონში, რომელშიც არის დასახლებული პუნქტი „ნიუ. ზარამა-აგ“, მის სიახლოვეს მდებარეობს დასახლებული პუნქტი „ბურონ“ და „ნიუ. ცეი“, იქვეა მდინარე არდონის სათავეები, ეს ტერიტორია საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა (ფარნავაზიდან ვიდრე XIX ს-მდე აქ მდებარეობდნენ პუნქტები კასრის კარი (კასრი) და ზრამაგა).

მაღრან-დვალეთის (მაღრან – უვალ, მიუდგომელ ადგილს ნიშნავს) მკვიდრ მოსახლეობას, ცხადია, დვალები წარმოადგენ-დნენ, მაგრამ ვახუშტის დროს აქ უკვე ოსები სახლობენ. მაღრან-დვალეთის მკვიდრ მოსახლეობას ქართველებს უწოდებდნენ, ამიტომაც შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ქართველები დვალებს ქართველებად მიიჩნევდნენ, ქართველი საქართველოს ყოველი ეთნოგრაფიული ჯგუფის ზოგადი სახელი იყო.

ვახუშტის აზრი ასეთია: მაღრან დვალეთის მკვიდრ ძველ მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველები, შემდგომ ეს ქართველები საქართველოს ბარში ჩამოსახლებულან. ხოლო მაღრან-დვალეთში ოსები დამკვიდრებულან. ის „მაღრან-დვინეთის აღწერაში“ წერს – „ხოლო რაოდენნი ისინი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველი გლეხი, შემდგომად მეპატრონეთა მათთავან გარდმოსახლებულან ოსნი

და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“ (გვ. 363-364).

აქედან ჩანს, თუ როგორ გაჩენილა ოსური მოსახლეობა მაღრან-დვალეთში. აქ ადრე მკვიდრობდნენ ქართველნი გლეხნი და მათი მეპატრონენი (ალბათ, მემამულენი – მიწის მფლობელნი). შემდგომ ქართველნი გლეხნი ბარში ჩამოსულან, ხოლო მათ მეპატრონებს, ჩანს, თავიანთ მამულებში გადმოუსახლებიათ ოსები – „... მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი“..., ეს „მეპატრონენი“ ქართველ გლეხებთან კავშირში არიან მოხსენებულნი, მათი მეპატრონენი არიან.

მართალია, ადრე, ისტორიულად დვალეთი ეწოდებოდა ჩრდილო კავკასიაში მდებარე ქვეყანას („კასრის ხეობა, რომელი იწოდების აწცა დვალეთად“ (644), „აქეს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიდამ ვიდრე ჩერქეზამდე“ (644), მაგრამ ჩრდილო კავკასიდან ქართლის მთიანეთში დვალების ეთნოჯგუფის გადმოსახლების შემდგომ დვალებით დასახლებული ქართლის მთიანეთიც უკვე დვალთა საცხოვრისად მიიჩნევა. ჩრდილო კავკასიდან გადმოსახლების შემდეგ დვალები დასახლებულან დიდი და პატარა ლიახვის, ჯეჯორის და სხვა მიმდებარე მდინარეთა ხეობების სათავეებში: „დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, ქსნის ხევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე“ (გვ. 648).

როგორც აღინიშნა, ოსები და დვალები ეთნიკური წარმოშობით სრულებით სხვადასხვა ტომები იყვნენ. ოსები – ინდოევროპულ (ირანულ) ენათა ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, ხოლო დვალები – იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს, დვალები – კავკასიელი აბორიგენები იყვნენ, ხოლო ოსები – სტეპებიდან კავკასიაში მისულნი, მაგრამ ამ ორი ტომის თანაცხოვრების დროს დვალები ოსდებოდნენ, განიცდიდნენ ასიმილაციას, რასაც, ცხადია, თავისი სოციალური საფუძველი ჰქონდა. დვალთა

გაოსება ქართლის მთიანეთშიც გაგრძელებულა, ამას მრავალ-გზის აღნიშნავს ვახუშტი, ამიტომაცაა, რომ მისი დროისათვის ჩნდება ტენდენცია სინონიმად მიიჩნიონ სიტყვები „დვალი“ და „ოსი“. თუმცა ვახუშტიმ იცის, რომ ეთნიკურად ისინი სხვადასხვა ტომია, მაგალითად, ვახუშტი კუდაროს მოსახლეობას თავისი შრომის ერთ ადგილას ოსებს უწოდებს, ხოლო მეორე ადგილას – დვალებს – „.... კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე“ (648); „არამედ ჯეჯორის მდინარეზედ, სამხრიდამ ჩრდილოეთად დინებულზედ, არს დაბნები ვენახოვან-ხილიანი და მოსავლიანი, მას ზეით მოსახლენი არიან ოვნი, და უვენახ-უხილო, ვითარცა სხვანი მათის ადგილი. უწოდიან ამას კუდაროს“ (გვ. 767).

მაშასადამე, ვახუშტი კუდაროს ხან დვალებით დასახლებულად მიიჩნევს, ხან კი – ოსებით. აქედან ჩანს, რომ მისთვის „დვალი“ და „ოსი“ სინონიმებად ქცეულა. მიუხედავად ამისა, ვახუშტი „ოსეთს“ უწოდებს მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში მდებარე ქვეყანას და არა ქართლის მთიანეთს. მაგალითად, როცა ის წერს: „სვანეთი არს მოსავლითა და პირუტყვითა, ვითარცა აღვწერეთ აღვწერეთ დუალი, ანუ აწინდელი ოსეთი“ (გვ. 788) ის „ოსეთის“ ქვეშ გულისხმობს „მაღრან-დვალეთს“ – ისტორიულ დვალეთს და არა ქართლის მთიანეთს.

როგორც ვთქვით, ვახუშტი ლიახვის, ქსნის, ჯეჯორას ხეობათა სათავეებში მცხოვრებს ხან დვალებს უწოდებს, ხანდახან კი – ოსებს, დვალების გაოსების გამო. ისმის კითხვა, თუ დვალები და ოსები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომები არიან, იქნება მ ხეობებში სწორედ ოსები ცხოვრობენ, ანდა დვალებიცა და ოსები ერთად? ამ კითხვას თვითვე ვახუშტი პასუხობს: – ქართლის (და იმერეთის) მთიანეთში ეთნიკური დვალები ცხოვრობენ და არა ოსები, ვახუშტი წერს, რომ ხეობათა მოსახლენი დვალეთიდან (ე.ი. ჩრდილო კავკასიის ისტორიული დვალეთიდან) არიან გადმოსახლებულნი, ეთნიკურად დვალებივე არიან. ჩრდილოე-

ლი და ქართლის მთიანეთში დასახლებული დვალები ერთმანეთის ნათესავებიც კი არიან. ვახუშტი თრუსოს აღწერაში წერს: – „არამედ ხეობანი ესენი, რომელნი აღვწერეთ მაღრან-დვალეთი-თურთ, არიან დვალეთი. და კუალად დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, ქსნის ხევისა და კუდუროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დვალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“ (გვ. 648).

აქედან ჩანს, რომ ქართლის (და იმერეთის) მთიანეთში არა ოსები, არამედ დვალები სახლობდნენ, ისინი ჩრდილო კავკასიიდან იყენენ გადმოსულნი და ამ დვალებს შემდგომ ეწოდათ ოსები, ანუ დვალები გაოსდნენ. რამ გამოიწვია ამ იბერიულ-კავკასიური (ჩანს, ქართული) ტომის გაოსება? ამ კითხვას თვითონვე პასუხობს ვახუშტი:

როგორც ზემოთ აღინიშნა, თვით ისტორიული დვალეთის (ე.ი. ჩრდილო კავკასიაში არდონის ხეობის სათავეებში) მიწა-წყალზე მცხოვრებ დვალებს ვახუშტი ერთგან ქართველებს უწოდებს, „მაღრან-დვალეთის აღწერაში“ – „ხოლო რაოდენნი ისნი და-ვწერეთ ამ ადგილებითა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად ... გარდმოსახლებულან ისნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან“, მაგრამ, ცხადია, მაღრან-დვალეთს და, საერთოდ, დვალეთს ყველა დვალი (ე.ი. „ქართველნი გლეხნი“) ვერ მიატოვებდა, ცხადია, იქ დვალების საკმაო რიცხვი დარჩებოდა, რომელსაც ახლა უკვე აქ „გარდმოსახლებულ“ ოსებთან ერთად უხდებოდა თანაცხოვრება. სწორედ მათ (ე.ი. მკვიდრისა და მოსულს) შორის დამყარებული ურთიერთობა ქცეულა, ვახუშტის აზრით, მიზეზად დვალების გაოსებისა. კერძოდ, დვალები სოციალური იერარქიის დაბალ ფენის იჭერენ, ოსები კი – მაღალს. ამის გამო დვალები ეუფლებიან ოსურ ენას და ოსურ წეს-ჩვეულებებს – ოსდებიან.

თავდაპირველად ოსები ბარში ცხოვრობდნენ (ჩრდილო კავკასიისა), მონგოლების შემოსევისას შემოსულან კავკასიის მთებში – „ხოლო მოსვლასა თათართასა ჩინგიზ ყაენთაგან ... შემოივლტოდნენ ოვსნი ამ კავკასიათა შინა“ (გვ. 654). ოსები მეორედ კავკასიის მთებში შევიდნენ თემურ-ლენგის მოსვლისა და კონსტანტინეპოლის თურქთაგან აღების შემდეგ (ე.ი. XV ს-ის შემდგომ): „და კუალად შემდგომად მოსვლისა ლანქ-თემურისა და აღებისა კონსტანტინეპოლისა, ემბლავრნენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქთემურის ელნი მაპმადიანნი და შემოივლტოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრნეს კავკასთა ნათესავნი რომელ არიან დუალნი...“ (გვ. 654-655).

მაშასადამე, დვალების (იბერიულ-კავკასიური ტომის) გაოსება გამოუწვევია იმას, რომ ოსებს დვალეთი „დაპყრიათ“ (655), ეს მომხდარა თემურ ლენგის ეპოქაში. მართალია, ოსების პირველი ტალღა კავკასიის მთებში მონგოლებისას ასულა, მაგრამ დვალეთის „დაპყრობა“ ოსთა მიერ XV ს-ის ბოლოსათვისაა ნაგულისხმევი. ჩანს, სწორედ აქედან იწყება დვალების გაოსება. „დაპყრობა“ აღარ უნდა ნიშნავდეს სამხედრო დაპყრობას, არამედ ეს ტერმინი, ჩანს, აქ სამოქალაქო მმართველობაში გაბატონებას უნდა აღნიშნავდეს.

დვალეთის დაპყრობის შემდეგ ოსები აქ გაბატონებულან. დვალეთის საზოგადოების დიდგვაროვანი ფენა ოსები იყვნენ, ხოლო უგვაროები – დვალები, ე.ი. საზოგადოება ორ ეთნიკურ ჯგუფადაა გაყოფილი, ერთი ეთნიკური ჯგუფი სოციალურად გაბატონებულა მეორეზე. გაბატონებულ ჯგუფს ოსები შეადგენენ: „რამეთუ აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კვლავად დვალადვე“ (გვ. 634). აქედან ჩანს, რომ დვალების გაოსებას საფუძვლად დაედო სოციალური მიზეზი, კერძოდ, ოსებმა სოციალური პრივილეგიები მოიპოვეს, დვალებმა – დაკარგეს. შეიქმნა ახალი ფსიქოლოგია, რომელიც,

ჩანს, საფუძვლად დაედო კავკასიის ამ რეგიონის ეთნოფსიქოლოგიას, რომლის მიხედვითაც ოსობა სასახელოა, დვალობა კი – სათაკილო. ერთი ბატონია, მეორე მონა. ვახუშტი განაგრძობს ოსდვალთა საზოგადოების აღწერას: – „უწყიან გვარი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი“ (გვ. 639).

„არამედ დუალნი უმდაბლესნი არიან გვარითა“... (გვ. 640). დვალი ღარიბია, ოსი მასზე მდიდარი. გაოსება მაღალ პრივილეგირებულ საფეხურზე ასვლას ნიშნავს, სოციალური გარემო ისეთია, რომ ყველა დვალს ოსობა უნდა. ტერმინებმა „ოსმა“ და „დვალმა“ სოციალური კატეგორიები შეიძინეს.

როგორც აღინიშნა, ისტორიულად დვალეთი საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია იყო და ამიტომაც, ისტორიულად დვალები, ისე, როგორც საქართველოს მთიანეთში მცხოვრები სხვა ტომები, ქრისტიანები იყვნენ. როგორი სახის გახდა დვალების ქრისტიანობა დვალეთში ოსთა დამკვიდრების შემდგომ? მართალია, ოსები ქრისტიანობას იცნობდნენ, მაგრამ ისინი ძირითადად მაინც წარმართულ (სკვითურ) რელიგიურ რიტუალებს ასრულებდნენ, მათ ქრისტიანობა შეთვისებული არ ჰქონდათ. ამიტომაც, დვალეთში ოსების დამკვიდრების შემდეგ საზოგადოება სარწმუნოების თვალსაზრისით ორ ნაწილად იქნებოდა გაყოფილი: დაბალი ფენა, ანუ დვალები, ქრისტიანები იქნებოდნენ, ხოლო მაღალი ფენა, ანუ ოსები – არაქრისტიანები. მართლაც, ვახუშტი დვალეთის შესახებ წერს – დვალეთის ანუ „აწიდებული ოსეთის“ დაბალი ფენა (ე.ი. დვალები) ქრისტიანულია, ხოლო მაღალი ფენა (ე.ი. ოსები) – მაპმადიანი. ოსური საგვარეულოები („გვარიანები“, წარჩინებულთა გვარები), რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი ჰქონდა ვახუშტის, არაა ქრისტიანული, სამაგიეროდ დვალები („უმდაბლესნი გვარითა“) – ქრისტიანები არიან – „ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიდგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და

წარჩინებულნი მათნი არიან მაპმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი...“ (გვ. 638). ოსეთის „დაბალნი გლეხნი“, რომელნიც „ქრისტიანენი“ არიან, ეთნიკურად დვალები არიან.

– „სარწმუნოებითა არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი და უფროს დვალნი, არამედ აწინდელთა უამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხავენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვან-სცემენ და სხვისა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღვდელნი და უნათლისლებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭასა მოინათლვიან“ (გვ. 638).

ვახუშტი ნიქოზის საეპისკოპოსოზე წერდა – „... გორგასალ ჰყოსაეპისკოპოზოდ და დასვა ეპისკოპოზი. ზის დღესაც, მწყემსნი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ლებითურთ“ (გვ. 370), ე.ი. ნიქოზელის სამწყსოში თავიდანვე (V ს-დან) შედიოდა დვალეთი, ხოლო დვალეთის ოსეთად ქცევის შემდეგ (XV ს-დან) – ოსეთი.

დვალების გაოსების ერთ-ერთი მიზეზი სოციალურ ფაქტორ-თან ერთად უთუოდ იყო მათი თანდათანობითი გაწარმართება, დექრისტიანიზაცია, რომელსაც კარგად აღწერს ვახუშტი. დვალები, ძველი ქრისტიანენი, ოსების შემოსვლის შემდგომ თანდათან კარგავენ და ივიწყებენ ქრისტიანობის სულს, ინარჩუნებენ მხოლოდ მის გარეგნულ მხარეს. ეს ხელს უწყობს მათ სარწმუნოებრივ დაახლოებას მათი საზოგადოების მაღალი ფენების სარწმუნოებრივ შეხედულებებთან, საზოგადოების მაღალი ფენები, ანუ „ოსობა“, მატარებელი იყო სკვითურ-ალანური სარწმუნოებისა – წარმართობისა, თუმცა კი, წარჩინებულთა ერთ ნაწილს მაპმადიანობა ჰქონდა მიღებული (უფრო სწორად, მაპმადიანობის მხოლოდ გარეგნული მხარე). აქ აღარც ქრისტიანობა იციან და არც მაპმადიანობა: „გარნა უმეცარნი ორივეს სჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომე-

ლნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაპმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მსგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ხორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმავენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოს ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყნისანი“ (გვ. 639).

აქედან ჩანს, რომ დვალებმა დაკარგეს ძველი ქრისტიანობა და მიიღეს წარმართობა – კერპთაყვანისმცემლობა. ეს კულტი აქ შემოიტანეს კავკასიის ბარიდან დვალეთში შემოლტოლვილმა ოსებმა. უთუოდ ერთ-ერთი დვალთა გაოსებისა იყო მათ მიერ ოსური წარმართული სარწმუნოების აღიარება, ოსური სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებების, თქმულებებისა და ლეგენდების გამშობლიურება.

ვახუშტის დროს დვალებს ჯერ კიდევ სცოდნიათ დვალური ენა, მიუხედავად ამისა, მაინც მათი სასაუბრო ენა ოსური იყო (ბილინგვიზმი). ვახუშტი წერს – „ენა აქვთ ძველი, დვალური და ან უბრობენ ოსურსა“ (გვ. 639).

დვალური ენა, რომელიც ვახუშტის დროს (ე.ი. XVIII ს-ში) ჯერ კიდევ არსებობდა, დღესდღეობით, რამდენადაც ცნობილია, მკვდარი ენაა, მეცნიერებს ისიც კი ვერ დაუდგენიათ, დამოუკიდებელი ენა იყო თუ დიალექტი ქართული, ქართველური თუ იბერიულ-კავკასიური ენებისა.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, დვალები, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომი, გაოსდა. დვალებმა შეითვისეს ოსური ენა და ოსური „სარწმუნოება“ – წარმართობა. ეთნიკური თვალსაზრისით, ეს ტომი კვლავ კავკასიურ ტომად დარჩა, ვახუშტის აზრით, ოსები ჯერ კიდევ კავკასიის მთებში (ე.ი. დვალეთში) შემოსვლამდე ნარევი მოსახლეობა იყო, კერძოდ, ხაზარებისა, კავკასონის „ნათესავისა“ და „ქართლ-რანის ტყვეებისა“. აქ

ხაზარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სკვით-ალანები, ხოლო „კავკასიელთა“ და ქართლ-რანელების ქვეშ – „თარგამოსიანები“. როგორც ითქვა, ვახუშტის აზრით, დვალეთში შესვლის შემდეგ ოსები დვალეთის საზოგადოების მხოლოდ „წარჩინებულებს“ წარმოადგენდნენ, ხოლო გლეხები და დაბალი ფენა აქ იყო დვალური. აქედან ჩანს, რომ ოსები დვალეთში შეადგენდნენ მხოლოდ თხელ ფენას, ისინი მცირერიცხოვანნი იყვნენ დვალებთან შედარებით, მიუხედავად ამისა, მათ „დაიპყრეს“ დვალეთი და მოახერხეს მკვიდრი მოსახლეობის დამორჩილება და გაოსება. უთუოდ ოსები გაცილებით მაღლა იდგნენ დვალებზე თავიანთი სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით: ოსური ზედაფენა იყო კარგად ორგანიზებული სამხედრო არისტოკრატია. „უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი, ხოლო ესე ოვსნი განიყოფების ესოდენ გვარად: სიდამონად, ჭახილაძედ, თაგაურად, ქურთაულად, ბედელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი სხვათა ზედა. და ამათ გვართა იციან გვართა თვისთა ნიჯადი, ერთმან მეორესა ზედა ლაშქრობა, შველა, მესისხლეობა, რამეთუ უკეთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გვარი შვილით შვილადმდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა და მკვლელი მოკლულსა მათვის გვარსა ჩასძახებს საფლავსა შინა: „მოვგალო მკვლელი შენი“ და რწამთ ესე საცხონებლად მისად“ (გვ. 639).

დვალებზე ოსების გაბატონება არ მოგვწვენება საკვირველად, თუ გავიცხენებთ, რომ მონგოლების გამორჩენამდე ოსები იყვნენ ჩრდილო-კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი ხალხი. დვალეთში შემოსვლის შემდეგ ოსურმა სამხედრო არისტოკრატიამ შეინარჩუნა და გამოიყენა ძველი ოსური სახელმწიფოებრიობის გამოცდილება, მოიპოვა სამხედრო უპირატესობა მთიელ დვალებზე. მიუხედავად ამისა, ოსების შემოსვლის შემდეგაც დვალეთი კვლავ ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩა

და მას გარკვეული მოვალეობები პქონდა დაკისრებული ქართული ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომელთა შეუსრულებლობისათვისაც ქართული ლაშქარი სჯიდა, მაგალითად, „... არა მოსცეს დვალეთი ბეგარა მოურავსა, გარდავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი და ყვნა კვალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“ (გვ. 434). საქართველოს რომელი კუთხე იგულისხმება დვალეთის ქვეშ, ქართლის მთიანეთი თუ მაღრან-დვალეთი (ჩრდილო-კავკასიაში)? აქ იგულისხმება მაღრან-დვალეთი, რომელსაც ქართლიდან სწორედ „ზეკარას“ მთა ჰყოფს. ზრამაგა მაღრან-დვალეთის ციხეა. „ამ ზრამაგის – ხევის სათავიდამ გარდავალს ზეკარზედ გზა ქართლს დიდ-ლიახვზედ“ (გვ. 647).

მაშასადამე, მიუხედავად ქართლის მთიანეთში ცხოვრებისა, მაინც XVIII ს-ში დვალეთი ეწოდება ისტორიულ მაღრან-დვალეთს. მასვე ეწოდება ოსეთი, ანუ „აწინდელი ოსეთი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოსეთი ვახუშტის დროისათვის ჩრდილო-კავკასიაში მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა და არა ქართლის მთიანეთს – ლიახვისა და ქსნის სათავეებს, სადაც ოსები (დვალები) იყვნენ დამკვიდრებულნი – ვახუშტი ვახტანგ V-ს (1658-1675) ცხოვრებაში წერს: „მერმე არღარა მოსცეს დვალთა მეფესა ბეგარანი, ამისათვის მივიდა სპითა ქრცხინვალს შესვლად ოსეთად. მსმენელნი დუალნი შეშინდნენ და მოერთვნენ თავნი მათნი ქრცხინვალს, მოსცეს ბეგარანი და დაემორჩილნენ, ვითარცა პირველ“ (გვ. 455).

აქ შეიძლება მკითხველმა იგულისხმოს, რომ „ოსეთი“ ქრცხინვალის სიახლოვესაა, მაგრამ ეს ასე არ არის, ეს ჩანს ვახტანგ VI-ს (1703-1724) ცხოვრებიდან: „ხოლო ვახტანგ გამგე ქართლისა ... აღიმხედრა სპითა შესვლად ოსეთს და შევიდა და შემუსრნა 70-ი კოშკენი, მოწვა და მოსტყვევნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შევლო ჟღელის ხევი და გარდმოვლო კედელასა

ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული ქორონიკონისა 1711. დაიპყრა დვალეთი და და-სდვა ხარკნი“ (გვ. 491).

აქედან ჩანს, რომ XVIII ს-ის დასაწყისში ოსეთი ეწოდებოდა არა ქართლის მთიანეთს, არამედ მის გადაღმა, კავკასიის მთებში მდებარე ისტორიულ მაღრან-დვალეთის ტერიტორიას.

როგორც აღინიშნა, ვახუშტის თანახმად, ოსეთი ეწოდებოდა ვრცელ ქვეყანას, გადაჭიმულს ჩრდილო კავკასიის ველებზე. მართლაც, ოსეთი მნიშვნელოვანი სამეფო იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც ითქვა, ქართველი ბაგრატიონების სამეფო სახლი ხშირად უნათესავდებოდა და უმოყვრდებოდა ოსეთის სამეფო სახლს. მათ შორის დინასტიური ქორწინებები მიღებული იყო. მონგოლებმა და თურქელმა ტომებმა ოსები განდევნეს ბარის ოსეთიდან, ოსეთის სამეფო კი დაამხეს. ლტოლვილმა ოსებმა, როგორც აღინიშნა, თავი შეაფარეს საქართველოს სამეფოს, კერძოდ, კი ამსამეფოში შემავალ დვალეთის მიწა-წყალს. ოსეთის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე კი ჩასახლდნენ სხვა ტომები. ამის შემდეგ ისტორიული ოსეთის მიწა-წყალს ეწოდა „ყაბარდო“ და „ჩერქეზი“. საინტერესოა, რომელ ქვეყანას გულისხმობს ვახუშტი „ჩერქეზის“ ქვეშ... ჩვენ ამჟამად ჩერქეზეთს ვუწოდებთ ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ტერიტორიას, მაგრამ ვახუშტი „ჩერქეზის“ ქვეშ გულისხმობს მაღრან-დვალეთის ჩრდილოეთით მოქცეულ ტერიტორიას. „ჩერქეზი“ თერგის ხეობაშია. „მდინარე ესე ჩადის ჩერქეზსა შინა, მერე მიერთვის თერგის მდინარესავე“ (გვ. 651); დვალეთის ჩრდილოეთითაა „მთა ჩერქეზისა“ (651), „ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირ-ფაიქმი და დვალეთი, ამათ ყოველთა მდინარენი ჩადიან ჩერქეზსა შინა და მიერთვიან ლომეცსა ანუ თერგს სამხრიდამ“ (გვ. 648) და ა.შ. აქედან ჩანს, რომ ისტორიული ოსეთის დიდ ტერიტორიას „ჩერქეზი“ და ასევე „ყაბარდო“ ეწოდა: – „შემდგომად მოოხრებისა

ოვსეთისასა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად, ანუ ფაბარდოდ და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად...“ (გვ. 634).

მაშასადამე, ისტორიულ ოსეთს სხვა სახელი ეწოდა, ხოლო „კავკასიათა შინა მყოფთ“ – ოსეთი ეწოდა. ასე ეწოდა დვალეთს ოსეთი. მაშასადამე, ხდება სახელწოდების ტოპონიმის – „ოსეთის“ წანაცვლება. ის ჯერ ბარს ერქვა, შემდგომ ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილს (XIX ს-მდე). შემდგომ კი ქართლის მთიანეთსაც (XIX და განსაკუთრებით XX სს-ში).

აღსანიშნავია, რომ დვალეთში (საქართველოს სამეფოში) შემოსვლის შემდგომ ოსი წარჩინებულების გვარები ქართულად უდერს – სიდამონი, ჭახილიძე, თაგაური, ქურთაული, ბადელიძე, ჩერქესიძე, ბასიანი. არა მარტო ძეთი მთავრდება ზოგიერთი ოსური გვარი (ჭახილიძე, ბადელიძე, ჩერქესიძე), არამედ ქართული გვარებისათვის დამახასიათებელი დაბოლოებებით: ური (თაგური), ული (ქურთაული), ონი, იანი (სიდამონი, ბასიანი). (იანი დაბოლოება გააჩნდა ძველ ქართულ გვარებს, ასევე მთიელი ქართველების გვარებს (იხ. ქვემოთ), ონი -იანის სახეცვლილებაა, ონი დაბოლოებაა უწარჩინებულესი ქართული გვარისა – ბაგრატიონი). მიუხედავად გვართა ქართული უდერადობისა, ვახუშტის აზრით, დვალეთის წარჩინებულები ეროვნებით ოსები იყვნენ, ხოლო მათი გვარების ქართული უდერადობა, ჩანს, გვიჩვენებს იმას, რომ დვალების ენა იყო ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტი. დვალების ქართულენოვნებაზე უნდა მიუთითებდეს ისტორიული დვალეთის ტოპონიმების ქართული უდერადობა, აქ მთებს, მდინარეებს, სოფლებს, ციხეებს, დაბებს ქართული სახელები ჰქვიათ.

ვახუშტის მიერ ჩამოთვლილთაგან მოვიყვანოთ მდინარეთა სახელები: „კასრის ხევი“, „არაგვი“ (თერგი), „თაგაურის ხეობა“ (გვ. 642), „ჩიმითის წყალი“ (642), „ხევი ქურთაულის წყლისა“

(643), „კასრის ხეობა“ (644), „უღელის ხეობის წყალი“ (645), „ქალაქის დაბას წყარო“ (645), „ნარის ხეობის წყალი“ (646), „ზროგის ხეობის წყალი“ (646), „ზახას ხეობის წყალი“.

განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ამ ადგილებში (ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში) ორ მდინარეს რიონი ეწოდება: „ხოლო კასრის ხევის დასავლეთით არის დიგორი, რომელი განიყოფის ორად – ჩერქესიძედ და ბადელიძედ, და არს სიგრძე ამისი კავკასიდამ ჩერქეზეთამდე, ამისი მდინარე გამოსდის ღებსა, გლოლასა და ამის შორის კავკასია, მოდის სამხრიდან ჩრდილოეთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის ლომექს ამას უწოდებენ რიონსავე, ვინაითგან მასვე კავკასია გამოდის აქათ და იქით-რიონი იმერეთისა“ (649). მაშასადამე, არსებობს რიონი იმერეთისა და მეორე რიონი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ოსეთის რიონი, მაგრამ ყოფილა მესამე რიონიც, ასევე ჩრდილო კავკასიაში გამავალი – „ხოლო ამ ბადელიძის წყლის შესართავს ზევით აღმოსავლიდამ მოერთვის რიონს მდინარე რიონივე, გამოსდის გლოლასა და ამას შორის კავკასია, მოდის სამხრიდან ჩრდილოოთ“ (650).

ცხოვრობდნენ, ზოგიერთ მდინარეს იგივე სახელი ერქვა, რაც ამიერკავკასიის მოპირდაპირე მხარეს გამავალ მდინარეებს, მაგალითად, თერგს არაგვი ერქვა, ძირითადად არსებობდა სამი არაგვი: „ხევის არაგვი“ – ლომეკი, თერგი, შავი არაგვი და თეთრი არაგვი, ასევე ოთხი ალაზანი – 1. პირიქითა ალაზანი; 2. თუშეთის ალაზანი (ანდის ყოისუს შენაკადი); 3. მცირე ალაზანი (იორი, ვახუშტით); 4. და თვით მთავარი ალაზანი. არსებობდა სამი რიონი – იმერეთის რიონი, ჩრდილოეთის რიონი (ურუხი) და მისი შენაკადი რიონივე. ამიტომაც, შეიძლება დავსვათ კითხვა, ხომ არ ეწოდებოდა დვალეთში გამავალ მდინარეს არდონს ან მის რომელიმე შენაკადს ჯეჯორა? ვახუშტი წერს: „არამედ ჯეჯორის მდინარეზედ, სამხრიდან ჩრდილოეთად დინებულზედ არს დაბნები ვენახოვან-ხილიანი“ (გვ. 767). თუმცა, შეიძლება აქ რაჭის ჯეჯორა იგულისხმება.

დვალების ქართულენოვნების შესახებ მთათა სახელების ქართულობაც მიუთითებს. მაგალითად, დვალეთის მყინვარის სახელია „ბრუც-ბზელ-ზეკარისა“, „ბრუც-საბბელი“, „მსგავსი საბბლისა“ (648). „ხოხის მთა“ („ამან მოიგო სახელი თვისი ხოხით სვლისათვის“) (644), მთა „ზეკარა“, „კარსავით მყოფი“ (648), მთა „კედელა“ ყოფისათვის კედელსავით“ (648), „ლუხუნი“ (651). „ბასიანი“ (სამხრეთ საქართველოშიც არის ეს ტოპონიმი). „ყაყილური“ (გვ. 642), „ქურთაული“, „კუარა“, „ქურთათა“, „ჩიმითი“, „თაგაური“, „ხეთაძე“ – აშგარად ქართულენოვანი ტოპონიმებია, მსგავსი დაბოლოებებით ფორმირდება კიდეც ძირითადად ქართული ტოპონიმიკა (ამ ტოპონიმების არაოსურობის შესახებ მიუთითებს ფასტატ ფასტატ ფასტ-ფასტატასტატ ფასტატატ ფასტატატ), ეს დვალების ქართულენოვნებით თუ აიხსნება, დვალების ქართულ ისტორიასთან კავშირს ისიც მიუთითებს, რომ დვალეთის ქვეყანაში ყველა მნიშვნელოვანი ნაშენობა თამარ მეფის სახელს უკავშირდება (გვ. 646); ვახუშტი

დვალეთის ფორპოსტების აღწერისას წერს: „მეფეთაგან ქმნული“. აქ ის ქართველ მეფეებს გულისხმობს, მაგალითად, კასრის ხევის (მაღრან-დვალეთში) აღწერისას – „არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ-კამროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“ (გვ. 645). ოსების ჩრდილოეთ სტეპებში ცხოვრებისას დვალეთი და კერძოდ, კასრის ხევი – საქართველოს კარალითვლებოდა, რომელიც ოსთა მოძრაობას აკონტროლებდა, მას ქართველი მეფეები ამაგრებდნენ.

მიზანი დვალების უმოსიდლისა ქართველის მთიანეთში

უპირველესად უნდა ითქვას, რომ დვალები ქართველთა მონათესავე ტომი იყო და ეთნიკური თვალსაზრისით სრულიად განსხვავდებოდნენ ოსებისაგან. ოსები ირანულენოვანი, ინდოე-ვროპული წარმოშობის, უცხო მხრიდან (დონისა და დნეპრის სტეპებიდან) მოსულ ხალხად ითვლებიან, ხოლო დვალები – ადგილობრივი, კავკასიური, აბორიგენი მოსახლეობა იყო. უფრო მეტიც, დვალებს ნათესაური კავშირი ჰქონდათ ქართველ ხალხთან იმით, რომ ორივენი იბერიულ-კავკასიური წარმოშობისანი იყვნენ და ამ მხრივ სრულიად განსხვავდებოდნენ სკვითებისა და ალანებისაგან.

იმის გამო, რომ დვალები ქართველების მონათესავე ტომი იყო, საქართველოს ფარგლებში მცხოვრები დვალები ადრევე შერწყმიან ქართველ ხალხს. ეთნიკური თავისთავადობა არ დაუკარგავს დვალების იმ ნაწილს, რომელიც ცხოვრობდა ცენტრალუ-

რი კავკასიონის მაღალმთიანეთში. ამიტომაც დვალეთი მათ საცხოვრებელ მაღალმთიან ზოლს ეწოდებოდა. პოლიტიკური თვალსაზრისით ისიც საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა: დვალეთი „ტერიტორიულად მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტ-რალურ ნაწილს, დარიალს ხეობასა და მამისონის გადასასვლელს შორის“ (საქართველოს ისტორია, ლექსიკონი, 1979, გვ. 280).

ვახუშტი დვალეთის სამხრეთისა და ჩრდილოეთის საზღვრებს ასე გადმოსცემს: „აქვს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიიდან ვიდრე ჩერქეზამდე“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 644). „ზეკარის კავკასი“ არის ის მთა, რომელშიც ამჟამად გაჭრილია როკის გვირაბი, ხოლო „ჩერქეზს“ ვახუშტი უწოდებს არა დასავლეთით, არამედ ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას: „არამედ, რომელი აღვწერენით – ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი – ფაიქომი და დვალეთი, ამათ ყოველთა მდინარენი ჩადიან ჩერქეზსა შიდა და მიერთვიან ლომეკსა ანუ თერგს სამხრიდამ“ (იქვე, გვ. 648). აქედან ჩანს, რომ ჩერქეზეთი ეწოდება იმ ტერიტორიას, სადაც თერგს უერთდებიან ცენტრალური კავკასიონის ქედიდან გამომდინარე მდინარეები. მაშასადამე, დვალეთს ჩრდილოეთიდან საზღვრავდა „ჩერქეზი“.

თანახმად ვახუშტისა, დვალეთის ხევები არიან – „კასრისხევი“, „უღელისხევი“, „ზრამაგა“, „ნარა“, „ზრუგო“, „ზახა“, „თრუხო“ (იქვე, გვ. 643). მიუხედავად ამისა, ვახუშტი მიიჩნევს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნაში (ჩიმი, ვალგირი, ფარგმი, თაგაური, ქურთაული, დელეთი) აღგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა იყო დვალური, ხოლო შემოსული, გაბატონებული მოსახლეობა – ოსური.

როგორც აღვნიშნეთ, დვალეთი საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნოდა მისი წარმოშობის დროიდანვე, ის ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. დვალეთის ისტორიული ბედი სრულიად შეიცვალა მონგოლების შემოსევის შემდგომ, ფაქტიურად დვალთა

ტომის გადაგვარება, მისი ასიმილაცია, უცხო, შემოსულ ხალხში, გამოიწვია მონგოლების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ.

მონგოლების შემოსევის შემდგომ თუ რა ბედი ეწია დვალთა ტომს, ეს აღწერილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილს, რომლის თვალსაზრისსაც ლინგვისტურ-ეთნოგრაფიული ანალიზის შედეგად ფაქტიურად ადასტურებენ თანამედროვე მეცნიერები. მონგოლების პოლიტიკის წყალობით დვალეთში, საქართველოს ამ მიწა-წყალზე, ჩრდილო კავკასიის ველებიდან შედიან ოსური სამხედრო რაზმები. ოსური მოსახლეობის თხელი ფენა გაბატონდა მრავალრიცხოვან დვალებზე, როგორც ეს აღნიშნული იყო წინა თავში, ოსების შემოსვლის შემდეგ კავკასიის მთიანეთში „აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კვალად დვალადვე“ (იქვე, გვ. 634).

„სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი და უფროს დვალნი, არამედ აწინდელთა უამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი“... (გვ. 638). „უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი“ (გვ. 639). „წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი“ (გვ. 638)ენა აქვთ ძველი, დვალური და აწუბნობენ ოსურსა საკუთრად...“ (გვ. 639) „არამედ დვალნი უმდაბლესნი არიან გვარითა“ (გვ. 640).

როგორც აქედან ჩანს, საქართველოს სახელმწიფოში შემავალ კუთხე დვალეთში მონგოლების ბატონობის ეპოქაში შედის ოსური ეთნიკური ჯგუფი. ისინი ემგვიდრებიან იქ, დვალები კვლავ ამ ქვეყნის უმთავრესი მოსახლეობაა, მიუხედავად ამისა, ოსები გაბატონდნენ დვალებზე. ყველა დიდგვაროვანი ოჯახი ოსურია, ხოლო ქვეყნის დაბალი ფენა – ადგილობრივი მკვიდრი – დვალები, ისინი სარწმუნოებითაც განსხვავდებიან. დვალები უკვე VI საუკუნიდან ქრისტიანები იყვნენ და ოსების შემოსვლის შემდეგაც ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. მათ სარწმუნოებასთან

ერთად დაკარგეს მშობლიური ენაც და დაიწყეს ოსური ენის შე-სწავლა. აქ ურთიერთშერევა და ასიმილაცია არ ხდება. დვალების გაოსება მხოლოდ მათ მიერ ოსური ენის ათვისებაში გამოიხატა. ისინი გენეტიკურად უცვლელნი დარჩნენ. მათ შე-ინარჩუნეს თავიანთი ძველი იბერიულ-კავკასიური წესი, ჩვევა, მეურნეობა. მათი ენიდან მრავალი სიტყვა შევიდა ოსურში, შე-იცვალა ოსური ენის ბუნება.

დვალების გაოსება გამოიწვია პოლიტიკურმა მიზეზებმა: მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა ორი უძლიერესი სახელმწიფო: ოქროს ურდო, რომელიც მოიცავდა ჩრდილო კავკასიას, ყირიმს, სტეპებს ვოლგიდან დუნაიმდე, ვოლგისპირეთს, ჩრდილო ხორეზმს, ციმბირის დასავლეთსა და ჰულაგიდების ილხანთა ირანის მონგოლური სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა ამიერკავკასიას, მცირე აზიის აღმოსავლეთს, ერაყს, ირანთან ერთად თურქმენეთსა და ავღანეთს. ეს ორი უძლიერესი სახელმწიფო სასტიკად მტრობდა ერთმანეთს. მათ ჰქონდათ საერთო საზღვარი. ეს იყო კავკასიის ქედი. ამ ქედის უღელტეხილები იყო მათი ყურადღების უმთავრესი საგანი, ორივე ეს სახელმწიფო ცდილობდა კავკასიის გზით მოესპო და დაემარცხებინა ერთმანეთი, დაეცვა უღელტეხილები, ჰყოლოდა ერთგული ტომები.

მონგოლების შემოსვლამდე ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვან ხალხს წარმოადგენდნენ, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ არა დვანეთსა და ცენტრალური კავკასიის მთებში, არამედ ველებზე. მონგოლებმა 1222 წელს სასტიკად დაამარცხეს ოსები, რომლებიც შემოსულ მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, 1238 წელს დიდი ძალებით გაილაშქრეს მონგოლებმა ოსებზე, 1278 წელს ჩრდილოეთის მხრის მონგოლებმა კვლავ დალაშქრეს ოსეთი. ჩრდილოეთ კავკასია შევიდა ოქროს ურდოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. ოსები მტრულად იყვნენ განწყობილნი ოქროს ურდოს მიმართ. ამ დროს ამიერკავკასია

შედიოდა ილხანების (ირანის) მონგოლთა სახელმწიფოში. ოსებს სურდათ, ილხანების ძალაც გამოეყენებინათ ოქროს ურდოს წინააღმდეგ და ისინი მიემხრნენ ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს წინააღმდეგ შეჭრილ ილხანებს. ილხანების მონგოლური სახელმწიფო ოსებს უყურებდა, როგორც ერთგულ მეომარ ხალხს, რომელსაც შეეძლო კავკასიის უღელტეხილები (ანუ ილხანთა სახელმწიფო) დაეცვა ოქროს ურდოს ლაშქრის შემოსევისაგან.

„ოსებს სურდათ, ესარგებლათ ჩრდილო კავკასიაში ილხანების შეჭრით და მათი დახმარებით გადაეგდოთ მონგოლთა უღელი (აღსანიშნავი ფაქტია: ქართული მმართველი წრები ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლისას ეძებდნენ ოქროს ურდოს მონგოლების დახმარებას. ორივე შემთხვევაში მონგოლთა მიერ დამონებული ხალხები ცდილობდნენ გამოეყენებინათ მონგოლთა ურდოებს შორის წინააღმდეგობა“) (სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები I, 1985, გვ. 85).

XIII საუკუნის 60-იან წლებში ილხანები შეიჭრნენ ჩრდილო კავკასიაში. მათ ოქროს ურდოს წინააღმდეგ მიემხრნენ ოსები. ილხანები (ოსებთან ერთად) დაამარცხა ოქროს ურდოს ლაშქარმა. ოქროს ურდოს ხანმა დაიწყო ილხანთა მომხრების დასჯა. ამ დროს, ჟამთააღმწერელის თანახმად, ოქროს ურდოს მიერ დევნილი ოსთა მეფე შველას ეძებს ილხანთა სახელმწიფოში. ილხანთა ყაენმა პულაგუშ ის კარგად მიიღო, დაავალა სამხედრო სამსახური და დააჯილდოვა. ამის შემდეგ ის თავის მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად შემოდის საქართველოში (ე.ი. ილხანთა ერთ-ერთ ქვეყანაში). ქართველი მეფეც კარგად ხვდება მას და ოსებს ასახლებს დმანისსა და უინვალში (ქართლის ცხოვრება, II გვ. 251, იქვე, გვ. 85). „ამრიგად, ეს არის წყაროების მიერ დადასტურებული პირველი ფაქტი საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან ოსების მნიშვნელოვანი რაოდენობის გადმოსვლისა“ (იქვე, გვ. 85).

ცხადია, რადგანაც ოსებს ილხანთა ჰულაგუ ყაენის მიერ დაევალათ სამხედრო სამსახური, ისინი საქართველოში დასახლების შემდეგ (პოლიტიკურად) უნდა განვიხილოთ არა როგორც ოსური ემიგრაცია, არამედ როგორც მონგოლთა სამხედრო ძალა. ისინი ებრძვიან ილხანთა მტრულად განწყობილ ყოველგვარ ძალებს, მათ შორის ქართველ მეფესაც, ქართველებს მონგოლთა ილხანთა უღლის გადაგდება უნდოდათ ოქროს ურდოს დახმარებით, რაც, ცხადია, საქართველოში დამკვიდრებული ილხანების ერთგული ოსებისათვის მოუთმენელი იყო. ქართველთა და საქართველოში მყოფი ოსების პოლიტიკური ორიენტაცია სრულებით განსხვავებული იყო, ისინი მტრულ ძალებად იქცნენ. სწორედ ასეთ პოლიტიკურ ფონზე უნდა განვიხილოთ დვალების გაოსება.

როგორც ითქვა, დვალეთი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა, ის საზღვარზე მდებარეობდა. საქართველოს მონგოლთა მიერ დამორჩილების შემდეგ დვალეთი, როგორც საქართველოს ნაწილი, ილხანთა სახელმწიფოში შევიდა. დვალეთი მდებარეობდა დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის, ანუ დვალების ხელში იყო ჩრდილო კავკასიაში გამავალი უღელტეხილები, რამაც განსაზღვრა დვალების შემდგომი ბედი. აქ, ამ უღელტეხილების მომცველ რეგიონში, ილხანებს უნდოდათ პყოლოდათ ტომი, რომელიც ამ უღელტეხილებს მტკიცედ დაიცავდა. ასეთი ხალხი ილხანებისათვის იყო ოსები. ოსები, როგორც აღინიშნა, მტრობდნენ აქროს ურდოს და ეხმარებოდნენ ილხანებს, მონგოლების მრავალი ლაშქრობის შედეგად, ამ ხალხის სასურველად გამოყენება ძნელი არ იყო. ჩანს, ოქროს ურდოს მიერ დამარცხებული ოსური ლაშქრის ნაწილებს ილხანთა ნებით დაევალა ცენტრალური კავკასიის უღელტეხილების დაცვა.

ამ ეპოქაში, შეიძლება ითქვას, რომ დვალეთი მოექცა მსოფლიო პოლიტიკური ინტერესების ყურადღების ქვეშ.

მონგოლები ქართველებს არ ენდობოდნენ, ამიტომაც ილხანები არ დაუშვებდნენ, რომ დვალეთის უღელტეხილები ქართველი პოლიტიკური წრეების ხელში ყოფილიყო.

ქართველთა მონათესავე და ერთგული დვალები იცავდნენ ამ უღელტეხილებს, ამიტომაც ილხანების მიერ დვალები განიხილებოდნენ, როგორც ქართველები. უღელტეხილების დაცვას ილხანები დვალებს ვერ დაავალებდნენ. ისინი მათ არ ენდობოდნენ. ილხანებს აქან თავისი რაზმები უნდა ჩაეყენებინათ, ანდა შემოეყვანათ მათი ერთგული სხვა ტომები. ჩანს, სწორედ ამ პირობებმა განსაზღვრა ოსების არა მარტო დამკვიდრება დვალეთში, არამედ მათი გაბატონება მკვიდრ მოსახლეობაზე.

ვახუშტის კარგად აქვს აღწერილი, რომ ოსების დვალეთში დამკვიდრების შემდეგ მირითადი მოსახლეობა კვლავ დვალური დარჩა, ხოლო მათზე გაბატონდა ოსური ფენა. ცხადია, არ შეიძლება, რომ გაბატონებული ფენა უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილიყო, ვიდრე სოციალური იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომი ფენა. დვალეთში დვალები იყო უმრავლესობა, მაგრამ მოხდა მათ მიერ ოსების (ანუ ბატონების) ენის შეთვისება. დვალების გაოსება დაიწყო XIII ს-ში და ვახუშტის დროს (ე.ი. XVIII ს-ში) ეს პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ფაქტიურად, ეს იყო ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ მეორე ეთნიკური ჯგუფის ენის მიღება. ისიც უნდა ითქვას, რომ ოსური ენის ბუნებამ გარკვეული ცვლილება განიცადა, ჩანს, დვალთა ენის (დასხვა კავკასიური ენების ზეგავლენით).

თემურ-ლენგის შემოსევებისას სწორედ ისეთივე პოლიტიკური მდგომარეობა და დამოკიდებულება იყო დვალეთის (უღელტეხილების) მიმართ, როგორც პულაგუ ყაენის დროს. ილხანთა სახელმწიფო, როგორც ვთქვით, მტრულად უყურებდა

მის მიერ დამორჩილებულ საქართველოს სახელმწიფოსა და მის მმართველ წრეებს, ამიტომაც ჩამოართვა მათ ცენტრალური კავკასიონის გადმოსასვლელების მეთვალყურეობის უფლება და გადასცა ის ოსთა სამხედრო არისტოკრატიას. ველის ოსეთის სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ოქროს ურდო დევნიდა ოსურ პოლიტიკურ ძალებს. მათ თავი შეაფარეს ილხანთა სახელმწიფოს. ილხანებმა ისინი დაასახლეს არა მარტო ქვემო ქართლსა და უინვალში, არამედ, ჩანს, შიდა ქართლში (გორში), დედაქალაქში (თბილისში) და უღელტეხილების მომცველ ტერიტორიაზე (დვალეთში).

დვალეთში ილხანები ყოველი ღონისძიებით აძლიერებდნენ ოსურ პოლიტიკურ და სამხედრო ძალებს. ოსების გაბატონებამ დვალეთში აიძულა დვალების ერთი ნაწილი, თავშესაფარი ეძიათ ქართლის მთიანეთში. დვალეთიდან გამოსული დვალები დასახლებულან ქართლის მთიანეთის ტერიტორიაზე (დიდი და პატარა ლიახვის, ასევე ქსნის ხეობის სათავეებში), ისინი რაჭის ტერიტორიის ნაწილშიც – კუდროში დასახლდნენ. ვახუშტი წერს: „ხეობანი ესენი, რომელნი აღვწერეთ მაღრან-დვალეთი-თურთ არიან დვალეთი და კუალად დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, ქსნის ხევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დვალეთიდან გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთი და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“ (ქართლის ცხოვრება, IV გვ. 648).

მონგოლები ყოველნაირად ცდილობდნენ უღელტეხილების მიმდგომ ტერიტორიებზე (ქსნის, არაგვის ხეობები) მცხოვრები მთიელები გაეორგულებინათ ქართული სახელმწიფოს მიმართ, ამან გამოიღო შედეგი. ქართველ მეფეს არ შეეძლო დაესაჯა ორგული ქართველი მთიელები, მთიელები ეკონომიურად მოგებული რჩებოდნენ, აღარ იხდიდნენ სამხედრო ბეგარას, სალაშქრო ვალდებულებას. დაუსჯელობის გამო მათი შემოსავალი

იზრდებოდა მეკობრეობით, პირუტყვის პარვით, ნივთების მოტაცებით და სხვა. ასეთი მდგომარეობა პოლიტიკურ წრეებს იმთავითვე შეუფასებიათ, როგორც „ულუსობა“. საყურადღებოა, რომ იმ დროს ქართველ მოღვაწეებს ყველა ეს ბოროტმოქმედება მონღოლთა ბატონობის წესად მიაჩნდათ და „ულუსობას“ უწოდებდნენ მას“ (საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. III, გვ. 631).

ქართველი მთიელების ორგულობას აძლიერებდა მონგოლთა ერთგული ოსთა ლაშქარი. მონგოლთა ეს ოსური ლაშქარი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შიდა ქართლში, ჟინვალსა და ქვემო ქართლში იყო დაბანაკებული.

„XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისში ქსნისა და არაგვის მთიელთა დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებასთან ძალზე გამწვავებულია. მთიელები კლავდნენ-ენ მეფის მოხელეებს, ერისთავებს, გამგებლებსა და ხევისბერებს ... მთიელები მეფის ხელისუფლებას სხვა საშუალებითაც ეურჩებოდნენ. მაგ., თავს არიდებდნენ სალაშქრო ვალდებულებას და აქაც უარს ამბობდნენ არა მხოლოდ ერთეული პიროვნებები, არამედ ერთობლივი „სოფელი“, „ხევი“ და „ქვეყანა“ (ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 403-406, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 630).

მთიელთა ამბოხებას მონგოლები იწვევდნენ სხვადასხვა ხერხებით. ისინი საქართველოში შემოხიზნულ ოსურ ემიგრა-ციასაც იყენებდნენ ამ საქმეში, ეს ემიგრაცია ილზანთა სახელმწიფოს მიერ დავალებული იყო ელაშქრა მონგოლთა ინტერესების დასაცავად (იხ. ზემოთ).

ოსები, ცხადია, მონგოლთა მხარდაჭერით, წარმატებით ებრძოდნენ ქართველ ფეოდალებს. „ოსთა ზოგიერთი წარმატებები მათი ბრძოლისას მიწისმფლობელ აზნაურებთან პირველ რიგში უნდა აისნას იმ ფაქტით, რომ ამ უკანასკნელთ არ გააჩნდათ ერთიანი ფრონტი. ამას ხელს უწყობდა ის, რომ

გველი დამპყრობლური ფორმულის – „დაყავი და იბატონეს“ მიხედვით – მონგოლები მხარს უჭერდნენ ოსებს. ოსები მეფის ძის, ბაყატარის მეთაურობით ქართველ აზნაურებთან ბრძოლისას გამოვიდნენ მონგოლთა მხარეს მათი ბრძოლისას მეფე დავითთან“ (სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 88).

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ოსთა ნაკადი ამ დროისათვის ჩრდილოეთიდანაც შემოსულა, მათ ილხანების ხელისუფლება უჭერდა მხარს – ოსთა ტომების ბელადებმა ისარგებლეს ილხანთა მხარდაჭერით და აჯანყებათა გამო ქართლის დაუძლურებით. მათ დაიჭირეს ლიახვის გადმოსასვლელი და ძლიერ შეუტიეს შიდა ქართლს. დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ოსთა მთავარმა თავიანთი მამულებიდან გააძევა აზნაურები (ნ. ბერძენიშვილი, VI, გვ. 126, იქვე, გვ. 88).

მონგოლთა დახმარებით საქართველოში მყოფმა ოსმა მოლაშქრე-ემიგრანტებმა დაიწყეს ქართლის აოხრება – „იწყეს ოქს-თა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყვევნეს და თვისად დაიჭირეს ოქსთა“ (ქართლის ცხოვრება, II გვ. 296), ქართველები შეებრძოლნენ მომხდეურებს და „ვითარ მისჭირდა ოქსთა, ციხიდაღმან გარდმოუშვეს საბლით კაცი და წარავლინეს მუხრანის მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ, ვითარცა ეს მათ, ჩამოდგმეს შუა, შველა ქმნეს და ზავი ...“ (იქვე, გვ. 296).

ოსები თუ შიდა ქართლში მონგოლების ხელშეწყობით ებრძვიან ქართველ ფეოდალებს, ქართლის მთიანეთში ისინი კვლავ მონგოლთა ნებით ცდილობენ საქართველოს მეფეს აუმსხედრონ მთიელები, აქ ისინი ცდილობენ ადგილობრივი ერისთავები მეფის ანუ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრონ, ხოლო ასეთებს ისინი ეხმარებიან. შიდა ქართლში მონგოლებს მნიშვნელოვანი ძალები ჰყავდათ დაბანაკებული, კერძოდ, „მუხრანს მდგომი თათრები“ და ამ თათრების შემწეობით

გორში მდგომი ოსები. მეფე დავით VI-ის დროს მათ დაემატა ქართველი ფეოდალი შალვა, ქსნის ხეობაში ცხრაზმის ერისთავი. ისინი ერთად ებრძვიან მეფეს – „რამეთუ წინარნი თათართანი იყვნეს ქუენიფლეველი შალვა და ოვსთა მთავარი ბაყათარ და მუხრანის მდგომი თათარი ბინთანაღუთ“ (ქ.ც. იქვე, გვ. 305).

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, გიორგი ბრწყინვალემდე საქართველოში მყოფი ოსები წარმოადგენდნენ მონგოლთა მოლაშქრეებს, პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებიც მონგოლის ხელისუფლების მიერ საქართველოს სამეფოს, ანუ მონგოლთა მოწინააღმდეგე ძალების დაუძლურება ჰქონდათ დაკისრებული, ამიტომაც, ცხადია, მონგოლების უღლის გადაგდებისთანავე ოსურ მოლაშქრე-ემიგრანტებსაც უნდა დაეტოვებინათ საქართველო. გიორგი V ბრწყინვალეს წილად ერგო მონგოლთა უღლის გადაგდება და მისი მომხრე ისთა ძალების გაძევება საქართველოდან. ოსები შემდეგ აღარ ცხოვრობდნენ საქართველოში.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები წერს: – „უკვე XIII საუკუნეში, ორი მონგოლური სახელმწიფოს – „ოქროს ურდოსა“ და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში, შიდა ქართლის მიდამოებში საკმაოდ დიდხანს და საგრძნობი რაოდენობით იყვნენ დარუბანდის გზით შემოსული ოსებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომლებიც მაშინ ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ. მონგოლები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლაში იძულებით იყენებდნენ დამორჩილებული ქვეყნების მეომრებს და მათ შორის განხეთქილებას თესდნენ. XIV საუკუნის დამდეგს საქართველო მონგოლი დამპყრობლებისაგან გაიწმინდა, უამთააღმწერლის ცნობით, ქართლიდან ოსებიც „განასხნეს“, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აღგილზე დარჩა მცირე ნაწილი, რომელიც მკვიდრ ქრისტიანულ მოსახლეობაში გაითქვიფა. ამის შემდეგ ქართულ წყაროებში ოსთა კომპაქტური მასები დიდხანს აღარ იხსენება (მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ XIV საუკუნის დამდეგს

ამბების შემდეგ ოსთა სსენება აღარაა, გ. თოვოშვილი, ქართლის ბარში ოსთა ჩამოსახლების ისტორიიდან, უურნალი „მაცნე“, თბილისი, 1964 წ. №5, გვ. 359“ (ტ. III, გვ. 429).

მაშასადამე, გიორგი ბრწყინვალის შემდეგ საქართველოში ოსები უკვე აღარ სახლობდნენ. სხვაა საქართველოში დვალთა ცხოვრების საკითხი. ამ დროს დვალები ჯერ კიდევ არ იყვნენ გაოსებულნი, ამიტომაც, ოსების საქართველოდან გაძევების შემდეგ ქართლის მთიანეთში სრულიად შესაძლებელია დარჩენილიყო დვალური მოსახლეობა და იქ ეცხოვრა სხვა ქართველი მთიელების გვერდით. თუმცა, დვალთა განსახლების ძირითადი რაიონი უწინდებურად ისტორიული დვალეთი იყო. აქ თემურლენგის შემოსევის შემდეგ ჩრდილო კავკასიის ველებიდან შევიდა ოსების ახალი ტალღა, რამაც დვალთა გაოსების პროცესი დააჩქარა. თუმცა, დვალეთი კვლავ საქართველოს სამეფოში შედიოდა (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 701).

საქართველოს მთიანეთში დამპვიდრებული დვალების გარსება

დვალების გაოსების მეორე უფრო ძლიერი ეტაპი თემურის ლაშქრობის შემდეგ დაიწყო. ამ დროისათვის, თანახმად ვახუშტისა, დვალეთში უფრო ინტენსიურად ადიან, ესახლებიან და დვალებზე ბატონდებიან ოსები. ეს უკვე ოსების მეორე ნაკადი იყო მონგოლთა ლაშქრობათა შემდეგ. ამ დროისათვის დვალები კვლავ ოსებისაგან განსხვავებულ ხალხად მიიჩნევა, მაგრამ მათი პოლიტიკური ორიენტაცია აღარაა პროქართული. ამას მიუთითებს ის, რომ თემურის ერთ-ერთი ლაშქრობისას დვალები აჯანყებულან ქართველი ერისთავის – გირშელის წინააღმდეგ.

„დვალები თემურლენგის 1400 წლის შემოსევის დროს აჯანყებიან ერისთავ გირშელს. მტრის შემოსევის დროს მათი ასეთი მოქმედება დალატად ჩაუთვლიათ და ეს იყო მეფისა და ერისთავების დვალეთში გალაშქრების მიზეზი. შეერთებულმა მხედრობამ დაამარცხა დვალები და ხელთ იგდო დავლა, მათ შორის, „დაფლული მრავალი განძი“ (საქ. ისტ. ნარკ. III, გვ. 701). დვალეთში გაულაშქრია საქართველოს მეფე გიორგი VII-ს, თემურლენგის შუაგულ საქართველოდან გასვლისთანავე „მან ორგულთა დასჯის მიზნით დვალების წინააღმდეგ გაილაშქრა ერისთავ გირშელთან და ერისთავ სურამელთან ერთად“ (იქვე).

დვალეთს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩანს, მეფე მასზე კონტროლის დაწესებას ცდილობდა, მაგრამ თემურლენგი ამას არ დაუშვებდა.

ოქროს ურდოს ცრობილი თოხთამიშ-ხანი 1382 წელს ირანს შეესია სწორედ დვალეთის უღელტეხილების გზით: „...ჩრდილოეთი ირანს შეესია დერბენდისა და კავკასიონის სხვა გადმოსასვლელების გამოვლით“ (იქვე, გვ. 675). დერბენდის გარდა ცენტრალური კავკასიონის თითქმის ყველა გადმოსასვლელი დვალეთში მდებარეობდა, ანდა დვალებს მათზე კონტროლის საშუალება ჰქონდათ, რამეთუ, თანახმად ვახუშტისა, დვალეთის ქვეყნის სიგრძე – „არს ხევიდან სვანეთის კავკასიამდე და განი ქართლის კავკასიიდან ჩერქეზის მთამდე“ (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 635). მაშასადამე, დვალებს ხევიდან (ე.ი. დარიალიდან) სვანეთამდე (ე.ი. მამისონამდე) შეეძლოთ უღელტეხილების მეთვალყურეობა.

„თემურლენგმა სასტიკად იძია შური თავრიზელებზე, რომლებიც თოლთამიშს დანებდნენ“ (საქ. ისტ. III, გვ. 675), ცხადია, საქართველოსაც არ აპატიებდა თემურ-ლენგი თოხთამიშის გამოტარებას და ამიტომაც დერბენდისა და დვალეთის გადმოსასვლელების ხელში ჩაგდებას ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა.

სწორედ ამიტომ, 1395 წელს ჩრდილო კავკასიაში გამართულ დიდ ოში თოხთამიშთან გამარჯვების შემდეგ მან დერბენდი „ხელახლა გაამაგრა და მცველები მიუყენა“ (იქვე, გვ. 688). კავკასიის სხვა გადმოსასვლელებსაც ის ყურადღებას არ აკლებდა. ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მის მიერ ამავე დროს ჩრდილო-კავკასიის ხალხების დალაშქვრისა: „უკან დაბრუნების დროს თემურლენგმა საგანგებოთ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიონის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთ კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურლენგმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნოება“ (იქვე, გვ. 688).

ეს მომხდარა 1395 წლისათვის, 1400 წლისათვის საქართველოში თემურის მომდევნო შემოსევის დროს დვალები უკვე საქართველოს სახელმწიფოს აუჯანყდნენ. ჩანს, თემურმა დვალეთში თავისი მომხრეები გაიჩინა.

თემურის სახელმწიფო გადაჭიმული იყო დერბენდიდან და კავკასიონის მთებიდან და ის მოიცავდა საქართველოს, არმენიას, აზერბაიჯანს (იქვე, გვ. 688), ამიტომაც, თავისი სახელმწიფოს ოქროს ურდოსაგან დაცვის მიზნით კავკასიონის უღელტეხილების ჩაკეტვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ოქროს ურდოსი, თემურთან მებრძოლ საქართველოს მეფეს ჩრდილო კავკასიიდან გამოჰყავდა ხოლმე თემურის წინააღმდეგ მებრძოლი ლაშქარი, ამიტომაც ჰქონდა თემურისათვის ამ გადმოსასვლელების ჩაკეტვას დიდი მნიშვნელობა. 1398 წელს მეფე „გიორგიმ სალაშქროდ გაამზადა მთელი საქართველოს სამხედრო ძალა, გარდა ამისა, დარიალიდან გამოიყვანა „სრულიად კავკასიი“, ე.ი. ჩრდილოეთ კავკასიის ტომი და დასძრა ნახიჩევანისაკენ“ (იქვე, გვ. 690).

1400 წელს გაზაფხულზე თემურის შემოსევისას საქართველოს მხედრობასთან ერთად მეფემ თან არ იახლა „აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომები („სრულად კავკასიი“) და საომრად გამზადებული გოგჩის ტბის მიდამოებში დაუხვდა მტერს“ (იქვე, გვ. 694).

ამ დროს კი, როცა „სრულად კავკასი“ ქართველ მეფეს ედგა მხარში, დვალეთი მეფის წინააღმდეგ იყო აჯანყებული. დვალთა მხრიდან ეს დალატი მოულოდნელი იყო, რამეთუ აქამდე ისინი მუდამ ქართველთა გვერდით იდგნენ. ჩანს, ჯერ ილხანებისა და შემდეგ თემურის პოლიტიკამ დვალეთის მიმართ (იქ ოქროს ურდოს მოწინააღმდეგე ოსების ჩასახლებამ) შედეგი გამოიღო.

როგორც ითქვა, მეფემ მოღალატე დვალები დასაჯა, მან ილაშქრა დვალეთში. მალე დაიდო ზავი თემურლენგსა და საქართველოს მეფეს შორის, ზავის ერთ-ერთი მუხლით „საქართველო არ ჩაკეტავდა სამიმოსვლო გზებს“ (იქვე, გვ. 702). აქედან ჩანს, თუ როგორ იყო დაინტერესებული თემურლენგი საქართველოში არსებული გზებით (ცხადია, საერთაშორისო მნიშვნელობის გადასასვლელებითაც). თემურლენგმა თბილისსა და ქართლის ყოველ სიმაგრეში „ხორასნელები შეიყვანა“ (იქვე, გვ. 695). ჩანს, მსგავსად ილხანებისა, დვალეთის უღელტეხილების დაცვა თემურლენგმა ოსების ტომებს თუ მოღაშქრებს დაავალა. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ოსების ახალი ნაკადის შესვლა დვალეთში, რის შესახებაც წერს ვახუშტი. საერთოდ, თემურმა ჩრდილო კავკასიის ხალხების განვითარების შემდგომი გზა სრულიად შეეცვალა. ისინი გაამაჰმადიანა და ამით საუკუნოდ გაიერთგულა, ხოლო საქართველოს მტრად მოჰკიდა. თემურმა საქართველოს მრავალი ზიანი მიაყენა, „მაგრამ საქართველოსათვის კიდევ უფრო საზიანო იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში მცხოვრები ხალხის ჩამოცილება, საიდანაც საქართველოს მეფეებს ხშირად გამოჰყავდათ ქედფიცხელი ტომები საერთო

მტრის წინააღმდეგ ბრძოლების დროს. აქ ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად უკვე XV საუკუნის დასაწყისშივე, შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ“ (იქვე, გვ. 719).

ვახუშტი კონსტანტინეპოლის აღებასა და თემურის ლაშქრობათა შედეგს უკავშირებს დვალეთის „დაპყრობას“ ოსთა მიერ. „და კვალად შემდგომად მოსვლისა ლანქ-თემურისა და აღებისა კონსტანტინეპოლისა, ემბლავრნენ ოვსთა იქით თათარხანი და აქეთ ლაქთემურის ელნი მაჰმადიანნი, და შემოივლტოდნენ კავკასიასა შინა, და დაიპყრნეს კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დვალნი...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 654).

შესაბამისი პირობების გამო ჩრდილო კავკასიის ბარიდან ოსები მთაში ავიდნენ, კერძოდ, დვალეთში, „დაიპყრეს“ ეს ქვეყანა, ხოლო დვალებზე გაბატონდნენ. დამორჩილებულმა დვალებმა შეისწავლეს ბატონების ენა. ვახუშტის დროსაც „აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კუალად დვალადვე“ . ოსი გვარიანები მაჰმადიანები იყვნენ, დაბალი გლეხები, ანუ დვალები – ქრისტიანები: „წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი – ქრისტიანენი“ (გვ. 638). დვალეთის წარჩინებული ოსები მაჰმადიანები იყვნენ. ჩანს, ეს მაჰმადიანური სახელმწიფოების (გვ. 654) ნებით ხდებოდა. მაჰმადიანი ოსების ჩასახლებაც ქრისტიანულ დვალეთში ამ მიზეზით იქნებოდა გამოწვეული. მაჰმადიანი ოსები ქრისტიან დვალებზე გაბატონდნენ – „უწყიან გვარნი და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი“ (გვ. 639); „არამედ დვალნი უმდაბლესნი არიან გვართა...“ (გვ. 640).

ცხადია, დვალეთის „დაპყრობას“ ოსთა მიერ დვალები ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ, შეიძლება დვალების ნაკადის

შემოსვლა ქართლის მთიანეთში ამით იყო გამოწვეული. დვალეთიდან ქართლის მთიანეთში შემოსული მოსახლეობა ეთნიკურად სწორედ დვალები ყოფილან. როგორც ცნობილია, დვალები დვალეთშივე გაოსდნენ, იგივე ბედი ეწია ქართლის მთიანეთში დამკვიდრებულ დვალებს. ქართლის დვალები გაოსდნენ იმ დროს, როცა ჩრდილო-კავკასიის ველებიდან თუ მთებიდან ამიერკავკასიისაკენ დაიძრნენ აფხაზები, ჩერქეზები, ოსები, ვაინახები თუ დაღესტნელები, როგორც წერს ნ. ბერძენიშვილი. ასეთი მდგომარეობის დროს, ჩანს, ქართლის მთიანეთში შემოვიდნენ უკვე გაოსებული დვალები, რომლებიც შეერივნენ თავიანთ მონათესავე ქართლელ დვალებს და აქაც ოსური ენა გამარჯვებული გამოვიდა. ვახუშტი მათ დვალებს უწოდებს გარკვეულ დრომდე, შემდეგ კი სატომო სახელებს „დვალსა“ და „ოსს“ სინონიმებად მიიჩნევს და ერთმანეთთან აიგივებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვახუშტის დროისათვის ეს დვალები უკვე ოსებად ითვლებოდნენ ქართველთა მიერ, თუმცა მათი ეთნიკური წარმოშობა მათვის უცნობი არ ყოფილა (გვ. 357, 363, 370, 372, 455, 648).

როგორც ითქვა, თათარ-მონგოლების შემოსევებმა შეცვალა ოსი ხალხის ბედი, მათი მიზეზით ოსთა ნაწილი დვალეთში დაემკვიდრა, რამაც საფუძველი დაუდო ამ ხალხის ახალ ცხოვრებას. ქართლის მთიანეთში მცხოვრებ მოსახლეობის ერთ ნაწილსაც ოსებს უწოდებდნენ.

დვალების გაოსებას ქართლის მთიანეთში, ცხადია, ჰქონდა თავისი სოციალური მიზეზები. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოსობა სასახელოდ ითვლებოდა (დვალების საზოგადოებაში), ხოლო დვალობა, ჩანს, დამამცირებლად. ეს კარგად ჩანს ვახუშტის მიერ დვალთა საზოგადოების აღწერისას. ყოველი დვალი გაოსებაზე ოცნებობდა, რამეთუ მათ თვალში ისობა წარმოადგენდა სოციალურ კატეგორიას და ამიტომაც მან ეთნიკური

სახე დაკარგა. გარდა ამისა, ქართლის ზოგიერთი გამართული ოჯახიც ოსური წარმოშობისად მიიჩნევდა თავის თავს.

ზოგიერთი ქართლული წარჩინებული ოჯახის მიერ ოსად გამოცხადება თავის თავისა, ჩანს, იყო იღხანთა და, საერთოდ, თათარ-მონგოლთა პოლიტიკის შედეგი. ეს უნდა მომზდარიყო XIII-XIV საუკუნეებში. ამ დროს, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, იღხანები ოქროს ურდოსთან ომის გამო ძლიერ ასუსტებენ ქართლის მთიანეთში ქართველთა პოლიტიკურ გავლენას, უპირატესობას აძლევენ ოსებს, ოს წარჩინებულებს (ბაყათარ აოხრებდა ქვეყანათა და ხოცდა კაცთა)... ოსი ფეოდალები აფართოებდნენ მისაკუთრებულ მიწა-წყალს, ისინი ძლიერი სამხედრო თავდაცვითაც ცდილობდნენ უზრუნველეყოთ თავიანთი მკვიდრობა ამ მიწებზე, როგორც ვნახეთ, მათ გორის ციხეც დაიკავეს და მტკიცედ ეპყროთ“ (საქ. ისტ. ნარკვევები, III ტ., გვ. 613). ოსებს ეხმარებოდნენ და მართავდნენ მონგოლები. ასეთი დაუსჯელობის დროს ქართლის მთიანეთში მონგოლთა მეოხებით დიდი არეულობა დაიწყო. სწორედ ამ დროს, „ოსობა“ მონგოლთა თვალში ამაღლებდა ფეოდალს, ხოლო „ქართველობა“ ნაკლებ მომგებიანი იყო. ამიტომ, ზოგიერთ ქართველ ფეოდალს „ოსური“ წარმოშობისად გამოუცხადებია თავისი გვარი, რაც ხელს უწყობდა მათ სოციალურ გაძლიერებას (მათ ფანტასტიკური ისტორიებიც კი შეუთხზავთ ამასთან დაკავშირებით).

ამის გამო, ქართლული დვალები ყოველი მხრიდან განიცდიდნენ „ოსთა“ ზეგავლენას საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. XIV-XVIII საუკუნეებში, ჩანს, თან დაერთო ჩრდილოეთიდან გაოსებული დვალების ტალღის შემოსვლა. ქართლელ დვალებსაც ოსად აცხადებენ ამგვარ სიტუაციებში.

დვალთა გადასახლება შიდა ქართლში და მთიელ ქართველთა გაოსება

საქართველოში, კერძოდ, შიდა ქართლის მთიანეთში, ცენტ-რალური კავკასიონის მთიანეთიდან ჩამოსახლდნენ არა „ალანები“, არამედ დვალები. ამის შესახებ მოგვითხრობს ვახუშტის „ისტორია“. ოსეთის საკითხში ვახუშტი განსაკუთრებით კომპეტენტური იყო, რადგანაც იქ იმყოფებოდა გარევეული ხნის მანძილზე და თვითმხილველი იყო მის მიერ აღწერილი პროცესისა. ვახუშტის აზრით, შიდა ქართლში დამკვიდრებული ოსური მოსახლეობა წარმოშობით იყო არა „ალ-ანური“, არამედ დვალური.

დვალებს ვახუშტი გარკვეულ ეტაპზე ოსებს უწოდებს, თუმცა ძალზე კარგად იცის, რომ ისინი ეთნიკურად მკვიდრი ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობაა და არა – ალანები. მსგავსად ვახუშტისა, რუსი ელჩი ამ დვალებსაც ოსებს უწოდებს (ჩანს, მიზეზი ისიც იყო, რომ დვალეთი პოლიტიკურ ოსეთად იქცა ოსების (ალანების) მიერ მისი „დაპყრობის“ გამო, როგორც ვახუშტი წერს). „საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩი მ.ი. ტატ-იშჩევი (1604-1615) გადმოგვცემს, რომ ზახა (დვალეთში) და მაღრან-დვალეთი (დიდი ლიახვის სათავე) უკვე დასახლებული იყო ოსთა მიერ (ს.ა. ბელოკუროვ, სნოშენია როსიის კავკაზომ, გ. 1889, ს. 508, ჯონდო გვასალია „ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხებისათვის“, ლიტ. საქართველო, 1989 წ.).

რა სიახლეს შეიცავს მ. ტატიშჩევის ცნობა? აქ სიახლე მხოლოდ ისაა, რომ დვალებს, მცხოვრებთ თავიანთი განსახლების ტერიტორიაზე, უკვე ჰქვიათ არა დვალები, არამედ ოსები. სხვა მხრივ, ეს ცნობა სიახლეს არ შეიცავს, რადგანაც დიდი ლიახვის სათავეებში (ე.ი. მაღრან დვალეთში) დვალები XIII-XIV

საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ (იხ. იქვე), ხოლო ტატიშჩევის მიერ მოხსენებულ ზახაშიც დვალები მუდამ ცხოვრობდნენ. ამიტომაც, ტატიშჩევის ცნობა იძლევა ინფორმაციას არა ოსების საქართველოში შემოსვლის შესახებ, არამედ დვალთა ოსებად სახელდების შესახებ. მაშასადამე, ტატიშჩევის დროს, ე.ი. XVII საუკუნის დასაწყისში დვალები ანუ ახლა უკვე ოსებად სახელდებული ტომი ჯერ კიდევ არ დაძრულა შიდა ქართლისაკენ და კვლავინდებურად ცხოვრობს ტრადიციულ ტერიტორიაზე. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის, რომ XVII საუკუნის I ნახევარში ოსები არ მოსახლეობდნენ ჯავაშიც კი: „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ერთი ნასყიდობის სიგელიდან ჩანს, რომ ოსები სოფელ ზემო ჯავაში ამ დროს ჯერ კიდევ არ მოსახლეობდნენ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ. 1940 წ. გვ. 364, ჯონდო გვასალიას დასახ. ნაშრომი).“

მაშასადამე, XVII საუკუნის I ნახევარში დვალები (ოსები) ჯერ კიდევ არ იყვნენ დაძრულნი შიდა ქართლისაკენ და ისინი კვლავინდებურად დვალეთში (და მაღრან-დვალეთში) ცხოვრობდნენ.

ცვლილება უნდა მომხდარიყო XVII საუკუნის II ნახევარში ან XVIII საუკუნის დასაწყისში. XVIII საუკუნის დასაწყისში უკვე არსებობს ცნობები დვალთა (ოსთა) ქართლის ზეობებში ცხოვრების შესახებ, ამიტომაც, ალბათ, არასწორია ასეთი განცხადება: „XVI-XVII სს. ოსური სოფლები კავკასიონის მაღალ მთიან ზოლში არსებობდნენ და ყალიბდებოდნენ ოსთა ახალშენები მდ. არაგვის, ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის, ჯეჯორის და სხვა“. ამ საუკუნეებში, ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე, ოსები ან დვალები მოსახლეობდნენ მხოლოდ დვალეთში (ე.ი. წყალგამოყოფ ქედს იქით თერგის ზეობაში) და მაღრან-დვალეთში (ლიახვის სათავეში). ამ საუკუნეებშივე ხდება

არსებითი ცვლილება დვალთა ცხოვრებაში, მათ სხვადასხვა პირობების გამო ეწოდათ „ოსები“. ამიტომაც ბესარიონ, ქართლის კათალიკოსის მოხსენიება „მახლობელად ჩვენთა მთიულთა ოსთა“ შორის დვალთა (ოსთა) ამ ცხოვრებას გულისხმობს, შეიძლება მაღრან-დვალეთი, სადაც ადრეც ცხოვრობდნენ დვალები, წმინდა ლუარსაბ მეფის წამების პერიოდისათვის (1622 წ.) ოს-დვალების ახალი ტალღით შეიგვსო. ეს ტალღა უკვე დაძრული იყო ამიერკავკასიისკენ (როგორც წერს იმიერკავკასიის ტომების შესახებ ნ. ბერძენიშვილი). ცხადია, ჩრდილოეთიდან პირველად ოსები (დვალები) სწორედ მაღრან-დვალეთში უნდა შემოსულიყვნენ, სადაც მათ უკვე თანატომელები ჰყავდათ (ბესარიონ კათალიკოსი „მარტვილობა ლუარსაბ მეფისა“ ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომატია, I, 1946, გვ. 408, იხ. იქვე, ჯ. გვასალიას წერილი).

ვახუშტის დროისათვის „ოსები“ უკვე ზემოთ აღნიშნული მდინარეების სათავეებში მოსახლეობენ, აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მათ ვახუშტი ეთნიკურად მიიჩნევს არა ოსებად, არამედ – დვალებად, რის შესახებაც ვწერდით ზემოთ. მაშასადამე, ჩრდილო კავკასიოდან ანუ ისტორიული დვალეთიდან და მაღრან-დვალეთიდან ქართლის მდინარეთა სათავეში დასახლებულან დვალები და სწორედ ამ დვალებს უწოდეს „ოსები“.

„სამხრეთ-ოსეთის ისტორიის ნარკვევები“ წერს, რომ XVII საუკუნეში ოსების მცირე ნაწილი აღმოჩნდა კახეთში“ (I, გვ. 90). გასარკვევია, ეს „ოსები“ დვალები იყვნენ თუ ალანები, რომელი გზით (დარიალთან, დერბენდთან თუ დვალეთთან) აღმოჩნდნენ ისინი კახეთში. ასეთი მოძრაობა სხვადასხვა ტომებისა დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეებისათვის და ის არ უნდა დავუკავშიროთ „ჩამოსახლებას“. ასეთი ჩამოსახლება ოსებისა იწყება XVII საუკუნის ბოლოს ან XVIII საუკუნის დასაწყისში,

რადგანაც ვახუშტი სწორედ ამ დროისათვის აღწერს ოსების ქართლის მთაანეთის ცხოვრებას.

XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე რიცხვი ოსებისა თითქმის უმნიშვნელო იყო შიდა ქართლში, 70-იანი წლების შემდეგ მათი რიცხვი იზრდება. უნდა ვიფიქროთ, რომ XVIII საუკუნეში შიდა ქართლის საერისთავოების გაუქმებამ შექმნა ხელსაყრელი პოლიტიკური და სოციალური საფუძველი შიდა ქართლში ოსების რიცხვის გაზრდისათვის. ქართლის საერისთავოები, რომლებიც ერეკლე მეფის დროს გაუქმდა, წარმოადგენდა სამხედრო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს და აკონტროლებდნენ და სასურველი მიმართულებით წარმართავდნენ მთიელი ტომების მოძრაობას შიდა ქართლისაკენ. ამ საერისთავოების გაუქმების შემდეგ მომავალა მთელი ადგილობრივი სამხედრო მაკონტროლებელი სისტემა, ხოლო ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო მთელი ტომების მოძრაობის თვალყური თუ სასურველი მიმართულებით წარმართვა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ძირითადად ჩამოსახლებულ ოსებს (დვალებს) იყენებდნენ მემამულები მიწების დასამუშავებლად.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ საერისთავოები ჯერ კიდევ აღრევე აკონტროლებდნენ დვალების მოქმედებას (ჯერ კიდევ დვალების გაოსებამდე), ამიტომაც დვალებსა და ერისთავებს შორის ძალზე ხშირად ხდებოდა შეტაკებები. დვალეთი შედიოდა საქართველოს (ქართლის) სამეფოში და საერისთავო ტერიტორია დვალეთსაც მოიცავდა („ნარო-მამისონის რაიონს“). დვალები ერისთავებს წინააღმდეგობას უწევდნენ, დვალები დახმარებისათვის ოსებს იწვევდნენ, რამაც საბოლოოდ გააოსა კიდეც დვალეთი; „ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი, განმაპირობებელი დვალების წარმატებული წინააღმდეგობისა ერისთავებისადმი, იყო შემოღწევა დვალურ გარემოში ჩრდილოეთიდან ემიგრირებული ოსებისა“ (ნარკვევები სამს. ოსეთ. ისტორ. გვ. 95).

ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ქართლის მდინარეთა სათავეებსა და მთიანეთში ვახუშტის დროს მოსახლე ოსები ეთნიკურად დვალები იყვნენ. ვახუშტის დროს ოსებით ქართლის მთიანეთის ძალზე ვიწრო ზოლი იყო დაკავებული. ისინი ქართლის მთიანეთის 20-ზე მეტ ქართულ სოფელში ჩასახლებულან.

„XVII საუკუნის 30-იან წლებში ქართლში ოსთა განსახლებას ასახავს ვახუშტი ბაგრატიონის რუკები და „აღწერა“, რომლებიც დიდი ობიექტურობით გამოირჩევიან. ვახუშტის რუკაზე ოსური სოფლები ნიშნებითაა აღნიშნული: მაღრან-დვალეთი, საბა, როკა, კოშკა, ხვნე, ჯავა, ქეშელთა, მშხლები, გერი, მეფიარეთი, ინაური, ბარალეთი. პატარა ლიახვზე ოსური სოფლებია ქნოლო, ჩაბარუხი, შაბიანი, ნიკორი, შუაცხვირი, ზონკარი. მექუდის ხეობაში სამი ოსური სოფელია, ხოლო მდ. ლეხურაზე ზახორის მახლობლად ქსნის ხეობაში ოსურია მთლიანად სათავე – უამურის ხევი, თერგის ხეობაში თუ რუსოს ხევი ოსური სოფლების ნიშნებითაა აღნიშნული. გარდა ამისა, ხევში (ყაზბეგის რაიონი) ორი ოსური სოფლის ნიშანია სოფ. ძველეთის სამხრეთით და თანამედროვე კობის ადგილას. არაგვის ხეობაში არაა არც ერთი ოსური სოფლის ნიშანი, ასევე ქართულია სამუხრანბატონი და საამილახვრო. ეს იმას ნიშნავს, რომ ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში არ არსებობდა, ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა სათავეებში იყო“ (ბ. გვასალია, დასახლებული ნაშრომი).

თუ ოსთა აღნიშნულ დასახლებას რუკაზე მოვინიშნავთ, დავრწმუნდებით, რომ ისინი გაჩენილან მაღრან-დვალეთის ირგვლივ, ანუ სწორედ მაღრან-დვალეთიდან გამოსულ მოსახლეობას შეუკვია აღნიშნული სოფლები. მაღრან-დვალეთი ლიახვის სათავეში მდებარეობდა. ამიტომაცაა, რომ „XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსური მოსახლეობა შედარებით კომპაქტურია ლიახვის

ზედა წელზე“ (იქვე). მაღრან-დვალეთს ესაზღვრებოდა ხევი და ქსნის სათავე, აქაც ჩამოსახლებულან მაღრან-დვალეთიდან მთიელები, მაგრამ ოსური მოსახლეობა „მეჯუდის, ლეხურისა და ქსნის ხეობათა სათავეებში სპორადულია, ქსნის ხეობაში ოსთა დამკვიდრება შედარებით გვიან მოხდა“ (იქვე).

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსები, ანუ მაღრან-დვალეთიდან გამოსული მოსახლეობა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ცხოვრობს, სამაჩაბლოში მათ მიერ დაკავებული სოფლების რიცხვი ძალზე მცირეა. საერთოდ, XV-XVIII საუკუნეებში დიდი ლიაზვის ხეობაში, როგორც ეს ჯ. გვასალიას რუკიდან ჩანს, ბევრი ქართული სოფელი იყო. სოფლების ამ კოლოსალურ რიცხვთან შედარებით დვალეთიდან გამოსული ოსების მიერ დაჭრილი სოფლების რიცხვი XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის უმნიშვნელოა.

„.... ვახუშტის დროს ისთა დასახლება ქსნის ხეობაში მხოლოდ უამურით განისაზღვრება“ (რ. თოფჩიშვილი, „ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოსტორიული საკითხი“, „მაცნე“ ისტორიის სერია, 1987, №4, გვ. 31).

„ქსნის ხეობაში ვახუშტის დროს ისინი მხოლოდ უამურში მკვიდრობდნენ. შემდეგ თანდათან მოხდა ოსების ქსნის ხეობის სამხრეთისაკენ დაშვება. XVIII საუკუნის შუა ხანებში ისინი ჭურთაში ეფუძნებიან (იქვე, გვ. 45). „ვახუშტის დროს ჭურთაში ოსები არ ჩანან. XVIII საუკუნის II ნახ. საბუთით კი ჭურთაში უკვე 60 კომლი ოსი მკვიდრობდა“ (იქვე, გვ. 36). უნდა ითქვას, რომ ახალგორში (დღევანდელ ლენინგორში) ოსები არ სახლობდნენ არა თუ XVIII საუკუნეში, არამედ 1873 წლის აღწერის დროს (გვ. 39).

„XVIII საუკუნის პირველ მესამედში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში (მდინარეების: ჯეჯორის, დიდი და პატარა ლიაზვის, ქსნის,

არაგვის სათავეები)“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 429).

„საქართველოს მაღალმთიან ზოლში თავი მოიყარა ოსურმა მოსახლეობამ, XVII-XVIII სს-ში კი აქედან დაიწყო ოსების გავრცელება საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში. ამრიგ-ად, ხანგრძლივი პროცესის შედეგად შიდა ქართლის ჩრდ. განაპ-ირა ტერიტორიაზე დამკვიდრდა ოსი ხალხის ნაწილი. ოსების ძირითადი ნაწილი ქართლის, მეორე ნაწილი კი იმერეთის სამეფ-ოში შედიოდა. ეს უკანასკნელი – კუდაროს ოსები – დროდადრო რაჭის ერისთავების, თავად წერეთლების ხელქვეითნა ხდებოდნენ, მათზე ბატონობის პრეტეზიას აცხადებდნენ ქართლის მეფეებიც. ქართლში გადმოსული ოსები ძირითადად ქართველი ფეოდალების – არაგვისა და ქსნის ერისთავების, თავად მაჩაბლების სამფლობელოებში მოხვდნენ, ოსთა მცირე ჯგუფები მუხრანბატონების, ფავლენიშვილების, ფალავანდიშვილების, ხერხეულიძეებისა და სხვათა სამფლობელოებშიც ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისის აღწერით, ქართლ-კახეთის სამეფოში დაახლოებით 6 ათასი კომლი ოსი ცხოვრობდა“ (ქ.ს.ე. ტომი „საქ. სსრ 1981, გვ. 377).

იმიერკავკასიელი ტომების საქართველოს საზღვრებში შემოსვლას XVI-XVIII საუკუნეებში თან სდევდა ხანგრძლივი ბრძოლები ქართველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებისა და შემოსულ ტომებს შორის. მაგალითად, აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში) დაღესტნური ტომების შემოსვლისას ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ ქართველთა დამარცხებით დამთავრდა, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველების გალეკება.

ჩერქეზული ტომების აფხაზეთში შემოსვლას მოჰყვა ხანგრძლივი ომები მთიელ შემოსულ ტომებსა და ქართველობას შორის. ცნობილია, რომ ჩვენი მთიელი ტომები, თუშ-ფშავ-ხევსურები, როგორი თავდადებით ებრძოდნენ სწორედ ამ

საუკუნებში საქართველოსაკენ დაძვრის მსურველ (ჩეჩნურ-ინგუშურ) ტომებს. მსგავსი სურათია შიდა ქართლშიც.

XVII-XVIII საუკუნებში დვალეთის ოსეთად სახელდებისთანავე იძაბება ურთიერთობა და იწყება დვალეთსა და შიდა ქართლში მთიელთა აჯანყებები. ეს იყო ბრძოლა შიდა ქართლისაკენ დაძრულ მთიელ ტომებთან. როგორც აღინიშნა, დვალეთი ჯერ საქართველოს, ხოლო შემდეგ ქართლის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. აღნიშნულ დროს სწორედ დვალეთში დაიწყო და შემდეგ შიდა ქართლშიც გაგრძელდა ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

1626 წელს, როცა დვალეთის მცხოვრებლებმა მასიურად უარი თქვეს, დამორჩილებოდნენ ქართულ სამეფო ხელისუფლებას, რაც გადასახად ზე უარის თქმით გამოიხატა, გიორგი საკაძემ ილაშქ-რა დვალეთში და ჩაახშო ეს აჯანყება.

XVIII ს-ის 20-იანი წლების შემდეგ, რაც ვახტანგ VI-მ დიდი პოლიტიკური მარცხი განიცადა და სამეფო მიატოვა, შიდა ქართლი ქაოსმა მოიცვა. ქართლის პოლიტიკურმა წრეებმა შემოსულ მტერთან ბრძოლას თავი აარიდეს. „ვახტანგისა და მისი ამაღის გადახვეწა რუსეთში იწვევდა აქტიური ბრძოლიდან თავის არიდებასა და ძნელბედობასთან პასიური შერიგების ტენდენციებს. ამ საქმეში მეფის მიმბაველებიც მალე გამოჩნდნენ და ბრძოლის სიძნელებს გაურბოდნენ“ (საქ. ისტ. ნარკ., ტ. IV, გვ. 424), წარ-სულ საუკუნებში მებრძოლი ქართული პოლიტიკური ძალები ახლა აპათიამ მოიცვა და მტერთან ბრძოლას პასიურ თავის გარიდებას არჩევდნენ (იქვე). ამ საუკუნის I ნახევარში ოსმალთა შემოჭრამ და გაბატონებამ და ყიზილბაშობამ კიდევ უფრო დაასუსტა შიდა ქართლი. სწორედ ამ დროს იზრდება ჩრდილოეთიდან მოსული ოსების (დვალების) რიცხვი შიდა ქართლში. ოსმოახალშენეთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XVIII ს-ის 40-50-იანი წლებიდან“ (იქვე, გვ. 432).

როგორც აღინიშნა, ოსმალობის საშინელება შიდა ქართლში ყიზილბაშობამ შეცვალა. „სეხნია ჩხეიძის გადმოცემით ქართველებმა ამდენი ველარ აიტანეს და თავადების ერთი ნაწილი ყიზილბაშებს განუდგა: „უკუდმა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი, სულ ზემო ქართლი ...“ (საქ. ისტ. ნარკ. IV, გვ. 448). შიდა ქართლში ოსმალთა მებრძოლი რაზმები შემოესივნენ. მალე ღმერთმა წყალობის თვალით მოხედა საქართველოს“ ... 1744 წლის ივლისიდან ქართლის სამეფო ტახტი თეიმურაზმა აღადგინა, ხოლო კახეთში მისი შვილი ერეპლე გამეფდა: „იყო სიხარული ქართლსა და კახეთს სიხარული უზომო“ ... ერთ საუკუნეზე მეტი დრო გასულიყო მას აქეთ, რაც ქართლ-კახეთს გამაჰმადიანებული მეფეები განაგებდნენ. ახლა კი ქრისტიან ხელმწიფეთა მოვალეობას ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა...“ (იქვე, გვ. 603).

ჭეშმარიტად, 1744 წელს ქართლ-კახეთის ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენა იყო გაახლება და გაცოცხლება ქართველობისა.

მიუხედავად იმისა, რომ ყიზილბაშებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს „ბობოქარ ქართლს“, როგორც მ. დუბაძე უწოდებს და მრავალი საქმე მოსაგვარებელი იყო, ქართლის მეფემ უპირველეს ყოვლისა თავისი ყურადღება მიაპყრო მთიანეთიდან ბარში ჩამოსულ ოსებს. ოსები თურმე „ცემდნენ ზემო ქართლს“ - „1745-1746 წლებში ქართლის მეფეს არაგვის ოსები განუდგნენ, „დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა“, არ იხდიდნენ სამეფო გადასახადებს. თეიმურაზმა აქ ჯერ გაგზავნა თუშები მოურავ ჯიმშერის მეთაურობით და სასტიკად დასაჯა ურჩები“ (იქვე, გვ. 605).

უფრო რთულად აღწერს შიდა ქართლში ოსთა გამო შექმნილ ვითარებას პაპუნა ორბელიანი. ის 1745-1746 წლებისთვის წერს: ოსებმა „დაუწყეს ცემა ზემო ქართლს“, ის ჯერ კიდევ თეიმურ-

აზის ქრისტიანული წესით გამეფებამდე წერს იმავეს, აღსანიშნავია, რომ ორივეჯერ თითქმის ერთსა და იმავე წინადადებას იმეორებს, თუმცა პირველ შემთხვევაში ზოგადად ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსებს გულისხმობს, ხოლო მეორე შემთხვევაში – არაგვის ოსებს.

მემატიანე წერს: „ამ ხანთა შინა დაუწყეს ცემა ოსთ ზემო ქართლს, აგრეთვე ჩამოდგა ჯარი ლეკისა სომხით-საბარათიანოში“ (პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“ 1981, გვ. 100). აქ ზემო ქართლი ეწოდება ისტორიულ შიდა ქართლს. იმის შემდეგ, რაც მეფე ქრისტიანული წესით აკურთხეს, ოსები ახალ შეტევას იწყებენ შიდა ქართლში. ეს ოსები საერისთავოებში ცხოვრობდნენ. „უკუდმწენ ოსნი ერისთავისანი და დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა“ (იქვე, გვ. 110). ოსთა დამარცხებისათვის მეფეს, ჩანს, საკუთარი ძალები არ ჰყოფნიდა. ამიტომაც მან დაიქირავა დალესტანში ანწუხეცი და სხვა კუთხეთა ლეკები. უწინამდგრეს შიდა ქართლის თავადებმა და შეებრძოლნენ ოსებს. მაგრამ ლეკებმა ოსთავან აღებული ნადავლი იცოტავეს და იმერეთშიც შეიჭრნენ – საწერეთლოში (იქვე, გვ. 110). ლეკთაგან დატყვევებული იბერიელები მეფეებმა თეიმურაზმა და კონსტანტინემ გაათავისუფლეს, ლეკებს ფული გადაუხადეს (იქვე, გვ. 112).

მალე სამეფო ხელისუფლება მიხვდა, რომ ქართლში შემოსული ოსების შეჩერებას დაქირავებული ჯარით ვერ შესძლებდა – საჭირო იყო სამეფოს მთელი სამხედრო ძალებით შეებრძოლება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ არაგვისა და ქსნის საერისთავოებში შემოსული ოსები. „ორსავ საერისთაოსნი დიალ ავკაციობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ, არც მოხელე შეუშვეს, ამათი წახდენა ინებეს. მოსწერა მამას წიგნი მეფე ერეკლემ და დაიბარა, წაბრძანდა მეფე თეიმურაზ ჯარითა ქართლისათა. მიბრძანდა ვანათს, ორისავ გზის მხრები შეუკრეს, რომ მიმშველი აღარავინა ჰყვანდათ. აიყარა კახთ ბატონი ანანურით,

წაბრძანდა ოსეთზე, არაგვის ერისთავის ჯარს ჯიმშერ თუშთ მოურავი უთავა და მეწინავენი მიიმძღვარა, მემარჯვენე და მემარცხენე განაწყვნა და თვითონ ბატონი უკან-უკან მიჰყვა, მოეგებნენ ოსნი და შეიქმნა ომი, ვითა ხვდებოდა და სიმხნე სიკეთესა მისსა, ჯიმშერ ეგრე იბრძოდა და ჯარსაც აბრძოლებდა. მიბრძანდა ბატონიც, დაერივნენ ხმალდახმალ და გააქციეს ოსნი და მიჰყვნენ, შეჰყარეს კოშკებში და შემო-ადგნენ კარს. განაძლიერა ჯარი მეფემ ერეკლემ, აღუთქვა მი-საცემელი, უბრძანა იერიში, რასაც კოშკს იერიში უყვეს, მაშინ-ვე გატეხეს. ორმოცი კოშკი აიღეს, დაწვეს, თრუსი დაატყვევეს და ყოვლის გზით ყალთანი უყვეს, რომ რისხვა ღმრთისა დასცეს“ (იქვე, გვ. 113).

ქართლში შემოსული მთიელი ოსების დამარცხება არ იყო ადვილი საქმე, ამიტომაც ოსებთან ომში (სწორედ ასე წერს მემატ-იანე „შეიქმნა ომი“) ჩაერთვნენ ქართლისა და კახეთის მეფეები, სახელმწიფოს მთელი ძალები. შეიძლება ითქვას, ოსებთან ომში გამარჯვება იყო პირველი დიდი წარმატება „ახალცხებული“ მეფეებისა. თუ რა დიდ საფრთხეს უქმნიდა ოსების შემოსვლა ქა-რთლს, ეს ჩანს მემატიანის განცხადებიდან. ის ადარებს ერთმანეთს ვახტანგ გორგასალის ოსებთან გამარჯვებისას და მეფე ერეკლ-ეს მსგავს მოქმედებას. „ვითა ვახტანგ გორგასალ თხუთმეტისა წლისა მბრძოლი ოსეთში და დამჯაბნი ბუმბერაზისა, ეგრე მეფე ერეკლე უმხნეს იქცეოდა. ასაკითა თუ იყო მცირე, რომელსაც საქ-მეს და ან ძნელსა საბრძოლსა მოინდომებდა, წინ ვეღარავინ აღუდგებოდა ... ჩამობრძანდა გამარჯვებული ანანურის, დაიჭი-რა, ვინც ვინ ბეჟან ერისთავის სისხლში რეულიყო ... დასთხარა თვალები და ცოლ-შვილით აჰყარა და კახეთში გაისტუმრა. რა ეს ამბავი და არაგვის ოსის წახდენის ამბავი შეიტყეს ქსნის ერის-თავთა ოსთა, მოვიდნენ მაშინვე ვანათს და შემოეხვეწნენ მეფეს

თეიმურაზს, და ყოველის კეთილის საფუძველსა და მოსთხოვეს დანაშაულის ფარვანი და მოსცეს სრული ბეგარა“ (იქვე, გვ. 114).

ზემომოყვანილი იძლევა უფლებას, გამოითქვას მოსაზრება, რომ ქსნის საერისთავოში ოსების ჩამოსახლება ცნეს ქართველმა ხელმწიფოებმა, რაც იმით გამოიხატა, რომ აქაური ოსები შეიწყალეს, როგორც მთხოვნელები. მათ უნდა გადაეხადათ გადასახადი. „...შემოუხვეწეს მეფეს ... მოსცეს სრული ბეგარა“, ხოლო არაგვის საერისთავოდან ოსები ფაქტიურად განდევნილ იქნენ, როგორც შემოსული მტრები (აქ თრუსოელები არ იგულისხმება, ისინი, როგორც დვალები, არ გაუსახლებიათ). რაც შეეხება ლიახვის ხეობას, აქ ადგილობრივი თავადები, ჩანს, თავიანთ მიწებზე ასახლებდნენ ოსებს, როგორც მუშახელს და მფარველობდნენ კიდეც.

ოსებთან გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოსათვის. ამის გამო ცენტრალური კავკასიონისა და მის გადაღმა მცხოვრებმა ტომებმა ძველებურადვე აღიარეს ქართული სახელმწიფო.

ამის შემდეგ ცენტრალური კავკასიის ტომები საქართველოში კი არ იჭრებოდნენ, როგორც მტრები, არამედ პირიქით, ისინი ქართულ ლაშქარს უერთდებოდნენ საქართველოს მტრების წინააღმდეგ ომში: – „დაიბარეს მეფეთა ჩვენთა, ჩამოვიდნენ ანანურის ჯარი ჩერქეზის, კალმუხისა, ჯიქისა, ქიშტისა, ღლიღვისა, ნოლისა და ოსისა“ (იქვე, გვ. 219). „ზოგჯერ ქართველ მეფეებს „...ახლდნენ ოსნი და ჩერქეზნი“ (გვ. 233). „მოიწვივნეს ჯარები ქალაქსა თბილისისასა, ქართველნი სრულად, იმერნი, ჩერქეზნი, ოსნი და კავკაზისანი“ (გვ. 165).

ოსების შიდა ქართლზე შემოტევის შეწყვეტა იყო უდიდესი გამარჯვება ქართული სახელმწიფოსი, გამარჯვებამ გარკვეული ხნის მანძილზე გაათავისუფლა სახელმწიფო ქვეყნის შიგნით ომისაგან. ამის შემდეგ ოსი მოახალ შენენი მთიდან ბარში ჩამოდ-

იოდნენ არა როგორც მებრძოლები და დამპყრობლები, არამედ როგორც მშრომელები, რომელთაც თავიანთი შრომით სურდათ ახალი ცხოვრების კეთილად მოწყობა. ამ მხრივ, როგორც ცნობილია, საქართველოს მიწაზე სხვა მთიელი ტომები სხვაგვარად ესახლებოდნენ. მაგალითად, ლეკები აღმოსავლეთ კახეთში ჩასახლდნენ არა როგორც მშრომელები, არამედ როგორც დამპყრობლები, ექსპლუატატორები ადგილობრივი ქართველი გლეხებისა. ასევე ჩასახლდნენ აფხაზეთში ჩერქეზებიც.

ქართლში თავიანთი პოლიტიკის შეცვლის შემდეგ ოსებს, როგორც ჩანს, აღარ უყურებდნენ, როგორც მტრებს და ასახლებდნენ ქართულ სოფლებში ან ნასოფლარებში. ქართველთა რიცხვი ქართლის მთიანეთში ამ დროისათვის გარკვეულად უნდა შემცირებულიყო, რადგანაც ოსმალთა ბატონობის წლებში (1723-1735) და „ყიზილბაშობის“ (1735-1747) დროს მტრები სწორედ ქართველ მოსახლეობას ებრძოდნენ, ჰკლავდნენ და ატყვევებდნენ, ხოლო სხვა ეროვნების მცხოვრებლებთან შეთანხმებას არჩევდნენ. მაგალითად, ყიზილბაშობის დროს შიდა ქართლის მთიანეთში ერთ-ერთი ოპერაციის დროს, „გაუშვა მარბიელი ავლანისა და როცა რამ დარჩომილიყო, დაატყვევეს, ოსეთს აქეთსულ აპყარა და მოაბარა გივი ამილახორს. ჩამოუძღვა გივი და დააყენა ფხენის. გაბრუნდა ხანი, მიუხდა ერთს ალაგს, ცოტა რამსაქონელი დარჩობილიყო, მთის ოსნი შემორიგებულნი იყვნენ, რა შეიტყვეს დალატი, შეუკრეს ვიწრო ალაგი, დაუშინეს, გამოაქციეს ყიზილბაშები, დაჭრეს ხანი, მოკლეს პაპუა მუხრანბატონიშვილი, რომელი იყო ნასაღჩიბაში, ამოწყვიტეს ყიზილბაშნი...“ (იქვე, გვ. 48).

აქედან ჩანს, რომ ყიზილბაშები ქართველებს ებრძვიან და ატყვევებენ, ხოლო ოსეთში არ შედიან, „ოსეთს სულ აქეთ აპყარა“, ჩანს, ოსებთან რაღაც პირობაა დადებული, „მთის ოსნი

შემორიგებულნი იყვნეს“ . მაგრამ, ჩანს, პირობა არ შეასრულეს ოსებმა. ღალატის გაგების შემდეგ ყიზილბაშები შებრძოლებისას დაამარცხეს, „რა შეიტყოს ღალატი ... ამოწყვიტეს ყიზილბაშნი“, აქედან ჩანს, თუ ქართლის მთიანეთში რა სერიოზულ ძალად იქცა ოსობა ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის დროს, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ერეკლემ და თეიმურაზმა ეს ძალა დაასუსტეს და სახე შეუცვალეს. ოსები კვლავ ქართველ მეფეთა სამსახურში ჩადგნენ XVII საუკუნეში, ამ დროს ოსები ხშირად მხარში ედგნენ ქართველებს მტერთან ბრძოლის დროს, ერეკლე-თეიმურაზის დროს ტრადიცია კვლავ განახლდა. როგორც ითქ-ვა, ქართველ მეფეთა გამარჯვების შემდეგ შეფერხდა ოსთა ჩამოსახლება არაგვსა და ქსანის ხეობების ქვემო მხარეებში, ოსები მხოლოდ მთებში ცხოვრობდნენ. ერთი რუსი ჩინოვნიკის ჩანაწერში 1769 წელს ნათქვამია: „არაგვისა და ქსნის სამფლობელოები ხალხმრავალია და ძლიერი, პურ-ნაყოფიანი და ჰყავთ თავიანთ დაქვემდებარების ქვეშ რამდენიმე ათასი ოსი, მცხოვრები კავკასიის მთებში...“ (სამხრეთ ოსეთის ისტ. ნარკ. გვ. 125). ლიახვის ხეობაშიც ოსები კვლავინდებურად მაღრან-დვალეთსა და მის მახლობლად ხეობის ზემო წელშიც ცხოვრობენ. ოსთა ჩამოსახლება მასიური ხდება მხოლოდ XVII საუკუნის ბოლოს 70-იან წლების შემდეგ. ამ დროს მათი რაოდენობა იზრდება. ჩანს, არაგვისა და ქსნის საერისთავოების გაუქმებამ, ასევე ერეკლეს, როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობის გართულებამ, კრიზისმა, რომელმაც მოიცვა ერეკლეს სახელმწიფო მისი მეფობის მიწურულს, ხელი შეუწყო ისების შეუფერხებელ მიგრაციას მთიდან ბარისაკენ. ადგილობრივი ქართული ხელისუფლება ველარ აკონტროლებდა, ძალა არ შესწევდა, გამკლავებოდა ბარში ჩამოსულ მთიელებს. „ოსები ენერგიულად გამოდიოდნენ ფეოდალთა წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 119). თავადები, რომელთა ოჯახის წევრებსაც ხოცავდნენ ოსები,

მეფეს დახმარებას სთხოვდნენ. შიდა ქართლში კვლავ სისხლისღვრა გაჩაღდა (იქვე, გვ. 119).

როგორც აღინიშნა, აქამდე XVIII საუკუნის 70-იან წლებში ოსების ძირითადი მასა კვლავ მთიანეთში ცხოვრობდა და ბარისაკენ არ იყო დაძრული, მაგრამ შიდა ქართლში მათი რიცხვი გაზრდილი იყო. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად ქართლის ბარში ოსთა რიცხვის რამდენადმე გაზრდისა, თვით XIX საუკუნის 70-იან წლებამდეც კი ოსების ძირითადი მასა მთებში ცხოვრობდა. მათი გამოყენება სცადეს ბატონიშვილებმა რუსთა წინააღმდეგ. მათ ჩამოიყვანეს ოსები მთებიდან ბარში – ცხინვალის სანახებში დააბანაკეს. რუსებთან შებრძოლების შემდეგ ოსებმა დაარბიეს და დაწვეს ცხინვალი და უკანვე მთებში დაბრუნდნენ. როგორც წერს თეიმურაზ ბაგრატიონი, „ხოლო ოდეს მეფე შთავიდა იმერეთს, თანა შთაიყვანა მეფის ძის იულონის ძეი ლეონ და შეგზავნა რაჭით მთათა ლიახვისათა, რათა მან აღმრას ოვსნი პირისპირ რუსთა. ესე აღვიდა და შემოიყვანა ოვსნი და მოვიდა მახლობელ ცხინვალისა. სცნა ესე ახვერდოვმან, გუბერნატორმა ქართლისამან, აღვიდა ცხინვალს რუსთა მხედრობითა და ოდეს ვერ უძლო ბრძოლა ოვსთა, დამაგრდა ციხესა ცხინვალისასა, მაშინ ოვსთა მოწვეს და მოარბიეს გარემონი ცხინვალისანი და თვით ცხინვალი და უკუნ იქცნენ. მაშინ ჭორმასოვმან შეგზავნა ჭვრივს ფრიადი მხედრობა რუსთა და მოწვეს ჭვრვი, და ვეღარა დადგა ლეონ კოშქს და აღვიდა ნარა“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, „აზალი ისტორია“, 1983 წ. გვ. 77). ჭვრვი მთიანეთშია, ხოლო ნარა – თერგის კავკასიაშია.

ი. გიულდენშტედტი ეხება XVIII საუკუნის 70-იან წლებს – „XVIII საუკუნის 70-იან წლებში მდგომარეობა რამდენადმე შეცვლილია. ქართლში მეტი ოსი იყო, ვიდრე ადრე, ამავე პერიოდის ვითარების ამსახველია გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურები. გიულდენშტედტი ჩრდილო ოსეთისაგან

განსხვავებით, რომელსაც ოსეთს უწოდებს, შიდა ქართლის პროვინციებზე საუბრისას მათ აღნიშნავს, როგორც ოსური მოსახლეობით დასახლებულ მხარეებს. ი. გიულდენშტედტის მონაცემებით, ლიახვის ზემო წელზე XVIII-ის 70-იან წლებში ოსებთან ერთად კიდევ ცხოვრობენ ქართველები. ლიახვის ხეობის აღწერისას გიულდენშტედტი წერს: „ჩელიათი, დიდი ლიახვის აყოლებით ქართულია. აქ სულ რამდენიმე სოფელია და დაახლოებით 300 ოჯახს შეიცავს“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, 1964, გვ. 67). შემდეგ „დიდ ლიახვზე ზემოდან ქვემოთ არის: ქართულ-ოსური მხარე სბა, დიდი ლიახვის ზემოთ და მარცხნივ, წინას (ურსოვალთას – ჯ.გ.) საპირისპიროდ. ქართულ-ოსური მხარე ჯომალი, ამავე სახელის მქონე მდინარეზე, რომელიც ზემოთ, ლიახვს მარჯვენა მხრიდან ერთვის. ქართულ-ოსური მხარე გუდისი, ზემოთ დიდი ლიახვის მარცხნა მხარეს, სბას მხარეს ქვემოთ. ქართულ-ოსური მხარე ჯაუკომი, მდინარე ფაწაზე, დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადზე. ქართული მხარე მაღრან-დვალეთი და მეჯვრისხევი მთიანეთის ძირში“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, 1962, გვ. 277-279, ჯ. გვასალია, დასახელებული ნაშრომი).

აქედან ჩანს, რომ ტერიტორია, რომელსაც მაღრან-დვალეთი ეწოდებოდა, არა მარტო ოსებით, არამედ ქართველებითაც იყო დასახლებული და აქ ქართველთა რიცხვი მცირე არ ყოფილა მთიანი რეგიონის პირობის გათვალისწინებით.

ჩელიათი, რომელიც გიულდენშტედტის თანახმად, ქართველებით არის დასახლებული, მაღრან-დვალეთის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ჩელიათი მხარე იყო, რომელშიც ქართველებით დასახლებული რამდენიმე სოფელი შედიოდა, აქ კომლების საერთო რიცხვი 300 ყოფილა. იქვე მდებარეობდა მხარე სბა, იქ მოსახლეობა ქართულ-ოსური ყოფილა. ზემო და ქვემო როკასთან (სადაც ახლა გაჭრილია გვირაბი) რამდენიმე

კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა ქართულ-ოსური მხარე ჯომაღი. საბასთან ახლოს, ე.ი. მაღრან-დვალეთთან მდებარეობს ქართულ-ოსური მხარე გუდისი და ჯაუკომი. საერთოდ, მაღრან-დვალეთი გიულდენშტედტს ქართულ მხარეს მიაჩნია, მაშინ როცა სწორედ მაღრან-დვალეთი იყო ოსების მოსახლეობის ძირითადი ტერიტორია – „ქართული მხარე მაღრან-დვალეთი“ – წერს ის. აქედან ჩანს, რომ თვით XVIII საუკუნის ბოლოს შიდა ქართლის არც ერთ რეგიონში ოსური მოსახლეობა ძირითადი არ არის, და ყველა მხარეში, მთიანეთის ჩათვლით, ქართველებს მნიშვნელოვანი რიცხვი გააჩნიათ. ამ მოგზაურის მიერ ჩამოთვლილი მხარეები და სოფელები მდებარეობდნენ ჯავის ჩრდილოეთით, საკმაოდ დაშორებით ჯავისაგან, როგორც აღინიშნა – ოსთა რიცხვი შემდგომ გაიზარდა – „გიულდენშტედტის მოგზაურობის შემდგომ ხანაში ქართლში მატულობს ოსური მოსახლეობა, მათი განსახლების არე სამხრეთით მოიწევს“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ოსების რიცხვი და განსახლების არეები თვით მე-18 საუკუნის ბოლოს დიდი არ იყო, საერისთავოთა გაუქმების შემდეგ მათი რიცხვი მკვეთრად იზრდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ოსების რიცხვი გაიზარდა არა მარტო ბუნებრივი გამრავლებისა და ჩამოსახლების შედეგად, არამედ იმითაც, რომ ოსურ გარემოცვაში მცხოვრებმა ქართველებმა დაივიწყეს მშობლიური ენა, სარწმუნოება, რამაც საფუძველი დაუდო ქართველთა გაოსებას. უთუოდ გაოსებული ქართველების რიცხვი ქართლის მთიანეთში საკმაოდ მრავალრიცხვანი იყო, რამეთუ ეს შეამჩნია უცხოელმა მოგზაურმა. გაოსებული ქართველების რიცხვი უმნიშვნელო რომ ყოფილიყო, ანდა გამონაკლისი, ამის აღნიშვნა საჭირო არ იქნებოდა.

გიულდენშტედტი წერს, რომ ოსურ გარემოში მცხოვრებმა ქართველებმა ენა და სარწმუნოება დაივიწყეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველებმა შეითვისეს და გაიმშობლიურეს ოსური ენა,

ქართველებმა დაივიწყეს ქრისტიანობა და მიიღეს ოსური სარწმუნოება. მოგზაური წერს – „კავკასიელ მთიელთა შორის, – განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომელთაც რელიგიასთან ერთად, ენაც დაივიწყეს“ („გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“ ტ. I, გვ. 185). გიულდენშტედტი აღწერს, თუ როგორ იცლებოდა ქართლის მთიანეთი ქართული მოსახლეობისაგან და როგორ უპატრონოდ და უმრევლოდ რჩებოდა ქართველთა ეკლესიები – „სოფელ სახლებში ჯერ კიდევ არის პატარა ძველი ქვიტკირის ეკლესია, რომელშიც ჯერეც დგას ვერცხლით მოჭედილი ჯვარი, ის არის 2 ფუტი სიმაღლის და 40 წლის წინათ თავადმა მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ შემოსწირეს. თავადს არ ჰქონდა საზაფხულო სახლი. ეს ეკლესია ახლა მხოლოდ დამნაშავე ოსებს ეშვახურება თავშესაფრად“ (ტ. II, გვ. 101).

ქართველები, როგორც მოგზაური აღნიშნავს, ოსდებოდნენ და ეს გაოსების პროცესი დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოს. არის თუ არა გამონაკლისი ქართველთა გაოსება და მოეძებნება თუ არა მას ანალოგიები? დიახ, ქართველთა გაოსება გასაკვირი არ არის, რადგანაც ქართველები ამ დროსვე საკმაოდ მრავლად ლეკედებოდნენ, რასაც ეს მოგზაურიც აღნიშნავს. გარდა ამისა, ქართველები „თათრდებოდნენ“ და „სომხდებოდნენ“ კიდეც. ჭარის, ანუ აღმოსავლეთ კახეთის, რომელიც მაჰმადიანებმა დაიკყრეს, მოგზაური წერს: „მათი მოსახლეობა ჯერაც ქართველებია, მაგრამ ცოტა აქვთ ქართული ჩვევები და თითქმის ურელიგიონი არიან, თუმცა მეტი წილი მოსახლეობისა ქართველებია, მაინც ისინი სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან...“ (გიულდენშტედტი, ტ. II, გვ. 91).

როგორც ვხედავთ, თვით ქართული სახელმწიფო სისტემის დროსაც კი ქართველები ოსდებოდნენ. ქართველების გაოსების პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ქართული

სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ, ხელისუფლება ქართველობისა, როგორც პოლიტიკური ძალის მიმართ, უარყოფითად იყო განწყობილი. ამ ძალის, ანუ ქართველობის დასუსტება – ახალი ხელისუფლების უპირველეს მიზანს წარმოადგენდა და ამ მიზანს ის უდრევი სიჯიუტით ახორციელებდა. როგორც ითქვა, ქართული სახელმწიფოებრიობის დროსაც ქართველები ოსდებოდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ არსებობდა ეროვნული სახელმწიფო მთელი თავისი სისტემით, უთუოდ ოსების გარკვეული რაოდენობაც უნდა გაქართველებულიყო შესაბამის გარემოში მოხვედრის შემდეგ. თითქოს ამას ადასტურებს ასეთი ტერმინის არსებობა – „ოს-ყოფილი“. როგორც წესი, „ოს-ყოფილები“ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან. ჩანს, ეს ის ოსები არიან, რომელთა ქართულ სახელმწიფო აპარატში ჩართვა სურთ ქართველ ხელისუფალთ, მაგრამ საჭიროდ მიიჩნევენ მათ გაქრისტიანებას, სწორედ ახლად გაქრისტიანებულებს უწოდებენ აღნიშნულ სახელს.

1778 წელს უფლისწულმა გიორგიმ უბოძა მამული „ახალ ქრისტიანს“, „ოს-ყოფილ“ ხალინბეგაშვილ თომას და მის შვილ გიორგის (ოსეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 111). მაშასადამე, ოსობა არაქრისტიანობას, ანუ წარმართობას ნიშნავდა, ხოლო ოსი – მოუნათლავ წარმართს. მაშასადამე, ამ დროს „ოსი“ აღნიშნავდა არა მარტო ეროვნებას, არამედ ადამიანის სარწმუნოებრივ მდგომარეობას, ცხადია, მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე, მხარეში, ამ შემთხვევაში შიდა ქართლში. მაშასადამე, თუ აქ ქრისტიანი სარწმუნოებას დაკარგავდა, ის ოსი ხდებოდა, პირი-ქით, თუ ასეთი ოჯახი ან ადამიანი გაქრისტიანდებოდა, ის უკვე „ოს-ყოფილი“ ხდებოდა. მთებში, როგორც გიულდენშტედტი წერს, ქრისტიანობა შენელდა, ქართველმა მთიელებმა ქრისტიანულ „რელიგიასთან ერთად ენაც „დაივიწყეს“.

1782 წელს „ოსყოფილი ივანე“ წერს: „მე ოსი ვიყავი, მივედი ცხინვალში, მოვინათლე, დავოჯახდი და დავიწყე იქ ცხოვრება“ (იქვე, გვ. 113). აქაც, როგორც კხედავთ, ოსობა უკავშირდება არა ეროვნებას, არამედ სარწმუნოებას. ივანე ოსყოფილია, მაგრამ ახლა ოსი აღარაა, რადგანაც ის მოინათლა. მაშასადამე, ოსობა წარმართობასთან არის გაიგივებული. შიდა ქართლში ვინც მოუნათლავია, – ის ოსია, ანუ წარმართია (ამ შემთხვევაში მთიდან ჩამოსული წარმართები იგულისხმება). აქედან ჩანს, თუ რაოდენ სახიფათო იყო ბარელი ქართველების თვალში მთიელთა მიერ ქრისტიანობის, ანუ „რელიგიის დავიწყება“. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული შიდა ქართლში ოსების რიცხვის ძკვე-თრად გაზრდა. რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩამოდიოდნენ გაწარმართებული მთიელები ქართლის ბარში. ამ ჩამოსახლებას რუსული ხელისუფლება არა მარტო ხელს უწყობდა, არამედ მთიელებს აიძულებდა, დაეტოვებინათ მთიანეთი და ბარში, მემამულეთა მიწებზე დასახლებულიყვნენ. როგორც გიულდენშტედტი წერს: – ქართველ მთიელებს რელიგია დავიწყებული ჰქონდათ, ამიტომაც ეს მთიელები ბარელი ქრისტიანებისათვის წარმართები, ანუ „ოსები“ იყვნენ. ამ შეხედულებას, ჩანს, ისიც ამტკიცებს, რომ მათ ერთ ნაწილს ქართული ენაც დავიწყებული ჰქონდა. ცხადია, ეს არა ეკლესიური, არა ქრისტიანული ან ნაკლებქრისტიანული მასა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, ბარელი ქრისტიანებისათვის წარმართები, ანუ „ოსები“ იყვნენ.

ქართველთა გაოსება XIX საუკუნეში

(სოციალური მომენტი)

ოსურ გარემოცვაში მცხოვრები ქართველების მიერ ენისა და სარწმუნოების დაკარგვა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მყოფმა გერმანელმა მოგზაურმა გიულ-დენშტედტმა აღწერა. შიდა ქართლელი მოსახლეობის გაოსებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა XIX საუკუნეში, საქართველოში სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ. ეს პროცესი შემდგომაც გაგრძელდა, როგორც ეს ჩანს ეთნოგრაფთა დაკვირვებით. უფრო მეტიც, ქართველთა გაოსების პროცესი, გ. ჯალაბაძის აზრით, დღემდე გრძელდება: პირველ ეტაპზე გაოსდა წარმოშობით ნახურ-დვალური მოდგმის ქართველობა, მეორე ეტაპზე – ქართლელი მთიელები, ხოლო შემდგომ ეტაპზე ამ პროცესს ბარისაკენ გადმოუნაცვლებია და ბარელი ქართველების გაოსება დაწყებულა: „ქართლის მთის ზოლში, სადაც ქართველებთან ერთად ნახურ-დვალური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა, ქართულ მოსახლეობაში აითქმითა, მაგრამ XIV საუკუნიდან ქართლის მთაში იწყება ოსური ნაკადის შემოღწევა (დ. მეგრელიძე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 429-432). ოსები ჯერ დიდი და პატარა ლიახვის სათავეებთან, ხოლო, უფრო მოგვიანებით, ქსნის ხეობის სათავეებში დასახლდნენ. დვალური მოსახლეობა ოსური ზედაფენების ქვეშ მოექცა. ოსური ზედაფენების ქვეშ მოექცა იქ მცხოვრები ქართველობა, რომელთაც ოსებისაგან შეისწავლეს სალაპარაკო ენა და გადმოიღეს მათი ზნე-ჩვეულებანი. ეს პროცესი დაიწყო XIV საუკუნეში და დღემდე გრძელდება.

XIV საუკუნიდანვე თანდათან გაფართოვდა ამ პროცესის მოქმედების არეალი. თუ ქართველთა და გაქართველებულ დვალთა გაოსება წინა საუკუნეებში მხოლოდ მაღალმთიან

ხეობებს მოიცავდა, XIX-XX საუკუნეებში პროცესმა გადმოინაცვლა დაბლობზე და გარდამავალი ზოლისაკენ“ (გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, „შიდა ქართლი“ თბ. 1987წ. გვ. 18).

ქართველთა გაოსების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურია XIX საუკუნეში, რასაც საფუძვლად ედო სოციალური, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიზეზები. უფრო კი ქართველების გაოსების პროცესის ახსნა სოციალურ სფეროში უნდა ვეძიოთ. საქმე ისაა, რომ ცარიზმის ხელისუფლება სხვადასხვა პოლიტიკური მოსახლეობას. ამის გამო, შიდა ქართლში ჩამოყალიბდა ეთნოფსი-ქოლოგიური მოვლენა, რომელსაც შეიძლება „ოსობა“ ვუწოდოთ, ქართველი კაცისათვის „ოსობა“ მომგებიანი იყო. როგორც თურქთაგან დაპყრობილ მესხეთში ქართველებისათვის „თათრობა“ იყო ეკონომიკურ-პოლიტიკურად მომგებიანი, „ლეკობა“ – საინგილოში, „აფხაზობა“ – ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, „სომხობა“ – აღმოსავლეთის პროვინციებში, ასე-ვე „ოსობა“ ეკონომიკურ-პოლიტიკურად იყო მომგებიანი ცარიზმის დროს შიდა ქართლში. რუსეთის ხელისუფლება ოსურ მოსახლეობას ჰირველ ხანებში არავითარ პრივილეგიას არ ანიჭებდა, მან ოსების მიმართ პოლიტიკა მხოლოდ იმის შემდეგ შეცვალა, რაც ქართლის ოსური მოსახლეობა ქართველებთან ერთად მრავალჯერ აუჯანყდა ამ ხელისუფლებას. თავისი პოზიციების განმტკიცებისა და ქართული პოლიტიკური ძალების დასუსტების მიზნით ცარიზმმა ყურადღება მიაპყრო ოსურ მოსახლეობას, მიანიჭა მათ პრივილეგიები, რითაც აშკარად დაასუსტა ქართლში ანტიცარისტული მისწრაფებანი.

ცარისტულმა ხელისუფლებამ ოსებს მრავალი პრივილეგია მიანიჭა. ამიტომაც, ქართველ გლეხთა თვალში „ოსობას“ წონა დიდად მოემატა, სამაჩაბლოს ოსები ბატონყმობის უღლისაგან, ანუ

ყმობისაგან გაათავისუფლეს 1852 წელს (იხ. ქვემოთ), საქართველოში ბატონყმობის გადავარდნამდე გაცილებით ადრე. თუმცა, ამავე საუკუნის 30-იან წლებში პასკევიჩმა ქართველ მემამულეებს მთიელ ოს ყმებზე უფლებები ჩამოართვა და ისინი თავისუფლებად სცნო, ხოლო უფრო ადრე რუსული ეკლესია ოსებს ფულს უხდიდა „გაქრისტიანებისათვის“, ხოლო მათ გვერდით მცხოვრებ მოუნათლავ ქართველებს არაფერს არ აძლევდა. სოციალური პრვილეგია და თავისუფლება ოსი გლეხების დამახასიათებელ ნიშნად იქცა. თუ გავითვალისწინებთ, რა ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობდა შიდა ქართლს მთიანეთსა და მთისწინეთის ქართველი გლეხი, მის სწრაფვას „ოსობისაკენ“ გასაკვირად არ მივიჩნევთ.

ცარისტულ ხელისუფლებას ოსები გადაჰყავდა სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში და ათავისუფლებდა ყმობისაგან, უფრო მეტიც, ხიზანი, რომელიც ოსის სინონიმად იქცა, ფაქტიურად თავისუფალი გლეხი იყო.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის პირველ წლებში ოსი მთიელები ქართველებთან ერთად ებრძოდნენ მოძალადე ხელისუფლებას.

„ქართველმა ხალხმა მალე იგემა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სუსხი. საბატონყმო გადასახადებით ისედაც შევიწროებული მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ცარიზმის საოკუპაციო ჯარების შენახვა და მათი სამსახური სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა ... ცარიზმის კოლონიური რეჟიმი განსაკუთრებით მძიმე იყო XIX საუკუნის პირველ მესამედში, როდესაც რუსეთი განუწყვეტლივ ომებს აწარმოებდა“ (საქ. ისტ. ნარკვევები, IV, გვ. 916).

ქართველ მთიელებთან ერთად უამურისა და თრუსოს ოსებიც აჯანყდნენ. „...უამურელებმა იჩივლეს. პასუხად მათ დამსჯელი ექსპედიცია მოევლინა ანანურის კაპიტან-ისპრავნიკ სტა-

როსვეტსკის მეთაურობით. თუ როგორ დასაჯა ისინი კაპიტან-ისპრავნიკმა, ამის შესახებ უამურელები წერდნენ: „ამას წინათ ის (კაპიტან-ისპრავნიკი) უამურს მოვიდა, დაიჭირა ოსები. გობში, საიდანაც ძალლები ხვლებენ, შრატი ჩაასხა, დახოცა კატები და შიგ ჩაყარა ადამიანის სიბინძურე და მათ აჭამა. ამავე ოსებს რვა სახლი დაუწვა, სადაც 300 კოდი ქერი დაიღუპა“. რუსი მოხელეები აიძულებდნენ მათ უფასოდ გამოეყვანათ ხარ-ურემი, ცხენები, მიეცათ სურსათ-სანოვაგე, პური, ქერი, ფრინველ-პირუტყვი, ცხენებისათვის თივა და სხვა, ხოლო ფულს არ უხდიდნენ“ (იქვე, გვ. 916). 1804 წლისათვის „აჯანყება სწრაფად გაფართოვდა. მთიულებს მიემხრნენ გუდამაყრის, ჭართლის, ხანდოს ხეობათა მცხოვრებნი, ასევე ფშავ-ხევსურები და თრუსოს ხეობის ოსები“ (გვ. 917).

არც დიდი ლიახვის ოსები ჩამორჩნენ თანამოძმებს, ვლადიკავკაზიდან გამოსულ პოლკს დიდი ლიახვის ხეობაში თავს დაესხნენ, ამ დროს საქართველოს სამხედრო გზა აჯანყებულებს ეჭირათ, ლიახველმა ოსებმა დახოცეს რუსი ჯარისკაცები (250 კაცი), მოიტაცეს ცხენები და აღჭურვილობა (სამხრეთ ოსეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 177). მდგომარეობის სირთულის გამო ლიახვის ხეობაში თვითონ მთავარმართებელი ციციანოვი შეიჭრა. მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს (იქვე).

შიდა ქართლის გლეხთა აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბატონიშვილები ირაკლის ძენი – იულონი, ფარნავაზი და ალექსანდრე (იქვე).

რუსეთის მთავრობა ყოველი ღონით ცდილობდა, შიდა ქართლში დასაყრდენი გაეჩინა, ჯერ მან თავისი ყურადღება მიაპყრო ქსნის ერისთავებს, ხოლო 30-იანი წლების შემდეგ მან გათიშა ქართლის ქართულ-ოსური მოსახლეობა და ოსები დასაყრდენად გაიჩინა.

„რუსეთის მთავრობა და ციციანოვი დიდ იმედებს ქსნის ერისთავებზე ამყარებდნენ. რუსეთის მთავრობამ ქსნის ერისთავებს დაუბრუნა ერეკლე II-ის მიერ ჩამორთმეული ქსნის ხეობა და 4000 კომლი ყმა გლეხი. ასეთი პოლიტიკით რუსეთის მთავრობამ ქსნის ერისთავები გაიერთოულა, დასაყრდენი გაიჩინა და თანაც ბაგრატიონთა სამეფო სახლს დაუპირისპირა“ (იქვე, გვ. 919).

ამ დროს ქართველი და ოსი აჯანყებულები ერთად ებრძვიან რუსეთის ჯარს და მათ მომხრე ქსნის ერისთავებსაც. „რუსთა ჯარმა პოზიციები დატოვა, უკან დაიხიეს ქსნის ერისთავის შვილებმაც. აჯანყებულებმა ლომისა აიღეს. ეს იყო მათი დიდი გამარჯვება, ლომისას აღების შემდეგ აჯანყება ქსნის ხეობასაც მოედო, აქ გლეხები დაერივნენ თავიანთ მებატონეებს“ (იქვე, გვ. 919). სწორედ ამის შემდეგ შეიჭრა ციციანოვი ლიახვის ხეობაში, აჯანყებულმა ოსებმა იარაღი დაჰყარეს (იქვე).

1804 წლის შემდეგ აჯანყების განმეორების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ მრავალ ღონისძიებას მიმართა. საჭირო იყო ოსებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა, მათ მხარდაჭერას, ანდა განეიტრალებას რუსეთის ხელისუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ქრონიკული აჯანყების დროს. 1810-1813 წლების აჯანყების დროს 2 ათასი შეიარაღებული გლეხი დაიძრა ცხინვალისაკენ, შეებრძოლა იქ დაბანაკებულ რუსულ გარნიზონს. მეფის ჯარი მალე შეტევაზე გადავიდა და გადაწვა ისურისოფლები, აჯანყდა პატარა ლიახვის ხეობაც, შეტაკება აქაც მოხდა, 1812 წელს რუსული რაზმები დიდ ლიახვშიც შეიჭრნენ, სადაც განიცადეს წარუმატებლობა, რამაც დააფიქრა რუსი სამხედრო ხელისუფლება, აჯანყებულები შეტევაზე გადავიდნენ და კვლავ დაიძრნენ ცხინვალისაკენ, მაგრამ რუსმა ჯარმა ისინი მოიგერია, აჯანყებულები მთებს დაუბრუნდნენ (ოსეთის ისტორიის ნარკვევები, გვ. 178).

როგორც აღინიშნა, რუსებს ქსნის ერისთავები თავის პოლიტიკურ დასაყრდენად მიაჩნდა შიდა ქართლში, მათ მამულები დაუბრუნეს, სწორედ მათ ებრძოდნენ ქსნის ხეობის ოსები. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ერისთავების დაცვას, მაგრამ შემდეგ პოზიცია გარკვეულწილად შეიცვალა.

1830 წლისათვის კვლავ ამბოხდნენ ქსნის საერისთავოსა და სამაჩაბლოში, მაღრან-დვალეთში მცხოვრები ოსები.

რუსების ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სამუდამოდ დაემორჩილებინა ოსები, რათა მათ აღარ ჰქონოდათ აჯანყებათა სურვილი. „ისი გლეხების „საბოლოო“ დამორჩილება ითავა გენერალმა პასკევიჩმა, რომელმაც მთავარმართებლის ადგილი დაიჭირა. ერთი ექსპედიცია განისაზღვრა სამხრეთ ოსების წინააღმდეგ, მეორე – გენერალ აბხაზოვის უფროსობით – ჩრდილო ოსების (თაგაურელების) წინააღმდეგ“ (სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკვ. გვ. 180).

1830 წლის 19 მაისს ცხინვალიდან გავიდა გენერალი რენენკამპფი და იმავე დღეს ჯავაში შევიდა. დაიწყო შეტაკებანი, მთიელები დამარცხდნენ, აყვანილ იქნა ტყვეები, ნაწილი სასტ-იკად დაისაჯა, ნაწილი ციმბირში გადაასახლეს (იქვე, გვ. 181).

როგორც ვხედავთ, ოსებს რუსეთის ხელისუფლებამ ორივე მხრიდან შეუტია და „საბოლოოდ“ („სე გამოითქმოდა ოფიციალურ დოკუმენტებში“ (იქვე, გვ. 181) დაიმორჩილა.

„საბოლოო“ დამორჩილების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება შეუდგა ოსი გლეხების (ოსები შიდა ქართლში მხოლოდ გლეხები ან დაბალი ფენის ადამიანები იყვნენ) ადინისტრაციულ მოწყობას (იქვე, გვ. 181), მაგრამ არ დაკმაყოფილებულა.

ისი მოსახლეობა „საბოლოო დამორჩილების“ შემდეგ ცარიზმისათვის აღარ წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას. ამავე დროს კი, საქართველო აჯანყებათა ცეცხლში იყო გახვეული. ქართველი ერი მრისხანე ერი იყო ამიერკავკასიის

(საქართველოს) მასშტაბით. 1801 წლიდან ამ დრომდე საქართველოს ყოველი კუთხი აჯანყებათა კერას წარმოადგენდა.

ცარიზმი ყოველ ღონეს ხმარობდა ქართველი ხალხის დამორჩილებისათვის, აქამდე შიდა ქართლში ქართველები და ოსები ერთად იბრძოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. პასკევიჩმა მიზნად დაისახა, ჩამოეშორებინა ქართული მოძრაობისათვის ოსები და ამით დაქსუსტებინა ანტიცარისტული განწყობილება.

პასკევიჩმა გადაწყვიტა, მიენიჭებინათ ოსი გლეხებისათვის სოციალური პრივილეგიები და ამით რუსი ხელისუფლებისათვის გაერთოგულებინა ოსური მოსახლეობა. პასკევიჩის პოლიტიკის წყალობით ოსების სახით ცარიზმმა ერთგული მოსახლეობა გაიჩინა შიდა ქართლში.

ცნობილია და დღეისათვის მოძიებულია უამრავი საბუთი თუ სიგელი, რომელიც ადასტურებს, რომ ოსური მოსახლეობა შიდა ქართლის როგორც მთიანეთში, ისე ბარში, დასახლებული იყო ქართველი მემამულეების მიწებზე.

ამით პასკევიჩმა ოსებს სოციალური პრივილეგია მიანიჭა ქართველ გლეხებთან შედარებით, რომლებიც კვლავინდებურად მემამულეთა მფლობელობაში დარჩნენ, მან სრულიად დაასუსტა ქართველ თავად-აზნაურთა ეკონომიკური მდგომარეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ პოლიტიკას ცარიზმი ახორციელებდა საინგილოშიც (აღმოსავლეთ კახეთში). აქაც ხელისუფლებამ უარყო ქართველთა უფლებები აქაურ მიწა-წყალზე და იურიდიულად დაუმტკიცა ის ლეკურ (მთიდან ჩამოსახლებულ) თემებს (თ. პაპუაშვილი, „ჭარ-ბელაქანი“, 1972, გვ. 166).

აი, როგორ სოციალურ უპირატესობას ანიჭებს პასკევიჩი ოსებს ქართველებთან შედარებით შიდა ქართლში:

„პასკევიჩი და მისი თანამზრახველები ოსებით დასახლებულ ტერიტორიას განიხილავდნენ, როგორც მიწებს, რომლებზედაც მემამულეებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ.

პასკევიჩმა გადაწყვეტილად განაცხადა, რომ ოსები არასოდეს არ იყვნენ ამ მემამულეთა მფლობელობაში, რომ ამ უკანასკნელებმა თავიანთი უფლებები ოს გლეხებზე წამოაყენეს მხოლოდ რუსების ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში“ (სამხრ. ოსეთის ისტორიის ნარკვ. გვ. 182). პასკევიჩამ-დე გაცილებით ადრე წერდა ვა ზუმტი, თუ როგორ დასახლდენ ოსები ქართველთა მიწისმფლობელთა მამულებში. – „ხოლო რაოდენი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან“... (ქართლის კხოვრუბა, IV, გვ. 364).

აქ „მეპატრონის“ ქვეშ იგულისხმება არა ოსების მეპატრონენი, არამედ იმ „ადგილების“ მეპატრონენი, რომლებიც ქართველი გლეხებისაგან დაიცალა. „ადგილების მეპატრონენებს“, ანუ მემამულებს მიწის დამუშავებისა და ადგილების მოვლის მიზნით თავიანთ მამულში ჩამოუსახლებიათ „ოსები“. პასკევიჩამდე დიდი ხნით ადრე ცნობილი იყო, რომ მთიანეთის მიწა-წყლის მფლობელნი ქართველი მემამულები იყვნენ, ხოლო ოსი გლეხები ამ „მეპატრონეთა“ მიწებზე ისხდნენ. გარდა ამისა, მოღწეულია უამრავი საბუთი, სიგელი, რომელიც ადასტურებს ქართველთა მფლობელობას. შემდეგ რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა მხედველობაში მიეღო ეს საბუთები, ქართველთა უფლებები ოსებით დასახლებულ მიწა-წყალზე სცნო გორისა და თბილისის სასამართლოებმა, რაც უარყო პეტერბურგმა.

სინამდვილეში რას წარმოადგენდა ასეთი დადგენილება? ფაქტიურად, ეს იყო მოწოდება ოსი გლეხებისადმი, აჯანყებულიყვნენ ქართველ მემამულეთა წინააღმდეგ. მართლაც, თუ კი გლეხები არ სცნობდნენ მემამულეთა უფლებას და გააძევებდნენ მას, ხოლო შემდეგ ამ მამულს დაიჭირდა, ხელისუფლება იარაღის ძალით ამ „აჯანყებას“ ჩაახშობდა, ქართველ მემამულეს ამ დადგენილების თანახმად, უფლება ერთმეოდა ამ მიწაზე. შეიძლება მამული ერთ ხეობაში ყოფილიყო, ხოლო მემამულეს სახლ-კარი სულ სხვაგან ჰქონდა, ოს გლეხებს კი ამ ხეობის მამულებში არ ეცნოთ მემამულის უფლება, მაგრამ საერთოდ, არც შეხებოდნენ მემამულის სახლ-კარს, ხეობის აღებისას რუსის ჯარის მიერ ამ ხეობის მამულს მემამულე კარგავდა. ალბათ, სწორედ ასე უნდა გავიგოთ პასკევიჩის ზემოთ მოყვანილი განცხადება.

ასეთ დროს ვინ რჩებოდა მოგებული? მოგებულნი რჩებოდნენ, პირველ რიგში, აჯანყებული ოსები, რადგანაც მემამულე მოიშორეს, ასევე ხელისუფლება – პოლიტიკური მოწინააღმდეგებები, ქართველი მემამულები, ეკონომიკურად დასუსტდა.

ჩანს, სწორედ ცარიზმის ასეთი მიღებომის გამო გახშირდა ქართველ მემამულეთა საწინააღმდეგო გამოსვლები შიდა ქართლში. ოსი გლეხები მასიურად აღარ სცნობდნენ მემამულეთა უფლებებს. რუსი ხელისუფლება და თვით პეტერბურგის სენატი მხარს უჭერდა ოს გლეხებს იმით, რომ ქართველ მემამულეთა უფლებებს არ სცნობდა.

შიდა ქართლის მთიანეთსა და მთისწინეთში ფაქტიურად დაიწყო სამოქალაქო ომი თუ არა, რაღაც მსგავსი მაინც ოს გლეხებსა და ქართველ მემამულეთა შორის. ამ ომის ექო ათევლი წლების მანძილზე გაისმოდა არა მარტო შიდა ქართლში, არამედ თბილისა და პეტერბურგშიც.

რა პოზიცია ეჭირა, ვისი მხარე ეჭირა ქართველ გლეხს ამ „ომში“? ეს „ომი“ იყო არა ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი, არამედ სოციალურზე, აქ ეროვნებას მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, მაგრამ აღმინისტრაცია მას ეროვნულ სახეს აძლევდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროს მთელ რუსეთის იმპერიაში ბატონყმობა არსებობდა და ყმათა ფენებიდან მუდმივი გუგუნი გაისმოდა განთავისუფლებისათვის. საქართველოში, ისევე როგორც იმპერიაში, ყმა-გლეხებს განთავისუფლება სურდათ, ხოლო თუ ეს გათავისუფლება მიწით იქნებოდა – კიდევ უფრო უკეთესი.

შიდა ქართლში განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა. თუ მთელ იმპერიაში ხელისუფლება სასტიკად ახშობდა გლეხთა ყოველ გამოსვლას, აქ გლეხებს (ოლონდ ოსური ეროვნებისას) მემამულის მფლობელობისაგან განთავისუფლების საშუალება მიეცათ. ოს გლეხად ყოფნა სანატრელი ან სასურველი გახდა მის მეზობლად მცხოვრები ქართველი გლეხისათვის XIX საუკუნის 50-იან წლებში. ოსი გლეხები ფაქტიურად ბატონყმობისაგან გაათავისუფლეს.

როგორც ვთქვით, ცარიზმის ბატონობის დროს შიდა ქართლში ჩამოყალიბდა ეთნოფსიქოლოგიური მოვლენა – „ოსობა“. ოსი გლეხების სოციალურმა უპირატესობამ, პრივილეგიებმა საფუძველი დაუდო ეთნოფსიქოლოგიაში გადაზრდილ სოციალურ ფსიქოლოგიას: ოსად ყოფნა უკეთესია, სოციალურად მომგებიანია – ქართველთა გაოსებას ამით მყარი საფუძველი ჩაეყარა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გასაოცარ სოციალურ-ეკონომიკურ უპირატესობებს, რომელთაც ოსებს ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება მათი „გაქრისტიანებისა“ და ქართველ მემამულეთაგან „დაცვის“ მიზნით, ნათლად გამოჩნდება სურათი მთიელი ქართველი ტომების და შიდა ქართლელების გაოსებისა,

მათთვის მიმზიდველი გამხდარა „ოსობა“ (და აქედან ოსური ენა). თანამედროვე სამხრეთ ოსების ენას რომ ქართული ენის ძლიერი გავლენა აქვს, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მკვლევარებს, „ენობრივი მონაცემებით ვ. აბაევი თვლის, რომ ჩრდილო ოსური ენა უკანასკნელი ორასი წლის მიხედვით უფრო რუსული ენის გავლენას გვიჩვენებს, ხოლო სამხრეთ ოსური – ქართული ენისა“ (ი. მეგრულიძე, „სიძეველენი ლიახვის ხეობაში“ 1984 წ., გვ. 11). „ზოგი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების ერთიან წრმომავლობას, მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: დვალებს „ენა აქვთ ძველი, დვალური და აწ უბნობენ ოსურსა“ (იქვე, გვ. 70). დვალების გაოსება ცნობილია, მათ მსგავსად გაოსდნენ შიდა ქართლ ში ჩამოსახლებისა და ბარში დაბინავების შემდეგ, მათი „ზედაფენების ქვეშ“ მოქცეული ქართველებიც (გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ.; რ. თოფჩიშვილი, „XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოსტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ“, „მნათობი“, 1987 № 12, გვ. 161; რ. თოფჩიშვილი, „ქნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოსტორიული საკითხი (XVIII-XX სს), „მაცნე“ ისტორიის სერია, 1987 № 4, გვ. 34-35, 39; გიულდენშტედტი, დას. ნაშრომი და სხვა).

ჩვენ XIX საუკუნეში ქართლელი გლეხების გაოსების ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია 1851 წლის დადგენილება რუსეთის იმპერიის სენატისა, რომლითაც მან „...უკანონოდ ცნო მაჩაბლების ცდები ოსების დასაყმევებლად, მაგრამ აღიარა მიწაზე მაჩაბლების მემამულური უფლებები და ამ მიწით სარგებლობისათვის ნება დართო ოსებისაგან მოსავლის მხოლოდ ერთი მეათედი მიეღოთ. სხვა ხეობათა გლეხები ყმებად რჩებოდნენ“ (ქ.ს.ე. ტომი, „საქ. სსრ“, 1981, გვ. 338).

როგორც სენატის დადგენილება უჩვენებს, ისტორიულ სამაჩაბლოში, რომელიც ვრცლად იყო გადაჭიმული და შიდა

ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, ფაქტიურად გლეხები დაიყო კატეგორიებად ეროვნული ნიშნით: თუ გლეხი ეროვნებით ოსი იყო, ის ბატონებური უღლისაგან თავისუფლდებოდა. თუ გლეხი ეროვნებით ქართველი იყო, კვლავინდებურად ყმად რჩებოდა. ეს იყო უზარმაზარი მნიშვნელობის მოვლენა შიდა ქართლის გლეხობისათვის, მაგრამ რუსეთის სენატი ამიტომაც არ დაკმაყოფილდა, მან ფაქტიურად შიდა ქართლის გლეხობა ეკონომიკური თვალსაზრისითაც ორ კატეგორიად დაყო: თუ გლეხი ოსი ეროვნებისა იყო, მას უფლება ჰქონდა, ესარგებლა მემამულის მიწით და ამისათვის მხოლოდ ერთი მეათედი უნდა გადაეხადა მოსავლისა, მაშინ, როცა ქართველ გლეხს მემამულისათვის, რომელიც ამავე დროს მისი მებატონეც იყო, კვლავ ყმური წესით უნდა ეხადა გადასახადი მიწით სარგებლობისათვის.

მართლაც, შეუძლებელია ასეთი სოციალური პირობების გამო ქართველ გლეხებს არ ჰქონოდათ სურვილი გადასულიყვნენ „ოსების“ კატეგორიაში. ოსი პირადად თავისუფალი ან სახელმწიფო გლეხი გახდა, ის ეკონომიურად წელგამართული იყო, რადგანაც მოსავლის მხოლოდ მეათედს იხდიდა, ხოლო ქართველი გლეხი ბატონებობის უღელში შებმული არათავისუფალი გლეხი იყო.

მაშასადამე, 1851 წელს სენატმა სამაჩაბლოს ოსები ყმობისაგან გაათავისუფლა. სამაჩაბლოში ვისაც თავისუფლება სურდა, ოსად უნდა ჩაწერილიყო. პირობები ისეთი იყო, რომ ქართველად ყოფნას ოსად ყოფნა ჯობდა. ოსობა თავისუფლებისა და ეკონომიური სიძლიერის მომტანი იყო.

ჩანს, სწორედ ასეთი იყო შედეგები სენატის 50-იან წლებში და პასკევიჩის 30-იან წლებში გადაწყვეტილებებისა, მაგრამ იყო თუ არა ტენდენციური მათი მოქმედება?

როგორც ვთქვით, პასკევიჩმა საეჭვოდ გამოაცხადა მაჩაბლებისა და ქართველ მემამულეთა უფლებები შიდა ქართლის მიწებზე მაშინ, როცა ქართველ მეფეთა დროს ეს, უეჭველია, „დიდი ლიახვის აუზი ადრე შედიოდა ქართლის საერისთავთ-საერისთავოში, რომლის დაცემის შემდეგ ის უშუალოდ დაექვემდებარა მეფის ხელისუფლებას და იმართებოდა მოურავების მიერ. ... თავიდან მაჩაბლები იყვნენ წვრილი ფეოდალ-მიწისმფლობელები ლიახვის ხეობაში (მის ქვემო წელში). მათ თანდათან გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო მეფის ერთგული სამსახურით (XVI საუკუნეში). შემდგომ ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით და ადგილობრივი წვრილი მიწათმფლობელების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, გამოიჩინეს დიდი აქტიურობა თავიანთი სამფლობელოების გაფართოებისას როგორც შეძენის, ისე ახალი მიწების პირდაპირი მიტაცების გზით. XVII საუკუნის შეორენახევარში მაჩაბლებმა თვითნებურად დაიკავეს დაცარიელებული სახელმწიფო მიწები (სახასო) ლიახვის ხეობაში და მოსახლეებს ასახლებდნენ იქ. ქართლის ნაცვალმა ლევანმა (შაჰყულიხანმა) 1704 წლის სიგელით დაუმტკიცა ბაადურ მაჩაბლის შვილებს ფირანსა და ბორტს მამის მიერ მისაკუთრებული მიწები. მეფე იქსემ (ალიყულიხანმა) 1714 წლის სიგელით უწყალობა ბიძაშვილებს – ლევან, დავით, ფარს-ადან და ალხაზ მაჩაბლებს მთის სოფლები. „ისინი, რომელთაც იქ ჩაისახლებთ – წერდა ის – თქვენ გემსახურონ ისეთივე პირობით, როგორც სხვა მაჩაბლებს ემსახურებიან მათი მთიელები და დვალები“ (სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკ. I, გვ. 96-98).

აქედან სრულიად აშკარაა, რომ არა მარტო ქართლის მთიანეთის ერთი ნაწილი, არამედ დვალებით დასახლებული ტერიტორიებიც კანონიერად ეკუთვნოდათ მაჩაბლებს, მათი მფლობელობა დამტკიცებული იყო ქართველ მეფეთა სიგელებით.

ეს მიწები დაუსახლებელი იყო, შემდგომ მაჩაბლებმა იქ ჩაასახლეს ძირითადად გაოსებული დვალები, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მაჩაბლებს დაცარიელებული მთის მამულებში ქართლელი გლეხებიც ჩაესახლებინათ. ამ აზრის გამოთქმის უფლებას იძლევა ის, რომ მოღწეული დოკუმენტების თანახმად, მაჩაბლები თავიანთ გლეხებს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდნენ. მართლაც, ცნობილია, რომ ქართველი მიწისმფლობელები ახალი მიწების დასახლებისას ახალმოსახლეებს პრივილეგიებს ანიჭებდნენ გარკვეული წნის მანძილზე, რათა ისინი მიწაზე დაემაგრებინათ. ჩანს, ასევე იქცევიან მაჩაბლებიც: „მაჩაბლები ცდილობდნენ შეექმნათ საყრდენი თავიანთ გლეხებში ზოგიერთი მათგანისათვის განსაზღვრული პრივილეგიების მინიჭებით“ (იქვე, გვ. 109). ასეთი სათარხანო სიგელი მიუცია ლევან მაჩაბელს მადინა მელაძისა, მისი მმებისა და ბიძებისათვის XVIII საუკუნეში.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, პასკევიჩსა და, საერთოდ, რუსულ ხელისუფლებას არავთარი საფუძველი არ ჰქონდათ დიდი ლიახვის ხეობა და დვალებით (ოსებით) დასახლებული ქართლის მთიანეთი არ ეცნო ქართველ მიწისმფლობელთა (მაჩაბლების) მამულებად.

ითქვა, რომ მაჩაბლები თარხნობას, ანუ თავისუფლებას აძლევდნენ გლეხებს, თარხნები ყმებთან შედარებით პრივილეგიების მქონენი იყვნენ. აქედანაც ჩანს, რომ სამაჩაბლოში მცხოვრები გლეხები არ იყვნენ თავისუფლები და ისინი მაჩაბლების საკუთრებაში შედიოდნენ. ეს შეხება, ცხადია, ოსებსაც, რომლებიც მაჩაბლებმა ჩაასახლეს კიდეც დაცარიელებულ მამულებში. როგორც მეფე იესეს ზემოთ მოყვანილი სიგელიდან ჩანს, ოსები და დვალები ვალდებული იყვნენ გარკვეული პირობით ემსახურათ მემამულისათვის.

მართლაც, „ოსები, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ ქართველ მემამულეთა მიწებზე, გადაქცეულნი იყვნენ ყმა გლეხებად და ფეოდალური მორჩილების მძიმე ტვირთს ეწეოდნენ“ (იქვე, გვ. 108). ამას ადასტურებს სხვადასხვა ძველი სიგელები (იქვე, გვ. 108-109).

მაშასადამე, მაჩაბლების მიწებზე დასახლებული ოსები ყმა გლეხები იყვნენ, ანდა რაიმე საყმო პირობით დაკავშირებულნი ფეოდალთან, ამიტომაც სენატის 1851 წლის გადაწყვეტილება, რომელმაც არ სცნო მაჩაბლების მამულებში მცხოვრები ოსების ყმობა, უსამართლო იყო.

ცარიზმის ხელისუფალთა მიერ წაქეზებული გლეხები უარს აცხადებდნენ ყმობაზე, მაჩაბლებიც რუსეთის ხელისუფლებას მუდამ უმტკიცებდნენ, რომ მათ საუკუნოვანი უფლებანი ჰქონდათ მათზე. 1830 წელს მაჩაბლებმა საჩივარი თავიანთი გლეხების მიმართ შეიტანეს გორის სასამართლოში. მათ სასამართლოს წარუდგინეს ქართველ მეფეთა მიერ სხვადასხვა დროს მიღებული დოკუმენტები გლეხების ფლობის უფლების შესახებ. მათ განაცხადეს, რომ სამასი წლის მანძილზე ისინი მათ ფლობდნენ, საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს მეფის ხელისუფლებამ ცნო ეს უფლება. თავის მხრივ, გლეხმა-ოსებმა ასევე წარმოადგინეს ქართველ მეფეთაგან მიღებული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდნენ მემამულეთაგან მათ დამოუკიდებლობას. ოსმა გლეხებმა განაცხადეს, რომ ისინი მუდამ ცხოვრობდნენ თავისუფლად და თავისი ნებით არასდროს არ იხდიდნენ არავითარ გადასახადს, თუ კი ამას არ აიძულებდნენ (იქვე, გვ. 186).

1830 წლიდან 1845 წლამდე სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია, საქმის გარჩევა გაჭიანურდა. ამასობაში გლეხები მემამულეებს ებრძოდნენ, ხოლო ისინი ჩიოდნენ.

1845 წლის 12 დეკემბერს გორის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება: ჯავის, ურსძუარის და ძომაგის ხეობებში მცხოვრები ოსები დარჩნენ თავად მაჩაბლების მუდმივ მფლობელობაში (იქვე, გვ. 186).

სასამართლოს ასეთმა გადაწყვეტილებამ გლეხები არ დააკმაყოფილა. ცხადია, არც ხელისუფლება შეურიგდებოდა ქართული მხარის გაძლიერებას, ამიტომაც მეფისნაცვალმა ვორონცოვმა დანიშნა კომისია ამ საკითხის გამორკვევისათვის. მაგრამ თბილისის სასამართლო პალატამაც დაადგინა: „ოსებმა თავიანთი თავისუფლება ვერაფრით ვერ დაამტკიცეს“ (იქვე, გვ. 186). თბილისის სასამართლო პალატამ დაამტკიცა გორის სასამართლოს დადგენილება.

რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა სასამართლოთა ასეთ დადგენილებას? გაძლიერდებოდა შიდა ქართლში ქართული ელემენტი, გაძლიერდებოდა საერთოდ ქართული ეროვნული სული, რაც საფუძვლად დაედებოდა ქართული პოლიტიკური ძალის გაძლიერებას შიდა ქართლში. ყოველივე ეს სრულიად დაუშვებელი იყო ცარიზმისათვის, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჭარ-ბელაქანიდან მესხეთ-აფხაზეთამდე იბრძოდა სწორედ ქართული პოლიტიკური სიძლიერის მოსპონსისათვის. სწორედ ამ მიზეზის გამო, რასაც საბაბად ედო ვითომდა „სამართლიანობა“, ცარიზმა მაჩაბლების საქმე გადასცა სენატს, რომელიც ათასობით კილომეტრით იყო დაშორებული შიდა ქართლიდან, ადგილად შეეძლო არარსებული არსებულად მოეჩვენებინა. სენატი, ცხადია, იმპერიის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდა. სენატისათვის ეს საქმე იყო არა სამოქალაქო, არამედ პოლიტიკური საქმე, რაც მის დადგენილებაშიც გამოჩნდა. დადგენილებაში ნახსენებია არა „გლეხები“, არამედ „ოსები“. „ოსები“ სენატისათვის ეროვნება იყო, ხოლო მაჩაბლების თვალსაზრისით კი - ყმები. იმპერია არ დაუშვებდა, რომ ოსები

ქართველების მორჩილებაში დარჩენილიყვნენ, ყოველი ეროვნება თვით იმპერიას უნდა დამორჩილებოდა უშუალოდ. სენატმა გააუქმა თბილისის სასამართლო პალატის დადგენილება, ხოლო ოსები მაჩაბლების ყმად არ ცნო (იქვე, გვ. 186).

რუსეთის იმპერია იმ დროისათვის „სამართლებრივ“ სახელმწიფოდ აჩვენებდა თავის თავს, ხოლო ვორონცოვი ცნობილი იყო ქართველების „კეთილისმყოფელად“. ამიტომაც, ამ უკანასკნელმა სენატის დადგენილება არასწორად ჩათვალა (იქვე, გვ. 187) და საჭიროდ მიიჩნია უშუალო მოლაპარაკებები ეწარმოებინა მაჩაბლებთან. ვორონცოვს სურდა, მაჩაბლებს უარი ეთქვათ ოს გლეხებზე, რათა ისინი გადასულიყვნენ სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში, სანაცვლოდ მაჩაბლებს ჯილდო მიეცემოდათ; მაჩაბლები დათანხმდნენ, იმპერატორს ვორონცოვმა წარუდგინა შემდეგი წინადადება: 1. ჯავის, ურსძუარის, ძომაგის, ჩესელთის, ზრუგის, რუკისა და კოშკას ხევებში მცხოვრებ ოსებზე უფლებათა სანაცვლოდ მაჩაბლებს დაენიშნათ სამეტკვიდრო პენ-სია, წელიწადში ექვსი ათასი მანეთი ვერცხლით; 2. რადგანაც თავად მაჩაბლებს რჩებოდა უფლება დასახლებული ხეობების საკუთრებისა, ამიტომაც ოსები, რომლებიც ამ მიწებს იყენებდნენ, ვალდებული იყვნენ, მათთვის გადაეცათ მოსავლის მეათედი.

იმპერატორმა 1852 წლის 8 ივნისს დაადო რეზოლუცია „თანახმა ვარ“. აღნიშნულ მაჩაბელთა მამულებში აღმოჩნდა 1137 კომლი გლეხი.

„პირადი თავისუფლების მიღებისა და მაჩაბლების მამულებში საცხოვრებლად დარჩენის შემდეგ ოსი გლეხები აღმოჩნდნენ თავისებურ მდგომარეობაში: ისინი სახელმწიფო გლეხებად იყვნენ ჩარიცხული, მაგრამ ამავე დროს განაგრძობდნენ ამ ფეოდალებისათვის ფეოდალური რენტის გადახდას“ (იქვე, გვ. 187).

ოსმა გლეხებმა მოიპოვეს უდიდესი გამარჯვება – ისინი პირად თავისუფალნი გახდნენ 1852 წელს, იმ დროს, როცა ქართველ გლეხს ბატონიუმური უღლისავან კანონიერ განთავისუფლებასა და პირად თავისუფლებაზე ოცნებაც კი არ შეეძლო.

ოსი გლეხების განთავისუფლებისათვის სახსრები თვით სახელმწიფო გაიღო. თავისუფლების გარდა, ოსმა გლეხებმა ქართველ გლეხებთან შედარებით, როგორც ითქვა, ეკონომიკური უპირატესობაც მოიპოვეს. ისინი მიწით სარგებლობისათვის მოსავლის მხოლოდ მეათედს იხდიდნენ, მაშინ, როცა ქართველი გლეხი არც თავისუფალი იყო და არც ასეთი უფლება ჰქონდა.

მეათედის გადახდა თუ არ სურდა ოს გლეხს, მას, როგორც პირადად თავისუფალს, შეეძლო დაეტოვებინა მემამულის მიწა და სხვაგან გადასულიყო, იქ, სადაც უკეთესი პირობები იქნებოდა. ქართველ გლეხს, როგორც ყმას, ცხადია, თავისი მებატონის მიწის დატოვების უფლება არ ჰქონდა.

ოსებმა ისარგებლეს თავიანთი უფლებით, ისინი შეეხიზნენ სხვა მემამულეებს ქვემო ქართლის ბარში. ცხადია, მთებში ცხოვრებას ბარში, ნაყოფიერ მიწებზე ცხოვრება სჯობდა.

ოსების პირადი თავისუფლება და ნაყოფიერ მიწებზე დასახლების უფლება ქართველ გლეხს უბიძგებდა, ოსად გამოეცხადებინა თავისი თავი. მართლაც, როგორც ჩანს, მთიელი ქართველები ოსებად აცხადებდნენ თავიანთ თავს და, როგორც ოსები, ეხიზნებოდნენ ბარელ მემამულეთა მიწებს. შიდა ქართლში მკვეთრად იზრდება „ხიზანთა“ რიცხვი. ხოლო შიდა ქართლიდან გასული „ხიზნები“ ესახლებიან კახეთში, თრიალეთსა და სხვაგან.

„XVIII საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით იზრდება „ნებით მოსულ“, ანუ „ხიზან“ გლეხთა რაოდენობა. შემთხვევითი არაა, რომ ტერმინი „ხიზანი“ ამ დროს მკვეთრად

გამოხატულ სოციალურ შინაარსს იღებს. ზიზანი თავისებური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე გლეხის აღსანიშნავ ტერმინად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იქცა“ (საქ. ისტ. ნარკ. ტ. IV, გვ. 555).

ზიზნებს უწოდებდნენ გლეხებს, რომლებიც ერთი ფეოდალიდან მიდიოდნენ და ეფარებოდნენ მეორეს. ჩანს, მთიელები და მცირ მიწებზე მცხოვრები როგორც ქართველები, ისე ოსები ეზიზნებოდნენ ბარელ მემამულეებს. ბატონყმობის დროს მებატონეს სხვასთან შეხიზნულ ყმაზე უფლებები გააჩნდა. ოსური მოსახლეობა საერთოდ უარს აცხადებდა ყმურ მორჩილებაზე, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში მას მეფის ხელისუფლება მფარველობდა, ამიტომაც შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდა და მათვის ხიზნობა უფრო ნაკლებ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, 1811 წელს საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა ტორბასოვმა იმპერატორს წარუდგინა მოხსენება და მოითხოვა, რომ თაგაურის ხეობის მცხოვრებლები (ოსები) მოექციათ ქრისტიანობაზე მათი რუსეთთან დაახლოების მიზნით და მეფის „კეთილქვეშევრდომად“ გადაქცევისათვის. ამისათვის საჭირო გახდა, გაეთავისუფლებინათ ქსნის მამულ გვერდისძირის ოსები თავად ერისთავის დაქვემდებარებისაგან და სამაგიეროდ მათვის მიეცათ 10 000 მანეთი ვერცხლით (სამხ. ოს. ისტ. ნარკ. გვ. 171).

აქედან ჩანს, თუ რა მიზნით ათავისუფლებდნენ ოსებს ქართველი თავადის დაქვემდებარებისაგან ცარიზმის მოხელეები XIX საუკუნის დასაწყისში. კიდევ უფრო მეტი თავისუფლება და უფლებები მიანიჭა პასკევიჩმა ოსებს, ოსები სარგებლობდნენ ამით და მთებიდან ბარელ მემამულეებს ეზიზნებოდნენ. მემამულეებიც დაინტერესებული იყვნენ მუშა ხელით - „ოსი გლეხები, მცხოვრები დღევანდელ ქართლის რაიონში, ცხოვრობდნენ თავად ციციშვილების მიწებზე. მრავალი მათვანი გადმოსახლდნენ

მთის სოფლებიდან ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში თვით თავადების მიწვევით ხიზანთა უფლებით“ (იქვე, გვ. 202). ხიზნებს დიდი უფლებანი და უპირატესობანი პქონდათ ყმებთან შედარებით. ეს უფლება ძირითად ოს მოსახლეობას ენიჭებოდა. ჩანს, ქართველი მთიელებიც ოსებად აცხადებდნენ თავს ხიზნობის უფლების მოპოვებისათვის, ამას მიუთითებს მათი ქართული გვარები და ქართული ენის, როგორც დედა ენის ცოდნა. ხიზანთა რიცხვი განსაკუთრებით იმის შემდეგ უნდა გაზრდილიყო, რაც სენატმა 1852 წელს ბატონყმობისაგან გაათავისუფლა ოსი გლეხები. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ 1864 წლის რეფორმა ბატონყმობისაგან გათავისუფლების შესახებ მაჩაბლების ოსებს არ შეეხო, რადგანაც ისინი უკვე თავისუფლები იყვნენ: „1864 წლის რეფორმა არ გავრცელდა აგრეთვე თავად მაჩაბლების სამფლობელოში მცხოვრებ ოსებზე, რადგანაც ისინი ჯერ კიდევ 1852 წელს იყვნენ განთავისუფლებულნი ბატონყმური დამოკიდებულებისაგან“ (იქვე, გვ. 196). ეს ფაქტია, რომლის უარყოფა შეუძლებელია. საქართველოში ბატონყმობის გადავარდნამდე დიდი ხნით ადრე ყმობისაგან გათავისუფლებული ოსები და ამ მიზეზის გამო „გაოსებული“ ქართველები ხიზნების სახით ეფინებოდნენ შიდა ქართლის ბარსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებს.

„ხიზნის კატეგორიის მქონე გლეხები რეგიონში შედარებით მრავლად იყო: მათი დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო თავად ფალავანდიშვილების მამულებში (საფალავანდოში), დღევანდელი ზნაურის რაიონში. ეს ადგილები დასახლებულნი იყვნენ რეგიონის ცენტრალური რაიონებიდან გადმოსულებით – თავად მაჩაბლების და ასევე ქსნის ერისთავის სამფლობელოებიდან“ (იქვე, გვ. 172).

ხიზნებს ჩვეულებრივ გლეხთან შედარებით ის უპირატესობა პქონდათ, რომ ისინი პირადად თავსუფალნი იყვნენ და აგრეთვე

უფლება პქონდათ უვადო სარგებლობაში პქონოდათ მამულის მიწები. ხიზნები, როგორც ვთქვით, აქ იყვნენ ოსები ან „გაოსებული“ ქართველები, ხოლო ჩვეულებრივი გლეხები კი ადგილობრივი ყმები იყვნენ. ამ ყმასთან (ე.ი. ქართველთან) შედარებით ხიზანს (ე.ი. ოსს) ის უპირატესობა პქონდა, რომ ის თავისუფალი და მიწის მფლობელი იყო. აქედან ჩანს, თუ რა მაგიური ძალა პქონდა შიდა ქართლის გლეხის თვალში „ოსობას“. „ოსობა“ თავისუფლებასა და მიწის ქონებას ნიშნავდა, გლეხისათვის ეს ყველაფერს მოიცავდა.

„ხიზნები სხვა გლეხებისაგან განსხვავდებოდნენ იმით, რომ გააჩნდათ პირადი თავისუფლება და უფლება მემამულის მიწების უვადო მოხმარებისა“ (იქვე, გვ. 172).

მემამულეს, რომელიც ხიზანს მიიღებდა, იურიდიულად არ შეეძლო ის თავის ყმად გამოეცხადებინა (იქვე, გვ. 172). ხიზანსა და მემამულეს შორის უფლება-მოვალეობანი მტკიცედ იყო დადგენილი ხელისუფლების მიერ. მართალია, ხიზანი მემამულის მიწაზე ცხოვრობდა, მაგრამ თავისი საკარმიდამო ნაკვეთის გადასახადს არ იხდიდა, მიწების მოხმარებისათვის განსაზღვრულ გადასახადს იხდიდა. შეეძლო, ესარგებლა ტყითა და სარწყავი წყლით (იქვე, გვ. 173). ხიზნები, თავის მხრივ, ჯგუფებად იყოფოდნენ. პირველ ჯგუფში 10 დესეტინამდე მიწის მქონე ხიზნები შედიოდნენ. მემამულის მიწით სარგებლობისათვის გადასახადი უნდა ეხადათ. გადასახადი წელიწადში იყო 15 მანეთიდან 130 მანეთამდე, მიწის ფართობის მიხედვით (იქვე, გვ. 173). მემამულეები ხიზნებს დიდ შედავათებს აძლევდნენ. მაგალითად, მემამულის მიწაზე ბალის გაშენების შემდეგ ხუთი ან მეტი (12 წლამდე) ბალი ხიზანს ეკუთვნოდა, თითქმის მსგავსად იყო ვენახის გაშენებისას.

„ბარის სოფლებში ოს-ხიზნების რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა, ისინი ძირითადად მემამულე ფალავანდიშვილების,

აგრეთვე ზერხეულიძეების, ტეტიშვილების, ფავლენიშვილების და სხვათა მიწებზე“ (იქვე, გვ. 195).

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ბატონებმა ყმებზე უფლებები დაკარგეს, მამულები კი დარჩათ, ყოფილი ყმა ახლა თავისუფალი გლეხი გახდა, ყოფილი ბატონები თავიანთი ეპონომიკური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით გარკვეული პირობებით მიწებს დასამუშავებლად აძლევდნენ ყოფილ ყმებს – თავისუფალ გლეხებს. ამავე მამულში ცხოვრობდნენ ოსი ხიზნები, რომელიც ამ გლეხთან შედარებით უფრო ნაკლებ გადასახადს იხდიდნენ. უფრო შეტიც, ოსური წარმოშობის ხიზნებს აღარ სურდათ რაიმე გადასახადი ეხადათ მემამულის მიწით სარგებლობისათვის, ანდა ითხოვდნენ შეღავათებს, მემამულეებს კი სურდათ, მათაც ისეთივე გადასახადები ეხადათ, როგორც სხვა გლეხებს. ამაზე ხიზნები არ თანხმდებოდნენ.

„იმის გამო, რომ ხიზნები პირადად თავისუფალ გლეხებად ითვლებოდნენ, 1864 წლის რეფორმა მათზე არ გავრცელდა და მემამულეებმა დაიწყეს მათი უფრო მკაცრი ექსპლუატაცია.

საგლეხო რეფორმის შედეგ მრავალი მემამულე შეეცადა, გაესახლებინათ თავიანთი მიწებიდან ოსი ხიზნები, მაგრამ მტკიცე ბრძოლის შედეგად ამ უკანასკნელებმა შეძლეს დარჩენილყვნენ მემამულეთა მიწებზე“ (იქვე, გვ. 195).

მემამულეებმა ვერ შესძლეს, თავიანთი მიწებიდან გაესახლებინათ ოსი ხიზნები, „ოსი გლეხების ბრძოლა, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, გამოიხატებოდა როგორც გადასახადის გადახდის თავის არიდებით, ასევე მემამულეთა საწინააღმდეგო საჩივრებით, მათ წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლებით. თავიანთ მოთხოვნებს ისინი იხილავდნენ შეკრებებისას, ხოლო შემდეგ წერილობითი ფორმით უგზავნიდნენ ოფიციალურ ხელისუფლებას, თვით სენატსა და მეფეს... უგზავნიდნენ თავიანთ რწმუნებულებს

სამაზრო უფროსთან, გუბერნატორთან და კავკასიის მეფისნაცვალთან“ (იქვე, გვ. 198).

სიზნებს მემამულებისათვის არა თუ გადასახადების გადახდა აღარ სურდათ, არამედ ითხოვდნენ მიწებს, ტყეებს, საძოვრებს, უფრო მეტიც, ჰკლავდინენ მემამულეებს, უწვავდნენ სახლ-კარს, უჩეხავდნენ ტყეს, უნებართვოდ სარგებლობდნენ საძოვრებით, უხნავდნენ მიწებს (იქვე, გვ. 198).

ყველა ქართველი მემამულის წინააღმდეგ ბრძოლა იყო გაჩაღებული. ხერხეულიძეებს, მაჩაბლებს, ერისთავებს სახლ-კარი გადაუწვეს (გვ. 198), ასევე აზარალებდნენ ფალავანდიშვილებს (გვ. 198), ოუმცა ძალიან ეცადნენ, მაგრამ მემამულეებმა ვერ შესძლეს ხიზნების გადასახლება თავიანთი მამულებიდან: „კლასობრივი ბრძოლის სიმწვავეს ახასიათებს თავადი ხერხეულიძეებისა და გლეხების საქმე ყორნისში. მემამულეები თხოვდნენ მეფის ხელისუფლებას, გაესახლებინათ გლეხები მათი სამფლობელოებიდან, მაგრამ მტკიცე ბრძოლის შედეგად გლეხები დარჩნენ ხერხეულიძეთა მიწებზე“ (გვ. 199).

ფაქტიურად ხიზნებს დარჩათ კიდეც მემამულეთა მიწები. ეს იყო ცარიზმის ფარული ნება, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩათ იმ დროის მოღვაწეებს. ვორონცოვ-დაშკოვს განსაკუთრებით მიუქცევია ყურადღება ოსი-ხიზნების დაცვისათვის. მის დროის მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა. ოს ხიზნებს ფაქტიურად გადასცეს მემამულეთა მიწები. საერთოდ, ოს-ხიზნებს ეჭირათ ყველაზე საუკეთესო 10 დესეტინამდე მიწები მემამულეებისა, ფაქტიურად სწორედ ეს მიწები გადაეცათ უფასოდ ოსებს. იმ დროისათვის ნათლად გამოიკვეთა, რომ ცარიზმის ხელისუფლებას სურდა, შიდა ქართლი გადაეცა ოსი მოახალშენებისათვის, როგორც მტკვრის დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი (იხ. რევაზ გაბაშვილი, „რაც გამახსენდა“). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის იწყება ქართველთა გაოსების

ახალი ეტაპი. ხელისუფლების მიერ ოსებისათვის სოციალური პრივილეგიების მინიჭება ყველასათვის ცხადი ფაქტი გახდა. ხელისუფლების მიერ ქართული მიწების ხიზნებისათვის დაკანონებით ეს ხიზნები უკვე ხიზანყოფილები ანუ შიდა ქართლის მკვიდრი ხდებოდნენ. ამით კი ქართველთა პოლიტიკურ მდგომარეობას შიდა ქართლში საფუძველი შერყევია. ვორონ-ცოვ-დაშკოვის პროექტის განხორციელების შესაძლებლობა I მსოფლიო ომის დაწყებას მოუსპია (იხ. იქვე). ჩანს, ქართველები ტოვებდნენ სამაჩაბლოს, ქსნის ხეობას, საფალ-ავანდოს და საქართველოს სხვა კუთხებში ესახლებოდნენ როგორც ოსი ეროვნებისანი (ე.ი. მიწაზე უფლების მქონენი). „მრავალი ოსი გლეხი გადასახლდა დღევანდელ გორის, დუ-შეთის, ქარელის, ხაშურის, კასპის, ბორჯომის, მცხეთისა და საქართველოს სხვა რაიონებში. ისინი მემამულეებისაგან ასე-ვე არენდით იღებდნენ მიწებს, მათი ნაწილი სახელმწიფო მიწებზე მოაწყეს, სხვებმა იყიდეს საკუთარი მიწის ნაკვეთები“ (სამხ. ოსეთის ისტ. ნარკ. გვ. 202).

მართლაც, ოსების რაოდენობის მკვეთრი გაზრდა შეუძლებელი იყო მხოლოდ მათი ბუნებრივი გამრავლების გზით. მათ რიცხვს, ჩანს, დიდად შეემატა გაოსებული ქართლელი გლეხების რაოდენობა. სწორედ ისინი „ოსური დაფენების ქვეშ ოსდებოდნენ“, თანახმად მეცნიერისა. თუმცა, ჩანს, ამ „ოსებმა“ ქართული ენა იცოდნენ, ქართული წეს-ჩვეულებებისა და ადათების მატარებელი იყვნენ. ისინი მხოლოდ სოციალურად იყვნენ „ოსები“.

მართლაც, შიდა ქართლი ძალზე მჭიდროდ იყო დასახლებული XVII-XVIII საუკუნეებში, ამის შესახებ რუსი ელჩიც მიუთითებდა. ამიტომაც შეუძლებელია იმ ვრცელ ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობა იმ პროცენტით მოსპობილიყო, როგორიც მას გააჩნდა XX საუკუნის დასაწყისში. ცნობილია, რომ

ოსი მოსახლეობა ცხოვრობდა მაჩაბლების, ქსნის ერისთავების, ფალავანდიშვილების კრცლად გადაჭიმულ მიწებზე, ასევე თავადების: ხერხეულიძეების, დიასამიძეების, ამირეჯიბების, დავიდოვების, ფავლენიშვილების, თუმანიშვილების, წერეთლების; აზნაურების თულაშვილების, მედეგნიშვილების, მახატელების, ზარდიაშვილების, ჩერქეზიშვილების, ბატიაშვილების მიწებზე (იქვე, გვ. 174). ცხადია, იქ, სადაც იყვნენ ქართველი თავადები და აზნაურები, იყვნენ ქართველი გლეხებიც, ამ ვრცელ მიწებზე, ცხადია, ქართველი გლეხები ცხოვრობდნენ, XX საუკუნის დასაწყისში კი აღმოჩნდა, რომ ამ ვრცლად გადაჭიმულ მამულებში ქართველი გლეხები თითქმის ან აღარ ცხოვრობდნენ, ანდა მცირე პროცენტს შეადგენდნენ. ისტორიულად ამ ვრცელ მიწებზე თუ კი ქართველი მემამულეები იყვნენ, ქართველი გლეხებიც იქნებოდნენ და თუ კი მემამულეები დარჩნენ, გლეხები ასე ერთბაშად როგორ ამოწყდნენ და ქვეყანა ოსი გლეხებით დასახლებული როგორ აღმოჩნდა? ცხადია, ქართველი გლეხები გაოსდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ ვ. აბაევის აზრი: „მოსულმა ალანებმა, რა თქმა უნდა, მათ მიერ კავკასიაში დაკავებულ მიწებზე ნახეს არა დაუსახლებელი უდაბნო, არამედ რაღაც ძველი მოსახლეობა...“ (ვ. აბაევი, ოსური ენა და ფოლკლორი, გვ. 76, რუსულ ენაზე). აქ იგულისხმება ცენტ-რალური კავკასიონის მთიანეთი, სადაც ალანები დასახლდნენ, ხოლო რაც შეეხება შიდა ქართლს, ცნობილია, აქ დგალეთის მთებიდან ჩამოსახლდნენ გაოსებული დვალები, ხოლო მათი მეშვეობით ამ „ოსური დაფენების ქვეშ მოქცეულა“, ქართლელი გლეხებიც გაოსდნენ, ცხადია, ცარიზმის ხელისუფლების აშკარა მცდელობით. ცარიზმი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ოსების საკითხით. ისინი მას არა მარტო საქართველოში მიაჩნდა თავის დასაყრდენად, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც ოსებს განსაკუთრებული პრივილეგია მიენიჭათ.

როგორც ყოველივე ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, ცარისტული ხელისუფლება განსაკუთრებით მფარველობდა ოს მოსახლეობას. ეს დამახასიათებელი იყო არა მარტო შიდა ქართლისა და საქართველოში მცხოვრები ოსების მიმართ, არამედ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების მიმართაც.

ცნობილია, თუ რა დიდ სიძნელებს წააწყდა რუსეთის იმპერია ჩრდილო კავკასიაში. მის წინააღმდეგ თითქმის ყველა ხალხი იარაღით იბრძოდა, განსაკუთრებული გამონაკლისი იყო ოსური მოსახლეობა“, ოსების ძირითადი მოსახლეობა რუსეთის ერთგული რჩებოდა. ოსებმა არც შეის მანსურს დაუჭირეს მხარი 1785-1786 წლებში, როცა მან თურქეთის მიერ წაქეზებული, რუსეთის საწინააღმდეგოდ განწყობილი ჩრდილო კავკასიის ზედა ფერები დარაზმა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ... ემისრები ოსებთან გამოცხადდნენ. ოსები არ აჰყვნენ ჩეჩენ წინასწარმეტყველის მოძღვრებს“. ოსი გლეხობა რუსეთის ხელისუფლებისაგან მოელოდა შველას და ერთგულების ფიცს არ ღალატობდა“. (მიხეილ გონიკაშვილი, საადგილმამულო საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში, 1984 წ., გვ. 70-71).

„ოსეთის მშრომელი მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის დახმარებით ცდილობდა ბარში ჩამოსახლებას და შემდეგ ფეოდალთა შევიწროებისაგან თავის დაღწევას. ამიტომ იყო, რომ ოსი ხალხი რუსეთთან კავშირისაკენ მიისწრაფოდა და ყოველთვის ერთგული იყო მიცემული ფიცისა“ (იქვე, გვ. 78).

ოსები რუსეთის ხელისუფლებისაგან ეძიებდნენ მიწების მოპოვებას, ხოლო ეს ხელისუფლება ოსების სახით თავის დასაყრდებს კავკასიაში. „ოსი ხალხი რუსეთის მფარველობისაკენ მიისწრაფოდა. რუსეთთან დაახლოებისაკენ ოსებს, პირველ რიგში, სახნავ-სათესისა და სათიბ-საძოვრების უკიდურესი სიმცირე უბიძგებდა“ (იქვე, გვ. 61).

ჩრდილო კავკასიელი მაპმადიანი ხალხების თურქეთში გადასახლების შედეგად რუსეთის ხელისუფლებას რჩებოდა მიწის უზარმაზარი ფონდი, აյ იმ მიწებზე ხელისუფლებას სჭირდებოდა თავისი ერთგული მოსახლეობის, ანუ ოსების დამკვიდრება. „მას აწყობდა დაუმორჩილებელი მთიელების იმპერიის საზღვრებიდან მოცილება, მათი გადასახლებით ხომ მხარეში მყარი სიმშვიდე დამკვიდრდებოდა. თანაც უზარმაზარი ფონდი განთავისუფლდებოდა, რაც აუცილებელი იყო ახალი ჩამოსახლებულებისათვის, რათა ცარისტული რეჟიმისათვის სამუდამო და მყარი დასაყრდენი შექმნილიყო ჩრდილო კავკასიაში“ (იქვე, გვ. 158).

მთიელი ოსები მიწების დიდ უკმარისობას განიცდიდნენ და მათვის ბარში ჩასახლება დიდი ბედნიერება იყო. „ოსეთის მოსახლეობის რიცხვის შეფარდება მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიასთან ცხადყოფს, რომ ოსები მიწის უკიდურეს უკმარობას განიცდიდნენ“ (იქვე, გვ. 58).

ოსებს მიეცათ ბარის საუკეთესო მიწები. მთიელები იქ ჩასახლების შემდეგ გამრავლდნენ და გამდიდრდნენ. თავისი გავლენის გაზრდის მიზნით ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია ოსებისა და მთიელების გაქრისტიანება. ქრისტიანული რელიგიის გავრცელება რუსეთის ხელისუფლებისათვის იყო არა სარწმუნოებრივი აქტი, მიმართული ადამიანთა სულების გადარჩენისათვის, არამედ პოლიტიკური აქტი, სახელმწიფოს გაძლიერებისაკენ მიმართული – „რუსეთის მთავრობა ჩრდილო კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების ერთ-ერთ პირობად აქ ქრისტიანობის კვლავ აღდგენას თვლიდა. ამიტომ ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებას“ (იქვე, გვ. 61).

„ოს ფეოდალებს (ალდარებს) ქრისტიანობის მიღებისთანავე რუსეთის მთავრობის მითითებით ჩინები ეძღვოდათ შესაფერისი

ჯამაგირებით. მეფის მთავრობა ამგვარად ცდილობდა ოსი ხალხის ზედაფენის წარმომადგენელთა რუსეთის მხარეზე გადმობირებას. მშრომელი მოსახლეობა კი ბუნებრივად იყო რუსეთისადმი კეთილად განწყობილი, რაც ძირითადად სათიბ-საძოვრებით დაინტერესებით იყო გამოწვეული. მეფის მთავრობის აქაური წარმომადგენლები მათ სხვა პრივილეგიებთან ერთად მიწის დიდ ნაკვეთებს ჰქონდებოდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მთის მოსახლეობა ბარისაკენ დაიძრა. მთიდან ბარში მასიურად ჩამოსახლების შედეგად ჩრდილო ოსეთის მოსახლეობამ მკვეთრად გაიუშვილესა ცხოვრების პირობები, ბარში ნოყიერი მიწებისა და უკეთესი ბუნებრივი პირობების შედეგად მოსახლეობამ დაკლების ნაცვლად სწრაფი ტემპით იწყო მატება. საადგილმაშულო რეფორმის წინ, 1869 წელს, ჩრდილო ოსეთის მოსახლეობის რიცხვი 66 ათას სულამდე გაიზარდა, 1890 წ. კი 160 ათასი სული შეადგინა“ (იქვე, გვ. 65). ბარის მიწები, რომლებზედაც ოსები სახლდებოდნენ ან რუსეთის მიერ თურქეთში გადასახლებულ მოსახლეობას, ანდა ადგილზევე დარჩენილი მოსახლეობა პრეტენზიას აცხადებდა მათზე, როგორც მამაკაპეულზე. „ყაბარდოელი თავადები ჩამოსახლებულ ოსთა მიერ დაკავებულ ვლადიკავკაზის დაბლობს თავის საკუთრებათ თვლიდნენ და მასზე ოსების დასახლებას საკუთრების ხელყოფად მიიჩნევდნენ“ (იქვე, გვ. 66). ყაბარდოს მიწებზე ოსები ადრევე ოცნებობდნენ, იქ დამკვიდრებას რუსეთის მეშვეობით ცდილობდნენ – „ისინი ფიქრობდნენ, რომ რუსეთის ყაბარდოში დამკვირებით მთისწინა დაბლობები სახელმწიფო მიწებად გამოცხადებოდა და, თუ ოსები რუსეთის ქვეშევრდომობაში იქნებოდნენ, ხსენებული მიწებით სარგებლობის უფლებას მიიღებდნენ“ (იქვე, გვ. 61).

ოსები ჩაასახლეს მიწებზე, რომელთაც ყაბარდოელები თავისად თვლიდნენ. ეს მომენტი საინტერესოა იმით, რომ მსგავსადვე

შიდა ქართლში რუსეთის ხელისუფლება ოს მოსახლეობას ასახლებდა მიწებზე, რომელნიც ქართველ მფლობელებს ეკუთვნოდათ. ცხადია, მემამულეები ითხოვდნენ გადასახადს მიწით სარგებლობისათვის, მოახალშენებს კი ეს არ სურდათ, რაც იწვევდა ურთიერთუკმაყოფილებას. მსგავსადვე იყო ჩრდილო კავკასიაშიც. როგორც აღინიშნა, „ყაბარდოელი თავადები ჩამოსახლებულ ოსთა მიერ დაკავებულ ვლადიკავკაზის დაბლობს თავის საკუთრებად თვლიდნენ და მასზე ოსების დასახლებას საკუთრების ხელყოფად მიიჩნევდნენ. ამის გამო, ახლად ჩამოსახლებულებს თავიანთ ხელქვეითებად თვლიდნენ და მათგან გადასახადებს მოითხოვდნენ ... ოსები და ინგუშები ამ გადასახადისაგან რუსი სამხედრო ხელმძღვანელობის დახმარებით განთავისუფლდნენ XIX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულში. დაბლობ ადგილებში ოსები მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნებით დასახლდნენ და ამიტომ არ არიან ვალდებულნი ყაბარდოელ მფლობელებს მიწით სარგებლობისათვის გადასახადი უხადონ“ (იქვე, გვ. 66).

აქედან ჩანს, რომ ოსების მფარველი თვით რუსეთის იმპერატორია, მისი ნებით მთებიდან დაბლობებში ესახლებიან, როგორც იმიერ, ასევე ამიერკავკასიაში.

XIX საუკუნის 30-იან წლებში როგორც შიდა ქართლში, ისე ჩრდილო კავკასიაშიც, ოსებს რუსული ხელისუფლება დიდ პრივილეგიებს ანიჭებდა. სწორედ ეს იყო მიზეზი შიდა ქართლის „გაოსებისა“, როგორც ეთნო-სოციალური მოვლენის გამარჯვებისა.

ბარში ჩასახლებულ ოსებს ცარიზმი ეხმარებოდა: „ახლადჩამოსახლებულს მთიდან თუ თითო-ოროლა ცხვარი, ერთი ძროხა, იშვიათად ცხენი ჩამოყვა, რამდენიმე წლის შემდეგ ძნელი მოსაძებნი იყო კომლი, რომელსაც 10-20 ცხვარი, ორი ძროხა, უღელი ხარი და ცხენი არ ჰყოლოდა ...

ჩამოსახლებაშ მუდმივი გაჭირვებისაგან იხსნა როგორც მთაში დარჩენილი მოსახლეობა, ასევე ბარში დასახლებულებიც ... ბარში ჩამოსახლებით მშრომელი მოსახლეობა წელში გაიმართა“ (იქვე, გვ. 68-69).

მთავრობა მიწებს ყველას კი არ აძლევდა, არამედ ოსებს, ოსები მდიდრდებოდნენ. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ქართველები მსგავსი სოციალური მიზეზების გამო გამაჰმადიანდნენ (გათაორდნენ, გალეკდნენ), გასომხდნენ, გააფხაზდნენ. ქართველთა გაოსებაში რელიგიური მომენტიც ერია (ჩემი შრომის დაწერის შემდეგ გამოქვეყნდა როლან თოფჩიშვილის სტატია, რომელშიც აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ ქართველთა გაოსების პროცესი მე-20 საუკუნეშიც გაგრძელდა და მიმდინარეობს ამჟამადაც. მეცნიერი წერს - „თვით ჩვენც არაერთი შემთხვევა გვქონდა შიდა ქართლის მთიანეთში გვენახა გაოსებული ან გაოსების გზაზე შემდგარი ქართველები. ასეთი ეთნიკური პროცესების ერთადერთი მიზეზი, ქართველთა მცირე ნაწილის მრავალრიცხოვან ოსურ ეთნიკურ გარემოში მოხვედრაა“ (რ. თოფჩიშვილი, ლიტერატურული საქართველო, 19 იანვარი 1990 წ. „ისტორიის შეგნებული გაყალბება თუ...“ გვ. 12). მეცნიერი იქვე წერს: „ახლა ქართველთა გაოსების ფაქტებს უნდა დავუბრუნდე იმიტომ, რომ ასეთი პროცესები შიდა ქართლის მთიანეთში მეტ-ნაკლებად დღესაც მიმდინარეობს. შეიძლება ვინმე შემომედავოს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთში ხდებოდა ქართველთა ეთნიკური თვთშეგნებიდან მიქცევა. ასეთი პროცესები განსაკუთრებით იმ დროიდან ხდება, როცა ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნის. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ქართველთა გაოსება“ (იქვე).

„ჩვენ მხოლოდ ორიოდე მაგალითი მოვიყვანეთ ქართველთა გაოსებისა XIX-XX ს. -ში. ასეთი პროცესები ხომ უფრო ადრეც იყო. სწორედ ასეთი გაოსებული ქართველები არიან ის ოსები,

რომელთა გვარები -ურ და -ძე სუფიქსებით ბოლოვდება. ისტორიის უკან დაბრუნება შეუძლებელია... რომ არ შემომედავონ, კიდევ ერთ გაოსებულ ქართულ გვარს დავასახელებ - გერგაული (გერგაულოვი)...“ (ლიტ. საქ. 26.I.1990 წ. გვ. 14).

ნ. გრიგალაშვილი კი ეხება XIX საუკუნის ამბებს: „მეფის მთავრობამ ერთი ასეთი პროექტიც შეიმუშავა ქართველების აყრა-გადასახლების მიზნით: ტირიფონის ველის გარშემო მიმდებარე სოფლებიდან განზრახული იყო 40000 ქართველი გლეხის აყრა და იქ სამხედრო პოლიგონის მოწყობა. ამას წინ უსწრებდა იმავე მთავრობის მიერ შედგენილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ოსი ხიზნებისათვის ქართული მიწების სამუდამო მფლობელობაში გადაცემას. კავკასიის ქედიდან მეჯვრისხევამდე (მდ. მეჯუდა) საციციანოსა და საჯავახოში, ათიათასობით დესეტინა მიწა უფასოდ უნდა გადასცემოდათ ოსებს. ეს მაშინ, როცა ქართველი გლეხები ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჯერ კიდევ გამოსასყიდ ფულს იხდიდნენ იმ მიწებისას, რომელზეც ესახლნენ“ (ნ. გრიგალაშვილი, „ისტორიის გზაჯვარედინზე“, „სოფლის ცხოვრება“, 1990 წელი 4 იანვარი).

გაოსების რელიგიური მომანეთი

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობა ხშირად ეროვნებასა და სარწმუნოებას ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებდა და სარწმუნოება დომინირებდა ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისას. მაგალითად, ოურქეთის იმპერიაში ყველა მართლმადიდებელს, მიუხედავად მისი ეროვნული კუთვნილებისა, „ბერძნებად“ თვლიდნენ („ბერძნებად“ ითვლებოდნენ თვით რუმინელები, ბულგარელები და სხვა მართლმადიდებელი ერებიც კი), „სომეხი“ ყველა გრიგორიანს

ეწოდებოდა, „ფრანგი“ – კათოლიკეს. ქართველთა ფსიქოლოგიით ყოველი ადამიანი, რომელიც მაპმადიანურ სარწმუნოებას მიიღებდა, „თათარი“ ხდებოდა. ასე იქცნენ გრიგორიანი ქართველები „სომხებად“, ხოლო კათოლიკენი – „ფრანგებად“.

მაშასადამე, სარწმუნოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის ეროვნების განსაზღვრისას.

წარმართობაც განუვითარებელი სარწმუნოებაა. ქრისტიან ქართველებს ზემოთ აღნიშნული ფსიქოლოგიური დამოკიდებულების გამო არაქრისტიანი, ანუ გაწარმართებული ქართველი შეეძლო ცუდ ქართველად, ანდა არა ქართველად მიეჩნია, მით უმეტეს, რომ გვიან შუა საუკუნეებში „ქართველი“ მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველის აღმნიშვნელად იქცა გარკვეული თვალსაზრისით. ცხადია, ასეთი თვალსაზრისის მატარებელი იყვნენ მხოლოდ ფართო მასები მოსახლეობისა და არა ნაწიავლი, მოაზროვნე ადამიანები.

განვიხილოთ ეს საკითხი გაოსებასთან დაკავშირებით. ოსალანებს გააჩნდათ თავიანთი ეროვნული სარწმუნოება – წარმართობა, ეს იყო თავისებური თაყვანისცემა ბუნების ძალებისა და ოსური წარმართული ღვთაებებისა, რომელიც შეერთებული იყო ქრისტიანულ სახეშეცვლილ ელემენტებთან. ერთი სიტყვით, ეს იყო ოსური ეროვნული სარწმუნოება.

როგორც ვთქვით, მართლმადიდებლობა ერთ დროს ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად იყო მიჩნეული. „ქართველი“ ამავე დროს მართლმადიდებელსაც ნიშნავდა (ასე იყო ძირითადად XIX ს-მდე საქართველოში, რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში მრავალი არაქართველი მართლმადიდებელი ესახლებოდა, რამაც, ცხადია, ასეთი წარმოდგენა შეცვალა).

ოსური ეროვნული სარწმუნოება ძლიერ განსხვავდებოდა მართლმადიდებლობისაგან, მაგრამ ამავე დროს თავისი სიმარტ-

ივისა და უბრალოების გამო კავკასიელი მთიელების ერთ ნაწილზე ზეგავლენა მოუხდენა.

თემურლენგის შემდეგ კავკასიელ ტომებში მაპმადიანობა გავრცელდა, მხოლოდ დვალები, ცენტრალური კავკასიის მთებში მცხოვრები, ძველებურად ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას, მაგრამ დვალეთში ოსთა დამკვიდრების შემდეგ დვალებმაც შეითვისეს ოსური სარწმუნოება, ანუ ოსური წარმართობა, თუმცა კი ის შეაზავეს ქრისტიანული ელემენტებით.

ცნობილია, რომ ვახუშტის ქართლის მთიანეთში დამკვიდრებული ოსები მიაჩნდა არა „ალანებად“, არამედ დვალებად. დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცენტრალური კავკასიონის მთებში ცხოვრობდა იმ დროისათვის და ვახუშტის დაკვირვებით ისინი ნათესავურ ურთიერთკავშირშიც იყვნენ ერთმანეთთან. ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებული ოსები (ნარმამისონის გარდა) ეთნიკური წარმომავლობით არადვალური წარმოშობისანი იყვნენ (ე.წ. ალანური), ამიტომაც „ზოგი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრელი ოსების ერთიან წარმომავლობას“ (ი. მეგრელიძე, „სიძველენი ლიაზვის ხეობაში“, 1984, გვ. 10).

დვალები „ალანების“ (ოსების) მოსვლამდე კავკასიაში მცხოვრები იბერიული ხალხი იყო. მათ გაოსებაში უთუოდ დიდი წვლილი შეიტანა მათ მიერ ქრისტიანობის დაკარგვამ და ოსური წარმართული სარწმუნოების შეთვისებამ. დვალების მიერ ქრისტიანობის დაკარგვისა და გაწარმართების შესახებ მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი.

დვალები, როგორც ცნობილია, გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლდნენ ქართლის მთიანეთში, დასახლდნენ ლიაზვის, ქსნის, ზემოწელსა და კუდაროში. ცხადია, აქ მათ დახვდნენ ქართველი მთიელები. ამ დროისათვის, ჩანს, აქაურ ქართველთა შორისაც შესუსტებული იყო ქრისტიანობა. ეს პროცესი მათში კიდევ

უფრო გაუღრმავებია დვალების (ოსების) მეზობლობას. ამის შესახებ წერს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი: „კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომელთაც რელიგიასთან ერთად ენაც დაივიწყეს“ (გიულდენშტედტი, „მოგზაურობა საქ-ართველოში“, ტ. I, გვ. 185).

ე.ი. ზოგადი სურათი ასეთია: XVIII საუკუნის დასაწყისში, ვახუშტის დროისათვის, დვალებში შესუსტებულია ქრისტიანული სარწმუნოება და ისინი ოსდებიან, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს, გიულდენშტედტის დროს, ამ ოსურ (ე.ი. დვალურ) გარემოში მცხოვრები ქართველები კარგავენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ისინი, ცხადია, რელიგიის გარეშე არ რჩებიან, არამედ იღებენ მარტივ სარწმუნოებას, ე.ი. ოსურ წარმართობას.

გაოსების ერთ-ერთი მიზეზი ქართველთა მიერ ეროვნული სარწმუნოების (მართლმადიდებლური ქრისტიანობის) დაკარგვისა, ოსური სარწმუნოების შეთვისებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სარწმუნოების დაკარგვის გამო ქართული მოსახლეობის ოსებად გამოცხადება მოხდა ხელისუფლებისა და რუსი სამღვდელოების მიერ XIX საუკუნის დასაწყისიდანვე.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე ქართველი სამღვდელოება გარკვეული იყო საქმის არსში და ქრისტიანობა დასუსტებულ ქართველ მთიელებს (თუშ-ფშავ-ხევსურებს, მოხევეებს თუ ქართლის მთიელებს) შესაბამისი მეთოდებით ეპყრობოდა.

ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ ეკლესიის ახალი, არაქართული, ხელმძღვანელობა ძალზე სწორხაზობრივად უდგებოდა საქართველოში არსებულ სარწმუნოებრივ მდგომარეობას. კერძოდ, თუ კი აქამდე ქართველი გრიგორიანების (იგულისხმება ფილიპე ყაითმაზაშვილი და სხვანი), ქართველი კათოლიკების (ვთქვათ სულხან-საბა), ქართველი მაჰმადიანების (ვთქვათ მეფე

გიორგი XI), არისტოკრატიული ნაწილი ქართველად ან „საქართველოს შვილად“ თვლიდა თავის თავს და ასევე ითვლებოდნენ კიდეც სამღვდელოთა მიერაც, ვითარება შეიცვალა რუსთა შემოსვლის შემდეგ. რუსულმა ხელისუფლებამ ყველა არა მართლმადიდებელი ქართველი მათი სარწმუნოების შესაბამის ერებს მიაკუთვნა.

რუსულ ხელისუფლებას თან შემოჰყვა საქმის წარმოების ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც მოითხოვდა მოსახლეობისაგან სხვადასხვა ანკეტებისა და საბუთების შევსების დროს დაესახელებინათ თავიანთი ეროვნება.

მოსახლეობის დაბალი და საშუალო ფენები ეროვნებასა და სარწმუნოებას ერთმანეთთან აიგივებდა, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი გრიგორიანები ენით, ადათ-წესებით, ჩვეულებებით ქართველები იყვნენ, ხელისუფლებამ სხვადასხვა საბუთებში მათი რჯულით „სომხობა“ ეროვნების გრაფაში შეიტანა. რჯულით სომხები ეროვნებით სომხებად იქცნენ, მათ აუკრძალეს ქართულენოვანი განათლების მიღება და სომხურენოვანი დანერგებს. მაგალითად, ქართველი მაჰმადიანები ეროვნებით არაქართველებად აღრიცხეს. თუმცა, ქართული კულტურული წრეებისათვის კარგად იყო ცნობილი არამარტო მაჰმადიანების ნამდვილი ეროვნება, არამედ წარჩინებულთა მრავალი ოჯახის ქართული გენეალოგიაც კი. როგორც ვხედავთ, რუსული ხელისუფლება საქართველოში არსებულ სარწმუნოებრივ ვითარებას განიხილავდა არა დიფერენცირებულად, არამედ სწორხაზოვნად.

როგორც ვთქვით, რუსების ხელისუფლების დამყარების დროს საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობა შესუსტებული იყო და მთიელები ქრისტიანულ-წარმართულ წეს-ჩვეულებებს მისდევდნენ. ასევე იყო შიდა ქართლშიც, აქ ჯერ დვალებმა, ხოლო შემდეგ ქართლელმა მთიელებმა სარწმუნოება (ქრისტიანობა) დაკ-

არგეს, როგორც გიულდენშტედტი და ვახუშტი წერენ. საქართველოს ეკლესიის გაუქმების საბაბის გამოძებნის დროს რუსული სამღვდელოება ქართველ სამღვდელოებას მრავალ სარწმუნოებრივ ცოდვა-უწესობას მიაწერდა. ასეთ სიტუაციაში ქართველი სამღვდელოება მუდამ აცხადებდა, რომ მან მძიმე პირობებში შეძლო შეენარჩუნებინა ქართველი ერისათვის ქრისტიანობა, რომ ყოველი ქართველი არის მტკიცე მართლმადიდებელი. ეს მტკიცება რუსეთის ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. თუ კი ყველა ქართველი მტკიცე ქრისტიანია, მაშასადამე, წარმართები და არაქრისტიანები ქართველები არ არიან. მართლაც, მთიელები მოუნათლავები იყვნენ და ამიტომაც რუსების მიერ არაქრისტიანებად მიიჩნეოდნენ მოუნათლავობის გამო. არაქრისტიანები რუსებისათვის არაქართველები იყვნენ. ეს ძირითადად ქართლის იმ ქართველ მოსახლეობას შეეხო, რომელიც, გიულდენშტედტის თანახმად, ოსურ გარემოში ცხოვრობდა და ამის გამო ქრისტიანობა დაკარგული ჰქონდა.

ასეთი იყო რუსული მიღომა მოუნათლავი ქართველებისადმი, რომელნიც, ცხადია, მრავლად ცხოვრობდნენ ოსთა (დვალთა) შორის, რუსებისათვის ისინიც „ოსები“ იყვნენ.

როგორია უნათლავი ქართველების დამოკიდებულება თავისი ეროვნების მიმართ? ამ ქართველებსაც სურთ, რომ „ოსებად“ ითვლებოდნენ. რატომ?

რუსულმა ხელისუფლებამ გაქრისტიანებისათვის ჯილდო დააწესა და ეს ჯილდო ძალზე დიდი იყო. ქრისტიანობის მიღების პირობად რუსული ხელისუფლება ოსური ეროვნების (და არა სხვა ეროვნების) გლეხებს მებატონისაგან განთავისუფლებას და მიწის მიცემას პპირდებოდა. ეს ისეთი პირობა იყო, რომ „ოსობაზე“, ანუ ხელახლა „გაქრისტიანება“, „განთავისუფლებასა“ და მიწა-წყალზე არა თუ ვინმე უარს იტყოდა, არამედ სანატრელიც იყო.

მთელი ქართული ბატონყმობის წესი, რომელიც შეცვალა რუსულმა ბატონყმობამ, სხვა რიგზე იყო მოწყობილი. თუ ადრე ქართველ ბატონსა და მის ყმას შორის არსებობდა ადამიანური ურთიერთობა, რაც განპირობებული იყო ძველი პატრონ-ყმობის გადმონაშთებითა და არახელსაყრელი საგარეო ვითარებით, რაც ბატონს აიძულებდა ყმასთან ახლო ურთიერთობა ჰქონოდა. რუსეთში ყმა ფაქტიურად მონის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიტომაც სწორედ ბატონყმობის დროინდელი მკვლევარები (მაგ. ალექსანდრე ორბელიანი) ქართულ ბატონყმობას არც კი მიიჩნევდნენ ბატონყმობად, იმდენად განსხვავდებოდა ის რუსული, ანუ ახლადშემოღებული ბატონყმობისაგან.

ასეთ პირობებში ყველას სურდა განთავისუფლება, ვინც უნდა ყოფილიყო ის, ოსი (დვალი) თუ გიულდენშტედტის მიერ აღწერილი ოსთა შორის მცხოვრები ქრისტიანობადაკარგული ქართველი. ბარელ ქართლელ გლეხს არ სურდა განთავისუფლება? განთავისუფლებით კი ხელისუფლება მხოლოდ ოსური ეროვნების მქონე გლეხებს ათავისუფლებდა (ეს ასე მოხდა სენატის რეზოლუციის წყალობით 1850-იან წლებში, მაგრამ ახლა ჩვენ ვეხებით XIX საუკუნის დასაწყისს – 10-იან-30-იან წლებს). გათავისუფლების პირობად ხელისუფლებამ „ოს“ (ანუ მოუნათლავ) გლეხებს პირობად დაუდო გაქრისტიანება. მაშასადამე, თუ განვითარება გსურდა, უნდა ყოფილიყავი ეროვნებით ოსი და გაქრისტიანების შემდეგ მიიღებდი სასურველს. რაც შეეხება მიწის მიღებას, გაქრისტიანებულ „ოსებს“ მართლაც აძლევდნენ უფლებას გარკვეული ფართობის მიწაზე, რაც ხდებოდა მისი „სახაზინო გლეხების კატეგორიაში“ გადაყვანით. ასეთ გლეხს მთავრობა გარკვეული პირობით აძლევდა მიწას. ეს მიწა ფაქტიურად რჩებოდა ამ გლეხის მემკვიდრეებს, თუმცა შეიძლებოდა ის მათ „კერძო საკუთრებაში“ არ ყოფილიყო და კვლავ სახელმწიფოსი ყოფილიყო.

ქართველთა გაოსების საქმეში მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ 1815 წელს აღდგენილმა ე.წ. „ოსეთის სასულიერო კომისიაში“, ამ კომისიის მოქმედების არე არა მარტო ჩრდილო კავკასიას მოიცავდა, სადაც ოსთა ძირითადი მასა იყო თავმოყრილი, არამედ ოსებით დასახლებულ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) მიწებსაც. ოსებით (დვალებით) დასახლებული არდანის ხეობის ნარ-მამისონის მიწა-წყალი ისტორიულად მუდამ საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა 1858 წლამდე, ამ წელს მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ჩრდილო კავკასიაში წარმოებულ სამხედრო ლაშქრობებთან დაკავშირებით არდონის ხეობა (ნარის უბანი) ჩამოაშორა გუბერნიას. საქართველოს ეს კუთხე – ისტორიული დვალეთი, რომელიც გაოსებული დვალებით იყო დასახლებული, ჩვენს განსახილველ თბილისის გუბერნიაში ეკუთვნოდა და „ოსეთის სასულიერო კომისიის მოქმედების არეალში შედიოდა ისევე, როგორც ჯავისა და ჰატარა ლიახვის უბნები ოსებით (დვალებით) და მოუნათლავი ქართველებით დასახლებული ტერიტორიები.

ოსეთის სასულიერო კომისიის ხელმძღვანელობამ უმოკლეს დროში „ცამეტი ათასამდე ოსი გააქრისტიანა“ (ქ.ს.ე. ტ. 7, გვ. 593), მაინც როგორ შეიძლებოდა ეს? ასეთი კოლოსალური რაოდენობის მთიელების გაქრისტიანება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ეს მოსახლეობა ქრისტიანული იყო, მაგრამ მოუნათლავები ამ დროს მოინათლენ, ე.ი. მოსახლეობა გაქრისტიანების სანაცვლოდ დიდ ჯილოდს ელოდა. მართლაც „ქრისტიანობის მიღების პირობად იგი ოს გლეხებს მებატონისაგან განთავისუფლებასა და სახაზინო გლეხების კატეგორიაში ჩარიცხვას ჰპირდებოდა“ (იქვე, გვ. 593).

ასეთი ქმედება რომ „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ინიციატივით არ მომხდარა, ეს იქიდან ჩანს, რომ ამ კომისიის აღდგენამდე

და კომისიის გაუქმების შემდეგაც ხელისუფლება გაქრისტიანების სანაცვლოდ ოს მოსახლეობას დიდ პრივილეგიებსა და ჯილდოებს აძლევდა. მაგალითად, 1811 წელს მთავარმართებელმა ტორბასოვმა ოსების გაქრისტიანების სანაცვლოდ იმპერატორი-საგან ქსნის ხეობის გვრდის-ძირის ოსების თავად ერისთავისაგან განთავისუფლება ითხოვა, სანაცვლოდ მისთვის 10.000 მანეთი უნდა მიეცათ ვერცხლით (სამხრეთ ოსეთის ისტ. ნარკვ. I, გვ. 171).

ასევე იქცეოდა რუსეთის მთავრობა ჩრდილო კავკასიაშიც, აქაურებს გაქრისტიანების სანაცვლოდ ფულსა და მიწებს აძლევდნენ.

„რუსეთის მთავრობა ჩრდილო კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების ერთ-ერთ პირობად აქ ქრისტიანობის კვლავ აღდგენას თვლიდა. ამიტომ, ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებას (მ. გონიგაშვილი, საადგილმამულო საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში, 1984, გვ. 61).“

ამ ხელისუფლების დამყარებამდე რუსეთი ერთ-ერთ პირობად გაქრისტიანებას აყენებდა. „თუ ოსები უკანდაუხდავად მოითხოვდნენ ფიცის მიღებას, ეს არ მოხდეს მანამ, სანამ მოსახლეობა არ გაქრისტიანება“... ოსთა გაქრისტიანებით რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო...“ (იქვე, გვ. 62).

ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაქრისტიანებისათვის ყაბარდოელებსაც აჯილდოებდნენ. „წასახალისებლად, ვინც ქრისტიანობას მიღებდა და რუსეთის მხარეს დასახლდებოდა, ყიზლარის შემოსავლიდან აძლევდნენ: აზნაურებს ათიათას, უბრალო ადამიანებს ხუთ-ხუთ მანეთს“ (იქვე, გვ. 33).

რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს ყოველი კუთხე აჯანყების ცეცხლის აღში იყო გახვეული, შიდა ქართლის ოსებით დასახლებული მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველ უფლისწულებს, ბატონიშვილებს ეკუთვნოდათ.

ისინი გამეფებას ცდილობდნენ, სასტიკად ებრძოდნენ რუსულ ხელისუფლებას და სშირად დასაყრდენს სწორედ ოსებში პ პოულობდნენ. არა მარტო შიდა ქართლის ხეობათა ოსებში, არამედ ჩრდილო კავკასიის ოსებშიც ბატონიშვილებს გავლენა პ ქონდათ, მაგალითად, „ციციანოვი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა რუსეთში ძალით გადასახლებას შეუდგა, რამაც ქართველ თავადაზნაურთა უკმაყოფილება და კვლავ რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო განწყობილება გამოიწვია... თაგურის მამასახლისები რუსეთის პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას აღარ მაღავდნენ. მალე ციციანოვმაც შეიტყო თაგაურელ თავკაცთა კავშირი ქართველ ბატონიშვილებთან ... 1803 წლის ზაფხულში ბატონიშვილები ფარნაოზი და იულონი ახმედ დუდაროვის დახმარებით დიგორის ხეობაში ჩავიდნენ“ (იქვე, გვ. 72-73).

აქედან ჩანს, რომ შიდა ქართლისა და, საერთოდ, მთაანეთის დამორჩილებისათვის საჭირო იყო ოსური წარმოშობის მოსახლეობის გამოყვანა ქართველთა პოლიტიკურ-კულტურულ-რელიგიური გავლენის სფეროდან და ამ მოსახლეობის უშუალოდ რუსულ ეკლესიასთან დაკავშირება.

რუსული ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა ამ კუთხეში ქართული ქრისტიანობის აღმოფხვრისა და რუსული ორიენტაციის ქრისტიანობის დანერგვისათვის. აქამდე ქრისტიანობა იმ სახითაც კი, როგორითაც ის არსებობდა ოსეთში, იყო ქართული. ჩრდილო კავკასია და მათ შორის ცენტრალურიც, ქართული ეკლესიის არა თუ გავლენის, არამედ იურისდიქციის სფეროშიც შედიოდა. აქ მრავლად შენდებოდა ტაძრები ქართული არქიტექტურით. წირვა-ლოცვაც ჩრდილო კავკასიის ყველა ქრისტიანულ მხარეში ქართულენოვანი იყო, ამას მიუთითებს ქართული წარწერები ტაძრებსა, ნივთებსა და ქვებზე, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის გაუქმებულ ეკლესიებში აღმოჩენილი ქართული

წიგნები, მათ შორის ისტორიულ დვალეთშიც, ე.წ. „ზარომაგის ფსალმუნი“. ეს ფსალმუნი აქ მაშინ უნდა გამოეყენებინათ წირ-ვა-ლოცვის დროს, როცა დვალეთი საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა და მას ამ დროს არ ეწოდებოდა „ოსეთი“. დვალები, ვ. გამრეკელის აზრით, ჯერ კიდევ VI საუკუნეში გაქრისტიანდნენ, მონგოლების შემოსევამდე დვალები სულიერ-კულტურულად აბსოლუტურად ქართული ეკლესიის ორგანული წევრები იყვნენ. ისინი, ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, იყენებდნენ ქართულ დამწერლობას, ქართული კულტურა მათი კულტურა იყო, ხოლო ქართული ეკლესია – მათი დედა ეკლესია. ამას ისიც მიუთითებს, რომ მრავალი დვალი მოღვაწე ჰყავდა ქართულ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე. შემთხვევითი არ არის, რომ ოსურ ენაში, ჩანს, დვალების გავლენით გადასულია სწორედ ქართული საეკლესიო ტერმინოლოგია, ეს დვალების ქართულ ქრისტიანობაზე მიუთითებს, მაგალითად, ოსურ ენაზე უმაღლეს ღვთაებას „ხუცავი“ ეწოდება, ლეკურად – „ხუცრი“ (ლერთია), ლეკებსა და დვალებში ქართული ქრისტიანობა თემურლენგამდე გავრცელებული იყო და ქართული „ხუცესი“ „ხუცური“-დანაა გადაღებული (იხ. დიდებულიძე, კულტურული ურთიერთკავშირი...“ გვ. 78). ოსური „კურია“, „ბარასკა“, „ტარანჯელოს“, „ჯიორქომა“, „სანიბა“, „მიქალგაბირტა“, „მარიამ“ და სხვა ქართული საეკლესიო ტერმინოლოგიდანაა გადაღებული – (შესაბამისად კვირა, პარასკევი, მთავარანგელოზი, გიორგობა, სამება, მიქელ-გაბრიელი, მარიამი) (იქვე, გვ. 79).

იმის შემდეგ, რაც აქ ჩრდილო კავკასიის ველებიდან ოს-„ალანები“ დასახლდნენ, შეიცვალა მათი სარწმუნოება. დვალების მტკიცე ქრისტიანობაზე ისიც მიუთითებს, რომ მათ თვით XVIII საუკუნის დასაწყისშიც კი მთლიანად არ ჰქონდათ დაკარგული ქრისტიანობა და ათვისებული ოსური წარმართობა. ვაზუშტი

წერს დვალების შესახებ: „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზელისანი და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთ უამთა დუალნი სახელით ოდენ ქრისტიანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივს უყოფენ და თაყვანსცემენ და სხვისა სრულიად უმცრონი. არა უგისთ ძღვდელნი, და უნათლისღებონი არიან, თვინიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათვლიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივე რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორისა არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მსგავსნი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა ... ენა აქვთ ძეველი დვალური...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 638-639). ვახუშტი წერს, რომ მისი დროის ოსეთის საზოგადოება ორი ფენისაგან შედგება, დაბალი ფენა ეროვნული წარმოშობით დვალურია და ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ „უნათლისღებონი“, ხოლო მაღალი ფენა ოსურია, ისინი მაჰმადიანები არიან – უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვხნი“ (გვ. 632). „წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი“ (გვ. 638). „აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო უგვაროთა – კვალად დვალადვე“ (გვ. 634); აქედან ჩანს, რომ ოსეთში ქრისტიანობა უცნობი არ იყო, იბერიულ-კავკასიური მოდგმის დვალები ქრისტიანებად თვლიდნენ თავის თავს, თუმცა უნათლისღებონიც იყვნენ და ოსური წარმართობაც შეთვისებული აქვთ (ვაჩალია“ და სხვა), ხოლო მაღალი ფენა – ოს-„ალანები“ არიან, ისინი მაჰმადიანებად თვლიან თავის თავს, თუმცა ოსური წარმართობის მატარებელნი არიან („გარნა ყოველთავე იციან მსგავსი კერპისა,

რომელსა უწოდებენ ვაჩილას“) ოსეთის საზოგადოებას აერთიანებს და სარწმუნოებრივად ჰკრავს ოსური წარმართობა. ის საზოგადოების ყველა ფენის მიერ მიღებულია.

ვახუშტისაგან ცნობილია, რომ ქართლის მთიანეთში გადმოსახლდნენ დვალები და არა ოს-„ალანები“. თუ იქ, ისტორიულ სამშობლოში, დვალეთში, ისინი არათავისუფალნი, საზოგადოების დაბალ ფენას წარმოადგენდნენ, ქართლის მთიანეთში გათავისუფლდნენ ამგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობისაგან. ძველი საზოგადოებრივი ცნობიერებით ოსეთში თავისუფალ ადამიანს „ოსი“ ეწოდებოდა, ხოლო არათავისუფალს, მდაბალს – „დვალი“, ქართლის მთიანეთში ამ ქვეყნიდან მოსულნი საზოგადოებრივად თავისუფალნი, ანუ „ოსები“ გახდნენ. მათ ოსური ენაც იცოდნენ, თუმცა კი სარწმუნოებრივად არა მაპმადიანები იყვნენ, ოსეთში დარჩენილი წარჩინებულების მსგავსად, არამედ კვლავ ქრისტიანული მიღრეკილებების მქონე უნათლისდებო წარმართები.

რუსეთის ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ჩრდილო კავკასიის მაპმადიანი ხალხების ნაწილი თურქეთში გადასახლდა, მათ შორის იყო ჩრდილოკავკასიელი წარჩინებული ოსების დიდი ჯგუფი. – „ძირითადად გადასახლდნენ ადიღე-ჩერქეზები, ნოღაელები, ყაბარდოელები, ყარაბულაყები და ოსები“ (ძ. გონიკაშვილი, გვ. 160).

„ჩრდილო ოსეთიდან პირველი გადასახლება 1859 წელს მოხდა. გადასახლდნენ პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები – ტუგანოვები, აბისალოვები და სხვა. თავიანთი გლეხებითა და მონა-ყმებით. გადასახლების მოთავე ოსეთის ფეოდალი აბისალოვი იყო. მეორე გადასახლება 1860 წ. მოხდა, ამჯერად დაახლოებით 300-500 კომლი გადასახლდა თურქეთში. ამ გადასახლების თავკაცი ასეთის ცნობილი ფეოდალი აპმედ ცალიკოვი იყო“ (იქვე, გვ. 160, შენიშვნაში).

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის არა მარტო ჩრდილო კავკასიიდან, არამედ საქართველოდანაც თურქეთში გადასახლდა მოსახლეობის ერთი ნაწილი (აფხაზეთიდან და მესხეთიდან), შიდა ქართლიდან ოსური მოსახლეობა თურქეთში არ გადასახლებულა. ოსეთში, ანუ ჩრდილო კავკასიის მთიანეთში, წარჩინებულები მაჲ მაღიანები იყვნენ და ამიტომაც მათი ერთი ნაწილი თავისი ხალხით თურქეთში გადასახლდა მსგავსად სხვა მაჲმადიანი ტომებისა, ხოლო შიდა ქართლში დამკვიდრებული ოსები თავიანთი წარმოშობით დვალები იყვნენ, ამიტომაც ცხადია, ისინი თურქეთში არ გადასახლდნენ.

რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდს ეგზარხოსი თეოფილ-აქტე 1820 წელს თავის „რაპორტში“ აუწყებდა, რომ მონათვლის შემდეგ შიდა ქართლის ოსები უბრუნდებოდნენ „კერპთაყვანისცემას“ (ო. თედეევი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, დანართი, გვ. 73).

როგორც აღინიშნა, 10-იან წლებში მრავალი ოსი (დვალი) მონათლეს საჩუქრებისა და პრივილეგიების სანაცვლოდ, მაგრამ 20-იან წლებში ისინი კვლავ ძველ სარწმუნოებას – ოსურ წარმართობას დაუბრუნდნენ. ცხადია, დვალების მონათვლა ძნელი არ იყო, რადგანაც ისინი თავიანთ თავს ქრისტიანებად თვლიდნენ, თუმცა მოუნათლავნი იყვნენ, მაგრამ მხოლოდ მონათვლა საკმარისი არ იყო, ქრისტიანობის შეთვისება რთული პროცესი იყო. საქართველოში დაფუძნებული რუსული ეკლესიის მეთაურებისათვის „მონათლული“ ოსების (დვალების) ხელახლა „გაწარმართება“ დიდი მარცხი იყო, ისინი ეძებდნენ ახალ გზებს.

10-იან წლებში, როგორც ითქვა, „ოსი გლეხების საბოლოო „დამორჩილების“ მიზნით მეფის ხელისუფლებამ დიდი ძალა მოახმარა მათ შორის ქრისტიანობის გავრცელებას. 1814 წლის 17 ოქტომბერს მან დაამტკიცა შემდეგი ბრძანება: „საქართველოში იყოს ერთი ეგზარხოსი და სამი ეპარქია – ქართლისა,

ოსეთისა და სიღნაღისა. მოზდოკის ოსური კომისიის მეთაურობა დაეკისროს თელავის არქიეპისკოპოსს. ოსი მოხუცების წახალისებისათვის გაიცეს 1500 მანეთი“ (სამხრეთ. ოსეთის ისტორიის ნარკვ. გვ. 245).

როგორც ვხედავთ, საქართველოს ავტოკეფალის გაუქმების შემდეგ გააუქმეს ქართული ეპარქია, ეპარქიათა რიცხვი ორამდე დაიყვანეს საქართველოს ბარში, ხოლო მთისათვის შექმნეს ახალი ეპარქია და მას უწოდეს „ოსეთის ეპარქია“. მთაში არა მარტო ოსები, არამედ ქართველი მთიელები ცხოვრობდნენ. რუსეთის ხელისუფლება მზად იყო საქართველოს მთიანეთის ყველა მცხოვრები ოსად გამოეცხადებინა. ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ არა მარტო საეკლესიო, არამედ ადმინისტრაციული ოვალსაზრისითაც ახლად შექმნილ „ოსეთის ოკრუგში“ მთიულები და მოხევეებიც შეიყვანეს 1842 წელს. „ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში თავდაპირველად შეიყვანეს აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრები მთიულ-მოხევეები და ამ ოკრუგის ცენტრად მთიულეთის სოფელი ქვეშეთი აირჩიეს“ (ჯ. გვასალია, ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, ლიტ. საქ. 1989 წ. 29.IX).

როგორც ვთქვით, რუსმა სამღვდელოებამ ქრისტიანულ ღრმად მორწმუნე ქართველებს ეპარქიები შეუმცირა, ხოლო ნაკლებ ქრისტიანულს კი „ოსეთის ეპარქია“ შეუქმნა, სადაც ოსების გარდა მთიანეთის მცხოვრებნიც იყვნენ გაერთიანებულნი. ეს მხოლოდ ქართველთა გარსების სურვილის გამო მოხდა.

პირველ ხანებში მართლაც ბევრი გაქრისტიანდა. მრავალი მონათლებს. ჩანს, ყველა მთიელ მონათლულს, ანუ „ოსეთის ეპარქიაში“ მცხოვრებს ეროვნებით ოსად აცხადებდნენ, ამას მონათლულთა კოლოსალური რიცხვი მიუთიობს.

„უკვე 1815 წელს მონათლული იყო 11445 ოსი, ხოლო 1820 წლის პირველი ივლისისათვის მონათლული ოსების რიცხვმა 31 997 კაცს“ (სამხ. ოსეთის ისტ. ნარკ. გვ. 245).

(მონათლულ „ოსთაგან“ ეროვნებით ყველა ოსი რომ არ იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ არა თუ 1820 წელს, არამედ 1865 წელსაც კი პ. გიუმუშვილის მონაცემებით ოსების საერთო რაოდენობა საქართველოში იყო 39 897 (პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები, გვ. 16, გვ. 183) მთიელი მოსახლეობა 1.287 ათასი, მათგან ოსები არიან 3,1%).

1820 წლისათვის რუს სამღვდელოებას შეუმჩნევია, რომ მთიელები, ანუ მათი სიტყვით „ოსები“ კვლავ უბრუნდებოდნენ წარმართობას, ამის აღმოფხვრის მიზნით საჭიროდ მიუჩნევიათ ოსურ ენაზე საეკლესიო წიგნების გადათარგმნა და გამოცემა. როგორც აღინიშნა, რუსები შიდა ქართლისა ყველა არაქრისტიანს, – ანუ მთიელს – ოსს უწოდებდნენ, თუმცა ქრისტიანობა ქართველებსაც დაკარგული ჰქონდათ.

რუსეთის ხელისუფლებისათვის მოუთმენელი იყო ის, რომ მთიელებსა და ოსებში ღვთისმსახურება ტრადიციულად ქართულ ენაზე აღსრულებოდა, რუსულ საეგზარხოსოს ამის დაშვება არ შეეძლო. ამიტომაც სურდა, რომ აქ ქართულის ნაცვლად ოსური საეკლესიო მწიგნობრობა დაარსებულიყო. ეგზარხოსი სინოდს წერდა: „ქრისტიანობის წარმატებით გავრცელების გამამნელებელ მიზეზთა შორის ოს ხალხში, რომელიც მონათლის შემდეგ არაიშვიათად დაუბრუნდა კერპთმსახურებს, უნდა მიეკუთვნოს: 1. ოსურ ენაზე არავითარი წიგნის არ არსებობა; 2. სამღვდელოების მიერ ოსური ენის უცოდინარობა და პირიქით ოსების მიერ ქართულისა, რომელზეც სრულდებოდა საღმრთო ლიტურგია და მათ შორის ქრისტიანობის წესების შესრულება“ (ო. თედეევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73).

რუსმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, აღმოეფხვრა ქართლის მთიანეთში ქართული საეკლესიო მსახურება, ქართული წირვა-ლოცვა და წესების აღსრულება, საერთოდ ქართული ქრისტიანობა აღმოეფხვრა მთიანეთში. მართლაც, მალე XIX

საუკუნის ბოლო ათწლეულებში ქართველ სამღვდელოებას აუკრძალეს ქართლის მთიანეთში სამსახური, ხოლო ქართული წმიდა წიგნები ოსურ ენაზე ათარგმნინეს და გაავრცელეს. ეს ხალხი ქართულენოვან მსახურებას იყო შეჩვეული. ქართლის მთიელ დვალებს, მართალია, ოსური ენა შეთვისებული ჰქონდათ, მაგრამ მათი დედა ენა არა ოსური, არამედ დვალური იყო ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში, შეუძლებელია, ერთ საუკუნეში მათ საბოლოოდ დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ენა. გარდა ამისა, ვახუშტი წერს, რომ საქართველოსთან კონტაქტის მქონე დვალებმა თავიანთ სამშობლოშივე დვალურ ენასთან ერთად იცოდნენ ქართული ენაც, „ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი“... (ქ.ც. IV, გვ. 639). მაშასადამე, ჯერ კიდევ შიდა ქართლში ჩასახლებამდე ქართლსა და რაჭას მოსიარულე დვალებმა ქართული ენა იცოდნენ. მით უმეტეს, ამ ენას ისინი შეითვისებდნენ ქართლში ჩასახლების შემდეგ, მაგრამ რუსული ხელისუფლება ყოველი ღონისძიებით ებრძოდა ამ მდგომარეობას. ქართლში ჩამოსახლებულ დვალებს მათ არ აღუდგინეს დვალური ენა, არამედ განუმტკიცეს ოსური ენის ცოდნა, რომელიც მათთვის დედა ენა არ იყო, დვალებს საკუთარი ენა ჰქონდათ და ეს იყო დვალური ენა. ხელისუფლებამ არავითარი ყურადღება არ მიაპყრო დვალურ ენას, ხოლო ქართულ ენას სასტიკად შეებრძოლა. დვალებს ოსურენოვანი ქრისტიანული მსახურება დაენერგათ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს წარმატებული არ ყოფილა. ხალხი ქართულენოვანს არ უარყოფდა და სიამოგნებით იღებდა მას, ამიტომაც აეკრძალათ შემდეგ ქართველ მღვდლებს ქართლის მთიანეთში სამსახური. აიდავით ბეგიზოვი ამბობს: „ქრთამით ამიღეს დოკუმენტი „ო ბლაგონადეჭნოსტი“, მიმიყვანეს საქართველოს ეგზარხოსთან, რომელსაც აეკრძალა სამხრეთ ოსეთში ქართველის მღვდლად ან მასწავლებლად გაგზავნა. ეგზარხოსმა სწრაფად მაკუთრხა,

დამლოცა, ჩამიწყვეს წიგნებში ფურცლები, რა წამეკითხა ჯვრის წერაზე, რა პანაშვიდზე და რა რომელ დღესასწაულზე ... მქონდა ჯამაგირი, დრამის ფულს არ ვიღებდი, ეს გადასახადი ოსებმა არ იცოდნენ. ჯავის ზევით მე ვიყავი პირველი ოსი მღვდლად და კიდევ იყო შემდეგ ორი ოსი, თორებ უწინ სულ ქართველები იყვნენ ჩვენში ამ სამსახურში“ (ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 289).

აქედან ჩანს, რომ მთა და მისი ხალხი, რომელიც ქართველი სამღვდელოების სამწყსო იყო ათასწლეულების მანძილზე, ხელისუფლებამ იძულების ძალით წაგლიჯა ქართულენოვან ეკლესიას და იძულებითი ხერხებით მეთოდურად გააოსა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დვალები იბერიელი ხალხი იყო, ქართველებთან გაცილებით უფროა ახლო მდგარი, ვიდრე ოს-„ალანებთან“. დვალები იძულებით ჩამოაშორეს ქართულ ეკლესიას, რომელთანაც მას ათასწლოვანი ურთიერთობა აკაგშირებდა და შეიყვანეს ხელისუფლების მიერ სახელდახელოდ შექმნილ ოსურენოვან საეკლესიო სამყაროში. უნდა ითქვას, რომ ამ ოსურენოვან „ეკლესიაში“ დვალებთან ერთად მრავალი ქართველი მოექცა ზემოთაღწერილი მიზეზების გამო თვით საქართველოს ეგზარხოსის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, იმპერიის სასულიერო საქმეებისა და სახალხო განათლების მინისტრის გოლიცინისა და თვით იმპერატორის მფარველობით (იხ. ი. თელევის დასახ. ნაშრომი, გვ. 86-87). ი. იაღლუზიძეს ქართულიდან ოსურ ენაზე ათარგმნინეს საეკლესიო წიგნები, რაც შემდეგ გაავრცელეს. ის თავის თავზე წერდა: „საქართველოს აზნაური ითანე გიორგის-ძე იაღლუზიძე ... შობილ ვარ ოსეთსა. წარმოშობა ჩემი არს ბუნებით ოსთა აზნაურთაგან“ (იქვე, გვ. 70). ეს „საქართველოს აზნაური“ ქართული ეკლესის წევრი – ქართველი სამღვდელო იყო, მას მრავალჯერ ჰქონდა (4-ჯერ) გადაწერილი სულხან-საბას წიგნები, იგი ქართული სახელმწიფოსა

(ერეკლე მეფის) და ქართული ეკლესიის (ნათლისმცემლის მონასტერში) მიერ იყო აღზრდილი. ის იყო ქართულენოვანი პოეტი. შეიძლება, ის თავის თავს „ოს-ჩერქეზთა“ მეფის „ალლუზონის“ შთამომავლად თვლიდა. მას მიუძღვნა თავისი პოემა (იქვე, გვ. 7).

1820-1824 წლებში მას ათარგმნინეს ქართულიდან საეკლესიო წიგნები. „ყველა ჩამოთვლილ წიგნში მოცემულია ქართულოსური ტექსტი: ქართული მარცხნივ და ოსური მარჯვნივ. ყველა ეს წიგნი ძველი ქართული ასოებით (ხუცურით) არის დაბეჭდილი“ (გვ. 9). „თარგმანში არის ჩატოვებული ქართული სიტყვები: უმრავლესობა ამ სიტყვებისა მოხელეთა, მცენარეების, მწერების სახელწოდებაა. მთარგმნელმა ვერ დაუძებნა ამ ტერმინებს შესაფერისი ოსური სიტყვები, ვერც შეთხზა და ამიტომ ქართული სიტყვებივე ჩატოვა“ (გვ. 41).

ითარგმნა წმიდა სახარება, ეგზარხოსმა შალვა ქსნის ერისთავს სთხოვა, თავის მამულში შეეკრიბა ქართულისა და ოსურის მცოდნე, რათა შეესწორებინა ნათარგმნი სახარება. „შემოკრიბნა მუნ მცხოვრებნი ყმანი თავისნი უფროს უფროსნი კაცნი სმენად შემძლებულნი და სხვანიცა ხალხნი“ (გვ. 82): პირობის თანახმად, მათ ქართულიც უნდა სცოდნოდათ. პირველად ქართულად კითხულობდნენ, მერე კი ოსურად. აქედან ჩანს, რომ ხალხისათვის ქართული ენა არც ისე უცხო ენა იყო. ცხადია, წმიდა წერილის ყოველ ენაზე თარგმნა კურთხეული საქმეა, მაგრამ ერთა ერთმანეთზე გადაკიდებისა და ურთიერთშორის გაცეცხლებისათვის, ერთი ერის მრავალ ტომებად დანაკუწებისათვის მისი გამოყენება არასწორია.

უნდა ითქვას, რომ ამას თვით ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების უაღრესად დაბალი დონე უწყობდა ხელს. თვით ხალხი თავისივე ქვეყნის სხვა კუთხის მცხოვრებს ვერ ითვისებდა თავის წიაღში, საქართველოში „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკის გატარებისათვის კარგი პირობები არსებობდა. ქართველების

გაოსებას თვით ქართველი ზალხის დაბალმა თვითშემეცნებამ შეუწყო ხელი. ეს განსაკუთრებით ითქმის ბატონყმობის (ქართლის მთიანეთში „ოსთა შორის“ 1852 წელს) შემდეგ ქართლის ბარში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მთიელ ხიზანთა მასიური ჩასახლების მერე.

ქართველები ეთნოგრაფიულ ნიშნებს ხშირად აიგივებდნენ ეროვნულ ნიშნებთან, ე.ი. ქართლის მთიელებს ოსების შვავსი ეთნოგრაფიული ნიშან-თვისებანი, წეს-ჩვეულებები რელიგიური წარმართულ-ქრისტიანული რიტუალები გააჩნდათ, რაც ბარელი მოსახლეობის თვალში ქართველ მთიელებს წარმოაჩენდა, როგორც - ოსს, ასეთ შეხედულებას საფუძვლად ედო ის, რომ ბარელი ქართველები მთიელთა განსხვავებულ ეთნოგრაფიულ ნიშნებს ოსურ ეროვნულ ნიშნებად მიიჩნევდნენ, ანუ ქართველ მთიელებს ოსებად მიიჩნევდნენ და ასე უწოდებდნენ კიდეც მთიდან ბარში ჩამოსახლებულ ეროვნებით ოსს, ქართველ მთიელს, მით უმეტეს, რომ განსხვავებული ნიშნების გარდა მათ ოსური ენაც გაეგებოდათ ან იცოდნენ, თუმცა კი ქართული ენა, როგორც დედა ენა იცოდნენ.

ეს არ არის გამონაკლისი, რადგანაც არა თუ უბრალო ადამიანები, არამედ აღმწერებიც კი მოსახლეობას საყოველთაო აღწერების დროს ადამიანის ეროვნულ კუთვნილებას განსაზღვრავდნენ სარწმუნოებრივი, ანდა ეთნოგრაფიული ნიშნებით. ქართლელი მთიელების ოსებად ჩაწერა რუსეთის ცარიზმის სურვილიც იყო:

„არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა საგანგებოდ ითვალისწინებდა რუსეთის განაპირა მხარეების ეროვნულ-უფლებრივი ინტერესების შელახვას, ათანაბრებდა ეთნოგრაფიულ და ეროვნულ ნიშნებს და ამ გზით ცდილობდა დაენაწევრებინა ერთ-

იანი ეროვნული სხეული, წინ აღდგომოდა ჩაგრული ხალხების თვითშეგნების გამოღვიძებას, ყოველშერივ შეეფერხებინა ერის კონსოლიდაცია...“ – (ვ. ჯიოშვილი, საქ. მოსახლეობა გვ. 111).

ქართული ერი რუსეთისათვის იყო პოლიტიკური ერი, სომხები კომერციული ერი, ამიტომაც სომხების არ ეშინოდათ, ქართველებისა ეშინოდათ, ხოლო ოსებს საერთოდ არ განიხილავდნენ, როგორც ერს, არამედ როგორც იარაღს ჩრდილო-კავკასიელი მებრძოლ ხალხებისა და ქართველების წინააღმდეგ (პოლიტიკური ხალხის წინააღმდეგ).

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა ყოველი ღონით ცდილობდა დაენაწევრებინა ქართველი ერის ერთიანი სხეული, შეეფერხებინა ეროვნული კონსოლიდაცია. ამიტომაც, 1886 წელს ცალკე ეროვნებებად აღნუსხეს ქართველები, ხევსურები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სამურზაყანოელები და ქართული ხალხის სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები (იხ. ვ. ჯიოშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 111).

თუ XIX საუკუნემდე ბარელი ქართველები ბარში და მთიელი ქართველები მთაში ცხოვრობდნენ და ისინი იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ამ საუკუნეში სხვადასხვა კუთხის მთიელების ბარის სხვადასხვა კუთხეებში მიგრაციამ დახლოვა ისინი, მაგრამ პირველ ეტაპზე მრავალ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. „ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ თიანეთის მაზრის საოჯახო სიებზე. არაერთგზის ერწო-თიანეთში ხევსურეთიდან მიგრირებული ცოლქმრული წყვილი არაკანონიერადაა მიჩნეული, შესაბამისად – მათი შვილებიც... ხევსურეთიდან ერწო-თიანეთში გადმოსახლებულნი ჯვარს არ იწერდნენ ქრისტიანულ ეკლესიაში და არც ბავშვებს ნათლავდნენ. ხევსურული წესჩვეულების მიზედვით, ისინი კანონიერი ცოლ-ქმარი და კანონიერი შვილების მშობლები იყვნენ. აღნიშნულიდან აშკარ-

ად ჩანს, მთიელთა ქრისტიანული მიგრანტები ახალ გარემოში, გარკვეულ ხანს ინარჩუნებდნენ მთისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ყოფით (ამ შემთხვევაში სოციალურ-რელიგიურ ელემენტებს... მიგრანტ ხევსურებში ფაქტიურად არ გვხვდება ქრისტიანული კანონიზებული სახელები...“ (რ. თოფჩიშვილი, XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერა საქართველოში, მნათობი, 1987, №12, გვ. 161).

უნდა ვთქვათ, ხევსურთა მსგავსად ბარში ჩამოსახლებულ ქართლის მთიელებსა და იმ ქართულენოვან დვალებს ჰქონდათ ბარელებისაგან განსხვავებული სოციალურ-რელიგიური ელემენტები, რაც ხევსურთა მსგავსად გაუცხოებას იწვევდა ბარის მცხოვრებთა შორის. როგორც ხევსურების განსხვავებულ საყოფაცხოვრებო და სარწმუნოებრივ ელემენტებს უძებნიდნენ ეროვნულ საფუძველს და მათ ამის გამო არაქართველებად („ჯვაროსნებად“ ანდა ვაინახებად) აცხადებდნენ, ასევე ბარში ჩასახლებულ ქართლის მთიელებს არაქართველებად მიიჩნევდნენ სოციალურ-რელიგიური ელემენტების, ანუ ეთნოგრაფიული ნიშნების სხვაობის გამო. მათ, ცხადია, ოსებად მიიჩნევდნენ, რადგანაც მათ იცოდნენ ოსური ენა და ოსური წეს-ჩვევების ერთი ნაწილი ჰქონდათ შეთვისებული. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ მათ ქრისტიანული წესები არ იცოდნენ, ანდა ოსების მსგავსად მათ სარწმუნოებას წარმოადგენდა ქრისტიანობის ელემენტებთან გაერთიანებული წარმართობა.

ქართული ტარმოვანლობა სამხრეთ რეგიონი გვარებისა

წინა თავებში აღინიშნა, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლისა და XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ქართველი ერისაგან გაუცხოვდნენ ჯერ ქართლის მთიანეთში მცხოვრები დვალები, ხოლო შემდეგ ქართლის მთიულები გაოსდნენ. ოსურ გარემოში მცხოვრები ბარელი ქართლელების გაოსებაც დაიწყო. ამის შესახებ არსებობს ეთნოგრაფთა და კვირვებანი, რომელნიც უკვე მოყვანილი გვქონდა.

ძველი ქართული საისტორიო წყაროები არ მოიხსენიებენ „ქართლის მთიულებს“, როგორც განსაკუთრებულ ეთნოგრაფიულ ჯგუფს, ეთნიკურად ზოგადი ქართველებისაგან განსხვავებულს. ეთნოგრაფიული ჯგუფი – „ქართლის მთიულები“ არ არსებობდა, რადგანაც ქართლის მთიანეთში მცხოვრები ქართველები არ გამოირჩეოდნენ ქართლელებისაგან ეთნიკური თვალსაზრისით. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს სახელმწიფოს დაშლამდე ქართველი ხალხიც ერთიანი იყო, სახელმწიფოს დაშლამ სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად ერის დაყოფაც გამოიწვია. წარმოიქმნა სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები.

„ჩვენი აზრით, არაგვის, ქსნის, მეჯუდისა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მთიანეთი ერთ მთლიანობაში შეადგენდა კიდეც „ქართლის მთიულებს“ (ქართლის მთიანეთს) – წერს ვ. იოთონიშვილი („არაგვის ხეობა“ 1986 წ.).

ვითარება იცვლება XVI-XIX საუკუნეებში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შეიქმნა სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულები – სამეფოები და სამთავროები. ამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებში ასწლეულების მანძილზე ყალიბდება კუთხური ეთნოფსიქოლოგია, რის გამოც ფაქტიურ

დიფერენციალის განიცდის ერთიანი ქართველი ხალხი. ყალიბდება კახელობა, ქართლელობა, იმერლობა, გურულობა და ასე შემდეგ. ეთნიკური სახე შეიცვალა აფხაზეთმა (გააფსუვდა), აღმოსავლეთ კახეთმა (საინგილომ), მესხეთმა, შეიცვალა ქართლის მთიანეთის ეთნიკური სახეც. ქართლის მთიანეთის ეთნიკური სახის შეცვლა გამოიწვია ჩრდილო კავკასიელი ტომების შემოსვლამ და დამკვიდრებამ. აქ იგულისხმება დვალები. ნაწილობრივ შეიცვალა კახეთის მთიანეთის ეთნიკური სახეც, ჩრდილოეთის ტომების გავლენით როგორც დვალები, ისე დიდოელები განიცდიან ეთნიკური სახის ცვლილებას. დვალები ოსდებიან, ხოლო დიდოელები ერწყმიან კავკასიურ ტომებს ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ დიდოეთი ქართველ პოლიტიკოსებსა და ისტორიკოსებს ისტორიული თვალსაზრისით ქართულ მხარედ მიაჩნდათ. სწორედ ამითაა გამოწვეული ის, რომ ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის 1770 წლის საბუთში დიდოეთის შესახებ ნათქვამია: „არს დიდოეთი, ლეკისაგან წართმეული ამ ასს წელიწადში“ (ქართ. სამხ. ძეგ., ტ. II, გვ. 421), აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ კონტექსტს, რომელშიც მოთავსებულია ეს წინადადება – „არს ხევსურეთი კერძო ქრისტიანენი ... არს ფშავი მართლმადიდებელნი ... არს თუშეთი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი ... არს დიდოეთი ლეკისაგან წართმეული ამ ასს წელიწადში ... კახეთის მართლმადიდებელნი ქრისტიანენი ... კახეთის სომეხი ... კახეთის თათარი...“ (იქვე, გვ. 421).

ჩანს, დიდოეთი მითჩნევა ნაწილად კახეთისა, მაგრამ წართმეულად „ლეკის“ მიერ არც თუ დიდი ხნის წინ. კონტექსტიდან ისიც ჩანს, რომ იქამდე ეს მხარე ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ან „კერძო ქრისტიანი“ იყო და ამიტომაც, ცხადია, კულტურულ-ისტორიულად ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ჩეჩენ-ინგუშ-ქისტ-დლი-ილვთა სალაპარაკო ენა ქართული იყო, თუმცა თავისი ენაც ჰქონდათ. უფრო მეტიც, ამჟამადაც კი საქართველოს საზღვართან მცხოვრებ ზოგიერთ ტომს (თემს) მიაჩნია, რომ ისინი თავიანთი წარმოშობით ქართველები არიან. ის, რომ კახეთის მთიანეთთან ახლოს მცხოვრები ჩრდილო კავკასიელი ტომები წარმოშობით ქართველად თვლიან თავს, არ არის შემთხვევითი. ეს არის არეკვლა იმ ფაქტისა, რომ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, შუა საუკუნეთა მანძილზე ისინი მართლაც ქართველები იყვნენ. არა მარტო საქართველოს მოსაზღვრე დაღესტნური ზოგიერთი საგვარეულო (თემი) აღიარებდა ქართველებისაგან თავიანთ წარმოშობას, არამედ ჩეჩენებისა და ინგუშების ზოგიერთი თემიც.

-- არსებობს „აგრეთვე ინგუშებისა და ჩეჩენების სახალხო თქმულება ზოგიერთი საგვარეულოს (თემის) ქართული წარმოშობის შესახებ“ (ე.ე. კრუპნოვ, ინგუშეთის ისტორიისათვის, „ვესტნიკ დრევნეი ისტორიი“, 1939, №2, გვ. 84, წიგნიდან ზ. დიდებულიძე, დასახ. ნაშ. გვ. 34).

ჩეჩენებისა და ინგუშების სახალხო თქმულებები ზოგიერთი თემების ქართული წარმოშობის შესახებ არეკლავს შედარებით უახლოეს წარსულს, როცა ერთიან საქართველოში, ანდა კახეთის სახელმწიფოს საზღვრების შიგნით ცხოვრებისას საკმაოდ გრძელი ისტორიული ეპოქის მანძილზე ეს მხარეები შეერწყნენ ამ სახელმწიფოს ხალხს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით.

მაგრამ ვითარება იცვლება საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ. კახეთის მთიანეთში შემოდიან არაქართულენოვანი დაღესტნურ-ჩეჩენურ-ინგუშური თემები, ემკვიდრებიან იქ, ანდა ადგილობრივ ქართული თემის ენაზე თავიანთ კვალს ტოვებენ (მაგ. თუშეთში), იტაცებენ მთელ მხარეს (მაგ. დიდოეთს), აწარმართებენ ქართულ კუთხეებს (ეს ის ინგუშური

მხარეებია, რომელნიც ამჟამად ქართული წარმოშობისად თვლიან თავიანთ თავს).

ასევე ხდება ქართლის მთიანეთშიც. დვალეთი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უფრო ქართული მხარე იყო, ვიდრე დიდოეთი. ეს იქიდან ჩანს, რომ, როცა თამარის დროს დიდოელები და ფხოველები განდგნენ, მათ დასამორჩილებლად სხვა მთიელებთან ერთად დვალებმაც იღაშქრეს. „მათ უკვე უამდა იწყეს მთიელთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა ... მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთიულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალელთა, ერწოთიანელთა მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 111).

მართალია, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით (და შეიძლება არა ეთნიკურით) დვალები ქართველები არიან, სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ, დვალეთი დიდად ჩამორჩებოდა შიდა ქართლის ბარს.

„სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ, გ. მელიქიშვილი XII ს. საქართველოში გამოყოფს სამ რეგიონს, ესენია: 1. ქართლი და მესხეთი (ტაო-კლარჯეთი) – ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ ყველაზე დაწინაურებული კუთხე; 2. საქართველოს მთიანეთი, რომელიც ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური ან აღრეკლასობრივ წინაფეოდალური წყობის პირობებში ცხოვრობდა და 3. ისტორიული აფხაზეთი და კახეთი, რომელიც აღნიშნული ორი რეგიონის საშუალო პოზიციაში იმყოფებოდნენ“ (გ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 1989 წ., გვ. 28).

სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ შემდგომ საუკუნეებშიც იყო განსხვავება ქართლის ბარსა და მთას შორის, კერძოდ, ქართლის ბარი იყო „ყველაზე დაწინაურებული კუთხე“, ხოლო მთიანეთი – „ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემურ ან

ადრეკლასობრივ წინაფეოდალური წყობის პირობებში ცხოვრობს“ (იქვე). ჩანს, სწორედ ასეთმა კატასტროფულმა სოციალურმა (და არა ეთნიკურ-ისტორიულ-კულტურულმა) განსხვავებამ ქართლის ბარსა და მთიანეთს შორის გამოიწვია მთიანეთის გაუცხოება ბარისაგან, რომელსაც თან დაერთო გადაგვარებაც (გაოსება, ეთნიკური სახის შეცვლა).

შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ გადაგვარდა (ე.ი. გაოსდა, გაუცხოვდა) ქართლის მთიანეთი, ხოლო კახეთის მთიანეთი და დასავლეთ საქართველოს მთიანეთი არა? პასუხი შეიძლება მოიძებნოს გ. მელიქიშვილის ზემოთ მოყვანილ აზრზე დაყრდნობით: კახეთის ბარი თავისი სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ დიდად არ განსხვავდება მისი მთიანეთისაგან (ასევე იყო დასავლეთ საქართველოშიც (აფხაზეთშიც), – ის „საშუალო პოზიციაში“ იმყოფება. ანუ, თუ კი ქართლის ბარი დიდად დაწინაურებული მხარეა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ, ხოლო მთიანეთი – დიდად ჩამორჩენილი, კახეთის ბარი – ამ „ორი რეგიონის საშუალო პოზიციაში იმყოფება“, ე.ი. კახეთის ბარი და დასავლეთ საქართველოს ბარი თავიანთ მთიანეთთან სოციალ-ეკონომიკური განვითარების მხრივ ახლოს იმყოფება, ხოლო ქართლის ვაკე, როგორც ითქვა, დაწინაურებული, დიდად განვითარებულია თავის მთიანეთთან შედარებით, სოციალური განვითარების თვალსაზრისით ქართლისა და მის მთიანეთის შორის განსხვავება კატასტროფულია. ამიტომაც, მონღოლ-თათართა ჩდილოეთიდან მოწოლის გამო ოს-დვალთა ჯგუფების მთიანეთში დამგვიდრებისას აღმოჩნდა, რომ სოციალური თვალსაზრისით მთიანეთში ყოველივე ოსური (უცხო) უფრო ბუნებრივი აღმოჩნდა, სოციალურად უფრო მისაღები იყო, გასაგები (ე.ი. ოსები მთიელების სოციალურ ურთიერთობათა სფეროში ადვილად შეიჭრნენ, ჩაეწერნენ, ჩანს, იმის გამო, რომ ისინიც განვითარების იმავე დონეზე

იმყოფებოდნენ, რომელზეც მთიელები), ხოლო ბარისა ყველა-აფერი რთული, გაუგებარი და მიუღებელი იყო. ამიტომაც იყო, რომ მთიანეთის გაოსებამდეც მთიანეთი იბრძოდა ბარული წესების წინააღმდეგ, ჯანყდებოდა, როგორც ეს „ძეგლი ერისთავთა“-დან და სხვა წყაროებიდან ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა საზოგადოება სოციალურ ურთიერთობათა თვალსაზრისით ჩამორჩებოდა ქვეყნის ცენტ-რალურ რეგიონებს, მაინც ის ხელისუფლებისა და, საერთოდ, ქვეყნისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. ზოგადად აქ იგულისხმება საქართველოს საზღვრებში მცხოვრები ყველა ტომი, მათ შორის დვალებიც. მაგალითად, დვალები ხელისუფლების ერთ-ერთი დასაყრდენი იყვნენ ფხოველთა და დიდოთა აჯანყების დროს, ისიცაა აღსანიშნავი, რომ თავიანთი გაოსების წინ ქართლის მთიელები (მათ შორის დვალებიც) ცენტ-რალურ ხელისუფლებას ორგულობდნენ. ამიტომაც უნდა ვითიქონოთ, რომ დვალების გაოსებას აპირობებდა შინაგანი განკურძოება – სახელმწიფო ხელისუფლებისადმი ორგულობა. დვალები ამ მხრივ გამონაკლისნი არ არიან. მესხეთიც თავისი გამაჟმადიანების, ანუ „გათათრების“ წინ გამოირჩეოდა სასტიკი ორგულობით ცენტრალური ხელისუფლებისადმი, როგორც ხელმწიფის, ისე კათალიკოს-პატრიარქისადმი. მესხეთშიც, დვალეთსა და სხვა კუთხეებშიც გადაგვარებას წინ უსწრებდა სეპარატიზმი, განკურძოება და ორგულობა. გ. სააკაძის მიერ დვალთა დამორჩილებამ მათი გაოსების პროცესი ვერ შეაფერხა.

ამ პროცესის დასრულებამდე დვალები გადმოსახლდნენ ქართლის მთიანეთში და იქ დაემკვიდრნენ, როგორც ვაზუშტი წერს: დვალების გადმოსახლება, ჩანს, გამოიწვია ისტორიულ დვალეთში შექმნილმა საზოგადოებრივმა კითარებამ. ოს-„ალანთა“ შემოსახლების შემდეგ ისინი მოექცნენ საზოგადოებრივი იერა-რქის მაღალ საფეხურებზე, ხოლო დვალები მათ ხელქვეითებად,

უფრო მეტიც, „მონებად“ იქცნენ. ვახუშტი წერს ოსებისა და დვალების შესახებ, რომ ოსებმა შეძლეს ახალი საზოგადოების შექმნა „დამონებითა მათითა“. აქ იგულისხმება დვალების „დამონება“. შეიძლება „დამონება“ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ჩრდილო კავკასიაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებში ოს-ალდარებს ჰყავდათ „მონა-ყმები“, როგორც მკვლევარები მიუთითებენ (იხ. მ. გონიკაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 160, შენიშვნაში). დვალების ქართლის მთიანეთში დამკვიდრება უნდა გამოეწვია შიშს, რომ თუ ისინი ისტორიულ სამშობლოში დარჩებოდნენ, „მონა-ყმებად“ იქცეოდნენ. მართლაც, ვახუშტი აღწერს, რომ როგორც წესი, ის-ტორიულ დვალეთში (უკვე ოსეთში) ოსები ეწოდებოდათ იერა-რქის მაღალ საფეხურზე მდგომთ, ხოლო დვალები – მათ ქვეშევრდომებს, ანდა დაბალ საფეხურზე მყოფთ.

მაშასადამე, ქართლის მთიანეთში გადმოსახლდნენ არა ეთნიკური „ოს-ალანები“, არამედ დვალები, რომელთაც უკვე დაწყებული ჰქონდათ ოსური ენისა და ოსური სარწმუნოების ელემენტების მოხმარება.

„ოსი“ სოციალური თვალსაზრისით „თავისუფალს“ ეწოდებოდა, ხოლო „დვალი“ – ამ საზოგადოებაში „მონა-ყმას“, „არათავისუფალს“, ანდა „დამოკიდებულს“. ქართლის მთიანეთში დვალები თავისუფლების შენარჩუნებისათვის გადმოვიდნენ, ამიტომაც მათთვის სასურველი იყო „ოსი“, ანუ „თავისუფალი“ ეწოდებინათ, ვიდრე „დვალი“, ანუ „არათავისუფალი“. ოსობა სოციალურ კატეგორიად იყო ქცეული.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნეში ინტენსიურად დაიწყო ქართლის მთიანეთში მცხოვრები ქართველების გაოსება, 1852 წლიდან ოსების ბატონყმობისაგან გათავისუფლებისა ბარში ჩამოსახლების შემდეგ დაიწყო ბარელი ქართველების გაოსებაც. ქართველთა გაოსების პროცესი დააჩქარა განსაკუთრებულმა

საეკლესიო პოლიტიკამაც, რომელსაც საეგზარხოსო ეწეოდა ოსების მიმართ.

ქართველთა გაოსებას სოფლების, გვარების, ტოპონიმებისა და სხვა მასალების ქართული წარმომავლობის გარდა, მიუთითებს სამხრეთ ოსეთის ოსური ფოლკლორიც, რომელსაც მრავალი ქართული ელემენტი ახასიათებს. ქართული ფოლკლორი სახებში საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ქართული ფოლკლორი ჩრდილო კავკასიის ოსებშიც ყოფილა გავრცელებული, შედარებით ნაკლები ხარისხით, ჩანს, ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე (რომელიც ახლა ჩრდილო კავკასიაშია) მცხოვრებ დვალთა გაოსებისა და მათი ჩრდილო კავკასიის დაბლობში ჩასახლების გამო.

- „ოსურ ფოლკლორში ასევე განსაკუთრებული ადგილი უკავია დარეჯანიანის თქმულებებს. ეს არის ქართულიდან შესული ამირანდარეჯანიანის ოსური ვერსია. იგი გავრცელებულია როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე ჩრდილო ოსეთშიც. აი, რას წერს კ. ხეთაგუროვი თავის „ეთნოგრაფიულ ნარკვევებში“: „მძიმე ავადმყოფს ... არ სტოვებენ მარტოდ ... დამე მორიგეობენ, უმთავრესად ახალგაზრდები. ისინი ცდილობენ ავადმყოფის გართობას, მხიარულობენ, ყვებიან ზღაპრებს და უკრავენ ფანდურზე, თორმეტსიმიან არფაზე და თან ამღერებენ ლეგენდებს დარეჯანიანზე და სხვა მითიურ გმირებზე“ (კ. ხეთაგუროვის 500). დარეჯანიანის თქმულებები ბევრჯერ გამოიცა (იგულისხმება ოსურად - ეპ.ა.ჯ.). იგი მეცნიერულად საფუძვლიანად არის შესწავლილი და შეჯერებულია ორიგინალთან - ქართულ „ამირან დარეჯანიანთან“ (დ. ქალოევა). დარეჯანიანის თქმულებები (იგულისხმება ოსური - ეპ.ა.ჯ.) ციკლებად არის დაყოფილი, ერთ-ერთი ბოლო ციკლის სახელწოდებაა „ამბავი როსაფისა“ ... როსაფი ნახსენებია მხოლოდ ამბის დასაწყისში, მთელი ამბავი კი გადმოგვცემს თალ-

არის, ავთანდილისა და ფრიდონის ამბებს. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ ოსური ხალხური ვეფხისტყაოსანი. მას არაფერი აქვს საერთო დარეჯანიანის თქმულებებთან. როსაფი მოხსენებულია, როგორც დარეჯანიანი და ამდენად მისი ვაჟებიც – თალიარი, ავთანდილი და ფრიდონიც დარეჯანიანი არიან. დარეჯანიანია ასევე მასმათიც... ამრიგად, „ამბავი როსაფისა“ – ეს არის ოსური ხალხური ვეფხისტყაოსანი (ო. თეღევი, ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, 1988წ. გვ. 53-54). ოსურ ვეფხისტყაოსანში დარეჯანს ეწოდება სორეჯანი, ასმათს – მასმათი, ჭარიელს – თალიარი და ასე შემდეგ. მასში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ვარიანტი.

„დარეჯანიანის“ გარდა ოსთა შორის გავრცელებულია ქართული „ამირანიანიც“, სხვა ხალხური ქართული ბალადები, ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, თქმულებები თუ სხვა ფოლკლორული მასალა.

ამირან-დარეჯანიანის ციკლის სხვადასხვა თქმულებების გარდა ხალხური ვეფხისტყაოსანის ფართოდ გავრცელება ოსთა შორის (ვ. ხეთაგუროვის თანახმად, ეს ოსებისათვის ნართების ეპონის თანაბარი ყოფილა, იხ. ზემოთ) მიუთითებს ქართველთა (მათ შორის დვალთა) გაოსების შესახებ.

ჩვენ არაფერს ვიტყვით ტოპონიმების შესახებ, თუმცა ერთი შეხედვითაც აშკარაა ტოპონიმების აბსოლუტური ქართულობა, თუმცა ისტორიულ ჭრილში ისიც ჩანს, თუ ზოგიერთი ტოპონიმი როგორ კარგავს ქართულ სახეს და ხდება მისი გადაკეთება ოსური ენის შესატყვისად.

განსაკუთრებით აშკარაა სამხრეთელი ოსების გვარების აშკარა ქართული წარმომავლობა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქართული საზოგადოება თავიდანვე იცნობდა გვარებს, ისტორიულ საქართველოში ყოველ ადამიანს თავისი გვარი ჰქონდა, მაგრამ ასე როდი იყო მის მეზობელ ერებში. მაგალითად,

მაკმადიანებს თაობიდან თაობაზე გარდამავალი გვარები არ ჰქონდათ, ადამიანები ძირითადად მამის სახელით იწოდებოდნენ, ასე იყო არა მარტო მაკმადიან ხალხებში, არამედ ძირითადად თითქმის ყველა სხვა მეზობელ ხალხებში, მათ შორის რუსეთში, ჩრდილოეთის უდიდეს ქრისტიან ხალხშიც. აქ ყმა გლეხებს ძირითადად გვარი არ ჰქონდათ და მხოლოდ XVII-XIX საუკუნეებში საიმპერატორო კარის მიერ გამოცემული შესაბამისი მითითების შემდეგ ყმა-გლეხებს გვარები მიაკუთვნეს.

ვახუშტის მიერ დასახელებული პირველი ოსების გვარების დაბოლოებანი აშკარად ქართულია, ზოგიერთი ორმაგი ქართული სუფიქსითაც კი არის ნაწარმოები. მაგალითად, „ბადელიძე“, ე.ი. „ბად-ელი-ძე“. „ელი“ სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსია და „ბადელი“ ისევეა ნაწარმოები, როგორც ცურტაველი ან რუსთაველი, და აგრეთვე, „ძე“ – ტიპიური დაბოლოებაა ქართული გვარებისა. მაშასადამე, „ბადელიძე“ აშკარად ქართული გვარია. ასევე შეიძლება ითქვას სხვა გვარებზე, რომელთაც ქვემოთ მოვიყვანთ. ეს მდგომარეობა იძლევა უფლებას ვიფიქროთ, რომ დვალეთში ამოსულ ოს-, „ალანებს“ მკვიდრმა მოსახლეობამ მისცა ის გვარი, რაც დვალეთში (და საქართველოში) იყო მიღებული. ამას „ძეგლი ერისთავთა“ – „ში დასახელებული „ბიბილური“ – ს გვარის წარმოშობაც ადასტურებს. აქ მოსულს ოსმა ხალხმა თვითონ მიანიჭა ეს გვარი. ეს, ჩანს, საპატიო გვარი იყო. ჩრდილო ოსეთის – „ალაგირის, ქურთათის, ზაკისა და ნარ-მამისონის საზოგადოებაში ფეოდალური ურთიერთობა იმდენად დაბალ დონეზე იყო, რომ ზოგიერთი მაშინდელი მკვლევარის აზრით, იქ წოდებრივი დაყოფა არ არსებობდა და მხოლოდ საპატიო საგვარეულოები იყო, რომელთაც ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდათ“ (ლავროვი დ. ოსეთისა და ოსების შესახებ, კავკასიელ ტომთა და ადგილთა აღწერის კრებული, III, 1883, რუს. ენ. გვ.

295, წიგნიდან მ. გონიკაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 194). აი, ცენტ-რალური კავკასიონის მთანეთში დამკვიდრებულ პირველ ოსთა გვარები, ჩამოთვლილი ვახუშტის მიერ: „უწარჩინებულესნი გვა-რით არიან ოვნენი და გვარნი ოვსთა ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქეზიძე, თაგაური, ძურთაული, სიდამონი და ჭახელიძე“ (ქა-რთლის ცხოვრება, IV, გვ. 634). ჩამოთვლილი ყველა გვარის დაბოლოება ქართულია – „იანი“, „ძე“, „ული“, „ონი“.

განვიხილოთ ცალ-ცალკე:

1. ბასიანი – ბოლოვდება „იანით“, ისე, როგორც ძველქარ-თული გვარები საერთოდ და ქართველ მთიელთა გვარები ახალ დროში: – „ფარნავაზიანი“, „ხოსრონი“, „ბაქარიანი“, „მარუში-ანი“, „გორგასლიანი“, „დავითიანი“, „იესიანი“ და სხვა უამრავი.

„იანით“ ბოლოვდება ქართული გვარები როგორც აღმოსავ-ლეთ საქართველოში, ისე დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, თუმცა არც ბარია გამონაკლისი. მაგალითად, სამეგრელოში არის გვარი „ქაჯაიანი“ (ქართ. სამართ. ძეგლ. III, 1970, გვ. 416). ამან საშუალება მისცა მკვლევარებს გამოეთქვათ აზრი, რომ „იანი“-თ ბოლოვდებოდა ყველა ადგილობრივი გვარი, რომლის შეკვეც-ის შედეგად მიღებულ იქნა დაბოლოება „ია“. დასავლეთ საქართ-ველოს გვარია „ქვარიანი“ (იქვე, გვ. 477), რატიანი და სხვა. სვ-ანეთმა შემოინახა „იანი“ დაბოლოება გვარებისა. რაჭაშიც არის „იან“-ზე დაბოლოებული გვარები – „გოგრიჭიანი“, „გიორგობიანი“. ლეჩხუმში „იანი“ დაბოლოება გვარებისა ჩვეულებრივია. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ მთის ყოველ თემში ასეთი დაბოლოება ბუნებრივია. მაგალითები იმდ-ენია, რომ ჩამოთვლაც მნელია, არაბულების გვარის განაყარში არის გვარები: „მანგიანი“, „ხელმოკლიანი“, „იდიანი“ (გ. თეღორაძე, ხუთი წელი ვშავ-ხევსურეთში, 1939 წ, გვ. 9), „დედ-იანი“, „ალდიანი“, ჭინჭარაულების განაყარი – „აზუზიანი“, „ხაშიანი“, „მანგიანი“, „ჯარიანი“ (იქვე, გვ. 10-11), იანზე

დამთავრებული გვარების რიცხვი ძალზე დიდია ასევე ფშავშიც - „ჯიზვიანი“, „ყენიანი“, „ყუჯიანი“, „ხადიანი“ და სხვა (იქვე, გვ. 62-63), ძირითადია აქ „ანიზე“ დაბოლოებული გვარები „გოგ-რიჩიანი“, „იანი“-ზე დაბოლოებულია - „გოგოლიანი“, „ბალიკიანი“, „გივიანიანი“, „გამიხარიანი“ (ჭიჭილოიანი) (ვ. ოფეჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 145).

„იანი“ ქართული გვარის ტიპიური დაბოლოებაა, ამიტომ არა მარტო „ბასიანი“-ა ქართული წარმოშობის გვარი, არამედ „ბადელიანიც“, რომელიც ჩრდილო კავკასიელი ოსების გაბატონებული წოდების საპატიო გვარი იყო.

2. ბადელიძე - ორმაგი ქართული სუფიქსით არის დაბოლოებული - „ელი“ და „ძე“. აქედანაა „ბადელიანი“.

3. ჩერქეზიძე - ქართული დაბოლოების („ძე“) მქონეა.

4. თაგაური - არის ლეგენდა, თითქოს ეს გვარი მომდინარეობს სომხური სიტყვიდან - „თაგავორ“ - „მეფე“, მაგრამ აშკარაა, რომ ეს არის გვარი, რომელიც ქართული სუფიქსით („ურით“) არის დაბოლოებული. „ურით“ სხვა გვარებიც მთავრდება („ხეთაგური“), მაგრამ ფაქტია, რომ „ურით“ ბოლოვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გვარების დიდი ნაწილი, თუმცა ეს დაბოლოება არც ძველი საქართველოს სხვა კუთხეებში ყოფილა უცხო. დასავლეთ საქართველოში გვარი „ხეცურიანი“ ორმაგი სუფიქსითაა წარმოებული („ხეც-ური-ანი“). სანამ „ური“ დაბოლოებას შევეხებოდეთ, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას „იანი“ დაბოლოების შესახებ. საკმარისია გადაგხედოთ საქართველოს რუკას და მასზე დავაფიქსიროთ კუთხეები, სადაც გავრცელებულია „იანი“-ით დაბოლოებული გვარები და დავრწმუნდებით, რომ ჩვენს თვალწინ მოიხაზება მთელი საქართველოს მთიანეთი ხევსურეთის ჩათვლით, მხოლოდ ერთ ადგილს იქნება ამოვარდნა. ეს არის დვალეთი - ქართლის მთიანეთი. ჩანს, ძველ დროს, აქ, ისევე

როგორც საქართველოს მთიანეთში, გავრცელებული იყო „იანი“-ით ანდა „ანით“ დაბოლოებული გვარები, ამის შესახებ გვარი „ბასიანიც“ მიუთითებს.

ჩანს, „ური“-თ დაბოლოებული გვარებიც ასევე გავრცელებული იყო მთელ ქართულ მთიანეთში. დასავლეთ საქართველოს „ურით“ დაბოლოებული გვარი „ხეცურიანი“ გამონაკლისი არ უნდა იყოს. ამას მიუთითებს ის, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთარში, რომელიც დასავლეთ საქართველოს შეეხება, 1621 წლისათვის ნახსენებია გვარი „ფიცხელაური“ – მართებს მუშიას ფიცხელაურს ურემი ღომი... სამი ნაოთხალი ღომი...“ (სამართლის ძეგლები, III ტ. გვ. 408), იქვეა ნახსენები გვარები – ფიცხელია და ფიცხელა. აქედან ჩანს, რომ ეს გვარი აღმოსავლურ-ქართული წარმოშობის კი არაა, არამედ ადგილობრივია. არის გვარები – „ცქურია“ (ე.ი. ცქ-ურ-ია) (იქვე, გვ. 428), „მალურავა“ (ე.ი. მალ-ურ-ავა) (იქვე, 430), „ჭუჭურია“ (ე.ი. ჭუჭ-ურ-ია, იქვე, 434). არის „ულით“ წარმოებული გვარებიც – ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მაგალითად, „კუტულია“ (ე.ი. კუტ-ულ-ია) (1616-1621 წლების საცაიშვილო დავთარში, იქვე, გვ. 439); „მასხულია“ (ე.ი. მასხ-ულ-ია) (გვ. 440), „ხუხურინი“ (ხუხ-ურ-ი, გვ. 440); „ფიცხულია“ (ე.ი. ფიცხ-ულ-ია) (გვ. 444), „კიკურია“ (კიკ-ურ-ია) (გვ. 458); „კუკურია“ (გვ. 461); „ხუხულია“, მამულია „,ხუბულია“ (გვ. 479). ასე რომ, „ურით“ და „ულით“ დაბოლოებული გვარები მრავლადა დასავლეთ საქართველოში. ხოლო, რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ ამჟამადაც „ური“-თ იწარმოება მთიელთა გვარების დიდი ოდენობა. მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით: ბიჩინგური, მგელიაური, კურდლელაური, ჩალაური, ხოსნაური, ხუნჩალაური, ბასხაჯაური, რკინაური, ფიცხელაური, გოგოჭური, წიკლაური, ხასონაური, ველთაური, ალუდაური, ქეთელაური (გ. თედორიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 7-16), ქისტიური,

გაბიდოური, მასხაური, ცაბაური, უძილაური, მამიაური და სხვა მრავალი (იქვე, გვ. 62-69).

თაგაურის წარმოშობას შეიძლება მსგავსება მოვუძებნოთ. ფშავში თურმანაულების ფრატრია შედგება სხვადასხვა გვარებისაგან. მათ შორისაა გვარი ღურბელნი და ამათი განაყარი გვარი – „თაგვანი“ (გვ. 63), „თაგვანი“-საგან შეიძლება სამგვაროვანი სუფიქსის „ურის“ დართვით მივიღოთ გვარი – „თაგვაური“, თაგვაურისაგან კი – თაგაური.

5. ქურთაული – ეს გვარი ნაწარმოებია „ულ“ სუფიქსის დართვით, ისევე, როგორც მრავალი ქართული გვარი დასავლეთ საქართველოში (იხ. ზემოთ), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს „ულით“ დაბოლოებულ რამდენიმე გვარს ჩამოვთვლით, ესენია: „რკინაული“, „არაბული“, „ბურდული“, გამხირავაული“, „თეთრაული“, „ჭორჭიაული“ (იხ. გ. თედორაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 7-16), „თურმანაული“, „ჯაგრაული“, „წოწურაული“, „ბურდიული“, „ჩორხაული“, „ზურაბაული“ და სხვა (იქვე, გვ. 61-69).

როგორც ზემოთმოყვანილიდან ჩანს, „ქურთაული“ ისეა წარმოებული, როგორც საზოგადოდ მრავალი ქართული გვარი. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს გვარი შედგება სუფიქსისაგან – „ქურ-თა-ულ“. „თა“ ისევე, როგორც „ელი“, არის ქართული გვარების ტიპიური დაბოლოება. ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ „თა“, „თი“ და სხვა მსგავსი საგვაროვნო სუფიქსების შესახებ.

6. სიდამონი – ეს გვარი ბოლოვდება სუფიქს – „ონით“, „ონი“ ბველ ქართლში, ჩანს, იყო სახეცვლილება „იანი“-სა. უძველესი ქართული გვარი „ბაგრატიონი“ „ონით“ ბოლოვდება, ის აგრეთვე სიმრავლესაც აღნიშნავდა. „ლაშარიონი“ ლაშარის ყმების საერთო სახელი იყო. „ნი“, „ანი“, „იანი“. ხშირად „ონი მთიელთა გვარების მწარმოებელია (და საერთოდ ქართული გვარებისა). „ონი“-თაა დაბოლოებული ქისტიაურების ფრატრიაში მრავალ გვართაგან ერთი გვარი – „ციგრონი“ (იქვე, გვ. 62). ამ ფრატრ-

ის გვარებია: - ჯიხვიანი, ყენიანი, ჩარბოდანი, მთვარელანი, ფოცხვერანი, ციგროანი, ჩაქუჩნი, ბაღრიანი და ა.შ. როგორც ვხედავთ, „ონი“ დაბოლოება არსებობს „იან“ – „ანი“, „ნი“ დაბოლოებათა შორის. იონ სუფიქსის შესახებ წერს ს. ყაუხჩიშვილი (იხ. ქვემოთ). მისი აზრით, იონ – იგივეა, რაც ეთ, ელ სუფიქსები, ის ქართული გვარის ჩვეულებრივი მაწარმოებელია.

7. ჭახილიძე – ეს გვარიც ქართული საერთო საგვაროვნო სუფიქსით „ძე“ ბოლოვდება, თუმცა შეიძლება, ესეც ორმაგი ქართული სუფიქსით იყოს დაბოლოებული „ჭახ-ილი-ძე“ ან „ჭახილი-ძე“. ის, ჩანს, ისევეა ნაწარმოები, როგორც დასავლეთ საქართველოში სახელები – „ხუხუხლი“ (ხუხუ-ლი), „ქაქალი“ (ქაქა-ლი) (ქართ. სამართ. ძეგლ. III ტ. გვ. 424). ყოველ შემთხვევაში, ამ გვარის ქართული წარმოშობა უეჭველია.

ჩვენ განსაკუთრებით უნდა განვიხილოთ გვარების დაბოლოება „თი“. როგორც ცნობილია, „თი“ ამჟამად მიჩნეულია ოსურ გვართა უძველეს დაბოლოებად, რომლის აღდგენასაც ცდილობენ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთიანეთში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გვარის დაბოლოება „თი“ მიღებული იყო და მიღებულია ამჟამადაც. გარდა ამისა, მთელ სამხრეთ საქართველოში (მესხეთში) როგორც წარსულში, ისე ახლაც (მაგ. ქართველ კათოლიკეთა შორის) გვარის დაბოლოება „თი“ ბუნებრივია, ჩვენ აღარაფერს ვიტყვით ქართლსა და განსაკუთრებით კი კახეთზე, საღაც „თი“ – დაბოლოება ბუნებრივია. უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, „თი“ საგვაროვნო დაბოლოებით ხალხი ერთმანეთს მოიხსენიებს შინაურული არაოფიციალური ურთიერთობისას, ხოლო ოფიციალური ურთიერთობისას „თი“ „შვილით“ იცვლება. „ოთარაანთი“ – ოთარაშვილია, ხოლო „თამარაანთი“ – თამარაშვილი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჩამოვთვლით ასეთი დაბოლოების მქონე რამ-

დენიძე გვარს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ვუჩვენებთ, რომ ეს დაბოლოება ქართულ გვარებს ჰქონდა წარსულშიც, რაზედაც წერილობითი წყაროებიც მიუთითებს.

„თი“-ზე დაბოლოებული გვარები სამხრეთ საქართველოში მრავლადაა. მ. თამარაშვილმა დაწერა 1703 და 1705 წლების საბუთების შესახებ, რომ იქ მრავლად მოიხსენიებიან ქართველები „თი“-ზე დაბოლოებული გვარებით: „მინდორათი... ქათამათი, ბეროთი; ბერომელათი; მალხაზათი; კეჭერათი; გულასპათი; ტეტიანთი; ბატონათი... ხიზანათი; ცხელათი; ოელიათი, ... პოროველათი; მეჩხუათი; ფილიჭამიათი; გოდელათი; გოდერძათი; ოეთელათი; ხუთქალთი ... ნახვრეტათი; ქვათი, ფუფულათი; გედიათი, კენჭიანთი; ხრინწიანთი; ... კბილათი; კოჭიბროლათი; სარდალათი; კანდელაკიანთი; მამათი; პუნკათი; ხახიანათი; ჭელაჭამიათი; ჭოჭუათი; ეთერათი; პურადათი; ქოჩორათი; ღვინიათი; ჩიტირეკათი; ამრეზიანთი; ქონიათი და სხვა“ (მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904 წ. გვ. 232).

XIX საუკუნის აღწერებშიც აქაური გვარები „თი“-თ ბოლოვდება. რ. თოფჩიშვილი წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ სს-ში (ე.ი. 1886 წლის მოსახლეობის აღწერის საოჯახო სიებში - ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე) ახალციხის ზოგიერთი ქართული გვარი გვარსახელთა მაწარმოებელი უძველესი ქართული სუფიქსით (ეთ, ათ) გვხვდება. მაგალითად: პეტრეთი, გულიჯანთი... ამ ფორმანტით ქართული გვარსახელის წარმოება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღემდეა შემორჩენილი ოფიციალური - ძე და შვილის ნაცვლად ხალხურ სამეტყველო ენაში აღნიშნული სუფიქსი იხმარება. სამცხეში თამარაშვილის ნაცვლად იტყვიან თამარათი, ხევში ავსაჯანიშვილის ნაცვლად - ავსაჯანეთი, ფშავში მუშტაშვილის ნაცვლად - მუშტათი და სხვა“ (რ. თოფჩიშვილი, XIX ს. მოსახლეობის აღწერა, „მნათობი“ 1987, №12, გვ. 163).

მაშასადამე, ქართლ-მესხეთში, კახეთში, ხევში, ფშავსა და სხვა კუთხეებში ქართული გვარები „თი“ სუფიქსით იწარმოება. ეს ომ უძველესი წესია, ამაზე მიუთითობს „ტბეთის სულის მატ-იანე“. ეს მატიანე XII-XVII საუკუნეების მანძილზე ივსებოდა, აქ მრავალი გვარი გვხვდება „თი“ დაბოლოებით. მაგალითად: კუჯერთი, სიკალაეთი, ისევე, როგორც ამავე სუფიქსით მრავალი ტოპონიმი იწარმოება (იხ. წყაროთმცოდნეობითი ძიებანი 1985 წლისა, 1988 წ. რუსულ ენაზე, გვ. 309-311). ამავე მატიანეს ეკუთვნის მოსაზრება: „ინტერესს მოკლებული არა არის აგრეთვე ძეგლის რამდენიმე ენობრივი თავისებურება, მაგალითად, გორგაძის გვარისა და სახელის ამ ფორმით წარმოდგენა: „გორგაზიეთ მახარებელსა“, „გორგაზიეთ კვირიკესა“, ანდა ვაცაძის – „გაცეთ ნიკოლოზისა“, ქუაბლიეთ“, „იაბედათ“, „როსტომეთ“ და სხვა მრავალი; ძეგლის ნუსხის დიდი ნაწილი ასეა წარმოდგენილი. მსგავსი მოვლენა შეიმჩნევა ჩვენი დროის მოხევეთა მეტყველებაში“ (ქ. შარაშიძე „მაჭახელის ხეობის დემოგრაფიული ძეგლი“ მრავალთავი XIII 1986 წ. გვ. 128).

აქვეა გვარები „გარდანეთ ვარდან“, „მეფუთკრეთ ივანე“ (იქვე). ეს ივანე რა გვარია? ცხადია, ის არის მეფუტკრეთი, მაშასადამე, მისი გვარის დაბოლოება არის „თი“ ისევე, როგორც ზემოთმოყვანილი მ. თამარაშვილისა და რ. თოფჩიშვილის მიერ დასახელებული გვარებისა, მაგალითად, ეთერათი, პეტრეთი. ეთერათი გვარია, მაგრამ თუკი ვინმეს ჰქვია სახელი გარდო და მისი გვარია ეთერათი, მაშინ ამ ვარდოს ასე უწოდებენ – „ეთერათ ვარდო“. ქართულისათვის „თი“ იგივეა, რაც „შვილი“ ან „ძე“ ოფიციალურ მეტყველებასა და მიმოწერაში.

ქ. შარაშიძე აღნიშნავს, რომ მოხევეები ასევე მსგავსი დაბოლოებით აწარმოებენ თავიანთ გვარებს. ასევეა დღევანდელ მესხეთში. მაგალითად, თუ უდელს სთხოვთ, ჩამოთვალოს თავისი სოფლის გვარები (შინაურული) – ის ჩამოთვლის გვარებს

(„ყულიჯანათი“, „ველიჯანათი“, კრუხიჭამათი“, „პეტრეთი“, „პარუნათი“ და ასე შემდეგ), ე.ო. ისინი გვარს აბოლოებენ „თი“ მაწარმოებლით და არა „ეთ“-ით.

ს. ყაუხეჩიშვილი წერს: „ეთ სუფიქსიან გვართა სახელებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა პროფ. კ. ღონდუამ. ამ გამოკვლევაში ათი გვარსახელია: ლიპარიტეთ, ვახტანგეთ, ლურმუკეთ, სუქმანეთ, კონონეთ, ნინოსეთ, პავლეეთ, გაგიკეთ და შამირამეთ.... პ. კეკელიძე, თავის მხრივ, უმატებს რვა ეთ-სუფიქსიან სახელებს: მინა ერმოგინეთი, ევსტრატეთი, აბიბოსეთი, ანდრონიკეთი, კლეოპათი, აკინდინეთი, კოზმან-დამიანეთა, პეტრე-პავლეთ... „ქართლის ცხოვრების“ ძეგლებში ეთ-სუფიქსიანი სახელები შემდეგია: „და მის მიერ შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა, სამცხეთართა, პერეთთა, კახეთთა...“, ხოლო ვითარ ცნეს, რომელ სტეფანიათ ვერას ავნებდეს ... ითხოვეს საზრდელი მცირ სტეფანელთა მისცეს...“ იქ ეთ-სუფიქსი (სტეფანიათ - სტეფანიეთ) ისევე არის ზედასართული ხასიათისა, როგორც ვახტანგეთ-ში, ლიპარიტეთ-ში და სხვაგან, ნიშანდობლივია, რომ თვით ვარიანტებშიც ასეა აგებული: პერეთთა - პერელთა; სტეფანიათ - სტეფანიელთა, სტეფანწმინდელთა. რომ „ეთ“ ქსმოდათ, როგორც „ელ“, ჩანს ასეთი კონტექსტიდან: „ამის მოწამე არს სახლი შარგანშეთი და დარუბანდელთა“, სადაც ერთისიტყვის - „ეთ“ (შარვანშეთი) უდრის მისი პარალელური სიტყვის - „ელ“ სუფიქსს (დარუბანდელთა)... ზოგ შემთხვევაში „ეთ“ სუფიქსს შინაარსობრივად ენათესავება „ოონ“ სუფიქსი, ასე მაგალითად: ბაგრატიონი ისევე უდრის (ბერძნული სუფიქსის ენით რომ ვიღაპარაკოთ), „ბაგრატიდს“, როგორც ვახტანგეთი - „ვახტანგიდს“, ე.ო. „ბაგრატიონი არის კაცი ბაგრატის მოდგმისა... ზოგჯერ -იან სუფიქსი იმასვე გამოხატავს, რასაც ბერძნული „იდ“ სუფიქსი, ასე მაგალითად, ეფრემონი ეწოდება „ეფრემის მოდგმის ადამიანს...“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 077-078).

„თი“ უნდა იყოს მრავლობითის აღსანიშნავი სუფიქსი, მაგალითად, „ოთარაანი“ ერთი ადამიანის გვარია, ე.ი. ოთარაშვილი, მაგრამ „ოთარაანთი“ ოთარაშვილების ფრატრიის წევრს უნდა ნიშნავდეს. „ოთარაშვილებისა“ – „ოთარაანთ ქვრივი“ – ოთარაშვილების ქვრივია. „მეფუტკრეთ გოგია“ – მეფუტკრიშვილების ფრატრიის წევრი გოგია მეფუტკრიანთია და მეფუტკრიუნთია. ასეთი აზრის გამოთქმის უფლებას იძლევა საქართველოს მთაში დასავლეთსა და აღმოსავლეთში შემორჩენილი მსგავსი გვარების მაგალითები. მაგ. ს. მაკალათია წერს, რომ მთის რაჭაში „ლობჯანიძეები იყოფიან: ხოშტიანი, ნანუკიანი, ლაშენი, ზვიადენი, ჯოტენი, სვანენი, ჯოჯუენი და სხვა. გობეჯიშვილები: შალიკიანი, ერმილენი, ნინენი, დეტუენი და სხვა. გავაშელიშვილები: ქაოზენი, ნასხილენი, გოტოიანი, გავიტიანი, ქუტუნენი, ოთუკენი და სხვა. გოგრიჭიანი: ჩხუტენი, ლეჩხუმელნი, საგიენი, მამუჩიანი და სხვა. მხოლოდ ამ კომლობრივი სახელით შეიძლება აქ ადამიანის მონახვა. მაგალითად, თქვენ თუ იკითხავთ ივანე ლობჯანიძეს, მას ვერ გიჩვენებენ. უნდა იკითხოთ ივან ზვიადენთ ლობჯანიძე, რომელი სახელით ეს კომლია ცნობილი და მაშინ კი გაიგებენ, მათში გვარს არ იხსენიებენ და ხშირად არც იციან ამა თუ იმ პირის გვარი, არამედ ჩვეულებრივად იტყვიან: მიხა ერმილენთი, მამუკო ნინუკიანთი და სხვა“ (ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1987, გვ. 50).

მაშასადამე, ს. მაკალათიას მასალიდან ჩანს, „თი“ – საერთო ფრატრიის (ე.ი. მრავლობითის) აღმნიშვნელი სუფიქსია გვარსახელის წარმოებისას. მაგალითად, ლობჯანიძეების განაყოფი გვარია ზვიადენი, მაგრამ გვარის მატარებელი რომელიმე პირი უკვე არის „ზვიადენთი“, როგორც მოყვანილი ჰყავს მკვლევარს, „ივან ზვიადენთ ლობჯანიძე“, ე.ი. ზვიადაშვილების ფრატრიის წევრი ლობჯანიძე ივანე. ასევეა ფშავ-ზევსურეთშიც – მაგალითად, სოფ. ცაბაურთას ფრატრიას ეწოდება „ცაბაურთა“

(იხ. გ. თედორაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 66). აღსანიშნავია, რომ ფრატრია „ცაბაურთა“ -ში შედიან სხვადასხვა გვარები – მიგრიანი, ბეკიანი, გოგანი, ანუ გოგლელანი, რომელნიც, თავის მხრივ, კიდევ განიყოფიან გვარებად ბახჩონი, ჩიტონი, ჭამიანი, იორამნი, ბალიანი და სხვა. აქაც თუ ჩვენ ვეძებთ რომელიმე ადამიანს, უნდა ვიკითხოთ, მაგალითად, ცაბაურთა ჩიტონთ გოგია. არსებობს სოფ. უძილაურთა ფრატრია, რომელშიც აგრეთვე სხვადასხვა გვარები შედიან (გვ. 67). არსებობს ფრატრია „ბობლიანთა“. აქ შედიან გვარები დავითიანი, ბობლანი, სოხურანი, ხიბლანი. თუ ჩვენ ვეძებთ ადამიანს, უნდა ვიკითხოთ „ბობლიან ხიბლანთ ივანე“, ე.ი. ეს ივანე არის ბობლიანთ ხიბლანთი ან ხიბლან ბობლიანთი.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი დატვირთვისაა სუფიქსი „თი“ („ეთი“, „ათი“), ის ქართულ გვარსახელთა მაწარმოებელია როგორც ძველად, ისევე ახლაც. „თამართი“ ასეთი სახით უნდა იყოს წარმოებული – თამარაანთი ან თამარათი. „ან“ – ს კვეცა რომ ახასიათებს, ეს ჩანს გვარიდან ქაჯაიანი – ქაჯაია; (რატრიანი – რატრია); პეტრეთი და სხვა მსგავსი დაბოლოების გვარები ნაწარმოები უნდა იყოს იანის (ანის) შეკვეცით: პეტრეანთი – პეტრეთი, ვახტანგიანთი – ვახტანგეთი.

არსებობს განსაკუთრებით საინტერესო დოკუმენტი იმისა, რომ ძველ საქართველოში გვარსახელთა წარმოების სუფიქსები – „ანთ“ (იანთ), „შვილი“, (და რუსული ადმინისტრაციის გავლენით) „ოვი“ ერთნაირი მნიშვნელობის მქონენია. მაგალითად, 1800 წლის ერთ ნასყიდობის სიგელში მოხსენებულია ერთი და იგივე პირი და მისი ოჯახის წევრები (ერთი ოჯახიდან): შადინაანთსტეფანე, შადინაშვილისტეფანე, შადინაანთ თომა, შადინოვი თომა (ქართ, სამართ. ძეგლ. III გვ. 1053-1056).

აქედან ჩანს, რომ შადინაანთ იგივეა, რაც შადინაშვილი და შადინოვი. „ანთ“, „შვილი“, „ოვი“ – ეს სუფიქსები ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება. ამიტომაც, არსებობს პარალელური

ფორმებით გვარები – გოგოჩაშვილი, გოგოჩეთი, შალიკიანთი (იხ. ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ. გვ. 40) – შალიკაშვილი. ბედელუანი უდრის ბედელიძეს ან ბედელიშვილს, ის შეიძლება გამოითქვას, როგორც ბადელიანთი, ბადელიანი. ეს გვარი არის ოს წარჩინებულთა გვარი და რაჭის ჩრდილოეთით ოსეთის დიგორში იხმარებოდა (ვახუშტის – ბადელიძე). რაჭული ლექ-სია: „დიგორსა დასხდნენ ვაზირნი, რჩეულნი ბადელუანი“ (იხ. იქვე, გვ. 36). ბადელიანთი-დან „ან“ – ის შეკვეცით მიიღება გვა-რი ბადელათი. მართლაც, „ბადელიათებად“ იყო ცნობილი ეს დიგორული (ოსური) საგვარეულო. ბადელიათი-დან – შემდეგ ბადელიატი (თი-ს ტი-ში გადასვლის მრავალი მაგალითი არსებობს ძველ ქართულ ენაში).

ოსეთში ისე, როგორც ფშავ-ხევსურეთსა და საქართველოს მთიანეთში, არსებობენ ფრატრიები (ძირითადი, რამდენიმე გვა-რის მომცველი ერთიანი საგვარეულო), რომლისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ ისიც „ათ“, „თი“, „ეთ“ – ით ბოლოვდება. მაგალითად, ცარგასათების ფრატრიაში შედიან გვარები: ყასაბულაევ, თაიმაზოვ, კანტიმიროვ, „სთირდიგორში გაბატონებულთა საგვარეულოებს – ყარაბულაევებს, თაიმაზოვებს და კანტიმიროვებს ცარგასათები ეწოდებოდათ – დონიფირსსა და ლეზგორში კი – გაგუათები“, „გაგუათებს მიეკუთვნებოდნენ: გობეგპაევები, კანუკოვები, კაბანოვები, ნაიფონოვები, ძირაევები, ძობლიევები, ბერიევები და სხვა“ (გ. გონიგაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 238, შენიშვნა). ცარგარათების წინაპარია ცარგარი (სარგასი), გაგუათებისა კი – გაგო (იქვე, გვ. 196); ცარგასი – ცარგასათი; გაგო – გაგუათი. აქედან ჩანს, რომ ეს გვარები გვარების მაწარმოებელი ქართული სუფიქსებითაა წარმოებული. ეს ჩვენ სრულიად არ გაგვაპვირვებს, თუ გავიჩენებთ, რომ ოსი ხალხის წარმოქმნაში დიდი მნიშვნელობა ჰქონია ორ ეთნიკურ ჯგუფს – ჩრდილოირანულს ერთი მხრივ და კავკასიურს მეორე მხრივ

(სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკ. I ტ. 1985, გვ. 58). უნდა ვითიქროთ, რომ ეს დასახელებული „კავკასიური ჯგუფი“ ძლიერ ახლოს მდგარა ქართველებთან, მართლაც ამ „კავკასიურ ჯგუფი“ ვახუშტი დვალებს უწოდებს (ეთნოგენეზის მეორე ეტაპზე, პირველ ეტაპზე „კავკასოსის“ შთამომავლებსა და ამიერკავკასიელ ტყველებს, იხ. ზემოთ). დვალები – კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით – ქართული ტომია ოს-ალანების ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ მთიანეთში დამკვიდრებამდე (მონგოლებამდე). ამით უნდა აიხსნას, რომ არა მარტო „თა“ დაბოლოება ახასიათებს ოსურ გვარებს, არამედ „იანიც“. გვარსახელის მაწარმოებელი სუფიქსი იანი აქვთ შემდეგ გვარებს: სალონიანი (დუდაროვი), ბადელიანი, ალღუზიანი (იქვე, გვ. 187, 239).

„თაგაურის საზოგადოებაში პრივილეგირებული წოდება იყო თაგაური, ანუ თაგიათა“ (იქვე, გვ. 195). როგორც ზემოთ განვიხილეთ, „ური“ და „თა“ ქართული გვარსახელის მაწარმოებელი სუფიქსებია. „თაგიათების (ალდარების) 11 გვარი იყო თაგაურში. თულათოვები, კუნძუხოვები, მამსუროვები...“ (იქვე, გვ. 195). „თაგაურთა“ რამდენიმე გვარად იყოფოდა, ისე-ვე, როგორც საქართველოში ვეშაგურთა გვარში. „ვეშაგურთა გვარში შედიან მახიტანიც, რომლის დანაყოფებია ნანაძიანი, გოგოლიანი, ბალიკიანი, გივინაანი, გამიხარიანი (ჭიჭოლიანი). მახიტართ (მახიტაშვილების) წინაპარი ყოფილა მახიტა, რომელიც ქსნიდან მოსულა...“ (ვ. იონიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 145).

სრულიად არ არის შემთხვევითი გვარწარმოქმნის იდენტურობა და გასაოცარი მსგავსება საქართველოსა და ოსეთში, როგორც ეს ზემოთმოყვანილიდან ჩანს. ამიტომაც უნდა ითქვას, რომ ეს გვარწარმოქმნის ათასწლოვანი ქართული სისტემაა.

სევე ითქმის ტოპონიმიკაზე, განსაკუთრებით „თა“, „ტა“ – სუფიქსით წარმოებულზე. „თა“ დაბოლოების მქონე გვარებთან დაკავშირებული ასეთი ტოპონიმებია: ქავთარაანთკარი – ქავთუ-

რთკარი (ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ7 79). აქ ჩანს, რომ „ურთი“ იგივეა, რაც „ანთი“, ცხვედიათი (გვ. 133); კვერიათი, მანიარეთი (გვ. 136); დავითურთკარი (დავითურები); ჯურხანთკარი (ჯურხანი); ვეშაგურთკარი (ვეშაგურები); წითლიანთკარი (წითლიანი) (გვ. 138); ჯუხრათ მთა; ჩუხურიანთი; ცაცხვიანთ ვაკე, წისკვილთვაკე, ტყემლიანთ ვაკე და სხვა (იქვე).

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, რომ ქართული გვარწარმოქმნის მაწარმოებელი სუფიქსები „შვილი“, „იან“, „ან“, „ეთ“, „ათ“, „თი“, „იანთ“, „ანთ“, „ური“ იდენტურებია. მაშასადამე, გოგოჩაშვილი იგივეა, რაც გოგოჩეთი; ქავთარაანთი იგივეა, რაც ქავთურთი; ჩოჩიშვილი-ჩოჩიეთი-ჩოჩითი; ჩიგოშვილი-ჩიგოეთი-ჩიგოთი (შეადარე ვახტანგეთი და სხვა); თამარაანთი-თამარათი; პეტრ-იაშვილი-პეტრეთი, მეფუტკრიშვილი-მეფუტკრეთი და ა.შ.

ყოველივე ეს ზემოთმოყვანილი ითქვა ისტორიულ დვალებთან, ანუ ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ რეგიონებთან დაკავშირებით, ხოლო რაც შეეხება ქართლის მთიანეთს და ქართლის ბარს, სადაც გაოსებული დვალები გადმოსახლდნენ და ადგილობრივი ქართველების ერთი ნაწილი გააოსეს, აქ, ცხადია, გვარების წარმომავლობა ქართულია. მაგალითად, ამჟამად ოსურად მიიჩნევა ისეთი გვარები, რომლებიც ოსების შიდა ქართლში ჩამოსახლებამდე ასწლეულობით ადრე მოიხსენიებიან ქართულ საბუთებსა და ქრონიკებში, როგორც ჩვეულებრივი ქართული გვარები. მრავლადაა ისეთი ოსური გვარები, რომელთა ანალოგია ქართლის მეზობელ კუთხეებში მრავლადაა სვანეთიდან ხევსურეთამდე, უფრო მეტიც, ოსურად მიიჩნევა ისეთი გვარებიც, რომელთა ქართული ფორმა თვით შიდა ქართლშივეა ცოცხალი.

ქართველთა გაოსება (ცხადია, ამ ქართველებს თავიანთი ქართული გვარები ჰქონდათ) განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში. გ. ჯალაბაძე წერს: „თუ ქართველთა და გაქართველებულ დვალთა გაოსება წინა

საუკუნეებში მხოლოდ მაღალმთიან ხეობებს მოიცავდა, XX საუკუნეში პროცესმა გადმოინაცვლა დაბალმთიანი გარდამავალი ზოლისაკენ“ (გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, კრებული „შიდა ქართლი“ 1987, გვ. 17-18).

გაოსების პროცესს თვით ხალხი უკვირდებოდა და აფიქსირებდა თავის მახსოვრობაში. ცხადია, ისინი თვითმხილველნი და მომსწრენი იყვნენ იმისა, მათი ნათესავები, მეზობლები თუ განაყოფები როგორ ეწერებოდნენ ოსებად. ასე დაუფიქსირებიათ ბედოშვილების, მელაძეების, ილურიძეების, ბუთხუზების, ჯაბაურების, ხარხაულების, ფსუტურებისა და სხვა უთვალავი ქართული საგვარეულოების ოსებად დაწერის ფაქტი. მათ გაოსებამდე, ცხადია, იგივე ქართული გვარები ჰქონდათ, ხოლო იმის შემდეგ, რაც თავიანთი თავი ოსებად ჩათვალეს, ქართული სახელების მაწარმოებელი სუფიქსები – „შვილი“, „ური“, „იანთი“, „ძე“ და სხვა შეცვალეს რუსული „ევ“, „ოვ“, ანდარატომდაც ოსურად მიჩნეულ „ეთ“, „ათ“, „თი“ სუფიქსით. მაგალითად, ბედოშვილისაგან აწარმოეს ბედოევი ანდა ბედოთი (ბედოშვილები ცეცხლაძეების განაყოფად მიიჩნეოდნენ).

ქნის ხეობაში სოფ. ზოხის ძირითადი მკვიდრნი 1774 წ. იყვნენ ოდიშვილები. საინტერესოა ეთნოგრაფიული მასალა ოდიშვილების შესახებ. „ჩვენი წარმოშობა სულ სხვა გვარი იყო. ძირ-გვარი ყოფილა ცეცხლაძე, თავიდან მეჯუდის ხეობის სოფ. აიდიში უცხოვრიათ. მანდ ყოფილან სამი ძმა ცეცხლაძეები (აღსანიშნავია, რომ ცეცხლაძეები 1774 წ. აღწერის თანახმად ჭურვისხევის მკვიდრნი არიან – რ.ა. იხ. ჯავახ. გვ. 184). ერთს ერქვა ბედო, მეორეს მელა, მესამეს ოდი. ესენი ჩამოსულან და დაუკარგავთ ნამდვილი გვარი ცეცხლაძე და გადაკეთებულან სამ გვარად – ოდიშვილად, ბედოშვილად და მელაძედ. მელაძის წინაპარი დასახლდა ჭუროთში, ოდიშვილისა – ზოდებში, ბედოშვილისა – საფარშეთში. მელაშვილები და ბედოშვილები გაოსდნ-

ენ, სხვებიც არიან ოდიშვილები. პაპაჩემის გადმოცემით, ისინი ზოდებში მოდიოდნენ სალოცავად“ (რ. ოოფჩიშვილი, ქსნის ხეობის ზოგიერთი ეთნოსტორიული საკითხი“, „მაცნე“ ისტორიის სერია 1987, №4, გვ. 35).

აი, მეორე საგვარეულო დაკვირვება ხარხელების, ჯაბაურებისა და ფსუტურების გაოსების შესახებ. მათი ერთი ნაწილი ქართველებად დარჩა.

„გუდამაყრიდან გადმოსახლებულა ჯაბაურების წინაპარი. მათი ძირ-გვარი აფციაური ყოფილა. მთხრობელის სიტყვით, „ჩვ-ენი წინაპრები პირველად ქოლვში დასახლებულან, მერე აქ გუ-რთაში გადმოსულან. ჩვენი გვარისები ყოფილან აგრეთვე ქოლ-თში მოსახლე ხარხელები და ფსუტურები. ზოგი ნახიდში ცხოვრობენ. ნახიდში ბეკრი გაოსდა. ფსუტურები თვითონ უფრო ოსურად ლაპარაკობდნენ“ (იგივე გვ. 39).

ამჟამად ბიტიევები ოსებად ითვლებიან, მათი ძირ-გვარი ძელყორაშვილი ყოფილა.

„ძელყორაშვილების ძირ-გვარი გუთნიშვილი ყოფილა, ძელყორაშვილების გვარს კი შედარებით გვიან (XIX ს. ნახ.) გამოყოფიან ბეკარაშვილები და ბიტიაშვილების გვარი“ (იგივე გვ. 39).

ბიტიაშვილები ანუ ბიტიანთი რუსული ადმინისტრაციის გავლენით თავიანთ გვარს აკლებენ გვარმაწარმოებელ ქართულ სუფიქსს და უმატებენ რუსულ „ვ“ – ბიტიაშვილები ბიტიევებად გადაიქცნენ. ქართველთა გაოსების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, სოციალური და რელიგიური მიზეზები არსებობდა. მაინც შეიძლება დავსვათ კითხვა – როგორ შედიოდა ოსური ენა ქართულ ოჯახში? ამ კითხვას პასუხობს მეცნიერი შესაბამისი მაგალითის მოყვანით.

„აქ მოსახლეობენ ქართველები და ოსები. დღეს ქართველთა აგან ჭურთში მხოლოდ ილურიძეების და ბუთხუზების გვარი

მკვიდრობს. 1774 წ. ჭურთის ხეობაზე, ილურიძეების გარდა, შემ-დეგი ქართული გვარები მკვიდრობდნენ: ზანგურიძე, ცეცხლაძე, ბუჯიძე, დორეული, შერმადინი (ჯავახ. გვ. 183-185). დორეულები და ბუჯიძეები XVIII-XIX სს მიჯნაზე აქედან აყრილან და ბარში გადასახლებულან. დასახელებული გვარების ყოფილ სამკვიდრო სოფლებში ოსები ჩასახლებულან. ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესოა ის პროცესები, რომლებიც ამ ხეობაში მოხდა XIX-XX სს. როგორც აღვნიშნეთ, დღეს ბურთხულებთან ერთად ილურიძე ერთ-ერთი ქართული გვა-რია ჭურთის ხეობაზე მოსახლე სხვადასხვა ოსურ გვარებს შორ-ის. ცნობილია, რომ ქალი იშვიათად თხოვდება ბარიდან მთაში, ძირითადად პირიქით მოვლენას აქვს ხოლმე ადგილი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ილურიძეებიც, მათ ქვემოდან მოსახლე ქართველთაგან ზემოთ არავინ თხოვდებოდა. ილურიძეების ზემოთ კი ოსები მკვიდრობენ. XIX ს. ილურიძეებმა მასიურად დაიწყეს ოსის ქალებზე დაქორწინება. ქალმა კი, რომე-ლიც ილურიძეთა ოჯახის დედა და რძალი იყო, ამ გვარში შემოი-ტანა ოსური ენა, ყოფა და რიგი წეს-ჩვეულებები. ილურიძეები დღეს ფაქტობრივად ორენოვანნი არიან. XVIII ს-ის აღწერის მასალებით ილურიძეების ქართველობა არავითარ ეჭვს არ იწვე-ვს, ანტროპონომიკა ამ პერიოდში მთლიანად ქართული აქვთ. შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ქართული სახელები, რომლებსაც ილურიძეები ატარებდნენ... რა თქმა უნდა, აქ მოტ-ანილი ანტროპონიმია კომენტარს აღარ საჭიროებს. გვარსახელი ილურიძე ორმაგი ფორმანტის (ურ-ძე) შემცველია. მათი წინაპ-არი იმერეთიდან მოსულა, გვარის სალოცავია წმ. გიორგი, რომლ-ის დღეობას ეჭვფობას ეძახიან“ (იქვე, გვ. 35).

შიდა ქართლში ამჟამად არსებობს ასეთი ოსური გვარი - ელოევი, მათი განაყარია პავლიაშვილი, ძირგვარი კი გიგაურია. ელოშვილებისათვის ფუძე დაუდვია ელო პავ-

ლიაშვილს, ელოანების ანუ ელოშვილების ერთი ნაწილი ელოევებად ქცეულა...

„ქაიჩოხის ერთ-ერთი ძველი მოსახლენი არიან პავლიაშვილები. ეთნოგრაფ გ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი მასალით პავლიაშვილთა ნაწილი ხევიდან მოსული გიგაურების მემკვიდრეები არიან. მოხევე გიგაური დამხვედრ პავლიაშვილებს შეყრია. „ქსნისხეველი პავლიაშვილები ბოლო დრომდე გერგეტის წმიდა გიორგის კარზე დადიოდნენ თურმე. პავლიაშვილების განაყრებად ითვლებიან ელოშვილები. ახალი გვარსახელის გამოყოფა შედარებით გვიან, XVIII ს-ის II ნახევარში მოშხდარა. ამ გვარისათვის საფუძველი დიდი ოჯახის უფროსს ელო პავლიაშვილს მიუცია. 1774 წ. აღწერის დავთარში ასეთი პიროვნება მართლაც გვხვდება. თავდაპირველად ელომ პავლიაშვილების ელოანთა მამიშვილობას დაუდო საფუძველი. შემდეგ კი მოხდა მამიშვილობის გვარსახელად გარდაქმნა. საყურადღებოა, რომ პავლიაშვილების გვარების (პავლიაშვილი, ელოშვილი) წარმომადგენლები იყვნენ ქსნის ხეობის ცენტრალური სალოცავის – ლომისის დეკანზები“ (იქვე, გვ. 32). როგორც აღინიშნა, ელოშვილების ნაწილი ახლა ელოევებად ეწერება და ოსობს.

ოსებად ეწერებიან ასევე შიუკაევები და სიუკაევები, ეს უკანასკნელი შიუკაევებისაგან არის შ-ს დარბილებით და ს-ში გადასვლით წარმოებული.

შიუკაევების წინაპრები არიან ქართველი შიუკაშვილები, რომლებიც XVIII ს. აღწერისას ქსნის ხეობაში მკვიდრობდნენ. ეს ხეობა მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, ჭურთის გარდა. შიუკაშვილები არა ჭურთში, არამედ ცხაზმაში ცხოვრობდნენ. იმ დროისათვის მათი ქართველობა უეჭველია. „1774 წ. ცხრაძმის სოფ. უკანამხარეში ძირითადად მკვიდრობდნენ შიუკაშვილები და ოღაძეები. კამერალური აღწერის მიხედვით, აქ ჩანან მანჯიკაშვილებიც. ეთნოგრაფიული

მასალით, ოღაძეთა გვარიდან არიან გამოსული ქართველი პაპიაშვილები“ (იქვე, გვ. 33).

ჯიკაევების გვარი შეიძლება ზემოთ აღნიშნული მანჯიკაშვილების (ანუ მანჯიკაევების) გვარის გადაკეთებით იყოს მიღებული.

ქოქოევის ანუ როგორც რუსულად წერენ, კოკოევის, გვარი ქართული ქოქოაშვილისაგან არის მიღებული. ქოქოაშვილების განაყოფი ყოფილა კაჭიური – „გავაზში უსუფიქსაციო გვარსახელის მატარებელნი – ბუთხუზები მოსახლეობენ. კომპ-აქტურად მოსახლეობენ ამ გვარის წარმომადგენლები მთიულეთშიც. გავაზში მკვიდრობდნენ კაჭიურებიც (ჯავახ. გვ. 186). კაჭიურების ძირ-გვარი ქოქოაშვილი ყოფილა (იქვე, გვ. 36).

ჩოჩიევების გვარიც მსგავსად არის ნაწარმოები ჩოჩიშვილი-სგან. ეს გვარი ჩოჩელისა და ჭოჭალის სახითაც იყო ცნობილი. მათი ძირ-გვარი ქარუმიძე ყოფილა: „XVIII ს. საძეგურში მოსახლე ზოგიერთი გვარი დღეს აღარ მოსახლეობს. მათი უმეტესობა საცხოვრებლად ბარში წასულა. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სულაშვილები. სულაშვილების საძეგურში მკვიდრობის დამადასტურებელი ტოპონიმებიც შემონახულა („სულანთ ნასახლარები“). ფონეტიკური ცვლილება განუცდია XVIII ს. მოხსენებულ ჭოჭალის გვარსახელს. დღეს ისინი ჩოჩელად იწერებიან. გვარსახელის ფონეტიკური ცვლილება, ჩანს, რუსული ენის გავლენით მოხდა. საერთოდ, ფონეტიკური ცვლილება XIX ს. არაერთმა გვარსახელმა განიცადა. ჭოჭალების (ჩოჩელების) ძირ-გვარია ქარუმიძე“ (იქვე, გვ. 37).

მართლაც, XIX საუკუნეში მრავალმა ქართულმა გვარსახელმა განიცადა ფონეტიკური ცვლილება რუსული ენის გავლენითაც და ადმინისტრაციული იძულებითაც. ამის მაგალითები ჩანს რუსული ხელისუფლების დამყარების პირვე-

ლივე წლებში: – 1801 წლის 18 აგვისტოს ოქმში ქართველები ქართული წესით მოიხსენებენ გვარსახელს – „ამილახვრისშვილს“, ხოლო იმავე ოქმში რუსული ხელისუფლება მას მოიხსენებს, როგორც „ამილახოროვს“, იქვე – ჩოლოყალშვილი – ჩოლოკაევად, თუმანიშვილი კი თუმანოვად არის გადაკეთებული (ქართ. სამართ. ძეგლ. VIII, 1985, გვ. 740).

ქართული გვარების ფონეტიკური ცვლილება (ე.ი. გვარწარმოქმნის ქართული სუფიქსების – „ძე“, „შვილი“, „იან“, „თი“, „ეთ“, „ათ“ და სხვა შეცვლა რუსული სუფიქსებით – „ევ“, „ოვ“) დაიწყო XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე და გაგრძელდა მთელი საუკუნის მანძილზე. მიღებულ იქნა ქართული გვარსახელების ახალი ფორმები, რომელნიც მისაღები და გარკვეულ პერიოდში სასურველიც კი ყოფილა ქართველებისათვის, მაგალითად, გვარი რაზიკაშვილი რაზიკოვად გადაკეთდა, ვაჟა-ფშაველა წერდა: ჩემს სიყმაწვილეში ჩემთვის რაზიკოვის ნაცვლად რაზიკაშვილი რომ ეწოდებინათ, მეწყინებოდაო. წერეთელი – წერეთლოვად (აკაკის ბიძაშვილი), ორბელიანი – ორბელიანოვად, გარსევანიშვილი – გარსევანოვად და ა.შ. იქცა. შიდა ქართლშიც ასევე გადაკეთდა გვარები რუსული სუფიქსების დართვით. აღსანიშნავია, რომ აქამდე შიდა ქართლის დაბალი ფენა საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად თავიანთ გვარსახელს აწარმოებდა „იანთი“ – ს ან „თი“ – ს დართვით, მაგალითად, კობაიძეები იყვნენ – კობათი, გიგაურები – გიგაურთი, კაიშაურები – კაიშაურთი, ლაზუაშვილები – ლაზუანთი (იქვე, გვ. 33), ბაზუაშვილები – ბაზუანთი (იხ. ვ. ლუნაშვილი, „ქსნის ხეობის წარსულიდან“, მაცნე, ისტ. სერია, 1988, №4, გვ. 89). ასევე დაბოლოება „თი“ დამახასიათებელი იყო მთელი საქართველოსათვის, როგორც ზემოთ იყო განხილული, ასევე იყო შიდა ქართლის მეზობელ ხევშიც. აქ ეწოდება სამანქაშვილებს – სამანქეთი, ჩონიაშვილებს – ჩონიეთი (ამიტომაც სამანქაშვილების ციხეს ერქვა სამანქეთ

ციხე, ხოლო ჩონიაშვილების ციხეს – ჩონიეთ ციხე) (იხ. ვ. იორნიშვილი, ხევი, 1984, გვ. 17). „ზაღეთ ციხე (ზაღენი ჩოფიკა-შვილების გვარის ერთი ნაწილია... გუგუეთ ციხე (გუგუენი – ჩოფიკაშვილების გვარის ნაწილია“ (იქვე, გვ. 13).

ამიტომაც, შიდა ქართლში გვარები რუსულ ყაიდაზე გადაკეთების შემდეგ იხმარებოდა ოფიციალური საჭიროებისას, ხოლო შინაურობაში კვლავ „თი“ ან „ანთი“ დაბოლოების ქონე გვარები იხმარებოდა. აქაური მოსახლეობის „ე.ი. ქართველების“ ერთი ნაწილის ოსებად ჩაწერისას მათ კვლავ შემორჩათ თავი-ანთი შინაურული გვარები ქართული სუფიქსით „ანთი“, „თი“ დაბოლოებით. ამ დაბოლოებათა (ე.ი. „ითი“) აღდგენას ცდილობენ ამჟამად რუსული სუფიქსების („ევ“) ნაცვლად.

„ევ“ სუფიქსი საქართველოში ოსთაგან თავდაპირველად თრუსოს ხეობის ოსების გვარებს დაერთო, ხოლო სხვაგან (შიდა ქართლში და სხვაგან) მცხოვრები ოსების გვარი „შვილი“ სუფიქსით ბოლოვდებოდა. „ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების კვლევის თვალსაზრისით ინტერესმოქლებული არ უნდა იყოს ზოგიერთი სხვა მასალის მოტანაც. 1886 წ. საოჯახო სიებიდან კვლევის ამ ორბიტაში ექცევა ის, რომ საქართველოში მოსახლე ყველა ოსის გვარსახელი შვილი ფორმანტით იყო გაფორმებული, გარდა თრუსოს ხეობის ოსებისა. თრუსოელი ოსების გვარსახელების ფუძე ძირითადად „ოვ“ („ევ“) სუფიქსს ირთავდა. მაგრამ თრუსოს საოჯახო სიები სხვა მხრივ იძლევა მასალას ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების გამოსავლენად. სოფ. ალმასიანში (ბაზალიანში) მოსახლე ზაგაშვილებს, მართალია, ეროვნება „ოსი“ აქვთ მიწერილი, მაგრამ მათი „იაზიკ დომაშნიი“ ქართულია. სს-ით ორენოვანია სოფ. კარატკავის მოსახლეობა (ქართული და ოსური). იგივე შეიძლება ითქვას სოფ. ქეთორისის მკვიდრებზეც. სოფ. მნის მცხოვრებლებს კი „იაზიკ დომაშნიი“ -ის გრაფაში ქართული აქვთ მიწერილი. რაც

შეეხება ოქროყანას (მოსახლეობდნენ: გუდიევები, ბიბილოვები, არჯინოვები, ბიდაგოვები, ზაგალოვები, კაკაევები), თავდაპირველად აღმწერს „ნაროლნოსტ“ –ის გრაფაში „ოსეტინი“ ჩაუწერია, მაგრამ შემდეგ გადაუშლია და იმავე ხელით ზემოდან დაუწერია „გრუზინი“. „იაზიკ დომაშნი“ –ს გრაფაში კი „გრუზინსკიი ი ოსეტინსკიი“ (254-3-1816). ასევე ორენოვანია სოფლების სივრათის, რესის, საუთისის, ტეფეს, ცოცოლდის, შევარდენის მოსახლეობა. სოფ. თოლგოთის მკვიდრთ (ფიტაროვებს და თაყაევებს) „იაზიკ დომაშნი“ –ს გრაფაში ქართული ეწერათ“ (რ. თოფჩიშვილი, XIX ს-ის მოსახლეობის აღწერის მასალები... მნათობი 1987, №12, გვ. 160-161).

ზემოთ მოყვანილიდან კარგად ჩანს: აღმწერი ჩინოვნიკი შედის ოჯახებში, ის წინასწარ დარწმუნებულია, რომ იმყოფება ოსთა შორის, მაგრამ ოჯახის წევრების გამოკითხვისას რწმუნდება, რომ მათი საშინაო ენა არის ქართული, რომ ოჯახის წევრებს ქართველებად მიაჩნიათ თავიანთი თავი, ამიტომაც, თავისი ხელი-თვე შლის მის მიერვე რამდენიმე წუთის წინ წარწერილ სიტყვას „ოსეტინი“ და წერს სიტყვას „გრუზინი“ (იხ. ზემოთ). აღმწერნი თავისი თვალითა და ყურით რწმუნდებიან ოჯახის წევრების პირადი დაკითხვით, რომ თაყაევები და ფიტაროვები ქართველები არიან და არა ოსები, რომ გუდიევები, ბიბილოვები, არჯინოვები, ბიდაგოვები, ბაღაევები, კაკაევები ქართველები არიან (იხ. ზემოთ), მაგრამ სხვა აღმწერი ზაგაშვილს ეროვნება ოსს უწერს, თუმცა მისი და ოჯახის წევრების ენა ქართულია (იხ. ზემოთ) და ა.შ. რა შეიძლება ითქვას? ის, რომ ამ აღმწერებზე უფრო ადრე აღნიშნული სოფლებისა და მთელი ქართლის მთიანეთის მოსახლეობა რუსულმა ხელისუფლებამ ეროვნებით ოსებად გამოაცხადა. სწორედ ამით არის აღნიშნული აღმწერების დაბნეულობა გამოწვეული, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მთის ოსურ სოფლებში იმყოფებიან, ოჯახებში შესვლისას კი სა-

პირისპიროში რწმუნდებიან. არა მარტო ჩინოვნიკები, არამედ ქართლის ბარის მოსახლეობაც კი დარწმუნებული იყო, რომ ქართლის მთის მოსახლეობა ეროვნებით ოსურია. ამიტომაც მთიდან ბარისაკენ მიგრაციის დაწყების შემდეგ ქართლის ყოველ მთიელს, ბარში ჩამოსახლებულს, ოსად თვლიდნენ „...ყურადღება მივაქციოთ ოსთა შიდა ქართლის ბარში გადასახლების შემთხვევებს. საოჯახო სიები მიუთითებენ, რომ ოსების შიდა ქართლის ბარში ჩამოსახლება ძირითადად მოხდა XIX ს-ის შუა ხანებიდან, განსაკუთრებით 60-80-იან წლებში. აშკარად ჩანს დასახელებული ეთნიკური ერთეული ჯგუფური გადასახლებები აღნიშნული მიმართულებით. სს-ში ზუსტი ჩვენებაა მოცემული იმისა, მთის ამა თუ იმ სოფლიდან ბარის რომელ სოფელში გადასახლდნენ ოსების ოჯახები... საყურადღებოა, რომ შიდა ქართლის მთისა და ბარის სოფლებში დასახლებული ოსები უმეტესად ხიზნის კატეგორიით არიან მოხსენებული. მიგრაციული პროცესებისა და ეთნიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ 1866 წლისათვის დღევანდელი სამხრეთ ისეთის აო-ის ცენტრში ცხინვალსა და ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში ახალგორში (დღევანდელი ლენინგორი) არ მოსახლეობდნენ ოსი ეროვნებისანი“ (იქვე, გვ. 160-161).

მთაში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასაც ისებად მიიჩნევდნენ. ეს ჩანს ბესტავაანთ სოფლის მაგალითით. როგორც თვით სახელწოდება უჩვენებს, ეს სოფელი დასახლებული იყო ბესტავაშვილებით. ბესტავაანთ სოფელი ძველი სოფელი იყო და არსებობდა რუსული ხელისუფლების დამყარებამდე. მე-18 საუკუნის 70-იან წლების აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ბესტავაშვილების სოფელში სულ 4 კომლი ისი ცხოვრობდა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. დოკ. 5421), თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ 1870 წელს ბესტავაანთ სოფელში რუსულმა ადმინისტრაციამ ეკლესია „გახსნა“, ეს ნიშნავდა „ოსებად“ გადანათვ-

ლას ქართველი მთიელებისა (მათ მართლაც ოფიციალურად „ნა-თლავდნენ“), ეს ნიშნავს იმას, რომ საბუთებში ბესტავაშვილები ბესტაევებად გადაკეთდნენ, ხოლო ეროვნება ქართველი ოსით შე-ეცვალათ (იხ. ეკლესიის შესახებ სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკვ. გვ. 181). სხვათა შორის, ძველი შინაურული გვარი ბესტავაშვილებისა იყო, როგორც თვით სოფლის სახელიდანაც ჩანს, ბესტავაანთი, აქედან – ბესტავათი ან ბესტაუთი. ეს ფორმა ქართულია და არა ოსური.

ქართლის გაოსებული მთიელები წარმოშობით ქართველები რომ იყვნენ, გარდა აღწერის მასალებისა, უჩვენებს მათი ეთნოგ-რაფიულ-რელიგიური ყოფაც. აქ იგულისხმება მათი წინაპრების მიერ ჯვარ-ზატების საგვარეულო თაყვანისცემა სწორედ ისეთ-ივე სახითა და ფორმით, როგორც ახასიათებდათ მათ მეზობელ ფშავ-ხევსურებს, მოხევეებსა თუ სხვა ქართველ მთიელებს.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩრდილო ოსებში, ისე ვაინახებში ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი სიმბოლოს სახელი ქართული წარმოშობისა იყო. საქართველოს მთიანეთში ქართველ მთიელებს გააჩნდათ საგვარეულო ჯვარ-ზატები, „ზატი (ჯვარი) მრავალ-ია ხევსურეთში. მაგრამ მთავარი ოთხია – გუდანის ჯვარი, მთავ-არანგელოზის ჯვარი, ხახმატის ჯვარი, ლიქოკის ჯვარი... თუ ხალხს რაიმე საერთო გასაჭირი მოადგებოდა, მთელი თემი კოპ-ალას ან იახსარის ჯვარს შეევედრებოდა განსაცდელისაგან დასახენელად. გუდანის ჯვარში „ბრძანებლობენ“ ღვთისმშობლისა და გიორგის ზატები...“ (გ. თედორაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 23). „მთელ ფშავს ერთი საერთო ზატი ჰყავდა – ლაშა-რის ჯვარი. გვარებსაც ჰყავდათ საერთო საგვარეულო ზატები, როგორც ხევსურეთში. საგვარეულო ზატობას სერობა ჰქვია. სერობა გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ყველა გვარი ცალკე იზდიდა თავის დღეობას. გვ-არის წარმომადგენლები ყველა მხრიდან იყრიდნენ თავს. მოპ-

ყავდათ საკლავი, ქეიფობდნენ. ამტკიცებდნენ ნათესაობას. თითო გვარის სერობა თითო კვირას გრძელდებოდა. ერთი გვარი რომ გაათავებდა სერობას, მეორე დაიწყებდა, მეორეს მოსდევდა მესამე“ (იქვე, გვ. 72). მაშასადამე, ქართველი მთიელების ყოველ საგვარეულოს გააჩნდა თავისი საგვარეულო ჯვარი (ზატი), რომლის დღეობაზეც მთელი ამ გვარის მქონე ნათესაობა იკრიბებოდა და ამტკიცებდა თავის ნათესაობას. შემთხვევითი არაა, რომ ქართლის მთიანეთშიც საგვარეულოებს გააჩნდათ თავიანთი საგვარეულო ჯვრები. მაგალითად, სოფელ მორგოში არსებული „მორგოს ჯვარი“ ჯოლევების მფარველია, ბიბილურთა ჯვარი - ცხოვრებოვებისა (ს. მსხლები), „მიქელგაბრიელი“ - გაგლოევებისა (ს. კუსჯითა), ბაგაევები თავისად მიიჩნევდნენ „მთავარანგელოზ“ და სხვა. „ყველა საგვარეულო „ძუარები“ ხასიათდებოდა ისეთივე ხასიათით, როგორც საერთო და სოფლის ძუარები ოსეთსა სიწმინდის არსებობა, დღესასწაული წლის გარკვეულ დღეებში, მსხვერპლად ცხვრების, ხარების მიყვანა და მოწყობა ყოველწლიური ქეიფებისა დღესასწაულის დღეებში“ (სამხრ. ოსეთის ისტ. ნარკვ. გვ. 162-163). თითქმის ასევე იყო ფშავ-ხევსურეთშიც - „ხევა ხატებიც არიან - საგვარეულო, სათემო ხატები, მაგ., ზეისტეჩოს ხატი. ეს არის მხოლოდ არაბულებისა... ხევსური ხატობაში ვერ წავიდოდა, თუ საკლავი არ ჰყავდა“ (ო. თედორაძე, გვ. 27). „ფშავის ხატობაში დაკვრაც შეიძლება, ცეკვა-თამაში, ქალ-ვაჟთა გახუმრებაც... ხატობა ფშავში უკვე ქეიფის მიზეზად იქცა...“ (იქვე, გვ. 72).

ქართლის მთიანეთში „გვხვდება დღესასწაულები, რომელსაც მთელი ხეობა იხდის, მაგალითად, „კომი ძუარ“, „ჯერი ძუარ“, „რიგი ძუარ“ და სხვა“ (სამხრ. ოსეთის ... გვ. 162). („ძუარ“ იგივეა, რაც ჯვარი (ხატი).

ფშავ-ხევსურეთშიც, მაგალითად, „ლაშარის ჯვარის ფშავლების საერთო სალოცავად, ბატონად, მცველად, მეფედ

ითვლებოდა“ (გ. თედორაძე, გვ. 72). ასევე მთელი ხევსურეთის საერთო სალოცავი გუდანის ჯვარი იყო. ცალკე ზევებსა და სოფლებს თავიანთი ჯვრები (ხატები) ჰქონდათ. ასევე იყო ქართლის მთიანეთშიც (ე.ი. „სამხრეთ ოსეთში“). „საგვარეულო კულტებთან ერთად აქ იყო სასოფლო ძუარები, რომლებსაც ეთაყვანებოდა მოცემულ სოფელში მცხოვრები ყველა გვარი. მას შეიძლება მივაკუთვნოთ კვაისაი ძუარი (მდ. ჯეჯორას ხეობა), ხისჭი ძუარ (სოფ. რუკ, მდ. დიდი ლიახვი) და სხვა. ქართულოსური მოსახლეობის მქონე სოფლებში ოსები ქართულ დღესასწაულებს იხდიდნენ, მაგალითად, „ღვთისმშობლობა“, „გომარობა“, „კარასეტობა“, „სამება“ და სხვა. სამხრეთ ოსეთში იყო მრავალი სახალხო დღესასწაული, რომელთაც რამდენიმე სოფელი ერთად იხდიდა: „დაუჯითა“ (სოფლების ედისა, ბიჭათა, საბა, ზგუბირ), „მკალგაბირ“ (კობეთი, ჩასავალი, ლესორი, კერველი და ა.შ.) (სამხრ. ოსეთის ... გვ. 162).

აქ „მკალგაბირ“ სხვა არაფერია, თუ არა „მიქელგაბრიელი“ - ოსური ენის ყაიდაზე მოწყობილი. მაშასადამე, „მიქელგაბრიელობის“ დღესასწაულს ერთად იხდიდა აღნიშნული სოფლის მოსახლეობა ისევე, როგორც ქართველებით დასახლებულ სოფლებში ოსები იხდიდნენ მსგავს დღესასწაულებს, ოღონდ სახელების დამახინჯების გარეშე.

საერთოდ, ზემოთ აღწერილი იმას მიუთითებს, რომ მართალი იყო ვაჩუშტი, როცა სამხრეთელ ოსებს უწოდებდა გაოსებულ დვალებს. დვალები მკვიდრი იბერიული ტომი იყო, ასევე მართალი არიან ეთნოგრაფები, როცა მთიელი ქართველების გაოსებაზე წერენ. ზემოთ მოყვანილი იძლევა უფლებას მიქელგაბრიელის სალოცავის თაყვანისმცემელი გაგლოევები ყოფილ ქართველ ქრისტიან გაგლოშვილებად მივიჩნიოთ, მორგის ჯვრის თაყვანისმცემელი ჯიოევები - ჯიოშვილებად, ბიბილურთა ჯვრის თაყვანისმცემელი ცხოვრებოვები - ცხოვრებაშვილებად, მთავა-

რანგელობის თაყვანისმცემელი ბაგაევები – ბაგიაშვილებად, თომაევები – თომაშვილებად. დვალების გაოსების შემდეგ მათი ისტორიული სამშობლო ჩრდილო კავკასიის აღმინისტრაციულ რეგიონში მოქადაც, იქიდან გაოსებული დვალების ნაწილი ჩრდილო კავკასიის ბარშიც ჩასახლდა, ამიტომაც ჯვრის თაყვანისცემა იქაც იცოდნენ. თუმცა, საქართველოდან აქ ადრევე იყო დანერგილი ჯვრის კულტი (ინგუშეთშიც), მაგრამ საგვარეულო ჯვრები მხოლოდ საქართველოში ჰქონდათ.

ზემოთ ნახსენები იყო ბიბილურთა ჯვრის თაყვანისმცემელი ცხოვრებაშვილები, ერთი შეხედვით, ბიბილურთა წინაპარი ნამდვილი ოსური წარმოშობისა იყო, როგორც ამას უჩვენებს „ძეგლი ერისთავთა“, მაგრამ სინამდვილეში კი ეს ასე არ არის, რამეთუ „ბიბილური“ აღნიშნულ შემთხვევაში ერთი ადამიანის გვარია, მაგრამ „ბიბილური“ სხვა შემთხვევაში სადაურობის მაჩვენებელია და ის სხვადასხვა წარმომავლობის ოჯახების გვარადაც შეიძლება ქცეულიყო. საქმე ისაა, რომ „ბობალეთი“ (ანუ ჩანს „ბიბილეთი“) ერქვა „ქვეყანას“ ანუ ხევს. ამ ქვეყნის, ანუ ხევის ყოველი მკვიდრი გვარი ბიბილური, ანუ „ბიბილუელი“ იყო.

„ძეგლი ერისთავთაში“ მოთხოვნილია ასეთი ამბავი: დვალები მოვიდა ერთი უცხოელი მთავარი, რომელიც თავისი ქვეყნიდან გააძევეს. ის ეუბნება დვალებს, მე ჩემს სამთავრო ღირსებაზე უარს ვაცხადებ. თუ გნებავთ, მომეცით ახალი გვარსახელი იმ ქვეყნის სახელწოდების მიხედვით, რომელიც თქვენ გსურთო. დვალებმა მისცეს მას ქვეყანა ბობალეთაი და უწოდეს ბიბილური ამ ქვეყნის სახელის მიხედვით. უცხოელი ამბობს: „არა გვერქვას მეფე, არამედ ქვეყანასა მას, რომელ მომცეთ, სახელი მისი გვერქვას ჩვენ. მაშინ მისცეს ქვეყანაი ბობალეთა და უწოდეს ბიბილურნი“ (ქართ. სამართ. ძეგლ. II, 1965, გვ. 102). დვალები ამბობენ მოსულთა შესახებ: „დაღათუ სახელ-ვსდევით ბიბილურად, არამედ სახელი ესე ვერ დაპფარ-

ავს გვარ-ნათესაობასა მათსა“ (იქვე, გვ. 102). მაშასადამე, „ბიბილური“ გვარ-ნათესაობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ სადაურობისა. მაშასადამე, ბიბილური სადაურობის მანიშნებელი გვარსახელი იყო. „...უამურში ოსური მოსახლეობა მოსული იყო. ადრე იქ ქართველები მკვიდრობდნენ, რომლებიც დაბლობისაკენ გადასახლდნენ, ერთი ასეთი გვარი უამურელი, დღეს ქსნის ხეობის მთისწინეთში მკვიდრობს“ (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის ... გვ. 31).

მაშასადამე, როგორც ზემოთმოყვანილიდან ჩანს, ბიბილური შესაბამის ხეობაში დამკვიდრებულთა სადაურობის მანიშნებელ გვარსახელადაც შეიძლებოდა ქცეულიყო დროთა ვითარებაში.

ზემოთ მოყვანილი სხვა ამბის მანიშნებელიცაა. „ძეგლი ერისთავთა“ უჩვენებს, რომ დვალეთის ტოპონიმიკა ოსების იქ დამკვიდრებამდე ქართული იყო.

შიდა ქართლის მოსახლეობის ერთი ნაწილის ეთნიკური თვითშემეცნების ცვლილება რომ მოხდა მათი გვარსახელების ფაქტიური ცვლილების გარეშე, ეს ყოველმხრივ გაცნობიერებული ფაქტია. მაგალითად, ზოგიერთ ავტორს თაყაიშვილი, ბარათაშვილი, თარხნიშვილი, სააკაძე და სხვა მრავალი მიაჩნია გაქართველებულ ოსად. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის, რომ გვართა მატარებლების ეთნიკური თვითშემეცნების ცვლილება ნამდვილად მოხდა, ე.ი. ადამიანს თავისი წინაპრების გვარი დარჩა (აქ მნიშვნელობა არა აქვს საგვაროვნო სუფიქსების ცვლილებას), მაგრამ თვით მისი ეთნიკური თვითშემეცნება შეიცვალა. „...ქართული გვარების მქონე უამრავი პიროვნება გაქართველებულ ოსად ცხადდება და თანაციტუქსება: „წინაპართა ენისა, ეროვნების დაკარგვა ძალზე სამარცხვინო საქმეა“ (იხ. გ. მამითის სტატია ოსურ უურნალში – „ფიდი“, 1989, №3). ვინ დაამტკიცა, რომ ბარათაშვილი, თარხნიშვილი, თაყაიშვილი, სააკაძე და სხვა მრავალი

წარმოშობით ოსური გვარებია, შემდეგ „გაქართველებული“? ან შეიძლება კი საერთოდ არარსებულის დამტკიცება? (ბ. ჯორბენაძე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 10.X.1989). არსებობს „....მთელი წყება ქართული გვარების თითქოსდა ოსური წარმოშობის ჩვენების წარუმატებელი ცდა“ (ბ. გვასალია, დასახ. ნაშრომი).

აქ უნდა ითქვას, რომ თაყაიშვილები, თარწნიშვილები, ბარათაშვილები, სააკაძეები და მათი წინაპრების ძირ-გვარები ჯერ კიდევ მაშინ მოიხსენიებიან ქართულ ქრონიკებსა და წერილობით წყაროებში, როცა არ იყო ფორმირებული ოსური მოსახლეობა იმ სახით, რომელიც მას ამჟამად გააჩნია (კერძოდ, დვალეთში ოს-„ალანების“ დამკვიდრებამდე). ცნობილია და ეს აღიარებულია გამოჩენილი ოსი მეცნიერების მიერ, რომ ოსურმა მოსახლეობამ დღევანდელი ეროვნული სახე მიიღო მხოლოდ ცენტრალურ კავკასიაში მათი წინაპრების დამკვიდრებისა და ადგილობრივი კავკასიელი ხალხის ურთიერთშერევის შემდეგ, ეს კი მოხდა მხოლოდ XII-XIV საუკუნეებში მონღოლთა ურდოებისა და თემურლენგის შემოჭრის შემდეგ. აქედან სრულ-იად ცხადია - გაოსდნენ სწორედ ცენტრალურ კავკასიაში დამკვიდრებული ხალხები. მაშასადამე, ხალხი, რომელიც ცხოვრობდა ცენტრალურ კავკასიაში, თავისი მნიშვნელოვანი კულტურითა და საგვარეულოებით, ოსებად იქცა. „ჩრდილოეთ-იდან სამხრეთისაკენ ოსების მოძრაობა გააძლიერა აგრეთვე ჯერ სამხრეთ რუსეთისა და შემდეგ დასავლეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი ტომების ექსპანსიამ და უეჭველად საგულისხმოა ის აზრი, რომ ოსების კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ კავკასიელ ხალხებს შორის ეძებნებათ თავისი ისტორიული ადგილი და ისინი აქ ახალ კავკასიურ ტიპად ჩამოყალიბდნენ... ნ. მარი და შემდეგ უფრო საფუძვლიანად ვ. აბაევი ამტკიცებს, რომ ოსებს, რომელიც მოსული ირანული

ტომის უბრალო გაგრძელება არ არიან, დამხვედრი მცხოვრებნი არც გაუჟღეტიათ და არც თვითონ გაწყვეტილან, არამედ შეხამებიან, მოხდა ასიმილაცია და ამის შედეგად წარმოიშვა ახლანდელი ოსური ტიპი“ (ი. მეგრელიძე, სიძველენი ლიაზვის ხეობაში, 1984 წ. გვ. 7). ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამოყალიბდა ახალი ხალხი. ეს ახალი ხალხი, ე.ი. თანამედროვე ოსები, ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა ხალხის ურთიერთშერევის შედეგად, კერძოდ, „რომელიღაც მოსული ირანული ტომი“ და კავკასიელი „დამხვდურნი მცხოვრებნი“ ერთმანეთში ერევიან, „ეხამებიან“, ხდება მოსულთა ენის მიერ ადგილობრივი ასიმილაცია. ყალიბდება ახალი ხალხი, ეს ახალი ხალხი თავისი ბუნებით „ახალ კავკასიურ ტიპად ყალიბდება“, მაგრამ მაინც როდის ჩნდება ისტორიის ასპარეზზე ეს ახალი ხალხი, ე.ი. „ახლანდელი ოსური ტიპი“? – საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს მოხდა თემუ-რლენგის ლაშქრობათა შემდეგ. აქამდე ხომ უკვე არსებობდნენ თარხნიშვილების, თაყაიშვილების, სააკაძეების საგვარეულოები და მათი ძირ-გვარები? დიახ, ეს საგვარეულოები ამ „ახალი ტიპის“ ჩამოყალიბებამდე არსებობდა. მაშასადამე, თუ კი ამჟამად რომელიმე თაყაიშვილი თუ „სხვა უამრავი“ ოსურად აცხადებს თავის გვარს, უნდა ვიცოდეთ, რომ მოხდა ამ საგვარეულოთა მატარებლების გაოსება, ანუ მათი შერწყმა „ახალ ოსურ ტიპში“ და არა პირიქით.

ვ. აბაევი ასკვნის: „ოსურში ჩვენ საქმე გგაქეს კავკასიურის არა მარტო გავლენებთან, არამედ სუბსტრატთან... ოსების ეთნო-ლინგვისტური კულტურის ჩამოყალიბებაში კავკასიური ელემენტი მონაწილეობდა არა როგორც მხოლოდ გარეგანი, უცხოური ფაქტორი, არამედ როგორც შინაგანი, ორგანული ფაქტორიც“ (იქვე, გვ. 7).

„ჯერ ნ. მარი და შემდეგ ვ. აბაევი ავითარებენ დებულებას: ინდოევროპელ სომხებს და ირანელ ოსებს აბორიგენი

კავკასიელებისაგან იმდენი რამ შეუსისხლხორცებიათ, რომ მეორეთაგან პირველთა მოწყვეტა უკვე აღარ შეიძლება – სომხებისა და ოსების ენასა და ყოფაში კავკასიური სუბსტრატი არა მხოლოდ დანაფენები, არამედ შინაგანად შერწყმული მოვლენაა... ნ. მარისა და ვ. აბაევის დასკვნებით ოსურ ეთნიკურ სახელებსაც კი – ირონ, დიგორ, თუალ, არაფერი აქვთ საერთო ირანთან და წარმოადგენენ ადგილობრივ (კავკასიურ) ძველ ეთნიკურ სახელებს“ (იქვე, გვ. 43).

მაშასადამე, თანამედროვე ოსი ხალხი ჩამოყალიბდა ორი აბსოლუტურად განსხვავებული ეთნიკური ერთეულის, ორი სხვადასხვა წარმოშობის ხალხის ურთიერთშერევის შედეგად – ვახუშტი არ უარყოფს ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებული ოსების მსგავს წარმოშობას, მაგრამ შიდა ქართლის მთიანეთში დამკვიდრებული ოსები, მისი აზრით, ორი სხვადასხვა ხალხის ურთიერთშერევის შედეგად კი არ არიან წარმოქმნილი, არამედ წარმოადგენენ დვალებს, რომლებიც გაოსდნენ და ჩამოსახლდნენ შიდა ქართლის მთიანეთში. ყოველ შემთხვევაში, ამ ხალხს ადგილობრივ-ქართულ-კავკასიური ნიშან-თვისება გააჩნია. მართლაც, აქ, შიდა ქართლში, დვალები, უკვე გაოსების გზაზე მდგარნი, ჩამოსახლებულან რამდენიმე ტალღად. პირველად ჩამოსახლდნენ, როგორც ოსურ პოლიტიკურ ორბიტაში მოქცეული ძალა, XII-XIV საუკუნეებში, შემდეგ გიორგი ბრწყინვალის დროს ისინი კვლავ უკან, ისტორიულ დვალეთში დაუბრუნებიათ. „...დიდი ლიაზვის მთელი ხეობა უფრო ძველ ფენაში ქართულია, შემდეგ თანდათან ჩნდება აქ ოსური მოსახლეობა“ (იქვე, გვ. 270). დვალთა და გაოსებულ დვალთა პირველ შემოჭრას ლიაზვის ხეობაში უკვალოდ არ ჩაუკლია – „...მთელს ლიაზვის აუზში უძველეს წარწერებსა და უახლესს შორის დიდი ხარვეზია. VIII-XII საუკუნეების ისტორიული ნაგებობანი ერთბაშად და ერთდროულად დანგრეულად გვეჩვენება, უმთავრესად XIV-XV

საუკუნეებში... შემდეგ განსაკუთრებით საყურადღებო ძეგლი აღარც კი ჩანს XVII საუკუნემდე და უკვე არა საკულტო, არამედ საცხოვრებელი და თავდაცვითი სიმაგრეები იგება; წარწერებიც ძირითადად ახალი ქართული ასოებით გვხვდება“ (იქვე, გვ. 12). მთიელ გაოსებულ, ე.ი. გაწარმართებულ დვალებს, ცხადია, საკულტო ნაგებობანი აღარ სჭირდებოდათ, თუმცა კულტურულ კავშირს ქართველ ხალხთან ძველებურად აგრძელებდნენ. ისინი კულტურულ-ისტორიულად ქართველები იყვნენ. ამიტომაც, ოსური ნართები მათ ქართულ დარეჯანიანის გმირებად მიიჩნიეს და ასევე უწოდეს, ახსოვდათ და პატივს სცემდნენ ვახტანგ გორგასალს, თამარს, ერეკლეს, „ლიახვის ხეობის ოსების ცოცხალ სიძველებს (ე.წ. „ჟივაია სტარინა“) უფრო მეტად, ვიდრე ჩრდილო ოსების ფოლკლორს, ატყვაი ქართული ზეპირსიტყვიერების კვალი. თითქმის ყოველ სოფელში გაიგონებოთ თქმულებებს დარეჯანთების (ნართების) და დარეჯანიანების (ქართული გზით), ამირანისა და სხვათა შესახებ, აგრეთვე, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ისტორიული პირების – ვახტანგ გორგასალის, თამარ მეფის, ერეკლესა და სხვათა შესახებ“ (იქვე, გვ. 271).

სხვათა შორის, ჯერ კიდევ გერმანელმა მეცნიერ-მოგზაურმა გიულდენშტედტმა წერილობითი სახით დაადასტურა, რომ დღევანდელი ჯავის რაიონში, დიდი ლიახვის ზემო წელზე, მრავალი ქართული სოფელი არსებობდა. XVII ს-ის ბოლოს ისინი ოსურ გარემოში მოხვდრილან. მათი გაოსების ეპიგრაფიკული სურათი ჯერ კიდევაა შემორჩენილი ამ რაიონში. საფლავის ქვებიდან ჩანს, რომ თუ მამა-პაპა ატარებს ქართულ გვარს XIX საუკუნის პირველ ნახევარში, შვილმა ოსურ ყაიდაზე მოაწყო თავისი გვარი. ამ მაგალითების მოყვანამდე უნდა ითქვას, რომ მამა-პაპამ თუ კარგად იცოდა ქართული ენა, XX ს-ის დასაწყისში შვილებისათვის ეს ენა უცხო ენად არის ქცეული. მათი მშობლიური ენა უკვე ოსური ენაა – „...ადგილობრივ ოსთა

უფროსი თაობის დიდი უმრავლესობა ორენოვანია, ისინი მშობლიური ოსური ენის გარდა ქართულ ენაზეც მეტყველებენ“ (ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 230). თუ XX საუკუნის პირველ ნახევარში კვლავ იცოდნენ ქართული ენა, როგორი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო გიულდენშტედტის დროს, XVII საუკუნის ბოლოს? კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ქართველობას ეროვნული სახე XIX საუკუნეში შეუცვლია. მაგ. სოფ. გუფთაში ჯიოევები და და თიგიევები ცხოვრობენ, მათი წინაპრების საფლავის ქვებს კი აწერიათ ჯიოშვილი, თიგიშვილი. ყურადღება უნდა მიექცეს საფლავის ქვის ენასაც, თუ კი საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ და ყველა სხვა მიცვალებულთა საფლავებს ძალზე გამართული და ჩვეულებრივი ქართული ენით აქვთ გაკეთებული ეპიტაფიები, საუკუნის ბოლოსათვის საფლავების წარწერების ქართული ენა მდარე ხდება, ხოლო შემდეგ საერთოდ ისპობა ქართულენოვანი წარწერები. აღნიშნულ სოფელ გუფთაში არის ჩვეულებრივი ქართულით გაკეთებული ტატო ბიბლიას ძე ჯიოშვილის, ტატო კიკოს-ძე ჯიოშვილის, სოსიკო ჯიოშვილის მეუღლის, ქალამანას XIX ს. ეპიტაფიები, არის თიგიშვილების მშვენიერი ქართულით დაწერილი ეპიტაფიები, ერთი ქართული ლექსია, გასიშვილებისა (ახლა გასიევები) და ფილიშვილების (ახლა პილიევები) – ქართული ეპიტაფიები (იქვე, გვ. 234-235). „ჯიოევების ზოგი ოჯახი ბიჭიკაშვილად იქსენიება. მაშასადამე, მათ წინაპარს ბიჭიკა რქმევია“ (იქვე, გვ. 236). საერთოდ, აქ როგორც წესი, მღვდლებად ქართველები მსახურობდნენ (მაშინ არ იყვნენ ოსი მღვდლები, შემდეგ ეგზარხოსმა აკურთხა რამდენიმე). ერთი ჯიოშვილი აქ მღვდელი ყოფილა და მას სიონშიც უმსახურია – „ამ ადგილზე ძველი საყდარი იყო... მისი უკანასკნელი მღვდელი ყოფილა მორგოელი – ჯივაშვილი, ანუ ჯიოევი, რომელიც შემდეგ თბილისის სიონში მსახურობდა“ (იქვე, გვ. 237).

სოფ. ჯარშია ქოთოლაშვილების ეპიტაფიებია და არა ქოთოლოვებისა და ქოთოლითებისა, როგორც ახლა იწერებიან ეს გვარები (გვ. 238). სოფ. ნინიაში თუ კი 1894 წელს საფლავის ქვაზე აწერია გვარი ქარსანიშვილი, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ აწერია ქარსანოვი (იქვე, გვ. 239). თუ კი სოფ. მსხლებში 1880 წლის ეპიტაფიაზე მშვენიერი ქართულით მოიხსენება „ცხოვრებაშვილი“, რამდენიმე წლის შემდეგ - უკვე „ცხოვრებაევი“ წერია (გვ. 242).

საინტერესოა ცნობა ცაბაევების შესახებ. „ვასილ ცაბაევის მეტრიკულ ამონაწერში ჩაბაევი წერია. ვასილს ვეკითხები, ჩაბაევი და ცაბაევი განა ერთი და იგივეა? მისი პასუხია: ასე იყო, ჩაბაშვილს გვიწოდებდნენ, მაგრამ აგერ 50 წელიწადია, ცაბაევს (ცაბათი) გვეძახიანო, (შდრ. ჩოჩითი - ჩოჩიევი, ცოცითი - ცოციევი)“ (იქვე, გვ. 246). ჯავაშია ეპიტაფია ქართულით, დაწერილი 1870 წელს „ბათო სანაყოშვილისა“, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ კი „სანაყოევი“ წაუწერიათ ახალ საფლავის ქვაზე. მოღწეულ 1860, 1890, 1876 საფლავის ქვებზე ყველგან სანაყოშვილია წარწერილი - „...ადრინდელ წარწერებში ახლანდელი გვარი სანაყოევი სანაყოშვილად იხსენიება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგ. იხ. ზემოთ 1873 წ. ერეკლე სანაყოევის საფლავის ქვის წარწერა; ე.ი. თანამდებობის პირებს უფრო ადრე დაუწყიათ გვარების გარუსულება (იქვე, გვ. 249).

ქოქოევები კი არ ეწერა ძველ საფლავებზე, არამედ ქოქოშვილი (გვ. 249).

„ერთ-ერთ წარწერაში (1903 წ.) იხსენიება „...ბაბაშვილის ასული, ლექსა თედეშვილის მეუღლე“ (გვ. 250). იქვეა ცხოვრებაშვილის საფლავის ქვა და არა ცხოვრებოვისა (გვ. 250).

ჯავაშია თანდილაანთ უბანი. თანდილაანთ, ანუ ქართული ენის ბუნების შესაბამისად თანდილათი, ოსურ თანდილეთად ქცეულა (გვ. 250). სწორედ ზემოთაღნიშნულის (ე.ი. ამ რაიონში ძველი

ქართული მოსახლეობის არსებობის) გამო „სამხრეთ ოსეთის, განსაკუთრებით ჯავის რაიონის მცხოვრებთა ზეპირსიტყვიერებაში ვხედავთ ქართულის მსგავს თქმულებებსა და ლეგენდებს“ (გვ. 251).

სოფ. ხეწეში 1890 წლამდე ყველა საფლავის ქვას „თიბილაშვილი“ ეწერა და არა „თიბილოვი“ (გვ. 254-255). აქ ძველქართული გვარები არა მარტო „შვილი“ სუფიქსით ბოლოვდება, არამედ ძე-თიც. არის 1912 წლის წარწერა - „ქვაზაძე“. თითქმის მხოლოდ მეოცე საუკუნიდან იწყება ქართულენოვანი ეპიტაფიების გვერდით ოსურენოვანის გამოყენებაც გვ. 255). იხსენიება ჯერ „ხარებაშვილი“, მერე „ხარებაოვ“ (გვ. 256). იხსენიება არა ფარასტაევი, არამედ ფარასტაშვილი 1884 წ. (გვ. 257), „თიბილაშვილი“ და არა „თიბილოვი“, გათიკოშვილი და არა გათიკოევი, ქოქაშვილი და არა „ქოქაევი“, „დედაშვილი“, „თიბილაშვილი“ (1861 წ.) (გვ. 262-263). ახლაც კი მოხუცები თავიანთ გვარს აწარმოებენ ქართული სუფიქსის დართვით. „კროზელი დრიშ ლევანის-ძე თიბილაშვილი (მოხუცები ასე აწარმოებენ თავიანთ გვარებს) გვარწმუნებს, რომ 111 წლისაა“ (გვ. 265). „გვაჩვენეს პირობის ორი ხელწერილი, 1908 წლის 12 მარიობისთვეს დაუწერიათ ქართულად: რაზდენა თიბილაშვილი და მიშა ფარასტაშვილი შეთანხმებულან ერთ სადავო საკითხში“ (გვ. 268). არა „ვაღლიევი“ იხსენიება ძველ საბუთში, არამედ ვაღლიშვილი (გვ. 269).

სოფ. ვაანელი სასოფლო საბჭოში შედის სოფელი „ბაღიანთ კარი“ - შემოკლებით „ბაღიათა“, ახლა ბაგიათა, წარწერაში მოიხსენიება არა „ბაგიაევი“, არამედ ბაღაშვილი (გვ. 273).

პირველი მღვდელი ედისში ოქროპირიძე ყოფილა“ (გვ. 291), იქვე დაბადებულა მისი ვაჟი, „რომელიც შემდეგ აღექსანდრე ეპისკოპოსადაა ცნობილი“ (გვ. 291). აღსანიშნავია, რომ მცხეთის რაიონის სოფ. მისაქციელის საბჭოში მცხოვრები ოქროპირიძეები

ოსებად აცხადებენ თავიანთ თავს ქართლის მთიანეთიდან ბარში გადასახლების გამო. არსებობს მასალა, რომ ძველად იხმარებოდა არა ყოროევი, არამედ „ყაროშვილი“ (გვ. 297), არა ბაგიზოვი, არამედ „ბეგიზაშვილი“ (გვ. 301). გარდა ამისა, მრავალი ლეგენდა, თქმულება, წეს-ჩვეულება, ჯვარ-ხატების, ეკლესიების სახელები თუ საგვარეულო თაყვანისცემა მიუთითებს აქაური მოსახლეობის ქართულ წარმომავლობას (ე.ი. ადგილობრივ ქართველობას შეერივნენ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული დვალები, რომელთა ასიმილაცია-შერევით ჩამოყალიბდა აღნიშნული რაიონის მოსახლეობა).

მაგრამ არსებობს კიდევ უფრო ძველი ქართული წერილობითი მონაცემები, რომელთა ანალიზი მიუთითებს ზოგიერთი ოსური გვარის ქართულ წარმომავლობას. მაგალითად, ხარებაშვილებს (ანუ დღევანდელი ხარებოვების წინაპრებს) ქართული სამართლის ძეგლები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მოიხსენიებდა როგორც მღვდელებს. ხარებაშვილი, რომელსაც ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი შეეხება, უაჭველად ქართველია, ოსი რომ ყოფილიყო, ამის შესახებ მიუთითებდა მისი მომჩივანი ეპისკოპოსი. 1793 წლის 16 თებერვალს მროველი ეპისკოპოსი ჩივის ვახტანგ ბატონიშვილთან იმის შესახებ, რომ „ხარებაშვილის გიორგის მღვდელი აბისი სოფელი მივაბარე სანახევროთ, რაც ეშოვა, შუაზე უნდა გაეყო“ (ქართ. სამართ. ძეგლები, VIII, გვ. 196), მაგრამ არ გაუყვია და შინდისში გადასულა.

ასევე ითქმის მარლიშვილების (ახლანდელი მარგიევების) შესახებაც. ისინი კიდევ უფრო ადრე, XVII საუკუნიდანვე მოიხსენიებიან წერილობით საბუთებში (ქართ. სამართ. ძეგლები, VII – გვ. 690-691), მარლიშვილების ერთ შტოს ჯავახეთთანაც აქვს კავშირი. ისინი თუმანიშვილების ყმები ყოფილან (ქართ. სამართ. ძეგ. VIII, 1985 წ. გვ. 90).

შიდა ქართლში არა მარტო ყმა გლეხები (ხიზნები) გაოსებულან, არამედ თავადებისა და აზნაურების ნაწილიც კი, მაგალითად, ახლანდელი ბორტიევების წინაპარი ბორტიშვილები მაჩაბლების ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ. „მაჩაბლების გვარი თავადურ სახელებად დაიყო, ზაალიშვილებად, გიორგიშვილებად, რევაზიშვილებად, ბორტიშვილებად“ (ქ.ს.ე. 6, გვ. 509), ოსობებს რევაზოვებიც (რევაზიშვილები).

ახლანდელი დიაკონოვების წინაპრები, დიაკონაშვილები იხსენიებიან XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისიდან – „გორელმა ვაჭარმა დიაკონაშვილმა სტამბოლში გარდაცვლილი სიმონ მეფის ნეშტი საქართველოში წამოასვენა. ამ სამსახურისათვის იგი ოჯახიანად გააზატეს და ჯვრის მონასტერს შესწირეს“ (ქართლის ცხოვრება, II გვ. 537 – წიგნიდან – „ისტორიული წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები“ 1988, გვ. 28).

მსგავსი მაგალითები ისე მრავლად არის, რომ შესაბამისი კვლევა-ძიების შემდეგ მათ გამოცემას აღსაბათ ტომები დასჭირდება.

ასეთი წერილობითი მონაცემების გარდა არის ტოპონიმური მასალებიც, რომლის საშუალებითაც შეიძლება ზოგიერთი გვარის ისტორიის დადგენა, მაგალითად, თედეევების (თედიაშვილების) ერთი შტოსი. ვახუშტი სადგერის ხეობაში ასახლებს სოფელ თედიანთ-უბანს (ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, 1957, გვ. 26). ქს. ს. მაკალათიას მიხედვით, არის წალვერი. ცნობილია, რომ ვახუშტის დროს ოსები ჯერ კიდევ ცენტრალური კავკასიონის ხეობებსა და მდინარეთა სათავეებში ცხოვრობდნენ. მაშასადამე, თედიანთ უბანს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ოსებთან. თედიანთ უბანი იგივეა, რაც თედიაშვილების უბანი. მაშასადამე, თედიაშვილები ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ და ოსებთან არაფერი არ აკავშირებდათ, ისინი ბორჯომელი მემამულე ავალიშვილების ყმები იყვნენ. ავალიშვილები,

რომელთაც სადგერის ხეობა ეკუთვნოდათ, ვახუშტის შემდეგ XVIII საუკუნეში თავიანთი გლეხებით შიდა ქართლში გადასახლდნენ – „ავალიშვილებმა ვერ შეძლეს მტრებთან გამკლავება და თავიანთი გლეხებით შუა ქართლში გადასახლდნენ“ (იქვე, გვ. 31). ე.ი. თედიაშვილები შიდა ქართლში გადასახლდნენ ბორჯომის ხეობიდან. აქ ისინი XIX საუკუნეში ჩანან.

როგორც აღინიშნა, გვარების რიცხვი, რომელთა ქართული წარმომავლობის შესახებ მიგვითითებს ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული თუ სხვა მასალები, ძალზე დიდია, შეიძლება ითქვას, ასეთი გვარები უთვალივარა.

ქართველების გაოსება უმაგალითო არ ყოფილა, სწორედ იმავე დროს და იმავე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ქართველების გასომხების პროცესი. მაგალითად, ახალგორში – „...სომხურ გრიგორიანულმა ეკლესიამ შეძლო ადგილობრივი მკვიდრი ქართული მოსახლეობის „გასომხება“ (გასომხება რელიგიური თვალსაზრისით). ახალგორის „გასომხებულ“ მოსახლეობას შორის შეიძლება დავასახელოთ როსტევანიშვილები (როსტევანოვები), გათენაშვილები (გათენოვები) – ძირად გიგაურები, მეარაყოვები (მეარაგოვები) და სხვა“ (რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობა, გვ. 38).

ყოველივე ზემოთ მოყვანილი მიუთითებს იმის შესახებ, რომ საქართველოს დაშლისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ (XVI-XIX სს) მიმდინარეობს ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის პროცესი. ეს პროცესი ეროვნულმა კონსოლიდაციამ ვერ შეაჩერა და ქართველთა გაოსება XX საუკუნეშიც გაგრძელდა. ამას ეთნოგრაფები მაგალითებით ადასტურებენ.

1990 წელი

სარჩევი

ქართველთა დენაციონალიზაცია

XVII-XX საუკუნეებში

საინგილო (ქართველების გალეკება)	3
საინგილოს ისტორიული გეოგრაფია და მოსახლეობა	5
აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიული ბედი	17
ინგილო, ანუ კახელი გლეხი	25
ქართველთა გალეკების სახე, გალეკებულთა გვარები	35
აჭხაზეთი (ქართველების „გააფხაზება“)	49
უძველესი აფხაზეთი ძველქართული წყაროების თანახმად	51
ქართველი ისტორიკოსები აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ	61
აფხაზეთის ტოპონიმები	74
ქვემო იბერიის, ანუ აფხაზეთის საკათალი ცოცხლი	85
მთიელი ტომების ჩამოსახლება აფხაზეთში	128
გააფხაზებულთა გვარები	160
ქართლ-კახეთი (ქართველების „გასომხება“)	175
ქართველთა გასომხების პოლიტიკური მიზანები	177
თბილისი და ქვემო ქართლი მაკმადიანთა ბატონობისას	187
ქართველთა არმენიზაცია	202
გასომხებულთა გვარები	232
მმსხეთი (ქართველების გამაპმადიანება)	251
საქართველოს კუთხეთა გამაპმადიანება	253
მესხების გამაპმადიანება	260

გათაორება	272
ქართული ენის დავიწყება	280
გამაპმადიანებულთა გვარები	288
ლაზეთი-თრიალეთი (ქართველების გაბერძნება)	301
შესავალი	303
ურუმების საცხოვრისი	308
ბერძნული ეკლესის უფლებების გაზრდა ოსმალეთში	311
ქართველი მართლმადიდებლების გაბერძნება ოსმალეთში	319
ბერძენ-ურუმების გადმოსახლება თანამედროვე საქართველოში	326
ქართველების გაბერძნება თანამედროვე საქართველოში	331
გაბერძნებულთა გვარები	336
შილა ქართლი (ქართველების გაოსება)	341
შესავალი	342
ოსი ხალხის ჩამოყალიბება, ოსები – ორი ეთნოჯგუფის მემკვიდრეობი	350
დვალი ხალხი	358
ოსეთის სამეფო	358
დვალების სარწმუნოება და მათი გაოსება	368
მიზეზი დვალების შემოსვლისა ქართლის მთიანეთში	387
დვალების გაოსება ქართლის მთიანეთში	398
დვალთა გადასახლება შიდა ქართლში და მთიელ ქართველთა გაოსება	405
ქართველთა გაოსება XIX საუკუნეში	425
გაოსების რელიგიური მომენტი	455
ქართული წარმომავლობა სამხრეთ ოსური გვარებისა	477

